ორჰან ფამუქი
მდუმარე სახლი

რომანი

მთარგმნელი: ლია ჩლაიძე

1.

– დიდო ქალბატონო, მობრძანდით, საჭმელი მზად არის!

არაფერი უთქვამს. ხელჯოხზე დაყრდნობილი გაუნძრევლად იდგა. მივედი, ხელკავი გამოვდე, წამოვიყვანე და მაგიდასთან დავსვი. სამზარეულოში ჩავედი, მისთვის გამზადებული ლანგარი ამოვიტანე და წინ დავუდგი. საჭმელს დახედა, მაგრამ ხელი არ დააკარა. როცა ბურტყუნით კისერი წაიგრძელა, მივხვდი, რაც უნდოდა. ხელსახოცი ამოვიღე, გულზე ავაფარე, ყურებქვეშ გავუტარე და უკან შევუკარი.

– ამ საღამოს კიდევ რა გააკეთე? რა მოიგონე? – მკითხა.

– იმამბაილდი.[1] გუშინ ხომ მოინდომეთ?

– სადილად არა გვქონდა?

თეფში მივუწიე. ჩანგალი აიღო, ცოტა გაქექა და ჭამა დაიწყო.

– დიდო ქალბატონო, სალათიც მანდვე გიდგათ, – ვუთხარი და სამზარეულოში დავბრუნდი. ერთი ბადრიჯანი გადმოვიღე, დავჯექი და ის იყო, ჭამა დავაპირე, რომ დამიძახა:

– რეჯეფ, მარილი! მარილი სად არის?

გამოვედი და დავანახვე, სამარილე იქვე, ხელის გაწვდენაზე ედგა.

– ეს რა წამოიწყე? როცა ვჭამ, სად მიდიხარ?

არ ვუპასუხე.

– ხვალ არ ჩამოდიან?

– ჩამოდიან, დიდო ქალბატონო, ჩამოდიან. მარილს რატომ არ

აყრით?

– შენი საქმე არ არის! მაშ, ჩამოდიან?

– ხვალ, შუადღისას აქ იქნებიან. აკი დარეკეს.

– კიდევ რა გაქვს?

ნახევარი ბადრიჯანი უკან წავიღე, სუფთა თეფშზე ლამაზად დავდე ლობიო და მივუტანე. ზიზღით დახედა, აურ-დაურია. მე წავედი და ჭამა გავაგრძელე.

– პილპილი! – იყვირა ამჯერად, მაგრამ წავუყრუე.

– ხილი! – ისევ იყვირა.

ჯამით ხილი მივუტანე და წინ დავუდგი. გაძვალტყავებული, გალეული ხელი დაღლილი ობობასავით მძიმედ მოატარა ატმებზე, ბოლოს გააჩერა და თქვა:

– ყველა დამპალია. სად იშოვე? ძირნაყარია?

– დამპალი კი არა, მწიფეა, დიდო ქალბატონო. საუკეთესო ატამია, ბაყალთან[2] ვიყიდე. ძირნაყარი როგორ იქნება, როცა აქ ატმის ხეები აღარ დარჩა...

ვითომ არც გაეგონოს, ერთი ატამი ამოირჩია. მე ლობიოს მივუბრუნდი. ამ დროს ისევ აყვირდა: – მომხსენი! რეჯეფ, სადა ხარ? ახლავე მომხსენი!

გამოვვარდი, მივირბინე და ხელსახოცს რომ ვხსნიდი, დავინახე, ნახევარი ატამი დაეტოვებინა.

– ჭერამი მაინც მომერთმია! მერე ამბობთ, მშიაო და ღამით მაღვიძებთ ხოლმე.

– მადლობა მომიხსენებია. ჯერ იქამდე არ მივსულვარ, ძირნაყარი ხილი ვჭამო. ეს მომხსენი!

ხელსახოცი მოვხსენი და პირი მოვწმინდე. კოპები შეიკრა. მერე რაღაც ლოცვასავით ჩაიბუტბუტა და წამოდგა.

– ზემოთ ამიყვანე!

დამეყრდნო. კიბეზე ასვლა დავიწყეთ. მეცხრე საფეხურზე შევჩერდით, სული მოვითქვით.

– ოთახები გაუმზადე? – მკითხა აქოშინებულმა.

– გავუმზადე.

– კარგი, ავიდეთ!

ასვლა გავაგრძელეთ. ბოლო საფეხურზე შედგა, – ცხრამეტი! მადლობა ღმერთსო, – თქვა და თავის ოთახში შევიდა.

– სინათლე აანთეთ, მე კინოში მივდივარ.

– კინოც მომინდომა! ამხელა კაცია და... არ დაიგვიანო.

– არ დავიგვიანებ!

ქვემოთ ჩავედი, ლობიოს ჭამა მოვათავე, ჭურჭელი დავრეცხე, წინსაფარი მოვიხსენი, ჰალსტუხი მეკეთა, პიჯაკი ავიღე, საფულეც მოვისინჯე და გამოვედი.

ზღვიდან გრილი ნიავი უბერავდა და ლეღვის ფოთლებს აშრიალებდა. მესიამოვნა. ბაღის კარი გამოვიხურე. პლაჟისაკენ წავედი. ერთხანს ჩვენი ბაღის კედელს მივუყვებოდი. ის რომ დამთავრდა, ქვაფენილი და ბეტონის სახლები დაიწყო. სახლების აივნებზე და პატარა, ვიწრო ეზოებში ტელევიზორები გამოუტანიათ, სხედან და ახალ ამბებს უყურებენ, უსმენენ. ქალები მაყლებთან ტრიალებენ, ისინი ვერ მხედავენ. ხორცი იწვის, ბოლი დგას. მაინტერესებს, როგორ ცხოვრობენ ოჯახები. დაზამთრდება და ყველანი გაიკრიფებიან, აქ აღარავინ დარჩება. დადიხარ ცარიელ ქუჩებში და საკუთარი ფეხის ხმა გაკრთობს. შემცივდა. პიჯაკი ჩავიცვი, მეზობელ ქუჩაზე გადავუხვიე.

სასაცილოა! ყველანი ერთსა და იმავე დროს უყურებენ ტელევიზორს, საჭმელადაც ერთად სხდებიან.

მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში დავეხეტები. პატარა მოედანზე გამავალი ქუჩის კიდეს მანქანა მიადგა. იქიდან სტამბოლიდან ჩამოსული დაღლილი ქმარი გადმოვიდა. დიდი ჩანთა გადმოათრია. შეწუხებული ჩანდა – სანოვაგე მოჰქონდა, უკანასკნელი ცნობების ყურებისას უნდა ეჭამათ და დააგვიანა.

როცა სანაპიროს მივუახლოვდი, ისმაილის ხმა მომესმა:

– ეროვნული ლატარია! ექვსი დღეღა დარჩა!

ვერ დამინახა. მეც თვალი ავარიდე. რესტორნის მაგიდებს შორის დადიოდა. ერთ მაგიდასთან მიიხმეს. მივიდა, დაიხარა და თეთრკაბიან, ბაბთიან გოგონას ლატარიის ბილეთების დასტა გაუწოდა. გოგონა მოკრძალებით ირჩევს, მისი მშობლები კმაყოფილები ჩანან, იღიმებიან. ზურგი შევაქციე. ხმა რომ ამომეღო, ისმაილი დამინახავდა, კოჭლობით მოირბენდა და მეტყოდა: აბი,[3] ჩვენსა რატომ არ მოდიხარო? მეც ვუპასუხებდი: ისმაილ, შორს ცხოვრობთ, თანაც – აღმართზე-მეთქი. დიახ, მართალი ხარო, – მეტყოდა, – დოღან ბეის[4] მოცემული ფულით აქ, ზღვასთან, უნდა მეყიდა მიწა და არა იმ აღმართზეო. სადგურთან ახლოს იყო და იმიტომ ვარჩიე იქაურობა, არადა, ახლა მილიონერი ვიქნებოდიო. დიახ, დიახ, სულ ერთი და იგივე... მისი ლამაზი ცოლიც კრინტს არა ძრავს, უსიტყვოდ შემოგვჩერებია. რისთვის მივიდე? ზოგჯერ, ზამთრის გრძელ ღამეებში, როცა ხმის გამცემი მომენატრება, მათთან ყოფნა მომინდება ხოლმე, მაგრამ ნაცნობი სიტყვებით მხვდებიან...

სანაპიროზე კაზინოები ცარიელია, ტელევიზორები – ჩართული. დიდი სიმძლავრის ნათურების ქვეშ ასობით ჩაის ჭიქა დაუმწკრივებიათ. ჭიქებს სისუფთავისაგან პრიალი გაუდის. „უკანასკნელი ცნობების“ დამთავრებასა და ხალხის ქუჩაში გამოფენას ელოდებიან. ჯერ კი თავისუფალი მაგიდების ქვეშ კატები სხედან. გზა გავაგრძელე.

ნავმისადგომის მეორე მხარეს ბევრი ნავია. ადამიანის ჭაჭანება არ არის. ნაპირზე გამორიყული გამხმარი წყალმცენარეები, ბოთლები, ცელოფნის ნაგლეჯები... ამბობენ, მენავე იბრაჰიმის სახლსაც დაანგრევენ და ყავახანასაცო. ყავახანის განათებული ფანჯრების დანახვაზე გული ყელში მომებჯინა; ეტყობა, იქ ხალხია, ბანქოს თამაშობენ. შევალ, გამოველაპარაკები. ვინმე მკითხავს, როგორ ხარო? ვუპასუხებ, მომისმენს. მეც ვკითხავ, შენ როგორღა ხარ-მეთქი? ისიც მიპასუხებს, მოვუსმენ. ტელევიზორის ხმა რომ გადავფაროთ, ყვირილით ვილაპარაკებთ. იქნებ, კინოშიაც ერთად წავიდეთ. მეგობრობაც ეს არის.

მაგრამ ყავახანაში შევედი თUუ არა, ხასიათი წამიხდა. იქ ორი ყმაწვილი დამხვდა. ჩემს დანახვაზე გამხიარულდნენ, ერთმანეთს გადახედეს და სიცილი აიტეხეს, მაგრამ არ შევიმჩნიე, საათს დავხედე, ვითომ მეგობარს ველოდები. იქ,

მარცხნივ, მართლაც მჯდარა ნევზათი. ბანქოს თამაშს უყურებდა. მეც მივედი, სკამზე ავედი და დავჯექი. კმაყოფილი ვარ. ნევზათს შევცინე:

– გამარჯობა, როგორა ხარ?

არ მიპასუხა.

ერთხანს ტელევიზორს ვუყურე. საინფორმაციო გადაცემა მთავრდებოდა. ბანქოს თამაში გრძელდებოდა. ნევზათი უყურებდა. ეს ხელი დამთავრდეს და მერე... დამთავრდა, მაგრამ მე კი არა, ერთმანეთს ელაპარაკებიან, იცინიან. ისევ ჩამოარიგეს ბანქო, ისევ დამთავრდა. სანამ ახალ ხელს დაიწყებენ, რამეს ვიტყვი-მეთქი, ვიფიქრე:

– ნევზათ, ამ დილანდელი რძე კარგი გამოდგა.

ბანქოსთვის თვალი არ მოუწყვეტია, ისე დამიქნია თავი.

– იცი? ცხიმიანი რძე ძალიან გემრიელია.

ისევ დამიქნია თავი. საათზე დავიხედე. ცხრას ხუთი წუთი აკლია. ტელევიზორს ვუყურებ. ფიქრში წავედი. კარგა ხნის შემდეგ მივაქციე ყურადღება ახალგაზრდების ქირქილს, დავინახე, ხელში გაზეთი ეჭირათ. ხან მე მიყურებდნენ, ხან გაზეთში იხედებოდნენ. ცუდად მენიშნა. ღმერთო, ნუთუ კიდევ რამე სურათია? რეჯეფ, რაც უნდა იყოს, მშვიდად იყავი, ნუ აჰყვები!

ეს გაზეთები დაბეჭდავენ ხოლმე რამე სურათს – შიშველი ქალისას ანდა დათვისას, აქაოდა, ზოოპარკში ბელი მოიგოო. ქვეშ კი სისულელეებსა და ტყუილებს მიაწერენ. სასტიკები არიან. ერთბაშად ნევზათს მივუბრუნდი და დაუფიქრებლად ვკითხე:

– როგორა ხარ?

რაღაც ჩაიბურტყუნა. წამით შემომხედა კიდეც, მაგრამ გაზეთზე ვფიქრობდი და სათქმელი ვეღარ ვიპოვე. საუბრის გაბმის შემთხვევა ხელიდან გავუშვი. მეტიც: დავიბენი და ისევ იმ ახალგაზრდებს გავხედე. თვალი თვალში გავუყარე, უფრო ახორხოცდნენ. მოვიხედე. ბანქოს სათამაშო მაგიდაზე პაპა დაეცა. მოთამაშეები ერთმანეთს აგინებენ. ზოგს უხარია, ზოგს სწყინს. ბანქომ და მხიარულებამ ადგილები იცვალა. ნეტავ,

სურათი თუა? უცებ მოვიფიქრე:

– ჯემილ! ერთი ჩაი აქეთ!

ამით ყურადღების სხვა რამეზე გადატანა დავაპირე, მაგრამ ვერ მოვახერხე. ჩემი ფიქრი ისევ იმ გაზეთს დასტრიალებდა, ახალგაზრდები სიცილით რომ დასჩერებოდნენ. როცა ერთხელ კიდევ მივიხედე, დავინახე, გაზეთი ჯემილისათვის მიეცათ. ისიც ინტერესით ათვალიერებდა. როცა ჩემი აფორიაქებული მზერა დაიჭირა, ახალგაზრდებს უყვირა:

– უსირცხვილოებო!

აჰა, ისარი უკვე გასროლილია. ამ საქმეს აღარაფერი ეშველება. ადრევე უნდა გავცლოდი აქაურობას. ახლა გვიანია. ისე ვერ მოვიქცევი, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ახალგაზრდები ახორხოცდნენ.

– რაო, ჯემილ? მაგ გაზეთში რა წერია?

– არაფერი, საზიზღრობა!

ცნობისმოყვარეობამ ამიტანა. თავის შეკავება ვცადე, მაგრამ ძალა არ მეყო. სკამიდან მონუსხულივით ჩამოვედი, ჩავუარე ხმაჩავარდნილ ახალგაზრდებს და ჯემილისაკენ მძიმე ნაბიჯით წავედი.

– მომეცი, ერთი, ეგ გაზეთი!

ჯერ გაზეთის დამალვა დააპირა, მერე კი, დამნაშავის ტონით მითხრა:

– საშინელებაა! რა დასაჯერებელია?!

მერე ისევ ახალგაზრდებს მიუბრუნდა:

– უსირცხვილოებო! – უყვირა და, როგორც იქნა, მადლობა ღმერთს, გაზეთი გამომიწოდა.

ხელიდან გამოვტაცე, გავშალე. გული ამოვარდნაზე მქონდა, ლამის დავიხრჩე. დავჩერებოდი იმ ადგილს, ჯემილმა რომ მიმითითა, მაგრამ არანაირი სურათი არ იყო.

– სად არის?

– აი, აქ, – მითხრა და თითი დაადო. ფათაფუთით გადავიკითხე:

„საისტორიო კუთხე“: „უსქუდარის[5] ისტორიული განძი“... „პოეტი იაჰია ქემალი და უსქუდარი“... უფრო ქვემოთ მოკლე სათაურები: „რუმ მეჰმეთ ფაშას ჯამე[6]“... „აჰმედის ჯამე და წყარო“... „შემსი ფაშას ჯამე და მისი წიგნთსაცავი“. ჯამილის აკანკალებული თითი ქვემოთ ჩაჰყვა და დავინახე: „ჯუჯათა სახლი უსქუდარში“. ერთი ამოსუნთქვით ჩავიკითხე. სისხლი თავში ამივარდა:

„დიდი ხნის წინათ უსქუდარში ერთი სახლი ყოფილა. ჩვეულებრივი ადამიანებისთვის კი არა, ჯუჯებისათვის აშენებულ ამ სახლს არაფერი ჰკლებია, მაგრამ მისი ოთახები, კარები, ფანჯრები ჯუჯებზე ყოფილა გათვლილი. საშუალო სიმაღლის კაცი მხოლოდ მოხრილი თუ შევიდოდაო, – ამბობენ. ხელოვნების ისტორიკოსის, პროფესორ სუჰეილ ენვერის გამოკვლევებით, ის სახლი სულთან მეჰმედ მეორის ცოლსა და სულთან აჰმედ პირველის დედას – ჰანდან სულთანს[7] აუშენებია. ამ ქალს ძალიან ჰყვარებია ჯუჯები და ამას ჰარამხანის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი სჭერია. ჰანდან სულთანს თავისი სიკვდილის შემდეგ მეგობარი ჯუჯებისათვის მშვიდი ცხოვრების დატოვება უსურვებია. ამისათვის სასახლის მთავარი ხურო რამზანი მოუწვევიათ. სადურგლო სამუშაოების სრულყოფილებამ ეს სახლი გამორჩეულ ქმნილებად აქციაო, ამბობენ. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გადაჭრით ვერ ვიტყვით, მართლა არსებობდა თუ არა ასეთი საოცარი, თვალში საცემი სახლი, რადგან ევლია ჩელები,[8] რომელმაც სწორედ ამ წლებში იმოგზაურა უსქუდარში, სახლზე არაფერს ამბობს. თუ იგი მართლაც იდგა იქ, 1642 წლის ცნობილი ხანძარი, რომელმაც უსქუდარი გაანადგურა, სახლსაც უეჭველად მოსპობდა.“

გონება ამეწეწა, ფეხები აღარ მემორჩილება, ზურგზე ოფლმა დამასხა.

– შეეშვი, რეჯეფ. ამ უსირცხვილოებს რა ყურს უგდებ, – მითხრა ჯემილმა.

ერთი სული მაქვს, კიდევ წავიკითხო, მაგრამ ძალა არ მყოფნის. თითქოს ვიხრჩობი, სუნთქვა მეკვრის. გაზეთი ხელიდან გამისრიალდა და ძირს დაეცა.

– მოდი, რეჯეფ, სული მოითქვი, გულთან ახლოს ნუ მიიტან.

მერე ისევ ახალგაზრდებს მიუბრუნდა:

– უსირცხვილოებო!

ფეხზე ძლივს ვიდექი. ვუყურებდი ახალგაზრდებს და ვხედავდი, როგორი მზაკვრული ცნობისმოყვარეობით შემომჩერებოდნენ.

– მართალია, გული მეტკინა.

ცოტა ხანს გავჩუმდი, სული მოვითქვი, ძალა მოვიკრიბე და გავაგრძელე:

– ის კი არ მაწუხებს, ჯუჯა რომ ვარ. ადამიანების სისასტიკე მტანჯავს. როგორ შეუძლიათ ორმოცდათხუთმეტი წლის ჯუჯის მასხარად აგდება!

სიჩუმე ჩამოვარდა. ალბათ, ბანქოს მოთამაშეებმაც გაიგონეს. ნევზათს ჯიქურ შევხედე, ნეტავ თუ მიხვდა რამეს? ახალგაზრდებმა დაირცხვინეს. ვითომ მართლა შერცხვათ?

– უსირცხვილოები! – ისევ თქვა ჯემილმა. მერე მომაძახა:

– რეჯეფ, საით? გაჩერდი, ადამიანო!

არ ვუპასუხე. ბარბაცით გადავდგი რამდენიმე მოკლე ნაბიჯი და უკან მოვიტოვე განათებული ყავახანა. ისევ გარეთ ვარ – ბნელ, გრილ ღამეში!

სიარული მიჭირდა. თავს ძალა დავატანე და რამდენიმე ნაბიჯი კიდევ გადავდგი. მერე ნავმისადგომის კიდეზე ერთ ძელზე ჩამოვჯექი, სუფთა ჰაერი ჩავისუნთქე. გული გამალებით მიცემდა. შორს გაჩახჩახებული რესტორნები და კაზინოები ჩანდა. ხეებზე ფერად-ფერადი ნათურები ეკიდა. ნათურების ქვეშ ადამიანები ერთმანეთს ესაუბრებიან, თან ჭამენ. ოი, ალაჰ!

ყავახანის კარი გაიღო. ჯემილის ძახილი გავიგონე:

– რეჯეფ, რეჯეფ, სადა ხარ?!

არ ვუპასუხე. ვერ დამინახა. შებრუნდა.

კარგა ხნის მერე ანკარას მიმავალი მატარებლის კივილი მომესმა, წამოვდექი. ათის ათი წუთი უნდა იყოს. ვფიქრობ: ამათი ნათქვამი ყველაფერი ხომ ფუჭი სიტყვებია, ხმების გროვაა, რომელიც სიცარიელეში მოხვდება თუ არა, მაშინვე

იკარგება. ცოტათი დავმშვიდდი, მაგრამ შინ დაბრუნება არ მინდა. სხვა საქმე მაინც არა მაქვს და კინოში წავალ. ოფლი შემაშრა, გულისცემა შემინელდა. უკეთ ვარ. ღრმად ჩავისუნთქე და წავედი.

უკან დარჩა ყავახანა. იქ უკვე მეც დავავიწყდებოდი და ჩემი სიტყვებიც. ალბათ, ტელევიზორი ისევ ზუზუნებს. ჯემილმა თუ არ გალახა, ახალგაზრდებიც ალბათ ისევ სხედან და ახალ მსხვერპლს ეძებენ.

პროსპექტზე ვარ. ხალხმრავლობაა. რაც შესაჭმელი იყო, შეჭამეს და ახლა, სანამ ისევ მიუსხდებიან ტელევიზორებს, ან გაზონებზე მოიკალათებენ, საჭმლის მოსანელებლად სეირნობენ. ნაყინს მიირთმევენ, საუბრობენ, ერთმანეთს ესალმებიან – ქალები, სტამბოლიდან საღამოს დაბრუნებული მათი ქმრები, მათი შვილები, ყველანი ერთმანეთს იცნობენ. რესტორნებს ჩავუარე. ისმაილი არ ჩანს. ეტყობა, გაასაღა, რაც ხელთ ლატარიის ბილეთები ჰქონდა და ახლა თავისი სახლისაკენ აღმართს მიუყვება. კინოში წასვლას, მასთან წავსულიყავი, დავსხდებოდით, ვილაპარაკებდით. მაგრამ რას ვიტყოდით? იმავეს, რასაც სულ ვამბობთ...

პროსპექტზე ხალხმა იმატა. ნაყინის გამყიდველების მომლოდინე მანქანები, ჯგუფ-ჯგუფად მოსეირნე ადამიანები მანქანების მოძრაობას აფერხებენ. ამდენ ხალხში ყოფნა არ მიყვარს. იქაურობას გავერიდე – ვიწრო შესახვევში გადავინაცვლე. ტელევიზორების ცისფერი სინათლით განათებულ მანქანებს შორის ბავშვები დამალობანას თამაშობენ. პატარაობისას რამდენჯერ მიფიქრია: თუ გავბედავდი და ისმაილივით მეც გავერეოდი ბავშვებში, დამალობანას ხომ ყველაზე უკეთ ვითამაშებდი? აქ, ქალაქში, იმ ქარვასლის ნანგრევებში დავიმალებოდი. სოფელში კი ბოსელში შევიდოდი და სულაც აღარ გამოვიდოდი. მერე ვნახავდი, ვის აიგდებდნენ მასხარად. მაგრამ დედა მომძებნიდა. ისმაილ, შენი აბი სად არისო? – ჰკითხავდა, ისმაილი ცხვირს აიბზუებდა, აბა, მე რა ვიციო, – უპასუხებდა. მე კი, მათი ლაპარაკის გამგონე, ვიტყოდი, დედა, მარტოდმარტო, ფარულად ვიცხოვრებ, არავის დავენახვები-მეთქი. დედა ისე იტირებდა, ვეღარ გავუძლებდი: კარგი, კარგი, ოღონდ არ იტირო და გამოვდივარ, შემომხედე, აქა ვარ, არ ვიმალები-მეთქი, ის კი მეტყოდა: შვილო, რატომ იმალებიო?

მართლაც და, რა არის დასამალი?

პროსპექტზე ჩქარი ნაბიჯით მიმავალმა სითქი ბეი დავინახე. როგორ დავაჟკაცებულა! დაოჯახებულა კიდეც – ცოლი ახლავს და ერთი თითქმის ჩემსიმაღლე ბავშვიც.

– გამარჯობა, რეჯეფ ეფენდი, როგორ ბრძანდებით?

პირველი არავის ვესალმები, ველოდები, ჯერ თავად მომესალმონ.

– გაგიმარჯოს, სითქი ბეი, გმადლობთ.

ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით. ცოლს თავი დავუკარი. ბავშვი შიშითა და ინტერესით მომჩერებია.

– საყვარელო, რეჯეფ ეფენდი ჯენეთჰისარის[9] უძველესი მკვიდრია.

სითქი ბეის ცოლი ღიმილით მიკრავს თავს. გამიხარდა. ჩემი „უძველესობა“ მეამაყება.

– დიდედა კარგად ბრძანდება?

– ეჰ, დიდი ქალბატონი სულ წუწუნებს.

– რამდენი წელი გავიდა! ფარუქი აქ არის?

– ხვალ ჩამოდის.

მერე ცოლს მიუბრუნდა და დაიწყო მოყოლა: ფარუქ ბეი ჩემი ბავშვობის მეგობარიაო. ერთმანეთს დავემშვიდობეთ. ხელი აღარ ჩამოგვირთმევია, თავის დაკვრას დავჯერდით. ახლა ალბათ ცოლს თავის ბავშვობაზე ელაპარაკება. იმასაც ეტყვის, ის და ფარუქი ჭასთან როგორ მივიყვანე, კეფალის დაჭერა უნდა გაჩვენოთ-მეთქი. ბავშვი ჰკითხავს, ის კაცი ასეთი პატარა რატომ არისო? ადრე ვეტყოდი, იმიტომ, რომ დედამისმა ისე გააჩინა, დაქორწინებული არ ყოფილა-მეთქი. სითქი დაქორწინებულა, ფარუქ ბეისაც ჰყავდა ცოლი, მაგრამ შვილი არ ეყოლა. დედაჩემმა კი პირიქით – ისე დაგვაჩინა, გათხოვილი არ ყოფილა. ამიტომ იყო, დიდმა ქალბატონმა თავიდან რომ მოგვიშორა – დედიან-შვილებიანად სოფელში გაგვრეკა. მანამდე ჯერ სიტყვებით, მერე კი ხელჯოხით დაგვლეწა თოთო ბავშვები. დედაჩემი ეხვეწებოდა თურმე: დიდო ქალბატონო, ნუ იზამთ, ბავშვებმა რა დააშავესო. ზოგჯერ მგონია, მეც

გავიგონე ის სიტყვები, თითქოს ის საშინელი დღეც მახსოვს...

გავედი იმ ქუჩაზე, სადაც კინო იყო. ფილმის დაწყებამდე მუსიკას უკრავენ. აქაურობა გაჩახჩახებულია. გამოფენილ სურათებს ვათვალიერებ. ძველი ფილმია, „სამოთხეში შევხვდებით“ ჰქვია. ჰულია ქოჩიითი და ედიზ ჰუნი ერთმანეთს გადაჰხვევიან. მერე ედიზი ციხეშია. ჰულია მღერის. თუ ფილმი არ ნახე, ვერ გაიგებ, რომელი ეპიზოდია. ეს იციან და გარეთ იმიტომაც კიდებენ სურათებს – კაცი დაინტერესდება. სალაროსთან მივედი, მოლარემ ერთი ბილეთი მოხია და მომაწოდა.

– გმადლობთ. კარგი ფილმია?

არ უნახავს. არაფერია. ზოგჯერ ვინმესთან დალაპარაკება მომინდება ხოლმე. წავედი, ჩემს ადგილზე დავჯექი და ფილმის დაწყებას დაველოდე. ისიც დაიწყო. ჯერ ერთმანეთი გაიცნეს. გოგო მომღერალია და ბიჭი არ მოსწონს. მაგრამ ერთ დღეს ბიჭი გოგოს იმათგან იხსნის. მოეწონება და შეუყვარდება. ქალის მამა წინააღმდეგია. მერე ბიჭი ციხეში ხვდება. შესვენება გამოაცხადეს, მაგრამ არ ავმდგარვარ. ხალხში გარევა არ მინდა.

ფილმი გაგრძელდა. გოგო კაზინოს მეპატრონეს გაჰყვა. ბავშვი არ ეყოლათ. არ არის და ნუ არისო, თქვეს და არაფერი იღონეს. მერე მისი ქმარი ცუდ ქალს გადაეყარა. ელიზიც ციხიდან გაიქცა. ბოსფორის ხიდის ახლოს, ერთ სახლში შეხვდნენ ერთმანეთს და ჰულიამ იმღერა. ამ სიმღერაზე რაღაცნაირად გავხდი. ბოლოს, ცუდი ქმრისაგან თავის დახსნა უნდოდა, მაგრამ მას თავისი სასჯელი თვითონვე ეპოვა. უკვე დაქორწინებაც შეეძლოთ. ხელიხელგაყრილები მიდიან, მამა სიყვარულით სავსე მზერით აცილებს. მიდიან... მიდიან... თანდათან პატარავდებიან და... დასასრული.

სინათლე აინთო, გარეთ გამოვედით. ყველა ფილმზე ლაპარაკობს. ჩურჩულით ლაპარაკობენ. ვინმესთან დალაპარაკება მომინდა, მაგრამ გვიანია. დიდი ქალბატონი მელოდება. შინ წასვლაც არ მინდა.

პლაჟისაკენ მივდივარ. იქნებ, მეაფთიაქე ქემალ ბეი მორიგეა და ჯერ არ დაუძინია. მოპირდაპირე მხარეს, გაჩახჩახებულ ბუფეტში ის ახალგაზრდები შეკრებილან, მანქანებს რომ აჯიბრებენ. ერთი ღრიანცელი უდგათ. ქემალ ბეი თან მათ

უყურებს, თან დაფიქრებით მისმენს ხოლმე. აფთიაქის ფანჯრებიდან სინათლე გამოდიოდა. გავიხარე: ჯერ არ დაწოლილა! კარი შევაღე, ზანზალაკმა დაიწკრიალა. ღმერთო ჩემო! ქემალ ბეი არ ჩანს. აქ მარტო მისი ცოლია.

– გამარჯობა! ასპირინი მინდა.

– ფირფიტა თუ ცალი?

– ორი ცალი. თავი მტკივა. ცოტა შეუძლოდ ვარ. ქემალ ბეი... – ველაპარაკებოდი. არ მისმენდა. მაკრატელი აეღო და ასპირინს მიჭრიდა. მომიჭრა, მომცა. ფული გავუწოდე და ვკითხე:

– ქემალ ბეი სათევზაოდ წავიდა?

– ქემალს ზემოთ სძინავს.

ჭერს ავხედე. იქ, ჭერიდან ორი მტკაველის ზემოთ სძინავს. თუ გაიღვიძებდა, ყველაფერს მოვუყვებოდი. იქნებ, იმ უზრდელ ახალგაზრდებზე ეთქვა რამე. ეგებ, არც არაფერი ეთქვა, ჩაფიქრებულსა და დაბნეულს შემოეხედა. მე კი ვილაპარაკებდი, ვილაპარაკებდი... მისი ცოლის პატარა, თეთრი ხელით დატოვებული ხურდა ავიღე. ქალმა დახლზე დადებული რაღაცის თვალიერება დაიწყო. ფოტორომანი უნდა ყოფილიყო. ლამაზი ქალია! ღამე მშვიდობისა ვუსურვე და წამოვედი. აღარ შევაწუხე. ზანზალაკმა ისევ გაიწკრიალა. ქუჩები დაცარიელებულიყო. დამალობანას რომ თამაშობდნენ, ის ბავშვებიც წასულიყვნენ. რას ვიზამ?! შინ ვბრუნდები. ეზოს კარი ჩავკეტე. დავინახე, დიდ ქალბატონს სინათლე ენთო. სანამ მე არ დავწვები, ვერ იძინებს. სამზარეულოდან შევედი. კარი შიგნიდან ჩავრაზე. როცა კიბეზე მძიმე ნაბიჯით ავდიოდი, გავიფიქრე: უსქუდარის სახლს, ნეტავ, კიბეები თუ ჰქონდა? ის რა გაზეთი იყო? ხვალ წავალ და ბაყალს ვკითხავ, „თერჯუმანი“[10] თუ გაქვს, ჩვენს ფარუქ ბეის უნდა ისტორიკოსია და „ისტორიის კუთხე“[11] აინტერესებს-მეთქი. როგორც იქნა, ავაღწიე. მის ოთახში შევედი:

– დიდო ქალბატონო, მოვედი.

– ყოჩაღ, როგორც იქნა! მოაგენი სახლს?

– რა ვქნა, ფილმი გვიან დამთავრდა.

– ყველა კარი კარგად ჩაკეტე?

– ჩავკეტე. თუ რამე გნებავთ, მითხარით. ვწვები. მერე მაღვიძებთ ხოლმე.

– ხვალ ჩამოდიან, არა?

– დიახ. საწოლები გავუმზადე, ოთახები დავულაგე.

– კარგი, ჩემი კარიც კარგად ჩაკეტე.

ჩავკეტე და გამოვედი. ახლავე დავწვები და დავიძინებ. კიბეზე ჩავდივარ.

2.

მესმოდა, როგორ ჩადიოდა კიბეზე თითო-თითო საფეხურს. ნეტა, ამ დრომდე ქუჩაში რა უნდოდა? შეეშვი, ფატმა, ნუ ფიქრობ, აკი ამბობ, მეზიზღებაო? მეზიზღება, მაგრამ მაინც მაინტერესებს. იმ ვერაგმა ჯუჯამ კარი კარგად თუ ჩაკეტა? რა ენაღვლება? ჩაწვება ლოგინში და მაშინვე ხვრინვას ამოუშვებს. რა ქნას, მოახლის ნაშიერია! მიდი, ჯუჯავ, დაიძინე, პატარა, უდარდელი ბიჭის მშვიდი ძილით. დაე, ეს ღამე მე დამრჩეს. მე ვერ ვიძინებ. ძილსა და დავიწყებაზე ვფიქრობ, მაგრამ ერთსაც და მეორესაც ამაოდ ველოდები.

სელაჰათინი მეუბნებოდა, შენი უძილობა ქიმიური მოვლენააო. ერთ დღესაც ძილის ფორმულას ისევე იპოვიან, როგორც წყლის ფორმულა იპოვეს. რასაკვირველია, ამას ჩვენი ზარმაცები კი არა, სამწუხაროდ, ევროპელები გააკეთებენო, მაშინ დაღლილობის მოსახსნელად აღარავინ ჩაიცვამს იმ სასაცილო პიჟამას, არც იმ არაფრის მაქნის ზეწარზე დაწვება სულელურ საბანში გახვეული. აღარ ინატრებენ გათენებას. საკმარისი იქნება, ყოველღამ პატარა ბოთლიდან სამი წვეთი ერთ ჭიქა წყალში გახსნა და დალიო, დილით მხნედ იქნები, როგორც კარგად გამოძინებული. ფატმა, წარმოიდგინე, რამდენი დრო დაგვეზოგება, სიფხიზლის საათებში რამდენი რამის გაკეთება შეგვეძლება! იფიქრე იმ უძილო საათებზე.

ამაზე ფიქრი არ მჭირდება, სელაჰათინ, ისედაც ვიცი. ჭერს მიჩერებული დაველოდები, იქნებ, რომელიმე ოცნებამ ამიყვანოს და აქედან წამიყვანოს-მეთქი, მაგრამ ძილი არ მომეკარება. ღვინისა და არყის დალევა მაინც შემძლებოდა.

იქნებ, შენსავით დამძინებოდა, მაგრამ არ მინდოდა ის ცუდი ძილი! ორ ბოთლს სვამდი და მიმტკიცებდი, სიამოვნებისათვის როდი ვსვამ, მინდა, ენციკლოპედიით მოგვრილი დაღლა გამიქარვოს და გონება გამიხსნასო. მერე კი მთელი ღამე პირდაღებული იწექი და ხვრინავდი. შენი პირი მორიელებითა და ბაყაყებით სავსე ჭა იყო ჩემთვის და იქიდან ამოსულ არყის სუნს ზიზღით გავურბოდი. ყინულივით ხარ, ფატმა! ცივი, საცოდავი ქალი ხარ, სული არ გიდგას. ერთი ჭიქა დალიე და იქნებ მეც გამიგო. მიდი, ფატმა, პატივი დამდე, დალიე! გიბრძანებ! ქმრის მორჩილება გმართებს? არ გასწავლეს? მაშინ გიბრძანებ: დალიე! ცოდვა მე მომეკითხოს! მიდი, დალიე, ფატმა, შენი გონების გადასარჩენად დალიე! ამას ქმარი მოითხოვს შენგან! ღმერთო, რამდენს მახვეწნინებს ეს ქალი! მიდი, ფატმა, მიდი, ერთი ჭიქა დალიე. იქნებ, ბედავ და ქმარს უჯანყდები?!

არა, ვერ მომატყუებს გველის ტყავში გახვეული სატანა! არ დავლიე. მხოლოდ ერთხელ, როცა შინ მარტო ვიყავი, ცდუნებას ავყევი – ენა დავისველე. საშინელი გემო ვიგრძენი – ლიმონის, მარილის, შხამისა. ვინანე. პირი გამოვირეცხე, ჭიქასაც წყალი გამოვავლე. ველოდებოდი, თავბრუ როდის დამეხვეოდა. შემეშინდა, არ დავცემულიყავი და სკამზე დავჯექი. ღმერთო, მიშველე! ნუთუ, მასავით დავთვრები? მაგრამ არაფერი მომსვლია. მივხვდი – სატანა ვერ დამეუფლება! შვებით ამოვისუნთქე.

ჭერს შევჩერებივარ. ვეღარ დავიძინებ. ბარემ ავდგები. მივედი და კოღოებმა არ გაიგონ და არ შემაწუხონ-მეთქი, ფრთხილად გავხსენი ჟალუზები. წყნარი ღამეა, ნიავი არ იძვრის. ლეღვის ფოთლები არ ირხევა. გავიხედე. რეჯეფს სინათლე არ უნთია. რა ხელად დაუძინია! დაწვება თუ არა, მაშინვე იძინებს. სხვა რა საფიქრალი აქვს? რა უჭირს? საჭმლის მომზადება, ჩემი ერთი მუჭა სარეცხი, ბაზარში სიარული და ქუჩაში ხეტიალი. აი, მაგის საქმე! ჰო, ბოლოს ნაყიდი ატამი დამპალი იყო.

ზღვას ვერ ვხედავ, მაგრამ ვგრძნობ, საიდან სადამდეა გადაჭიმული. უზარმაზარი სამყაროა: მოგუგუნე კატერები, ნიჩბიანი ნავები – შიგ შიშვლები სხდებიან... კარგი სუნი თუ აქვს? მიყვარს ზღვის სუნი. ჭრიჭინას ხმა მესმის. ამ კვირაში ერთი ნაბიჯის ხელა გზა გაუვლია. მე ისიც ვერ გავიარე. დრო იყო, აქაურობა ქვეყნიერების ულამაზესი კუთხე მეგონა. ბავშვი

ვიყავი, სულელი. ჟალუზები მივხურე, ჩავრაზე. სამყარო იქ, გარეთ დარჩეს!

ნელა დავეშვი სკამზე. მაგიდას დავჩერებივარ. მდუმარებაში გარინდული ნივთები: გრაფინი, რომელშიც ნახევრამდე დგას წყალი. თუ დალევა მომინდა, ხუფს ვხდი და წყალს ვისხამ. ვუყურებ, როგორ ივსება ჭიქა. ვუსმენ: მინა წკრიალებს, წყალი რაკრაკებს, გრილი ჰაერი მოძრაობს. ეს რაღაც განსხვავებულია. მართობს, თავს ვიქცევ, თორემ წყლის დალევას არც ვაპირებდი. ყველაფერი, რაც დროს ითხოვს, მომჭირნეობით უნდა დაიხარჯოს. დავჩერებივარ თმის ჯაგრისს და ვხედავ შიგ ჩარჩენილ ჩემს ოთხმოცდაათი წლის სუსტ, წვრილ თმებს. ჯაგრისს ვასუფთავებ. როგორ მცვივა თმა! ის მაყრევინებს, დროს რომ ეძახიან. გაბრაზებულმა ჯაგრისი მოვისროლე. პირაღმა დაეცა – ზურგზე დაცემულ ხოჭოს ჰგავდა, შემეშინდა. ვფიქრობ: თუ ყველაფერს ასე დავტოვებ და ხელს არავინ ახლებს, ათასი წლის შემდეგაც არაფერი შეიცვლება, ასე იდება მაგიდაზე გასაღები, გრაფინი, სხვა რამეები. საოცრებაა! ყველაფერი თავის ადგილზეა, გაუნძრევლად. მაშინ ჩემი ფიქრიც გაიყინება – ყინულის ნატეხივით მაგარი, უფერული და უსუნო გახდება. მაგრამ არაფერია, ხვალ ჩამოვლენ და ფიქრიც გამილხვება, უეჭველად დავიწყებ ფიქრს! გამარჯობა! გამარჯობა! როგორ ხარ? როგორ ხარ? ხელზე მაკოცებენ. ღმერთმა დიდი დღე მოგცეს, დიდედა! როგორ ხარ, დიდედა? ყველანი ერთად ნუ ლაპარაკობთ! შენ აქ მოდი, მოდი ჩემთან, მიამბე, ერთი, რას აკეთებ? ყასიდად ვეკითხები, თორემ ვიცი, რისი გამკეთებლებიც არიან. მოსმენითაც ისე მოვუსმენ, ზერელედ. ერთი-ორი სიტყვა და სულ ეს არის! თქვენს დიდედას არ დაელაპარაკებით? ერთმანეთს გადახედავენ და აყვირდებიან, რა გაყვირებს? მადლობა ალაჰს, ჯერ არ დავყრუებულვარ! მაპატიეთ, დიდედა, დედაჩემის დედას ცუდად ესმის და... მე დედათქვენის კი არა, მამათქვენის დედა ვარ. მაპატიეთ! მაპატიეთ, დიდედა! კარგი, კარგი, მიამბეთ რამე. თუნდაც თქვენს მეორე დიდედაზე მიამბეთ. რას საქმიანობს? ერთბაშად იბნევიან და ჩუმდებიან. მართლაც, რას აკეთებს ჩვენი დედის დედა? მივხვდი – არც დანახვა იციან რამის, არც გაგება.

კარგი, სხვა რამეს ვკითხავ. მაგრამ თავიანთი საფიქრალი აქვთ. სხვა ყველაფერი ხელად ავიწყდებათ. აღარც მე ვახსოვარ, აღარც ჩემი ოთახი, აღარც ის, რაც ვკითხე. კვლავ მარტო ვარ, ჩემი

თავის ამარა.

გადავწვდი და თეფშიდან ერთი გარგარი ავიღე. ვჭამ, ველოდები. ვერაფერი მიშველა. კვლავ აქა ვარ, ჩემს ნივთებს შორის და არა – ფიქრებთან. მაგიდას დავჩერებივარ. თორმეტს ხუთი წუთი აკლია. საათის გვერდით ოდეკოლონის ბოთლია, მის გვერდით – გაზეთი, გაზეთთან – ცხვირსახოცი. ჩემი მზერა მათ გადაუვლის, მათ ზედაპირს იმ იმედით შეეხება, იქნებ რამე მითხრან, რამე გამახსენონო, მაგრამ უკვე იმდენჯერ გამახსენეს, რომ სათქმელი აღარაფერი დარჩენიათ. ისინი მხოლოდ და მხოლოდ ოდეკოლონის ბოთლი, გაზეთი, ცხვირსახოცი, გასაღები და საათია. საათი წიკწიკებს და არავინ, თვით სელაჰათინმაც კი არ იცის, რა არის დრო. ერთი წამი, მას მეორე მოსდევს, კიდევ და კიდევ. ჩემო ფიქრებო, ფრთხილად! არ მიეკედლოთ რომელიმე ამ წამს! წამოფრინდით და გადით! გავიდეთ დროისა და ოთახის გარეთ! ერთი გარგარი კიდევ შევჭამე, მაგრამ აქაურობას თავი ვერ დავაღწიე. მაშინ იქნებ უფრო მეტხანს ვუყურო ერთსა და იმავე საგნებს. მინდა, შევძრწუნდე და ამით მოვწყდე ყველაფერს, რაც გარს მახვევია. მე თუ არ ვიქნებოდი, არც სხვები იქნებოდნენ, საგნები უსასრულოდ ეწყობოდა იქ, სადაც ახლაა და აღარავინ იფიქრებდა, რომ არც კი იცის, რა არის ცხოვრება.

თავი ვერაფრით შევიქციე. ავდექი, საპირფარეშოში გავედი, დავიბანე, გავსუფთავდი, ჭერიდან ჩამოშვებული ობობა ისევე დავტოვე და ოთახში დავბრუნდი. ჩამრთველი გადავატრიალე, ჭერში დაკიდებული ნათურა ჩაქრა. ჩემს თავთით კი ისევ ანთია. საწოლში ვწვები. ცხელა, მაგრამ უსაბნოდ ვერ დავწვები. რა ვქნა? ხომ შეიძლება საბანში გაეხვიო, მის ქვეშ შეძვრე და დაიმალო? თავს ბალიშზე ვდებ. ველოდები და ვიცი, ძილი არ მოვა. ნათურის მქრქალი სინათლე ჭერს სცემს, ჭრიჭინას ვუსმენ. ზაფხულის ცხელი ღამეა.

თითქოს ადრე უფრო ცხელი ზაფხული იცოდა. ლიმონათსა და შარბათს ვსვამდით, მაგრამ ქუჩაში კი არ ვყიდულობდით თეთრწინსაფრიანი კაცებისაგან. დედა იტყოდა ხოლმე, შინ უფრო სუფთად ვამზადებინებთო. ბაზრიდან ვბრუნდებით, დუქნებში ახალი არაფერია. საღამოს მამას ველოდებით. მოდის. ლაპარაკობს. ჩვენ ვუსმენთ. თამბაქოს სუნი ასდის, ხრინწიანი ხმა აქვს. ერთხელ მითხრა: ფატმა, ერთი ექიმი შენს თავს მთხოვსო. არ ვპასუხობ. ვიღაც ექიმი ყოფილა! დიდი

ამბავი! ვჩუმდები. მამაჩემიც აღარაფერს ამბობს, მეორე დღეს შემახსენეს, უკვე თექვსმეტი წლისა ხარო. იცოდე, ფატმა, ექიმი ყოფილა, – მითხრა დედამ. საოცარია, ნეტავ, სად მნახა? ვიფიქრე, მაგრამ ხმამაღლა კითხვას ვერ ვბედავდი. მამაჩემმა ერთხელ კიდევ მითხრა: ფატმა, გავიკითხე, ბრწყინვალე მომავალი ჰქონია. შრომისმოყვარეაო. შეიძლება ცოტა ძუნწი, მაგრამ პატიოსანი და ნიჭიერი კაციაო. კარგად დაფიქრდი. ჩუმად ვიყავი. თანაც ძალიან ცხელოდა. შარბათს ვსვამდით. მე რა ვიცი?! ბოლოს დავთანხმდი. მაშინ მამამ წინ დამისვა და დარიგება დამიწყო: შვილო, მამის სახლიდან მიდიხარ. ყურად უნდა იღო: კაცს ბევრ კითხვას ნუ დაუსვამ. ცნობისმოყვარეობა კატების საქმეა. კარგი, მამა, უკვე ვიცი. ერთხელ კიდევ გეტყვი, შვილო. ხელებს ასე ნუ დაიწყობ, ფრჩხილებსაც ნუ იკვნეტ. უკვე დიდი ხარ. კარგი, მამა, არ ვკითხავ, არ ვკითხავ. არ ვკითხე...

არ მიკითხავს. ოთხი წელი გავიდა და შვილი არ გვყავდა. გვიან გავიგე, თურმე სტამბოლის ჰავის ბრალი ყოფილა. ზაფხულის ცხელი საღამო იდგა. სელაჰათინი თავის კაბინეტში არ შესულა, პირდაპირ ჩემთან შემოვიდა და მითხრა: ფატმა, სტამბოლში ვეღარ ვიცხოვრებთო. არ მიკითხავს, რატომ-მეთქი. მაგრამ თავად ყვებოდა, თან ხელებს წონასწორობადაკარგული ახალფეხადგმული ბავშვივით იქნევდა: სტამბოლში აღარ ვიცხოვრებთ, ფატმა. დღეს თალათ ფაშამ[12] დამიბარა და მითხრა: ექიმო სელაჰათინ, შენ სტამბოლში არ იცხოვრებ და პოლიტიკას ჩამოშორდებიო. პირდაპირ მომახალა იმ უნამუსო ხეპრემ. წინააღმდეგობის გაწევა მინდოდა, მაგრამ არ დამაცადა, გააგრძელა: ამბობ, გმირი ვარო. მაგრამ ალბათ, არ გენდომება, პირველივე გემით სინოპის ციხეში გაგგზავნოთ? რას ვიზამთ! ჩვენ წინააღმდეგ ძალიან გაისარჯე, მაგრამ ჭკვიან კაცს ჰგავხარ, ცოლიც გყოლია. ექიმი ხარ, კარგი სპეციალობა გაქვს. სადაც უნდა იყო, თავის რჩენას შეძლებ. ფრანგული როგორ იცი? ღმერთმა დასწყევლოს! გესმის, ფატმა, „ერთიანობა“[13] სულ გაცოფდა. დამოუკიდებლობას ვერ იტანენ. რით განსხვავდებიან აბდულჰამიდისაგან[14]? კარგი, თალათ ეფენდი, თუ თქვენს წინადადებას დავთანხმდი და გუდა-ნაბადი ავიკარი, ეს სინოპის დილეგების შიშით არ იქნება. ვიცი, თქვენთვის საკადრისი პასუხის გაცემას მხოლოდ პარიზიდან შევძლებ. პარიზს მივდივართ, ფატმა! ერთი-ორი ბეჭედი, ალმასი გაყიდე! არ გინდა? კარგი. მამაჩემის

დანატოვარი ქონება მაქვს. თუ არ მეყოფოდა, ევროპაში კი არა, სელანიკში წავიდოდით. გინდა, დამასკოში წავიდეთ? ნახე, რიზა ექიმი ალექსანდრიაში წასულა. იქიდან იწერება, ბევრი ფული ვიშოვეო. ჩემი წერილები სად არის? ვეღარ ვპოულობ. ხომ გეუბნები, ჩემს მაგიდას ნუ ეკარები-მეთქი? ოჰ, ღმერთო ჩემო! შეგვეძლო ბერლინშიც წავსულიყავით, მაგრამ ჟენევა გაგიგია? ესენი აბდულჰამიდზე უარესები გახდნენ. ასე დაბნეული რომ მიყურებ, მაგას სჯობს, ჩემოდნები, სკივრები ჩაალაგო. „ჰურიეთჩის“[15] ცოლი მტკიცე უნდა იყოს, ფატმა. საშიში არაფერია. მე ვდუმდი, არ მითქვამს, შენ უკეთ იცი-მეთქი. ის კი ყვებოდა, თავის დროზე პარიზში გადახვეწილმა პარტიულებმა როგორ ასწავლეს ჭკუა აბდულჰამიდს. ახლა კი თავად გაუსწორდება ყველას იმავე პარიზიდან და ერთი დღეც იქნება, ჩვენც პარიზიდან გამარჯვებულები მატარებლით დავბრუნდებით. მერე, არა, დამასკოო, თქვა, იზმირი თქვა და საღამოს ტრაპიზონზეც თანახმა იყო. ფატმა, ჩვენი ავლა-დიდება უნდა გავყიდოთ, მზად ხარ მსხვერპლის გასაღებადო? – მკითხა. მთელი ჩემი ძალ-ღონე ბრძოლას უნდა მოვახმაროო. მოსამსახურეების გასაგონად ნურაფერს იტყვი, ფატმა! კედლებსაც ყურები აქვს. თალათ-ეფენდი, არ იყო აუცილებელი ჩემი გაგდება. ამ წყეულ საროსკიპოში, რომელსაც სტამბოლი ჰქვია, გამჩერებელი აღარა ვარ, მაგრამ სად წავიდეთ, ფატმა? თქვი რამე! მე ჩუმად ვიყავი და ვფიქრობდი. ბავშვი ყოფილა-მეთქი. სატანას ასე მხოლოდ ბავშვის შეცდენა შეუძლია. მივხვდი: ისეთ ბავშვს გავყოლივარ ცოლად, ორი-სამი წიგნის წაკითხვა გონებას რომ აურევს და გზიდან გადაიყვანს-მეთქი. იმ შუაღამისას ჩემი ოთახიდან გამოვედი. ძალიან ცხელოდა. ვიფიქრე, რამეს დავლევ-მეთქი. მის ოთახში სინათლე დავინახე და იქით წავედი. კარი ფრთხილად შევაღე. რას ვხედავ! სელაჰათინი იდაყვებით მაგიდას დაყრდნობია, თავი ხელებში ჩაურგავს და ტირის. მკრთალი ნათურა მის მტირალ სახეს უსიამოვნო სინათლეს ჰფენდა. თავის ქალაც, რომელიც ყოველთვის მაგიდაზე იდო, ატირებულ მამაკაცს შესჩერებოდა. კარი ჩუმად გავიხურე, სამზარეულოში ჩავედი, ერთი ჭიქა წყალი დავლიე. კვლავ ვიფიქრე, ბავშვი ყოფილა-მეთქი, ბავშვი.

საწოლიდან ნელა ვდგები, მაგიდასთან ვჯდები, გრაფინს ვაკვირდები: როგორ უძრავად დგას შიგ წყალი? ისე გამიკვირდა, თითქოს წყლიანი გრაფინი რაღაც საოცრება ყოფილიყოს. ერთხელ ფუტკარი დავიჭირე. მაგიდაზე

დადიოდა. ჭიქა დავამხე და დავიჭირე. ორი დღე და ღამე დაძრწოდა, სანამ არ მიხვდა, რომ ჭიქიდან გასასვლელი გზა არ ჰქონდა. როცა მიხვდა, კუთხეში მიიკუნჭა და გაუნძრევლად იჯდა. ელოდებოდა. რას? – არ იცოდა. შემეზიზღა. ჟალუზებს ხელი ვკარი, გავაღე, ჭიქა მაგიდის კიდემდე მივაცურე და ავწიე, რომ გაფრენილიყო, მაგრამ უჭკუო ქმნილება როდი გაფრინდა! ისე დარჩა მაგიდაზე. რეჯეფს დავუძახე და ვუბრძანე, გაესრისა ეს საზიზღარი არსება. რეჯეფმა გაზეთის ნახევით ფრთხილად აიყვანა ფუტკარი და ფანჯრიდან გადააგდო. ვერ გასრისა. თავადაც იმათნაირია და იმიტომ.

წყალი დავისხი. ნელ-ნელა ვსვამ. გათავდა. ახლა რა გავაკეთო? წავედი და ლოგინში ჩავწექი, თავი ბალიშზე მივდე და გავიხსენე: ამ სახლს ვაშენებდით, სელაჰათინი ხელჩაკიდებულს დამატარებდა: აქ ავადმყოფების მისაღები იქნება, აქ – სასადილო ოთახი, აქ – ევროპული ყაიდის სამზარეულო. ყველა ბავშვს თავისი ოთახი ექნება, რათა განმარტოება, შეკეტვა და საკუთარი პიროვნების განვითარება შეეძლოსო. ჰო, ფატმა, სამი შვილი მინდა. შეხედე, ფანჯრებზე ცხაურებსაც არ ვაკეთებთ. საშინელებაა! ქალი ჩიტი ან ცხოველი ხომ არ არის, გალიაში ჩასვა? ყველანი თავისუფლები ვართ. თუ გინდა, შეგიძლია, დამტოვო და წახვიდე. ჩვენც მათსავით ჟალუზებს ვაკეთებინებთ. აღარ თქვა, ფატმა, „იქაურობა“ და „აქაურობა“. ნახე, „შეჰნიშინიც“[16] არ იქნება, აივანი ჰქვია იმ გამოსასვლელს და თავისუფლებისკენ გაჭრილი ფანჯარაა იგი. რა ლამაზი ხედია, არა? სტამბოლი ზუსტად იქ უნდა იყოს, იმ ღრუბლების ქვეშ. ორმოცდაათი კილომეტრია იქამდე, ფატმა. კარგი ვქენით, მატარებლიდან გებზეში რომ ჩამოვედით. სწრაფად გავა დრო. არა მგონია, იმათ ამ ბრიყვი მთავრობით დიდხანს იბოგინონ. სანამ ამ სახლს დავასრულებთ, „ერთიანობა“ დაემხობა და მაშინვე სტამბოლს დავბრუნდებით, ფატმა...

მერე სახლი დასრულდა და ჩემი დოღანიც დაიბადა, კვლავ ატყდა ბრძოლა, მაგრამ მთავრობის დამხობას პირი არ უჩანდა. სელაჰათინი კი სულ ჩამჩიჩინებდა: შენ მარტო წადი სტამბოლს, ფატმა. თალათმა შენ კი არა, მე ამიკრძალა იქ ჩასვლა. წადი, დედ-მამას ნახავ, შუქრუ ფაშას გოგოებსაც ესტუმრები, საყიდლებზე ივლი, ახალ რამეებს იყიდი, ჩაიცვამ. აქ დღედაღამ საკერავი მანქანის ტრიალით რაც შეკერე და ღამ-ღამობით ლამაზი თვალების დაღლით რაც მოქსოვე, ჩაიცვამ და

დედაშენს აჩვენებო. მაგრამ მე უარზე ვიყავი. ერთად წავიდეთ, როგორც კი ისინი დაემხობიან, ერთად წავიდეთ, სელაჰათინ. მაგრამ ისინი არა და არ ემხობოდნენ.

ერთ დღეს გაზეთში ვნახე – სელაჰათინის გაზეთები სამი დღის დაგვიანებით მოდიოდა, მაგრამ იგი მათ ძველებურად აღარ დააცხრებოდა ხოლმე. ომის ამბებიც აღარ აინტერესებდა, გინდა პალესტინიდან მოსული ყოფილიყო, გინდა გალიციიდან და გინდა, სულაც ჩანაქკალედან. ზოგჯერ, ვახშმის შემდეგ, ზერელედ გადახედვაც ავიწყდებოდა. ამიტომ პირველმა მე წავიკითხე ის გაზეთი და მთავრობის დამხობის ამბავი გავიგე. გაზეთი თეფშზე ლამაზი, მწიფე ხილივით დავუდე. როდესაც ენციკლოპედიიდან თავი ასწია და ქვემოთ ჩამოვიდა, მაშინვე დაინახა გაზეთიც და მსხვილი შრიფტით აწყობილი ახალი ამბავიც. წაიკითხა და არაფერი თქვა. არც მე ვკითხე, მაგრამ საღამომდე ვეღარ გავიგონე მისი ფეხის ხმა ჩემი ოთახის თავზე და მივხვდი, შუადღის შემდეგ თავისი ენციკლოპედიისათვის ერთი სიტყვაც არ მიუმატებია. ვახშმობისასაც რომ არაფერი თქვა, მხოლოდ ის ვუთხარი: სელაჰათინ, ნახე, როგორ დაემხო მთავრობა? ჰა? დიახ, მთავრობა დაემხო, არა? „ერთიანობის“ ხალხმა სახელმწიფო გაანადგურა და გაქცევით უშველა თავს. ომიც წავაგეთ. თვალს ვერ მისწორებდა. ჩუმად ვისხედით. მერე, როცა სუფრიდან ვდგებოდით, დარცხვენილმა თვალი ამარიდა და დამნაშავესავით ჩაილაპარაკა: ფატმა, როგორც კი ენციკლოპედიას დავასრულებ, სტამბოლს დავბრუნდებით. ამ ენციკლოპედიით იმხელა საქმეს გავაკეთებ, რომლის გვერდით სტამბოლელი ბრიყვების ყოველდღიური აბდაუბდა, პოლიტიკას რომ ეძახიან, არაფრად გამოჩნდება. უფრო ღრმა და დიდი საქმე ის არის, რაც მე აქ გავაკეთე. საუკუნეებს გასწვდება მისი გავლენა. ამ საქმის შუა გზაზე მიტოვების უფლება არა მაქვს, ფატმა. ახლავე ზემოთ ავდივარ, – თქვა, ავიდა თავისთან და კიდევ ოცდაათი წელი წერა ის საზიზღარი ენციკლოპედია, სანამ სიკვდილი არ „აღმოაჩინა“. ამ „აღმოჩენიდან“ ოთხი თვის თავზე კი პირიდან სისხლი წასკდა და წარმოუდგენელი ტკივილებით დალია სული. მე კი, აგერ უკვე სამოცდაათი წელია, ჯენეთჰისარში ვცხოვრობ. სწორედ იმის წყალობით გადავრჩი, რომ სელაჰათინი წერდა. არ ჩავიძირე იმ ცოდვებში, „მომავლის სტამბოლსა“ და „ურელიგიო სახელმწიფოს“ რომ ეძახდი, სელაჰათინ, ამის გამო უზომოდ მადლობელი ვარ შენი. გადავრჩი. მშვიდად იძინე,

ფატმა!

მაგრამ ვერ ვიძინებ. შორიდან მატარებლის ხმა მოდის: მისი კივილი მესმის, მოტორის გაბმული გუგუნი და ბორბლების ხმაური. ბავშვობიდან მიყვარდა ეს ხმა. იგი მახსენებდა: სადღაც შორს არის უცოდველი ქვეყნები, მიწები, სახლები, ბაღები. ბავშვი ვიყავი და იოლად ვტყუვდებოდი. აი, კიდევ ერთმა მატარებელმა გაიარა. უკვე ვეღარ ვიგებ – საით? არ იფიქრო, ფატმა! ლოყის ქვეშ ბალიში გამიცხელდა. გადმოვაბრუნე. თავი დავდე, ყურქვეშ სიგრილე ვიგრძენი. ზამთრის ღამეები ცივი იყო, მაგრამ არავინ არავის ეხუტებოდა. სელაჰათინი ხვრინავდა. მისი პირიდან ამოსულ ღვინის სუნს ზიზღით გავურბოდი, მეორე ოთახში გავდიოდი და სიცივეში ვიჯექი. ერთხელაც ასე გავედი მის სამუშაო ოთახში. ვთქვი, ვნახავ ერთი მის ქაღალდებს, გავიგებ, რას წერს დილიდან საღამომდე-მეთქი. რას და – ადამიანის წინაპარი გორილააო, წერდა. ალაჰის არსებობის შესახებაც წერდა: „ამ დღეებში მეცნიერების წარმოუდგენელი განვითარების მოწმენი ვხდებით. ამას დასავლეთი გვიჩვენებს, აღმოსავლეთს კი ჯერაც შუა საუკუნეების ღრმა და საზიზღარ წყვდიადში სძინავს. დღეს ალაჰის არსებობის საკითხი სასაცილოდ გამოიყურება. ამან ჩვენ, ერთი მუჭა განათლებული ადამიანები სასოწარკვეთილებაში არ უნდა ჩაგვყაროს. პირიქით, ახლა გვმართებს შემართება დიდთა საქმეთა საკეთებლად. სრულიად ნათელია: ჩვენ მთელი ეს მეცნიერება უბრალოდ კი არ უნდა გადმოვიტანოთ, არამედ ყველაფერი თავიდან უნდა აღმოვაჩინოთ, რათა მოკლე დროში მოვსპოთ საუკუნეების განმავლობაში აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებული განსხვავება. ახლა, როცა ამ დიდი შრომის მეშვიდე წელი იწურება, ვხედავ ალაჰის შიშით შეპყრობილ მასებსო, – ზუსტად ასე წერდა. ღმერთო ჩემო, აღარ წაიკითხო, ფატმა! მაგრამ მაინც ვკითხულობდი. იმასაც წერდა, იძულებული ვარ, ბევრი უცნაური რამე ვაკეთო, რათა ეს უმოქმედო ბრბო გამოვაფხიზლოო. ერთი მეგობარი მაინც მყოლოდა, ყველაფერ ამას ვეტყოდი... არა, არა მყავს და ამ ცივი ქალის იმედიც უკვე გადამეწურა. მარტოდმარტო ხარ, სელაჰათინ! – წერდა, წერდა... ხვალ გასაკეთებელი საქმეები პატარა ფურცელზე ჩამოუწერია. მათთვის, ვისაც ჯერ ისევ სძინავს, ალაჰის არარსებობის დასამტკიცებლად სამი მარტივი მაგალითი დაუწერია. ის მაგალითები პოლიკოვსკის წიგნზე დართული

წეროებისა და სხვა გადამფრენი ფრინველების მარშრუტის ამსახველი რუკებიდან აუღია. მაგრამ მორჩა, აღარაფერს ვკითხულობ! გეყოფა, ფატმა, მეტი აღარ შემიძლია! ცოდვის ფურცლები მივყარე და გაყინული, ღვთის გმობით სავსე ოთახიდან გამოვვარდი. აღარც შევსულვარ, სანამ ზამთრის ერთ თოვლიან დღეს სელაჰათინი არ გარდაიცვალა.

მეორე დილით სელაჰათინი ყველაფერს მიხვდა: წუხელ, მე რომ მეძინა, ჩემს ოთახში შეხვედი, ფატმა? ვდუმვარ. ჩემს ოთახში შეხვედი და ქაღალდებში იქექებოდი, ფატმა? ვდუმვარ. მერე ჩემი ქაღალდები აურ-დაურიე, ფატმა? ვდუმვარ. ზოგი ფურცელი იატაკზე დაგივარდა, ფატმა? არა უშავს, შეგიძლია, იკითხო! რამდენიც გინდა, იკითხე! ვდუმვარ. წაიკითხე, არა? ყოჩაღ! კარგად მოქცეულხარ, ფატმა! რას ფიქრობ იმაზე, რაც წაიკითხე? ვდუმვარ. ხომ იცი, ყოველთვის მინდოდა, რამე წაგეკითხა. იკითხე, ფატმა, კითხვა საუკეთესო რამ არის. იკითხე და ისწავლე, რადგან ძალიან ბევრია გასაკეთებელი. ვდუმვარ. თუ წაიკითხავ და თვალს გაახელ, ერთ დღესაც დაინახავ, ცხოვრებაში რამდენი რამ ყოფილა გასაკეთებელი. რამდენი რამ!

ბევრი არაფერი! ძალიან ცოტა რამ არის. ოთხმოცდაათი წელია, ვიცი, ძალიან ცოტაა გასაკეთებელი. ვუყურებ, ვხედავ: ნივთები, ოთახები და ცოტა დრო. ონკანიდან, რომელიც არაფრით იკეტება, გაუთავებლად მოწვეთავს წყალი ჩემს სხეულსა და თავში, „ახლა“ „წეღან“ იყო, „წეღან“ – „ახლაა“, თვალი ხამხამებს, ჟალუზები იღება, იხურება, დღეს ღამე მოსდევს, ესეც – ახალი დილა; მაგრამ არ ვტყუვდები. კვლავ ველოდები. ხვალ ჩამოვლენ. გამარჯობა! გამარჯობა! დიდი დღე მოგცეს... ხელზე მაკოცებენ. გაიცინებენ. საოცარია ჩემი ხელის საკოცნელად დახრილ თავზე თმები. როგორ ბრძანდებით, როგორ ბრძანდებით, დიდედა? რისი თქმა შეუძლია ჩემისთანა ადამიანს? ვცხოვრობ, ველოდები. საფლავები, მიცვალებულები. მოდი, ძილო, მოდი.

საწოლში გვერდი ვიცვალე. უკვე ჭრიჭინას ხმაც აღარ მესმის. ფუტკარიც წავიდა. რა დარჩა დილამდე? დილაობით სახურავზე ყვავები სხდებიან, კაჭკაჭებიც... ნეტავ, მართალია, კაჭკაჭები დედოფლებსა და მეფის ასულებს სამკაულებს ჰპარავენო? ამბობენ, ერთხელ კაჭკაჭმა რაღაც მოიპარა და დაედევნენო. ნეტავი ჩიტი იმ ტვირთით როგორ გაფრინდა?

როგორ ფრენენ ჩიტები? საჰაერო ბუშტები ან ფრანები? და ის ბიჭი, სელაჰათინი რომ წერდა, ლინდბერგი, როგორ ფრენს? ერთს არა, მაგრამ ორ ბოთლს თუ დალევდა, იწყებდა მოყოლას: დღეს თვითმფრინავებზე, ჩიტებსა და ფრენაზე დავწერე, ფატმა. საცაა ჰაერზე სტატიას დავასრულებ. ნახე, მომისმინე: ჰაერი სიცარიელე არ არის, იგი ნაწილაკებისაგან შედგება. მასში წყალს ისეთივე ადგილი უჭირავს, როგორიც ნავს – წყალში. არა, არ გამეგება, როგორ ფრენს ბუშტი ან ფრანი, მაგრამ სელაჰათინი აიწყვეტდა, ყვებოდა და ყოველთვის ყვირილით მაცნობდა თავის შედეგს. აი, ესენი და კიდევ ყველაფერი უნდა ვიცოდეთ. ჩვენ ენციკლოპედია გვჭირდება. თუ გვეცოდინება მთელი საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებები, ალაჰი მოკვდება და ჩვენც... მაგრამ მე აღარ ვუსმენდი! თუ მესამე ბოთლსაც დალევდა, მაშინ ცოფმორეული ყვიროდა: ალაჰი არ არსებობს, ფატმა! ახლა მხოლოდ მეცნიერებაა! სულელო ქალო, გაიგე, ბოლოს და ბოლოს, მოგიკვდა ალაჰი! მე მაინც არ ვუსმენდი. ბოლოს, როცა საკუთარი თავის სიყვარულისა და სიძულვილის გარდა აღარაფერი დარჩენოდა, ბინძურ ვნებას აყოლილი იმ ქოხში გარბოდა, ეზოში რომ გვედგა. მაგაზე ნუ ფიქრობ, ფატმა. მოახლე... ნუ ფიქრობ... ორივენი მახინჯები არიან! სხვა რამეზე იფიქრე! ლამაზ დილაზე, ძველ ბაღებზე, ცხენშებმულ ეტლებზე... მოდი, ძილო, მოდი!

ჩემი ხელი ფრთხილი კატასავით მისწვდება და სასთუმალთან ნათურა ქრება. მდუმარე სიბნელე! მაგრამ ვიცი, არსებობს მკრთალი სინათლე, რომელიც ჟალუზებში აღწევს. საგნებს ვეღარ ვხედავ, თავი დააღწიეს ჩემს მზერას, ხმა გაიკმინდეს და თავიანთ სამყაროში ჩაიკეტნენ. თითქოს მეუბნებიან, შენ თუნდაც არ იყო, შეგვიძლია, ჩვენს ადგილებზე გაუნძრევლად ვიდგეთო. მაგრამ გიცნობთ. აქა ხართ, ჩემს ახლოს, თითქოს ვგრძნობ კიდეც თქვენს აქ ყოფნას. ხანდახან რომელიმე დაიჭრიალებს. ვცნობ მის ხმას. უცხო არ არის. მეც მინდა ხმის ამოღება. ვფიქრობ: რა საოცარი რამ არის ის სივრცე, რაშიც ჩვენ ვიმყოფებით. საათი წიკწიკებს და ანაწევრებს მას. მკვეთრად და მტკიცედ. ერთი ფიქრი, მერე მეორე. უკვე გათენებულა. ჩამოსულან. გამარჯობა! გამარჯობა! ჩამძინებია, გამღვიძებია. დრო გასულა, კარგად მძინებია. დიდო ქალბატონო, ჩამოვიდნენ! სანამ ველოდებოდი, ერთმა მატარებელმა ჩაიარა. საით წავიდა?.. მშვიდობით! საით, ფატმა, სად მიდიხარ?

მივემგზავრებით, დედა. სტამბოლში ცხოვრება აგვიკრძალეს. შენი ბეჭდები მიგაქვს? მიმაქვს. საკერავი მანქანა? შენი ალმასები, მარგალიტები? ფატმა, ისინი ყოველთვის გამოგადგება. მალე დაბრუნდი, იცოდე! ნუ ტირი, დედა. სკივრები, ბარგი მატარებელში ააქვთ. ბავშვი ჯერ არ მყავს, სამოგზაუროდ მივდივართ. შორს მივდივართ, ვინ იცის, რომელ ქვეყანაში გადაგვასახლეს მე და ჩემი ქმარი? მატარებელში ვსხდებით. გიყურებთ, ხელს გიქნევთ. მშვიდობით, მამა! მშვიდობით, დედა! აი, მივდივარ, შორს მივდივარ...

3.

– რა გინდათ? – გვკითხა მემწვანილემ, როცა მის დუქანში შევედით.

– პატრიოტი ახალგაზრდები საღამოს მართავენ. მოსაწვევებს ვარიგებთ, – უპასუხა მუსტაფამ.

ჩანთიდან მოსაწვევები ამოვიღე.

– ეგეთ ადგილებში არ დავდივარ, არა მცალია, – გვითხრა მემწვანილემ.

– გამოდის, პატრიოტი ახალგაზრდების დასახმარებლად ერთ-ორ ცალს არ იყიდით?

– გასულ კვირას უკვე ვიყიდე!

– ჩვენგან იყიდე? გასულ კვირას აქ არ ვყოფილვართ.

– მაგრამ თუ კომუნისტებს დაეხმარე, მაშინ სხვა საქმეა, – მუქარის ტონით უთხრა სერდარმა.

– არა, ისინი აქ არ მოდიან.

– რატომ არ მოდიან? გული არ მოუწევთ?

– არ ვიცი, შემეშვით! მაგ საქმეებში არ ვერევი! – იყვირა მემწვანილემ.

– ძია, მე გეტყვი, რატომაც არ მოდიან, – ჩვენი ეშინიათ და იმიტომ. ჩვენ რომ არა, აქაურობასაც ისე დააკისრებენ ხარკს,

როგორც თუზლას დააკისრეს, – უთხრა სერდარმა.

– ღმერთმა დაგვიფაროს!

– იცით, არა? თუზლაში მოქალაქეებს რა დღე აყარეს? ჯერ ლამაზად ჩამოუღეს ვიტრინები...

მივბრუნდი და ვიტრინას შევხედე: ფართოა, სუფთა, პრიალი გაუდის...

– მერე, როცა ხარკი მაინც არ გადაიხადეს, გითხრათ, რა გაუკეთეს?

რა გაუკეთეს და, საფლავები-მეთქი, – ვიფიქრე. თუ კომუნისტები სულ ასე იქცევიან, ალბათ, რუსეთი საფლავებით არის სავსე.

როგორც იქნა, მემწვანილემ გაიგო, რასაც ვეუბნებოდით. დოინჯშემოყრილი, აჭარხლებული გვისმენდა.

– კარგი, ძია, აღარ გვცალია. თქვი, რამდენი ლირისა გინდა? – უთხრა მუსტაფამ.

ბილეთები ამოვიღე და დავანახვე.

– ათ ცალს აიღებს, – გადაწყვიტა სერდარმა.

– გეუბნებით, გასულ კვირას ავიღე-მეთქი!

– კარგი, მორჩა! ბიჭებო, დროს ნუ ვკარგავთ. გეგონება, მთელ ბაზარში ამის მეტი დუქანი არ იყოს! მარტო ამას არ ეშინია, რომ ვიტრინებს ჩამოუღებენ. დავიმახსოვროთ ეს დუქანი! ჰასან, ნახე, ერთი, რა ნომერია?

გავედი. ნომერი კარზე ეწერა. შევხედე და დუქანში შევბრუნდი.

– კარგი, რა, ძია, ნუ ბრაზობ! შენი წყენინება არ გვინდოდა, პაპისხელა კაცი ხარ. კომუნისტები კი არა ვართ, – უთხრა მუსტაფამ და მომიბრუნდა:

– ხუთი ცალი მიეცი. ჯერ ეს ეყოფა.

ამოვიღე ხუთი ბილეთი და გავუწოდე. მემწვანილემ წკიპზე ზიზღით მოჰკიდა ხელი. სერიოზულად დაიწყო მოსაწვევის კითხვა.

– გინდა, ფაქტურაც მოგცეთ? – დასცინა სერდარმა.

მეც გავიცინე.

– ნუ თავხედობთ, – გვითხრა მუსტაფამ.

– ასეთი ბილეთი ხუთი ცალი კიდევ მაქვს, – თქვა მემწვანილემ და დახლის მტვრიან უჯრაში ხელის ფათურს მოჰყვა. იპოვა, რასაც ეძებდა:

– აჰა, ნახეთ, იგივე არ არის?

– დიახ, იგივეა და შეიძლება სხვა ამხანაგებმა შეცდომით მოგცეს. ჩვენგან უნდა აგეღო, – უთხრა მუსტაფამ.

– ჰოდა, აკი ამიღია!

– ხუთი ცალიც აიღე, ძია, არ მოკვდები, – უთხრა სერდარმა.

მაგრამ მოხუც ძუნწს აღარაფერი ესმოდა. ბილეთის კუთხეზე თითი დაედო და ყვიროდა:

– ეს ბილეთიც ყავლგასულია, ეს შეხვედრა ორი თვის წინათ ყოფილა! ნახე, 1980 წლის მაისი აწერია!

– ძია, შენ ამ საღამოზე წასვლას აპირებ? – ჰკითხა მუსტაფამ.

– ორი თვის წინათ საღამო ჩაუტარებიათ და დღეს წავიდე?!

ცოტაც და, ის ხუთი ბილეთი მოთმინებას დამაკარგვინებდა. სკოლაში ტყუილად გვასწავლიან, მომთმენი იყავიო. მოთმინება კაცს არაფერში არგია, დროს ფუჭად აკარგვინებს. თუ მეტყოდნენ, ამ საკითხზე თხზულება დაწერეო, იმდენ რამეს ვიპოვიდი და დავწერდი, ჩემს გამოსაჭერად დადარაჯებული თურქული ენის მასწავლებლებიც კი, ბოლოს და ბოლოს, იძულებულები გახდებოდნენ, ხუთიანი დაეწერათ. მოკლედ: სერდარიც ჩემსავით გაცეცხლდა, ეცა და ბებერ ძუნწს ყურსუკან გარჭობილი კალამი ააცალა, ბილეთზე რაღაც წააწერა და კალამთან ერთად დაუბრუნა.

– მორჩა, ძია! საღამო ორი თვის მერე გადავიტანე. ახლა ხუთას ლირას გადაიხდი.

მემწვანილეს სხვა რა გზა ჰქონდა? ამოიღო ხუთასი ლირა და მისცა. ასეა, მხოლოდ ჩვენი სკოლის სულელ მასწავლებლებს სჯერათ, რომ ტკბილი ენა გველს ხვრელიდან გამოიყვანს. ისე

გავცეცხლდი, ვამბობდი, ამ ბებერ წუწურაქს სულს გავაფრთხობინებ, მე ვიცი, რასაც ვუზამ-მეთქი. როცა გამოვდიოდით, კარებწინ დადგმულ ატმის გროვას ერთი ატამი გამოვაცალე. მეგონა, ჩამოიფანტებოდა, მაგრამ იღბალი ჰქონია, ატამი არ ჩამოცვივდა, ის ერთი კი ჩანთაში ჩავიდე.

იქიდან დალაქთან წავედით.

დალაქს დაეჭირა ერთი თავი, შეეყო ონკანის ქვეშ და ბანდა. სარკეში დაგვინახა.

– ორ ცალს ავიღებ, ბავშვებო, – გვითხრა დალაქმა. თავი ხელიდან არ გაუშვია.

– თუ მოინდომებთ, ათ ცალსაც აიღებთ, აბი, თანაც აქვე გაყიდით, – უთხრა მუსტაფამ.

– ორი დატოვე, საკმარისია! – გვითხრა დალაქმა, – თქვენ „საზოგადოებიდან“ არ მოდიხართ?

ერთბაშად სისხლი თავში ამივარდა:

– ორი ცალი?! ორი რა არის, ათს იყიდი! – ვუყვირე და ათი ბილეთი გადავუთვალე.

სერდარიც კი დაიბნა. დიახ, ბატონებო, თუ გავცეცხლდი, ასეთებიც შემიძლია.

მაგრამ დალაქმა ბილეთები არ აიღო. მხოლოდ ის მკითხა, რამდენი წლისა ხარო?

გასაპნული თავიც სარკიდან გაოცებული მიყურებს.

– არ იღებ-მეთქი?! – ვიყვირე.

– თვრამეტის, – ჩემ ნაცვლად უპასუხა სერდარმა.

– ვინ გამოგგზავნათ? ძალიან ფიცხი ყოფილხარ.

სათქმელი ვერაფერი ვიპოვე. მუსტაფას შევხედე.

– გვაპატიე, აბი, ახალია და ჯერ არ გიცნობთ, – უთხრა მუსტაფამ.

– ეტყობა. ბავშვებო, ორი ცალი დამიტოვეთ.

ჯიბიდან ორასი ლირა ამოიღო. ჩვენებმა მაშინვე დამივიწყეს.

ხელად მორიგდნენ. ცოტაც და, ხელებსაც დაუკოცნიან. გამოდის, თუ „საზოგადოების“ ხალხს იცნობ, აქაურობის მეფე ხარ. სჯობდა, სულაც არ აეღო. ორი ბილეთი ამოვიღე და გავუწოდე.

– მანდ დააგდეო, – მითხრა.

რაღაც უნდა მეთქვა, ვერ ვთქვი.

– ნახვამდის, ბავშვებო, – გამოგვემშვიდობა დალაქი და შამპუნის ბოთლი ჩემკენ გამოიშვირა:

– სწავლობს თუ მუშაობს?

– ლიცეუმში ჩატოვეს, – უთხრა მუსტაფამ.

– მამაშენი რას საქმიანობს?

ხმას არ ვიღებდი.

– ლატარიის ბილეთებს ყიდის, – ჩემ მაგივრად უპასუხა მუსტაფამ.

– ამ პატარა ტურას თვალი არ მოაშოროთ, ცეცხლივით არის, მიდით... გაიარეთ, – გვითხრა დალაქმა.

ჩვენებმა გაიცინეს. ვიფიქრე, ვეტყვი, შენს შეგირდს რატომ ჩაგრავ-მეთქი. არა ვთქვი, არ შეიძლებოდა. შეგირდისათვის არც შემიხედავს, ისე გამოვედი კარში. სერდარი და მუსტაფა მხიარულად საუბრობდნენ.

– ის დრო გაახსენდა, დალაქი რომ იყოო, – თქვა სერდარმა.

– ტურა!

არაფერი მითქვამს. მე მხოლოდ ამ ჩანთის ტარება და სადმე რომ მივალთ, ბილეთების ამოღება და მიცემა მევალება. ჯენეთჰისარიდან დაგვიძახეს და ეს საქმე მოგვანდეს. აქ ამიტომ ვარ. თქვენთან, ვინც ერთ ამქარში გაერთიანებულხართ და დამცინით, სალაპარაკო არაფერი მაქვს – არც მთქმელთან, არც გამგონესთან. ერთ აფთიაქში შევედით, ისევ ჩუმად ვიყავი, ბაყალთანაც, რკინა-კავეულით მოვაჭრესთანაც, ყავახანაშიც კრინტი არ დამიძრავს, მოკლედ – მთელი ბაზარი ისე მოვიარეთ, ხმა არ ამომიღია. ბოლო დუქნიდან რომ გამოვდიოდით, მუსტაფამ ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და თქვა:

– თითო ულუფა გუფთა უკვე დავიმსახურეთო.

მე კვლავ გავჩუმდი და არ ვუთხარი, რომ იმ ფულს გუფთის საჭმელად არ გვაძლევდნენ.

– მართალი ხარ, თითო ულუფა დავიმსახურეთო, – კვერი დაუკრა სერდარმაც, მაგრამ, როცა საჭმელად დავსხედით, თითო ვინ იკმარა? ორ-ორი ულუფა მოითხოვეს. ისინი თავიანთ გაორმაგებულ ულუფებს ჭამდნენ, მე ერთის შემჭმელიც არ ვიყავი.

სანამ გუფთას ელოდებოდნენ, მუსტაფამ ფული დაითვალა. ჩვიდმეტი ათასი ლირა გვიშოვიაო, – თქვა და სერდარს ჰკითხა:

– ამას რატომ ჩამოსტირის ცხვირ-პირიო?

– ტურას რომ ვეძახით, იმაზე ბრაზობს.

– სულელია ვიღაცა! – გაჯავრდა მუსტაფა.

მაგრამ მე ვითომ არაფერი გამიგია. კედელზე გაკრულ კალენდარს ვათვალიერებდი. მერე გუფთა მოიტანეს. ისინი ლაპარაკ-ლაპარაკით ჭამდნენ, მე – ჩუმად. ტკბილეულიც მოითხოვეს. მეც რევანი მოვატანინე. მომეწონა. მერე მუსტაფამ პისტოლეტი ამოიღო, მაგიდის ქვეშ კარგა ხანს თამაშობდა.

სერდარმა გამოართვა და იმანაც ითამაშა. მე არ მომცეს. იცინეს, იხუმრეს. მერე მუსტაფამ პისტოლეტი ქამარში გაირჭო, დანახარჯი გადაიხადა და წავედით.

ბაზარი უშიშრად გავიარეთ, „საზოგადოების“ ეზოში ისე შევედით და კიბეებიც ისე ავიარეთ, ერთმანეთს არ დავლაპარაკებივართ. შენობაში შევედით. როგორც ყოველთვის, შემეშინდა, თითქოს საკონტროლო გადამეწეროს და ვნერვიულობდე, მასწავლებელმა ხომ არ დაინახა-მეთქი. ჩემი ნერვიულობის შემხედვარე მასწავლებელიც ხვდება...

– მთელი ბაზარი მოითავეთ? – გვკითხა ვიღაც ლამაზმა კაცმა.

– დიახ, აბი, სადაც გაგვაგზავნეთ, ის ადგილები, – უპასუხა მუსტაფამ.

– ყველაფერი თანა გაქვს?

– დიახ, – უპასუხა მუსტაფამ. ჯიბიდან ფული და პისტოლეტი

ამოიღო.

– მე მხოლოდ იარაღს დავიბრუნებ. ფულს ზექერია ბეი იბარებს.

მუსტაფამ პისტოლეტი მისცა. მოხდენილი მამაკაცი სადღაც შევიდა. მუსტაფაც წავიდა. ერთი კი ვიფიქრე, რას ველოდებოდით-მეთქი. დამავიწყდა კიდეც, ზექერია ბეის რომ ველოდებით, მერე ვიღაც ჩვენნაირი მოვიდა და სიგარეტი გამომიწოდა. არ ვეწევი, მაგრამ მაინც ავიღე. მერე ლოკომოტივის ფორმის სანთებელა ამოიღო და სიგარეტს მომიკიდა და მკითხა:

– ჯენეთჰისარიდან მოსული იდეური ამხანაგები თქვენა ხართ?

– დიახ.

– იქ რა ამბავია?

ნეტა, რისი მოსმენა უნდა-მეთქი, – გავიფიქრე. სიგარეტს ცუდი გემო აქვს. თითქოს დავბერდი.

– ზემო უბანი ჩვენია, – უთხრა სერდარმა.

– ვიცი. მე ზღვის სანაპიროზე გეკითხებით. თუზლა კომუნისტებისაა.

– არა, – ვთქვი ერთბაშად – ჯენეთჰისარში, ზღვის სანაპიროზე, არაფერია. იქ მდიდრები არიან, უმაღლესი სოციალური წრის წარმომადგენლები.

შემომხედა და გაიცინა. მეც გამეცინა.

– იყოს, ვერავინ გაიგებს.

– ვისიც ზემო უბანია, სანაპიროც იმათი იქნება, – თქვა სერდარმა.

– დიახ, თუზლასაც ასე დაეპატრონნენ. ფრთხილად, ყურადღებით იყავით.

კომუნისტებზე ვფიქრობდი. თან ვეწეოდი. ერთბაშად ჩვენმა თანამოსაუბრემ მკითხა:

– შენ ახალი ხარ, არა?

ჩემს პასუხს არ დაელოდა, სხვა ოთახში გავიდა. სერდარმა

თავის დაქნევა მოასწრო, დიახო – დაუდასტურა. ნეტავ როგორ ხვდებიან? ან ის სიცილი რას ნიშნავდა, როცა ვთქვი, მაღალი სოციალური წრიდან არიან-მეთქი? სერდარიც წამოდგა და სადღაც შევიდა. მარტო დავრჩი. ასე მგონია, სერდარმა განგებ დამტოვა მარტო, რათა შემსვლელ-გამომსვლელებს გაეგოთ, ახალი რომ ვიყავი. მეც ჭერში ვიყურები, სიგარეტს ვეწევი და მნიშვნელოვან რაღაცეებზე ვფიქრობ. ძალიან მნიშვნელოვანზე; ჩემი დამნახავი გაიგებს, რამდენად ფასეულია ეს ნაფიქრი: ჩვენი მოძრაობის პრობლემებზე. არის ასეთი წიგნი. წაკითხული მაქვს, ამასობაში მუსტაფა ოთახიდან გამოვიდა, ვიღაც გადაკოცნა და სწორედ ამ დროს ყველანი განზე გადგნენ: ზექერია ბეი მობრძანდა. ერთი გადმომხედა და თავის ოთახში შევიდა. მეც წამოვიწიე, მაგრამ წამოდგომა ვერ მოვასწარი. მერე მუსტაფას დაუძახეს. ისიც ზექერია ბეისთან შევიდა. ნეტავ, რაზე ილაპარაკეს? მალე გამოვიდნენ. ამჯერად უკვე ფეხზე წამოვდექი.

– კარგი, – უთხრა ჩვენს მუსტაფას, – როგორც კი დაგვჭირდება, გაცნობებთ. ყოჩაღ!

წამით შემომხედა. ძალიან გავიხარე, იმედი მქონდა, რამეს მეტყოდა, მაგრამ არაფერი უთქვამს, მხოლოდ დააცემინა და ზემოთ ავიდა. კრებაზეო, ამბობენ. მუსტაფა და წეღან რომ გველაპარაკებოდა, ის ბიჭი ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ. მეგონა, ჩემზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ არა, პოლიტიკასა და სხვა მნიშვნელოვან რაღაცეებზე საუბრობდნენ. არ ეგონოთ, ვუსმენ-მეთქი, თვალი ავარიდე.

– ბიჭებო, წავედით! – თქვა მუსტაფამ.

ჩანთა დავტოვე. სადგურში მივდივართ, ვალმოხდილი ადამიანებივით ხმაამოუღებლად მივაბიჯებთ. მუსტაფა რაღას გაჩუმებულა? უკვე აღარ ვუბრაზდები. ნეტავ, საქმეში თუ მოვეწონე? დავჯექი და მატარებელს დაველოდე. ვფიქრობდი დღევანდელ დღეზე. მერე, როცა ლატარიის გამყიდველის ჯიხური დავინახე, მამაჩემი გამახსენდა. ახლა მასზე ფიქრი არ მინდოდა. მაგრამ მაინც ვერ მოვიცილე თავიდან მისთვის სათქმელი: მამა, ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ლიცეუმის დიპლომი როდია!

მატარებელი ჩამოდგა. ჩავსხედით. სერდარი და მუსტაფა კვლავ ერთმანეთს ეჩურჩულებიან, ქირქილებენ. სხვა დროს

ამას ხუმრობაში გავატარებდი, დაცინვას დაცინვით ვუპასუხებდი, მაგრამ ახლა ვერ ვახერხებ და ისინიც უფრო იცინიან. ვწითლდები, ვცეცხლდები, თავს ვეღარ ვიკავებ და ვიგინები. ამაზე უფრო ხორხოცებენ. ასეთ დროს მარტო ყოფნა მინდა. ადამიანი ცხოვრებაში გასაკეთებელ დიდ საქმეებზე მაშინ ფიქრობს, როცა მარტოა. მე არ მესმის მათი ხუმრობა, არც ის, ერთმანეთს თვალს რომ უკრავენ და იმეორებენ: „ტურა!“ ნეტავ, როგორი ცხოველია? დაწყებით სკოლაში კლასში ერთი გოგო გვყავდა, ცხოველების ენციკლოპედია ჰქონდა. მოჰქონდა ხოლმე და გვაჩვენებდა. „ვეფხვი“ გინდა, გადაშალე „ვ“-ზე და ნახე. ახლა ის ენციკლოპედია მომცა, „ტურაზე“ გადავშლიდი და წავიკითხავდი. მაგრამ ვინ მოგცემს, ის გოგო ხელს არ მაკარებინებდა, მოთხუპნიო. კახპავ! სკოლაში რაღას მოგქონდა?! მერე ის გოგო სტამბოლში გადავიდა. ამბობდნენ, მამამისი გამდიდრდაო. ერთი ამხანაგიც ჰყავდა, თმაზე ლურჯ ლენტს იკეთებდა.

ფიქრებში წავედი... მატარებელი თუზლაში ჩავიდა. არ შემშინებია, მაგრამ დავიძაბე. ყოველ წუთს შეიძლება კომუნისტები ამოვიდნენ. სერდარი და მუსტაფაც ნერვიულობენ, გაჩუმდნენ. მაგრამ არაფერი მომხდარა. თუზლა მშვიდობით გავიარეთ. კომუნისტების მიერ კედლებზე დაწერილ ლოზუნგებს ვკითხულობდით. „თუზლა ფაშისტებისათვის საფლავი იქნება!“ ფაშისტებს ჩვენ გვეძახიან. შევიგინე. მატარებელი ჩვენს სადგურში გაჩერდა. ჩამოვედით და ავტობუსის გაჩერებამდე ხმაამოუღებლად ვიარეთ.

– ბიჭებო, საქმე მაქვს. თქვენ წადით, – გვითხრა მუსტაფამ და წავიდა. როცა მინიბუსებს შორის თვალს მოეფარა, სერდარს ვუთხარი:

– ამ სიცხეში შინ წასვლა და მეცადინეობა არ მინდა.

– მართალია, ძალიან ცხელა, – მიპასუხა სერდარმა.

– თავიც არეული მაქვს, წამო, ყავახანაში შევიდეთ.

– არა, დუქანში მივდივარ. საქმე მაქვს.

წავიდა. თუ მამაშენი დუქნის პატრონია, გინდა, არ გინდა, შენც საქმე გექნება. მე კი ჯერ ვსწავლობ. თქვენსავით არ მიმიტოვებია სკოლა. მაგრამ მაინც სულ დამცინიან.

დარწმუნებული ვარ, სერდარი ამ საღამოს სხვებზე ადრე მივა ყავახანაში და ჩემზე ლაპარაკს მოჰყვება, გამქირდავს, „ტურასაც“ დამიძახებს.

შეეშვი, ჰასან, მაგაზე ნუ დარდობ! შევეშვი, აღმართს შევუყევი.

მიქრიან საბარგო და მსუბუქი მანქანები, ჯენეთჰისარის ან დარიჯას ბორანს უნდა მიუსწრონ. ვუყურებ და მსიამოვნებს იმაზე ფიქრი, რომ მარტო ვარ. მინდა, რაღაც გადამხდეს თავს. რამდენი რამ ხდება ცხოვრებაში და აი, მეც ველოდები, ის „რამ“ ჩემამდე მოვიდეს, მაგრამ ყველაფერი ძალიან ნელა მოდის, მძიმე-მძიმედ და არა ისე, როგორც მინდოდა, როგორც ველოდებოდი. თითქოს ჩემ გასაბრაზებლად. უცებ ხედავ, ყველაფერი მოსულა და წასულა კიდეც. ამ მანქანებივით ჩაუქროლია. მე კი ვდგავარ და ამ სიცხეში აღმართს ვერ ავივლი-მეთქი, ვფიქრობ. ვიყურები, მაგრამ ქვეყანაზე არავის უნდა შენთვის ხელის წაშველება. ბაყლისაგან წამოღებული ატმის ჭამა დავიწყე, მაგრამ ფიქრი თავიდან ვერ მოვიშორე:

ზამთარი მაინც იყოს. პლაჟზე მარტო ხეტიალი მომინდა. კარი ღია იქნებოდა და ისე შევიდოდი, არავის შევაწუხებდი. ტალღები ნაპირს ეხეთქება და მე – ფეხსაცმელი არ დამისველდეს-მეთქი – წამდაუწუმ ვხტი, გავრბივარ, მივდივარ და ჩემს ცხოვრებაზე ვფიქრობ: ის დღეც დადგება, როცა მნიშვნელოვანი, ცნობილი კაცი ვიქნები. მაშინ მარტო ის ტიპები კი არა, გოგოებიც სხვანაირად დამიწყებენ ყურებას. ჩემი სულიც გალაღდება. განსაკუთრებით, როცა იმაზე ვიფიქრე, ვინ ვიქნებოდი მომავალში, სერდარს აღარ ვეტყოდი, წამო, ყავახანაში წავიდეთ-მეთქი. ზათარი მაინც ყოფილიყო, თავს თვითონ მივხედავდი, მაგრამ ზამთარში სწავლაა! ღმერთმა დასწყევლოს ეს ავადმყოფი მასწავლებლები...

მერე ის თეთრი „ანადოლი“ დავინახე, აღმართზე ამოდიოდა. მძიმე-მძიმედ მიახლოვდებოდა. მივხვდი, შიგ ისინი ისხდნენ. შემრცხვა. მაგრამ ისე ჩამიარეს, ვერ მიცნეს. ვიფიქრე, შემეშალა-მეთქი. პატარაობისას ნილგუნი ასეთი ლამაზი არ იყო. საჭესთან სქელი კაცი ზის, ფარუქის მეტი ვინ იქნება? რა მსუქანია! მაშინღა მივხვდი, რომ შინ კი არა, მათთან მივდიოდი. აღმართს ჩავივლი, წავალ, მათ ჭიშკარს შევხედავ. იქნებ ჯუჯა ბიძაჩემიც ვნახო და სახლში შემიშვას. თუ არ შემრცხვა, შევალ. მივესალმები. იქნებ, მათ დიდედასაც ხელზე ვაკოცო. მიცანით? ძალიან გავიზარდე-მეთქი. როგორ არ

გიცანით? პატარაობისას კარგი ამხანაგები არ ვიყავით? ვისაუბრებთ და იქნებ, სულის წუხილიც დამიამდეს. ახლა იქ რომ წამიყვანა...

4.

„ანადოლი“ გაჭირვებით მობობღავდა აღმართზე.

– ბავშვებო, იცანით? – ვიკითხე.

– ვინ? – გაიკვირვა ნილგუნმა.

– გზის კიდეზე რომ მიდიოდა, ლურჯი ტანსაცმელი ეცვა. თავად მაშინვე გვიცნო.

– მაღალი? – ნილგუნი შებრუნდა და გახედა, მაგრამ კარგა მანძილზე გავშორებოდით – ვინ იყო?

– ჰასანი.

– აბა, ჰასანი?

– რეჯეფის ძმისშვილი.

– როგორ გაზრდილა, ვერ ვიცანი! – ყასიდად გაიკვირვა ნილგუნმა.

– სირცხვილი შენი! ბავშვობის ამხანაგი როგორ ვერ უნდა გეცნო? – დაამუნათა მეთინმა.

– თავად რატომ ვერ იცანი? – გაკაპასდა ნილგუნი.

– არ დამინახავს და როგორ უნდა მეცნო? მაგრამ ფარუქმა თქვა თუ არა, მივხვდი, ვინც იყო.

– ყოჩაღ! ძალიან ჭკვიანი ხარ, ძალიან ჭკვიანი.

– აკი წელს თხემით ტერფამდე შევიცვალეო? შეიცვალე, მაგრამ მხოლოდ წარსული დაგვიწყებია, – უთხრა მეთინმა.

– სისულელეს ამბობ.

– წიგნებმა ყველაფერი დაგავიწყა, – არ ცხრებოდა მეთინი.

– ნუ ჭკუისკოლოფობ.

როგორც იქნა, გაჩუმდნენ. კარგა ხანს ხმა არ ამოუღიათ. ავათავეთ ის აღმართი, სადაც გზის ორივე მხარეს ყოველ წელს ბეტონის ახალ-ახალი, უსახური შენობები ჩნდება. გამეჩხერებულ ვენახებს, ბლის ბაღებსა და ლეღვის ხეებს შორის გავიარეთ. რადიოში მსუბუქ დასავლურ მუსიკას უკრავდნენ. როცა შორს ჯენეთჰისარი და ზღვა გამოჩნდა, ბავშვობიდან გამოყოლილი მღელვარება დაგვეუფლა და გავჩუმდით. თავქვეზე დავეშვით. მოკლე შარვლიან, ტრუსებიან, გარუჯულ, ხმაურიან ბრბოში გავიარეთ. როცა მეთინი ჭიშკარს აღებდა, ნილგუნმა უთხრა:

– აბი, საყვირი მიეცით.

მანქანა ეზოში შევიყვანე. ნაღვლიანად შევათვალიერე სახლი, რომელიც ყოველ ჩამოსვლაზე უფრო დაძველებული და გაუკაცრიელებული მხვდებოდა. კარ-ფანჯარას საღებავი გადასცლოდა, სურო გვერდითა კედლიდან წინა კედელზე გადმოსულიყო. ლეღვის ხის ჩრდილი დიდედის ოთახის ჟალუზებს ეცემოდა. პირველი სართულის ფანჯრის ცხაურებს ჟანგი მოსდებოდა. უცნაური გრძნობა დამეუფლა, ადრინდელისგან სრულიად განსხვავებული. თითქოს ამ სახლში საშიში რაღაც იყო. საგანგებოდ ჩვენთვის გაღებული ფართო სადარბაზო კარიდან დიდედისა და რეჯეფის ნესტიანი და მკვდარი სამყაროს სიბნელე დავინახე.

– გადმოდი, აბი, როდემდე უნდა იჯდე? – მითხრა ნილგუნმა, მანქანიდან გადახტა და სამზარეულოსკენ წავიდა. მერე რეჯეფიც გამოჩნდა. სამზარეულოდან ჩქარი ნაბიჯით, რწევა-რწევით მოდიოდა. რეჯეფმა და ნილგუნმა ერთმანეთი გადაკოცნეს. რადიო გამოვრთე და მანქანიდან გადმოვედი. რეჯეფს თავისი განუყრელი პიჯაკი ეცვა და წვრილი ჰალსტუხი ეკეთა. ასაკი არც კი ეტყობოდა.

ერთმანეთს გადავეხვიეთ.

– ცოტა შევწუხდი, დაგაგვიანდათ, – გვითხრა რეჯეფმა.

– როგორ ხარ?

– ეჰ, – თითქოს დაირცხვინა, – კარგად ვარ. ოთახები გაგიმზადეთ, ლოგინებიც გაგიშალეთ. დიდი ქალბატონი გელოდებათ. თქვენ კიდევ უფრო გასუქებულხართ, ფარუქ ბეი.

– დიდედა როგორ ბრძანდება?

– კარგად... წუწუნებს. სულ რაღაცას უჩივის. თქვენს ჩემოდნებს ავიტან.

– მერე ავიტანთ.

წინ რეჯეფი, უკან ჩვენ. კიბეზე ავედით.

ჟალუზებს შორის შემოღწეული მზის მტვრიანი სხივი და ნესტის სუნი ძალიან ნაცნობი იყო. ძალიან გამიხარდა. როცა დიდედას ოთახის კარს გავუსწორდით, რეჯეფი წუთით შეჩერდა, სული მოითქვა, მერე თვალებში სხივჩამდგარმა ეშმაკური მხიარულებით დაიძახა:

– ჩამოვიდნენ, დიდო ქალბატონო, ჩამოვიდნენ!

– სად არიან? – იკითხა დიდედის ბებრულმა და ნერვიულმა ხმამ, – რატომ არ მეტყვი, სად არიან?

ყვავილებიან ლურჯ საბანში გახვეული ზურგსუკან ზედიზედ ჩალაგებულ სამ ბალიშს მიყრდნობილი იწვა საწოლში. ამ ბრინჯაოს ბურთულებით რამდენჯერ მითამაშია ბავშვობაში. სათითაოდ ვაკოცეთ ხელზე. ნაცნობი ხალები, ლაქები დიდედას თეთრ, რბილ, დამჭკნარ ხელებზე! ძველ ნაცნობთან შეხვედრას ჰგავდა მათი დანახვა. დიდედას, მის ხელს ერთი სურნელი ჰქონდა. ოთახშიც იგივე სუნი ტრიალებდა.

– გამარჯობა, დიდედა, ღმერთმა კარგად გამყოფოთ!

– როგორ ბრძანდებით, დიდედა?

– ცუდად, – გვიპასუხა დიდედამ, მაგრამ ჩვენ არაფერი გვითქვამს. მერე ცოტა ხანს ტუჩები აცმაცუნა, ვითომ დაიმორცხვა.

– აბა, მიდით, მომიყევით, – გვითხრა ბოლოს.

სამივემ ერთმანეთს გადავხედეთ. ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. მე ოთახში დაგუბებულ სუნზე ვფიქრობდი: ობის, ავეჯის ლაქის, ძველი საპნის, პიტნის კანფეტის, ლავანდისა და ცოტაც ოდეკოლონის სუნი უნდა ყოფილიყო.

– რაო? ჩემთვის მოსაყოლი არაფერი გაქვთ?

– დიდედა, აქ მანქანით ჩამოვედით, სტამბოლიდან აქამდე

სრული ორმოცდაათი წუთი მოვუნდით, – უთხრა მეთინმა.

ყოველ ჩამოსვლაზე ამას ამბობს და დიდედის კუშტი სახე ყოველთვის ისე გამოიყურება, თითქოს რაღაც საქმეს მოსწყდა და ცოტათი გახალისდაო. მაგრამ მალევე იბრუნებს ჩვეულ გამომეტყველებას.

– წინათ რამდენ საათში ჩამოდიოდით? – ისე ჰკითხა ნილგუნმა, თითქოს არ იცოდა.

– მე ერთხელ ჩამოვედი, – უპასუხა დიდედამ ამაყად, გამარჯვებულივით. მერე სული მოითქვა და დაამატა: – თანაც დღეს მე გეკითხებით.

ჩანდა, მოეწონა ეს პასუხი, რომელიც ჩვევად ჰქცეოდა. დიდხანს იფიქრა, რა ეკითხა, მაგრამ განსაკუთრებული ვერაფერი მოიფიქრა.

– როგორ ხართ? – ჰკითხა ბოლოს.

– კარგად ვართ, დიდედა, კარგად.

დამარცხებულივით განრისხებულმა კუშტად შეყარა წარბები. დრო იყო, ეს გამომეტყველება ძალიან მაშინებდა პატარა ბიჭს.

– რეჯეფ, ზურგში ბალიში ჩამიდე.

– ყველა ბალიში ზურგსუკან გიდევთ, დიდო ქალბატონო!

– ერთიც მოგიტანოთ, დიდედა? – ჰკითხა ნილგუნმა.

– ჯერ მითხარი, რას საქმიანობ?

– დიდედა, ნილგუნი უნივერსიტეტში შევიდა, – ვუპასუხე მე.

– აბი, მეც მაქვს ენა, – გამიწყრა ნილგუნი, – სოციოლოგიას ვსწავლობ, დიდედა, წელს პირველი კურსი დავასრულე.

– შენა, მეთინ?

– მომავალ წელს ლიცეუმს ვამთავრებ.

– მერე?

– მერე ამერიკაში წავალ.

– იქ რა არის?

– მდიდარი და მარჯვე ადამიანები, – ჩაერია საუბარში ნილგუნი.

– უნივერსიტეტიც, – თქვა მეთინმა.

– ყველანი ერთად ნუ ლაპარაკობთ. შენ რაღას აკეთებ, ფარუქ?

ვერ ვუთხარი, ხელში დიდი ჩანთა მიჭირავს და სასწავლებელში დავდივარ, ღამღამობით ცარიელ სახლში ვთვლემ, საჭმელს ვჭამ და ტელევიზორის წინ მძინავს-მეთქი, ჯერ კიდევ გუშინ დილას უნივერსიტეტში მივდიოდი და თან იმაზე ვფიქრობდი, როდის დავლევდი. მეშინია – ისტორიისადმი რწმენა მენგრევა, ჩემი ცოლი მომენატრა.

– დიდედა, ფარუქი უკვე დოცენტია, – ახარა ნილგუნმა.

– დიდედა, ძალიან კარგად გამოიყურებით, – ვთქვი საუბრის გასაგრძელებლად.

– შენი ცოლი რას აკეთებს? – მკითხა დიდედამ.

– წინა ჩამოსვლაზე აკი გითხარით, დიდედა, ჩვენ გავიყარეთ.

– ვიცი, ვიცი. ახლა ის რას აკეთებს?

– ხელახლა გათხოვდა.

– ამათ ოთახები მოუმზადე, არა? – მიუბრუნდა დიდედა რეჯეფს.

– მოვუმზადე.

– სხვა არაფერი გაქვთ სათქმელი?

– დიდედა, სტამბოლი ძალიან ხალხმრავალი ქალაქი გახდა, – უთხრა ნილგუნმა.

– აქაც ძალიან ხალხმრავლობაა, – გააგრძელა რეჯეფმა.

– რეჯეფ, დაჯექი, ჩვენთან იყავი.

– დიდედა, ეს სახლი ძალიან დაძველებულა, – წამოიწყო მეთინმა.

– კარგად არა ვარ, – გვითხრა დიდედამ.

– ძალიან დაძველებულა. ამას დავანგრევთ და მრავალბინიან სახლს ავაშენებთ.

– ჩუ, არ ესმის. ახლა მაგის დრო არ არის, – უთხრა ნილგუნმა.

– როდის არის დრო?

– არასოდეს.

სიჩუმე ჩამოვარდა. ისმოდა უჰაერო ოთახში სიცხისაგან ავეჯი როგორ ფართოვდებოდა და ტკაცუნობდა. ფანჯრიდან უღიმღამო, გაცრეცილი სინათლე შემოდიოდა.

– არაფერს მეტყვი? – ჰკითხა დიდედამ ნილგუნს.

– გზაში ჰასანი ვნახეთ. გაზრდილა, უშველებელი გამხდარა.

დიდედას ტუჩები აუკანკალდა.

– რეჯეფ, ისინი რას აკეთებენ? – ჰკითხა ნილგუნმა.

– არაფერს. აღმართზე რომ სახლია, იქ ცხოვრობენ. ჰასანი ლიცეუმში...

– რას უყვები? ვისზე უყვები? – აყვირდა დიდედა.

– ისმაილი რაღას აკეთებს? – ისევ ჰკითხა ნილგუნმა.

– არაფერს, ლატარიის ბილეთებს ყიდის.

– რას გიყვებათ? – ისევ აყვირდა დიდედა – იმას კი ნუ ელაპარაკებით, მე მელაპარაკეთ! მიდი, გარეთ გადი, რეჯეფ, სამზარეულოში ჩადი!

– აქ იყოს, დიდედა, რა შავდება? – გამოექომაგა ნილგუნი.

– ხელად მოგხიბლათ, არა? – რა უთხარი, რით შეაცოდე თავი?

– არაფერი მითქვამს, დიდო ქალბატონო, – თავი იმართლა რეჯეფმა.

– წეღან დაგინახე, რაღაცას უყვებოდი!

რეჯეფი გავიდა. სიჩუმე ჩამოვარდა.

– მიდი, ნილგუნ, რამე მოუყევი.

– მე? რა ვუთხრა? – გაიკვირვა ნილგუნმა. დაფიქრდა და ყველაფერი ძალიან გაძვირდაო, – თქვა.

– გეთქვა, წიგნის კითხვა-კითხვაში ყველაფერი დამავიწყდა-

თქო, – გაკენწლა მეთინმა.

– საბრალო ჭკუის კოლოფი! – არ ჩამორჩა ძმას ნილგუნი.

– რაზე ლაპარაკობთ? – იკითხა დიდედამ.

ისევ ჩამოვარდა სიჩუმე.

– დიდედა, მოდი, ახლა ავდგებით და ჩვენს ოთახებში ჩამოვრიგდებით, – მივუგე პასუხად.

– ახლახანს არ მოხვედით? საით?

– არსაით. ერთი კვირა აქ ვიქნებით.

– ჩემთვის სათქმელი ტკბილი და თბილი სიტყვა არ გაგაჩნიათ? – გვითხრა დიდედამ ცოტა უცნაური, გამარჯვებული ტონით. მგონი, კიდევაც გაიღიმა.

– ხვალ სასაფლაოზე წავალთ, – წამოვისროლე როყიოდ.

რეჯეფი გარეთ, კარებთან გვიცდიდა. სათითაოდ დაგვაბინავა ჩვენს ოთახებში. ჟალუზები გახსნა. ჩემთვის ისევ ის ოთახი მოუმზადებია, ჭას რომ გადაჰყურებს. ობის, ზეწრისა და ბავშვობის სუნი გამახსენდა.

– ხელები დაგელოცოს, რეჯეფ, ოთახი რა კარგად მოგიწყვია.

– თქვენი პირსახოცი აი, აქ დავკიდე.

სიგარეტს მოვუკიდე. ღია ფანჯრიდან გარეთ ვიყურებოდი. ვკითხე:

– რეჯეფ, როგორია წელს ჯენეთჰისარი?

– ძალიან ცუდი. ძველი ეშხი აღარ შერჩა.

– როგორ?

– ადამიანები ძალიან ცუდები, სასტიკები გახდნენ, – მიპასუხა და შემობრუნდა, სახეზე შემომხედა. ელოდა, გავუგებდი. შემდეგ ერთად ვუსმენდით პლაჟის გუგუნს. შორს, ხეებს შორის, ზღვა და ქუჩა ჩანდა. მეთინი მოვიდა.

– აბი, მანქანის გასაღებს მომცემ?

– მიდიხარ?

– ჩემოდანს ამოვიტან და წავალ.

– თუ ჩვენს ჩემოდნებსაც ამოიტან, მანქანა ხვალ დილამდე შენია-მეთქი, – ვუთხარი.

– არა, არ გინდათ, ფარუქ ბეი, მე ამოვიტან, – მითხრა რეჯეფმა.

მეთინმა მკითხა:

– ახლა არქივში არ წახვალ და შავ ჭირს არ მოძებნი?

– რა უნდა მოძებნოთ? – იკითხა რეჯეფმა.

– შავ ჭირს ხვალ მოვძებნი.

– და მაშინვე სმას დაიწყებ? – მკითხა მეთინმა. არ გავბრაზებულვარ, ისე ვუთხარი:

– ჩემი სმა შენ რას გიშავებს?

– მართალია, – თქვა მეთინმა, გასაღები აიღო და წავიდა. მე და რეჯეფიც უკან გავყევით. კიბეზე ჩავედით, სამზარეულოში შესვლა და მაცივრის გადაქოთება დავაპირე, მაგრამ როცა პატარა კიბეზე ჩავედი, სხვა მხარეს გავუხვიე, რეჯეფის ოთახის წინ გავიარე და ვიწრო გასასვლელის ბოლოსაკენ წავედი. რეჯეფი უკან მომყვებოდა.

– სამრეცხაოს გასაღები ისევ აქ არის?

კარის ღიობში ხელი შევყავი და მტვრიანი გასაღები ვიპოვე.

– დიდმა ქალბატონმა არ იცის. ნურც ეტყვით, – გამაფრთხილა რეჯეფმა.

გასაღები გადავატრიალე, კარს მივაწექი და, როგორც იქნა, შევაღე. კარს უკან რაღაც დავარდა. შევხედე, თავის ქალა იყო. მტვერში ეგდო, კარსა და სკივრს შორის ჩაჭედილიყო. ავიღე, შევუბერე, მტვერი მოვაშორე და რეჯეფს ვაჩვენე:

– ეს გახსოვს?

– ბატონო?

– ალბათ, აქ არასოდეს შემოდიხარ.

მტვრიანი ქალა ქაღალდებით სავსე პიუპიტრის კიდეზე ჩამოვდე. მერე ერთი მინის მილი ავიღე, ხელში შევათამაშე და

ჟანგიანი სასწორის პინაზე დავაგდე. რეჯეფი კარის ზღურბლზე იდგა და შიშით უყურებდა ყველაფერს, რასაც ვეხებოდი: ასობით პატარა ბოთლი, მინის ნამსხვრევები, სკივრებსა და ყუთებში ჩაყრილი ძვლები, ძველი გაზეთები, ჟანგიანი მაკრატლები, პინცეტები, ანატომიისა და მედიცინის შესახებ წიგნები ფრანგულ ენაზე. ქაღალდებით გატენილი ყუთები, ფიცრებზე დაკრული ჩიტებისა და თვითმფრინავების ფოტოები, სათვალის მინები, მუყაოს შვიდფერი წრე, საკერავი მანქანა, ბავშვობაში პედალზე ფეხს ვაჭერდი და „მანქანობანას“ ვთამაშობდი. სახრახნისები, ფიცრებზე დაკრული ხოჭოები, ასობით ცარიელი ბოთლი, „მონოპოლიური პოლიტიკის სამმართველო“ რომ აწერია. ნაირ-ნაირი ფხვნილებით სავსე წამლის ბოთლები და კორპის საცობებით სავსე ქოთნები.

– ფარუქ ბეი, ეგ საცობებია? – მკითხა რეჯეფმა.

იგი გარეთ იდგა, ოთახში ვერ შემოდიოდა. ალბათ ეშინოდა. მერე ბრინჯაოს ფირფიტა ვიპოვე, წარწერა გვამცნობდა: „ექიმი სელაჰათინი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე. დილით 2-დან 6 საათამდე და საღამოს 8-დან 12 საათამდე“. ვიფიქრე, ამ ფირფიტას სტამბოლში სახსოვრად წავიღებ-მეთქი. მაგრამ ერთბაშად ისტორიისა და წარსულისადმი ისეთი ზიზღი ვიგრძენი, შემეშინდა. ფირფიტა ისევ იქ, მტვრიან და ძველ ნივთებში ჩავაგდე. კარი ჩავკეტე. მე და რეჯეფი სამზარეულოსაკენ წავედით. დავინახე – მეთინს ჩვენი ჩემოდნები აჰქონდა. თან თავისთვის ლაპარაკობდა.

5.

ფარუქისა და ნილგუნის ჩემოდნები ამოვიტანე, ტანთ გამოვიცვალე, საზაფხულო ტანსაცმელი ჩავიცვი, ჩემი გატენილი საფულე ავიღე და ქვემოთ ჩავედი. ძველ, დანჯღრეულ „ანადოლში“ ჩავჯექი და წავედი. ვედათიანთ სახლის წინ მანქანიდან გადმოვედი. სახლში არავინ ჩანდა, გარდა მოსამსახურისა, რომელიც სამზარეულოში ტრიალებდა. სახლს შემოვუარე და ვედათის ფანჯარა შევაღე. დავინახე, ლოგინში იწვა. ვისკუპე და ოთახში კატასავით შევხტი. ვეცი და ვედათს თავი ბალიშზე დავუჭეჭყე.

– რა ხუმრობაა? მხეცო!

გამეცინა. კარგ გუნებაზე ვიყავი.

– რა ამბავია? როგორ არის საქმეები?

– როდის ჩამოხვედი?

ვიდრე ვუპასუხებდი, ოთახს მოვავლე თვალი. ყველაფერი ისეა, როგორც შარშან იყო; კედელზე გაკრული შიშველი ქალის ულაზათო სურათიც კი. მერე ვეღარ მოვითმინე:

– მიდი, შვილოსა, წამოდექი!

– ამ დილაადრიანად რა უნდა გავაკეთოთ?

– რასაც ყველა აკეთებს ნაშუადღევს.

– არაფერს!

– ნუთუ არავინ არის?

– ყველა აქ არის. ახლებიც არიან.

– სად იკრიბებით?

– ჯეილანიანთა. ახალი ჩამოსულები არიან.

– ძალიან კარგი, ადექი, იქ წავიდეთ!

– ჯეილანი ჯერ გაღვიძებული არ იქნება.

– მაშინ ზღვაზე წავიდეთ და სხვა ადგილზე ვიბანაოთ. საფეიქრო ქარხნების პატრონებისა და რკინეულით მოვაჭრეთა გონებაჩლუნგი შვილებისათვის მათემატიკისა და ინგლისურის სწავლება ზღვაზე წასვლის დროს აღარ მიტოვებს. წელს ერთხელაც კი არ მიბანავია.

– ჯეილანით არ დაინტერესდი?

– ადექი და თურგაისთან წავიდეთ.

– თურგაი კალათბურთის ახალგაზრდულ გუნდში მიიწვიეს. იცოდი?

– აღარ მაინტერესებს. კალათბურთს თავი დავანებე.

– რათა? უფრო მეტი რომ იზუთხო, იმისთვის?

არ ვუპასუხე. ვედათის ჯანმრთელ, მზეზე გარუჯულ სხეულს შევხედე და გავიფიქრე: დიახ, მე ბევრს ვმეცადინეობ. თუ კლასში პირველი არ ვიქენი, არაფერი გამოვა. მამაჩემს არა აქვს დაზგების ქარხანა, რომლის სათავეშიც ათი წლის მერე ჩამაყენებს. არც ძაფის სართავი ფაბრიკა აქვს, არც – რკინეულის საწყობი, არც – სამსხმელო საამქრო, ანდა – ლიბიაში ნაყიდი თუნდაც საბითუმო ვაჭრობის პატარა ბიურო.

ექსპორტ-იმპორტის ბიუროც არ გააჩნია ჩემს საბრალო მამას. იგი გუბერნატორობიდან გადადგა და მხოლოდ ერთი საფლავი აქვს. წელიწადში ერთხელ მივდივართ. არ გვინდა, დიდედამ შინ იტიროს. იქ ტირის. მერე ვკითხე:

– კარგი, სხვები რას აკეთებენ?

ვედათი პირქვე იწვა და ლოგინიდან წამოდგომას არ აპირებდა. ყოველი შემთხვევისათვის, სახე ბალიშის კიდესთან მიიტანა. მიამბო: მეჰმედმა ინგლისიდან ერთი ექთანი გოგო ჩამოიყვანაო. გოგო მეჰმედიანთა ცხოვრობს, მაგრამ სხვადასხვა ოთახში სძინებიათ. რომ ამბობენ, გოგოო, სინამდვილეში ოცდაათი წლის ქალი ყოფილა, მაგრამ ჩვენს გოგოებს კარგად შეეწყოო. თურანი – თურმე მცნობია – ჯარში ყოფილა. დავფიქრდი: საიდან უნდა ვიცნობდე იმ თურანს. მე ზამთარს ანკარისა და სტამბოლის მაღალ საზოგადოებაში კი არა, სკოლის საერთო საცხოვრებელსა და დეიდაჩემის სახლში ვატარებდი და ცოტაოდენი ფულისათვის შენისთანა ბრიყვებს მათემატიკას, ინგლისურსა და პოკერს ვასწავლიდი. ვედათმა გააგრძელა: თურანის მამას უფიქრია, ამისგან კაცი არ დადგებაო და ჯარში გაუშვია. თანაც არანაირი შეღავათი არ გაუკეთებია – ჯარისკაცული ცხოვრება ჭკუაზე მოიყვანსო. ვკითხე: მერე რა ქნა? ჭკუაზე მოვიდა-მეთქი? ვედათმა სერიოზულად მიპასუხა, არ ვიციო. მითხრა, თხუთმეტი დღით ჩამოვიდა და ჰულიასთან დადისო. ამის გაგონებაზე ფიქრში წავედი. ვედათმა ისიც თქვა, ვიღაც ახალი ტიპი გამოჩენილა, ფიქრეთი რქმევია. ვედათი მისით აღტაცებული ჩანდა: მაგარი ტიპიაო, თანამოაზრეაო, ჩვენი ჭკუისააო, – ამბობდა. მერე მოჰყვა და მოჰყვა, რამდენი ცხენის ძალა აქვს მინის ბოჭკოს, გემის მოტორს. გვარიანად მომეშალა ნერვები. აღარ ვუსმენდი ამ მდაბიო ტიპს. მიმიხვდა და ცოტა ხნით გავჩუმდით. მალე ისევ დავიწყეთ საუბარი.

– შენი აბლა[17] რას აკეთებს? – მკითხა ბოლოს.

– გაკომუნისტდა. მათსავით სულ იმის მტკიცებაშია, ძალიან შევიცვალეო.

– სამწუხაროა. ძალიან მეწყინა.

კედელზე გაკრულ შიშველი ქალის სურათს ვუყურებდი.

– სელჩუკის დასაც ეგ დამართნია, – მითხრა ჩურჩულით, – ალბათ, ვიღაც შეუყვარდა. შენი დაც შეყვარებული ხომ არ არის?

არ ვუპასუხე. ხელი ავიქნიე და მიხვდა, ლაპარაკის გაგრძელება არ მინდოდა.

– შენი აბის მდგომარეობა როგორია?

– უიმედო. მხოლოდ სვამს და სუქდება. უიმედო და ინერტულია.

– ისიც ეგრეა?

ლაპარაკ-ლაპარაკში გავბრაზდი: ისეთი ხელჩაქნეულია, მეტი არ იქნება, მაგრამ მას და ჩემს დას ერთმანეთისა ესმით. რაც უნდათ, ქნან, არ მაინტერესებს, მაგრამ ერთი ძალიან იდეურია და ფული ეზიზღება, მეორეს კი ფულის საშოვნელად ხელის განძრევა ესიკვდილება. ამიტომ ყველაფერი ჩემი გადასატანია. იმ მიწის ნაკვეთზე ჯერ ისევ დგას ის სულელური, გულისამრევი სახლი, ცარიელი დგას.

– დიდედაშენი და ის, მისი მსახური, ისევ იქ ცხოვრობენ?

– იქ ცხოვრობენ, მაგრამ რა მოხდება, თუ იმ ადგილზე აშენებული ახალი სახლის პირველ სართულზე იცხოვრებენ? მაშინ ხომ აღარ დამჭირდებოდა მდიდართა გონებაჩლუნგი ბავშვებისთვის ქანცის გაწყვეტამდე იმის სწავლება, თუ სად არის ჰიპერბოლის ღერძი, ან ღერძსა და ფოკუსს შორის დამოკიდებულება რა კავშირშია კოეფიციენტთან? გესმის? მომავალ წელს ამერიკის უნივერსიტეტში სწავლის შანსი მაქვს, მაგრამ ფული სად ვიშოვო?

მართალი ხარო, – მითხრა. ალბათ, ცოტათი შეწუხდა კიდეც. მეც შევწუხდი. მეშინოდა, ვედათს მდიდრების მტერი არ ვეგონო-მეთქი. ცოტა ხანს ჩუმად ვიყავით. მერე ვუთხარი:

– წამოდი, წავიდეთ, ბოლოს და ბოლოს, ზღვაზე.

– კარგი, ჯეილანიც უკვე გაიღვიძებდა.

– იქ წასვლა აუცილებელი არ არის.

– ყველანი იქ არიან.

როგორც იქნა, ლოგინიდან წამოდგა. მხოლოდ პატარა ტრუსის ამარა იყო. კარგად გარუჯული და ალბათ, კარგად ნაკვებიც, ლამაზი, უდარდელი, უზრუნველი.

– ფუნდაც უნდა წამოსულიყო.

– წამოვიდეს.

– რომ სძინავს?

ვედათის გარეგნობა და ალბათ სხვა რამეც მაღიზიანებდა.

– წადი, გააღვიძე.

– მართლა გავაღვიძებ.

თავისი დის გასაღვიძებლად წავიდა. მალე დაბრუნდა. თითქოს მთელი მისი ცხოვრება პრობლემებით ყოფილიყოს სავსე და თამბაქოს გარეშე ვერაფერს ახერხებდეს, საჩქაროდ სიგარეტს მოუკიდა და ხარბად მოქაჩა.

– შენ ჯერაც არ ეწევი?

– არა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ცოტა ხანს უაზროდ ვილაპარაკეთ. მაგალითად, იმაზე, ზღვა თბილია თუ ცივი.

მერე ფუნდაც შემოვიდა.

– აბი, ჩემი სანდალეტები სად არის?

ეს ფუნდა როგორ გამოცვლილა?! შარშან ერთი კნაჭა, პატარა გოგო იყო. წელს კი გრძელი, ლამაზი ფეხები აქვს და ბიკინიც აცვია.

– გამარჯობა, მეთინ!

– გაგიმარჯოს.

– რა ამბებია? აბი, სად არის-მეთქი ჩემი სანდალეტები?

და-ძმამ ჩხუბი გააჩაღა. ძმამ უთხრა, შენი ნივთების ყარაული არა ვარო, დამ – შენს ჭილის ქუდს ჩემს კარადაში რა უნდოდაო? მერე ფუნდამ კარი გაიჯახუნა. თუმცა მალე დაბრუნდა, ვითომც არაფერი მომხდარიყოს. ამჯერად იმაზე იჩხუბეს, დედის ოთახიდან მანქანის გასაღებს რომელი გამოიტანდა. ვედათი წავიდა. ცოტა შევწუხდი.

– რაო, ფუნდა, რა ხდება?

– რა უნდა მოხდეს? მოწყენილობაა.

მერე ვკითხე, რომელ კლასში ხარ-მეთქი? ლიცეუმის პირველ კლასში ყოფილა. ოთხი წელი მოსამზადებელზე უსწავლია. არა, გერმანულ ან ავსტრიულ ლიცეუმში კი არა, იტალიურ ლიცეუმში ყოფილა. მაშინ ჩავიჩურჩულე: Eქუეპემენტ ელეტრიქ ბBრევეტე ტიპ, Aანსალდო სან Gგიორგია გენოვა... ფუნდამ მკითხა: ეს სიტყვები იტალიიდან ჩამოტანილ საჩუქრებზე წაიკითხეო? ვერ ვუთხარი, სტამბოლის ტროლეიბუსებში კარებზე ასეთი გაუგებარი წარწერებია და მგზავრები მოწყენილობით რომ არ დაწყდნენ, იძულებულები არიან იკითხონ-მეთქი, თუ ვიტყოდი, ხომ მიხვდებოდნენ, ტროლეიბუსით რომ ვმგზავრობ და ამრეზით დამიწყებდნენ ყურებას. თავად შუადღისას კრემისა და სუნამოს სუნში იძინებენ და დროის მოსაკლავად ბანქოს თამაშობენ.

ამასობაში ვედათიც გამოჩნდა. ხელში მანქანის გასაღებს ატრიალებდა.

გამოვედით, მზისგან გაცხელებულ მანქანაში ჩავსხედით, ორასიოდე მეტრი გავიარეთ და გავჩერდით. მოვედით, ჯეილანის სახლის წინ ვართ. მანქანიდან გადმოვედით. ცოტას ვღელავ. რომ ვერ შემატყონ, რაღაცის თქმა მოვინდომე:

– აქაურობა ძალიან შეცვლილა.

– დიახ.

მოლზე თითო ნაბიჯის დაშორებით დაგებულ ქვებზე ვაბიჯებდით და მივდიოდით. მებაღე სიცხეში ხეებს რწყავდა. ბოლოს გოგოებიც დავინახე და სიტყვის მასალად ვკითხე:

– პოკერს არ თამაშობთ?

– რაო?

კიბეზე ჩავედით. გოგონები დახვეწილად გაგვერიდნენ. მათ დანახვაზე გამახსენდა. პოკერში მოგებული ფულით ისმეთის მაღაზიაში ნაყიდი პერანგი მაცვია, „ლევისის“ ფირმის შარვლის ჯიბეებში ბრიყვებისათვის კერძო გაკვეთილებით ნაშოვნი ერთი თვის გასამრჯელო – თოთხმეტი ათასი ლირა – მიდევს. რაღაც წვრილმანებზე ვილაპარაკე.

– ხუმრობთ?

– რა ხუმრობა? მეთინი უნდა გაგაცნოთ.

ზეინებს უკვე ვიცნობდი.

– გამარჯობა, ზეინებ, როგორ ხარ?

– კარგად.

– ეს ფაჰრუნისაა, მაგრამ ფაფა დაუძახე, თორემ გაბრაზდება.

ფაფას ლამაზი გოგო არ ეთქმის. ხელი ჩამოვართვი.

– ესეც ჯეილანი!

ჯეილანს მკაცრად და მსუბუქად ჩემოვართვი ხელი. ერთბაშად თვალის არიდება მომინდა. როგორ მომინდა, შეყვარებული ვყოფილიყავი! მაგრამ სისულელეა, ბავშვური ახირება. ზღვას გავხედე. მინდოდა, მშვიდად ვყოფილიყავი. საუბარი გააბეს. ყველას მალე დავავიწყდი.

– წყლის თხილამურებიც ძნელია.

– ერთხელ მაინც რომ შევძლო წყალზე დადგომა!

– რაც უნდა იყოს, თოვლის თხილამურებივით სახიფათო არ არის.

– საბანაო კოსტიუმი შემოტმასნილი უნდა გქონდეს, უნდა გიჭერდეს.

– ადამიანს მკლავები სტკივა.

– თუ ფიქრეთი მოვა და დავიწყებთ...

გული გამიწყალდა, ფეხი მოვინაცვლე, ჩავახველე.

– დაჯექი, ადამიანო! – მითხრა ვედათმა.

დარწმუნებული ვიყავი, ძალიან ფიქრიანად გამოვიყურებოდი.

– დაჯე! – მითხრა ჯეილანმა.

ჯეილანს შევხედე. ლამაზი გოგონაა. მისი შეყვარება შეიძლება. ცოტაც და, დავიჯერე, რომ მიყვარდა.

– იქ ერთი შეზლონგი იყო, – მითხრა ჯეილანმა და ცხვირის წვერით მიმანიშნა, სად.

შეზლონგის მოსატანად მივდიოდი, როცა ბეტონის სახლის ღია კარში თვალი მოვკარი ძვირფას, ამაზრზენ ავეჯს. აი, ისეთს, ამერიკულ ფილმებში ცოლ-ქმარი რომ ჩხუბობს, თან ხელში ვისკის ჭიქები უჭირავთ. სწორედ ასეთი სავარძლები უდგათ. სახლიდან ამ ავეჯისა და ფუფუნების სუნი გამოდიოდა. ის სუნი თითქოს მეკითხებოდა: აქ რა გესაქმება, ამათთან საერთო რა გაქვსო? მართლაც! მე ხომ ყველა მათგანზე ნიჭიერი ვარ! მებაღე ისევ რწყავდა ბაღს. შეზლონგი მოვიტანე, იოლად გავხსენი, დავჯექი და ფიქრი დავიწყე: მართლა შეყვარებული ვარ? თან ყური მათკენ მქონდა.

ფაფა თავისი კლასის ამბებს ყვებოდა. ჯეილანი – მისი თანაკლასელი – ახლა ეს მოყევი, ახლა – ისო, – ეუბნებოდა და როცა მოყოლა დასრულდა, კარგა გვარიანად ვიყავი მზისგან დახრუკული. არა თქვან, იუმორის გრძნობა ღალატობსო და, მეც მოვყევი, როგორ მოვიპარეთ დირექტორის კაბინეტიდან საგამოცდო საკითხები. დაწვრილებით მოვყევი, მაგრამ ის აღარ მითქვამს, მდიდარი მამების უტვინო შვილებს მივყიდეთ-მეთქი, ამით რამდენი ფული გავაკეთეთ. როგორ გინდა ამათ გააგებინო, რომ იძულებული ხარ ხანდახან ასეთი პატარა საქმეები აკეთო, რათა შენც გქონდეს „ომეგის“ ფირმის საათი. მე ხომ არა მყავს მამა, რომელიც დაბადების დღეზე, ანდა სულაც უმიზეზოდ რამეს მაჩუქებს. ასეთ საქციელს ცუდი თვალით უყურებენ, თუმცა მათი მამები დილიდან საღამომდე უარეს საქმეებს ატრიალებენ. ამ დროს საშინელი ხმაურით მოგვიახლოვდა მოტოციკლი. ყველამ მისკენ მიიხედა. მივხვდი, ფიქრეთი უნდა ყოფილიყო. ისეთი სიჩქარით მიაგდო მოტოციკლი ნავმისადგომთან, თითქოს უნდა დაანგრიოსო, წყალი ააჩქეფა და გაჩერდა. გაჭირვებით გადმოვიდა ნაპირზე.

– რა ხდება, ბავშვებო? – იკითხა და შემათვალიერა.

– გაიცანით ერთმანეთი, – გვითხრა ვედათმა – მეთინი, ფიქრეთი.

– ბავშვებო, რას დალევთ? – იკითხა ჯეილანმა.

ყველამ კოკა-კოლა მოინდომა. ფიქრეთმა არც კი უპასუხა, მხოლოდ ცხვირი აიპრუწა და ხელით ანიშნა „თავი მისკდებაო“. ჯეილანს რამე აწუხებდა თუ არა, ვერ გავიგე, მაგრამ სხვა რამეს მივხვდი: ამ თქვენი ფიქრეთის ოინებს წლებია ვიცნობ.

ჯეილანმა სასმელი მოიტანა. დიდხანს ისხდნენ, ხელში ჭიქები ეჭირათ და საუბრობდნენ.

– მუსიკას უსმენთ?

– საღამოს სად წავალთ?

– აკი ამბობდი, ელვისი მაქვსო? სად არის?

– მქონდა. რა იქნა ის „Best of Elvis“?

– არ ვიცი.

– მოვიწყინე.

ლაპარაკმა და მცხუნვარე მზემ დაღალა, ცოტა ხანს ჩუმად იყვნენ. მერე ალაპარაკდნენ, მერე ისევ გაჩუმდნენ. სანამ ისინი დუმდნენ, სადღაც ჩამალული რეპროდუქტორიდან ვულგარული მუსიკა გადმოიღვარა.

– ძალზე იაფფასიანი მუსიკაა, „ლიფტის მუსიკა“. ამერიკაში ასეთ რამეებს ხანგრძლივი ლიფტის მგზავრებს ასმენინებენ.

– ხანგრძლივი ლიფტის მგზავრებს? – იკითხე შენ, ჯეილან და მეც ავლაპარაკდი. თან გაკვირდებოდი, მთელი გულისყურით მისმენდი თუ არა. რადგან უკვე დარწმუნებული ვარ, რომ მიყვარხარ. გიყვებოდი, რა ადგილი უჭირავს ლიფტს ნიუ-იორკელთა ცხოვრებაში, იმ 102 სართულიან ცათამბჯენებზე, საიდანაც ხედი ორმოცდაათი მილის რადიუსით იშლება. ბევრი ვილაპარაკე, მაგრამ არ მითქვამს, ნიუ-იორკში არ ვყოფილვარ და არც ის ხედი მინახავს-მეთქი. სამაგიეროდ, „ბრიტანიკის“ ენციკლოპედიის 1957 წლის გამოცემაში ამოკითხული ინფორმაციით მოვიწონე თავი; ნიუ-იორკის მოსახლეობა არის 7.891.957.

– უჰ! რას დაგიზუთხავს! – დამცინა ფაფამ და შენც გაგეცინა, ჯეილან.

დაზეპირება არა მჭირდება-მეთქი, გითხარით და ჩემი განსაკუთრებული ნიჭის გამოსაჩენად ვთქვი: ერთ წუთში ორნიშნა რიცხვების გადამრავლება შემიძლია.

– მართალია, – დამემოწმა ვედათი, – ამ ტიპს საოცარი თავი აქვს – მთელმა სკოლამ იცის.

– ჩვიდმეტჯერ ორმოცდაცხრა? – მკითხა ჯეილანმა.

– 8331-მეთქი.

– სამოცდაათჯერ თოთხმეტი?

– 1008!

– რა ვიცით, რომ სწორია? – ისევ იკითხა ჯეილანმა.

აღელვებული ვიყავი, მაგრამ მხოლოდ ვიღიმოდი.

– ქაღალდი და ფანქარი მოვიტანო?

ჩემმა ღიმილმა ნერვები მოგიშალა, ჯეილან, წამოხტი და იმ საშინელი ავეჯით გამოტენილ სახლში გაიქეცი. ცოტა ხანში დაბრუნდი. შვეიცარიული სასტუმროს შტამპიანი ქაღალდი (თუ ბლანკი) და ვერცხლის კალამი მოიტანე. მწყრალად დაიწყე:

– 33X27=?

– 891.

– 17X27=?

– 513.

– 81X79=?

– 6399.

– 17X19=?

– 323! არა, 373!

– თუ შეიძლება, ერთხელ კიდევ გაამრავლე, ჯეილან!

– 323!

– 99X99?

– ეგ ყველაზე ადვილია – 9801!

ვბრაზობდი, ჯეილან. ასე იშვიათად ვბრაზობ ხოლმე.

– მართლაც მაგრად გაგიზუთხავს.

კვლავ ვიღიმოდი და ვფიქრობდი: მგონი, იმ მდარე წიგნებში სიმართლე წერია: სიყვარული სიბრაზით იწყებაო.

მერე ჯეილანმა ფიქრეთის კატერი გამოიყენა და წყლის თხილამურებით სრიალი დაიწყო. მე კი მეტოქეობაზე დავფიქრდი და მივხვდი! ამ ფიქრით საღამომდე თავს შევიქცევდი.

ეჭვი აღარ მეპარებოდა, შეყვარებული ვიყავი!

6.

გავიღვიძე, ავდექი, ჰალსტუხი გავიკეთე, პიჯაკი ჩავიცვი და გარეთ გამოვედი. წყნარი, გაჩახჩახებული, ლამაზი დილა იყო. ხეებს ყვავები და ბეღურები შესეოდნენ. ჟალუზებს შევხედე: ყველა დახურულია, ესე იგი, ჯერ ისევ სძინავთ. წუხელ გვიან დაწვნენ. ფარუქ ბეიმ დალია. ის სვამდა, ნილგუნი შესჩერებოდა. დიდი ქალბატონი წამდაუწუმ ზემოდან გვეხმიანებოდა. მეთინის მოსვლაც არ გამიგია. ფრთხილად ავამუშავე ჭის ტუმბო, მის ღრჭიალზე არ გაეღვიძოთ-მეთქი. სახეზე ცივი წყალი შევისხი, შინ შევედი, სამზარეულოდან ორი ნაჭერი პური წავიღე და საქათმეში წავედი. კარის გაღებაზე ქათმები დაფრთხნენ, დაიფანტნენ. ავიღე ორი კვერცხი, წვერი გავუხვრიტე და დავლიე. პურიც შევატანე. მერე კვერცხები წამოვკრიფე, საქათმის კარი ღია დავტოვე და სამზარეულოში დავბრუნდი. ნილგუნი უკვე ამდგარიყო და მიდიოდა. დამინახა და გამიღიმა.

– დილა მშვიდობისა, რეჯეფ.

– დილა მშვიდობისა. ამ დილაადრიანად საით?

– ზღვაზე. მერე ბევრი ხალხი იქნება. ერთხელ შევალ და მალე გამოვალ. აიღე კვერცხები საქათმიდან?

დიახ-მეთქი, ვუთხარი და რატომღაც თავი დამნაშავედ

ვიგრძენი.

– საუზმე გნებავთ?

– მინდა, – მითხრა, გამიღიმა და წავიდა.

თვალი გავაყოლე. ყურადღებიანი, ჭირვეული, ფრთხილი კატა. ფეხზე სანდლები აცვია. კანჭები შიშველი აქვს. პატარაობაში წკირებივით კანჭები ჰქონდა. შინ შევედი. ჩაისათვის წყალი დავდგი. დედამისიც ეგეთი იყო. ახლა სასაფლაოზეა. უეჭველად წავალთ, ვილოცებთ. ნეტა, დედა თუ ახსოვს? სამი წლისა იყო, არ ემახსოვრება. დოღან ბეი აღმოსავლეთში გუბერნატორი იყო. ბოლო ორ ზაფხულს ოჯახს აქ გზავნიდა. დედაშენი მთელი დღე ბაღში იჯდა, მზეზე. მეთინი ხელში ეჭირა, შენ გვერდით ედექი, სახეზე მზე ადგა, მაგრამ არ ეკიდებოდა. იყო თეთრი, გამტკნარებული, როგორც ჩამოსვლის დღეს. ვეტყოდი: პატარა ქალბატონო, ალუბლის წვენი მიირთვით-მეთქი. გმადლობ, რეჯეფ, აქ დადგით. დავდგამდი. ორი საათის შემდეგ მივიდოდი, ვნახავდი, უშველებელი ჭიქიდან მხოლო ორი ყლუპი მოესვა. მერე მოვარდებოდა ფარუქი. მსუქანი, ოფლში გახვითქული. დედა, მშიაო, – იტყოდა და ერთი ამოსუნთქვით დალევდა. გაათავებდა. ყოჩაღ! სუფრა გამოვიღე. მაგიდაზე ვაფარებდი, არყის სუნი მეცა. ფარუქ ბეის წუხელ არაყი დაჰღვრია. წავედი, ჩვარი მოვიტანე, გავწმინდე. წყალი ადუღებულიყო. ჩაი დავაყენე. გუშინდელი რძეც არის. ნევზათთან ხვალ წავალ. ყავის დასალევად ვერ მოვიცალე.

ფიქრში წავედი. დრო გამპარვია. სუფრის გაშლა დავიწყე. ამ დროს ფარუქ ბეიც გამოჩნდა. კიბეზე მძიმე ნაბიჯებით ჩამოდიოდა, საფეხურები ჭრიალებდა. ბაბუამისის ფეხქვეშაც ასე ჭრიალებდა კიბე. დაამთქნარა, რაღაც ჩაიბურტყუნა.

– ფარუქ ბეი, ჩაი დავაყენე. დაბრძანდით, საუზმეს მოგართმევთ, – ვუთხარი.

კი არ დაჯდა, სკამზე მუხლებით შედგა.

– რძეს ხომ არ მიირთმევთ? კარგი რძე გვაქვს.

– მომიტანე. კუჭზე მარგებს.

სამზარეულოში წავედი. კუჭი! ამდენი სმით დაგროვილი შხამი საბოლოოდ იქ ნახვრეტს აკეთებს. დიდი ქალბატონი ამბობს,

თუ გაუთავებლად სვამ, ბოლოს და ბოლოს, მოკვდებიო. გაიგონეთ, არა, ექიმმა რა თქვა? დოღან ბეი სადღაც, სივრცეში იყურებოდა და ფიქრობდა. მერე თქვა: კარგი იქნება, მანამდე მოვკვდე, სანამ ჩემი თავი მუშაობას შეწყვეტსო. დედა, თუ არ ვიფიქრე, ვერ ვიცოცხლებო. დიდმა ქალბატონმა უთხრა, არა, შვილო, ეს ფიქრი კი არა, დარდიაო. მაგრამ უკვე დაევიწყებინათ ერთმანეთის მოსმენა. მერე დოღან ბეი იმ წერილების წერა-წერაში მოკვდა. მამამისივით პირიდან სისხლი წამოუვიდა (ცხადია, კუჭიდან) და მოკვდა. დიდი ქალბატონი მოთქვამდა, ყვიროდა. მეძახდა, თითქოს შველა შემეძლო. სანამ მოკვდებოდა, გასისხლიანებული პერანგი გავხადე, სუფთა, გაუთოებული ჩავაცვი და მოკვდა. სასაფლაოზე უეჭველად წავალთ. რძე ავადუღე, ჭიქაში ჩავასხი. კუჭი ბნელი, გამოუცნობი სამყაროა, რომელსაც მხოლოდ იუნუს წინასწარმეტყველი[18] იცნობს. როცა იმ სამყაროზე ვფიქრობდი, თმები ყალყზე მიდგებოდა. მაგრამ კუჭი სადა მაქვს, არ ვიცი, იმიტომ, რომ იმათ არა ვგავარ. ზღვარს არასოდეს გადავდივარ. როცა რძე მივიტანე, ვნახე, ნილგუნი უკვე დაბრუნებულიყო. ასე მალე! თმები სველი აქვს, ლამაზია! ვკითხე:

– საუზმე მოგართვათ?

– დიდედა სასაუზმოდ არ ჩამოდის?

– ჩამოდის. საუზმეზე და ვახშამზე ჩამოდის ხოლმე.

– სადილად რატომ არ ჩამოდის?

– პლაჟის ხმაური აწუხებს. სადილი სინით ამაქვს ხოლმე.

– დიდედას დაველოდოთ. როდის იღვიძებს?

– კარგა ხნის გაღვიძებულია.

საათზე დავიხედე – ცხრის ნახევარი იყო.

– ჰო, მართლა, რეჯეფ, – მითხრა ნილგუნმა, – ბაყალთან გაზეთები ვიყიდე. ამის შემდეგ სულ მე ვიყიდი ხოლმე.

– თქვენი ნებაა, – ვუთხარი და წასვლა დავაპირე. ამ დროს ფარუქ ბეი აყვირდა:

– იყიდი და მერე რა? თუ გეცოდინება, რამდენმა კაცმა რამდენი კაცი მოკლა, რამდენი ფაშისტია, რამდენი მარქსისტი, რამდენი

კიდევ – დამოუკიდებელი, რა მოხდება?

ოთახში შევედი. ზევით ავდიოდი, თან ვფიქრობდი: რა არის ეს მოუსვენრობა, სულსწრაფობა? იცით, რა გინდათ? რატომ მცირედს არ სჯერდებით? რეჯეფ, შენ ამას ვერ გაიგებ. სიკვდილი! ვფიქრობ, მეშინია, ადამიანი ვარ და მაინტერესებს. სელაჰათინ ბეის უთქვამს, ყველა ცოდნის სათავე ინტერესიაო. გაიგე, რეჯეფ? როგორც იქნა, მეორე სართულზე ავაღწიე. კარზე დავაკაკუნე.

– ვინ არის?

– მე ვარ, დიდო ქალბატონო, – ვუპასუხე და შევედი.

კარადა გამოეღო და რაღაცას ეძებდა. ჩემს დანახვაზე კარადის კარი მიხურა.

– რა არის? ქვემოთ რა აყვირებთ?

– საუზმეზე გელოდებიან.

– მერე, ამიტომ ყვირიან?

კარადის სუნი ოთახს მოსდებოდა. ძველი, ნაცნობი სუნი იყო.

ვყნოსავდი. ვიგონებდი.

– ბატონო? ისე, ხუმრობენ.

– დილაადრიანად, თანაც მაგიდასთან?

– თუ ეს გაინტერესებთ, გეტყვით, დიდო ქალბატონო, ფარუქ ბეი არ სვამს. ამ დროს ვინ სვამს?

– იმათ ნუ იცავ, მეც ნუ მატყუებ, მაშინვე ვხვდები...

– არ გატყუებთ, საუზმეზე გელოდებიან.

კარადის კარს შეხედა.

– ქვემოთ ჩაგიყვანოთ?

– არა.

– საწოლში ისაუზმებთ? თქვენი სინი ამოგიტანოთ?

– ამოიტანე. იმათ უთხარი, მოემზადონ.

– მზად არიან.

– კარი გაიხურე.

გამოვიხურე. კიბეზე ჩავედი. ყოველ წელს, სასაფლაოზე წასვლის წინ, ერთხელ კიდევ გადმოაქოთებს თავის კარადას, თითქოს შიგ იპოვის რამეს, რაც არ სცმია. ბოლოს მაინც იმ უცნაურ, საშინელ, სქელ პალტოს ჩაიცვამს. სამზარეულოში შევედი. პური სინზე დავდე. მერე წავუღებ.

– წაიკითხე! მიდი, ერთი, წაიკითხე დღეს რამდენი მიცვალებული ყოფილა, – ეუბნებოდა ფარუქ ბეი ნილგუნს.

– ჩვიდმეტი, – უპასუხა ნილგუნმა.

– მერე? ამას რა შედეგი მოჰყვება?

ნილგუნმა უფრო ჩარგო ცხვირი გაზეთში, ვითომ ძმის სიტყვები არც გაუგონია.

– არც არაფერი. ერთი რამე აზრი, მნიშვნელობაც არ დარჩენილა, – თქვა ფარუქ ბეიმ. თითქოს კმაყოფილიც კი ჩანდა ამით.

– დიდი ქალბატონი საუზმეზე ჩამოსვლას არ აპირებს. თქვენ მოგართვათ?

– რატომ არ ჩამოდის?

– არ ვიცი, კარადაში იქექება.

– კარგი, ჩვენ მოგვიტანე.

– ნილგუნ ხანუმ, სველი საბანაო კოსტიუმით ზიხართ. გაცივდებით. ადით, ჩაიცვით და ისე წაიკითხეთ ეგ თქვენი გაზეთი.

– ნახე, შენი ნათქვამი არც კი გაუგონია, – მითხრა ფარუქ ბეიმ, – ჯერ ისეთი ახალგაზრდაა, რომ გაზეთებისა სჯერა. მღელვარებით კითხულობს მიცვალებულებზე.

ნილგუნ ხანუმმა გამიღიმა და წამოდგა. მეც სამზარეულოში ჩავედი. გაზეთებს დაეჯერება? პური გავხუხე. ქალბატონს სინი გავუმზადე. გაზეთს დიდი ქალბატონიც კითხულობს. აინტერესებს, ნაცნობი მიცვალებულები ხომ არ არიანო. ბომბითა და ტყვიით დაღუპული ახალგაზრდა კი არა, საკუთარ ლოგინში გარდაცვლილი ვინმე მოხუცი. ზოგჯერ, როცა

მიცვალებულთა გვარები არაფერს ეუბნება, ბრაზდება, ბუზღუნებს. მერე გაზეთიდან ჭრის და ინახავს. თუ ძალიან გაბრაზებული არ არის, გვარებს დასცინის. ეს მოგონილი გვარები საშინელებაა, ამბობს[19]. მართლაც, რას ნიშნავს გვარი? მაგალითად, ჩემი გვარი კარათაშია. მამაჩემმა მომცა. მნიშვნელობა ცხადია, მაგრამ ზოგი გვარი რას ნიშნავს, არ მესმის. ამათი გვარიც ასეთია. კარზე დავაკაკუნე და შევედი. დიდი ქალბატონი ისევ კარადასთან იდგა.

– საუზმე მოგართვით, დიდო ქალბატონო.

– მანდ დადგი.

– მალე მიირთვით, რძე გაგიცივდებათ.

– კარგი, კარგი! – სინს არ უყურებს, თვალი კარადისკენ უჭირავს. – კარი მიხურე!

მივხურე. მერე პურები გამახსენდა. ჩავირბინე. ცოტაც და, დაიწვებოდა. ნილგუნ ხანუმის საუზმე სინზე დავდე და მივუტანე.

– მაპატიეთ, დამაგვიანდა.

– მეთინი არ ჩამოვა? – იკითხა ფარუქ ბეიმ.

კარგი! ხელახლა ავედი. მეთინის ოთახში შევედი და გავაღვიძე, ჟალუზები გავხსენი, აბუზღუნდა. ძირს ჩამოვედი. ნილგუნს ჩაი უნდოდა. მაგარი ჩაი დავუსხი, მივუტანე. ვხედავ, მეთინი ჩამოსულა და სუფრასთანაც ზის. ვუთხარი:

– საუზმე ახლავე მომაქვს.

– წუხელ რომელ საათზე დაბრუნდი? – ჰკითხა ფარუქ ბეიმ.

– არ მახსოვს, – უპასუხა მეთინმა. ტანზე მხოლოდ საბანაო ტრუსები და პერანგი ეცვა.

– მანქანაში ბენზინი დატოვე?

– ნუ წუხხარ, აბი! სხვების მანქანებით ვისეირნეთ, „ანადოლი“ აქ არის. ბევრი დარჩა.

– რა დარჩა? – იკითხა ნილგუნმა.

– შენ გაზეთი წაიკითხე, – უთხრა მეთინმა, – მე აბის

ველაპარაკები.

ჩაის მოსატანად წავედი. მეთინისათვის პური გასახუხად დავდე. ჩაი მოვიტანე.

– რძესაც ინებებთ, მეთინ ბეი?

– ყველა შენ გკითხულობდა, – უთხრა მეთინმა ნილგუნს.

– მერე რა?

– რა ვიცი, ადრე გადაბმული მეგობრები იყავით. ახლა ერთი-ორი წიგნი წაიკითხე და აღარ კადრულობ, ამცირებ.

– არ ვამცირებ. მათი ნახვა არ მინდა. ეს არის და ეს.

– სხვა თუ არაფერი, ადამიანი ერთხელ მაინც მიესალმებოდა.

– არ ვესალმები და მორჩა! – თქვა ნილგუნმა.

– რძეც გნებავთ, მეთინ ბეი?

– ნახე? ძალიან იდეური გახდი, ძალიან ხისტი!

– იცი, რა არის იდეოლოგია? – გაკაპასდა ნილგუნი.

– როგორ არ მეცოდინება, როცა ასეთი აბლა მყავს? ტვინი ახალი გამორეცხილი აქვს. ყოველდღე ვხედავ.

– სულელი!

– მეთინ ბეი, რძეც გნებავთ?

– გაჩერდით, ბავშვებო, გეყოფათ! – თქვა ფარუქ ბეიმ.

– რძე არ მინდა! – მითხრა მეთინმა.

სამზარეულოში გავიქეცი, პურები გადავაბრუნე. ტვინები გამოურეცხავთ. სანამ ყველას ტვინიდან ის სიბინძურე, ის ცრურწმენა და ტყუილები არ გამოირეცხება, ჩვენი საშველი არ არისო, – ამბობდა სელაჰათინ ბეი, – წლებია, ამაზე ვწერ, ფატმა.

ერთი ჭიქა რძე დავისხი, ნახევარი დავლიე. როგორც კი პური გაიხუხა, წავუღე.

– სასაფლაოზე, როცა დიდედა ილოცებს, თქვენც ილოცეთ, – ამბობდა ფარუქ ბეი.

– დეიდამ რაც ლოცვები მასწავლა, დამავიწყდა, – თქვა ნილგუნმა.

– რა მალე დაგვიწყებია?!

– საყვარელო, მეც დამავიწყდა, – თქვა ფარუქ ბეიმ, – მასავით გაშალეთ ხელები, არ ეწყინოს-მეთქი, – ვამბობ.

– ნუ წუხხარ, გავშლიო, – მეთინმა, – ასეთ რამეებს მნიშვნელობას არ ვაძლევო.

– შენც გაშალე ხელები, ნილგუნ, თუ შეიძლება – თავზეც დაიფარე რამე, – უთხრა ფარუქ ბეიმ, ნილგუნს.

– კარგი.

– მერე ეს შენს მრწამსს არ ეწინააღმდეგება? – ამბობდა მეთინი.

გამოვედი. ზემოთ ავედი. ესაუზმა და ისევ კარადაში იქექებოდა.

– რა არის? რა გინდა?

– ერთი ჭიქა რძე კიდევ ხომ არ გნებავთ?

– არა!

სინის აღება დავაპირე, კარადის კარი მიკეტა და აყვირდა:

– არ მოუახლოვდე!

– არ ვუახლოვდები. ხომ ხედავთ, სინს ვიღებ.

– ქვემოთ რა ხდება?

– ემზადებიან.

– მე ჯერ კიდევ ვერ შევარჩიე, – თქვა და თითქოს დარცხვენილმა კარადაში შეიხედა.

– იჩქარეთ, დიდო ქალბატონო, მერე სიცხე მოგისწრებთ.

– კარგი, კარგი. კარი კარგად დაკეტე.

სამზარეულოში ჩავედი. ჭურჭლის გასარეცხი წყალი დავდგი. სანამ წყალი გაცხელდებოდა, რძე დავლიე. სასაფლაოზე ფიქრი მომეძალა, ავღელდი, რაღაცნაირად გავხდი. სამრეცხაოში ნანახზეც ვფიქრობდი. ზოგჯერ სასაფლაოზე კაცს ტირილი

მოგინდება. წავედი. მეთინ ბეიმ ჩაი მომთხოვა. მივუტანე. უკვე ჩაეცვა. მეც სამზარეულოში ჩავედი, ჭურჭლის რეცხვა დავამთავრე. წინსაფარი მოვიხსენი. ჰალსტუხსა და პიჯაკზე ხელი შევივლე, თმები გადავივარცხნე, სარკეში ჩემს თავს გავუღიმე. გარეთ გამოვედი.

მზად ვართო, – თქვეს.

ზემოთ ავედი. დიდი ქალბატონიც მზად იყო. კვლავ ის საშინელი შავი პალტო ჩაეცვა. წლიდან წლამდე სიმაღლეში ძალიან იკლებს, ამიტომ პალტოს კალთები უკვე მიწაზე დასთრევს. წვეტიან ფეხსაცმელებსაც კაბის ბოლოდან ცნობისმოყვარე მელიებივით სასაცილოდ გამოეყოთ ცხვირები. ოთახში რომ შევედი, თავსაფარს იკრავდა. ჩემს დანახვაზე შეცბა. ერთხანს ჩუმად ვიყავით. მერე ვუთხარი:

– ამ სიცხეში ასე ჩაცმული გაოფლიანდებით.

– ყველა მზად არის?

– მზად არიან.

ოთახს თვალი მოავლო, რაღაცას ეძებდა. დაინახა, კარადა დაკეტილი იყო. ისევ მიმოიხედა და – ჩამიყვანეო! – მიბრძანა.

ოთახიდან გამოვედით. მიყურა, როგორ დავკეტე კარი, როგორ შევამოწმე, მაგრამ თვითონაც მოსინჯა და რომ დარწმუნდა, დაკეტილი იყო, მხარზე დამეყრდნო და ნელ-ნელა კიბეზე დავეშვით, ეზოში გავედით. სხვებიც მოვიდნენ. დიდ ქალბატონს მანქანაში ვსვამდით.

ყველა კარი კარგად დაკეტეთო? – იკითხა.

დიახ, დიდო ქალბატონო-მეთქი, მაგრამ მაინც წავედი, ერთხელ კიდევ ჩამოვუარე, ყველა კარი შევამოწმე.

ბოლოს, როგორც იქნა, მადლობა ალაჰს, მანქანაში ჩაჯდა!

7.

ავტომანქანა ერთბაშად დაიძრა და ჯაყჯაყით წავიდა. ღმერთო, როგორ ვღელავდი! ჩემი ბავშვობა გამახსენდა. თავი მაშინდელ ცხენებშებმულ ეტლში მეგონა. მერე თქვენზე ფიქრი მომეძალა:

ცოტაც და – ავტირდებოდი, მაგრამ არა, ჯერ არა, ფატმა. ახლა, ქუჩაში გასული, მანქანის ფანჯრიდან ვიყურები და ვფიქრობ: ალბათ, რეჯეფი შინ მარტოა. მანქანა შეჩერდა, ველოდებით. მალე ჯუჯაც გამოჩნდა, მეორე მხრიდან შემოვიდა და უკან დაჯდა. კიდევ ვკითხე:

– რეჯეფ, ყველა კარი კარგად დაკეტე?

როცა მანქანა გზას დაადგა, რეჯეფმა, დიახ, ფარუქ ბეიო, – თქვა.

სავარძლის საზურგეს მივეყრდენი.

– დიდედა, გაიგონეთ? რეჯეფს კარები მაგრად დაუკეტავს. მერე შარშანდელივით არ დაიწყოთ, ღია დარჩა, არ დაუკეტავსო.

დაკეტილიაო, თქვეს და გამახსენდა: სელაჰათინმა ჭიშკარზე ფირფიტა დაკიდა: „ექიმი სელაჰათინიო, მიღების საათებიო“. მეუბნებოდა, უქონელი ავადმყოფებისაგან ფულს არ ავიღებ, ხალხთან დაახლოება მინდაო. მაინც ბევრი ავადმყოფი არა გვყავსო. მართლაც, დიდ ქალაქში ხომ არ ვცხოვრობდით. ზღვის სანაპიროზე, ერთ მივარდნილ სოფელში კი იმხანად რამდენიმე ღატაკი გლეხის გარდა არავინ იყო; ახლა საითაც გაიხედავ, სასახლეებს, მაღაზიებს, დუქნებს, შიშველ ბრბოს ხედავ! პლაჟისაკენ არ გაიხედო, ფატმა! რა გუგუნი უდგათ? რა ზედახორა გაუმართავთ? ყველა ერთმანეთს აყრია. ნახე, სელაჰათინ, შენი ოცნების ჯოჯოხეთი დედამიწაზე ჩამოსულა. თუ სულ ეს იყო, რასაც ნატრობდი, უყურე ახლა და გაიხარე!

– დიდედა ყველაფერს ინტერესით ათვალიერებს.

სულაც არა. ეს შენი ურცხვი შვილიშვილები მიგრძელებენ გზას. ცოტას გაგატარებთო, მეუბნებიან. ამათ შენნაირი ვგონივარ. რა ქნან საწყლებმა?! ასეთებად დაიზარდნენ. ჯერ იყო და – ჩვენი შვილი შენ დაიმსგავსე, მერე დოღონმაც ვერ მოახერხა შვილებთან ახლოს ყოფნა. ბოლოს ხომ სულაც დეიდების ამარა დარჩნენ – იმათ დაზარდეს, ახლაც ისინი პატრონობენ. მე თავი არაფრისა მაქვს. დეიდის გაზრდილი კი ამაზე უკეთესი ვერ გამოხვალ.

თუ დიდედა სასაფლაოზე მიდის, ჰგონიათ, მთელი ამ უზნეობის ნახვა აინტერესებს. მე კი არაფერს ვუყურებ. როცა

დავიღლები, ჩანთას ვხსნი და შიგ შემორჩენილ სუნს ვყნოსავ – ჩემი სიბერის სუნს. მერე პატარა, გამხდარ ხელს ჩანთის წყვდიადში ვაფათურებ, ცხვირსახოცს ვპოულობ და მშრალ თვალებზე ვიდებ. ფიქრით მათთან ვარ, მხოლოდ მათთან.

– დიდედა, არ იტიროთ, ახლა რაღა გაქვთ სატირალი?

ეჰ, რა იციან, როგორ მიყვარხართ? როგორ მენატრებით? როგორ მიჭირს მე საცოდავს უთქვენობა, რა მწარეა იმის დაჯერება, რომ აღარა მყავხართ. სწორედ ახლა მაქვს, თუ მაქვს, სატირალიცა და სავაგლახოც.

გეყოფა, ფატმა! მთელი ცხოვრება სიმწარეში გალიე და რით ვეღარ შეეჩვიე?

არაფერია, არაფერი. ვათვალიერებ მაღალ შენობებს, კედლებს, რეკლამებს, ვიტრინებს. ყველაფერი მზარავს. ღმერთო, რა სიბინძურეა! ნუღარ უყურებ, ფატმა!

– დიდედა, ძველად აქაურობა როგორი იყო?

საკუთარ ფიქრებსა და ტკივილებში ჩავიკეტე და არ მესმის, რას მეკითხებით. რა გითხრათ? აქაურობა ბაღებში იყო ჩაფლული. ჩვენი აქ ცხოვრების პირველ წლებში, სანამ პაპათქვენს საბოლოოდ დაეპატრონებოდა სატანა, საღამოობით ხშირად ვსეირნობდით ხოლმე. მეტყოდა: ფატმა, მოდი, გავიაროთო და დავდიოდით. თან ვსაუბრობდით: მომიტევე, აქ ჩავიჭედე და არსად დამყავხარ. არადა სულაც არ მინდა, აღმოსავლელი დესპოტი ქმარივით გექცეოდე. პირიქით, მინდა ჩემს ცოლს ვასიამოვნო, გავართო, გავაბედნიერო. გეტყვი, დღეს რა წავიკითხე. ცოდნის აუცილებლობაზე ვფიქრობ. ვიცი, გაუნათლებლობის ბრალია, ჩვენში ყველაფერი უბადრუკი და კნინი რომ არის. მოვალე ვარ ეს წარმოვაჩინო, მაგრამ მოვალეობაც შემაძრწუნებლად დიდია და მძიმე, ფატმა. თალათ ფაშას მადლობელიც კი ვარ – ამ უკაცრიელ კუთხეში გადმომასახლა და კითხვისა თუ ფიქრის შესაძლებლობა მომცა. თუ არა მარტოობისა და უქმად ყოფნის საათები, ვერასოდეს მივიდოდი ჩემთვის ესოდენ საჭირო აზრამდე, ვერასოდეს ჩავწვდებოდი ამ ისტორიული მისიის მნიშვნელობას, ფატმა. რუსოს ნააზრევიც ხომ მინდორში, ბუნებაში მარტოდმარტო მოხეტიალე კაცის ფანტაზიაა. ჩვენ კი ორნი ვსეირნობთ...

– მარლბორო! მარლბორო!

თავი ავწიე და რას ვხედავ?! პატარა ბიჭს მანქანაში ხელი შემოუყვია და საცაა, მანქანა მკლავს წააცლის. გული გამისკდა, მაგრამ, მადლობა ღმერთს! გადავრჩით. მანქანამ ბეტონის სახლებს შორის გაიარა და აღმართს შეუდგა. გზის აქეთ-იქით

– ძალიან ცხელა, არა, აბი?

კარგად მოვლილი ბაღები იყო. ჩვენი ჩამოსვლის პირველ წლებში, როცა მე და სელაჰათინი აქ ვსეირნობდით, თითო-ოროლა ღატაკი გლეხი გვხვდებოდა, გვესალმებოდა – ჯერ კიდევ არავის ეშინოდა ჩვენი – ბატონო ექიმო, ცოლი ავად მყავს, ღმერთი გიშველით, იქნებ ჩვენსა მობრძანებულიყავით? ისიც მზად იყო, სამსახური გაეწია. მერე კი მეტყოდა: ღარიბები არიან, ფატმა, მეცოდებიან, ფული ვერ გამოვართვიო. მაგრამ როცა სახარჯო შემოგველეოდა და ავადმყოფებიც აღარ მოდიოდნენ, მაშინ ჩემი ბეჭდები, ჩემი ალმასები მიდიოდა... ნეტავ, კარადა თუ დავკეტე? დავკეტე.

– დიდედა, ხომ კარგადა ხართ?

ესენი ხომ არ მოგასვენებენ! უაზრო კითხვებით სულს ამოგხდიან, ცხვირსახოცი თვალებზე მივიდე. ქმარ-შვილის საფლავზე მიმავალი ქალი კარგად როგორ იქნება? მე თქვენ

– შეხედეთ, დიდედა, ისმაილიანთ სახლთან გავივლით. აქ ყოფილა...

ძალიან მეცოდებით... მოიცა, რაო? რას ამბობენ? ღმერთო ჩემო, კოჭლის სახლი აქ ყოფილა! მაგრამ მე არ ვუყურებ. შენი ბუში... ნეტავ, თუ იციან? მე

– რეჯეფ, ისმაილი როგორ არის?

არაფერი ვიცი და ყურადღებით

– კარგად, ლატარიას ყიდის.

ვუსმენ. არა, არ გესმის, ფატმა.

– ფეხი როგორა აქვს?

მხოლოდ საკუთარი თავის, საკუთარი ქმარ-შვილის გადარჩენა, ცოდვისაგან დახსნა მინდოდა. ნეტა, ამათში

– ძველებურად, ფარუქ ბეი, კოჭლობს.

ვინმემ თუ იცის, დანაშაული რომ ჩავიდინე? ჯუჯამ

– ჰასანი როგორ არის?

უთხრა? თავიანთი მამა-პაპასავით ამათაც თურმე

– ცუდად სწავლობს, ინგლისურსა და მათემატიკაში ჩამორჩება. სამუშაოც არა აქვს.

თანასწორობის პრობლემა აწუხებთ. დიდედა, ესენი ჩვენი ბიძები ყოფილან, აქამდე რატომ არ ვიცოდითო, მეტყვიან. ნუღარ ფიქრობ! განა აქ ამისთვის მოხვედი? ჯერ ხომ არ მოვსულვართ? აუცილებლად ვიტირებ. აი, უკვე თვალებზე ცხვირსახოცს ვიდებ. მძიმეა ჩემთვის ეს დღე, მაგრამ მაინც ჩავუჯექი ამათ მანქანაში და ვითომც არაფერი, მოვდივარ. კაცი იფიქრებს, სასეირნოდ გაუწევიათო. გამახსენდა: დიდი ხნის წინათ იყო, ერთად გატარებული ორმოცი წლიდან ერთ-ერთ წელს, ცხენშებმული ურემი მოვიდა. მე და სელაჰათინი დავსხედით და დაუსრულებელ აღმართზე სულ ჯაყჯაყით ავედით. რა კარგი ვქენით, რომ წამოვედით, ფატმა! ჩემი ენციკლოპედიის გადამკიდე ასეთი რაღაცეებისათვის ვეღარ ვიცლი. ერთი ბოთლი ღვინო მაინც წამომეღო. მაგრამ მოხარშული კვერცხებიც არ იქნებოდა ურიგო. მდელოზე დავსხდებოდით, სუფთა ჰაერს ჩავყლაპავდით, ბუნებით დავტკბებოდით, თორემ ჩვენებურად, თურქულად უთავბოლოდ, გახეთქვამდე საჭმელად კი არა. რა კარგად ჩანს აქედან ზღვა! ევროპაში ამას პიკნიკს ეტყვიან. ისინი ხომ ყველაფერში ზომიერებას იცავენ. ფატმა, დამიჯერე, ერთ დღეს ჩვენთანაც ასე იქნება. ჩვენი შვილები თუ ვერ მოესწრებიან, ჩვენი შვილიშვილები

– მოვედით, დიდედა, უკვე მოვედით!

ხომ მაინც იცხოვრებენ ბედნიერად ამ ქვეყანაში, სადაც გაბატონდება ცოდნა და ცხოვრების ევროპული ნირი. შვილები ჩემს საფლავზე მოვლენ. ესეც შენი შვილიშვილები, სელაჰათინ. მანქანის მოტორი რომ გაჩერდა, ლამის გული ამომივარდა. რა სიჩუმეა! როგორ დუმს აქაურობა! ამ პაპანაქებაში გაუთავებელი ლაყბობა და ოთხმოცდაათი წელი. ეს ხომ სიკვდილია! მანქანიდან გადავიდნენ, კარი გამიღეს.

– მობრძანდით, დიდედა, ხელი მომეცით!

ურმიდან გადმოსვლა უფრო ადვილი ყოფილა, ვიდრე ამ პლასტმასის ყუთიდან. ღმერთმა ნუ ქნას და, თუ დავეცი, ვეღარც ავდგები. ხელად დამმარხავენ. ალბათ, კიდევაც გაუხარდებათ.

– ჰო, ეგრე! მკლავი გამომდეთ, დამეყრდენით, დიდედა!

შემინდე, ალაჰ! შეიძლება არც გაუხარდეთ. თანაც, რა დროს ამაზე ფიქრია! საფლავებს შორის მივდივართ, ნელ-ნელა მივაბიჯებთ. ერთ მხარეს ერთი მომყვება ხელკავით, მეორე მხარეს – მეორე. ღმერთო, ეს ლოდები გულზე შიშად მაწვება.

– კარგად ბრძანდებით, დიდედა?

ერთ დღესაც ასეთი თაკარა მზის ქვეშ უკაცრიელ, მიტოვებულ სასაფლაოზე, ხმელი ბალახის სუნში მეც მივუწვები ამათ.

– სად იყო?

ახლა მაგაზე ნუ ფიქრობ, ფატმა!

– ფარუქ ბეი, აქეთ მობრძანდით!

უყურეთ ერთი! ჯუჯა ისევ ლაპარაკობს. უნდა, დაგვანახვოს, საფლავებს შვილიშვილებზე უკეთ ვაგნებ, იმიტომ, რომ მისი შვილი ვარო. ნამდვილად ამის თქმა უნდა, მაგრამ დანარჩენებმაც

– აქ არის!

თავიანთი დედ-მამის საფლავების დანახვაზე

– დიდედა, მოვედით, აქ არისო!

რატომ გაიხარეს? ტირილი მომინდა. აქა ხართ, ჩემო საბრალოებო! ხელი გამიშვით, მარტო დამტოვეთ. ცხვირსახოცი თვალებში ამოვისვი. გიყურებთ და ვფიქრობ, ალაჰ, რატომ მეც არ წამიყვანე-მეთქი. ალბათ, იმიტომ, რომ ვერასოდეს მძლია სატანამ. მაგრამ აქ თქვენს დასამუნათებლად არ მოვსულვარ, უნდა ვიტირო. ცხვირი მოვიხოცე და როცა წამით სუნთქვა შევიკარი, მათი ყბედობა გავიგონე, ცხვირსახოცი ჯიბეში ჩავიდე, ხელები გავშალე და „ფათიჰას“[20] კითხვა დავიწყე. დავასრულე და თავი ავწიე, დავინახე, მათაც გაუშლიათ

ხელები. ყოჩაღ, ნილგუნ, თავიც ლამაზად წაუკრავს. მაგრამ ამ ჯუჯას ყალბი თავგამოდება მეზიზღება. მომიტევე, უფალო, მაგრამ მზარავს, როცა ვხედავ, როგორ ეამაყება კაცს თავისი ნაბიჭვრობა! ვითომ ჩვენზე მეტად უყვარდე, ვითომ უფრო გულმხურვალედ ლოცულობს. ვინ გინდა, მოატყუო? ჩემი ხელჯოხი მაინც წამომეღო! სად დამრჩა? მაგრამ მე აქ მხოლოდ შენზე უნდა ვიფიქრო. მიტოვებული, მოუვლელი საფლავის ლოდქვეშ წევხარ და შენი საფლავის ქვაზე ვკითხულობ:

ექიმი სელაჰათინ დარვინოღლუ

1881-1942

მშვიდობა მის სულს

ოდესმე იფიქრებდი, რომ ერთ დღეს მოვიდოდი და წავიკითხავდი? არადა, ეს-ეს არის წავიკითხე. არ გჯეროდა, თუ ოდესმე შენს სულს ჯოჯოხეთური ტანჯვა ელოდა. ამაზე ფიქრსაც თავს ვარიდებ, მაგრამ მე უბრალო ვარ. რამდენჯერაც გაგაფრთხილე, მოინანიე-მეთქი, იმდენჯერ დამცინე, გამლანძღე: სულელო, ბრიყვო დედაკაცო! შენც სხვებივით გამოგირეცხეს ტვინი! არც ალაჰი არსებობს, არც საიქიო. ის ქვეყანა ამაზრზენი ტყუილია, რომელიც იმისთვის მოუგონიათ, რომ სააქაო ცხოვრების გზაზე თავიანთ ჭკუაზე გვატარონ. ღმერთის არსებობის საბუთად, სქოლასტიკური აბდაუბდის გარდა, არაფერი გაგვაჩნია. ჩვენ კი უნდა ვიცოდეთ: არსებობს საგნები და მოვლენები, ანუ ფაქტები და მათ შორის კავშირის დადგენაა მთავარი. ეს არის და ეს. მთელ აღმოსავლეთს გავაგებინებთ: ალაჰი არ არსებობს. გესმის, ფატმა? შეეშვი, ამაზე ნუ ფიქრობ. მე იმ პირველი დღეების გახსენება მინდა, როცა სატანა ჯერ არ დაგპატრონებოდა, როცა სინამდვილეში დიდი ბავშვი იყავი და მამაჩემისთვის რომ ეკითხათ, ბრწყინვალე მომავალი გელოდა. აკი იჯექი კიდეც შენს კაბინეტში და ღმერთმა იცის, რა დღეში ყრიდი საბრალო ავადმყოფებს. ზოგჯერ ფერუმარულიანი, თავშიშველი ევროპელი ქალებიც აკითხავდნენ. ერთად ჩაიკეტებოდნენ ხოლმე... იშვიათად მათი ქმრებიც მოდიოდნენ. მე გვერდით ოთახში ვიჯექი და ვნერვიულობდი. ფატმა, მცდარი აზრი არ გაივლო თავში. დიახ, დიახ, ყველაფერი მათ გამო მოხდა. აქ დაფუძნებული ერთი-ორი მუშტარი, ანუ, როგორც სელაჰათინი ეძახდა – ავადმყოფი – შევიჩვიეთ. ეს ადვილი როდი იყო. აი, ხომ ხედავ, სელაჰათინ, ამ საქმეში კიდევაც გამართლებ.

შორეული სოფლებიდან ჩამოსული რამდენიმე მეთევზე, სანაპიროზე, მიტოვებულ ყავახანაში ზანტად რომ თვლემს, ავად არასოდეს ხდება. ამ სუფთა ჰაერზე ავად რა გახდის? თუნდაც გახდეს, ჩვენი არსებობა არც კი იცის. ვინც იცის, ისიც არ მოდის. ანდა, ვინ უნდა მოვიდეს? რამდენიმე ქოხის ბინადარი უბირი გლეხი? უფრო შორიდან კი მოდიოდნენ: იზმითიდან, გებზედან. გაეგონათ მისი სახელი და გვაკითხავდნენ. ყველაზე მეტი მომსვლელი გებზედან იყო. თუზლადანაც ბევრი იყო. ჩასხდებოდნენ ნავში და მოდიოდნენ. ფულის კეთება დაიწყო, მაგრამ ავადმყოფებს თავს აბეზრებდა. ალაჰ! მეორე ოთახიდან გულგახეთქილი ვუსმენდი: ამ იარაზე რა წაგისვამს? ბატონო ექიმო, ჯერ თუთუნი დავიყარე, მერე წივა დავიდე. ალაჰ! ეს საქმეა? როგორ შეიძლება?! რაღა დროს „დედაბრის წამლებია?!“ გაიგეთ, უკვე არსებობს ის, რასაც მეცნიერება ჰქვია. ამ ბავშვს რაღა დაემართა? სიცხე აქვს, ბატონო ექიმო, მეხუთე დღეა, იწვის. მერე აქამდე სად იყავით? ადრე რატომ არ მოიყვანე? ვერა ნახეთ, ბატონო ექიმო, ზღვა როგორ ღელავდა? ეგეც არ იყოს, თუ ალაჰმა ასე დაუწერა, ჩვენ რა ძალა გვაქვს? რა ალაჰი, ადამიანო? გაიგე, ალაჰი არ არსებობს, მოკვდა. ნუ სცოდავ, სელაჰათინ! რას ჰქვია „ვცოდავ?“ სულელო დედაკაცო, შენც ამ ბრიყვი გლეხებივით ლაყბობ! მარცხვენ, ჩემო ცოლო! ამდენი ხალხის ადამიანებად ქცევას ვაპირებ და საკუთარი ცოლის თავში ორიოდე აზრი ვერ გამიჩენია! როგორი რეგვენი ხარ! ბოლოს და ბოლოს, მიხვდი შენს უტვინობას და რაიმე დამიჯერე! კარგი, გიჯერებ, მაგრამ შენ ამ სიმწრით ნაშოვნ ავადმყოფებსაც დააფრთხობ და გააქცევ, სელაჰათინ. ამის გამგონე უფრო ცეცხლდებოდა. მეორე ოთახში მესმოდა, როგორ მიიღო ვიღაც ქალი, საბრალოს აქ მოსასვლელად თავის ქმართან ერთად დიდი გზა გამოევლო. ამ ქალმა გაიხადოსო! – ბრძანა. უტვინო გლეხო, ამის ქმარი იქნები, უთხარი, გაიხადოს! არ იხდის? მაშინ არ გავსინჯავ. აქედან დაიკარგეთ! თქვენი სულელური პრინციპების მორჩილი არასოდეს ვიქნები. გთხოვთ, ბატონო ექიმო, რამე წამალი მიეცით. თუ შენი ცოლი არ გაიხდის, წამალი არ იქნება. მომწყდით თავიდან! ყველანი ალაჰზე ტყუილების ლაპარაკით გაგასულელეს. სელაჰათინ, ეგებ ენა გააჩერო. ასე ნუ ელაპარაკები, რაც უნდა იყოს... არავისიც არ მეშინია. ვიცი, რასაც ამბობენ ჩემს ზურგს უკან. უღმერთოაო, თავად სატანაა ეს ექიმი, გინახავთ, მაგიდაზე თავის ქალა უდევსო? მისი ოთახი წიგნებით არის გატენილიო;

უცნაური, ჯადოსნური ხელსაწყოები აქვსო; ერთი მინა აქვს – რწყილს აქლემად აქცევსო; მილები აქვს – ბოლს უშვებსო; მაგიდაზე ერთი ნემსგაყრილი მკვდარი ბაყაყი უდევსო; არ წახვიდეთო. მართლაც, რომელი ჭკუათმყოფელი ანდობს თავის სიცოცხლეს ამ უღმერთოს. ის ხომ ჯანსაღ ადამიანს დაასნეულებს; ვინც მის ზღურბლს გადააბიჯებს, პირდაპირ სატანას ჩაუვარდება ხელშიო. ამასწინათ იარამჯადან ჩამოსული ავადმყოფისათვის უთქვამს: გონიერ კაცსა ჰგავხარ, თვალში მომიხვედი, წაიღე ეს ნაწერი და სოფლის ყავახანაში შეკრებილებს წაუკითხე, ტიფსა და ჭლექზე ვწერ, მათ საწინააღმდეგოდ რა უნდა მოიმოქმედოთ, იმასაც გასწავლით და იმასაც, რომ ალაჰი არ არსებობს. წადი და გადაარჩინე შენი სოფელი. მერე ყველა სოფელში თუ შენისთანა კაცის გაგზავნას შევძლებ, თუ ის კაცი ყოველ საღამოს ყავახანაში თავს მოუყრის თანასოფლელებს და ერთი საათის განმავლობაში წაუკითხავს ნაწყვეტებს ჩემი ენციკლოპედიიდან, ერი გადარჩება, მაგრამ მანამდე ეს ენციკლოპედია უნდა დავასრულო. ალაჰმა დასწყევლოს! უფრო და უფრო ჭიანურდება. ფატმა, შენი ბრილიანტების, ბეჭდების ზარდახშა მაგრად არის დაკეტილი? არ ყოფილა. ალბათ, ჩემი ბრილიანტების გამო ავადმყოფები აღარ მოდიან. იმ უიმედო სნეულების გარდა, რომლებიც ჭიშკარში შემოვლენ თუ არა, უკვე ნანობენ. უკანაც ვეღარ ბრუნდებიან, ეშინიათ, სატანის რისხვამ არ გვიწიოსო. მაგრამ ეს არ გაწუხებდა, სელაჰათინ. ამბობდი, კარგს შვრებიან, რომ არ მოდიან, ამ სულელების დანახვაზე ნერვები მაწყდებოდა, უიმედობა ბოლოს მიღებდა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს არსებები ადამიანები არიან და არა პირუტყვები. ამას წინათ ერთს ვკითხე – სამკუთხედის შიდა კუთხეების ჯამი რამდენი გრადუსია-მეთქი? რასაკვირველია, ვიცოდი, საბრალო გლეხს წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა იყო სამკუთხედი. ქაღალდი, კალამი ავიღე და ახსნა დავუწყე. მინდოდა მენახა, როგორ დაჰყვებოდა ამათი ტვინი მათემატიკას. რა ქნან საცოდავებმა? რა მაგათი ბრალია? სახელმწიფომ ხელი არ შეუწყო და კარგი განათლება არ მიაღებინა! დიდხანს ვუხსნიდი, ენად გავიკრიფე, ის კი უაზროდ მომჩერებოდა, თანაც – შეშინებული, ისე, როგორც ახლა შენ მომჩერებიხარ, სულელო დედაკაცო, საცოდავო ქმნილებავ! ისე მიყურებ, თითქოს სატანა ვიყო. დიახაც, სატანა ხარ, სელაჰათინ! ახლა ჯოჯოხეთის ცეცხლში იხრუკები. ზებანიები[21], ქვაბები... ნეტავ, მართლა ისეთია სიკვდილი,

როგორიც შენ აღმოაჩინე? აკი მარწმუნებდი, სიკვდილი აღმოვაჩინე და ეს არის ყველაზე მთავარიო. მართლაც საშინელებაა სიკვდილი. როცა წარმოვიდგინე, როგორია საფლავში წოლა, შემეშინდა და

– დიდედა, კარგად ხართ?

თავბრუ დამეხვა. ლამის დავეცი. მაგრამ დარდი არ გქონდეს, სელაჰათინ, მოგწონს თუ არა, უკანასკნელად კიდევ

– თუ გნებავთ, აქ დაბრძანდით, დაისვენეთ, დიდედა!

წავუკითხავ „ფათიჰას“ შენს სულს. გაჩუმდით! გაჩუმდნენ. გავიგონე, როგორ გაიარა მანქანამ. მერე მათი ხმაც მიწყდა. ამინ! ცხვირსახოცს თვალებზე ვიდებ და მივდივარ. შვილო, სულ შენზე ვფიქრობ, სულ მახსოვხარ, მაგრამ ჯერ მამაშენს მივხედე, ჩემო საბრალო, უჭკუო, უბედურო შვილო.

მაზრის უფროსი დოღან დარვინოღლუ

1915-1967

მშვიდობა მის სულს

ვლოცულობ, ჩემო უმწეო, ჩემო განაწყენებულო, გაუხარელო ობოლო, შენთვის ვლოცულობ. ამინ! შენც აქა ხარ. ალაჰ! ერთბაშად ისე გავხდი, თითქოს არც კი მომკვდომოდე. ჩემი ცხვირსახოცი სად არის? აქ ყოფილა. სლუკუნი ამოვუშვი.

– დიდედა, ნუ ტირით!

დროზე რომ არ მომშველებოდნენ, აკანკალებული სლუკუნ-სლუკუნით გავიშხლართებოდი მიწაზე. ალაჰ! რა უბედური ვარ. შვილის საფლავზე მოვედი. შემინდე, უფალო, მაგრამ ასეთი რა შეგცოდე, რატომ დამსაჯე? რაც შემეძლო, ყველაფერი გაგიკეთე, შვილო. განა მინდოდა, ასე მომხდარიყო? რამდენჯერ მითქვამს, შენი მთავარი საქმე ის იქნება, მამას არ დაემსგავსო-მეთქი. მეშინოდა, მამა მისაბაძ მაგალითად არ გაგეხადა. ამიტომ მეჭირე მისგან შორს. ფული არა გვქონდა, მაგრამ ვაინაჩრობით მაინც ვახერხებდი საუკეთესო პანსიონში მყოლოდი. იმ წლებში ოჯახს მხოლოდ ჩემი ბეჭდებით, ალმასებით, ბრილიანტებით ვარჩენდი, მაგრამ შენ არ გიმხელდი. საუკეთესო სკოლებში გასწავლიდი. შაბათობით ნაშუადღევს შინ ბრუნდებოდი, მაგრამ მთვრალი მამაშენი შენს

დასახვედრად სადგურში არ გამოდიოდა. გროშის მშოვნელი არ იყო. თავისი აბდაუბდა, ღვთის მგმობი ნაწერების გამოსაცემად ფულს მძალავდა. მე კი, ზამთრის ცივ ღამეებში მარტოდმარტო დარჩენილი, თავს ვინუგეშებდი – ჩემი შვილი ფრანგულ სკოლაში სწავლობს-მეთქი, მაგრამ ერთ დღესაც, იმის მაგივრად, რომ ინჟინერი ან ვაჭარი გამოსულიყავი, იქ ჩაეწერე, საიდანაც პოლიტიკოსები გამოდიან. თუ მოინდომებდი, იქნებ პრემიერ-მინისტრიც კი გამხდარიყავი, მაგრამ მაინც მეცოდებოდი, პოლიტიკისათვის არ მემეტებოდი. დედა, ამ ქვეყანას მხოლოდ პოლიტიკა დაალაგებსო, – მეუბნებოდი. შვილო, არც დედა გეცოდებოდა? შენი დასალაგებელი გახდა ეს ქვეყანა, ჩემო უჭკუო შვილო? დაღლილი, დაფიქრებული არდადეგებზე ჩამოხვიდოდი და – რა უბედური ვიყავი! მამასავით დარდიანს მასავით ბოლთის ცემა დაგჩემდა. ამ ასაკში სიგარეტსაც ეწევი, შვილო? რატომ? საიდან ეს დარდი-მეთქი, გკითხე. ქვეყნის გამოო, მიპასუხე. განა ჯიბის ფულს გაკლებდი? არ გეუბნებოდი სტამბოლს წადი, ლაღად, ხელგაშლით იცხოვრე-მეთქი? მამაშენისაგან უჩუმრად ჩემი ვარდისფერი მარგალიტები არ მოგეცი, სტამბოლს წაიღე, გაყიდე, გაერთე, გოგოებში გაიარე-მეთქი, არ გითხარი? მერე იყო და ის უფერული, გალეული გოგო გამოჩნდა. რა ვიცოდი, თუ მაშინვე ცოლად მოიყვანდი. აკი გეუბნებოდი, მაგ ადგილზე მყარად მოიკიდე ფეხი და მერე იქნებ მინისტრიც გახდე-მეთქი, მაზრის უფროსობიდან არ გადადგე და გუბერნატორობასაც მიაღწევ-მეთქი. არა, დედა, ვეღარ ვუძლებ, ყველაფერი ძალზე ცუდია, საზიზღარიაო, ამბობდი. ჩემო საბრალო შვილო, რატომ სხვებივით არ ცხოვრობდი – სახლი – სამსახური? იმიტომ, რომ მშიშარა და ზარმაცი ხარ. ხალხში გარევას ვერ ბედავ, ხალხში ცხოვრება გიჭირს, მათი სიძულვილი უფრო ადვილია-მეთქი. გაბრაზებული ვიყავი და იმიტომ გითხარი. არა, დედა, ყველა და ყველაფერი მეზიზღება, მაზრის უფროსობასაც ვეღარ ვიტან. გლეხებს, ღარიბ-ღატაკებს სულს ჰხდიან. ცოლიც მომიკვდა. ბავშვებს დეიდები მიხედავენ. მე კი გადადგომაზე განცხადებას დავწერ, აქ დავსახლდები. უარს ნუ მეტყვი, დედა, წლებია, ამ მყუდრო კუთხეში ცხოვრებაზე ვოცნებობ.

– წავიდეთ, დიდედა, უკვე ძალიან ჩამოცხა.

მინდა, მარტო ვცხოვრობდე და ვწერდე.

– ცოტაც მოიცადეთ, ბატონო მეთინ.

აქ ვერ დარჩები, უნდა წახვიდე, ხალხში იტრიალო, ცხოვრებას ფეხი აუწყო. რეჯეფ, იცოდე, ამას საჭმელი არ აჭამო, უკვე დიდია, წავიდეს და თავისი პური თავად იშოვოს. ნუ, დედა, ამხელა კაცს საქვეყნოდ

– ვინმემ გადაწმინდოს ეს საფლავის ქვები.

თავს ნუ მომჭრი. გაჩუმდით! თუ შეიძლება, მამათქვენთან მარტო დამტოვეთ. მეც ვხედავ პირუტყვის განავალს. განა მაშინაც ასე იქნებოდა ყველაფერი? გკითხე, ხომ არა სვამ-მეთქი. არ მიპასუხე. რატომ, შვილო? ჯერ ისევ ახალგაზრდა გეთქმოდა, ხელახლა დაგაქორწინებდი. კარგი, ვთქვათ, დაგანებე აქ დარჩენა. ამ უკაცრიელ ადგილას რას გააკეთებ? კრინტს რატომ არა ძრავ? მამაშენივით დაჯდებოდი და აბდაუბდა რამეების წერას მოჰყვებოდი? ჩუმად ხარ. ეჰ, შვილო, ერთი უბირი ქალი ვარ, როგორ გაგაგებინო, ყველა ცოდვა, ყველა დანაშაული და უსამართლობა რომ მოგიტევე? ახლა სულ მარტო ვარ, ხალხის დასაცინი გავხდი. ერთი განახა, რა სიმწრით მივათრევ ამ წუთისოფელს. რა საცოდავი ვარ. როგორ ვტირი. თვალებზე ცხვირსახოცი ავიფარე, მოვიკუნტე.

– გეყოფათ, დიდედა, ნუ ტირით, კიდევ მოვალთ...

ღმერთო, ჩემი წაყვანა უნდათ. დამტოვეთ მე ბედკრული, ცოტა ხანს კიდევ მამყოფეთ ჩემს ქმარ-შვილთან. მათ საფლავზე დავწვები. მაგრამ არ დავწოლილვარ. ნუ, ფატმა! ნახე, როგორ ეცოდები შენს შვილიშვილებს, როგორ დაგკანკალებენ. მართალია. უბედური და უმწეო ვარ და იმიტომ ვეცოდები. წასვლამდე ერთხელ კიდევ ვილოცებ. ვლოცულობდი. სულელი ჯუჯა თვალს არ მაშორებდა. სატანა ადამიანს წუთით არ მოასვენებს. ის ყველგან არის, უნდა, ერთმანეთი დაგვაჭმევინოს. წევს ახლა ამ კედლის უკან და გვითვალთვალებს. ისევ: – დიდედა, ცუდად ხართ, წავიდეთ, დროა.

დავიწყე „ფათიჰა“. გავშალე თუ არა ხელები, მათაც მომბაძეს. ვლოცულობთ, ვლოცულობთ. მანქანები დაქრიან. რა სიცხე ყოფილა! კიდევ კარგი, პალტოს ქვეშ ჟაკეტი არ ჩავიცვი. ბოლო წუთს გადავიფიქრე. კარადაში ჩავკეტე სახლში, სადაც არავინ არის. რასაკვირველია, ღმერთი დაიფარავს. კაცს ყურადღება როგორ ეფანტება. მომიტევე, ამინ! ჩვენ უკვე

– დამეყრდენით, დიდედა.

მივდივართ. მშვიდობით. მართლა! შენც ხომ აქა ხარ! ამათ გადამკიდეს გონება აღარ შემრჩა.

გულ დარვინოღლუ

1922-1964

მშვიდობა მის სულს

მაგრამ აღარ მაყენებენ. ამ სიცხეში დარჩენისა და ლოცვის თავი აღარცა მაქვს. შენმა შვილებმა ხომ ილოცეს? ჰოდა, ის ლოცვა შენც მოგივა, გალეულო, დამჭკნარო, ფერნაკლულო გოგონავ. ჩემს დოღანს მოეწონე და მოგიყვანა, ჩემთვის ხელზე გაკოცნინა. საღამოს ჩემთან შემოვიდა, როგორ ხარ, დედაო? – მკითხა. რა გითხრა, შვილო, ეს საწყალი სნეულია-მეთქი, მაშინვე მივხვდი, დიდი დღე არ ექნებოდა. სამი შვილი გაკმარა. საბრალო, საჭმელს კატასავით ეპარებოდა. თეფშის კიდიდან ჭამდა. შვილო, ორი ლუკმა კიდევ შეჭამე, ერთ კოვზს დაგიდებ-მეთქი, – ვეხვეწებოდი. იმას კი უილაჯობით თვალები უფართოვდებოდა, ჭამის ეშინოდა. განა რა ცოდვა უნდა გქონდეს, ჩემი ლოცვა რომ გჭირდებოდეს. შენისთანებმა ხომ კარგი საჭმლის გემოც კი არ იციან, ცხოვრებით ტკბობა არ შეუძლიათ, მხოლოდ სხვათა უბედურებაზე ცრემლის ღვრა და სიკვდილი ეხერხებათ.

დიდედა, კარგად ხართ?

მადლობა ალაჰს! შინ ვბრუნდებით.

8.

ის იყო წასვლა დააპირეს, მათმა დიდედამ ერთხელ კიდევ უნდა ვილოცოო, თქვა. მასთან ერთად მხოლოდ ნილგუნმა გაუშალა ხელები ალაჰს. დიახ, მხოლოდ ნილგუნმა. ფარუქს ზეწარივით ცხვირსახოცი ამოეღო და ოფლს იწმენდდა. ძია რეჯეფს თავისი დიდი ქალბატონი ეჭირა, რომ არ წაქცეულიყო. მეთინს კი ხელები ჯინსის უკანა ჯიბეებში ჩაეწყო და ისიც ეზარებოდა, ყასიდად, სხვის დასანახად მაინც მიეღო

მლოცველის პოზა. სახელდახელოდ ჩაათავეს ლოცვა, მერე დიდედას აქეთ-იქიდან ამოუდგნენ, ხელკავი გამოსდეს და ციმციმ წაიყვანეს. როგორც კი ზურგი მაქციეს, კედელსა და ბუჩქებს ამოფარებულმა თავი გამოვყავი და გაბედულად დავუწყე ყურება. სასაცილო სანახაობა იყო: ერთ მხარეს ის მსუქანი დევკაცი – ფარუქი, მეორე მხარეს – ის ჯუჯა, ბიძაჩემი რეჯეფი, შუაში კი საშინელ შავ პალტოში გამოხვეული, ბარბაცით მიმავალი დიდედა. მისი პალტო შავ ჩადრს ჰგავდა, თავად კი – საფრთხობელას, რომლისთვისაც დიდი ზომის ტანსაცმელი ჩაეცმიათ. მართლა სასაცილო იყო, მაგრამ არ გამიცინია. ალბათ, სასაფლაოზე ყოფნამ შემძრა. ნილგუნ, შენ გიყურებდი და კიდევ – შენს თავსაფარს, რა ლამაზად გქონდა წაკრული! მერე კანჭებზეც დაგაკვირდი. საოცარია! გაზრდილხარ, დამშვენებულხარ, ძალიან ლამაზი გოგო დამდგარხარ, მაგრამ კანჭები ისევ წკირებივითა გაქვს.

მანქანაში ჩასხედით და წახვედით, სამალავიდან გამოვედი, მდუმარე საფლავებს ჩამოვუარე. ეს პაპათქვენია, ეს – დედათქვენი, ეს კიდევ – მამათქვენი. ნანახი მყავს. მახსოვს, ბავშვობაში თქვენს ეზოში რომ ვთამაშობდით, ფანჯრიდან გვიყურებდა ხოლმე. ჩემთან თამაშს არ გიშლიდათ. „ფათიჰა“ წავუკითხე, მერე მზეზე ვიხრუკებოდი და ჭრიჭინას ვუსმენდი. ცოტა ხანს კიდევ დავრჩი. უცნაურ რაღაცეებზე ვფიქრობდი, საოცარი, აბდაუბდა აზრები ამერია გონებაში. ისე გავხდი, თითქოს სიგარეტი მომეწიოს. სასაფლაოდან გამოვედი, მივდივარ, მაგიდაზე გადაშლილ მათემატიკის წიგნს ვუბრუნდები. ერთი საათის წინ სწორედ იმ მაგიდასთან ვიჯექი და ფანჯრიდან ვიყურებოდი. დავინახე თეთრი „ანადოლით“ აღმართზე როგორ მიბობღავდით. შუაში დიდედა გეჯდათ და მივხვდი, სასაფლაოზე მიდიოდით. ეს გულისწამღები მათემატიკა ჯერ ისედაც არ შემდიოდა თავში და ახლა სულ ვერაფერი გავუგე. ვთქვი, მოდი, ამათ გავყვები, ვნახავ, სასაფლაოზე რას აკეთებენ, ცოტა გულს გადავაყოლებ, დავბრუნდები და ვიმეცადინებ-მეთქი. დედაჩემს რომ არ დავენახე და არ სწყენოდა, ფანჯრიდან გადავხტი და სირბილით მოვედი აქამდე, გნახეთ და აი, ახლა ვუბრუნდები მათემატიკის წიგნს, გადაშლილი მელოდება.

მტვრიანი გზა გათავდა, მოასფალტებული დაიწყო. ბევრმა მანქანამ ჩამიქროლა, ერთი-ორჯერ ხელიც ავუწიე, მაგრამ კაცი ასეთ მანქანაში რომ ჩაჯდება, რაღა სინდისი შერჩება? ვერც კი

მამჩნევენ, დიდი სიჩქარით ეშვებიან ქვემოთ. თაჰსინიანთა შევიარე. თაჰსინი და დედამისი უკან, ბაღში ბალს კრეფენ, მამამისი კი სახლის წინ, ჩარდახქვეშ ზის და ყიდის. იმანაც ვითომ ვერ დამინახა, თავი არ აუწევია. რას დამინახავდა?! მე შენ გეტყვი და, ის კაცი ვარ, რომელიც საათში ასი კილომეტრით მიაქროლებს ძვირფას ავტომანქანას, ერთბაშად ამუხრუჭებს და ხუთ კილოგრამ ბალს ყიდულობს, კილოგრამს ოთხმოც ლირად. დიახ, ფულის გარდა ვერაფერს ხედავენ. ვიტყოდი, ერთი მე ვარ, ვისაც სხვა რამეზე ფიქრიც შემიძლია-მეთქი, მაგრამ ამ დროს ჰალილის ნაგვის მანქანა გამოჩნდა, გამიხარდა, ქვემოთ მიდიოდნენ. ვანიშნე, გამიჩერეს, ჩავჯექი.

– მამაშენი რას შვრებაო? – მკითხა ჰალილმა.

– რას იზამს? ლატარიის ბილეთებს ყიდის.

– სად დადის?

– დილაობით მატარებელში მუშაობს.

– შენ?

– ჯერ ისევ ვსწავლობ. ეს მანქანა რამდენს ავითარებს?

– ოთხმოცს. აქ რა გინდა?

– თავი ამტკივდა. ვიფიქრე, გავივლი-მეთქი.

– რა დროს შენი თავის ტკივილია?!

სიცილი დამაყარეს. ჩვენი სახლის წინ დამუხრუჭება დააპირა.

– არა, ქვემო უბანში ჩამოვალ-მეთქი.

– იქ რა დაგრჩენია?

– ერთი ძმაკაცი მყავს, არ იცნობ.

ჩვენს სახლს რომ ჩავუარეთ, ღია ფანჯარას შევხედე. მამაჩემის მოსვლამდე დავბრუნდები, – ვთქვი გუნებაში.

უბანში მანქანიდან ჩამოვედი. ჰალილს ვიღაც უსაქმური ავარა არ ვეგონო-მეთქი, ფეხს ავუჩქარე. ასე ვიარე ნავმისადგომამდე. დამცხა, ოფლში გავიხვითქე. სულის მოსათქმელად ჩამოვჯექი. ზღვას გავხედე. უცებ მოვარდა მოტორიანი ნავი, ნავმისადგომზე ვიღაც გოგო დატოვა და წავიდა. ვუყურებდი

იმ გოგოს და შენზე ვფიქრობდი, ნილგუნ. წეღან გნახე, როგორ ლოცულობდი. საოცარი სანახავი იყავი! თითქოს „მას“[22] ელაპარაკებოდი. წიგნებში წერია, ანგელოზები არსებობენო. მე კი ვფიქრობ, სატანაც არსებობს, სატანაც და სხვა რამეებიც. ეტყობა, ეს იმიტომ ვიფიქრე, მინდოდა, შემშინებოდა. შემეშინდება, მერე შემრცხვება, მერე ამ გრძნობას გავექცევი, ჩვენს აღმართს სირბილით ავივლი, შინ მივალ და მათემატიკას ჩავუჯდები-მეთქი. ცოტა ხანში მართლაც ჩავუჯდები. მანამდე კი გავივლი.

პლაჟზე ისეთი გუგუნი იდგა, კაცი გაგიჟდებოდა. გუგუნი და ხორცის გროვა დანაშაულზე, ცოდვაზე, სატანაზე დაგაფიქრებს. დროდადრო ხორცის მასას ვინმე ჩამრგვალებული ტიპი გამოეყოფა, თითქოს მთელი ამ ცოდვისაგან თავის დაღწევას ცდილობს, მაგრამ ვერ ახერხებსო. პლაჟისაგან მავთულით ნაქსოვი, სუროშეფენილი ღობე მყოფდა. ვუყურებდი ბრბოს და ვფიქრობდი: რა საოცარია, ჩემს სულს ზოგჯერ ასე რომ სწყურია სიავის ჩადენა! მრცხვენია, მაგრამ ვფიქრობ, ცოტას გავამწარებ, რამეს დავუშავებ, იქნებ მაშინ მაინც მომაქციონ ყურადღება, დამინახონ. ასე გავხდები მათი მსაჯული. მაშინ, იქნებ მხოლოდ სატანისა კი არა, ჩემიც შეეშინდეთ. ჩვენ ხელისუფლებაში მოვალთ, ისინი – ჭკუაზე. შემრცხვა ამ ფიქრებისა. მინდოდა, სირცხვილისთვის მეჯობნა, ამიტომ შენზე ფიქრი დავიწყე, ნილგუნ. შენ უცოდველი ხარ, უდანაშაულო. ის იყო ვიფიქრე, ცოტა ხანს კიდევ ვუყურებ ამ ბრბოს და მათემატიკას დავუბრუნდები-მეთქი, რომ თავს პლაჟის ზედამხედველი წამომადგა და მკითხა:

– აქ რას დაყუდებულხარ?

– აკრძალულია?

– შესვლა გინდა? ფული თუ გაქვს, ბილეთი იყიდე. საბანაო კოსტიუმი გაქვს?

– მორჩა. საჭირო აღარ არის, მივდივარ.

წავედი. „ფული თუ გაქვს?“ „ფული თუ გაქვს?“ „რამდენი გაქვს?“ ეს არის ამათი „ფათიჰა“, ასე ლოცულობენ. ძალიან საზიზღრები ხართ ყველანი – ნახევარი სამარცხვინო, ნახევარი – სულელი. თქვენ შორის თავს მარტოდმარტო ვგრძნობ. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ბიჭებიც არიან! როცა მათთან ვარ, ვიცი, რა არის დანაშაული, ცოდვა, არამი[23], ალალი[24] და

არაფრის მეშინია. ისიც კარგად ვიცი, რა არის გასაკეთებელი. გამახსენდა, გუშინ ყავახანაში ჩვენი ბიჭები როგორ დამცინოდნენ, „ტურა“, „ტურაო“, როგორ გავბრაზდი. არაფერია. გასაკეთებელს მარტოც გავაკეთებ, ბატონებო! ვიცი, მარტომ როგორ უნდა ვიარო იმ გზაზე, ვირწმუნე ჩემი თავისა, ვენდე მას.

ნილგუნ, ამ ფიქრებით თქვენს სახლამდე ისე მივსულვარ, არც კი გამიგია. მაშინღა მივხვდი, როცა ის ძველი, ხავსმოდებული სახლი დავინახე. ეზოს კარი დაკეტილი გქონდათ. ქუჩის მეორე მხარეს გადავედი და წაბლის ხის ქვეშ დავჯექი. ვუყურებ თქვენი სახლის ფანჯრებსა და კედლებს. ნეტავ, რას აკეთებ? ისევ თუ გახურავს ის თავსაფარი? იქნებ წევხარ და შუადღისას დაძინებას აპირებ? რაღაც წკირი ვიპოვე და ქუჩის გასწვრივ დაყრილ ქვიშაზე შენი სახის ხატვა დავიწყე. როცა გძინავს, ალბათ, როგორი ლამაზი ხარ! შენი სახის ხატვამ ყველაფერი დამავიწყა: სიძულვილიც, დანაშაულიც, მტრობაც, დავივიწყე ცოდვები, რომ მეგონა, ყელამდე ვიყავი ჩაფლული. რა ცოდვა უნდა მქონდეს? მე მათ როდი ვგავარ, მე შენნაირი ვარ. ვიფიქრე: თუ ჯუჯას ეზოში შევეპარები, იქ ხეზე ავალ, კედელზე გადავცოცდები, ღია ფანჯრიდან შენს ოთახში გადმოვძვრები და მძინარეს ლოყაზე გაკოცებ. ვინა ხარ? ვერ მიცანი? გახსოვს, დამალობანას რომ ვთამაშობდით? მიყვარხარ, უფრო მეტად, ვიდრე შენს ნაცნობ არისტოკრატ კაცებს შეუძლიათ შენი შეყვარება.

უცებ გავბრაზდი. ფეხით წავშალე, რაც წეღან ქვიშაზე დავხატე. ეს აბდაუბდა ოცნებაც მომბეზრდა. წამოვდექი და წავედი. ამ დროს დავინახე, ნილგუნი შინიდან გამოსულა და ჭიშკრისაკენ მიდის. მაშინვე გავერიდე იქაურობას. ამათ ხომ ყველაფერი უკუღმა ესმით, ყველაფერში ცუდს ხედავენ. კარს ზურგი შევაქციე. ჭრიალი რომ გავიგონე, მოვბრუნდი, ჭიშკარში გასულხარ. საით? დავინტერესდი და აგედევნე.

სიარულის დროს უცნაურად ირხევა – კაცივით. რა მოხდება, გავიქცე, მხარზე შევეხო და ვუთხრა: ნილგუნ, ვერ მიცანი? ჰასანი ვარ, რა კარგი დრო იყო, ბავშვები თქვენს ეზოში ვთამაშობდით, მერე სათევზაოდ მივდიოდით, მეთინიც სულ ჩვენთან იყო.

კუთხესთან არ შეუხვევია, პირდაპირ გააგრძელა გზა. პლაჟზე მიდიხარ? იმათში უნდა გაერიო? გავბრაზდი, მაგრამ დევნა არ

შემიწყვეტია. ჩხირებივით ფეხები აქვს და სწრაფად კი მიდის. სად ეჩქარება? ვინმე ელოდება? გზიდან გადაუხვია და აღმართს შეუყვა. ვერ ვხვდები, ვინ უნდა ელოდებოდეს. ალბათ, მანქანაში ჩაუჯდება, ანდა სულაც – კატერში. დამაინტერესა და უკან მოგდევ, რადგან ვიცი – შენც მათნაირი ხარ, სხვებისაგან არაფრით განსხვავდები.

უცებ იქვე, ბაყლის დუქანში შევიდა. დუქნის წინ ბიჭი ნაყინს ყიდის. ვიცნობ. არაფერი იფიქროს-მეთქი, შორიახლოს ვდგავარ.

მალე ნილგუნი დუქნიდან გამოვიდა და რა გზითაც მოვიდა, უკან იმავე გზით დაბრუნდა. ჩემკენ მოდის. ზურგი შევაქციე, დავიხარე და ვითომ ფეხსაცმლის ყაითანს ვიკრავ. მომიახლოვდა. ხელში პარკი უჭირავს. ერთი შემომხედა. შემრცხვა.

– გამარჯობა-მეთქი, – ვუთხარი და წამოვდექი.

– გაგიმარჯოს, ჰასან, როგორ ხარ? – ცოტა ხანს გაჩერდა, – გუშინ რომ მოვდიოდით, გზაზე დაგინახეთ. აბიმ გიცნო. ძალიან კი გაზრდილხარ. რას საქმიანობ? ისევ ზემოთ ხართ? ბიძაშენმა თქვა, თურმე მამაშენი ლატარიის ბილეთებს ყიდის. შენ რას აკეთებ? რომელში გადახვედი?

– მე?.. მე.

– რას ელოდები?

– ზღვაზე მიდიხარ, ნილგუნ?

– არა, ბაყალთან ვიყავი. დიდედა სასაფლაოზე გვყავდა. დაისიცხა, შეუძლოდ გახდა. ოდეკოლონი ვუყიდე.

– მაშ, პლაჟზე არ მიდიხარ?

– იქ ამ დროს ძალიან ბევრი ხალხია, დილაზე წავალ, ადრე, როცა არავინ იქნება.

გავჩუმდით. მერე გამიღიმა. მეც გავუცინე. უფრო ლამაზი ყოფილა, ვიდრე შორიდან ჩანდა. მე კი სულელივით ვდგავარ და ოფლში ვიხვითქები. სიცხის გამოაო, თქვა. ერთი ნაბიჯი გადმოდგა.

– კარგი, თუ შეიძლება, მამაშენს მოკითხვა გადაეცი, – მითხრა

და ხელი გამომიწოდა. ხელი რბილი და მსუბუქი ჰქონდა. შემრცხვა ჩემი ოფლიანი ხელის გამო.

– ნახვამდის, – ძლივს ამოვღერღე.

წავიდა. თვალი არ გამიყოლებია. ღრმად დაფიქრებულმა მოუცლელი კაცივით გავაგრძელე გზა.

9.

სასაფლაოდან რომ დავბრუნდით, დიდედამ ჩვენთან ერთად ისადილა. მერე ცუდად გახდა. თუმცა სერიოზული არაფერი იყო. ქვემოთ ვისხედით. მე და ნილგუნი ვიცინოდით. ერთბაშად რაღაც უცნაურად შემოგვხედა და თავი ჩამოუვარდა. მხრებში ამოვუდექით და ზემოთ ავიყვანეთ. ნილგუნის მოტანილი ოდეკოლონი მაჯებსა და საფეთქლებზე წავუსვით, მერე ჩემს ოთახში შევედი, სადილს ერთი სიგარეტი დავაყოლე და დავრწმუნდი, დიდედას სერიოზული არაფერი სჭირდა, ჩავჯექი მზეზე გახურებულ „ანადოლში“ და გზაზე გავედი. ტრასას კი არა, დარიჯას გზას დავადექი. ეს გზა საგულდაგულოდ მოუასფალტებიათ. აქა-იქ შემორჩენილა ბლისა და ლეღვის ხეები. ამ მიდამოებში მე და რეჯეფი პატარაობისას ვითომ ყვავებზე სანადიროდ დავდიოდით. ის რაღაც ქარვასლა უფრო ქვემოთ უნდა იყოს. მთის თხემზე ახალი უბნები გაუშენებიათ, ზოგი – ჯერ კიდევ შენდება. დარიჯაში ახალი არაფერი მინახავს. ათა-თურქის[25] ძეგლიც კი ათი წლისაა.

გებზეში პირდაპირ მაზრის უფროსს წარვუდექი. მაზრის უფროსი გამოუცვლიათ. ორი წლის წინ ამ მაგიდასთან ცხოვრებამობეზრებული კაცი იჯდა. ახლა სხვაა – ახალგაზრდა, ენერგიული, გაუჩერებლად იქნევს ხელებს. თავიდანვე მივხვდი, მასზე შთაბეჭდილების მოსახდენად არ დამჭირდებოდა ჩანთიდან ფაკულტეტის გამოცემული ჩემი სადისერტაციო ნაშრომის ამოღება, არც იმის თქმა, არქივში ადრეც ვყოფილვარ და მამაჩემიც მაზრის უფროსი იყო-მეთქი. ვიღაც კაცს დაუძახა და გამაყოლა. ის კაცი ვიკითხე, წინა მოსვლაზე რომ გავიცანი, რიზა ერქვა. არ იყო, დისპანსერში წავიდაო. იმის მოსვლამდე ბაზარში გავივლი-მეთქი, ვთქვი.

გავიარე აკაკის ხეებით დაჩრდილული ვიწრო შესახვევი და ბაზართან გავედი. უკაცრიელ ქუჩას თავქვე დავუყევი. უპატრონო ძაღლი დაეხეტება, მჭედლის დუქანში ვიღაც გაზის ბალონს ჩაჰკირკიტებს. ისე მოვბრუნდი, საკანცელარიო ნივთების მაღაზიის ვიტრინისათვის თვალი არ შემივლია. დუქნების წინ ვიწრო ჩრდილს შეფარებულმა ვიარე, სანამ ჯამე არ გამოჩნდა. მერე მოვბრუნდი, წავედი და პატარა მოედანზე ჭადრის ხის ქვეშ ჩამოვჯექი. ძილის გასაკრთობად ერთი ჭიქა ჩაი დავლიე. ყავახანის რადიოს გულსგარეთ ვუსმენდი, ვცდილობდი სიცხეზე არ მეფიქრა, ყურადღებას არავინ მაქცევდა და ეს ძალიან მომწონდა.

მაზრის სამმართველოში დაბრუნებულს რიზა უკვე მოსული დამხვდა. გამიხსენა, ძალიან გაუხარდა. სანამ გასაღებს იპოვიდა, ჩემი განცხადება უნდა მიმეცა. ერთად ჩავედით ქვემოთ. კარი გააღო. შმორისა და მტვრის ნაცნობი სუნი მეცა. სანამ ძველ მაგიდასა და სკამებზე მტვერს ვწმენდდით, ცოტა ვილაპარაკეთ. მერე რიზამ დამტოვა და წავიდა.

გებზეს არქივში ბევრი არაფერია შემორჩენილი. რაც არის, ისიც იმდროინდელია, როცა მაზრას ყადი[26] ჰყავდა, მაგრამ ამის შესახებ ცოტა ვინმემ თუ იცოდა. იშვიათად აკითხავდა თითო-ოროლა კაცი. მაშინდელი საბუთების დიდი ნაწილი იზმითს გადაიტანეს. აქ ყუთებში ერთმანეთშია არეული მივიწყებული ფირმანები, ნასყიდობის საბუთები, სასამართლოს საქმეები, დავთრები. ოცდაათი წლის წინათ თავის საქმეზე შეყვარებულმა და რესპუბლიკის პირველი წლებისათვის ესოდენ ნაცნობი ბიუროკრატიული პატრიოტიზმით გულანთებულმა ერთმა კაცმა, ლიცეუმის ისტორიის მასწავლებელმა აქაურობის მოწესრიგება დააპირა, მაგრამ მალე მობეზრდა. ორი წლის წინ შუა გზაზე მიტოვებული მისი საქმის გაგრძელება დავაპირე, მაგრამ ერთ კვირაში მეც მივატოვე, შევუშინდი. არქივს რომ მიხედო, ისტორიკოსზე მოკრძალებული უნდა იყო. ახლა ჩვენში ბევრი აღარ შეგხვდებათ, ვისაც ცოტა მელანი გაელოკოს და მაინც შერჩენოდეს თავმდაბლობა. ჩემი ლიცეუმის მასწავლებელიც აჰყვა ცდუნებას, არქივში გატარებული საათები ერთ წიგნში გაიხსენა და შეაფასა. მახსოვს, როცა მე და სელმა ვიჩხუბებდით, ლუდის სმას ვიწყებდი და თან გულს ვაყოლებდი იმ პატარა წიგნს, რომელშიც მასწავლებელს თავისი ცხოვრებისა და გებზელი ნაცნობების ამბების გარდა,

გებზეს ისტორიული ძეგლები, ღირსშესანიშნავი მოვლენებიც შეუტანია.

ამ წიგნის შესახებ ფაკულტეტის ამხანაგებს ველაპარაკე. ყველამ ერთი და იგივე მითხრა: არა, გებზეში მაგ ტიპის დოკუმენტების არსებობა წარმოუდგენელია, გებზეში არქივიც კი ვერ იქნებაო.

მე კი ასეთ ადგილას მუშაობა მერჩივნა „პრემიერ-მინისტრის არქივში“ შურიან კოლეგებთან ერთად „მოღვაწეობას“. გაყვითლებულ, დალაქავებულ, ობმოკიდებულ, გაცრეცილ და დაჭმუჭნილ ქაღალდებს ვყნოსავდი და კარგ ხასიათზე ვდგებოდი. ვკითხულობდი ამ ქაღალდებს და თითქოს ვხედავდი მათთან დაკავშირებულ ადამიანებს – ვინც დაწერა, ან ვინც დააწერინა ისინი. ვინ იცის, იქნებ, სწორედ ამ განცდის გამო მოვედი აქ და არა გასულ წელს სკივრში ნაპოვნი შავი ჭირის კვალის გასაგრძელებლად. გახუნებულ ქაღალდის გროვას თანდათან აკლდება წაკითხული და გვერდზე გადადებული საბუთები.

ეს გემით შორეულ მოგზაურობას ჰგავს, როცა ერთბაშად გადაიყრება ნისლი, მთელი გზა რომ სულს გიხუთავდათ და გამოჩნდება ხმელეთის ნაგლეჯი, დაინახავთ ხეს, ქვას, ჩიტს და გაოცდებით. როცა ამ ქაღალდებში ერთმანეთს შერწყმულ, ერთმანეთში არეულ მილიონობით ადამიანის ცხოვრებას გამოვარჩევ, ჩემს თავში დავალაგებ, ფორმას მივცემ, ჩამოვაყალიბებ, კარგ ხასიათზე ვდგები. ჩემს გონებაში გაცოცხლებული ისტორიის ფერადოვანი ამბები ცოტა ხანში გაივლის, წავა და რაღაც გემოს დამიტოვებს. მაშინ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნისა მეშინია და იმ გავლილი რაღაცის ხელახლა განცდა მინდა. სიგარეტს ვეწევი და იმ რაღაცის გახსენებას ვცდილობ ხოლმე, მაგრამ ალაჰმა დასწყევლოს! ასეთ ადგილებში სიგარეტის მოწევაც აკრძალულია.

ერთ სასამართლო საქმეს ვკითხულობდი და ვფიქრობდი, თუ ამ წაკითხულის დაწერას შევძლებ, იქნებ ის განცდა ვიპოვო-მეთქი. ჩანთიდან რვეული ამოვიღე და წერა დავიწყე:

ვიღაც, სახელად ჯელალი, ჩივის, მეჰმედმა შემაგინა, თანაც თაღლითი და არამზადა მიწოდაო. მეჰმედმა ყადის თანდასწრებით ყველაფერი უარყო. ჯელალს მოწმეები ჰყავს –

ჰასანი და ქასიმი. დიახ, შეაგინაო, ადასტურებენ ისინი. ყადი დამნაშავეს ბოდიშის მოხდას და პატიების თხოვნას ავალებს. ის კი უარზეა. თარიღი წაშლილია, არ გადავწერე. შემდეგ წავიკითხე: ვიღაც ჰამზას თავის მეურვედ ვინმე აბდი დაუდგენია. დავწერე. სხვა საბუთი რუსი მონის, დიმიტრის პატრონისათვის, თუზლელი ველი ბეისათვის დაბრუნებას ეხებოდა. ესეც გადმოვიწერე. მწყემსი, ვინმე იუსუფი, საქონლის დაკარგვისათვის დაუპატიმრებიათ. მისი საქმეც წავიკითხე. საწყალი, არც იმას ამბობს, საქონელი გავყიდეო, არც იმას, დავკალიო. დაკარგა. მორჩა და გათავდა! ბოლოს საკუთარი ძმა – რამზანი – თავდებად დასდგომია და ციხიდან გამოუყვანია. ერთი საინტერესო ფირმანიც წავიკითხე. იგი, რატომღაც, კრძალავდა ხორბლით დატვირთული ზოგი გემის გებზეს, თუზლასა და ესქიჰისართან მიახლოებას, ბრძანებდა, გემები პირდაპირ სტამბოლში უნდა შევიდნენო. ვიღაც იბრაჰიმს უთქვამს, თუ სტამბოლს არ წავედი, ცოლთან ორი „თალაქით“[27] გაყრილი ვიქნებიო. სტამბოლს არ წასულა. ამიტომ მისმა ცოლმა აღძრა საქმე გაყრის თაობაზე. იბრაჰიმი პასუხობს, სტამბოლს არ წავედი, მაგრამ წავალო. დრო არ დამითქვამსო. შემდეგ ჩანაწერებში შეტანილი აქჩეს ოდენობის მიხედვით ზოგიერთი გადასახადის სიდიდის გარკვევა ვცადე, მაგრამ სარწმუნო შედეგს ვერ მივაღწიე. ამასობაში წისქვილის, ვენახის, ბაღის, ზეთისხილის ჭალის წლიური შემოსავლის საბუთების მთელი წყება გადავარჩიე და რვეულში ჩავიწერე. როცა ამ ცნობებს ვიწერდი, მეჩვენებოდა, რომ ამ ბაღ-ვენახებს ვხედავდი – თავს ვიტყუებდი. შემდეგ ქურდობის რამდენიმე შემთხვევის შესახებ წავიკითხე და გარეთ გამოვედი.

დერეფანში სიგარეტს ვეწეოდი და თან ვფიქრობდი – შარშან აქ შავი ჭირის კვალს რომ წავაწყდი, გავაგრძელო მისი ძებნა, თუ შევეშვა და სხვა რომელიმე ამბავს მივხედო-მეთქი. ჩემს თავს ვკითხე, როგორი უნდა ყოფილიყო ეს ამბავი? მაგრამ შეკითხვაც მომაბეზრებელი მეჩვენა. მინდოდა, სხვა რამეზე მეფიქრა, რადგან ისტორია სხვა არის, მოთხრობა – სხვა. კარგ საისტორიო წიგნს კარგი მოთხრობების ანდა რომანისაგან სქოლიოების გარდა სხვა რაღაცეებიც უნდა განასხვავებდეს. რა არის ეს რაღაცეები?

დერეფნის ბოლოს ფანჯარაა. იმ ფანჯრიდან მაზრის სამმართველოს შენობის უკან ერთი სახლის კედელი ჩანს. კაცს ინტერესს გაუჩენს, რა არის იმ კედლის მიღმაო? –

აფიქრებინებს. კედელთან მანქანა დგას. უკანა ბორბლებს ვხედავ – საბარგო უნდა იყოს. სიგარეტი ბოლომდე მოვწიე, სახანძრო ვედროს ქვიშაში ჩავჭყლიტე და ჩემს საქმეს დავუბრუნდი.

წავიკითხე ვინმე ეთჰემის საჩივარი ვიღაც ქასიმის მიმართ: ეთჰემის შინ არ ყოფნისას ქასიმი მის სახლში მისულა და მის ოჯახობასთან ულაპარაკია. ქასიმი მომხდარს არ უარყოფს, მაგრამ ამბობს, გოზლემეს[28] ჭამა მინდოდა და ცოტა ერბოს სათხოვნელად მივედიო, ავიღე და წამოვედიო. სხვა ორი კაცი კი იმაზე დავობდა, რომ ერთს მეორისათვის წვერი მოუქაჩავს. მერე ჯეფერისა და აჰმეთისათვის თიმარად[29] ნაბოძები გებზეს სოფლების სახელები ჩავიწერე. უბნის საჩივარიც წავიკითხე: ორი ქალის – ქევსერისა და ქებზანის – გასახლებას მოითხოვენ: ქალები ბოზობენო. მერე ქევსერის ბოზობასთან დაკავშირებული ადრინდელი ჩვენებაც ვნახე. მოწმე ვიღაც ალი იყო. კალენდერს ვინმე სათილმიშის ვალი ჰქონია ოცდაორი ოქრო და არ უბრუნებს – არაფერი მმართებსო, ამბობს. ერთი თავისუფალი გოგო, სახელად მელექი, ვიღაც რამაზანს უკანონოდ მიუყიდია ბაჰათინ ბეისათვის.

მერე ესენიც წავიკითხე: ერთი ბავშვი, რომელსაც მუჰერემი რქმევია, ჯუზის[30] წასაკითხად შინიდან გასულა. ცოტა ხანში მამამისს – სინანს – მისთვის რესულთან წაუსწრია. მამა ამბობს, რესულმა შვილი გამიუპატიურაო და გამოძიებას მოითხოვს. რესული კი ამტკიცებს, მუჰარემი ჩემთან მოვიდა, ერთად წავედით წისქვილში, მაგრამ როცა უკან ვბრუნდებოდით, მუჰარემი ლეღვის საჭმელად ბაღში გადავიდა და მერე აღარ მინახავსო.

რვეულში თარიღიც ჩავიწერე, დავფიქრდი: ნეტავ რა გადახდათ თავს ოთხასი წლის წინათ ლეღვზე მეოცნებე ბავშვსა და ლეღვზე მეოცნებე ბავშვზე მეოცნებე რესულს?! მერე ერთი გაყაჩაღებული სიფაჰის[31] დაჭერის ამბავი წავიკითხე. მეიჰანეების[32] დაკეტვისა და ღვინის მსმელთა დასჯის ბრძანებები გადავიწერე, გადავიწერე აგრეთვე საბუთები, რომლებიც ქურდობას, სავაჭრო დავას, ყაჩაღობას, ქორწინებას, გაყრას ეხებოდა. სიგარეტის მოსაწევადაც კი არ გავსულვარ. რაში გამომადგებოდა ეს ყველაფერი? ვცდილობდი, ამაზე არ მეფიქრა და ჩემს რვეულში ვახვავებდი ხორცის ფასთან დაკავშირებულ რიცხვებსა და ციფრებს. თვალში მომხვდა

ბუხარში შეტენილი ქაღალდები – რომელიღაც მიცვალებულთან დაკავშირებული მოკვლევის მასალები. გამოძიების მსვლელობისას მუშები, როგორც ჩანს, კუთხეში მიმწყვდეულები, ჰყვებიან, როგორ გაატარეს ის დღე – 1028 წლის 23 რეჯეფი[33]. რამდენჯერმე ყურადღებით ჩავიკითხე მუშების დაწვრილებითი ჩვენება, თითქოს იმ დღით ვიცხოვრე. გავხალისდი. სიგარეტის მოწევაც მომინდა, მაგრამ თავი შევიკავე და წაკითხული უცვლელად გადავიტანე ჩემს რვეულში. საქმე დიდხანს გამიგრძელდა და როცა დავამთავრე, კარგი გუნების სახსენებელიც გამიქრა, მზეც გადახრილიყო, სარდაფის ფანჯრის კიდეს მოსდგომოდა.

დღეში სამჯერ კართან საჭმელსა და თითო კოლოფ სიგარეტს თუ დამიდებენ, საღამოობით კი ცოტა არაყსაც დამიტოვებენ, ამ ნესტიან სარდაფში მთელი ცხოვრების გატარებაზე უარს არ ვიტყოდი. ჯერჯერობით ნათლად ვერ ვხედავდი, მაგრამ რაც უნდა იყოს, არსებობის აზრს ცოტათი ჩავწვდი. ამ ფურცლების უკან არის ამბავი, რომელიც მთელ ცხოვრებას გაგატარებინებს. ეს ამბები ხმელეთის იმ ნაგლეჯს დამანახვებდა, ნისლი რომ ფარავს. საკუთარი თვალითა და ნამოქმედარით კმაყოფილი ვიყავი. მერე ბეჯითი მოწაფესავით დავითვალე, რამდენი გვერდი მქონდა რვეულში გავსებული. ზუსტად ცხრა. შინ დაბრუნებისა და დალევის უფლება მომიპოვებია. წამოვდექი.

10.

ჯეილანიანთ ნავმისადგომთან ვისხედით. ზღვაში გადახტომას ვაპირებდი, მაგრამ, ალაჰმა დასწყევლოს! ცალი ყური მათკენ მქონდა.

– ამ საღამოს რას ვაკეთებთ? – იკითხა გულნურმა.

– ნაირ-ნაირ რამეებს, – უპასუხა ფაფამ.

– ჰოო? სუადიანთა წავიდეთ.

– იქ რა არის?

– მუსიკა! – იყვირა გულნურმა.

– მუსიკა აქაც არის!

– მაშინ, შენ თქვი, რა გავაკეთოთ.

ერთბაშად ზღვაში გადავხტი, სწრაფად გავცურე. თან ვფიქრობდი: გაისად, ამ დროს, ამერიკაში ვიქნები-მეთქი. ჩემს საწყალ დედ-მამაზეც ვიფიქრე და ნიუ-იორკის თავისუფლების გამზირებზეც, ზანგებზე, რომლებიც ქუჩებში ჩემთვის ჯაზს უკრავენ, მეტროს გრძელ, უსასრულო დერეფნებზე, სადაც არავინ არავის აეკიდება. გულზე მომეშვა, გავმხიარულდი, მაგრამ მალე გამიფუჭდა გუნება, გამახსენდა, ჩემი და-ძმის გადამკიდეს ფულის შოვნა გამიჭირდება და გაისად ვერსადაც ვერ წავალ. არა, მე ახლა მხოლოდ შენზე ვფიქრობ, ჯეილან, იმაზე, თუ როგორ ზიხარ ნავმისადგომზე, როგორ მიყვარხარ და როგორ შეგაყვარო თავი!

ცოტა ხნის შემდეგ წყლიდან ამოვყვინთე და უკან მოვიხედე. ნაპირს გვარიანად დავშორებოდი. გულში უცნაური შიში ჩამიდგა. ისინი იქ იყვნენ, მე კი – მლაშე, ლიქენებით სავსე, საშიშ, უკიდეგანო სითხეში. შიშმა ამიტანა. ნაპირისაკენ ისეთი სისწრაფით გავცურე, თითქოს ზვიგენი გამომკიდებოდა. ზღვიდან ამოვედი, წავედი და ჯეილანს გვერდით მოვუჯექი.

– ძალიან კარგი ზღვაა, – წამოვიწყე ლაპარაკი.

– რა ვიცი, ხელად კი გამოხვედი, – მიპასუხა ჯეილანმა.

მივბრუნდი და ფიქრეთს მივუგდე ყური. იგი ჩვეულებრივ ამბებზე ლაპარაკობდა, ყოველი ღირსეული ადამიანის თავში რომ შეიძლება გაჩნდეს – ყვებოდა, როგორ დაემართა მამამისს გულის შეტევა და ერთ წუთში როგორ დააწვა მის თვრამეტი წლის მხრებს მამის საქმის სიმძიმე, როგორ მართავდა საქმეებსა და ადამიანებს... რომ დავერწმუნებინეთ, მოკლე ხანში დიდი ვინმე გავხდებიო, თქვა, მამაჩემი ყოველ წუთს შეიძლება მოკვდესო. მაშინ მეც ვთქვი, ჩემი მშობლები დიდი ხნის გარდაცვლილები არიან, ამ დილას მათ საფლავზე ვიყავი-მეთქი.

– უჰ, ბავშვებო, გულზე დარდი შემომაწვა, – თქვა ჯეილანმა, წამოდგა და წავიდა.

– წამოდით, რამე გავაკეთოთ!

– კარგი, გავაკეთოთ. მოდი, სადმე წავიდეთ.

ფაფამ, რომელიც ჟურნალს ჩაჰკირკიტებდა, თავი ასწია:

– სად წავიდეთ?

– გასართობ ადგილზე, – თქვა გულნურმა.

– ციხე-სიმაგრეზე ავიდეთ, – თქვა ზეინებმა.

– იქ გუშინ არ ვიყავით? – უთხრა ვედათმა.

– მაშინ, სათევზაოდ წავიდეთო, – ჯეილანმა.

თურანი კრემის ყუთის გახსნას ცდილობდა.

– ამ დროს არ შეიძლება.

– რატომ?

– თუზლას წავიდეთ.

– ძალიან ცხელა, – თქვა ჯეილანმა წყრომით.

– თქვენთან ერთად არაფერი გამოვა, – ხელი ჩაიქნია გულნურმა.

ჯეილანმა იკითხა, ახლა არსად მივდივართო? პასუხი ვერ მიიღო. ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. ერთბაშად თურანს კრემის ქილის სახურავი ხელიდან გაუვარდა, მიწაზე გაგორდა და ჯეილანის ფეხებთან გაჩერდა. ჯეილანმა ფეხი გაჰკრა და ზღვაში გადააგდო.

– ჩემი არ არის, ჰულიასია, – თქვა თურანმა.

– ახალს ვუყიდიო, – მიუგო ჯეილანმა, მოვიდა და გვერდით მომიჯდა.

დავფიქრდი, ჯეილანი მიყვარდა თუ არა? ბოლოს ვირწმუნე, რომ მიყვარდა. სულის შემხუთველმა პაპანაქებამ იცის ასეთი ფუჭი, ბრიყვული ფიქრები. თურანი წავიდა, ზღვაში ხუფის ძებნა დაიწყო.

– არა! – იყვირა ჯეილანმა და წამოხტა, – შენ არ ამოიღებ, თურან!

– მაშინ შენ ამოიღე!

– მე? მე რატომ? ჰუსეინმა ამოიღოს!

– ნუ სულელობ! მე ამოვიღებ! – თქვა თურანმა.

– მე ამოვიღებ, ზღვიდან ახალი გამოსული ვარ, – ვთქვი და წამოვდექი.

– კარგი ბიჭი ხარ, მეთინ, – მითხრა ჯეილანმა, – გონიერი ბიჭი.

– მიდი, ამოიღე! – მიბრძანა თურანმა, თან თითი გაიშვირა იქით, სადაც ხუფი ჩავარდა.

– არ ამოვიღებ, – მივახალე ერთბაშად, – ზღვა ცივია! – წავედი და ჩემს ადგილზე დავჯექი.

ფაფამ გადაიხარხარა.

– ჰულია, ახალ ქილას გიყიდი, – უთხრა თურანმა.

– არა, მე უნდა ვუყიდო, – თავი გამოიდო ჯეილანმა.

– უკვე ცარიელი იყო, – წამოიკნავლა ჰულიამ.

– იყოს, მაინც გიყიდი. რა კრემი იყო? – ჰკითხა ჯეილანმა, მაგრამ პასუხს აღარ დაელოდა: – ბავშვებო, გეხვეწებით, წავიდეთ, რამე გავაკეთოთ.

მაშინ მეჰმეთმა თქვა, მარის კუნძულზე წასვლა უნდაო, ჩვენში მაშინვე გაიღვიძა მონურმა სურვილმა – ვასიამოვნოთ ევროპელს! კატერებში ჩავსხედით. მე იმ კატერში ჩავჯექი, რომელშიც ჯეილანი იჯდა. მერე ჯეილანმა შინ შეირბინა. უკან ორი ბოთლით დაბრუნდა და იყვირა:

– ჯინი!

ვიღაცამ იყვირა მუსიკაო! ჯუნეითიც გაიქცა და შინიდან ის საშინელი დინამიკები გამოიტანა. მერე კატერები ერთბაშად აგრუხუნდნენ და ადგილს მოსწყდნენ. ცოტაც და, ცა ჩამოიქცეოდა. ნახევარ წუთში შუა ზღვაში ვიყავით. ვფიქრობდი, ესენი მდიდრები არიან და არ ანაღვლებთ, თუ რამე გატყდება, გაიკაწრება, დაძველდება. მათთვის მნიშვნელობა არაფერსა აქვს. მათი კატერები საათში ორმოცი მილის სიჩქარით დაქრიან. შიშით ხელ-ფეხი მიკანკალებს. ჯეილან, მიყვარხარ! არ დაფრთხე, მეთინ, – შევუძახე თავს, – სამაგიეროდ, შენ ნიჭიერი ხარ. მე კი ნიჭიერებისა ძალიან მწამს. დიახ, მწამს.

კატერები კუნძულის სანაპიროს კლდეებს ისე მიუახლოვდნენ, ლამის ზედ შეასკდნენ. მერე სიჩქარე გამორთეს, მობრუნდნენ

და გაჩერდნენ, კუნძულის მეორე მხარეს შუქურას მხოლოდ წვერი მოუჩანდა. საიდანღაც ერთი ძაღლი გამოტყვრა, იმას კიდევ ორი სხვა მოჰყვა. ნაპირისაკენ სირბილით დაეშვნენ, კლდეებში გაუჩინარდნენ, გაავებით გვიყეფდნენ. ჯინის ბოთლი ხელიდან ხელში გადავიდა. როცა ჩემამდე მოაღწია, სულმოუთქმელად დავლიე. თითქოს შხამი დამელიოს. ძაღლები ისევ ყეფდნენ.

– ცოფიანები არიან, – თქვა გულნურმა.

– ფიქრეთ, გაზი მიეცი, ვნახოთ, რას იზამენ, – უთხრა ჯეილანმა.

როგორც კი ფიქრეთმა გაზს მოუმატა, ძაღლები კატერებს აჰყვნენ და კუნძულზე გახელებული სირბილი იწყეს. კატერის მგზავრთა ღრიანცელზე სულ გადაირივნენ. ამან მოსეირნეები უფრო გაამხიარულა – კიოდნენ, ყვიროდნენ. მე კი ვფიქრობდი, რა გონებაჩლუნგები ყოფილან-მეთქი. მაგრამ ღმერთმა დასწყევლოს! დეიდაჩემის ცხელსა და მკვდარ სახლს ეს ხმაური მერჩივნა, აქაურობა უფრო ცოცხალი და მდიდრული იყო, ვიდრე ის პატარა, მტვრიანი ოთახები, სადაც რადიოს მოქარგული გადასაფარებელი ეფარა.

– მუსიკა! ბოლომდე აუწიე, ვნახოთ, რას იზამენ!

ბოლომდე აწეული მუსიკით ორჯერ დავუბრუნდით იმ პატარა კუნძულის შემოგარენს. მესამედაც რომ დავაპირეთ, კატერის ნაკვალევზე დარჩენილ ქაფში ჯეილანის თავი დავლანდე. არ დავფიქრებულვარ, ისე გადავეშვი წყალში და მაშინვე საშინელი რამ წარმოვიდგინე: მე და ჯეილანი აქ ისე დავიხოცებოდით, ვერავინ გაიგებდა. ან ზვიგენის ლუკმა გავხდებოდით, ან კატერი გადაგვივლიდა. ღმერთმა დასწყევლოს! ეს ძაღლებიც საიდან გაჩნდნენ? მშიერ მგლებს არ ჰგავდნენ? ჯეილანზეც კი ვეღარ ვფიქრობდი. ცოტა ხნის შემდეგ წყლიდან ამოვყვინთე, დავინახე, ერთი კატერი გაჩერებულიყო და ჯეილანი წყლიდან ამოჰყავდათ. როგორც იქნა, ამოიყვანეს. მერე ჩემთან მოვიდნენ.

– ხელი ვინა გკრა? ვინ გადაგაგდო? – მკითხა ფიქრეთმა.

– არავინ, თავად გადახტა, – უპასუხა გულნურმა.

– თავად გადახტა? რატომ გადახტა?

– კარგი, რა! მე ვიღამ გადამაგდო! – უთხრა ჯეილანმა.

თურგაიმ ნიჩაბი გამომიწოდა. ჩავეჭიდე და ნავზე ასვლა ვცადე. მაგრამ სწორედ მაშინ, როცა ის იყო, უნდა ავსულიყავი, თურგაიმ ნიჩაბს ხელი უშვა და ისევ წყალში ჩავვარდი. როცა ამოვყვინთე, დავინახე, ნავზე მყოფნი მხიარულად საუბრობდენ, იცინოდნენ. ჩემი დარდი არავის ჰქონდა, არავის ვახსოვდი. არადა, წუთის წინ როგორ მინდოდა მათში გარევა?! მეგონა, მარტოობის საშინელებას თავს დავაღწევდი. თითებით, ფრჩხილებით ვებღაუჭებოდი ნავის კიდეს და ზედ ასვლას ვცდილობდი. თან მათ საუბარს ვუსმენდი:

– ყველაფერი მომბეზრდა.

– ჯეილან, ნახე, მეთინი წყალში გადმოგყოლია.

– ძაღლები რა იქნენ? – იკითხა ჯეილანმა.

ბოლოს და ბოლოს, შევძელი ნავზე ასვლა. გული ამოვარდნაზე მქონდა, ვქოშინებდი. ვეღარ მოვითმინე და ვიყვირე:

– ღმერთმა დაგწყევლოთ! არც კი იცით, რა არის გართობა!

– შენს თავს ძაღლებს გადავუგდებთ!

– თუ იცი, გვასწავლე, – მითხრა თურგაიმ.

– სულელებო! – აყვირდა გულნური.

ერთი ძაღლი იქვე ახლოს, კლდეზე ასულიყო და ყმუოდა. – გიჟია, – ჩაილაპარაკა ჯეილანმა. თან მონუსხულივით შესჩერებოდა ძაღლს, თეთრ, წვეტიან კბილებს რომ აელვარებდა: – ფიქრეთ, ცოტათი კიდევ მიუახლოვდი იმ ცხოველს.

– რატომ?

– იმიტომ.

– რისი დანახვა გინდა?

ფიქრეთმა ნავი ძაღლისაკენ ნელ-ნელა წაიყვანა.

– რა გინდა საწყალი ცხოველისაგან? – ჰკითხა თურგაიმ.

– ხვადია თუ ძუ? – დაინტერესდა ფიქრეთი და მოტორი გამორთო.

– უბედური! – რაღაც უცნაურად იყვირა ჯეილანმა. ერთბაშად

მისი მოხვევა მომინდა, თავი ძლივს შევიკავე, მხოლოდ შევხედე და, რა ვქნა, რა ვიღონო, რომ შევუყვარდე-მეთქი, გავიფიქრე. გონება ამერია – სირბილი, ხტუნვა, ყვირილი მომინდა. სულში უცნაური ქარიშხალი დამიტრიალდა. თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ ერთი მდაბალი ვიღაც ვიყავი. ამავე დროს წიგნებისა და სიმღერების სულელური სიტყვებით განდიდებული, ამაღლებული გრძნობაც გამჩენოდა, რაც საკუთარ თვალში ღირსებას მმატებდა. ჩემი თავი მეამაყებოდა და ეს ბრიყვული სიამაყე იყო, ახლად წინადაცვეთილი ბავშვის სიამაყე. ვხვდებოდი, რაც უფრო მომქონდა თავი, მით უფრო უღიმღამო, არაფრით გამორჩეული ვხდებოდი. ეს განცდა მსიამოვნებდა, მაგრამ ვაი თუ, ვინმეს გაეგო ჩემი ფიქრი. ხომ შევრცხვებოდი! მერჩია, არავის გავხსენებოდი, მერე კი მომინდა, მათი ყურადღების ღირსი გავმხდარიყავი, მაგრამ მე ხომ ღარიბი ვიყავი. სიღარიბის ვიწრო პერანგი ტანზე შემომტმასნოდა, მკლავებს მიბოჭავდა, გასაქანს არ მაძლევდა. მაგრამ ვერ მაჯობებ! ჩემი გონების ძალით დაგამარცხებ! ამ დროს სხვები ხტოდნენ, ყვიროდნენ, კიოდნენ – ღრიანცელი ედგათ. ორნი ნავის ცხვირთან ძიძგილაობდნენ, ერთმანეთის წყალში გადაგდება უნდოდათ. მერე ის ნავი ჩვენსას მოუახლოვდა და ვედროებით წყალი შემოგვასხეს. ჩვენც შევასხით. ერთხანს ნიჩბებით ვიხმალავეთ. ვიღაცეები წყალში ჩაცვივდნენ. ჯინის ბოთლები დაიცალა. ფიქრეთმა ერთი ცარიელი ბოთლი ძაღლს ესროლა. ბოთლი კლდეს შეელეწა.

– რა ამბავია? რა ხდება?! – იყვირა ჯეილანმა.

– მორჩა, მორჩა, უკვე მივდივართ, – უთხრა ფიქრეთმა და ნავი მოაბრუნა. წყალში ჩაცვენილები მიატოვა და წავედით. მეორე ნავმა წამოკრიფა ისინი და დაგვეწია. ერთი ვედრო წყალი კიდევ შემოგვასხეს.

– შეჯიბრება გავმართოთ, პირუტყვებო, შეჯიბრება! – იყვირა ჯეილანმა.

კატერები ერთმანეთს მიუახლოვდნენ. ერთხანს გვერდიგვერდ, თანაბარი სიჩქარით მიცურავდნენ. მერე გულნურის შეძახილზე ადგილს მოსწყდნენ და გაცვივდნენ. მაშინვე მივხვდით, მათი ნავი ჩვენსას გაუსწრებდა. ფიქრეთმა გინებით ნავის ცხვირზე შეგვყარა – ასე მეტ სიჩქარეს გავავითარებთო, მაგრამ არაფერმა გვიშველა. გაგვასწრეს. გამარჯვების სიხარულს ხტუნვითა და ყიჟინით

გამოხატავდნენ. გაჯავრდა ჯეილანი, თავისი პირსახოცი ბურთივით დაამრგვალა და ესროლა. პირსახოცი ზღვაში ჩავარდა. მაშინვე მივბრუნდით. მივასწარით, სანამ პირსახოცი ჩაიძირებოდა, მაგრამ მისი ამოღება არავის უცდია. ნავმა უთოსავით გადაუარა და საბოლოოდ ჩაძირა. ამაზეც ბევრი იხმაურეს. მერე დალიჯადან იალოვას მიმავალ ბორანს წამოეწივნენ, ორჯერ იყვირეს და დავბრუნდით. რაღაც თამაშიც წამოიწყეს: ნავების კორპუსებზე მანქანის საბურავები და პირსახოცები დაკიდეს და ერთანეთს აჯახებდნენ – ხან ცხვირებით, ხან გვერდებით. მერე კი მობანავეთა თავებს შორის ისე აღმოჩნდნენ, სიჩქარე არ შეუნელებიათ. დამფრთხალი მობანავეები აქეთ-იქით ყვირილით გაიფანტნენ. ამის დამნახავმა ჩავიბურტყუნე:

– უბედური შემთხვევა რომ მოხდეს?

– შენ მასწავლებელი ხარ, არა? ლიცეუმის მასწავლებელი?! – მიყვირა ფაფამ.

– მასწავლებელი ყოფილა? – იკითხა გულნურმა.

– მასწავლებლები მეჯავრებიან, – თქვა ფაფამ.

– მეც, – კვერი დაუკრა ჯუნეითმა.

– ამას არ დაულევია, არა? იმიტომ თამაშობს სერიოზულობანას? – იკითხა თურანმა.

– დავლიე, შენზე მეტი დავლიე.

– გამრავლების ტაბულის გაზეპირება დიდი არაფერია.

ჯეილანს შევხედე. არ გაუგონია. ამიტომ მეც არად ჩავაგდე.

მალე უკან დავბრუნდით და ჯეილანიანთ ნავმისადგომს მივადექით. როცა ნავები ჩამოიცალა, ნავმისადგომთან ერთი ქალი დავინახე. ასე, ორმოცდახუთი წლისა იქნებოდა, აბანოს ხალათი ეცვა. ჯეილანის დედა ყოფილიყო.

– ბავშვებო, ასე სად გაილუმპეთ? შვილო, შენი პირსახოცი რა იქნა?

– დამეკარგა, – უპასუხა ჯეილანმა.

– ასე შეიძლება? გაცივდები.

– ჰო, დედა, ეს მეთინია, ძველ სახლში უცხოვრიათ, უცნაურ, მდუმარე სახლში.

– რომელ ძველ სახლში? – იკითხა დედამ.

ხელი ჩამომართვა, მამაშენი რას საქმიანობსო, – მკითხა. ვუპასუხე. ისიც ვუთხარი, უნივერსიტეტში სასწავლებლად ამერიკაში უნდა წავიდე-მეთქი.

– ჩვენც ვაპირებთ ამერიკაში სახლის ყიდვას. აქაურობას რა ელის, არავინ იცის. ამერიკაში ყველაზე კარგი ადგილი რომელია?

სასწრაფოდ რაღაცეები ვუთხარი ამერიკის გეოგრაფიის, განსაკუთრებით, კლიმატური პირობების, მოსახლეობის განსახლებისა და რაოდენობის შესახებ, რაღაც რიცხვებიც დავუსახელე, მაგრამ არ მისმენდა. ჩემს სველ თმებსა და საბანაო კოსტიუმს ისე აკვირდებოდა, თითქოს ისინი აქ უჩემოდ ყოფილიყვნენ მოსულები.

– დედა, ამ ჭკუის კოლოფმა შენც მოგხიბლა? – ჰკითხა ჯეილანმა.

– უზრდელო! – გაუწყრა დედა, მაგრამ ჯეილანს არც გაუგონია, გაიქცა და ზღვაში გადახტა. მეც წავედი, შეზლონგში ჩავჯექი და ჯეილანზე ფიქრი დავიწყე. ჯეილანი კი ზღვაში ხტებოდა, ჩაყვინთავდა და უკან გამოდიოდა. მერე ისევ ჩაყვინთავდა...

სხვებიც ჩამორიგდნენ შეზლონგებში, სკამებზე, ზოგი ბეტონის საფარზე წამოწვა და დაიწყო ის წარმოუდგენელი მოთენთილობა, მზეზე წოლას რომ მოსდევს ხოლმე.

10.

ჯეილანიანთ ნავმისადგომთან ვისხედით. ზღვაში გადახტომას ვაპირებდი, მაგრამ, ალაჰმა დასწყევლოს! ცალი ყური მათკენ მქონდა.

– ამ საღამოს რას ვაკეთებთ? – იკითხა გულნურმა.

– ნაირ-ნაირ რამეებს, – უპასუხა ფაფამ.

– ჰოო? სუადიანთა წავიდეთ.

– იქ რა არის?

– მუსიკა! – იყვირა გულნურმა.

– მუსიკა აქაც არის!

– მაშინ, შენ თქვი, რა გავაკეთოთ.

ერთბაშად ზღვაში გადავხტი, სწრაფად გავცურე. თან ვფიქრობდი: გაისად, ამ დროს, ამერიკაში ვიქნები-მეთქი. ჩემს საწყალ დედ-მამაზეც ვიფიქრე და ნიუ-იორკის თავისუფლების გამზირებზეც, ზანგებზე, რომლებიც ქუჩებში ჩემთვის ჯაზს უკრავენ, მეტროს გრძელ, უსასრულო დერეფნებზე, სადაც არავინ არავის აეკიდება. გულზე მომეშვა, გავმხიარულდი, მაგრამ მალე გამიფუჭდა გუნება, გამახსენდა, ჩემი და-ძმის გადამკიდეს ფულის შოვნა გამიჭირდება და გაისად ვერსადაც ვერ წავალ. არა, მე ახლა მხოლოდ შენზე ვფიქრობ, ჯეილან, იმაზე, თუ როგორ ზიხარ ნავმისადგომზე, როგორ მიყვარხარ და როგორ შეგაყვარო თავი!

ცოტა ხნის შემდეგ წყლიდან ამოვყვინთე და უკან მოვიხედე. ნაპირს გვარიანად დავშორებოდი. გულში უცნაური შიში ჩამიდგა. ისინი იქ იყვნენ, მე კი – მლაშე, ლიქენებით სავსე, საშიშ, უკიდეგანო სითხეში. შიშმა ამიტანა. ნაპირისაკენ ისეთი სისწრაფით გავცურე, თითქოს ზვიგენი გამომკიდებოდა. ზღვიდან ამოვედი, წავედი და ჯეილანს გვერდით მოვუჯექი.

– ძალიან კარგი ზღვაა, – წამოვიწყე ლაპარაკი.

– რა ვიცი, ხელად კი გამოხვედი, – მიპასუხა ჯეილანმა.

მივბრუნდი და ფიქრეთს მივუგდე ყური. იგი ჩვეულებრივ ამბებზე ლაპარაკობდა, ყოველი ღირსეული ადამიანის თავში რომ შეიძლება გაჩნდეს – ყვებოდა, როგორ დაემართა მამამისს გულის შეტევა და ერთ წუთში როგორ დააწვა მის თვრამეტი წლის მხრებს მამის საქმის სიმძიმე, როგორ მართავდა საქმეებსა და ადამიანებს... რომ დავერწმუნებინეთ, მოკლე ხანში დიდი ვინმე გავხდებიო, თქვა, მამაჩემი ყოველ წუთს შეიძლება მოკვდესო. მაშინ მეც ვთქვი, ჩემი მშობლები დიდი ხნის გარდაცვლილები არიან, ამ დილას მათ საფლავზე ვიყავი-მეთქი.

– უჰ, ბავშვებო, გულზე დარდი შემომაწვა, – თქვა ჯეილანმა, წამოდგა და წავიდა.

– წამოდით, რამე გავაკეთოთ!

– კარგი, გავაკეთოთ. მოდი, სადმე წავიდეთ.

ფაფამ, რომელიც ჟურნალს ჩაჰკირკიტებდა, თავი ასწია:

– სად წავიდეთ?

– გასართობ ადგილზე, – თქვა გულნურმა.

– ციხე-სიმაგრეზე ავიდეთ, – თქვა ზეინებმა.

– იქ გუშინ არ ვიყავით? – უთხრა ვედათმა.

– მაშინ, სათევზაოდ წავიდეთო, – ჯეილანმა.

თურანი კრემის ყუთის გახსნას ცდილობდა.

– ამ დროს არ შეიძლება.

– რატომ?

– თუზლას წავიდეთ.

– ძალიან ცხელა, – თქვა ჯეილანმა წყრომით.

– თქვენთან ერთად არაფერი გამოვა, – ხელი ჩაიქნია გულნურმა.

ჯეილანმა იკითხა, ახლა არსად მივდივართო? პასუხი ვერ მიიღო. ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. ერთბაშად თურანს კრემის ქილის სახურავი ხელიდან გაუვარდა, მიწაზე გაგორდა და ჯეილანის ფეხებთან გაჩერდა. ჯეილანმა ფეხი გაჰკრა და ზღვაში გადააგდო.

– ჩემი არ არის, ჰულიასია, – თქვა თურანმა.

– ახალს ვუყიდიო, – მიუგო ჯეილანმა, მოვიდა და გვერდით მომიჯდა.

დავფიქრდი, ჯეილანი მიყვარდა თუ არა? ბოლოს ვირწმუნე, რომ მიყვარდა. სულის შემხუთველმა პაპანაქებამ იცის ასეთი ფუჭი, ბრიყვული ფიქრები. თურანი წავიდა, ზღვაში ხუფის ძებნა დაიწყო.

– არა! – იყვირა ჯეილანმა და წამოხტა, – შენ არ ამოიღებ, თურან!

– მაშინ შენ ამოიღე!

– მე? მე რატომ? ჰუსეინმა ამოიღოს!

– ნუ სულელობ! მე ამოვიღებ! – თქვა თურანმა.

– მე ამოვიღებ, ზღვიდან ახალი გამოსული ვარ, – ვთქვი და წამოვდექი.

– კარგი ბიჭი ხარ, მეთინ, – მითხრა ჯეილანმა, – გონიერი ბიჭი.

– მიდი, ამოიღე! – მიბრძანა თურანმა, თან თითი გაიშვირა იქით, სადაც ხუფი ჩავარდა.

– არ ამოვიღებ, – მივახალე ერთბაშად, – ზღვა ცივია! – წავედი და ჩემს ადგილზე დავჯექი.

ფაფამ გადაიხარხარა.

– ჰულია, ახალ ქილას გიყიდი, – უთხრა თურანმა.

– არა, მე უნდა ვუყიდო, – თავი გამოიდო ჯეილანმა.

– უკვე ცარიელი იყო, – წამოიკნავლა ჰულიამ.

– იყოს, მაინც გიყიდი. რა კრემი იყო? – ჰკითხა ჯეილანმა, მაგრამ პასუხს აღარ დაელოდა: – ბავშვებო, გეხვეწებით, წავიდეთ, რამე გავაკეთოთ.

მაშინ მეჰმეთმა თქვა, მარის კუნძულზე წასვლა უნდაო, ჩვენში მაშინვე გაიღვიძა მონურმა სურვილმა – ვასიამოვნოთ ევროპელს! კატერებში ჩავსხედით. მე იმ კატერში ჩავჯექი, რომელშიც ჯეილანი იჯდა. მერე ჯეილანმა შინ შეირბინა. უკან ორი ბოთლით დაბრუნდა და იყვირა:

– ჯინი!

ვიღაცამ იყვირა მუსიკაო! ჯუნეითიც გაიქცა და შინიდან ის საშინელი დინამიკები გამოიტანა. მერე კატერები ერთბაშად აგრუხუნდნენ და ადგილს მოსწყდნენ. ცოტაც და, ცა ჩამოიქცეოდა. ნახევარ წუთში შუა ზღვაში ვიყავით. ვფიქრობდი, ესენი მდიდრები არიან და არ ანაღვლებთ, თუ რამე გატყდება, გაიკაწრება, დაძველდება. მათთვის მნიშვნელობა არაფერსა აქვს. მათი კატერები საათში ორმოცი მილის სიჩქარით დაქრიან. შიშით ხელ-ფეხი მიკანკალებს. ჯეილან, მიყვარხარ! არ დაფრთხე, მეთინ, – შევუძახე თავს, –

სამაგიეროდ, შენ ნიჭიერი ხარ. მე კი ნიჭიერებისა ძალიან მწამს. დიახ, მწამს.

კატერები კუნძულის სანაპიროს კლდეებს ისე მიუახლოვდნენ, ლამის ზედ შეასკდნენ. მერე სიჩქარე გამორთეს, მობრუნდნენ და გაჩერდნენ, კუნძულის მეორე მხარეს შუქურას მხოლოდ წვერი მოუჩანდა. საიდანღაც ერთი ძაღლი გამოტყვრა, იმას კიდევ ორი სხვა მოჰყვა. ნაპირისაკენ სირბილით დაეშვნენ, კლდეებში გაუჩინარდნენ, გაავებით გვიყეფდნენ. ჯინის ბოთლი ხელიდან ხელში გადავიდა. როცა ჩემამდე მოაღწია, სულმოუთქმელად დავლიე. თითქოს შხამი დამელიოს. ძაღლები ისევ ყეფდნენ.

– ცოფიანები არიან, – თქვა გულნურმა.

– ფიქრეთ, გაზი მიეცი, ვნახოთ, რას იზამენ, – უთხრა ჯეილანმა.

როგორც კი ფიქრეთმა გაზს მოუმატა, ძაღლები კატერებს აჰყვნენ და კუნძულზე გახელებული სირბილი იწყეს. კატერის მგზავრთა ღრიანცელზე სულ გადაირივნენ. ამან მოსეირნეები უფრო გაამხიარულა – კიოდნენ, ყვიროდნენ. მე კი ვფიქრობდი, რა გონებაჩლუნგები ყოფილან-მეთქი. მაგრამ ღმერთმა დასწყევლოს! დეიდაჩემის ცხელსა და მკვდარ სახლს ეს ხმაური მერჩივნა, აქაურობა უფრო ცოცხალი და მდიდრული იყო, ვიდრე ის პატარა, მტვრიანი ოთახები, სადაც რადიოს მოქარგული გადასაფარებელი ეფარა.

– მუსიკა! ბოლომდე აუწიე, ვნახოთ, რას იზამენ!

ბოლომდე აწეული მუსიკით ორჯერ დავუბრუნდით იმ პატარა კუნძულის შემოგარენს. მესამედაც რომ დავაპირეთ, კატერის ნაკვალევზე დარჩენილ ქაფში ჯეილანის თავი დავლანდე. არ დავფიქრებულვარ, ისე გადავეშვი წყალში და მაშინვე საშინელი რამ წარმოვიდგინე: მე და ჯეილანი აქ ისე დავიხოცებოდით, ვერავინ გაიგებდა. ან ზვიგენის ლუკმა გავხდებოდით, ან კატერი გადაგვივლიდა. ღმერთმა დასწყევლოს! ეს ძაღლებიც საიდან გაჩნდნენ? მშიერ მგლებს არ ჰგავდნენ? ჯეილანზეც კი ვეღარ ვფიქრობდი. ცოტა ხნის შემდეგ წყლიდან ამოვყვინთე, დავინახე, ერთი კატერი გაჩერებულიყო და ჯეილანი წყლიდან ამოჰყავდათ. როგორც იქნა, ამოიყვანეს. მერე ჩემთან მოვიდნენ.

– ხელი ვინა გკრა? ვინ გადაგაგდო? – მკითხა ფიქრეთმა.

– არავინ, თავად გადახტა, – უპასუხა გულნურმა.

– თავად გადახტა? რატომ გადახტა?

– კარგი, რა! მე ვიღამ გადამაგდო! – უთხრა ჯეილანმა.

თურგაიმ ნიჩაბი გამომიწოდა. ჩავეჭიდე და ნავზე ასვლა ვცადე. მაგრამ სწორედ მაშინ, როცა ის იყო, უნდა ავსულიყავი, თურგაიმ ნიჩაბს ხელი უშვა და ისევ წყალში ჩავვარდი. როცა ამოვყვინთე, დავინახე, ნავზე მყოფნი მხიარულად საუბრობდენ, იცინოდნენ. ჩემი დარდი არავის ჰქონდა, არავის ვახსოვდი. არადა, წუთის წინ როგორ მინდოდა მათში გარევა?! მეგონა, მარტოობის საშინელებას თავს დავაღწევდი. თითებით, ფრჩხილებით ვებღაუჭებოდი ნავის კიდეს და ზედ ასვლას ვცდილობდი. თან მათ საუბარს ვუსმენდი:

– ყველაფერი მომბეზრდა.

– ჯეილან, ნახე, მეთინი წყალში გადმოგყოლია.

– ძაღლები რა იქნენ? – იკითხა ჯეილანმა.

ბოლოს და ბოლოს, შევძელი ნავზე ასვლა. გული ამოვარდნაზე მქონდა, ვქოშინებდი. ვეღარ მოვითმინე და ვიყვირე:

– ღმერთმა დაგწყევლოთ! არც კი იცით, რა არის გართობა!

– შენს თავს ძაღლებს გადავუგდებთ!

– თუ იცი, გვასწავლე, – მითხრა თურგაიმ.

– სულელებო! – აყვირდა გულნური.

ერთი ძაღლი იქვე ახლოს, კლდეზე ასულიყო და ყმუოდა. – გიჟია, – ჩაილაპარაკა ჯეილანმა. თან მონუსხულივით შესჩერებოდა ძაღლს, თეთრ, წვეტიან კბილებს რომ აელვარებდა: – ფიქრეთ, ცოტათი კიდევ მიუახლოვდი იმ ცხოველს.

– რატომ?

– იმიტომ.

– რისი დანახვა გინდა?

ფიქრეთმა ნავი ძაღლისაკენ ნელ-ნელა წაიყვანა.

– რა გინდა საწყალი ცხოველისაგან? – ჰკითხა თურგაიმ.

– ხვადია თუ ძუ? – დაინტერესდა ფიქრეთი და მოტორი გამორთო.

– უბედური! – რაღაც უცნაურად იყვირა ჯეილანმა. ერთბაშად მისი მოხვევა მომინდა, თავი ძლივს შევიკავე, მხოლოდ შევხედე და, რა ვქნა, რა ვიღონო, რომ შევუყვარდე-მეთქი, გავიფიქრე. გონება ამერია – სირბილი, ხტუნვა, ყვირილი მომინდა. სულში უცნაური ქარიშხალი დამიტრიალდა. თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ ერთი მდაბალი ვიღაც ვიყავი. ამავე დროს წიგნებისა და სიმღერების სულელური სიტყვებით განდიდებული, ამაღლებული გრძნობაც გამჩენოდა, რაც საკუთარ თვალში ღირსებას მმატებდა. ჩემი თავი მეამაყებოდა და ეს ბრიყვული სიამაყე იყო, ახლად წინადაცვეთილი ბავშვის სიამაყე. ვხვდებოდი, რაც უფრო მომქონდა თავი, მით უფრო უღიმღამო, არაფრით გამორჩეული ვხდებოდი. ეს განცდა მსიამოვნებდა, მაგრამ ვაი თუ, ვინმეს გაეგო ჩემი ფიქრი. ხომ შევრცხვებოდი! მერჩია, არავის გავხსენებოდი, მერე კი მომინდა, მათი ყურადღების ღირსი გავმხდარიყავი, მაგრამ მე ხომ ღარიბი ვიყავი. სიღარიბის ვიწრო პერანგი ტანზე შემომტმასნოდა, მკლავებს მიბოჭავდა, გასაქანს არ მაძლევდა. მაგრამ ვერ მაჯობებ! ჩემი გონების ძალით დაგამარცხებ! ამ დროს სხვები ხტოდნენ, ყვიროდნენ, კიოდნენ – ღრიანცელი ედგათ. ორნი ნავის ცხვირთან ძიძგილაობდნენ, ერთმანეთის წყალში გადაგდება უნდოდათ. მერე ის ნავი ჩვენსას მოუახლოვდა და ვედროებით წყალი შემოგვასხეს. ჩვენც შევასხით. ერთხანს ნიჩბებით ვიხმალავეთ. ვიღაცეები წყალში ჩაცვივდნენ. ჯინის ბოთლები დაიცალა. ფიქრეთმა ერთი ცარიელი ბოთლი ძაღლს ესროლა. ბოთლი კლდეს შეელეწა.

– რა ამბავია? რა ხდება?! – იყვირა ჯეილანმა.

– მორჩა, მორჩა, უკვე მივდივართ, – უთხრა ფიქრეთმა და ნავი მოაბრუნა. წყალში ჩაცვენილები მიატოვა და წავედით. მეორე ნავმა წამოკრიფა ისინი და დაგვეწია. ერთი ვედრო წყალი კიდევ შემოგვასხეს.

– შეჯიბრება გავმართოთ, პირუტყვებო, შეჯიბრება! – იყვირა ჯეილანმა.

კატერები ერთმანეთს მიუახლოვდნენ. ერთხანს გვერდიგვერდ, თანაბარი სიჩქარით მიცურავდნენ. მერე

გულნურის შეძახილზე ადგილს მოსწყდნენ და გაცვივდნენ. მაშინვე მივხვდით, მათი ნავი ჩვენსას გაუსწრებდა. ფიქრეთმა გინებით ნავის ცხვირზე შეგვყარა – ასე მეტ სიჩქარეს გავავითარებთო, მაგრამ არაფერმა გვიშველა. გაგვასწრეს. გამარჯვების სიხარულს ხტუნვითა და ყიჟინით გამოხატავდნენ. გაჯავრდა ჯეილანი, თავისი პირსახოცი ბურთივით დაამრგვალა და ესროლა. პირსახოცი ზღვაში ჩავარდა. მაშინვე მივბრუნდით. მივასწარით, სანამ პირსახოცი ჩაიძირებოდა, მაგრამ მისი ამოღება არავის უცდია. ნავმა უთოსავით გადაუარა და საბოლოოდ ჩაძირა. ამაზეც ბევრი იხმაურეს. მერე დალიჯადან იალოვას მიმავალ ბორანს წამოეწივნენ, ორჯერ იყვირეს და დავბრუნდით. რაღაც თამაშიც წამოიწყეს: ნავების კორპუსებზე მანქანის საბურავები და პირსახოცები დაკიდეს და ერთანეთს აჯახებდნენ – ხან ცხვირებით, ხან გვერდებით. მერე კი მობანავეთა თავებს შორის ისე აღმოჩნდნენ, სიჩქარე არ შეუნელებიათ. დამფრთხალი მობანავეები აქეთ-იქით ყვირილით გაიფანტნენ. ამის დამნახავმა ჩავიბურტყუნე:

– უბედური შემთხვევა რომ მოხდეს?

– შენ მასწავლებელი ხარ, არა? ლიცეუმის მასწავლებელი?! – მიყვირა ფაფამ.

– მასწავლებელი ყოფილა? – იკითხა გულნურმა.

– მასწავლებლები მეჯავრებიან, – თქვა ფაფამ.

– მეც, – კვერი დაუკრა ჯუნეითმა.

– ამას არ დაულევია, არა? იმიტომ თამაშობს სერიოზულობანას? – იკითხა თურანმა.

– დავლიე, შენზე მეტი დავლიე.

– გამრავლების ტაბულის გაზეპირება დიდი არაფერია.

ჯეილანს შევხედე. არ გაუგონია. ამიტომ მეც არად ჩავაგდე.

მალე უკან დავბრუნდით და ჯეილანიანთ ნავმისადგომს მივადექით. როცა ნავები ჩამოიცალა, ნავმისადგომთან ერთი ქალი დავინახე. ასე, ორმოცდახუთი წლისა იქნებოდა, აბანოს ხალათი ეცვა. ჯეილანის დედა ყოფილიყო.

– ბავშვებო, ასე სად გაილუმპეთ? შვილო, შენი პირსახოცი რა

იქნა?

– დამეკარგა, – უპასუხა ჯეილანმა.

– ასე შეიძლება? გაცივდები.

– ჰო, დედა, ეს მეთინია, ძველ სახლში უცხოვრიათ, უცნაურ, მდუმარე სახლში.

– რომელ ძველ სახლში? – იკითხა დედამ.

ხელი ჩამომართვა, მამაშენი რას საქმიანობსო, – მკითხა. ვუპასუხე. ისიც ვუთხარი, უნივერსიტეტში სასწავლებლად ამერიკაში უნდა წავიდე-მეთქი.

– ჩვენც ვაპირებთ ამერიკაში სახლის ყიდვას. აქაურობას რა ელის, არავინ იცის. ამერიკაში ყველაზე კარგი ადგილი რომელია?

სასწრაფოდ რაღაცეები ვუთხარი ამერიკის გეოგრაფიის, განსაკუთრებით, კლიმატური პირობების, მოსახლეობის განსახლებისა და რაოდენობის შესახებ, რაღაც რიცხვებიც დავუსახელე, მაგრამ არ მისმენდა. ჩემს სველ თმებსა და საბანაო კოსტიუმს ისე აკვირდებოდა, თითქოს ისინი აქ უჩემოდ ყოფილიყვნენ მოსულები.

– დედა, ამ ჭკუის კოლოფმა შენც მოგხიბლა? – ჰკითხა ჯეილანმა.

– უზრდელო! – გაუწყრა დედა, მაგრამ ჯეილანს არც გაუგონია, გაიქცა და ზღვაში გადახტა. მეც წავედი, შეზლონგში ჩავჯექი და ჯეილანზე ფიქრი დავიწყე. ჯეილანი კი ზღვაში ხტებოდა, ჩაყვინთავდა და უკან გამოდიოდა. მერე ისევ ჩაყვინთავდა...

სხვებიც ჩამორიგდნენ შეზლონგებში, სკამებზე, ზოგი ბეტონის საფარზე წამოწვა და დაიწყო ის წარმოუდგენელი მოთენთილობა, მზეზე წოლას რომ მოსდევს ხოლმე.

12.

მთელ დღეს ქუჩაში ხეტიალის შემდეგ შინ რომ მიდიხარ, ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს ზაფხულის არდადეგების შემდეგ სკოლაში დაბრუნებულხარ. ყავახანაში ვიჯექი, სანამ

არ დახურეს. ველოდებოდი, როცა ყველანი გაიკრიფებიან, ეგებ ვინმე, საქმის გამკეთებელი გამოჩნდეს-მეთქი. მაგრამ არა – მარტო „ტურა, ტურას“! დამძახოდნენ და ეს იყო და ეს. – ჰასან, შვილოსა, ტურობას შეეშვი და შინ წადი, მათემატიკა იმეცადინეო.

მივდივარ. აღმართს მივუყვები, ყურადღებას არავის ვაქცევ. მიყვარს სიბნელე – მდუმარე სიბნელე. მხოლოდ ჭრიჭინების ხმა ისმის. ვუსმენ და სიბნელეში ჩემს მომავალს ვხედავ: შორეულ ქვეყნებში მოგზაურობას, სისხლისმღვრელ ომებს; მესმის ტყვიამფრქვევების კაკანი, ვგრძნობ ომის მოტანილ სიხარულს; თვალწინ მიდგას ისტორიული ფილმები ნიჩბიანი გალერებით, ცოდვილთა დასაოკებლად ატყლაშუნებული მათრახებით, გაწყობილი ლაშქრით და ქარხნები, კახპები... შემრცხვა. საკუთარი თავისა შემეშინდა. მე უეჭველად დიდი ვინმე დავდგები!

ამასობაში აღმართი ავიარე.

ერთბაშად გულმა რეჩხი მიყო – ჩვენსა სინათლე ენთო. ვიდექი და ვუყურებდი: ეს სახლი სამარეს ჰგავს – სამარეს, რომელშიც ლამპა აუნთიათ. ფანჯრებში არაფერი ჩანს, არანაირი მოძრაობა. ახლოს მივედი, შევიხედე. დედა არსად არის. ალბათ, უკვე დაწვა. მამაჩემი ტახტზე მიწოლილა და სძინავს. მელოდება. მელოდოს, როდემდეც უნდა! ჩემი ოთახის ფანჯრიდან შევალ და დავიძინებ. მაგრამ ფანჯარა ჩაკეტილი დამხვდა. მეორე ფანჯარაზე მაგრად დავაკაკუნე. მამაჩემს გაეღვიძა და კარის ნაცვლად ფანჯარა გამიღო.

– სად იყავიო?! – მიყვირა.

არ ვუპასუხე. ერთხანს ჩუმად ვიდექით. ჭრიჭინებს ვუსმენდი.

– მანდ რას უდგახარ? შემოდი! – მითხრა ბოლოს.

ფანჯრიდან გადავედი. ის იდგა და წყრომით მიყურებდა. მერე მოჰყვა: შვილო, შვილო, რატომ არა სწავლობ? დილიდან შუაღამემდე ქუჩაში რას აკეთებ?! ვიფიქრე, მივალ, დედას გავაღვიძებ, ვეტყვი: დედა, ამ მტირალა კაცთან რა გვესაქმება-მეთქი, წავიყვან და წავალთ ამ სახლიდან. მერე? მამას რა მოუვა? ხომ დაიტანჯება? შემეცოდა. მართლაც დამნაშავე ვარ! რას დავყიალობ?! დარდი ნუ გაქვს, მამა, აი, ნახავ, ხვალიდან როგორ ვიმეცადინებ! ვითომ დამიჯერებს? ეშველა – გაჩუმდა.

ნაწყენი და სატირლად გამზადებული შემომჩერებოდა. ვეღარ გავუძელი, ჩემს ოთახში გავედი, მაგიდას მივუჯექი. მამა, დამინახე, მათემატიკას ვმეცადინეობ. ნუ შემაწუხებთ, კარგი? კარიც მივხურე. სინათლე მინთია, შუქი კარის ღრიჭოში გაატანს, დაინახავენ და იფიქრებენ, მართლა მეცადინეობსო. ერთხანს თავისთვის ლაპარაკობდა. მერე ჩაჩუმდა. კარი ფრთხილად გამოვაღე და გავიხედე. არა ჩანს, დაწოლილა. კარგია, არა? შენ მათემატიკა იმეცადინე, ჩვენ ტკბილად დავიძინებთო. ეგრე იყოს! თუ ლიცეუმის დიპლომი ასეთი მნიშვნელოვანია, დღე და ღამეს გავასწორებ, თვალს არ მოვხუჭავ, იმდენს ვიმუშავებ, დილით ჩემ დანახვაზე დედას გული ეტკინოს. მაგრამ ვიცი, ცხოვრებაში უფრო ფასეული რამეებიც არსებობს. თუ გინდათ, გეტყვით: დედა, თუ გსმენია რამე კომუნისტებზე, ქრისტიანებზე, სიონისტებზე? ჩვენ შორის შემოღწეულ მასონებზე? იცი, რაზე მოილაპარაკეს პაპმა, კარტერმა და ბრეჟნევმა? მაგრამ რა? არც კი მომისმენენ. თუნდაც მომისმინონ, ვერაფერს გაიგებენ. რას იზამ? სანამ მთლად არ გავგიჟებულვარ, მათემატიკას ჩავუჯდები.

წიგნი გადავშალე. ამ წყეული ლოგარითმების გამო ჩავრჩი კლასში. ჰო, ვწერთ log და ვამბობთ a log (A, B)= a log A+a log B. სხვა რაღაცეებიც არის. წიგნში თეორემა ჰქვია. ყველაფერი რვეულში ლამაზად გადმოვწერე. მომეწონა ჩემი ნაწერი. ოთხი გვერდი ჩავაწიკწიკე. თურმე მცოდნია მუშაობა. ესეც თქვენი ლოგარითმები. ახლა მაგალითსაც ამოვხსნი: ამის ლოგარითმი იპოვეთო. ვიპოვი. მაგას რა უნდა! ერთხელ კიდევ წავიკითხე ჩემი ჩანაწერები. დრო გადიოდა, მაგრამ თავში არაფერი შემდიოდა. ვერ გავიგე, რა რაზე უნდა გამემრავლებინა, რა რაზე უნდა გამეყო, ან როგორ შემეკვეცა. ერთხელ კიდევ წავიკითხე, ცოტაც და, დავიზეპირებდი, მაგრამ ვერა და ვერ ამოვხსენი მაგალითი. არც ეს საზიზღარი ნიშნები მეუბნებოდა რამეს. ნერვები მომეშალა. ავდექი. სიგარეტი მაინც მქონდეს, მოვწევდი. დავჯექი, კალამი ავიღე და ამოხსნა დავაპირე, მაგრამ მხოლოდ რვეულის დაჯღაბნა მოვახერხე. მერე კი კიდეზე, ნახე, ნილგუნ, რა მივაწერე: „არა მქონია შენდამი ტრფობა, მაგრამ მაინც დაიპყარი ჩემი გონება.“

ცოტა კიდე ვიმუშავე, მაგრამ რა გამოვიდა? მერე ვთქვი: რაში მარგია ამ ლოგარითმებისა და ფესვების ცოდნა? თუ როდისმე ისე გავმდიდრდები, რომ ჩემი შემოსავლის დათვლას უამათოდ ვერ შევძლებ, ან სახელმწიფო მოხელე თუ გავხდები,

ნუთუ ჭკუა არ მეყოფა, ერთი მდივანი დავიქირავო და ეს ოპერაციები ვაკეთებინო?

მათემატიკა გვერდზე გადავდე და ინგლისურის წიგნი გადავშალე, მაგრამ ჩემს გადაღლილ ტვინს აღარაფერი შეუძლია. ალაჰმა დასწყევლოს ეს მისის და მისტერ ბრაუნები! ერთი და იგივე სურათები: ყველაფრის მცოდნე, ყველაფრის უხინჯოდ გამკეთებელი ერთი და იმავე ადამიანების ცივი და კმაყოფილი გამომეტყველება. ესენი ინგლისელები ყოფილან. გატკიცინებული პიჯაკები აცვიათ, ჰალსტუხები უკეთიათ. ამათ ქუჩებიც დაგვილ-დარეცხილი ჰქონიათ. ერთი ზის, მეორე დგას. ასანთის კოლოფებს (სულ არა ჰგავს ჩვენსას) ხან მაგიდაზე, ხან მაგიდის ქვეშ, ხან მაგიდასთან ალაგებენ და სხვა რა გზა მაქვს, უნდა ეს აბდაუბდა დავიზეპირო: ონ, ინ, ანდერ. თორემ ლატარიის ბილეთების გამყიდველი, რომელიც ახლა მეორე ოთახში ხვრინავს, თავს მოიკლავს, როგორ თუ ჩემს შვილს სწავლა არ უნდაო. სურათების წარწერებს ხელი დავაფარე, ჭერში ვიყურებოდი და ვიზეპირებდი. უცებ მომბეზრდა, წიგნი იატაკზე დავანარცხე: წყეულიმც იყავ! მაგიდას მოვშორდი, ფანჯრიდან გადავედი. მე ის კაცი არა ვარ, ამ იწილო-ბიწილოს დავჯერდე. ბაღის ერთი კუთხიდან ჩაბნელებული ზღვისა და ძაღლებიანი კუნძულის ერთადერთი მოკიაფე შუქურის ყურებამ ცოტათი დამამშვიდა. ქვემო უბანში სინათლე არავის ენთო. მხოლოდ ქუჩის ფარნები ბჟუტავდა.

შორიდან მინის ქარხნის გუგუნი ისმოდა და მისი სინათლე აღწევდა. ერთი გემი ნელა და უხმოდ მიცურავდა, წითელი სინათლეები ენთო. ბაღში ხმელი ბალახისა და მიწის სუნი იდგა – ზაფხულის სუნი. ბაღის სიჩუმეს მხოლოდ ჭრიჭინები არღვევდნენ. მხოლოდ ის უტიფრები გაგახსენებდნენ, სადღაც შორს, უკუნ ღამეში ჩაფლულ ბლის ბაღებს, ზეთისხილის ჭალებსა და ხეებქვეშ სიგრილეს. ყური მივუგდე. მომეჩვენა, თუ იელქენქაიასაკენ მიმავალი გზისპირა წუმპედან მართლა გავიგონე ბაყაყების ყიყინი?

ცხოვრებაში უეჭველად ბევრ რამეს გავაკეთებ! გასაკეთებელიც წარმოვიდგინე: ომები, გამარჯვებები, დამარცხების შიში და წარმატების იმედი, უბედურები, რომელთაც თანაგრძნობით მოვეკიდები, გადარჩენილები, ამ სასტიკ სამყაროში ჩვენი გასავლელი გზა... ქვემო უბანში სინათლეები ჩაუქრიათ.

სძინავთ და სულელურ, უაზრო, უბადრუკ სიზმრებს ხედავენ. მხოლოდ მე ვფხიზლობ და მათ ძილს ვდარაჯობ. ძალიან მიყვარს ცხოვრება, მძულს წოლა და ძილი. რა დროს ძილია, როცა ამდენი რამ არის გასაკეთებელი!

ერთხანს ვიდექი და ვფიქრობდი, მერე შინ დავბრუნდი – ფანჯრიდან შევედი. მივხვდი, მუშაობის თავი არა მქონდა. ტანგაუხდელად მივეგდე საწოლზე. დილით გავიღვიძებ თუ არა, მათემატიკას ჩავუჯდები. ისე, სიმართლე თუ გინდათ, ინგლისურსა და მათემატიკას არდადეგების ბოლო ათი დღეც ეყოფა. დილაადრიანად, როგორც კი ხეებზე ჩიტები აჭიკჭიკდებიან, ნილგუნი პლაჟზე მივა. იქ ასე ადრე ადამიანის ჭაჭანება არ იქნება. მეც მივალ, ვინ დამიშლის? წამით მომეჩვენა, რომ ვიღვიძებდი, ცოტაც და, გული ამომივარდებოდა, მაგრამ არა, ისევ მეძინა.

გამეღვიძა, მზე მომდგომოდა, ოფლში ვცურავდი. პერანგი და შარვალი გასაწური გამხდომოდა. წამოვხტი. ჩემს მშობლებს ისევ ეძინათ. სამზარეულოში შევედი. ყველსა და პურს ვჭამდი, როცა დედა შემოვიდა.

– სად იყავი?

– სად უნდა ვყოფილიყავი?! მთელი ღამე შინ ვიჯექი და ვმეცადინეობდი.

– გშია, შვილო? ჩაის დავაყენებ.

– არა, უკვე მივდივარ.

– ამ დილაადრიან სად მიდიხარ? თანაც უძილო ხარ.

ცოტას გავივლი, გულს გადავაყოლებ. მალე დავბრუნდები და ისევ ვიმეცადინებ. მართლა, დედა, ორმოცდაათ ლირას ვერ მომცემ?

ერთხანს დამფრთხალი მიყურებდა. მერე მითხრა: – კიდევ რას აპირებ? რაში გჭირდება ეგ ფული? კარგი, ოღონდ, მამაშენთან არ დაგცდეს.

ოთახში შებრუნდა, ორი ოცლირიანი და ერთი ათლირიანი გამომიტანა. მადლობა გადავუხადე. ჩემს ოთახში შევედი, შარვლის ქვეშ საცურაო ტრუსები ჩავიცვი. მამა არ გავაღვიძო-მეთქი, ფანჯრიდან გადავედი. უკან მოვიხედე. დედა

ფანჯარასთან იდგა და მიყურებდა. ნუ წუხხარ, დედა, მე ცხოვრებაში არ დავიკარგები, უკვე ვიცი, ვინ გამოვალ.

მოასფალტებულ ქუჩას დავუყევი. მივდივარ. მალ-მალ ჩამიქროლებენ აღმართზე დიდი სიჩქარით მიმავალი მანქანები. ჰალსტუხიან ტიპებს პიჯაკები მანქანაში უკიდიათ. სტამბოლს მიიჩქარიან. ერთმანეთს მახე უნდა დაუგონ, ვისაც მოერევიან, ძელზე უნდა გასვან. ვერც კი მამჩნევენ. ვერც მე გხედავთ, ჰალსტუხიანო რქოსნებო!

პლაჟზე არავინ ჩანს. ჯერ არც ყარაული მოსულა და არც ბილეთის გამყიდველი. ამიტომ უბილეთოდ შევედი. ფეხსაცმელში ქვიშა არ ჩამივიდეს-მეთქი, ფრთხილად მივდიოდი. ასე ვიარე კლდეებამდე, სანამ პლაჟი არ გათავდა და ვიღაცის სახლის კედელი არ დაიწყო. კედლის ძირში ჩავჯექი. ნილგუნი როცა მოვა, აქედან დავინახავ. წყნარი ზღვის ფსკერს ვათვალიერებ. წყალმცენარეებში ქაფშიები დაძვრებიან, მფრთხალი კეფალები ოდნავ გაფაჩუნებაზე გარბიან. გატრუნული ვზივარ. კარგა ხნის მერე ვიღაც გამოჩნდა – ნიღაბი გაიკეთა, ლასტები ჩაიცვა, წყალქვეშ თოფი გამართა და ჰაიდა – კეფალებს დაერია. ეს ნეხვი ტიპები კეფალებს რომ დასდევენ ხოლმე, ნერვები მეშლება. წყალი დადგა და ისევ დავინახე კეფალები და ღორჯოები. ამასობაში მზემაც დააცხუნა.

ჩვენს ბავშვობაში ახლომახლო ორადორი სახლი იდგა: იმათი დაფხავებული, უცნაური სახლი და კორტოხზე წამოჭიმული ჩვენი სახლი. მე, ნილგუნი და მეთინი აქ მოვდიოდით, მუხლებამდე შევდიოდით წყალში, ჩავუშვებდით ანკესებს და ვიცდიდით, მაგრამ მას ღორჯოს გარდა არაფერი მოჰყვებოდა. იმაზეც – გაუშვი, წავიდესო, – მეტყოდა ხოლმე მეთინი, მაგრამ თევზს უკვე შეეჭამა სატყუარა. როგორ უნდა გადამეგდო? ვდებდი ჩემს სათლში. მეთინი დამცინოდა. მე კი ვპასუხობდი:

– ხარბი როდი ვარ. მხოლოდ მინდა, ამ ღორჯოს ვკითხო, რა იქნა ჩემი სატყუარა. არ ვიცი, ნილგუნს ესმოდა თუ არა ჩვენი ლაპარაკი. იქნებ არც ესმოდა. მეთინი ღორჯოს მალავდა. ნილგუნ, ნახე, რა ძუნწია შენი ძმა. ანკესზე ტყვია კი არა, ჭანჭიკი გამოუბამს.

– ბიჭებო, მერე ის თევზები ზღვაში დააბრუნეთ, ცოდონი არიან, – გვეუბნება ნილგუნი.

არა, ამათთან მეგობრობა ძნელია. ისე, ღორჯოსაგან კარგი შეჭამანდი გამოვა, თუ კარტოფილსა და ხახვს დავუმატებთ.

მერე კიბორჩხალებს ვაკვირდებოდი. როგორი გონიერები და ფიქრიანები არიან! დიდი ჯაფა ადგათ და იმიტომ. ასე მგონია, ამ კიბორჩხალამ ჩემზე მეტი რამ იცის. დაბადებიდან ბრძენები არიან – ბევრის მნახველი მოხუცებივით. მათი თეთრმუცელა და ფუმფულა შვილებიც კი ჭკუის კოლოფები არიან.

პლაჟზე ნელ-ნელა იმატა ხალხმა. წყლის ზედაპირი ამოძრავდა. აიმღვრა, ფსკერი აღარ ჩანდა. პლაჟზე შემოსასვლელი კარისაკენ გავიხედე.

– ნილგუნ, დაგინახე!

შემოხვედი. ხელში ჩანთა გეჭირა. პირდაპირ იქით წამოხვედი, სადაც ვიჯექი. მომიახლოვდი და ერთბაშად გაჩერდი. ყვითელი კაბა გეცვა. გაიხადე. ლურჯი ბიკინი გამოაჩინე.

ნილგუნმა პირსახოცი გაიფინა, ჩანთიდან წიგნი ამოიღო, დაწვა და კითხვა დაიწყო. მხოლოდ მის თავს ვხედავდი და ხელს, რომელშიც წიგნი ეჭირა. ფიქრმა წამიღო, დამცხა. ოფლში გავიხვითქე. დიდი დრო გავიდა, ის ისევ კითხულობდა. სახეზე წყალი შევისხი, გავგრილდი. ის კი ისევ კითხულობდა. ვიფიქრე, მივალ, მივესალმები: გამარჯობა, ნილგუნ, როგორ ხარ? საბანაოდ მოვედი-მეთქი, ვეტყვი. რომ გაბრაზდეს? რატომღაც გამახსენდა: ჩემზე ერთი წლით უფროსია!

იყოს, სხვა დროს მივალ. ამასობაში ნილგუნი წამოდგა და ზღვისკენ წავიდა. ძალიან ლამაზი იყო, თვალი ვერ მოვწყვიტე. ერთბაშად წყალში ჩახტა და გაცურა. კარგად ცურავს. სულაც არ ადარდებს, მისი ნივთები ნაპირზე უპატრონოდ ყრია. ნუ გეფიქრება, ნილგუნ, მე ვუყარაულებ, ხელს ვერავინ ახლებს. ის კი უკან მოუხედავად მიცურავს.

ავდექი, ნილგუნის ნივთებთან მივედი. აქეთ არავინ იხედება. თუნდაც დამინახონ – ნილგუნი ჩემი ამხანაგია! ჩანთაზე დადებული წიგნის ყდას დავხედე. ქრისტიანულ საფლავთან ორი მოხუცი დგას და ტირის. „მამები და შვილები“ ჰქვია. წიგნის ქვეშ ის ყვითელი კაბა დევს. ვნახოთ, ერთი, ჩანთაში რა უდევს! მხოლოდ მაინტერესებს, მაგრამ ქურდი რომ არავის ვეგონო, ფათაფუთით ვიწყებ ჩანთის გადაქოთებას: კრემის ერთი ქილა, ასანთის კოლოფი, მზისგან გაცხელებული

გასაღები, კიდევ ერთი წიგნი, თმის სამაგრი, ერთი პატარა, მწვანე სავარცხელი, შავი სათვალე, პირსახოცი, ჰიგიენური პაკეტი. სავარცხელი მაშინვე ისე ჩავიდე ჯიბეში, არავის დაუნახავს. მერე კლდეებთან დავბრუნდი, დავჯექი და დაველოდე.

ნილგუნი წყლიდან ამოვიდა, თავის პირსახოცთან მიირბინა და შიგ ისე გაეხვია, თითქოს პატარა გოგო ყოფილიყოს და არა ჩემზე ერთი წლით უფროსი ჭკვიანი ქალიშვილი. ტანი შეიმშრალა, ცოტა ხანს თავის ჩანთაში იქექა, რაღაც ეძება, მერე საჩქაროდ გადაიცვა ყვითელი კაბა და წავიდა, დავიბენი. მე ხომ არ გამირბის-მეთქი, – ვიფიქრე, გავიქეცი, წამოვეწიე. მივხვდი, შინისაკენ მიდიოდა. ის იყო, გზის მოჭრა და გასწრება დავაპირე, რომ გზიდან გადაუხვია და უკან მომექცა. თითქოს ამჯერად ის მომდევდა. ბაყლის დუქანთან ერთ მანქანას ამოვეფარე, ვითომ ფეხსაცმლის ყაითნებს ვიკრავდი, თან თვალს არ ვაშორებდი. დავინახე, ბაყალთან შევიდა.

ქუჩის მეორე მხარეს გადავედი. დუქნიდან გამოვა თუ არა, შევხვდები. ჯიბიდან სავარცხელს ამოვიღებ და მივცემ. ვკითხავ, ნილგუნ, ეს შენი სავარცხელია-მეთქი? დიახ, სად იპოვეო? – მკითხავს. დაგვარდნია-მეთქი, – ვეტყვი. მერე, არა მკითხავს, როგორ მიხვდი, რომ ჩემი იყოო? არა, ასე არ ივარგებს. ვეტყვი, დავინახე, გზაზე დაგივარდა და ავიღე-მეთქი. ხის ქვეშ ველოდებოდი, ხვითქი გადამდიოდა.

მალე გამოვიდა, ჩემკენ წამოვიდა. კარგია. მეც მის შესახვედრად მივდივარ. სახეზე არ ვუყურებ, ჩემს ფეხსაცმელებს დავჩერებივარ. უცებ თავი ავწიე.

– გამარჯობა! – ვუთხარი. თან გავიფიქრე: ღმერთო, როგორ გალამაზებულა!

– გაგიმარჯოს! – ცივად მიპასუხა. არც კი გამიღიმა. შევჩერდი. მას ნაბიჯიც კი არ შეუნელებია.

– ნილგუნ, შინ მიდიხარ? – ვკითხე რაღაც უცნაური ხმით.

– დიახ, – მომიგდო პასუხი და გზა გააგრძელა.

– ნახვამდის! – დავადევნე. მერე ერთხელ კიდევ ვიყვირე: – ძია რეჯეფი მომიკითხე!

შემრცხვა. არც კი მოუხედავს, კარგიო, არ უთქვამს. თვალი

გავაყოლე მიმავალ ნილგუნს და ვიფიქრე: ასე რატომ მომექცა? იქნებ რამე გაიგო? მაგრამ რა უნდა გაეგო? როცა გზაზე ბავშვობის ამხანაგი შეგხვდება, არ უნდა მიესალმო? რა ხდება? ასე რატომ შეიცვალნენ ადამიანები? ერთი სალამიც კი არ ემეტებათ. გამახსენდა, ჯიბეში ორმოცდაათი ლირა მედო. ვიფიქრე, ნილგუნი უკვე შინ იქნება, ახლავე დავურეკავ, ჩემს სათქმელს ვეტყვი. ძველებურად მომესალმოს, მისგან სხვა არაფერი მინდა. იმასაც ვეტყვი, მიყვარხარ-მეთქი. რა მოხდა მერე? სხვა რამეებზეც ვიფიქრე. საზიზღარი ადამიანებით ივსება ქუჩა: პლაჟზე მიდიან. რა აწეწილია ქვეყნიერება!

ფოსტაში შევედი. ცნობარში ჩავიხედე: სელაჰათინ დარვინოღლუს სახლი, სანაპიროს ქუჩა 12. ტელეფონის ნომერი ქაღალდის ნაგლეჯზე ჩავიწერე, არ დამავიწყდეს-მეთქი. ათი ლირა გადავიხადე და ჟეტონი ვიყიდე, კაბინაში შევედი, ნომერი ავკრიფე. მაგრამ ჩემმა თითმა ბოლო ციფრი შვიდის ნაცვლად უნებლიედ ცხრა აკრიფა. ყურმილის დაკიდება ვეღარ მოვასწარი, ათლირიანი ჟეტონი ხმაურით ჩავარდა ყუთში და დაირეკა.

– ალო! – გამაგონა ქალმა.

– ალო! – საიდან არის?

– ფერჰათ ბეის სახლია, ვინ ბრძანდებით?

– მისი მეგობარი. რაღაც უნდა ვუთხრა.

– კი, ბატონო, – მიპასუხა ხმამ და დაინტერესდა. – რის თქმა გინდათ?

– მნიშვნელოვანი რამისა, – ვუპასუხე და დავფიქრდი: რა ვუთხრა? დაიკარგა ჩემი ათი ლირა.

– ვინ ბრძანდებით?

– ფერჰათ ბეის ვეტყვი. დაუძახე შენს ქმარს!

– ფერჰათს? ვინა ხართ?

– დიახ, ფერჰათს დაუძახე! – ვუყვირე და კაბინის მინიდან გავიხედე. მოხელეს ჩემთვის არა სცალია – ვიღაცას მარკას აწვდის.

– ვინ კითხულობს?

– მიყვარხარ, მიყვარხარ-მეთქი!

– რაო? ვინა ხართ?

შენ, ეი, მაღალი საზოგადოების კაცპავ! ლამის ქვეყანას კომუნისტები დაეპატრონონ და თქვენ კი ისევ ნახევრად შიშვლები, შე ბოზო, შენი...

ყურმილი დაკიდა. მეც ფრთხილად დავკიდე. გავიხედე. მოხელე მარკის მყიდველს ხურდას უბრუნებს. ჩემკენ არ იხედება. კაბინიდან გამოვდივარ. რაც უნდა იყოს, იმაზე მაინც არ ვიწუხებ, ათი ლირა ტყუილად გადავაგდე-მეთქი. თუ ათ ლირად ასე კარგად გავერთე, დარჩენილ ორმოც ლირად ოთხჯერ უკეთ გავერთობი. აი, ეს არის მათემატიკა და ამის გამო ჩამტოვეს კლასში. ჰგონიათ, ამის არაფერი გამეგება. არაფერია, ბატონებო, მე ლოდინი შემიძლია, მაგრამ ბოლოს არ ინანოთ.

13.

ნილგუნ ხანუმი პლაჟიდან დაბრუნდა. ფარუქ ბეი ელოდებოდა. დასხდნენ. ერთი გაზეთს კითხულობდა, მეორე თვლემდა. საუზმე მივართვი. საუბარ-საუბარსა და სიცილ-სიცილში ჭამეს. მერე ფარუქ ბეიმ თავისი გატენილი ჩანთა აიღო და გებზეს წავიდა, არქივში უნდა ვიმუშაოო. ნილგუნ ხანუმი წიგნის წასაკითხად საქათმის ახლოს განმარტოვდა, მეთინი ჯერ ისევ კითხულობდა. სუფრა არ ამილაგებია, ისე ავედი ზევით. დიდ ქალბატონს კარზე მივუკაკუნე. შევედი.

– ბაზარში ჩავდივარ, დიდო ქალბატონო, რამე გნებავთ?

– ბაზარში? აქ ბაზარს რა უნდა?

– ხომ იცით, წლების წინ გახსნეს დუქნები. რა გნებავთ?

– იმათი არაფერი მინდა.

– სადილად რას ინებებთ?

– არ ვიცი, ისეთი რამე გააკეთე, რომ იჭმებოდეს.

სამზარეულოში ჩავედი, წინსაფარი მოვიხსენი, ბადურაში ცარიელი ბოთლები ჩავალაგე, კორპის საცობები ავიღე და

წავედი. დიდი ქალბატონი არასოდეს ამბობს, რა არის ის, „რაც იჭმება“. სამაგიეროდ, ყოველთვის იცის, რაც „არ იჭმება“. ადრე თავს ვიმტვრევდი. ამ ორმოცი წლის მანძილზე ვისწავლე, რას მიირთმევს. დამცხა, გავოფლიანდი. ქუჩაში ერთი გნიასი დგას. ჯერ არ გაკრეფილან სტამბოლს მიმავლები. ჩქარობენ, სამსახურს უნდა მიუსწრონ.

აღმართი ავიარე. სახლები კანტიკუნტად არის. ბაღები და ბლის ხეებია. ხეებზე ჩიტები ჯერ ისევ ჭიკჭიკებენ. კარგ ხასიათზე დავდექი. გზა აღარ გავიგრძელე, ბილიკზე გადავუხვიე და წავედი. მალე მათი სახლიც გამოჩნდა. სახურავზე ანტენა უყენიათ. ნევზათის ცოლი და დეიდა ჯენეთი ძროხას წველიან.

ზამთარში ძალიან სასიამოვნო საყურებელია ახლად მოწველილ რძეს ოხშივარი რომ ასდის. ნევზათიც აქვეა, მიუყუდებია კედელზე თავისი მოტოციკლი და ჩაჰკირკიტებს.

– გამარჯობა!

– გაგიმარჯოს! – მიპასუხა, მაგრამ თავი არ აუწევია, არ შემოუხედავს.

ერთხანს ჩუმად ვიყავით, მერე, რამე რომ მეთქვა, ყასიდად ვკითხე:

– გაფუჭდა?

– არა, გენაცვალე, ამას რა გააფუჭებს?!

თავისი მოტოციკლი ძალიან ეამაყება და მთელ უბანს იკლებს მისი გრუხუნი. ორი წლის წინ იყიდა ხილისა და რძის გაყიდვით ნაშოვნი ფულით. დილაობით მოტოციკლით კარდაკარ დააქვს რძე, მაგრამ მე ვეუბნები, ჩვენ ნუ მოგვიტან, თვითონ წავიღებ, თან ცოტას ვილაპარაკებთ-მეთქი.

– ორი ბოთლი მოგიტანია.

– ჰო, ფარუქ ბეი და მისი და-ძმაც ჩამოვიდნენ.

– კარგი, დააწყვე.

დავაწყვე. შინიდან ძაბრი და საწყაო გამოიტანა. რძეს ჯერ საწყაოში ასხამდა, მერე იქიდან ძაბრით – ბოთლებში.

– ორი დღეა, ყავახანაში არ გამოჩენილხარ.

არ ვუპასუხე.

– ჩემო კარგო, იმ რეგვენებს ნუ აჰყვები.

ფიქრში წავედი. მერე მკთხა:

– ნეტავ, მართალია, რაც იმ გაზეთში ეწერა? ის ჯუჯების სახლი მართლა არსებობს?

ყველას წაუკითხავს ის გაზეთი!

– შენც მაშინვე გაბრაზდი და გაიქეცი. მაგათზე გაბრაზება შეიძლება? მაინც სად წახვედი?

– კინოში.

– რა გადიოდა? მომიყევი, რა!

მოვუყევი. ამასობაში ბოთლები სულ დაავსო და თავის დაცობას მოჰყვა. თან წუწუნებდა: – კორპის საცობები აღარ იშოვება. ძალიან გაძვირდა, იაფფასიან ღვინოებს უკვე პლასტმასის საცობებს უკეთებენ. ყველას ვაფრთხილებ, კორპის საცობი არ დაკარგოთ-მეთქი. დაკარგავთ და – ათი ლირა თქვენზე იქნება. თუ ეს პირობა ხელს არ გაძლევთ, ასვით თქვენს შვილებს ათასნაირი ქიმიით გაჯერებული რძე.

სულ ასე ლაპარაკობს. ჯიბიდან ფარუქ ბეის მოცემული საცობების ამოღება დავაპირე, მაგრამ რატომღაც გადავიფიქრე. ეამება-მეთქი, ვიფიქრე და ვუთხარი:

– ყველაფერი ძალიან გაძვირდა.

– ეგრეა, – კვერი დამიკრა. ბოთლებს ფათიფუთით ავსებდა, თან სიძვირეზე, წარსულ კარგ დროზე ლაპარაკობდა. მომბეზრდა. აღარ ვუსმენდი. სავსე ბოთლები ყუთში ჩაალაგა. ამეებს მე ჩამოვარიგებ, თუ გინდა, შენც შინ მიგიყვანო. პედალს დააჭირა. მოტოციკლი აღმუვლდა. დაჯდა, წავედითო! – მიყვირა.

– არა, მე ფეხით წავალ.

– შენი ნებაა, – თქვა და ადგილს მოსწყდა. სანამ მოასფალტებულ გზაზე გადავიდოდა, მტვრის კორიანტელი დააყენა. ცოტათი კი შემრცხვა, რომ არ წავყევი. მივდიოდი და მიმქონდა ბადურაში ჩაწყობილი რძის ბოთლები. ერთხელ

მივიხედე უკან. ნევზათის ცოლი და დეიდა ჯენეთი ისევ ძროხას წველიდნენ. დედაჩემი ამბობდა, ჯენეთს ჟამიანობის დღეები გადაუტანიაო. როცა იმ დღეებს იხსენებდა, შიშით გული მისკდებოდა.

ბაღები და ჭრიჭინები გათავდა. სახლები დაიწყო. ეს ის ადგილებია, სადაც წლიდან წლამდე არაფერი იცვლებოდა. მერე შემოდგომობით მონადირეებმა იწყეს ჩამოსვლა. ყოველ სექტემბერს გამოჩნდებოდნენ ხოლმე. მათი ნასუქი ძაღლები გადარეულები ხტებოდნენ მანქანებიდან.

– ბავშვებო, არ მიეკაროთ! დაგგლეჯენ!

აი, კედლის ნაპრალში ხვლიკი შეძვრა. შვილო, იცი, ხვლიკი რატომ იწყვეტს კუდს? რა კანონზომიერებაა ამაში? მეკითხებოდა სელაჰათინ ბეი. მე კი ენაჩავარდნილი, შეშინებული შევჩერებოდი დაღლილ, დაუძლურებულ, ილაჯგაწყვეტილ მამას. მოიცა, ქაღალდზე დაგიწერო, მითხრა. დაწერა „ჩარლზ დარვინი“ და მომცა. ჯერაც შენახული მაქვს. სიკვდილის წინაც მომცა ერთი ქაღალდი: შვილო, აქ ჩამოთვლილია ყველაფერი, რაც გვაკლია და რაც მოჭარბებულად გვაქვს. ამას მხოლოდ შენ გიტოვებ. იქნებ, როდისმე გაიგო. გამოვართვი, დავხედე. ძველი სტატია იყო. სმისგან ჩასისხლიანებული თვალებით მომჩერებოდა. მთელ დღეს თავის ოთახში ენციკლოპედიაზე ემუშავა და დაღლილიყო. ყოველ საღამოს ცოტას სვამდა, კვირაში ერთხელ კი ისე ილეშებოდა, მხეცს ემსგავსებოდა. ზოგჯერ რამდენიმე დღე გამოუფხიზლებლად დაეხეტებოდა, სანამ სადმე არ დაეძინებოდა – ბაღში, თავის ოთახში, ან ზღვის ნაპირზე. ამ დროს დიდი ქალბატონი თავის ოთახში იკეტებოდა. ყასაბთან წავედი. დუქანში ხალხმრავლობა იყო, მაგრამ ის ლამაზი, შავგვრემანი ქალი არ ჩანდა.

– რეჯეფ, ცოტა უნდა მოიცადო, – მითხრა მაჰმუდმა.

რძის ბოთლების თრევამ დამღალა, დაჯდომა მესიამოვნა.

თუ სადმე დაძინებულს წავაწყდებოდი, მეშინოდა, დიდ ქალბატონს არ დაენახა, ან კიდევ არ დაელია. ვაღვიძებდი: ბატონო, აქ რატომ წევხართ? გაწვიმთ, გაცივდებით. თქვენს ლოგინში ჩაწექით-მეთქი, – ვეუბნებოდი. ის კი ბურტყუნებდა, ბებრული ხმით იგინებოდა: წყეული ქვეყანა! წყეული ქვეყანა! ეს ტომები დამასრულებინა, ან თუნდაც ერთი ბროშურა

გამაგზავნინა გამომცემელი ისტეფანისათვის... რომელი საათია? მთელ ერს სძინავს, მთელ აღმოსავლეთს სძინავს. არა, ყველაფერი ამაო როდია, მაგრამ ძალა აღარაფრისა მაქვს. ეჰ, ისეთი ცოლი მაინც შემხვედროდა, როგორიც მინდოდა... რეჯეფ, შვილო, დედაშენი როდის მოკვდა? ბოლოს დგებოდა, მხარზე მეყრდნობოდა. მივდიოდით. მთელი გზა ბურტყუნებდა: რაო? რას ამბობ, როდის გაიღვიძებენო? ბრიყვები! სძინავთ სულელური სიმშვიდით. პირველყოფილი აღტაცებით სძინავთ და სწამთ, რომ სამყაროში ყველაფერი ისევეა მოწყობილი, როგორც იმ სულელურ და პრიმიტიულ ზღაპრებში, რითაც თავები აქვთ გამოტენილი. მე კი ავიღებ კეტს და თავში რტყმით გამოვაღვიძებ: სულელებო! თავი დააღწიეთ ტყუილებს, გამოფხიზლდით, თვალი გაახილეთ! სანამ ჩემს მხარზე დაყრდნობილი თავის ოთახში ადიოდა, დიდი ქალბატონის ოთახის კარი შიგნიდან ფრთხილად იღებოდა. დერეფნის სიბნელეში ერთი დაკვესავდა დიდი ქალბატონის ზიზღითა და ცნობისმოყვარეობით სავსე თვალები. ამ დროს სელაჰათინი აყვირდებოდა: სულელო ქალო! საბრალო, სულელო, მშიშარა ქალო! რეჯეფ, დროზე ჩამაწვინე ჩემს ლოგინში! რომ გავიღვიძებ, ყავა მზად იყოს! მაშინვე მუშაობას შევუდგები. უნდა ვიჩქარო, ანბანის შეცვლამ ჩემი ენციკლოპედია თავდაყირა დააყენა. თხუთმეტი წელია, ვეღარ გამისწორებია. ასე ლაპარაკ-ლაპარაკით ჩაიძინებდა, ცოტა ხანს ვუყურებდი, როგორ ეძინა, მერე ფეხაკრეფით გამოვდიოდი.

ფიქრებიდან ვიღაც ბავშვის მზერამ გამომიყვანა – მონუსხული მომჩერებოდა. შევწუხდი. აზრი გამიწყდა. სხვა რამეზე ფიქრიც ვეღარ მოვახერხე. ავიღე ჩემი ბადურა.

– მერე მოვალ.

ყასბის დუქნიდან გამოვედი და ბაყალთან წავედი. აუტანელია ბავშვის ცნობისმოყვარეობა. პატარაობისას თავადაც მაინტერესებდა, რა მჭირდა. მეგონა, ასეთი იმიტომ ვიყავი, რომ დედაჩემმა გათხოვებამდე გამაჩინა. მაგრამ ეს მერე იყო, როცა დედამ მითხრა, რომ მამაჩემი მამაჩემი არ იყო.

– ძია რეჯეფ, ვერ დამინახე?! – მომაძახა ვიღაცამ.

ჰასანი იყო.

– ღმერთმანი, ვერ დაგინახე. ფიქრმა წამიღო. აქ რა გინდა?

– არაფერი.

– ჰასან, შინ წადი. აქ რა უნდა გააკეთო? აქაურობა საშენო ადგილი არ არის.

– ვითომ რატომ არ არის?

– იმიტომ, შვილო, რომ უნდა იმეცადინო.

– დილით არ შემიძლია, ძალიან ცხელა. საღამოობით ვმეცადინეობ.

– საღამოობითაც იმეცადინე და დილაობითაც. სწავლა ხომ გინდა?

– მინდა და კარგადაც ვისწავლი. არც ისეთი ძნელია.

– ღმერთმა ქნას! ახლა წადი!

– ფარუქ ბეი ჩამოვიდა? მისი თეთრი „ანადოლი“ დავინახე. ნილგუნი და მეთინიც ჩამოვიდნენ? როგორ არიან?

– ჩამოვიდნენ, კარგად არიან.

– მეთინი და ნილგუნი მომიკითხე. თუმცა, ნილგუნი წეღან ვნახე. ბავშვობაში ხომ ვმეგობრობდით.

– მოკითხვას გადავცემ. შინ წადი!

– მივდივარ, მაგრამ მანამდე რაღაც უნდა გთხოვო: ძია რეჯეფ, ორმოცდაათ ლირას ვერ მომცემ? რვეულებს ვიყიდი. ძალიან ძვირია.

– სიგარეტს ეწევი, არა?

– გეუბნები, რვეულები გამითავდა-მეთქი.

ბოთლები ძირს დავაწყვე, ოცი ლირა ამოვიღე და მივეცი.

– ეს არ ეყოფა.

– წადი, თორემ გავბრაზდები.

– კარგი, რა გაეწყობა, ერთ ფანქარს ვიყიდი.

წავიდა. ერთბაშად შეჩერდა:

– მამაჩემს არ უთხრა, რა? ყველაფერზე ბრაზობს.

– იცოდე, მამაშენი არ გააჯავრო!

წავიდა. მე ბაყალთან შევედი. მუშტარი არ ჰყავდა, მაგრამ არ ეცალა – დავთარში რაღაცას იწერდა. მოათავა, შემომხედა. ცოტა ვილაპარაკეთ. ისინი იკითხა. კარგად არიან-მეთქი. ფარუქ ბეიც კარგად არისო? რატომ უნდა ვუთხრა, რომ ფარუქ ბეი სვამს? ისედაც იცის. ყოველ საღამოს აქ არ მოდის და ბოთლს ბოთლზე არ ყიდულობს? სხვები როგორ არიან? დაიზარდნენ-მეთქი. გოგოს ვხედავ, ყოველ დილით ჩემგან გაზეთს ყიდულობსო. დაქალებულა. მართალია, მაგრამ მეთინი უფრო გაზრდილა. მეთინიც უნახავს. მოჰყვა, როგორ გამოიყურებოდა. სულ ეს არის, რასაც საუბარი და მეგობრობა ჰქვია – ვუყვებით ერთმანეთს, რაც ვიცით. ძალიან მომწონს. ვიცი, სულ ფუჭი სიტყვებია, მაგრამ თავს ვიტყუებ და კარგ ხასიათზე ვდგები. მედუქნემ ამიწონა, რაც მინდოდა და პარკებში ჩამილაგა. ახლა დანახარჯი ქაღალდზე დამიწერე-მეთქი, ვთხოვე. შინ რვეულში გადავწერ. თვის ბოლოს ფარუქ ბეის ანგარიშს ვაბარებ. ზამთარში ამას ორ-სამ თვეში ერთხელ ვაკეთებ. ფარუქ ბეი, აი, ანგარიში, ეს ამაში დავხარჯე, ეს – იმაში. გადახედეთ, რამე შეცდომა არ იყოს. არც კი დაჰხედავს. კარგი, რეჯეფ, დიდი მადლობაო, – მეტყვის. მერე საფულიდან ნოტიო, დაჭმუჭნილ ტყავის სუნით აქოთებულ ფულს იღებს და მაძლევს: ეს სახლის ხარჯებისათვის, ესეც შენი ხელფასიო. ფულს ვართმევ, დაუთვლელად ვიდებ ჯიბეში და მაშინვე სხვა რამეზე მინდება ლაპარაკი.

ნაზმიმ ანგარიში ქაღალდზე დაწერა და მომცა. გადავიხადე. რომ გამოვდიოდი, მითხრა:

– რასიმი რომ იყო...

– მეთევზე რასიმი?

– ჰო, გუშინ მომკვდარა.

მომჩერებოდა. არაფერი მითქვამს. წამოვკრიფე ბადურა, პარკები, ხურდაც გამოვართვი.

– ამბობენ, გულმა მოკლაო. ზეგ შუადღეზე გამოასვენებენ, როცა მისი ვაჟები ჩამოვლენო.

ესეც ასე. ყველაფერი ჩვენი სიტყვების მიღმაა.

14.

გებზეში ათის ნახევარზე ჩამოვედი. ქუჩაში სიცხის ბუღი იდგა, დილის სიგრილის კვალიც კი გამქრალიყო. მაშინვე მაზრის სამმართველოში შევედი, განცხადება დავწერე. ვიღაც მოხელემ ისე დანომრა, არც წაუკითხავს. წამოვიდგენე, სამასი წლის შემდეგ როგორ აღმოაჩენენ ნანგრევებში ამ განცხადებას და მის ამოკითხვას შეეცდებიან.

კარგი თავშესაქცევი რამ არის ისტორიკოსობა, მაგრამ დიდ მოთმინებას მოითხოვს-მეთქი, ვთქვი გუნებაში და საკუთარი მოთმინების უნარით გაამაყებული შევუდექი მუშაობას. თავდაპირველად ჩემი ყურადღება ორი მედუქნის ამბავმა მიიქცია. მათ ჩხუბი მოსვლიათ და ერთმანეთი დაუხოცავთ. კარგა ხნის დამარხულები ყოფილან, როცა ნათესავებს სასამართლო დავა წამოუწყიათ. საქმეში ეწერა, 998 წლის ჯემაზიულეველის თვის 17 რიცხვში შუაგულ ბაზარში, დღისით, მზისით მოწმეების თვალწინ დანები ატრიალესო. ჰიჯრის წელთაღრიცხვის ქრისტიანულზე გადასაყვანი ცხრილი თან მქონდა. ჩავიხედე. ეს ამბავი 1590 წლის 24 მარტს მომხდარა. გამოდის, ზამთარი ყოფილა, მე კი, როცა ვიწერდი, თვალწინ ზაფხულის პაპანაქება მედგა. თუმცა, შეიძლება, მარტის ცხელი დღეც ყოფილიყო.

სასამართლოს ერთი ოქმი კიდევ წავიკითხე. ექვსი ათას აქჩედ[47] ნაყიდ არაბ მონას ეხებოდა. მყიდველი გამყიდველს უჩიოდა – ავადმყოფი მონა შემომატყუა და ახლა უკან უნდა დაიბრუნოსო. დაწვრილებით იყო აღწერილი მონის ფეხზე გაჩენილი წყლულის სიღრმე, სიდიდე. შემდეგ ჩანაწერში მთელი სტამბოლი ვიღაც გამდიდრებულ მემამულეს უჩიოდა. სხვა ჩანაწერებიდან გავიგე, რომ კაცს ოცი წლის წინათ ნავმისადგომზე ყარაულად უმუშავია და ბევრი უკანონობა ჩაუდენია. ამიტომ გაუსამართლებიათ. კაცს ბუდაქი რქმევია, მინდოდა გამეგო, რა მზაკვრობას სჩადიოდა იგი გებზეში. ამიტომ შავ ჭირს თავი ვანებე და ბუდაქის კვალს მივდიე. მალე გავარკვიე: ერთხელ არარსებული მიწის ნაკვეთი დავთარში შეუტანინებია. ორი წელი მისი გადასახადი უხდია. მერე ვიღაცისათვის მსხმოიარე ვენახში „გაუცვლია“. გაბრიყვებული „პატრონი“ ახალ ხრიკებში გაუხლართავს, თავად კი საქმიდან მშრალად გამოსულა. ეჭვი არ იყო, ბუდაქი ყველა სიავის

ჩამდენი იქნებოდა, მაგრამ რატომღაც სასამართლო მის გათეთრებას ცდილა. ამ დასკვნამდე მისასვლელად ბევრი ოფლი ვღვარე, ბევრი საბუთი შევაჯერე, მერე მივაგენი სხვა საბუთებსაც, ჩემს ვარაუდს რომ ამყარებდა. სიხარულით აღარ ვიყავი: ბუდაქს „თავის“ ვენახში მოწეული ყურძნით ვიღაცის საჯინიბოში მეღვინეობა წამოუწყია და ღვინით საიდუმლო ვაჭრობაც გაუჩაღებია. სასამართლოში სწორედ ის ხალხი სდებდა ბრალს, ვინც ღვინით ვაჭრობაში ეხმარებოდა. მაგრამ ბუდაქი ძალიან კარგად იცავდა თავს და იქით უტევდა ბრალმდებლებს.

მერე ისიც ამოვიკითხე, გებზეში ერთი პატარა მეჩეთი აუშენებიაო. გამახსენდა, გებზეს ცნობილ ადამიანებზე დაწერილ ლიცეუმის მასწავლებლის წიგნში ბუდაქსა და მის მეჩეთს ორიოდე გვერდი ეთმობა. ისტორიის მასწავლებლის თვალით დანახული ბუდაქი პატივცემული, დარბაისელი ოსმალო იყო. მისი პორტრეტი სწორედაც უნდა ამშვენებდეს ისტორიის სახელმძღვანელოს. ჩემი ბუდაქი კი გაიძვერა და მარჯვე თაღლითია. ვიფიქრე, ხომ არ დამეწერა ბუდაქზე რამე, ფაქტებით მდიდარი ისტორია, რაც არსებულ წყაროებს არ დაუპირისპირდებოდა-მეთქი.

ამ დროს რიზამ მამცნო, შესვენება იწყებაო. გარეთ გამოვედი. პროსპექტის ხვატს გავექეცი, აკაციის ხეებით დაჩრდილულ ქუჩას გავყევი და ძველი ბაზრისაკენ წავედი. მეჩეთამდე ვიარე. ძალიან ცხელოდა. ეზოში არავინ იყო. სადღაც ხუროს სახელოსნო უნდა ყოფილიყო – ჩაქუჩის დარტყმის ხმა გამოდიოდა. ჭამა არ მინდოდა, ამიტომ ყავახანისაკენ წავედი. ერთ შესახვევთან ბავშვები თამაშობდნენ. „ღიპიანო!“ – მომაძახა ვიღაცამ. არ შემოვბრუნებულვარ, არ დამინახავს, იცინოდნენ თუ არა დანარჩენები. ყავახანაში შევედი, დავჯექი და ჩაი მოვითხოვე, პაპიროსი გავაბოლე. ვეწეოდი და ვფიქრობდი, რა არის ისტორიკოსობა. იგი მეტია, ვიდრე ამბების აღწერა. მაგალითად: ვეძებთ მთელი რიგი მოვლენების მიზეზებს, მერე იმ მოვლენებს სხვა მოვლენებით ვხსნით, მაგრამ იმ სხვა მოვლენების ასახსნელად დრო აღარ გვრჩება – სიცოცხლე ხელში გვადნება. იძულებული ვართ საქმე მივატოვოთ. სხვები მოდიან და აგრძელებენ, მაგრამ მანამდე ჩვენს გაკეთებულს იწუნებენ: მოვლენებს მცდარი ფაქტებით ხსნიდნენო. მეც ხომ ასე მოვიქეცი, როცა ჩემს სადოქტორო დისერტაციაში წინამორბედთა შრომებს ვიხილავდი.

დარწმუნებული ვარ, მართალი ვიყავი. ყველა ამბობს, სინამდვილეში სულ სხვა რამ მოხდა, ანდა სულ სხვა მოვლენებით უნდა ყოფილიყო ახსნილიო. ეს სხვა მოვლენები კი წინასწარ იციან. ისღა დარჩენიათ, წავიდნენ არქივში და მოიძიონ ისინი. მერე კი საარქივო ნომრით, სქოლიოებით შემკული, შთამბეჭდავი კალიგრაფიით დაწერილი ჩვენი ისტორიებით პომპეზურ შეკრებებზე, ყრილობებზე თავი მოგვაქვს და ვამტკიცებთ, ჩვენი მონათხრობი სხვისას სჯობსო.

ლოდინი მომბეზრდა. ოფიციანტმა არა და არ მაღირსა ჩაი. ვუსაყვედურე და თავის შესაქცევად ფიქრი გავაგრძელე: ტყუილად დარდობ, – შევუძახე საკუთარ თავს, – რასაც ისტორიკოსის საქმიანობაზე ფიქრობ, ეგეც ერთი მოთხრობაა და სხვა არაფერი! ვიღაც იტყვის, ჭეშმარიტი ისტორიკოსები სულ სხვა რამეს აკეთებენო. იმასაც ამბობენ, წარსულს ვიკვლევთ და ამით აწმყოში გასაკეთებელს ვპოულობთო. ანდა, იდეოლოგიას ქმნით და ამით ადამიანს სამყაროზე მცდარ აზრებს უნერგავთო. მე კი მგონია, ესეც საქმეა. დაე, ეგონოთ, რომ ადამიანებს ვაცდუნებთ. მე თუ მკითხავთ, ისტორია გასართობია და გულის გადასაყოლებელი. ეს არის მისი მთავარი ღირსება, მაგრამ ჰალსტუხით დამშვენებული ჩემი კოლეგები თავიანთი სიდარბაისლის გადასარჩენად ამას მალავენ. თავიანთი შვილებისაგან ხომ უნდა გამოირჩეოდნენ!

როგორც იქნა, მომიტანეს ჩაი. ჩავყარე შაქარი და ვუყურებდი, როგორ დნებოდა. ერთი სიგარეტი კიდევ მოვწიე და რესტორანში წავედი. ორი წლის წინათაც იქ ვსადილობდი. ცხელი, მაგრამ წყნარი და საამო ადგილია. შეორთქლილი ვიტრინის უკან ჩამორიგებულ სინებზე თავს იწონებენ, იცდიან ოთურთმა[48], მუსაკა[49], ვაზის ფოთლის ტოლმა, ბადრიჯნის ნაირ-ნაირი კერძი. წვნიდან ნახევრად ამოჩრილი გუფთები ზაფხულის ხვატში წუმპეში ჩაწოლილ კამეჩებს მაგონებს. მადაზე მოვედი. ერთი ულუფა ბადრიჯნის მუსაკა, ერთი ფლავი და ერთიც თურლუ მოვითხოვე. გარსონმა, რომელსაც წინდები და რეზინის ფლოსტები ეცვა, რას დალევთო, მკითხა. ვუპასუხე, ერთ ლუდს-მეთქი.

სიამოვნებით ვჭამდი – პურს წვენში ვაწებდი. დიდად მეამა. როცა ლუდიც დავაყოლე, ფიქრით ჩემს ცოლს გადავწვდი. მეორე ქმართან შვილი ეყოლებაო, რომ გავიგე, გული მეტკინა. ვიცოდი, ასე რომ იქნებოდა, მაგრამ როცა დანამდვილებით

გეტყვიან, სულ სხვაა. ქორწინების პირველ თვეებში ბავშვი არ გვინდოდა. სელმა წამლების დალევას ერიდებოდა, ამიტომ ძალიან ვფრთხილობდით – იქამდე, რომ ყველაფერს გემო ეკარგებოდა. მერე ეს სიფრთხილე შევასუსტეთ, ბავშვზეც ავლაპარაკდით, ძალიან ვეცადეთ, შვილი მოგვცემოდა, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. ერთ დღეს სელმამ მითხრა, ექიმთან უნდა წავიდეთო. უარი ვთქვი: იმ ცხოველებს ამგვარ საქმეში არ გავრევ-მეთქი. არ ვიცი, იყო თუ არა სელმა ექიმთან. იქნებ ჩემგან ფარულად კიდევაც წავიდა. ამაზე აღარ მიფიქრია, რადგან მალევე გავიყარეთ.

გარსონმა ცარიელი თეფშები წამოკრიფა. ვკითხე, ტკბილი რა გაქვთ-მეთქი. კადაიფი[50] ჰქონოდათ. მომიტანა. ერთი ლუდი კიდევ მოვატანინე – კადაიფზე კარგად წავა-მეთქი, ვუთხარი გარსონს და გავიცინე. მას ჩემს ხუმრობაზე არ გაუცინია.

ვიჯექი და ვფიქრობდი. ამჯერად – ჩემს დედ-მამაზე. მაშინ აღმოსავლეთში ვცხოვრობდით – ქემაჰში. ნილგუნი და მეთინი ჯერ არ გვყავდნენ. დედა ჯანმრთელად იყო და ოჯახის საქმეებს უძღვებოდა, ქვის სახლში ვცხოვრობდით. ორსართულიან სახლში ძალიან ციოდა. ღამით კიბეები ყინულივით ხდებოდა. ჩემი ოთახიდან გამოსვლას ვერ ვბედავდი. როცა მომშივდებოდა, სამზარეულოში ვერ ჩავდიოდი. ვერც ვიძინებდი. რა დამაძინებდა, როცა სამზარეულოში იმდენი საჭმელი მეგულებოდა?! ღორმუცელობისათვის ვისჯებოდი. ქვის სახლს ერთი პატარა აივანი ჰქონდა. იქიდან ზამთრის უღრუბლო, ცივ ღამეებში მოჩანდა მთებს შორის მოქცეული თეთრი, ქათქათა ველი. როცა ყინვა მოუჭერდა, მგლების ყმუილი გვესმოდა. ამბობდნენ, მგლები ღამღამობით დაბაში ჩამოდიანო. იმასაც ჰყვებოდნენ, შიმშილით შეწუხებული მხეცები კარზე აკაკუნებენო. უკითხავად არ გააღოთ კარი, ჯერ ჰკითხეთ, ვინ არისო. ერთ ღამეს ვიღაცამ მართლა მოგვიკაკუნა კარზე და მამაჩემმა რევოლვერი აიღო და კარი ისე გააღო. ერთ ზაფხულს ჩვენს წიწილებს მელა შეეჩვია. მამა იმასაც რევოლვერით დაედევნა. მელას ვერ ვხედავდით, მხოლოდ ფაჩუნი გვესმოდა. დედამ თქვა, არწივიც იტაცებს წიწილებსო. გამახსენდა, რომ არასოდეს მენახა არწივი და გული დამწყდა. ამასობაში არქივში დაბრუნების დროც მოვიდა და წამოვდექი.

როცა კვლავ ობმოკიდებული ქაღალდების ქექვას შევუდექი,

გავხალისდი. რაც ხელში მომხვდა, ყველაფერი წავიკითხე. გულით ვიცინე: ვინმე იუსუფს ვიღაც ჰუსეინისაგან ვალი აუღია და გირაოდ თავისი სახედარი დაუტოვებია. ვალი გადაუხდია და სახედარი წაუყვანია, გზაში უნახავს, სახედარი მარჯვენა ფეხით კოჭლობდა. ამდგარა და უჩივლია. ბევრი ვიცინე. ვიცოდი, წეღან დალეული სამი კათხა ლუდიც მაცინებდა. მერე მივყევი და ყველაფერს პირწმინდად ვკითხულობდი. აღარ დაგიდევდით, მქონდა თუ არა წაკითხული, რაც ხელში მომხვდებოდა, ვკითხულობდი. რვეულშიც აღარაფერს ვიწერდი. ერთი ფურცლიდან მეორეზე გადავდიოდი, სიამოვნებით ვკითხულობდი და ვიცინოდი. საყვარელი მუსიკის მოსმენას ჰგავდა. ერთი მხრივ, ჩემს აწეწილ ცხოვრებაზე ვფიქრობდი, მეორე მხრივ – ვცდილობდი თვალი მიმედევნებინა იმ ამბებისათვის, ჩვენ თვალწინ რომ მიედინებოდა: ერთი მეწისქვილე და ვაკუფების მმართველი წაკიდებულან. სასამართლოში მისულან. დაუწყიათ წისქვილის შემოსავალ-გასავლის ჩამოთვლა, დაუხვავებიათ ციფრები. ყადის მდივანს თავის დავთარში ყველაფერი გულმოდგინედ ჩაუწერია: მეწისქვილის ყოველთვიური და სეზონური შემოსავალი, წისქვილში დაფქვილი ხორბლისა და ქერის ოდენობა; წინა წლების შემოსავალი. მეც დაწვრილებით გადავიწერე, მერე ჩამონათვალს დავხედე და ბავშვივით გავიხარე.

მერე გულდასმით გავეცანი: სტამბოლს მიმავალი ხორბლით დატვირთული გემი დაკარგულა. ბოლოს კარამურსელის ნავსადგურში უნახავთ, მაგრამ სტამბოლამდე ვეღარ ჩაუღწევია. არავის არაფერი გაუგია. ვიფიქრე, თუზლას კლდეებთან თუ ჩაიძირა თავის ტვირთიანად-მეთქი. ზედ მყოფნი დაიხრჩობოდნენ, ცურვა არ ეცოდინებოდათ.

ერთი ოქმი ეხებოდა ვინმე აბდულაჰ დურსუნის ძის საჩივარს. აბდულაჰი მღებავებს – კადრისა და მეჰმეთს – ედავებოდა: უკან დამიბრუნონ ის ოთხი სარჩული, შესაღებად რომ მივეცი. ეს საჩივარი არ გადმომიწერია – ვერ გავიგე, აბდულაჰი სარჩულებს უკან რატომ ითხოვდა. მწნილის გამყიდველს იბრაჰიმ სოფუს 991 წლის შაბანის თვის 19-ში (ანუ 1583 წლის 7 სექტემბერს) სამად სამი ცალი მჟავე კიტრი ერთ აქჩედ გაუყიდია. ამაზე უჩივლიათ. სასამართლოც შემდგარა და ოქმიც დაწერილა. ზუსტად სამი დღის შემდეგ ყასაბ მაჰმუდს ვიღაცისათვის ძროხის ხორცი მიუყიდია და წონაში 140

დირჰემი[51] დაუკლია. ესეც ოქმით დასრულებულა. ის ოქმიც გადავიწერე. ნეტავ, რას იტყოდნენ ჩემი კოლეგები, ეს რვეული რომ წაეკითხათ? ვერ დამაბრალებდნენ, ყველაფერი თვითონ მოიგონაო. ეს კი ძალიან შეაწუხებდათ. თუ რამე საინტერესო ამბავს ვიპოვი, ხომ გაგიჟდებიან. ეს ჩემი ბუდაქი, ჯერ ღვინით რომ ვაჭრობდა და მერე, კაცმა არ იცის, რა გზით გამდიდრდა, ამ საქმისათვის ზედ გამოჭრილი იქნებოდა. დავწერდი მასზე ერთ სტატიას, სქოლიოებით შევამკობდი. შთამბეჭდავი სათაურიც მოვიფიქრე: „ფეოდალური წყობილების პროტოტიპი გებზელი დიდი ბუდაქი“. მაგრამ არა, უკეთესი იქნება – „ბუდაქ ფაშა“. იქნებ მართლა გახდა ფაშა? ნეტავ, როგორი ფაშა იყო? ამაზე სტატიაში დავწერდი. ჯერ XVI საუკუნის პირველი მეოთხედის ზოგად სურათს მოვხაზავდი, მერე... „მერე“ არაფერი. სტატიის წერისას მომაბეზრებელი წვრილმანები იჩენს თავს. ეს გამახსენდა და მისი დაწერის სურვილი გამიქრა. გუნება გამიფუჭდა. ლამის ავტირდი. იტყვით, ლუდის ბრალიაო, მაგრამ არა – სასმელი კარგა ხანია, გამომნელდა.

კითხვას ვაგრძელებ: ვიღაც სიფაჰი[52] – თაჰირი, ძე მეჰმედისა – გაყაჩაღებულა. მისი დაჭერის ბრძანება გაუციათ. ყოფილა სასამართლოს გადაწყვეტილება, ეთჰემ ფაშას სახასო მამულის სავარგულებს ახლომახლო სოფლების პირუტყვი არ აჩანაგებდესო და ვინმე ნურეთინზეც ეგონათ, შავმა ჭირმა იმსხვერპლაო, ამ დროს საკუთარ სიმამრს ცემით მოუკლავს. ამას ყველაფერს ვკითხულობდი, მაგრამ აღარ ვიწერდი. სამაგიეროდ, დაწვრილებით ჩამოვწერე საკვირაო ფასები ბაზარში. გრძელი სია გამომივიდა. ისიც წავიკითხე: ფირ აჰმეთს – ომერის ძეს – მექისე მეჰმეთის ვალი ჰქონია. შეიჰ ფეთჰულას თანდასწრებით პირობა დაუდია, შვიდ დღეში დავაბრუნებო. მუსა, ძე ჰიზირისა, დაუბეზღებიათ, პირიდან ღვინის სუნი ამოსდისო. ამაზედაც შეუდგენიათ სასამართლოს ოქმი. მის წაკითხვაზე სიცილი მომინდა, მაგრამ ამისათვის ჯერ ლუდი უნდა დამელია. კარგა ხანს ვკითხულობდი სერიოზულ ოქმებს. არაფერზე ვფიქრობდი და არაფერს ვიწერდი. მომწონდა ეს გარჯა. თითქოს რაღაცას ვეძებდი, თითქოს რაღაცის კვალზე ვიდექი. თვალები დამეღალა. გავჩერდი და სარდაფის ფანჯრას ავხედე. მზე ადგა. ფიქრები და ხილვები საიდანღაც მოდიოდა და ჩემ წინ ირეოდა.

რატომ გავხდი ისტორიკოსი? ჩვიდმეტი წლისა ერთადერთხელ დავინტერესდი ისტორიით. იმ გაზაფხულზე დედა

გარდამეცვალა. მალე მამაჩემიც მიჰყვა. მამაჩემი პენსიას არ დაელოდა, ისე გადადგა მაზრის უფროსობიდან. ჯენეთჰისარში დასახლდა. ის ზაფხული მეც ჯენეთჰისარში გავატარე. მამაჩემის წიგნებში ვიქექებოდი და მერე ზღვის ნაპირზე სეირნობისას წაკითხულზე ვფიქრობდი. თუ მკითხავდნენ, ვინ უნდა გამოხვიდეო, ექიმი-მეთქი, ვპასუხობდი. პაპაჩემიც ხომ ექიმი იყო. მაგრამ იმ შემოდგომაზე ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი. ამას არავინ მოელოდა. ბევრი გეგულებათ, ისტორიკოსობა ჩემსავით პროფესიად გაეხადოს? სელმა ხშირად მეუბნებოდა, სისულელეები და ამპარტავნობა შენი პიროვნების ნაწილიაო, მაგრამ ჩემი ისტორიკოსობა მოსწონდა, მამაჩემს – პირიქით. როცა გაიგო, ისტორიულზე შევიდაო, დალია. თუმცა დასალევად მიზეზი არასოდეს სჭირდებოდა. ისედაც სულ სვამდა. დიდედა ჩასჩიჩინებდა, ნუ სვამო. დიდედაზე ფიქრმა სახლი და ნილგუნი გამახსენა. საათს დავხედე. ხუთი ხდებოდა. სიმთვრალეს სულ აღარ ვგრძნობდი. ცოტა ხნის შემდეგ, როცა კითხვა მომბეზრდა, რიზას აღარ დაველოდე, მანქანაში ჩავჯექი და შინ წავედი. გზაში ვფიქრობდი: ნილგუნი საქათმის გვერდით წიგნს კითხულობს, მივალ, დაველაპარაკები. თუ ჩემთან ლაპარაკს არ ინდომებს, სასთუმალთან ევლია ჩელები მიდევს, იმას გადავშლი და წავიკითხავ. ამასობაში ვახშმის დროც მოვა. ვივახშმებ და ისევ დავლევ.

15.

საზამთროს ბოლო ლუკმა პირში ჩავიდე და სუფრიდან ავდექი.

– ჭამა არ დაუმთავრებია და სად მიდის? – იკითხა დიდედამ.

– ნუ წუხხართ, დიდედა, მეთინმა ჭამა უკვე მოათავა, – უთხრა ნილგუნმა.

– თუ გინდა, მანქანა წაიყვანე, – პატივი დამდო ფარუქმა.

– თუ დამჭირდა, მოვალ და წავიყვან.

– დაგავიწყდა, ჩემი დანჯღრეული „ანადოლი“ როგორ გესირცხვილება?

ნილგუნმა გადაიხარხარა. არაფერი მითქვამს. ზემოთ ავედი.

ავიღე საფულე, რომელშიც ზაფხულის პაპანაქებაში მთელი თვის მუშაობით ნაშოვნი თოთხმეტი ათასი ლირა მედო. ეს ფული თავდაჯერებულობას მმატებდა, მაამაყებდა. გასაღებიც ავიღე, ერთხელ კიდევ გავიპრიალე ამერიკული მოკასინები, მხარზე გადავიგდე ამერიკიდან ჩამოტანილი მწვანე მაისური (დეიდაჩემის ქმარმა ჩამომიტანა და გაუთავებლად ჰყვებოდა, სად და როგორ იყიდა) და ძირს ჩავედი. სამზარეულოს კარში რეჯეფს შევეჩეხე:

– პატარა ბატონო, ისე წახვალთ, ბადრიჯანს არ შეჭამთ?

– ყველაფერი ვჭამე, საზამთროც კი.

– მადლობა ალაჰს!

წავედი. ჭიშკრიდან გავდივარ. ისევ მესმის ნილგუნისა და ფარუქის სიცილი. ყოველ საღამოს ასეა. ჯერ ერთი იტყვის რამე სასაცილოს, გულს მოიჯერებენ, მერე მეორეს გაახსენდება რამე და ისევ ატეხავენ სიცილს.

ლამპის მკრთალ შუქზე საათობით სხედან. მთელ სამყაროს განიკითხავენ. თურმე ყველა უსამართლო და სულელი ყოფილა. საკუთარი სისულელე დავიწყებიათ. ამასობაში ფარუქი ერთ ბოთლ არაყს დალევს და ნილგუნს – თუ ჯერ არ დაწოლილა – თავისი გაქცეული ცოლის ამბებს მოუყვება. გამთენიისას დავბრუნდები, ფარუქი ისევ მაგიდასთან იჯდება გალეშილი და ისევ ვიფიქრებ: ეს კაცი თავს უფლებას აძლევს, მანქანის ყოველ თხოვებაზე გამკენწლოს-მეთქი. თუ ყველაზე ჭკვიანი და ნიჭიერი ხარ, ის ლამაზი ცოლი რატომ გაგექცა? ისეთ ადგილზე ცხოვრობენ, სულ ცოტა ხუთი მილიონი ღირს. ესენი კი კიდეებშემომტვრეულ თეფშებზე ცალ-ცალი დანა-ჩანგალით ჭამენ. სამარილეც არა აქვთ. მარილი წამლის ძველ ქილაში უყრიათ. ქილის სახურავი ჯუჯას ჟანგიანი ლურსმნით დაუხვრეტია. სხედან და მშვიდად უყურებენ, ჭამის დროს როგორ იღვრის ტანსაცმელზე საჭმელს მათი ოთხმოცდაათი წლის უბედური დიდედა.

ბევრი ვიყიალე და ბოლოს ჯეილანის სახლს მივადექი. მისი დედ-მამა ტელევიზორს უყურებდა, როგორც ყველა არცთუ განათლებული მდიდარი და უბედური ღარიბები, რომელთაც სხვა გასართობი არ გააჩნიათ. უგნურმა მდიდრებმა გართობა არ იციან! ზღვის ნაპირზე ჩავედი. ყველა აქ იყო. მარტო მებაღე აკლდათ – დილიდან საღამომდე შლანგზე რომ არის

გამობმული და რწყავს ბაღს.

დავჯექი და ყური მივუგდე:

– ბავშვებო, ახლა რას ვაკეთებთ?

– ჩვენები მალე დაწვებიან და ვიდეოს ვუყუროთ.

– რას ამბობ?! მთელი საღამო აქ გავატაროთ?

– მე ცეკვა მინდა, – თქვა გულნურმა და ოცნებაში წარმოდგენილი მუსიკის ტაქტს აჰყვა.

– პოკერი ვითამაშოთ! – იყვირა ფიქრეთმა.

– მე არ ვთამაშობ.

– მაშინ ჩამლიჯაში[53] წავიდეთ და ჩაი დავლიოთ.

– იქამდე ორმოცდაათი კილომეტრია.

– მეც ცეკვა მინდა, – თქვა ზეინებმა.

– მოდით, თურქულ ფილმზე წავიდეთ და გემოზე გამოვიძინოთ.

– ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტეთ, სად მივდივართ!

ვიჯექი და ვუყურებდი, როგორ ირეკლებოდა წყნარ ზღვაში შუქურა. იგი სადღაც შორეულ კუნძულზე ინთებოდა და ქრებოდა. ფიქრმორეული ვყნოსავდი უსურვაზისა და გოგონების სუნამოს სურნელს.

ჯეილანი მიყვარდა, მაგრამ რაღაც გრძნობა, რომელიც ვერა და ვერ გამერკვია, რა იყო, მისგან მაშორებდა. დილას, ჯერ კიდევ ლოგინიდან ადგომამდე, გადავწყვიტე, ჯეილანს ჩემზე დაველაპარაკები-მეთქი. მაგრამ არ ვიცოდი, რა მეთქვა, რაც მეტს ვფიქრობდი, მით უფრო მეკარგებოდა აზრი. მაინც რა იყო ის, „ჩემზე“? საერთოდ არსებობდა ის, რაც ჩემი თავი მეგონა? თითქოს იგი რაღაც საიდუმლო ყუთში იდო და როგორც კი დავაპირებდი იმ ყუთის გახსნას და ჯეილანისათვის ნამდვილი მეთინის ჩვენებას, ყუთიდან მეთინი კი არა, სხვა ყუთი ამოდიოდა და ის ყუთი ისევ ნამდვილ მეთინს მალავდა. ვიფიქრე, სიყვარული თვალთმაქცობისაკენ უბიძგებს-მეთქი. შეყვარებული კი ვიყავი, მაგრამ მჯეროდა, თავიდან ავიცილებდი მსგავს შეგრძნებას.

მალე მაინც დამთავრდებოდეს ეს მოლოდინი! ვიცი, რას ველოდები? არა მგონია. თავის დასამშვიდებლად ჩემი ყველა ღირსება გავიხსენე და სათითაოდ ჩამოვთვალე, მაგრამ ამან ვერ მიშველა, ვერ მანუგეშა.

როგორც იქნა, მოიფიქრეს, სად წავსულიყავით. ჩავსხედით მანქანებში და სასტუმროს დისკოთეკაში გავცვივდით. რამდენიმე ტურისტის გარდა, არავინ იყო. როგორი სულელი უნდა იყო კაცი, რომ ამ უკიდეგანო დუნიაზე იარო, იარო და მაინცა და მაინც ამ ჩამკვდარ ადგილზე მოხვიდე შვებულების გასატარებლად! ბევრი იცინეს:

– გონებაჩლუნგი ფრიცები!

– ბავშვებო, გართობა მინდა. რა გავაკეთოთ?

მერე ცოტა იცეკვეს. მე და ჯეილანმაც ვიცეკვეთ, მაგრამ არაფერი მომხდარა. მხოლოდ მკითხა: 27X13 და 79X81 რამდენიაო. გაიცინა. ჩემი პასუხი არად ჩააგდო. მერე, სწრაფი მუსიკა დაიწყო, მომბეზრდაო, – თქვა, წავიდა და დაჯდა. ზემოთ ავედი, ნოხებით მოფენილი უხმაურო დერეფნები გავიარე და საოცრად სუფთა, გაკრიალებულ ტუალეტში შევედი. ჩემი თავი სარკეში დავინახე და ვიფიქრე: ალაჰმა დასწყევლოს! დავიჯერე, რომ ერთი გოგო მიყვარდა და რა დღეში ვარ! აინშტაინი 18 წლისა ასეთი არ იქნებოდა, დარწმუნებული ვარ, არც მამა როკფელერი. მერე გამდიდრებაზე ოცნებას ავყევი: ამერიკაში დიდ ფულს ვიშოვი და იმ ფულით თურქეთში გაზეთს შევისყიდი, მაგრამ ჩვენი უტვინო მდიდრებივით იმ გაზეთს კი არ ჩავძირავდი, პირიქით – გაზეთის მფლობელობასაც გავართმევდი თავს და ღირსეული მოქალაქის ცხოვრებასაც. მარტო ვიცხოვრებდი, ლეგენდების გმირი გავხდებოდი. დასწყევლოს ალაჰმა! ფეხბურთის კლუბის „ფენერბაჰჩეს“ პრეზიდენტობაც მინდოდა. არაფერია, რომ გავმდიდრდები, თავიდან ამოვიგდებ ამ ბანალურ ოცნებას. მდიდრები მეჯავრებიან, მაგრამ ჯეილანმა სულ ამირია გონება. მერე ჩემს პერანგს იმ ადგილას ვუსუნე, სადაც წეღან ჯეილანს ხელი ედო და ტუალეტიდან გამოვედი. კიბეებზე იმათ შევეჩეხე. სხვაგან მივდივართო. მანქანებში ჩავსხედით.

ფიქრეთის „ალფა-რომეოს“ კაბინის პანელი თვითმფრინავის პილოტის კაბინას მოგაგონებთ: ღილაკები, ისრები,

სხვადასხვაფრად მოციმციმე ნათურები... ინტერესით ვათვალიერებდი ამ ყველაფერს, ვიდრე სტამბოლი-ანკარის ტრასაზე არ გავედით. იქ კი თურგაის მანქანამ გზა გადაგვიჭრა. მერე სამმა მანქანამ გოზთეფეს გზაჯვარედინამდე რბოლა გამართა. ჩავუქროლეთ საბარგო მანქანებს, ავტობუსებს, ბენზინის გასამართ სადგურებს, ქარხნებს, ტროტუარზე ჩამწკრივებულ თუ აივნებზე გადმომდგარ სეირის მაყურებლებს, ყავახანას, სარემონტო სახელოსნოებს, მექანიკოსებს, გაფიცულებს, საზამთროს გამყიდველებს, სასადილოებს. ფიქრეთი უწყვეტად აძლევდა სიგნალს. ყველა ყვიროდა და იცინოდა. ერთ გზაჯვარედინზე, როცა წითელი სინათლე აინთო, ფიქრეთმა არ დაამუხრუჭა, მთელი სიჩქარით შეუხვია მეზობელ ქუჩაზე და პირდაპირ ვიღაცის „ანადოლისკენ“ წავიდა. „ანადოლმა“ გაცლა მოასწრო, გზის ნაპირზე გადავიდა და ავარია აიცილა.

– ტიპმა შიშით ჩაისვარა. ნახეთ, როგორ დაკარგა ფერი?

– გავასწარით, ყველას გავასწარით! – აყვირდა ჯეილანი, – ფიქრეთ, დაგაზე!

– ბავშვებო, მე სიკვდილი კი არა, გართობა მინდა, – წამოიკვნესა ზეინებმა.

– რა თქვი? – გათხოვება გინდა?

– აი, ეს არის „ალფა-რომეო!“ უნდა იცოდეთ ამის ფასი!

– აბი, გეხვეწები, კიდევ დააჭირე!

– „ანადოლი“ ღატაკების მანქანაა!

ვნახოთ, კიდევ რა მოხდება-მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ არაფერიც არ მომხდარა. რბოლაში ჩვენ გავიმარჯვეთ. მერე სუადიეზე შევუხვიეთ და ბაღდადის პროსპექტზე გავედით. ძალიან მიყვარს ეს პროსპექტი, იგი თავის ნამდვილ სახეს არ მალავს, ამზეურებს საზიზღარ ყალბისმქმნელობას, თითქოს გეუბნებათ: ცხოვრება სხვა არაფერია, გარდა ორპირობისა და სიყალბისა. თითქოს ყველაფერს აწერია ხელოვნური, ყალბი რომ არის. საზიზღარი შენობების ხელოვნური მარმარილო, პლასტმასის ბილბორდები, ჭერში დაკიდებული გულისამრევი ჭაღები, საკონდიტროების იაფფასიანი განათებები – მიყვარს მთელი ეს საზიზღრობა, რომელიც არც ცდილობს შენიღბვას,

თავის მოჩვენებას. არ არის ნამდვილი! მორჩა და გათავდა. არც მე ვარ ნამდვილი, მეც ყალბი ვარ და ყველანი ყალბები ვართ. არც ერთი ნამდვილი! რა ბედნიერებაა! ქუჩაში გოგოებს ზედ არ ვუყურებდი. მეშინოდა, ვაი თუ მომეწონოს რომელიმე და მერე გული მეტკინოს-მეთქი. „მერსედესი“ რომ მყავდეს, ქუჩაში გამოფენილი გოგოებიდან ერთს მეც დავითრევდი. მიყვარხარ, ჯეილან! ცხოვრებაც კი მიყვარს ცოტათი. მანქანები დავაყენეთ და დისკოთეკაზე წავედით. კარზე „კლუბი“ აწერია, 250 ლირას ვინც გადაიხდის, ყველას უშვებენ.

დემის რუსო მღეროდა. მე და ჯეილანმა ვიცეკვეთ, მაგრამ საუბარი ვერ აგვეწყო. იგი ძალიან მოწყენილი და დაფიქრებული ჩანდა. თითქოს მიყურებდა, მაგრამ ვერ მხედავდა, ზოგჯერ სადღაც შორს, ჰორიზონტს მიღმა იმზირებოდა. შემეცოდა. ძალიან მეყვარება-მეთქი, გავიფიქრე.

– რაზე ფიქრობ?

– ჰა? მე? არაფერზე.

ცოტა ხანს კიდევ ვიცეკვეთ. ჩვენ შორის თითქოს რაღაც ჩაწყდა. ეს რომ დაგვეფარა, ერთმანეთს ვეხვეოდით, მაგრამ იმასაც ვგრძნობდი, ეს ყველაფერი ეჭვი იყო. ცოტა ხანში მუსიკაც შეწყდა. ძალიან ცდილობდნენ, სევდიანი მუსიკა ყოფილიყო, სინამდვილეში კი მტირალა და წირპლიანი გამოსდიოდათ. როგორც იქნა, მუსიკა გამოცოცხლდა და საცეკვაო მოედანი გართობის სურვილით ანთებულმა ბრბომ დაიკავა. ჯეილანი მათთან დარჩა. მე კი დავჯექი და ფერადი სინათლეებით განათებული მოცეკვავეების ყურებით ვიქცევდი თავს. საინტერესოა, ნუთუ ჰგონიათ, რომ ცეკვავენ? მუხლებში იღუნებიან და სულელი ქათმებივით თავებს აკანტურებენ. განა ძალიან მოსწონთ? სხვას ჰბაძავენ. ის კი არ იციან, რომ სასაცილო მოძრაობები უფრო სასაცილო ხდება, თუ მუსიკას საერთოდ ვერ გრძნობ. როცა ვცეკვავ, სულ მგონია სისულელეს ჩავდივარ, მაგრამ რა ვქნა? ჩემი გაბეზრებული სული ხომ უნდა შევაყვარო ამ გოგონას? ამისთვის კი ხანდახან საზიზღარი მოძრაობებიც საჭიროა. იმასაც ვფიქრობ, ამ სულელებს ვყვები და მეც მათნაირი ვხდები-მეთქი, მაგრამ მთლად ასეც არ არის. სხვებივით ვიქცევი, მაგრამ იმად ვრჩები, ვინც ვარ. ეს ყველას არ შეუძლია. ცოტა ხნის მერე მეც მოცეკვავეებში გავერიე. არ მინდოდა, ეთქვათ, შეყვარებულია, მარტო ზის და ფიქრიანი, ჭკვიანი კაცის როლს თამაშობსო. დიდხანს არ დამჭირდა

ოფლის ღვრა. მალე ცეკვა დასრულდა. დავსხედით და ატყდა ყაყანი: ძალიან ცხელა; ბევრი ხალხია; ოფლად ვიღვრები; ძალიან კარგია; ძალიან ცუდია... მუსიკა ძალიან ხმამაღალი იყო, ერთმანეთს ვერაფერს აგებინებდნენ. ამიტომ ლაპარაკიც მალე მობეზრდათ, თქვეს, აქ არაფერი ყრია, სხვაგან წავიდეთო!

წამოვიშალეთ. დანახარჯი ფიქრეთმა გადაიხადა. მე და ვედათმაც გავიკარით ჯიბეს ხელი, მაგრამ ფიქრეთმა არ დაგვანება. ამ დროს დავინახე – დანარჩენები თურგაის BMW-ს შემოჰხვეოდნენ და იცინოდნენ, თან ფანჯრებზე ურტყამდნენ. მეც მივედი, ჩავიხედე. ჰულიასა და თურანს ერთმანეთს ჩახვეულებს უკანა სავარძელზე ეძინათ. ზეინები აღტაცებული ხარხარებდა: – ესენი მანქანიდან არც კი გადმოსულან!

დავფიქრდი: ჩემს ასაკში ვაჟსა და ქალს შეუძლიათ „ნამდვილი შეყვარებულებივით“ ჩაეხვიონ ერთმანეთს და დაიძინონ.

მანქანებში ჩავსხედით და წავედით. სანამ ანკარის ტრასაზე გადავიდოდით, თურგაის მანქანა იქვე, კუთხეში, საზამთროს გამყიდველთან გაჩერდა. თურგაი გადმოვიდა და გამყიდველს გაზის ნათურის შუქზე რაღაცაზე ელაპარაკა. საზამთროს გამყიდველი შემობრუნდა და მომლოდინე მანქანები შეათვალიერა. ცოტა ხანში თურგაი დაბრუნდა და ფიქრეთს უთხრა:

– არ იძლევა, არა მაქვსო.

– ჩვენი ბრალია, – თქვა ფიქრეთმა, – სამი მანქანა ხალხი მივადექით.

– არ ჰქონია? ახლა რა უნდა ვქნათ? – იკითხა გულნურმა.

– თუ სასმელზე თანახმა ხართ, ერთი ადგილი ვიცი, იქ ვიყიდით.

– არ გამოვა, სასმელი არ გვინდა. აფთიაქში წავიდეთ!

– აფთიაქში რა უნდა იყიდო?

– სხვებმა რაო? რა გვინდაო?

თურგაი სხვა მანქანისაკენ წავიდა. ცოტა ხანში დაბრუნდა და თქვა:

– ამბობენ, სასმელი ვიყიდოთო, გზისპირები ჯერ არ

გავსებულაო.

– კარგი, გავიგე, – უპასუხა ფიქრეთმა.

გზაზე გავედით. მალთეფეში არ ვიყავით მისულები, რომ ერთ მანქანას დაადგეს თვალი. გერმანული ნორმები ჰქონდა, სახურავზე საბარგული ჩემოდნებით იყო სავსე. ბოლო დაწეული ჰქონდა, ეტყობოდა, უკანა საბარგული სავსე იყო.

– თანაც „მერსედესი!“ – იყვირა ფიქრეთმა, – აბა, ბიჭებო, წავედით!

თურგაის მანქანას სინათლით ანიშნა და სვლა შეანელა, ცოტათი ჩამოგვრჩა. ვხედავდით, როგორ წამოეწია თურგაის „BMW“ „მერსედესს“, მაგრამ სწრაფად კი არ წავიდა, როგორც გასწრების წესია, მარცხნივ მიაბრუნა საჭე და „მერსედესი“ გზის კიდეზე გადააგდო. „მერსედესმა“ საყვირი ჩართო. მერე თურგაის „BMW“ რომ არ დასჯახებოდა, გზიდან გადავიდა. სიცილ-ხარხარი მივადევნეთ: საწყალი კოჭლი ძაღლივით გარბოდა. მერე თურგაიმ გაზს მოუმატა და წავიდა. როგორც იქნა, „მერსედესი“ გზაზე დაბრუნდა, მაგრამ თავს ვერ უშველა.

– მიდი, ფიქრეთ, შენი ჯერია! – წააქეზეს ფიქრეთი.

– ჯერ გონზე მოვიდეს.

„მერსედესში“ მხოლოდ მძღოლი იჯდა. გერმანიიდან დაბრუნებული მუშა იქნება-მეთქი, – ვიფიქრე.

– ფრთხილად, ბავშვებო, იქით არ გაიხედოთ, – გვითხრა ფიქრეთმა და თავადაც, თურგაის მსგავსად, „მერსედესს“ მარცხნიდან წამოეწია და მსუბუქად მარჯვნივ უბიძგა. „მერსედესმა“ სიგნალი ჩართო, გიჟივით აყვირებდა. გოგოები ქირქილებდნენ, მაგრამ ეტყობოდათ, ცოტათი კიდეც ეშინოდათ. როცა ფიქრეთმა კიდევ უბიძგა, „მერსედესის“ ერთი ბორბალი გზის კიდეზე გადავიდა. მანქანამ კოჭლობით გააგრძელა გზა. სიცილით იხოცებოდნენ:

– ტიპის სიფათი დაინახეთ?

გაზი მივეცით და წავედით. ცოტა ხანში, ალბათ ვედათმაც იგივე გაიმეორა, რადგან „მერსედესის“ საყვირის განწირული, გამწარებული ყვირილი მოგვესმა. მერე ერთ ბენზინგასამართთან მოვიყარეთ თავი. მანქანების სინათლეები

ჩააქრეს, დაიმალნენ და უყურებდნენ, რა მძიმე-მძიმედ ჩაგვიარა „მერსედესმა“, სიხარულით ხტოდნენ.

– საწყალი კაცი, შემეცოდა, – თქვა ზეინებმა.

მერე აღტაცებულები უყვებოდნენ ერთმანეთს, რაც მოხდა. მეორედაც მოჰყვნენ, როცა მესამედაც დაიწყეს, მომბეზრდა, ბუფეტში შევედი, ერთი ბოთლი ღვინო გავახსნევინე.

– სტამბოლელი ხარ? – მკითხა მებუფეტემ.

კაფეში ყველაფერი ისე ბრწყინავდა, როგორც ოქრომჭედლის ვიტრინაში. რატომღაც იქ დაჯდომა მომინდა. პატარა რადიოში თურქულ სიმღერას მღეროდნენ. მისი მოსმენა და ყველაფრის დავიწყება მინდოდა. თავში ათასი ფიქრი მიტრიალებდა – სიყვარულზე, სიავეზე, წარმატებაზე – აბდაუბდა, არეული ფიქრები.

– დიახ, სტამბოლელი ვარ.

– აქეთ საით მიბრძანდებით?

– ისე... ვსეირნობთ.

მებუფეტემ გონიერი, დაღლილი, ძილმორეული თავი დააქნია.

– ჰოო... გოგოებთან ერთად...

მინდოდა მეპასუხა, ვითომ ძალიან მნიშვნელოვანი რამ უნდა მეთქვა. ისიც მოთმინებით მელოდებოდა, მაგრამ მანქანებმა სიგნალი ატეხეს. მათთან მივირბინე. სადა ხარ, ადამიანო? შენ გამო ვეღარ მივუსწრებ. მეგონა, უკვე გათავდა-მეთქი. სულაც არ გათავებულა. ადგილიდან მოვწყდით. ფენდიკს რომ გავცდით, დავინახეთ, „მერსედესი“ ძალიან ნელა, ძლივძლივობით, დაღლილი სატვირთო მანქანასავით ადიოდა აღმართზე. ჯერ თურგაიმ უბიძგა მარცხნიდან და მანქანა მარჯვნივ მიაგდო. ამ დროს ვედათმა მარჯვნიდან დაარტყა, ჩვენ უკანიდან მივადექით და ისე ახლოს მივდევდით, ცოტაც და, შევეხებოდით. მარწუხებში მოვიქციეთ. თავი რომ დაეღწია, დიდი სიჩქარით უნდა გავარდნილიყო. მართლაც, მოუმატა სიჩქარეს, მაგრამ ხელიდან ვერ დაგვისხლტა. მივდევდით და სიგნალს ვაძლევდით, თან ჭახჭახა სინათლით ვაბრმავებდით. მერე ფანჯრები გახსნეს, მუსიკას ბოლომდე აუწიეს, იყვირეს, მანქანის ფანჯრებიდან გადაეკიდნენ, სიმღერა წამოიწყეს, თან

„მერსედესს“ ურტყამდნენ, ის კი, დამფრთხალი აყვირებდა სიგნალს.

არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა სიგიჟე, როდემდე ვიქროლეთ სახლებს, უბნებს, ქარხნებს შორის. „გერმანელმა“, ბოლოს და ბოლოს, სიჩქარის მოკლება მოიფიქრა. ჩვენ უკან ავტობუსებისა და საბარგო მანქანების რიგი გაჩნდა. სხვა გზა არ იყო, თავი უნდა დაგვენებებინა. უკანასკნელად მივესალმეთ და შევეშვით. გვერდით ჩავუარეთ, მოვბრუნდი და შევხედე. სიბნელეში ძლივს გავარჩიე მისი სახე. თითქოს ვერც კი გვხედავდა. საწყალს ყველაფერი დავავიწყეთ: საკუთარი ცხოვრება, მოგონებები, მომავალი.

ღვინოს ვსვამდი და არაფერზე ვფიქრობდი.

გაუჩერებლად ვიარეთ. ჯენეთჰისარის გადასახვევს გავცდით. მერე ერთი „ანადოლი“ ამოიღეს თვალში. შიგ მოხუცი ცოლ-ქმარი იჯდა – ორი სასაცილო მოხუცი. მიჭეჭყვა დაუპირეს, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრეს. ბენზინგასამართის წინ „პაემნის სახლებს“ გავცდით, ფიქრეთმა სიგნალი ჩართო, მაგრამ ყურადღება არავის მოუქცევია. ცოტა კიდევ გავიარეთ. ჯეილანმა თქვა: – მიყურეთ, რა ვქნა!

უკან მივიხედე. ვხედავ, ჯეილანს შიშველი ფეხები მანქანის ფანჯრიდან გადაუყვია. მისი გრძელი კანჭები უკან მომავალი მანქანების შუქზე ნელა ირხეოდა, თითქოს თავის ირგვლივ რაღაცას ამაოდ დაეძებსო. ეს ფეხები რამპის შუქით განათებულ პროფესიონალი მოცეკვავის ფეხებს ჰგავდა.

მერე გულნურმა ჯეილანს მხრებში ხელი ჩაავლო და მანქანაში შეათრია.

– მთვრალი ხარ!

– არაფერიც, მთვრალი არა ვარ, – უპასუხა ჯეილანმა და გადაიკისკისა, – განა რამდენი დავლიე? მაგრად კი გავერთე. ყველაფერი ძალიან კარგი იყო!

გავჩუმდით. ისე მივდიოდით, თითქოს სტამბოლიდან ანკარას რაღაც მნიშვნელოვან საქმეზე მივიჩქაროდით. გავიარეთ პატარა, უბადრუკი საკურორტო ქალაქები, ზეითუნისა და ბლის ბაღები. კრინტი არ დაგვიძრავს. მხოლოდ ავტობუსებსა და საბარგო მანქანებს ვაძლევდით სიგნალს. სრულიად

უმიზეზოდ. ჯეილანზე ვფიქრობდი. სწორედ ასეთი საქციელის გამო შემიძლია, ეს გოგო სიცოცხლის ბოლომდე მიყვარდეს.

ჰერექე გავიარეთ, ბენზინის ჩასასხმელად გავჩერდით. მანქანებიდან გადმოვედით, კაფეში იაფფასიანი ღვინო და სენდვიჩები ვიყიდეთ. შევერიეთ ავტობუსიდან დასასვენებლად ჩამოსულ დაღლილ, შეშინებულ მგზავრებს და ჭამა დავიწყეთ. დავინახე, როგორ იდგა ჯეილანი გზის კიდეზე და სენდვიჩს ჭამდა, თან დაფიქრებული აკვირდებოდა გამვლელ-გამომვლელ მანქანებს. ისინი გამახსენდნენ, მდინარის ყურება და თან მუცლის ამოყორვა უყვართ. საკუთარ მომავალზე ვფიქრობდი.

დავინახე, ფიქრეთი მძიმე ნაბიჯით მიუახლოვდა ჯეილანს და სიგარეტი გაუწოდა. საუბარი გააბეს. ჩემგან არცთუ შორს იყვნენ, მაგრამ ტრანსპორტის ხმაურში არ მესმოდა, რაზე ლაპარაკობდნენ. ძალიან კი მაინტერესებდა. მალე ინტერესი გაურკვეველ ეჭვად მექცა. ვხვდებოდი, ეჭვის გასაქარწყლებლად მათთან უნდა მივსულიყავი, გამოვლაპარაკებოდი, მაგრამ როგორც სიზმარშია ხოლმე – ფეხს ვერ ვიცვლიდი, სამარცხვინო მოთენთილობას ვგრძნობდი, მაგრამ, როგორც სხვა ყველაფერი, არც ეს გამყოლია დიდხანს. ისევ მანქანებში ჩავსხედით და ღამის სიბნელეს შევერიეთ.

16.

როცა საზიზღარი ხმაური მიწყდება, როცა პლაჟის, კატერების, მანქანების გუგუნი, მთვრალის გინება, ბავშვების ჟრიამული და ტელევიზორის ღმუილი თავს აღარ მისიებს, როცა ბოლო მანქანა ყვირილ-ღრიალით ჩაიქროლებს, საწოლიდან ნელა ვდგები, ჟალუზებთან მივდივარ. ყურს ვუგდებ. არავინ არის, ყველა დაღლილა და სძინავს. მხოლოდ ნიავი უბერავს და ზღვის დგაფუნის, ფოთლების შრიალის ხმა მოაქვს ჩემამდე. როცა ესეც აღარ ისმის, ზოგჯერ სმენას ჭრიჭინა, გზაარეული ყვავის ყრანტალი, უტიფარი ძაღლის ყეფა მიხალისებს. ოდნავ ვუბიძგებ და ჟალუზებს ვხსნი, ჯერ მათ ჭრიალს ვუსმენ, მერე – მათ ხანგრძლივ მდუმარებას. მერე ჩემს ოთხმოცდაათწლიან სიცოცხლეზე ვფიქრობ და შიში მზაფრავს. ჩემი ჩრდილი ბალახებს ეცემა. ნიავი თითქოს ფეხებს მაზრობს. ნიავისაც კი

მეშინია. იქნებ მივბრუნდე და ჩემი საბნის თბილ სიბნელეს შევაფარო თავი? მაგრამ არ მივდივარ, რათა ცოტა ხანს კიდევ განვიცადო სიჩუმის მოლოდინი. თითქოს რაღაც უნდა მოხდეს, სამყარომ რაღაც ახალი, მანამდე უცნობი უნდა მაჩვენოს. თითქოს ვიღაცისათვის სიტყვა მქონდეს მიცემული. ველოდე, ველოდე, მერე ჟალუზები დავხურე და საწოლს დავუბრუნდი. საწოლზე ჩამოვჯექი. საათს დავჩერებივარ. ორის ოცი წუთია. ვიფიქრე: თურმე სელაჰათინი ამაშიც ცდებოდა! არაფერია ახალი, სულ არაფერი.

მეუბნებოდა: ყოველი დღე ახალი სამყაროა, ფატმა, იგი ჩვენსავით ყოველ დილას ხელახლა იბადება და ეს ისე მაღელვებს, რომ ზოგჯერ მზის ამოსვლამდე ვიღვიძებ, ველოდები: აი, ახლა ამოვა მზე და ყველაფერი განახლდება. მეც განვახლდები და ისეთ რამეს ვნახავ, წავიკითხავ, გავიგებ, რაც მანამდე არ ვიცოდიო. რაც უკვე ვისწავლე, იმასაც ხელახლა ვნახავ. ამაზე ფიქრი მახარებს. ისე ძალიან მაღელვებს, მზად ვარ, ლოგინიდან წამოვხტე, ბაღში გავვარდე და მზის ამოსვლას ვუყურო, ვნახო როგორ ამოძრავდებიან მცენარეები და მწერები, როგორ შეიცვლებიან. მინდა, ზემოთ ავირბინო და ნანახი აღვწერო. შენ რატომ ვერაფერს გრძნობ, ფატმა? რატომ არაფერს ამბობ? რას ფიქრობ? შეხედე, შეხედე, ფატმა! მუხლუხი ერთ დღეს პეპლად იქცევა და გაფრინდება! ოჰ, კაცმა მხოლოდ ნანახსა და განცდილზე უნდა წეროს. მაშინ მეც ისეთი ვიქნებოდი, როგორებიც ევროპელები არიან, თუნდაც დარვინის – მართლაც საოცარი ადამიანია! – მსგავსი. შემეძლო, ერთი ჭეშმარიტი მეცნიერი მეც დავმდგარიყავი, მაგრამ ამ გაბრუებულ, ნირვანაში ჩაძირულ აღმოსავლეთში ვერაფერიც ვერ გახდები! დაკვირვებისა და ექსპერიმენტისათვის მეც ხომ მაქვს თვალები, ხელები და, მადლობა ალაჰს, თავი, რომელიც ამ ქვეყანაში ყველაზე უკეთ მუშაობს. ფატმა, ნახე, როგორ ყვავის ატამი? იკითხავ, ასეთი სუნი რატომ ტრიალებსო? რა არის სუნი? რა გვაძლევს სუნის შეგრძნებას? ფატმა, ნახე ლეღვის ხე როგორი გამძლე ყოფილა? გინახავს, ჭიანჭველები ერთმანეთს როგორ აგებინებენ? ფატმა, დაჰკვირვებიხარ, ყოველთვის, როცა სამხრეთის ქარია მოსალოდნელი, ზღვის მოქცევაა, სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარის წინ კი – უკუქცევა? კაცი ყველაფერს უნდა აკვირდებოდეს, მხოლოდ ასე შეიძლება ცოდნის სრულყოფა, ჩვენი გონების აღზრდა. თუ არა და მათსავით ვიქნებით, ყავახანის კუთხეში რომ სხედან და

ცხვრებივით თავებს აკანტურებენ. ოხრავდა და წვიმის წინ ჭექა-ქუხილის გაგონებაზე გახარებული გამოვარდებოდა სატანის სამყოფელიდან, კისრისტეხით დაეშვებოდა კიბეებზე – ორ-ორ საფეხურს ახტებოდა – ბაღში ჩაირბენდა, მიწაზე გულაღმა გაიშხლართებოდა და მანამ მისჩერებოდა ღრუბლებს, სანამ მთლად არ გაილუმპებოდა. ვხვდებოდი, ღრუბლებზე რაღაცის დაწერას აპირებდა. ამბობდა, ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს. როცა ადამიანები ამას გაიგებენ, მათ ტვინებში ალაჰის ადგილი აღარ დარჩებაო. ყვავილები იშლება, ქათამი კვერცხს დებს, ზღვის მოქცევა-უკუქცევა არსებობს, ჭექა-ქუხილს წვიმა მოსდევს – ეს ალაჰის სიბრძნის შედეგი კი არ არის, როგორც ყველას ჰგონია, არამედ იმისა, რაც ჩემს ენციკლოპედიაში იქნება ჩაწერილი. მაშინ ყველა მიხვდება, რომ საგნები და მოვლენები ალაჰის ხელიდან არ არის გამოსული, ისინი სხვა საგნებისა და მოვლენების შექმნილია და ალაჰის ნება არაფერ შუაშია. მიხვდებიან, რომ გინდაც არსებობდეს ალაჰი, მეცნიერებამ მას ყველა საქმე წაართვა, არაფერი დაუტოვა. ზის ახლა ალაჰი და სეირს უყურებს. მითხარი, ფატმა, შეიძლება ალაჰი ერქვას და ქვეყნიერებაზე არანაირი გავლენა არ გააჩნდეს? მხოლოდ უყურებდეს, რა ხდება? აჰა, ჩუმად ხარ, არა? სადაც შენ შეიგნე ალაჰის არარსებობა, სხვები მით უფრო გაიგებენ. ჩემს ნაწერებს წაიკითხავენ და გაიგებენ. ვნახოთ, მერე რა მოხდება? მისმენ, ფატმა? – არა, ვერ გისმენ, სელაჰათინ, მაგრამ განა ჩემთვის ლაპარაკობ?

რანი იქნებიან, ფატმა, როცა გაიგებენ, რომ ღმერთს არაფერი ეკითხება და ყველაფერი მხოლოდ ჩვენს ხელთ არის: შიში, გამბედაობა, დანაშაული თუ სასჯელი, უქმად ყოფნა თუ ღვაწლი, სიკეთე თუ ბოროტება? როცა ამას ამბობდა, ღვინის ბოთლებით სავსე სასადილო მაგიდასთან იჯდა, მაგრამ თავს საწერ მაგიდასთან წარმოიდგენდა ხოლმე. წამოხტებოდა, ოთახში ბოლთას სცემდა და გაჰყვიროდა: მაშინ ისეთები იქნებიან, როგორიც მე ვიყავი ახალგაზრდობაში: შიში ხელებს შეუბორკავთ, თავიანთ ნააზრევს ვერ მიენდობიან. თუ თავში ფიქრი რამ გაუჭაჭანდათ, შიშით გულები დაუსკდებათ: ხომ შეიძლება, სხვებიც მათსავით ფიქრობდნენ? და იმის შიშით აკანკალებულები, რომ ყელი არავინ გამოღადროს, დანაშაულის გრძნობით ქენჯნილები მე მომიძულებენ. ამ დღეში ხომ მე ჩავყარე. მაგრამ სხვა გზა არ ექნებათ – ამ საშინელებიდან

თავის დასაღწევად ისევ ჩემთან, ჩემს ორმოცდარვა ტომიან ენციკლოპედიასთან მოირბენენ. მიხვდებიან: ეს ტომები ჭეშმარიტად ღვთაებრივი რამ არის და მე, დოქტორი სელაჰათინი, მუსლიმური სამყაროს ახალი ღმერთი ვარ, რადგან ჩვენი ღმერთი ახლა უკვე მეცნიერებაა! ფატმა, მისმენ?

არა! შენი მოსმენაც კი მძიმე ცოდვაა!

რეჯეფის მომზადებული ხორციანი კარტოფილი და პრასი შევჭამე. უგემური იყო, მერე ჩემს ჯამში აშურე[54] გადმოვიღე, მეზობელ ოთახში – პატარა, გაყინულ სოროში გავერიდე. არ გამეყინოს-მეთქი, კანჭები ერთმანეთს მივატყუპე. პატარა კოვზით ნელ-ნელა შევექეცი აშურეს: ბროწეულის მარცვლები, ლობიო, მუხუდო, ლეღვის ჩირი, სიმინდი, შავი ყურძნის ქიშმიში და ყველაფერ ამაზე მოსხმული ვარდის წყალი! რა კარგია! რა სასიამოვნოა!

ძილი არ მეკარება. საწოლის კიდეზე ვზივარ და ვფიქრობ. აშურე მომინდა, წამოვდექი, მაგიდასთან მივედი, დავჯექი. მაგიდაზე ოდეკოლონის ბოთლი დგას. ბოთლი მინის არ არის, მაგრამ გამჭვირვალეა. გუშინ მოიტანეს, მინისა მეგონა, მაგრამ ხელი შევახე და მივხვდი, მინა არ იყო. შემეზიზღა. ეს რა არის-მეთქი, – ვიკითხე. ნილგუნმა მითხრა, დიდედა, მინის ბოთლები არ იყოო. მაჯები დამიზილეს – უარი არ გამივიდა. რაც პლასტმასის ბოთლიდან გადმოედინება, იმან შეიძლება თქვენ გაცოცხლოთ და არა – მე. ხმამაღლა არ მითქვამს. მაინც ვერ გაიგებდნენ. მინდოდა მეთქვა, პლასტმასა თქვენი მკვდრადშობილი დამპალი სულია-მეთქი, – გაიცინებდნენ.

ყველაფერზე იცინიან.

რა უცნაურები არიან ეს მოხუცები! – იცინიან. როგორ ბრძანდებით, დიდედა? – იცინიან. იცით, რა არის ტელევიზორი? – იცინიან. ქვემოთ რატომ არ ჩამოდიხართ? – იცინიან. რა ლამაზი ყოფილა თქვენი საკერავი მანქანა! – იცინიან. პედალიც ჰქონია! – იცინიან. როცა წვებით, ჯოხს ლოგინში რატომ იდებთ? – იცინიან. არჩევნებში ხმა რატომ არ მიეცით? – იცინიან. სულ თქვენს კარადაში რატომ იქექებით? – იცინიან. თუ ვკითხავ, ჩემს დანახვაზე რატომ იცინით-მეთქი, იცინიან: არა, დიდედა, არ ვიცინოთო, – მეუბნებიან და ისევ იცინიან. ალბათ, იმიტომ, რომ მათმა პაპამ და მამამ მთელი ცხოვრება ტირილში გალიეს – საკუთარი თავი გამოიტირეს.

მომეწყინა. რა იქნება, ხელჯოხი იატაკს დავკრა, ჯუჯა გავაღვიძო და აშურე მოვთხოვო? დიდო ქალბატონო, ამ შუაღამისას აშურე საიდან მოგიტანოთ, თანაც წლის ამ დროს? – მეტყვის ჯუჯა, – ახლა არაფერზე იფიქროთ, ტკბილად დაიძინეთ და ხვალ... თუ არაფერს გამიკეთებ, აქ რისთვისა ხარ? დამეკარგე! მაშინვე წავა და ამბავს მიუტანს: ბავშვებო, გაუსაძლისია თქვენს დიდედასთან ცხოვრებაო. თუ ასეა, რატომ თავის ძმასავით არ წავიდა, რატომ დარჩა? ჰკითხეთ, ერთი. იტყვის: დიდო ქალბატონო, ხომ იცით, ცხონებულმა დოღან ბეიმ გვითხრა: რეჯეფ, ისმაილ, აიღეთ ეს ფული და იცხოვრეთ, როგორც გინდათ, დამღალა ჩემი დედ-მამის ცოდვების გამო სინდისის ქენჯნამო. ჭკვიანმა ისმაილმა ის ფული აიღო – ყოჩაღ, ძმაო! – სამოსახლო იყიდა და გორაკზე სახლი აიშენა. გუშინ სასაფლაოზე რომ მიდიოდით, წინ არ გაუარეთ? ახლა თავს იკატუნებთ, ვითომ არაფერი იცით. თქვენ არ დააკოჭლეთ ჩემი ძმა? თქვენ არ მაქციეთ ჯუჯად? ხმა ჩაიწყვიტე! ყველას დააჯერებ! ჩემს დოღანს ანგელოზის გული ჰქონდა. ისეთი რა უთხარით, თქვე ნაბიჭვრებო? როგორ დასცინცლეთ ფული? შვილო, აღარაფერი დაგრჩა. თუ გინდა, მიდი, ჩემს ზარდახშაში ჩაიხედე. შენი ლოთი მამის გადამკიდე ცარიელ-ტარიელი დავრჩი. დედა, გეხვეწები, მამაჩემზე ასე ნუ ლაპარაკობ. ღმერთმა დასწყევლოს შენი ფულიცა და ალმასებიც! ყველა სიავე ფულის გამოა. მომეცი ეგ ყუთი, ზღვაში უნდა გადავაგდო. არა, საქმეში გამოვიყენებ. დედა, სოფლის მეურნეობის მინისტრს წერილებს ვწერ. სკოლიდან ვიცნობ, ჩემზე ერთი კლასით უკან იყო. კანონ-პროექტებს ვამზადებ და გპირდები, დედა, ამჯერად შენს ზარდახშას რამეში გამოვიყენებ. კარგი, კარგი. გქონდეს ეგ შენი ყუთი, არ მინდა, მაგრამ ნუ ლაპარაკობ, რომ ვსვამ. მაგიდას მოვშორდი, კარადასთან მივედი. გასაღები ამოვიღე და გავაღე. კარადის ნაცნობი სუნი ვიგრძენი. ზარდახშა მეორე უჯრაში მედო. გამოვაღე მეორე უჯრა. აქ არის. სანამ გავხსნიდი, დავყნოსე. გავხსენი და ისევ დავყნოსე. ჩემი ბავშვობა გამახსენდა.

სტამბოლში გაზაფხულია. მე თოთხმეტი წლისა ვარ და ხვალ, ნაშუადღევს, სტუმრად მივდივართ. სად მიდიხართ? შუქრუ ფაშაანთა მივდივართ, მამა. იმას ხომ გოგოები ჰყავს: თურქანი, შუქრანი და ნიგანი. ძალიან კარგად ვერთობი. სულ ვიცინით, პიანინოს უკრავენ, ვიღაცეებს ბაძავენ, ლექსებს კითხულობენ, ზოგჯერ ფრანგულიდან თარგმნილ რომანებსაც მიკითხავენ.

გოგოები ძალიან მიყვარს. ყოჩაღ, ძალიან კარგია, მაგრამ უკვე გვიანია. წადი, ფატმა, დაიძინე. ხვალ სტუმრად წასვლაზე ფიქრით ვიძინებ. მამაჩემი კარს ხურავს. კარიდან შემოსულ ნიავს მამაჩემის სურნელი მოაქვს. საწოლში ვწევარ, მათზე ვფიქრობ და ვიძინებ. დილით ვიღვიძებ და ჩემს სასთუმალთან მშვენიერ დღეს ვპოულობ. ზარდახშის სურნელივით მშვენიერს. ერთბაშად შიშმა ამიტანა: ბრიყვულო ყუთო, ვიცი, რა არის ცხოვრება. სულელო გოგო, ცხოვრება შენში შემოდის და თანდათან გწვავს, განადგურებს. ერთბაშად ისე გავბრაზდი, ცოტაც და, ზარდახშას მოვისროდი, მაგრამ თავი შევიკავე. თუ გადავაგდებდი, დროს როგორღა დავყოფდი? შეინახე, ფატმა, შეინახე! ისევ მოვა მაგის დრო. ამჯერად მესამე უჯრაში ჩავდე, კარადა ჩავკეტე. შევამოწმე, როგორ იყო ჩაკეტილი. წავედი და დავწექი. საწოლის ზემოთ ჭერია. ჭერი მწვანეა. ვიცი, რატომ ვერ ვიძინებ. ბოლო მანქანას ჯერ არ გაუვლია და იმიტომ. ჭერს მწვანე საღებავი გადასცლია. ის რომ მოდის, ფეხის ხმა მესმის, ვხვდები, უკვე წვება. მწვანე საღებავიდან ყვითელი გამოსჭვივის. როცა დავრწმუნდები, რომ დაწვა, მთელი სამყარო მე მრჩება და ტკბილად მძინავს ყვითელი საღებავის ქვეშ. მაგრამ ვერ დავიძინე. ფერებზე ვფიქრობდი, იმ დღეზე, როცა ისე ხელად ამოხსნა ფერების საიდუმლო.

საღებავისა და ფერების საიდუმლო ძალიან მარტივია, ფატმა, – მითხრა ერთ დღეს სელაჰათინმა. მაგიდასთან ზურგით იჯდა. დოღანის ველოსიპედი მაგიდაზე დაედო, უკანა ბორბალზე რაღაც სალტე ჩამოეცვა. ფატმა, ხედავ? ამ სალტეზე შვიდი ფერია. ახლა ნახე, რა მოუვა ამ შვიდ ფერს! ველოსიპედის პედალი ძლიერად დაატრიალა, თან თვალები ეშმაკურად უცინოდა. დაატრიალა თუ არა, დავინახე, შვიდი ფერი როგორ შეერწყა ერთმანეთს და თეთრად იქცა. დავიბენი, დავიზაფრე. ეს კი – ახარხარებული – აქეთ-იქით დარბოდა. ვახშამზე კი სიამაყით ამიხსნა ის პრინციპი, რომელიც ცოტა ხანში გვერდზე მოისროლა: ფატმა, მე მხოლოდ იმაზე ვწერ, რაც ჩემი თვალით მინახავს. ეს ჩემი პრინციპია. ვერც ერთი ცოდნა, რომელიც ცდით არ იქნება დამტკიცებული, ჩემს ენციკლოპედიაში ვერ შევა. მაგრამ მალევე დაავიწყდა, რა ხშირად ჰქონდა ნათქვამი ეს სიტყვები. მიხვდა, ცხოვრება ხანმოკლე იყო, ენციკლოპედია კი – გრძელი. რამდენიმე წლით ადრე, სანამ აღმოაჩენდა, რა იყო სიკვდილი, გამოაცხადა: ფატმა, ვისა აქვს ყველა საკითხზე

ცდის ჩატარების დრო? სამრეცხაოში მოწყობილი ლაბორატორია მხოლოდ ბავშვური გატაცება იყო. ევროპელთა მიერ აღმოჩენილი ცოდნის საგანძურიდან რამის ცდით შემოწმება და ერთხელ კიდევ დამტკიცება ზედმეტი გარჯაა. ვინც ამას დააპირებს, ან სულელი უნდა იყოს, ან – პატივმოყვარე. თითქოს იცოდა, რომ ჩემთვის თავად ერთიც იყო და მეორეც. მერე გაბრაზებული ყვიროდა: გენიალურმა დიდრომაც კი ვერ შეძლო თავისი ენციკლოპედიის ჩვიდმეტ წელიწადში დასრულება. ამპარტავნობამ სძლია და იმიტომ. რა საჭირო იყო ვოლტერთან და რუსოსთან წაჩხუბება? ისინიც ხომ დიდი ადამიანები არიან?! კაცმა უნდა მიიღოს, რაც დიდმა ადამიანებმა მასზე ადრე აღმოაჩინეს. თუ არა და – ყველაფერი დაუმთავრებელი დარჩება. მე ერთი მოკრძალებული კაცი ვარ და ვეთანხმები იმ აზრს, რომ ევროპელებმა ყველაფერი გამოწვლილვით შეისწავლეს. ახლა მათი ხელახალი შესწავლა სისულელე არ არის? ერთი კუბური სანტიმეტრი ოქრო 19,3 გრამია და აუცილებელი არ არის, ავიღოთ სასწორი და თავიდან ავწონოთ. იმის გასაგებად, რომ ოქროთი ყველაფრის ყიდვა შეიძლება, მათ შორის – ადამიანებისაც, ჯიბე ოქროთი არ უნდა გაივსო და იმ უნამუსოებში გასარევად სტამბოლს არ უნდა წახვიდე. ჭეშმარიტება ერთია! ცა საფრანგეთშიც ლურჯია, ლეღვი ნიუ-იორკშიც აგვისტოში მწიფს. გეფიცები, ფატმა, დღეს ჩინეთში ისეთივე წიწილა იჩეკება, როგორიც – ჩვენს საქათმეში. თუ ლონდონში წყლის ორთქლი მანქანებს ამოძრავებს, ის აქაც იმავეს გააკეთებს. თუ ალაჰი არ არსებობს პარიზში, არც აქ არ იარსებებს. ადამიანი ყველგან ერთნაირია. რესპუბლიკა ყველგან უკეთესია, მეცნიერება კი ყველაფრის თავი და თავია.

ამის შემდეგ გებზელი მჭედლებისა და მეღუმლეებისათვის უცნაური ხელსაწყოები აღარ გაუკეთებინებია, აღარც ფული უთხოვია ჩემთვის და ებრაელის დაბარებაზეც ხელი აიღო. აღარც ფრანებს უშვებდა იმის საჩვენებლად, თუ რა არის ელექტროობა. აღარც ლუპებით, მინებით, დურბინდებით, ფერადი მინებითა და ძაბრებით თამაშობდა. ფატმა, სამრეცხაოში ჩადენილი სისულელეები ძვირად დაგისვი. მართალი იყავი, როცა ამბობდი, ყველაფერი სიბრიყვეაო. მართლაც, როგორ ვიფიქრე, ჩვენს სამრეცხაოში მოწყობილი პრიმიტიული ლაბორატორია მეცნიერებას წაადგებოდა. ეს არ იყო ოდენ ჭაბუკური გატაცება. მას ბავშვური

გულუბრყვილობა უფრო ეთქმოდა. არ ვიცოდით, რაოდენ დიდია მეცნიერება! იმიტომაც ჩავცვივდით ამ დღეში. გამომართვი გასაღები. შენა და რეჯეფმა ყველაფერი წაიღეთ და გადაყარეთ. გინდა, გაყიდეთ. რაც გინდათ, ის უქენით. ეს ფირფიტებიც წაიღეთ, ხოჭოების კოლექციებიც, თევზის ჩონჩხიც, ეს ყვავილები და ფოთლებიც მომაშორეთ! არა და, რა გატაცებით ვახმობდი! წამალში ჩადებული ეს თაგვი, ღამურა, გველი და ბაყაყიც წაიღეთ! აიღე ეს ქილები, ფატმა! ოი, ალაჰ! რაღა არის საშიში, ან შესაზიზღებელი?! კარგი, კარგი, რეჯეფს დაუძახე. ამ სიგიჟისაგან ახლავე გავთავისუფლდები. წიგნების ადგილიც აღარ არის! ახლა კარგია. სისულელეა და მეტი არაფერი, თუ გვგონია, ვისხდებით ამ აღმოსავლეთში და ახალს აღმოვაჩენთ რამეს, ახალს ვიტყვით, ადამიანებმა უკვე ყველაფერი აღმოაჩინეს, ჯერ უთქმელი სიტყვაც კი არ არის. დაიმახსოვრე: არაფერია ახალი ცის ქვეშეთში. დასწყევლოს ღმერთმა! ესეც იმათგან ვისწავლეთ. დროც არ დამრჩა. ვიცი, ჩემს ენციკლოპედიას ორმოცდარვა ტომში ვერ ჩავტევ. ასეთი დიდი მასალისათვის ორმოცდათოთხმეტი ტომი ზედგამოჭრილი იქნებოდა, მაგრამ ვეღარ ვითმენ, მინდა, რაც შეიძლება მალე გახდეს მასისათვის ხელმისაწვდომი. ჭეშმარიტი შედევრის შექმნა ძალიან დამქანცველი ყოფილა, ფატმა, მაგრამ ვიცი, შემოკლების უფლებაც არა მაქვს. მე ვერ დავჯერდები რიგითი, მარტივი ადამიანის ხვედრს, ვერ დავემსგავსები იმ ბრიყვებს, წლობით უქმად რომ ყრიან და სუქდებიან, აქაოდა ერთხელ ასგვერდიანი წიგნით ჭეშმარიტების ერთი პაწაწინა კუნჭული გამოაჩინეს სინამდვილის თვალუწვდენელ მინდორზე. ფატმა, ნახე აბდულა ჯევდეთის ბროშურა. ეს აბდულა ჯევდეთი ერთი ზერელე, მარტივი ადამიანია. დე პასეც ვერ გაუგია, ბონესანი არც კი წაუკითხავს, მეტიც – სიტყვა ფრატერნიტე-ს არასწორად ხმაროობს. მე შენ გეტყვი და, ამ ტიპებს რამეს გაუსწორებ! რომ გაუსწორო კიდეც, გაიგებენ? ამ ხეპრეებს ყველაფერი მარტივად უნდა უთხრა. აღარც კი მჯერა, დიდ მეცნიერულ აღმოჩენებზე რამის გაგებინებას თუ შევძლებ, ამიტომ ჩემს ნაწერებში შიგადაშიგ ანდაზებს, სიტყვის მასალას ვურთავ. ეგებ პირუტყვებმა გაიგონ! გამახსენდა, როგორ ყვიროდა სელაჰათინი, როცა ამას ლაპარაკობდა. გავიგონე, როგორ გაიარა ბოლო მანქანამ და როგორ მოჰყვა სხვა მანქანა, რომელიც ჩვენს ჭიშკართან გაჩერდა. სანამ მოტორი თუხთუხებდა, მანქანის კარი გაიღო. ჯერ საზიზღარი მუსიკა გავიგონე, მერე –

ლაპარაკი:

– ხვალ დილით ჯეილანთან, კარგი? – დაიძახა ვიღაც ყმაწვილმა.

– კარგი! – უპასუხა მეთინმა.

მერე მანქანამ თითქოს ტკივილისაგან წამოიყვირა, აბღავლდა და ადგილს მოსწყდა. მესმოდა, როგორ გამოიარა მეთინმა ეზო, ტკაცანით გააღო სამზარეულოს კარი, შევიდა, ხუთი საფეხური აიარა, შევიდა იმ ოთახში, სელაჰათინი სასადილო ოთახს რომ ეძახდა, იქიდან გამოსული მეორე სართულზე ამოვიდა, კიბის ცხრამეტი საფეხური ამოათავა. როცა ჩემი ოთახის კარს გაუსწორდა, ვიფიქრე, შევეხმიანები-მეთქი: მეთინ, შემოდი, შვილო, მიამბე, გარეთ რა ხდება, რა ამბავია დუნიაზე ამ გვიან ღამით? მიამბე, სად იყავით, რა ნახეთ? დამიკმაყოფილე ცნობისწადილი, გამახარე... ვეღარ მოვასწარი, მეთინი თავის ოთახში შევიდა. აი, ახლა, სანამ ხუთამდე დავითვლი, საწოლზე დაეხეთქება, სახლს შეაზანზარებს. მეორედ დავითვლი ხუთამდე და უკვე ეძინება... სამი, ოთხი, ხუთი. სძინავს ღრმა, ახალგაზრდული ძილით. თუ ახალგაზრდა ხარ, კარგად გძინავს, არა, ფატმა?

მართალია, მაგრამ მე თხუთმეტი წლისასაც არ მძინებია. სულ რაღაცის მოლოდინში ვიყავი: ველოდებოდი, ეტლით როდის წავიდოდით სასეირნოდ, როდის დავუკრავდით პიანინოს, როდის მოვიდოდნენ დეიდაჩემის გოგოები, როდის წავიდოდნენ, როდის ვისადილებდით, სუფრიდან როდის ავდგებოდით; ველოდებოდი იმას, რაც ლოდინის შემდეგ უნდა მომხდარიყო, ან რა მოხდებოდა ლოდინის შემდეგ, რას ვგრძნობთ ლოდინის შემდეგ? – არავინ იცის. მერე, როცა ოთხმოცდაათი წელი ჩაივლის, ვხვდები – ასობით ონკანიდან გადმოსულმა ანკარა წყალმა მარმარილოს აუზი გაავსო და როცა ზაფხულის წყნარ ღამეს ამ აუზს ვუახლოვდები, მასში საკუთარ ანარეკლს ვხედავ და ვიცი, ჩემი თავით ვარ სავსე. მეშინია, არაფრით წაიბილწოს ეს წმინდა წყალი, მტვერი არსაიდან დაეცეს. მინდა შებერვით მოვაშორო ჩემი თავი, ჰაერში ავმაღლდე. პატარა, მსუბუქი, ნაზი გოგონა ვიყავი.

ნეტავ, შეეძლოს ადამიანს, მთელი სიცოცხლე პატარა გოგოდ დარჩეს! თუ ჩემისთანა გოგოს ბევრი არაფერი უნდა, მხოლოდ ერთი რამ: არ გაიზარდოს, და ცოდვაში არ შევიდეს, ეს უნდა

შეძლოს. მაგრამ როგორ?

ჯერ კიდევ სტამბოლში, როცა მათთან ვსტუმრობდი, ნიგანი, შუქრანი და თურქანი რიგრიგობით მიკითხავდნენ თურქულად თარგმნილ ერთ ფრანგულ რომანს: ქრისტიანებს მონასტრები ჰქონიათ, როცა სულის განწმენდა უნდათ, მთაზე ადიან, მონასტერში შედიან, სხდებიან და იცდიან. მაგრამ როცა ნიგანი კითხულობდა, ვფიქრობდი: რა უცნაური და უსიამოვნო მოსასმენია, სხედან იქ მონაზვნები გვერდიგვერდ, როგორც საცოდავი, ზარმაცი ქათმები, კვერცხის დადება რომ ეზარებათ. თანდათან ბერდებიან და ჭკნებიან. ქრისტიანული რაღაცეები – ჯვარცმა, ქანდაკება, ჯვარი, შავწვერა, თვალებჩაწითლებული მღვდლები, ქვის ცივი კედლები – ყველაფერი შემძულდა. ასე არ მინდა. მე მე უნდა ვიყო. სხვა ვინმედ არ უნდა ვჩანდე. ვერა და ვერ ვიძინებ. ჭერს ამაოდ შევჩერებივარ. გაჭირვებით წამოვდექი. მაგიდასთან მივედი. თითქოს პირველად ვხედავდი, ისე დავაკვირდი სინს. ჯუჯას ამ საღამოს ატამი და ალუბალი დაუტოვებია. ერთი მარცვალი ალუბალი ავიღე, ყბებს შორის მოვიქციე და ნელ-ნელა გავღეჭე, ველოდებოდი, მისი წვენი და გემო როდის მომაშორებდა აქაურობას, სხვაგან წამიყვანდა. მაგრამ არა, ისევ აქა ვარ – მარტო, ჩემს ოთახში. ერთი ალუბალი კიდევ შევჭამე, მესამეც... ყოველთვის, როცა პირიდან ალუბლის კურკებს ვიღებდი, ისევ აქ ვიყავი.

ეტყობა, ეს ღამეც მძიმედ გაივლის.

17.

მზე მომდგომოდა და იმან გამაღვიძა. ხეებზე ჩიტები ჭიკჭიკებდნენ, სახლში ჩემი მშობლები საუბრობდნენ:

– წუხელ ჰასანი რომელ საათზე დაწვა? – იკითხა მამამ.

– არ ვიცი, ჩამძინებოდა, – უპასუხა დედამ, – პური გინდა?

– არა, შუადღისას მოვალ, ვნახავ, შინ თუ იქნება.

ისინი გაჩუმდნენ, ჩიტები – არა. ვიწექი და ვუსმენდი ჩიტებსა და სტამბოლს დიდი სიჩქარით მიმავალი მანქანების ხმას. წამოვდექი, შარვლის ჯიბიდან ნილგუნის სავარცხელი ამოვიღე და ისევ დავწექი. ფანჯრიდან შემოსულ მზის სხივებზე

სავარცხელს ვატრიალებდი და ვფიქრობდი: ამ კბილებს ნილგუნის თმის ტევრის ყველაზე იდუმალ ადგილებში შეუღწევია-მეთქი. ამის წარმოდგენამ ცუდ ხასიათზე დამაყენა.

მერე ფანჯრიდან გადავხტი, სახეზე ჭის ცივი წყალი შევისხი და გამოვცოცხლდი. წუხანდელივით აღარ ვფიქრობდი, მე და ნილგუნი სხვადასხვა წრეს ვეკუთვნით და ამიტომ ერთად ვერასოდეს ვიქნებით-მეთქი. შინ შევბრუნდი, საბანაო ტრუსები, შარვალი, კედები ჩავიცვი, სავარცხელი ჯიბეში ჩავიდე და უკვე გავდიოდი, რომ კარის ხმა გავიგონე. რა კარგია! მამაჩემი მიდის და იძულებული არ ვიქნები, საუზმეზე პამიდორს, ყველსა და ზეთისხილს შევატანო მისი შეგონება ცხოვრების სიძნელეებსა და ლიცეუმის დიპლომის მნიშვნელობაზე.

მამა ზღურბლზე შეჩერდა:

– მაგას უთხარი, დაჯდეს და იმეცადინოს, – დაუბარა დედას.

– წუხელ აკი იჯდა და მეცადინეობდა? – გამომესარჩლა დედა.

– წუხელ ეზოში გამოვედი. მაგის ფანჯარაში შევიხედე. მაგიდასთან კი იჯდა, მაგრამ არ მეცადინეობდა. ეტყობა, გონება სხვაგან აქვს.

– მეცადინეობს, მეცადინეობს, – არწმუნებდა დედა.

– თავის ნებაა, – თქვა კოჭლმა, – თუარა და – ისევ დალაქს მივაბარებ.

მერე გავიგონე, როგორ გამშორდა ორი ფეხი: ერთი – ძლიერი, მეორე – სუსტი. როცა ფეხის ხმა მიწყდა, სამზარეულოში შევედი და ჭამა დავიწყე.

– დაჯექი, ფეხზე რატომ ჭამ? – მითხრა დედამ.

– უკვე მივდივარ. რამდენიც უნდა ვიმეცადინო, მაინც ვერ ხედავს. გავიგონე, რაც თქვა.

– ყურს ნუ უგდებ. მოდი, დაჯექი და ძღომისად ჭამე. ჩაის დაგისხამ.

სიყვარულით მიყურებდა. ვიფიქრე: როგორ მიყვარს დედა და არ მიყვარს მამა. დედაჩემი შემეცოდა. ვიცოდი, და-ძმა იმიტომ არ მყავდა, რომ ადრე, თურმე, მამაჩემი დედას სცემდა. განა

ისეთი რა უნდა დაეშავებინა?! მაგრამ დედა ჩემთვის დაც არის და ძმაც. ჩვენ ამ კოჭლი კაცის სახლში ცხოვრება მოგვისაჯეს: აქ იყავით და მისი გაყიდული ლატარიის ბილეთების ფულით იცხოვრეთ, თუ მოახერხებთო. თუმცა, ძალიან ცუდადაც არ ვცხოვრობთ – ჩვენს კლასში ჩემზე ღატაკებიც არიან, მაგრამ არც ჩვენ გვაბადია ერთი დუქანი. ბოსტანში პამიდორს, ლობიოს, წიწაკას, ხახვს თუ არ მოვიყვანდით, ჩემი ლამაზი დედა ქვაბში ჩასაგდები და მოსახარში რამის საყიდლად ლატარიის ბილეთების ძუნწ გამყიდველს ფულს ვერ სთხოვდა და შიმშილით დავიხოცებოდით. როცა ამას ვფიქრობდი, დედისათვის გულის გადაშლა მომინდა. ყველაფერზე დაველაპარაკები: ქვეყნიერებაზე, იმაზე, თუ როგორ ვიქეცით დიდი სახელმწიფოების ხელში სათამაშო თოჯინად, კომუნისტებზე, მატერიალისტებზე, იმპერიალისტებზე, როგორ გახადეს ჩვენი ხალხი იძულებული, მოწყალება სთხოვოს იმათ, ვინც დასაბამიდან ჩვენი მონები იყვნენ. თუმცა, დედაჩემი რას გაიგებს? სულ თავის გაჭირვებაზე წუწუნებს, მაგრამ არ ფიქრობს, საიდან მოდის ეს გაჭირვება. ისე მიყურებდა, გული მეტკინა.

– არა, დედა, ახლავე უნდა წავიდე. საქმე მაქვს.

– კარგი, შვილო, როგორც გინდაო, – მითხრა და დაუმატა: – არ დაიგვიანო, იცოდე, მამაშენს შინ დახვდი. შუადღისას მოვა.

მოვა და მოვიდეს!

ფული ხომ არ ვთხოვო-მეთქი, – გამიელვა თავში, მაგრამ არ ვთხოვე. შინიდან გავედი, დაღმართზე დავეშვი. გუშინ ორმოცდაათი ლირა მომცა, ოცი ლირაც ძია რეჯეფმა დამიმატა. ორჯერ ტელეფონით ვილაპარაკე, ოცი ლირა ლაჰმაჯუნში[55] გადავიხადე. ოცდათხუთმეტი ლირა დამრჩა. ჯიბიდან ამოვიღე. ჰო, ოცდათხუთმეტი ლირა მაქვს და ამის დასათვლელად არც ლოგარითმები მჭირდება და არც კვადრატული ფესვი. მაგრამ იმათ, ვინც მე კლასში ჩამტოვა, იმ მასწავლებლებსა და ბატონებს, სხვა მიზნები აქვთ. უნდათ, დამაბეჩავონ, ქედი მომადრეკინონ, მიწას დამასრისონ, მცირედს დამაჯერონ. ვიცი, იმ დღეს, როცა დაინახავთ, ბევრი არაფერი მინდა, ცოტათიც ბედნიერი ვარ, იტყვით, ამას ცხოვრება უსწავლიაო. მაგრამ, ცდებით, ბატონებო! მე თქვენს ცხოვრებას არასოდეს ვისწავლი. როგორი ცხოვრება მინდა, მაშინ გაგაგებინებთ, როცა ხელში იარაღს ავიღებ. აღმართზეც კი დიდი სისწრაფით

მიაქროლებენ მანქანებს, გავიხედე. მოპირდაპირე მხარეს, ფაბრიკაში, გაფიცვა ყოფილა. შევწუხდი. რამის გაკეთება მომინდა. ოფისში მაინც წავსულიყავი. მაგრამ იქ მუსტაფა და სერდარი თუ არ იქნებოდნენ, მარტოს რა უნდა მეკეთებინა?

დავფიქრდი: შემიძლია უსქუდარში წავიდე და მოვითხოვო, ნამდვილი, დიდი საქმე მომეცით, კედლებზე წერა და ბაზარში მოსაწვევების გაყიდვა არა მყოფნის-მეთქი. ერთი დღეც იქნება, ტელევიზიები და გაზეთები ჩემზეც ალაპარაკდებიან!

პლაჟზე რომ მივედი, მაშინვე მავთულის ღობეში გავიხედე. ნილგუნი ჯერ არ მოსულიყო. ფიქრში წასულმა ცოტა კიდევ ვიხეტიალე. ყველანი აივნებიან პატარა ეზოებში გამოფენილან. სხედან, საუზმობენ: დედები, მათი ქალიშვილები, ვაჟები. ზოგის ეზო ძალიან პატარაა. ამიტომ მაგიდა ქუჩასთან ისე ახლოს დგას, დაითვლი, რამდენი მარცვალი ზეთისხილი დევს. ერთი ესენი მომაგროვებინა პლაჟზე: აბა, ზანტო არსებებო, მწკრივში ჩადექით! თავად ამაღლებულ ადგილზე ამიყვანა და იქიდან მათქმევინა:

– არა გრცხვენიათ? როგორ ცხოვრობთ?!

ვიცი, ჯოჯოხეთისა არ გეშინიათ, მაგრამ სინდისი სულ აღარ შეგრჩათ? ხეპრე, უბადრუკო, უზნეო არსებებო, მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე ფიქრით როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა?! საკუთარი დუქნებისა და ფაბრიკების გარდა არაფერი გახსოვთ, მაგრამ დრო მოვა და გაგახსენებთ, ჭკუას გასწავლით! ავტომატის ცეცხლით გასწავლით. უკვე ისტორიულ ფილმებსაც კი აღარ უჩვენებენ. მაგრამ რამეს მოვიფიქრებ: ყველას ერთმანეთს წაგკიდებთ! ვერასოდეს დამივიწყებთ! ამასობაში ნილგუნიანთ სახლთან მოვსულვარ. არავინ ჩანს. თუ დავურეკავ და ამ ყველაფერს ნილგუნს ვეტყვი, რა მოხდება? ფუჭი ოცნებაა! პლაჟზე დავბრუნდი. ნილგუნი ისევ არა ჩანს. ცოტა ხნის შემდეგ ძია რეჯეფი დავინახე. ხელში ბადურა ეჭირა. ჩემს დანახვაზე გზა შეშალა, მომიახლოვდა:

– აქ რას აკეთებო? – მკითხა.

– არაფერს. გუშინ ბევრი ვიმეცადინე. ახლა ცოტას გავივლი.

– წადი, შვილო, შინ დაბრუნდი, აქ არაფერი გესაქმება.

– ჰო, მართლა! გუშინ რომ ოცი ლირა მომეცი, დავხარჯე, ძია. ოც ლირად ერთ რვეულსაც ვერ იყიდი. ფანქარი კი არ მინდა, მაქვს. რვეული ორმოცდაათი ლირა ღირს. ჯიბეში ხელი ჩავიყავი, ოცი ლირა ამოვიღე და გავუწოდე.

– არ მინდა. იმიტომ მოგეცი, რომ გემეცადინა, ისწავლე და დიდი კაცი გახდიო, – მითხრა.

– უფულოდ დიდი კაცი ვერ გახდები. ერთი რვეულიც კი ორმოცდაათი ლირა ღირს. როგორ გინდა, ისწავლო.

– კარგიო, – მითხრა და ოცდაათი ლირა კიდევ მომცა, – ოღონდ, არ მოსწიოო, – გამაფრთხილა.

– თუ გგონია, მოვწევ, არ გამოგართმევ-მეთქი, თავპატიჟს ვიდებდი. მერე გამოვართვი: – გმადლობ. მეთინი, ნილგუნი და სხვები მომიკითხე. გავიგე, ჩამოსულან. ახლა უნდა წავიდე, ვიმეცადინო. ინგლისური ძალიან ძნელია.

– მართლა? ძნელია? ცხოვრება ადვილი გგონია?

ახლა ამანაც მამაჩემივით არ დაიწყოს-მეთქი, საჩქაროდ გავერიდე. ცოტა გავიარე და უკან დავბრუნდი. შევხედე, რეჯეფი ნელა, რყევით მიდიოდა. შემეცოდა. ბადურა ყველას ყურებით უჭირავს, ამ საწყალს კი შუაში გაუყრია თითები და ისე მიაქვს, მიწაზე არ მოეთრიოს. საწყალია ჯუჯა, მაგრამ მანაც მითხრა, აქ რა გინდაო? ყველა ამას მეკითხება. გეგონება, აქ თავისუფლად უნდა სცოდავდნენ და ხელი არ უნდა შევუშალო. ჩემს დანახვაზე სიმშვიდე არ უნდა დაკარგონ. ცოტა კიდევ გავიარე, ჯუჯას ისევ არ გადავეყარო-მეთქი და პლაჟზე დავბრუნდი. გულმა რეჩხი მიყო. ნილგუნი კარგა ხნის მოსული ჩანდა. ქვიშაზე იწვა. ისევ ისე, როგორც გუშინ. ხელში წიგნი ეჭირა და ჩასჩერებოდა, თავსაც არ ანძრევდა. დავიბენი.

– ჰოპ! – იყვირა ვიღაცამ, – ვის უყურებ ეგრე პირდაღებული?!

შევხტი. მოვიხედე. ჩვენი სერდარი.

– რა ამბავია? აქ რა გესაქმება?

– არაფერი.

– ხალხს თირავ?

– არა, საქმე მაქვს.

– ნუ იტყუები. თვალებით ჭამდი ვიღაცას. არა გრცხვენია? საღამოზე მუსტაფას ვეტყვი და ნახავ, რა დღეს დაგაყრის.

– არა, არა, ერთი ნაცნობია და იმას ველოდები. შენ რას აკეთებ?

– გასარემონტებლად მივდივარ – ხელში იარაღების ჩანთა ეჭირა – ვინ არის შენი ნაცნობი?

– არ იცნობ.

– რა ნაცნობი, რის ნაცნობი! ურცხვად უთვალთვალებ გოგოებს, კარგი, რა! აქ შენს ნაცნობს რა უნდა?

– კარგი, გაჩვენებ, რომელია, მაგრამ ისე შეხედე, არ შეგამჩნიოს.

მივანიშნე.

– წიგნს რომ კითხულობს? საიდან იცნობ?

მოვყევი, საიდანაც ვიცნობდი: დიდი ხნის წინათ, როცა აქ ერთი ბეტონის სახლიც კი არ იყო, სულ ორი სახლი იდგა. ერთი ჩვენი – ბორცვზე წამოჭიმული ქვის სახლი და მეორე მაგათი – ძველი. უცნაური სახლი. ერთიც – მწვანე დუქანი ახლანდელი ბაზრის ადგილას. სხვა არაფერი იყო: არც ზემო უბანი, არც ფაბრიკები, არც იენიმაჰალე და ესენთეფე იყო, არც აგარაკები და პლაჟი. მატარებელი ბაღებსა და ვენახებს შორის მიდიოდა.

– აქაურობა ლამაზი იყო? – მკითხა დაფიქრებულმა.

– ძალიან. გაზაფხულზე ბლის ხეები სულ სხვანაირად ყვაოდა. ზღვაში ხელს ჩაყოფდი და კეფალს თუ არა, ქაშაყს მაინც დაიჭერდი.

– ლამაზად ჩმახავ. ბარემ ისიც მითხარი, იმ გოგოს რატომ ელოდები?

– რაღაც უნდა მივცე, ჩემთან დარჩა.

– რაა?

სავარცხელი ამოვიღე და ვაჩვენე:

– იმის სავარცხელია.

– იაფფასიანია. ისინი ასეთებს არ ხმარობენ. მოიტა, ვნახო.

მივეცი. ნახოს და შურით გასკდეს-მეთქი, ვიფიქრე.

გამომართვა და, ღმერთმა დასწყევლოს! სავარცხელი გაღუნა.

– ის გოგო გიყვარს? – მკითხა აგდებულად.

– არა. ფრთხილად! არ გატეხო!

– რატომ გაწითლდი? გამოდის, ის მდიდარი გოგო გიყვარს.

– ნუ გაღუნავ, არ გატეხო. სავარცხელი არ გეცოდება?

– რატომ უნდა მეცოდებოდეს? – მითხრა, სავარცხელი ჯიბეში ჩაიდო და წავიდა.

გამოვეკიდე:

– კარგი, სერდარ, გეყოფა ხუმრობა.

არ მიპასუხა.

– მეტისმეტი მოგდის, ახლა მაგის დროა? სირცხვილია!

ისევ არ მიპასუხა.

ზუსტად პლაჟის კართან, როცა ხალხი გავარღვიეთ, მიყვირა:

– ძმაო, წადი, თავი დამანებე, რა მოგიცია? რას მთხოვ? სად მომდევ, არა გრცხვენია?!

ყველამ ჩვენ დაგვიწყო ყურება. ვერაფერი ვუთხარი, ცოტათი ჩამოვრჩი, როცა დავრწმუნდი, აღარავინ გვიყურებდა, წამოვეწიე, მკლავი დავუჭირე და გადავუგრიხე. აფართხალდა. უფრო მაგრად გადავუგრიხე, მინდოდა, ძალიან გამწარებულიყო.

– ვაი, მხეცო! – აღრიალდა, იარაღების ჩანთა დაუვარდა.

– გამიშვი, გაძლევ!

სავარცხელი ჯიბიდან ამოიღო და ძირს გააგდო.

– ხუმრობა არ იცი, კამეჩი ხარ!

სავარცხელი ავიღე. მადლობა ღმერთს! გადარჩენილიყო. ჯიბეში ჩავიდე.

– არაფერი გაგეგება, დებილო ტურავ!

ვიფიქრე, ერთს მივაკერებ სიფათში-მეთქი, მაგრამ მივბრუნდი

და პლაჟისაკენ წავედი. გინება მომადევნა. მერე იღრიალა:

– მაღალი წრის ქალი შეუყვარდაო!

არ ვიცი, გამვლელ-გამომვლელთაგან ვინმემ გაიგონა თუ არა, მაგრამ ძალიან შემრცხვა.

პლაჟზე მისულმა ნილგუნი ვერ დავინახე, ვიფიქრე, წასულა-მეთქი და მეწყინა, მაგრამ მის ჩანთას მოვკარი თვალი. არა, არ წასულა, აქ არის! ჯიბიდან სავარცხელი ამოვიღე და დაველოდე, ზღვიდან როდის ამოვიდოდა. რომ ამოვა, მივალ, ვეტყვი: ნილგუნ, ეს სავარცხელი დაგვარდნია, გზაზე ვიპოვე, ავიღე და მოგიტანე. არ გამომართმევ? შენი არ არის? აიღებს, მადლობას გადამიხდის. ვეტყვი: მადლობა საჭირო არ არის. ახლა მადლობელი ხარ. გუშინ კი გზაზე ერთი სალამი დაგენანა. მაპატიეო, – მეტყვის, ბოდიშს მომიხდის. ვეტყვი, არც პატიების თხოვნაა საჭირო. ვიცი, კარგი ადამიანი ხარ. ჩემი თვალით დავინახე, დიდედაშენთან ერთად როგორ ლოცულობდი იქ, სასაფლაოზე-მეთქი. მკითხავს, რას საქმიანობო? ვეტყვი, მათემატიკასა და ინგლისურში კუდები გამომყვა. სტუდენტი ხარ, ესენი გეცოდინება. შეგიძლია, მამეცადინო-მეთქი? მეტყვის, ჩვენსა მოდიო. მეც მივალ და ვინც დაგვინახავს, როგორ ვსხედვართ ერთ მაგიდასთან და ვმეცადინეობთ, ვეღარ იტყვის, თქვენ სხვადასხვა წრეს ეკუთვნითო. ერთად ვისხდებით, ერთ მაგიდასთან ვისხდებით. ოცნებაში წავედი...

მერე ბრბოში გარეული დავინახე. ზღვიდან ამოსულიყო და შრებოდა. უცებ გაქცევა მომინდა.

ყვითელი კაბა ჩაიცვა, ჩანთა აიღო და გასასვლელისაკენ წავიდა. პლაჟიდან გამოვედი. ბაყლის დუქნისაკენ ავიღე გეზი, ცოტა ხნის შემდეგ უკან მოვიხედე. ნილგუნიც აქეთ მოდიოდა. კარგია, დუქანში შევედი და ერთი ბოთლი კოკა-კოლა მოვითხოვე.

– ახლავე, – მითხრა ბაყალმა და, თითქოს უნდოდა, ნილგუნს აქ უქმად მდგარი დავენახე, წავიდა და ვიღაც მოხუც ქალს მოემსახურა. როგორც იქნა, ის ქალი გაისტუმრა, ერთი ბოთლი კოკა-კოლა გამიხსნა, რაღაც უცნაურად შემომხედა და მომცა. ბოთლი ხელიდან გამოვტაცე, კუთხეში მივდექი და ველოდები. როცა შემოვა, დამინახავს, რომ პირდაპირ ბოთლიდან ვსვამ და სულაც არ ველოდები. ოჰ, რა მოულოდნელი და სასიამოვნო შეხვედრაა! გამარჯობა-მეთქი, ვეტყვი. როგორ ხარ?

ინგლისურს მასწავლი? გელოდე, გელოდე, მაგრამ როგორ შემოხვედი, ვერ დაგინახე. ხელში რომ ბოთლი მეჭირა, იმას დავჩერებოდი. ამიტომ გამარჯობა არ მითქვამს. ვერც შენ დამინახე. თუ, დამინახე და იმდღევანდელივით სალამი ვერ გაიმეტე? სულაც არ გიყურებ.

– სავარცხელი გაქვთ? – იკითხე ერთბაშად.

– როგორი სავარცხელი გნებავთ? – გკითხა ბაყალმა.

სახეზე სისხლი მომაწვა.

– სულერთია, ნებისმიერი. ჩემი სადღაც დამეკარგა.

– მხოლოდ ესენი მაქვს. გამოგადგებათ?

– ვნახავ, ერთი.

მერე სიჩუმე ჩამოვარდა. ვეღარ მოვითმინე, მოვბრუნდი და შემოგხედე. გვერდიდან გიყურებდი. რა ლამაზი ხარ?! სახის კანი ქორფა ბავშვისა გაქვს, ცხვირი – პატარა.

– ერთ ცალს ავიღებო, – თქვი, მაგრამ ბაყალი აღარ გისმენდა. დუქანში შემოსულ სხვა ქალს მიაშურა. ირგვლივ რომ მიმოიხედე, შემეშინდა, არ იფიქროს, თვალს ვარიდებ-მეთქი. ამიტომ პირველი მოგესალმე:

– გამარჯობა!

– გაგიმარჯოს! – მიპასუხე, მაგრამ გულმა რეჩხი მიყო: ჩემი დანახვა არ გაგიხარდა. პირიქით, სახეზე უკმაყოფილება გამოგეხატა. ვიფიქრე: მაშ, ჩემი დანახვა არ გსიამოვნებს? გაწუხებ? იქვე დავრჩი, ხელში კოკა-კოლას ბოთლი მეჭირა და ფეხს ვერ ვიცვლიდი. ორივენი ვიდექით ბაყლის დუქანში, როგორც სრულიად უცხოები.

მერე ვიფიქრე: რას ვერჩი, უფლება აქვს, არ უნდოდეს ჩემთან პირისპირ შეხვედრა. ჩვენ ხომ საზოგადოების სხვადასხვა ფენას ვეკუთვნით! მაგრამ ის მაოცებს, ადამიანს სალამი რატომ არ ემეტება? მტრულად რატომ მიყურებს, როცა ამის მიზეზი არ არსებობს? ყველაფერი ფულია! ყველაფერი სიბინძურეა, ცუდია! წყეულიმც იყოს! მათემატიკას ვიმეცადინებ. კარგი, მამა, წავალ, მათემატიკას ჩავუჯდები, ლიცეუმის დამთავრების დიპლომსაც ავიღებ და წინ დაგიგდებ.

ნილგუნმა წითელი სავარცხელი იყიდა. ერთი წამით ვიფიქრე, ავტირდები-მეთქი, მაგრამ ისევ დავიბენი: ნილგუნმა გაზეთი მოითხოვა. თანაც „ჯუმჰურიეთი!“[56]

სულელივით შევჩერებოდი, როგორ იყიდა გაზეთი და მშვიდად გაემართა გასასვლელისაკენ, როგორც უცოდველი, უდანაშაულო ბავშვი. ადგილიდან მოვწყდი, დავედევნე. კოკა-კოლას ბოთლი ისევ ხელში მეჭირა. წამოვეწიე.

– მაშ, კომუნისტურ გაზეთს კითხულობ?

– ბატონო? – ნილგუნმა წამით შემომხედა, მაგრამ მხოლოდ ცნობისმოყვარეობით და არა მტრულად. მერე მიხვდა, რაც ვკითხე. დაფრთხა და უსიტყვოდ გამშორდა. წავიდა.

მაგრამ იოლად არ მოგეშვები. ყველაფერს მეტყვი, მეც გიამბობ ჩემ შესახებ. ახლაღა შევამჩნიე, კოკა-კოლას ბოთლი ისევ ხელში მეჭირა. ღმერთმა დასწყევლოს! დუქანში შევბრუნდი, ფული გადავიხადე და ხურდას დაველოდე. მაგრამ ბინძურმა ტიპმა, ალბათ, იმიტომ, რომ ვერ დაგწეოდი, დიდხანს მალოდინა.

დუქნიდან გამოვედი, ნილგუნი აღარ ჩანდა. ალბათ, კარგა ხნის წინ შეუხვია კუთხეში. რომ გამოვკიდებოდი, დავეწეოდი, მაგრამ არ გავქცეულვარ, მხოლოდ ჩქარი ნაბიჯით წავედი. ქუჩა სავსე იყო პლაჟზე, ბაზარში მიმავალი ხალხით, ბრიყვი ტიპებით, ნაყინს რომ ჭამდნენ. სწრაფად ჩავიარე დაღმართი. რამდენიმე ნაბიჯი გავირბინე, მერე ისევ ჩქარა წავედი. თუ ირგვლივ არავინ იყო, გავრბოდი. მაგრამ როცა კუთხეში შევუხვიე, მივხვდი – რამდენიც უნდა ვირბინო, ვეღარ დაგეწევი! ჭიშკრამდე მაინც მივედი. რიკულებს შორის დავინახე: ნილგუნმა ეზო გაიარა და შინ შევიდა.

იქვე, მოპირდაპირე მხარეს, წაბლის ხის ქვეშ დავჯექი, ერთხანს შიშით ვფიქრობდი კომუნისტებზე, იმაზე, თუ როგორ იღებენ სხვადასხვა გარეგნობას და როგორ ატყუებენ თავიანთ მსხვერპლთ. ავდექი, დაბრუნება დავაპირე. შარვლის ჯიბეში ხელი ჩავიყავი და ის მწვანე სავარცხელი ამოვიღე. გატეხა მინდოდა, მაგრამ დამეზარა. წავიღე და ტროტუარის კიდეზე ნაგვის ყუთში ჩავაგდე, იმაში ჩავაგდე. გესმის, ნილგუნ, შენი სავარცხელი ნაგვის ყუთში ჩავაგდე და უკან მოუხედავად წავედი იმ ბაყალთან. გზაში ვფიქრობდი:

ეი, ბატონო ბაყალო, ერთხელ შენც დაგელაპარაკებით. არ გაგაფრთხილეს, „ჯუმჰურიეთს“ ნუ ყიდიო? მითხარი, ერთი, რა სასჯელი გინდა? იქნებ გულახდილად თქვას, მე კომუნისტი ვარ, ის გოგოც კომუნისტია და ის გაზეთი იმიტომ მივყიდე, რომ ვენდობიო. ერთბაშად ნილგუნის გამო ძალიან შევწუხდი: ბავშვობაში რა კარგი გოგო იყო! გაჯავრებული შევედი ბაყლის დუქანში.

– ისევ შენა ხარ? რა გინდა? – მკითხა ბაყალმა.

ცოტა ხანს შევყოვნდი, პასუხი დავაგვიანე. სხვა მუშტრებიც იყვნენ და იმათ მოვერიდე. ბაყალმა კითხვა გამიმეორა.

– მე? ის მინდა... ერთი სავარცხელი... თმისათვის...

– კარგი. შენ ლატარიის გამყიდველი ისმაილის შვილი არა ხარ?

ყუთი გადმომიღო. წინ დამიდგა.

– წეღან იმ გოგომ წითელი აიღოო, – მითხრა.

– ვინ გოგომ? მე ნებისმიერი სავარცხელი მინდა.

– კარგი, კარგი, რომელიც გინდა, აირჩიე.

– ამას რამდენად იძლევი?

ამასობაში მუშტარი გალაგდა. მარტო დავრჩი და თავისუფლად დავათვალიერე სავარცხლები – სულ სათითაოდ. მერე წითელი სავარცხელი ვიყიდე, ზუსტად შენი სავარცხლისნაირი, ნილგუნ. ოცდახუთი ლირა გადავიხადე, ახლა ორივეს ერთნაირი სავარცხლები გვაქვს!

მერე ვიარე, ვიარე და იმ ადგილას მივედი, სადაც ქვაფენილი თავდება. აი, ის ნაგვის ყუთი, წეღან სავარცხელი რომ ჩავაგდე! მიმოვიხედე. არავინ ჩანდა. ხელი ჩავყავი და მწვანე სავარცხელი ამოვიღე. არც კი გაჭუჭყიანებულა. არავის დავუნახივარ. თუნდაც დავენახე, რა მოხდა? ახლა იმ ტიპებს რომ დავენახე, შევეცოდებოდი, თანაც გულიანად იცინებდნენ. მაგრამ იმის შიშით, უსულგულო ბრიყვებმა არ დამცინონ- მეთქი, არასოდეს ვიტყვი უარს იმაზე, რაც მინდა. მე თავისუფალი ადამიანი ვარ, შენზე ფიქრით ქუჩებში დავეხეტები.

18.

ხუთი საათი ხდება. კარგა ხანი გასულა მას მერე, რაც ობმოკიდებული, ნესტიანი სარდაფის ფანჯრებს მზე მოადგა. მალე ჩანთას ჩავალაგებ და შავი ჭირის საძებრად სუფთა ჰაერზე გავალ. გონება არეული მაქვს. წეღან მეგონა, წარმატებით დავასრულებდი საბუთებს შორის უმიზნო ხეტიალს. ახლა ეჭვი შემეპარა. აქამდე ისტორიას ჩემს თავში გაჩენილი, ერთმანეთთან დაუკავშირებელი მილიარდობით ფაქტის გროვად ვსახავდი. გადავშლი ჩემს რვეულს და სულმოუთქმელად ჩავიკითხავ, ვინძლო, ეს განცდა ერთხელ კიდევ მოვიხელთო.

აი, ვკითხულობ:

ვეზირ ისმაილ ფაშას სახასო მამული – ჩაიროვას, ესქიჰისარისა და თუზლას შემოგარენის ექვსი სოფელი – გებზეს ყადიზე ყოფილა მიწერილი. სოფლებში საგანგებო აღწერა ჩაუტარებიათ. შედეგი არქივშია დაცული. ვინმე ჰიზირი იბრაჰიმს, აბდულკადირსა და მათ ვაჟიშვილებს უჩივის: სახლი გადამიწვეს და ჩემი ნივთები გაიტაცესო. ვკითხულობ ფირმანს ესქიჰისარის სანაპიროზე ნავმისადგომის მოწყობის თაობაზე. გებზეს ახლოს ერთი სოფელი ყოფილა. შემოსავალს ჩვიდმეტი ათას აქჩეს იძლეოდა, მაგრამ პატრონისთვის, ალისთვის, ჩამოურთმევიათ, რადგან სალაშქროდ არ წასულა. ვიღაც ჰაბიბისათვის უბოძებიათ, მაგრამ არც ჰაბიბი ყოფილა მოლაშქრე. ამიტომ სოფლისათვის სხვა პატრონის პოვნა დასჭირვებიათ[57].

მსახურ ისას თავისი ბატონის, აჰმეთის, ოცდაათი ათასი აქჩე, ერთი ცხენი, ორი ხმალი, ერთი ფარი წაუღია და ვინმე რამზანს შეჰხიზვნია. რამზანს ისა შეუფარებია, დაუცავს. აჰმეთს ამაზე ყადისთან უჩივლია. ვიღაც მომკვდარა. სინანი რქმევია. მისი მემკვიდრეობის გამო ჩივილი აუტეხიათ. ერთი მომჩივანი – ჩელებიოღლუ ოსმანი – სასამართლოს სთხოვს, ჩემი ქონება დავთარში გამიტარეთო. ცხენის ქურდები დაუჭერიათ. ნაქურდალი ცხენი წაურთმევიათ და მირლივას თავლაში დაუბამთ. მუსტაფა, იაკუფი და ხუდავერდი ჩვენებას იძლევიან, ეს სწორედ ის ცხენია, დურსუნის ძეს სულეიმანს რომ მოჰპარესო. ვკითხულობ და ასე მგონია, ჩემში იღვიძებს

გაცოცხლებული ისტორიის სასიამოვნო შეგრძნება, ტვინში მიფუთფუთებს XVI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი. ამ ეპოქის ყველა მოვლენა ცალ-ცალკე, ერთმანეთთან დაუკავშირებლად ჩაბუდებულა ჩემი ტვინის ხვეულებში, როგორც მატლების უწონადო, უკიდეგანო გალაქტიკა.

თავი კაკალს მიგავდა, თუ გატეხდით და შიგ ჩაიხედავდით, ტვინის ხვეულებში მძრომელ მატლებს დაინახავდით.

ამ განცდამ დიდხანს არ გასტანა – ნისლოვანი გალაქტიკა გაიფანტა, წავიდა და ჩემი ჯიუტი გონება ჩემგან იმასვე ელოდება, რასაც კარგა ხანია, დაეჩვია: ერთი პატარა ამბავი უნდა ვიპოვო – ერთი სარწმუნო ისტორია. მაგრამ, ალბათ, მხოლოდ ისტორიის კი არა, მთელი ცხოვრების დანახვა რომ შევძლოთ, ამისთვის ჩვენი ტვინის წყობა უნდა შეიცვალოს.

ოჰ, ამბების მოსმენის ეს დაუოკებელი სურვილი ყველას გვაცდუნებს და ოცნების ქვეყანაში მიგვერეკება! არა და, ჩვენ ხომ ჯანსაღ, რეალურ სამყაროში ვცხოვრობთ!

სადილობისას წამით მეგონა, ამ საკითხს ამოხსნა ვუპოვე-მეთქი. გუშინდლიდან ტვინს მიბურღავს ჩემი ბუდაქის ამბავი, მან ამ დილით ზოგი ხელნაწერის წაკითხვის შემდეგ სრულიად ახალი განზომილება შეიძინა: დარწმუნებული ვარ, ბუდაქმა რაღაც გზა მონახა და რომელიმე სტამბოლელი ფაშას მფარველ ფრთას შეეფარა. ლიცეუმის მასწავლებლის წიგნიდან სხვა წვრილმანებიც შემორჩენოდა ჩემს მეხსიერებას. ყველა ისეთი იყო, იოლად რომ ატყუებენ ამბების მოყვარულებს, იმათ, ვისაც ჰგონია, ისტორიული ამბების მეშვეობით სამყაროს შევიცნობთო.

XVI საუკუნის გებზეს შესახებ წიგნის დაწერა გადავწყვიტე. წიგნს არც თავი უნდა ჰქონოდა, არც ბოლო. ერთი პრინციპით აიგებოდა: ერთმანეთის გვერდიგვერდ, ერთმანეთთან დაუკავშირებლად დალაგდებოდა იმ საუკუნის გებზესა და მის შემოგარენში მომხდარი ყველა ამბავი – მნიშვნელოვანი თუ ნაკლებმნიშვნელოვანი: სავაჭრო კონფლიქტები, ხორცის ფასი, ქალის მოტაცების ამბები, აჯანყებები, ომები და ქორწილები, ფაშები და მძიმე დანაშაულები. ზუსტად ისე, როგორც არქივშია – მშვიდად და მოკრძალებულად. ამ ფაქტებს ბუდაქის ამბით დავაგვირგვინებდი, მაგრამ იმიტომ კი არა, თითქოს ბუდაქს სხვაზე მეტ ფასს ვდებდე. ამას იმათთვის

გავაკეთებდი, ვინც ისტორიის წიგნში სიუჟეტებს ეძებს. ამრიგად, ჩემი წიგნი უსასრულო „მხატვრული“ აღწერის მცდელობა გახდებოდა. სადილის დასასრულს – ცოტათი ლუდის გავლენითაც – ამ ბუნდოვანი პროექტის ბურუსში ღრმად ჩავეფალი, ისე, როგორც ახალგაზრდობაში, როცა მუშაობა ბავშვურად გამიტაცებდა ხოლმე. პრემიერ-მინისტრის არქივშიც შევალ-მეთქი, – ვფიქრობდი – ყველა საბუთს გამოვიწერ, ყველა ფაქტს თავის ადგილს მივუჩენ და ვინც წლების შემდეგ ჩემი წიგნის თავიდან ბოლომდე წაკითხვას კვირებსა და თვეებს მოანდომებს, ბოლოს და ბოლოს, დაინახავს იმ ქაოსს, რასაც მე ვხედავდი აქ მუშაობისას და ჩემსავით აღელვებული ჩაილაპარაკებს: აი, ეს არის ისტორია, ეს არის ისტორია და ცხოვრება...

ეს ჩემი აბდაუბდა ჩანაფიქრი, რომელიც ოცდაათ წელს... არა, ჩემი ცხოვრების ბოლომდე გასტანს, თვალის ჩინის დაკარგვითა და ნერვული აშლილობით დასრულდება. როცა ერთხელ კიდევ გავიაზრე ეს ბრიყვული გმირობა, შემზარა – რამდენი გვერდის დაწერა მელოდა! გვიან მივხვდი, ამ წმინდა ოცნებას თავის მოტყუებისა და სისულელის სუნი დაჰკრავდა. ამიტომ წყალს გავატანე იგი.

არა და, ის, რის დაწერასაც ვაპირებდი, ძალზე მნიშვნელოვან საფიქრალს მიჩენდა: ჯერ ერთი: რასაც დავწერ, ყველაფერს დასაწყისი უნდა ჰქონდეს, მეორე – იძულებული ვიქნები, ყველა მოვლენა, რომელზეც დავწერ, ერთ რიგში ჩავამწკრივო. ეს კი, ნებით თუ უნებლიეთ, მკითხველისათვის რაღაც მნიშვნელობას იძენდა, რადგან ადამიანის გონება ყოველ ჩამონათვალში წესრიგის ძებნას არის დაჩვეული, ყოველ მოვლენაში სიმბოლოს პოულობს. როგორც კი ამისაგან თავის დაღწევას მოვინდომებდი, აღარ მეცოდინებოდა, საქმეს საიდან შევდგომოდი, როდის რა ნაბიჯი გადამედგა. სულაც არ მინდა, სხვა ამბებსა და ფაქტებზე ვიყო დამოკიდებული, მაშინ უიმედობით ისიც ვიფიქრე: ვისაც უნდა, ისტორია, თუნდაც ცხოვრება, ისე გაატაროს, როგორც სინამდვილეშია, ერთადერთი გზა სიტყვაზე გადის. ამ გზის საპოვნელად მთავარია, შევცვალოთ ჩვენი ტვინის სტრუქტურა. თუ გვინდა ცხოვრება ისეთად დავინახოთ, როგორიც არის, ჩვენი ცხოვრება უნდა შევცვალოთ. ამის უკეთ გაგებინება მინდოდა, მაგრამ როგორ? – არ ვიცოდი. სასადილოდან გამოვედი და არქივში დავბრუნდი.

შუადღიდან მოკიდებული, შემდეგაც სულ იმაზე ვფიქრობდი: ნუთუ, ამ წიგნის დაწერის, ადამიანებზე ჩემთვის სასურველი გავლენის მოხდენის, მათი გამოფხიზლების გზა არ არსებობს? დროდადრო გადავშლი ჩემს რვეულს და გამალებით ვკითხულობ ჩანაწერებს, რათა ჩემში კვლავ გავაცოცხლო ის გრძნობა, რომელსაც, ალბათ, ვერავის გავუზიარებ. კითხვის დროს ვცდილობდი, ერთ რომელიმე ამბავს არ მოვეხიბლე. როგორც ჩემს წიგნში მინდოდა გამეკეთებინა, ეს კითხვაც უმიზნო ხეტიალი იყოს. ცოტა ხნის წინ მეგონა, ამის წარმატებით შესრულება შევძელი, მაგრამ ახლა ამ უცნაურ წარმატებაშიც ეჭვი მეპარება. მზე უფრო გადაიხარა, ექვსი საათი დაიწყო. რიზას აღარ ველოდები, ვტოვებ ამ ობმოკიდებულ სარდაფს და სუფთა ჰაერზე გავდივარ. შავი ჭირი უნდა ვეძებო.

„ანადოლში“ ჩავჯექი. წავედი იმ დაბიდან, სადაც სამი დღე გუბერნატორის არქივში ვიმუშავე. თითქოს ვეთხოვებოდი ქალაქს, სადაც წლები ვიცხოვრე, ქალაქს, რომელმაც სული დამიკაწრა. ცოტა ხანს ვიარე. მერე სტამბოლი-ანკარის ტრასიდან გადავუხვიე და გებზეს სადგურისაკენ ავიღე გეზი. ზეთისხილის ბაღებს, ლეღვისა და ბლის ხეებს შორის გავიარე და მარმარილოს ზღვისაკენ ვეშვები. სადგური, რომელსაც რესპუბლიკისა და ბიუროკრატიის სუნი უდის, თუზლამდე გადაჭიმული მინდვრის ამ მხარეს არის. ვფიქრობ, ამ დაბლობის რომელიღაც ადგილას ქარვასლის ნანგრევები უნდა იყოს. მანქანა დავაყენე, სადგურში კიბეებით ჩავედი.

შინ ბრუნდებიან მუშები, ჯინსიანი ახალგაზრდები, თავსაფრიანი დეიდები, სკამზე ჩამოძინებული მოხუცი კაცი და დედა, რომელიც შვილს უწყრება – ელოდებიან მატარებელს, სტამბოლიდან რომ უნდა ჩამოვიდეს და უკან დაბრუნდეს. ბაქნის ბოლომდე მივედი. ძირს ჩავედი. ლიანდაგს მივუყვები და ელექტროსადენების გუგუნს ვუსმენ. ისრებს გადავაბიჯე და მივდივარ. ლიანდაგის გასწვრივ სიარული ბავშვობაშიც მიყვარდა. ნანგრევებიც პირველად ბავშვობაში ვნახე, ალბათ, ოცდახუთი წლის წინათ. რვა-ცხრა წლისა ვიქნებოდი. რეჯეფს ვითომ სანადიროდ დავყავდი. პნევმატური თოფი მქონდა, ბიძაჩემმა გერმანიიდან ჩამომიტანა. მაგრამ იმით ყვავს თუ დაჭრიდი, ისიც, ძალიან ახლოდან უნდა გესროლა. მე კი ცუდი მსროლელი ვიყავი. ერთხელ მე და რეჯეფი აქ, ღელის პირას, მაყვალს ვკრეფდით. უცებ პატარა კედელს წავაწყდით.

კედლის გარშემო დიდი, საგანგებოდ ნათალი ქვები ეყარა.

ხუთი წელი გავიდა. უკვე შემეძლო მარტო სიარული და აი, ერთ ზაფხულს ისევ მოვედი აქ. დიდხანს ვუყურებდი კედელსა და ქვებს. არც კი მიცდია, ჩემს წარმოდგენაში გამეცოცხლებინა ის შენობა, რომლისგანაც დარჩენილა ეს კედელი და ქვები. აქვე, სადღაც რკინიგზასთან, ღელე მეგულებოდა, იმის შემდეგ – მინდორი და ბაყაყებით სავსე გუბურა. ნეტავ, კიდევ ბევრი დარჩა? მივდივარ, თან აქეთ-იქით ვიხედები.

შარშან არქივში ვიქექებოდი და ხელში ერთი წერილი ჩამივარდა. იგი უფრო გვიანდელი იყო, ვიდრე ეს სასამართლოს რეესტრები თუ მოსახლეობის აღწერები. ამ წერილიდან გავიგე, ნანგრევების ადგილზე ოდესღაც ქარვასლა ყოფილა. წერილი, როგორც ახლა მგონია, XIX საუკუნის ბოლოს, ანდა სულაც XX საუკუნის დასაწყისში უნდა დაეწერათ. იგი ამ მხარეში მომხდარ ზოგიერთ ამბავს გამაოგნებელი გულგრილობით აღწერდა, თანაც აღნიშნავდა, ყველაფერი რაღაც ეპიდემიას უნდა უკავშირდებოდესო. უფრო საოცარი კი ის იყო, რომ წერილი სხვა ქვეყნიდან გამოგზავნილს ჰგავდა – გამოგზავნის თარიღის გვერდით გამომგზავნი სახელმწიფოს ერთობ უცნაურ სახელსა და ბეჭედს მივაქციე ყურადღება. მაშინ წერილი სწრაფად გადავიკითხე და დაუფიქრებლად, ხელის ჩვეული მოძრაობით სხვა ქაღალდებში ჩავაგდე, არც ნომერი ჩამიწერია, არც – თარიღი. მაშინვე ვინანე, ძებნა დავიწყე, ყველაფერი გადავაქოთე, მთელი საათი ვეძებე, მთელი არქივი თავდაყირა დავაყენე. ვერა და ვერ ვიპოვე, სტამბოლს დაბრუნებულს ცნობისმოყვარეობა უფრო გამიმძაფრდა. ის წერილი არარეალურად მეჩვენებოდა და ათასი კითხვა მიტრიალებდა თავში. ვინ ჩადო ეს წერილი იქ, სადაც მისი ადგილი არ იყო? რა ესაქმებოდა მას დანარჩენ საბუთებთან და რეესტრებთან? წერილში ლაპარაკი იყო მიცვალებულებზე, ეპიდემიაზე, შავ ჭირზე. მართლა ამოვიკითხე სიტყვები – „შავი ჭირი“, „სახადი“ – თუ იქაურობას შევაფერე და თავად მოვიგონე ყველაფერი? ან ის რა ქვეყანა იყო? განა ასეთი რამ შეიძლება? ერთბაშად ის ნანგრევები გამახსენდა. რაც წერილში ეწერა, ყველაფერი ერთ ადგილზე ხდებოდა და იქნებ იმან გამახსენა, ან იმან, ქარვასლაზე რომ ნანგრევები იყო, ანდა – ორივემ ერთად.

როგორც იქნა, ღელეს მივადექი. ტალახისა და შმორის სუნი ასდის, მაგრამ ბაყაყები ჯერ კიდევ ბოგინობენ. ისინი არ ყიყინებენ, შხამებისა და სიბინძურისაგან გაშეშებულები სხედან და ფოთლებზე შემხმარ კუპრის ბელტებს მოგაგონებენ. ჩემი ფეხის ხმაზე ზანტად გადახტნენ წყალში. მდინარის კლაკნილის დანახვამ იქაურობა გამახსენა. აი, ლეღვის ხეები! მაშინ მეტი იყო. ერთბაშად რომელიღაც ფაბრიკის კედელმა ჩემი მოგონებები დააქუცმაცა, წაშალა და აწმყოში დამაბრუნა.

მაგრამ შარშან ასეთი წერილი ხომ წავიკითხე! ამაში დაეჭვებაც კი არ მინდა. თუ ის წერილი ერთ დროს სინამდვილეში მომხდარ ამბავზე მიანიშნებს, გამოდის, შემიძლია, რამდენიმე წელი კიდევ გავძლო – არ დავკარგო ისტორიისადმი რწმენა. დარწმუნებული ვარ, შავი ჭირის ამბავი ბევრი რამის უარყოფას შემაძლებინებს. ვცდილობ, განზე გადავდო, დავივიწყო ცნობილი ფაქტი – XIX საუკუნის ანატოლიაში აღარ იყო შავი ჭირის ეპიდემია, რასაც აქ დიდი სახელმწიფოს არსებობა ადასტურებს. იოლია უარვყო და დავანგრიო ბევრი „ისტორიული ფაქტი“. ყველა ის ამბავი, რომლებსაც უყოყმანოდ იღებენ, ისე, თითქოს ისინი წარმოსახვის ნაწილი კი არა, ერთი ჭიქა წყალი, ან ყვავილების ქოთანი ყოფილიყოს, ჰაერში გამოკიდებული დარჩება. ამრიგად, მთელი წყება ისტორიკოსებისა, რომელთაც სწამთ თავიანთი საქმისა, ბოლოს და ბოლოს, გაიგებენ: რასაც აკეთებენ, მეზღაპრეობაა და სხვა არაფერი. მაშინ ისინიც ჩემსავით გულს აიყრიან, რწმენას დაკარგავენ. მე კი მომავალი შემოქმედებითი კრიზისის შესახვედრად მზად ვიქნები. იმ დღეს ჩემი ნაწერებითა და თავდასხმებით სათითაოდ მოვინადირებ მათ. ვიდექი რკინიგზასთან და ვცდილობდი, ჩემს წარმოდგენაში ზუსტად მომეხაზა იმ დღის სურათი – საზეიმო, ლამაზი სიზმრის მსგავსი, მაგრამ განსაკუთრებული აღტაცება არ განმიცდია. უფრო საინტერესოდ მეჩვენება, ხელჩასაჭიდებელი ვიპოვო და რაიმე მოვლენას კვალდაკვალ მივყვე, ვიდრე ვამტკიცო, ჩვენი საქმე ზღაპრების შეთხზვაა-მეთქი. რამდენიმე, თუნდაც ნაკლებსარწმუნო, ასეთი ხელჩასავლები მაპოვნინა და ჩემს დარჩენ ცხოვრებას სიამოვნებით შევალევდი იმ კვლევას, რომელიც დაამტკიცებდა, რომ ბოლო ოთხი საუკუნე ოსმალეთის იმპერიის ცენტრი სტამბოლი კი არა, რომელიღაც სხვა ქალაქი იყო. მშურს იბრაჰიმ ბეისა, რომელმაც ოცი წელი

იკვლია, ვინ, სად და როდის გამოაცხადეს ფადიშაჰად, ვინ ჭრიდა საკუთარ ფულს.

რკინიგზის ბოლოს ელექტრომატარებელი გამოჩნდა, ერთბაშად გაიზარდა და გვერდით ჩამიქროლა. ღელის ნაპირს მივუყვებოდი და შავი ჭირით დახოცილებზე ვფიქრობდი. იმ წერილმა მაფიქრებინა აქ მოსვლა. მგონი, წერილში ეწერა, შავი ჭირით დასნებოვნებულები ერთხანს რომელიღაც ქარვასლაში იყვნენ გამოკეტილებიო. რაღაც უცნაური გრძნობა მარწმუნებდა – თუ იმ კედელსა და ქვების გროვას მივაგნებდი და მათ ქარვასლას მივამსგავსებდი, შავი ჭირის კვალსაც დავადგებოდი, ხოლო თუ კვალს ბოლომდე გავყვებოდი, სახელმწიფოსაც მივადგებოდი. ისტორიის მიმართ ჩემი ნდობა თითქოს იმ ქვების პოვნაზე იყო დამოკიდებული. იქნებ, ეს ყველაფერი ჩემი გონების თამაშია, მას ხომ ასე მოსწონს დაძაბულობის შექმნა, ტკივილის განცდა.

მივუყვები ფაბრიკებისა და პატარ-პატარა სახელოსნოების გალავანს, მასზე დიდი ასოებით წაუწერიათ პოლიტიკური ლოზუნგები – მატარებლის მგზავრები წაიკითხავენ! მდინარე თანდათან შორდება რკინიგზის ლიანდაგს. კარგად მახსოვს, სადღაც აქ უნდა იყოს კედლის ნანგრევი – ჯენეთჰისარის გზასთან, სანამ ბოშათა ბანაკამდე მივალთ, ამ ქოხმახებს, ნაგვის გროვებს, თუნუქის ბიდონებსა და ლეღვის ხეებს შორის უნდა იყოს ისტორია. ნაგვის გროვებზე შემომსხდარი თოლიები თვალს არ მაშორებდნენ, რომ მივუახლოვდი, უხმოდ აფრინდნენ, როგორც ქარისგან მოტაცებული ქოლგები. ზღვისკენ გაფრინდნენ. ფაბრიკის გვერდითა ეზოში ავტობუსები ჩამწკრივებულა, მოტორი ჩართული აქვთ. ავტოუსებში მუშები სხდებიან – სტამბოლს ბრუნდებიან. წინ ხიდია – რკინიგზასა და ღელეზე გადადის. ჯართის გროვები, თუნუქი, თუნუქით გადახურული ქოხმახები, ბავშვები ბურთს თამაშობენ. იქვე კვიციან ცხენს ვხედავ, ალბათ ბოშებისა იქნება. ეს ის არ არის, რასაც ვეძებ.

უკან დავბრუნდი, მაგრამ ფეხები იმავე ადგილზე დამატარებენ. უმიზნოდ მივუყვები კედელს, როგორც კატა, რომელსაც დავიწყებია, რას ეძებდა. რკინიგზასა და ღელეს შორის ბალახი სულ გადაუხმია ფაბრიკებიდან გადმოღვრილ შხამიან სითხეს, სულს ღაფავს ეკალ-ბარდები. აი, ცხვრის თავის ქალა და ჩონჩხის რომელიღაც ნაწილი. ფეხი გავკარი

ძვალსა და კონსერვის ჟანგიან ქილას. ეკლიანი მავთულხლართით შემოღობილი ქოხმახებისაკენ წავედი. არ არის, არ არის. ვცდილობ, წარმოვიდგინო: ოდესღაც აქ უცხოვრიათ ადამიანებს, რომელთა შესახებ ჩანაწერები ჩანთაში მილაგია, რომლებიც აშმორებული სარდაფის საბუთებში არიან ნახსენები, მაგრამ მაშინ ღელე ასეთი აქოთებული არ იქნებოდა!

ერთბაშად უზარმაზარი – თითქმის სახლის ხელა – ქათამი დავინახე. სულელი ქათამი მეფრინველეობის ფერმის რეკლამიდან მომჩერებოდა. მაშინვე მიხვდებოდით: უცხოური ჟურნალიდან იყო გადმოხატული: ბრეტელებიანი მოკლე შარვალი ჩაუცმევიათ – მოუნდომებიათ, რომ საყვარელი ყოფილიყო, მაგრამ სულელი და ყალბი გამოსვლიათ. ეშმაკურის ნაცვლად რეგვნული გამომეტყველება მიუციათ. გულმა მითხრა, ნუ უყურებ, მიბრუნდი და წადიო, მაგრამ ჯერ ამის დრო არ არის.

ვიფიქრე, იქნებ ქარვასლის ნანგრევებიდან წამოღებული ქვით ნაშენები ქოხი იყოს სადმე-მეთქი. ერთ ქოხთან მივედი. უკანა ეზო – ხახვი, სარეცხი და ერთი ნერგი. ქოხის თხელი კედლები ქარხნული წარმოების დამპალი, მკვდარი აგურით არის ნაგები და არა ნათალი ქვით. ვიდექი, ქოხის კედელს უაზროდ შევჩერებოდი და ვგრძნობდი, რასაც ვეძებდი, ისიც მემალებოდა და დროც. სიგარეტს მოვუკიდე. ასანთი გადავაგდე. ვიდექი და ვუყურებდი, როგორ დაეცა იგი გამხმარ ბალახზე. ხმელი ტოტები, სარეცხის გატეხილი სარჭი. გზა გავაგრძელე. ბოთლის ნამსხვრევები, დედას ადევნებული ლეკვები, დამპალი თოკის ნაგლეჯები, ლიმონათის ბოთლის საცობები, დამჭკნარი, ძალაგამოლეული ბალახი, ფოთლები. ლიანდაგის კიდეზე ფირნიშია. ეტყობა, ვიღაცას სამიზნედ გამოუყენებია. ლეღვის ხე დავინახე და შევჩერდი. ვუყურებდი და ვფიქრობდი – იქნებ რამე გამახსენოს-მეთქი, მაგრამ ამაოდ. ხე თავისთვის დგას და საქმე არაფერი აქვს. ხის ქვეშ ჩამოცვენილი ნაყოფი ყრია. დამწიფება ვერ მოუსწრია. ბუზი ეხვევა. მოშორებით ორი ძროხა ბალახზე დრუნჩს დაატარებს. უცებ ბოშების ფაშატი გაჭენდა. გაკვირვებულმა გავაყოლე მზერა. მალე გაჩერდა, კვიცმა ვერ შენიშნა და სირბილი გააგრძელა. მაგრამ მალე დედა ვეღარ დაინახა და უკან მობრუნდა. ღელის ნაპირზე რეზინის ნაკუწებს, საღებავის ბოთლებსა და ქილებს შორის რაღაც ქაღალდები ყრია.

პოლიეთილენის ცარიელი პარკი! ყველაფერი ერთმანეთს ჰგავს. დალევა მომინდა. მალე შინ დავბრუნდები. ორმა ყვავმა თავზე გადამიფრინა. ამ ფართო მინდვრის იქითა ნაპირზე, დაახლოებით ახლანდელი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის ადგილზე, მომკვდარა ფათიჰი[58], ქარხნის უკანა ეზოში ორი სკივრი დგას. ამბობენ, სკივრებს მეტალის ნაწილები ამოაცალეს და გასაყიდად წაიღესო. შინ მივალ, ევლია ჩელების წავიკითხავ. სულელმა ბაყაყმა თავის მეგობრებზე გვიან შემამჩნია. ტყაპ! ჭუჭყიან წყალში. მე და ნილგუნი ცოტას ვილაპარაკებთ. ისტორია? ისტორია ერთი... კრამიტის ნამტვრევებს მიწა წითლად შეუღებავს. ვიღაც ქალი თავისი ქოხის ეზოში სარეცხს კრეფს... ზღაპარია-მეთქი. საიდან დაასკვენიო? – მკითხავს. გავჩუმდი და ცას ავხედე. ჯერ ისევ ვგრძნობ ზურგზე იმ ქათმის სულელურ მზერას. პოლიტიკური ლოზუნგებით აჭრელებული ბლოკის, აგურის.... კედლები. ქვის კედელი არსად არის. ძველად, ჩემს ბავშვობაში... გავჩერდი. თითქოს რაღაც გამახსენდა, მტკიცე ნაბიჯით წავედი. ერთი მატარებელი კიდევ მოვიდა და წავიდა. მშენებლობის ნარჩენებს, მორებს, ფიცრებს ვათვალიერებ. არ არის! არც ხეებს უკან არის რამე, არც ეზოებში, არც ჟანგმოდებულ რკინაში, არც პლასტმასაში, ძვლებსა და ბეტონში, მავთულის გორგალში. მაგრამ მე მაინც მივდივარ. ვიცი, რასაც ვეძებ.

19.

მაგიდასთან სხედან და მბჟუტავი ლამპის შუქზე უხმოდ შეექცევიან საჭმელს. მდუმარე ვახშამი. ჯერ ნილგუნი და ფარუქ ბეი ალაპარაკდებიან, სიცილს აიტეხენ, მერე მეთინ ბეი ჭამას არ დაასრულებს, ისე წამოდგება სუფრიდან, ბოლო ლუკმა ისევ პირში უდევს. მიდის. დიდი ქალბატონი ეკითხება, სად მიდიხარო, მაგრამ ერთი სიტყვითაც არ პასუხობს. დანარჩენები შიგადაშიგ ელაპარაკებიან: როგორ ბრძანდებით, დიდედა, როგორ ბრძანდებითო? და რადგან სხვა სათქმელი არაფერი აქვთ, სთავაზობენ: დიდედა, მოდით, ხვალ მანქანაში ჩავსხდეთ, გავისეირნოთ. ნახავ, როგორი სახლები აშენდა. აპარტამენტები, ბეტონის შენობები, გზები, ხიდები. წავიდეთ, გაჩვენებთ. დიდი ქალბატონი დუმს. ზოგჯერ ცოტას ბუზღუნებს, მაგრამ მის ბუზღუნში სიტყვებს ვერ გამოარჩევ.

დიდი ქალბატონი უკმაყოფილოა საჭმლით – ღეჭვამ დაღალა. თეფშს დასჩერებია. თავს იშვიათად ასწევს და მაშინაც უკვირს: აქამდე რით ვერ გაუგიათ მის შვილიშვილებს, რომ დიდედას აღარაფერი შეუძლია, სიძულვილის გარდა. ზოგჯერ ხვდებიან, უკეთესია გაჩუმდნენ, მაგრამ მალე ავიწყდებათ და ისევ რაღაცით გააბრაზებენ ხოლმე. მერე გაახსენდებათ, რომ მისი გაბრაზება საჭირო არ არის და ჩურჩულს იწყებენ:

– ისევ ბევრს სვამ, აბი, – ეუბნება ნილგუნი.

– მანდ რაზე ჩურჩულებთ? – ეკითხება დიდი ქალბატონი.

– არაფერზე. ბადრიჯანს რატომ არ მიირთმევთ, დიდედა? რეჯეფმა ამ საღამოს შეწვა. არა, რეჯეფ?

– დიახ, პატარა ქალბატონო-მეთქი, – ვპასუხობ. დიდი ქალბატონი შუბლს იკრავს, სახეზე ზიზღი ეხატება – უნდა ყველას გააგებინოს, როგორ ეჯავრება, როცა ატყუებენ. მის სახეზე ეს ჩვეული გამომეტყველება კარგახანს რჩება, შეიძლება დაავიწყდეს, რატომ უნდა ეზიზღებოდეს რამე, მაგრამ ყოველთვის ახსოვს, რომ ზიზღის გრძნობამ არასოდეს არ უნდა მიატოვოს.

ჩუმად სხედან. მე მაგიდიდან ორი-სამი ნაბიჯის მოშორებით ვდგავარ. იგივე სურათი: უხმო ვახშამი – დანა-ჩანგლის წკარუნის გარდა არა ისმის რა. მბჟუტავი ლამპა და მის გარშემო მოფარფატე სულელი ფარვანები. ეზოც დუმს. ზოგჯერ ჭრიჭინს გაიგონებთ, ზოგჯერ – ხეების შრიალს. შორს, ბაღის კედლებს მიღმა მოჩანს ფერად-ფერადი ნათურებით გაბრდღვიალებული ხეები, მანქანები... ასეა მთელი ზაფხული, მაგრამ დაზამთრდება და ყველაფერი გათავდება. კედელს იქით ხეების მდუმარე სიბნელე შიშის ზარს მცემს. ყვირილი მინდა, მაგრამ ვერ ვყვირი. დიდ ქალბატონსაც დაველაპარაკებოდი, მაგრამ ის არ მელაპარაკება. მეც ვჩუმდები და მიკვირს, როგორ შეუძლია ადამიანს ასე უხმოდ ყოფნა? მისი ხელი მძიმედ მოძრაობს მაგიდის ზედაპირზე და მეშინია, ყვირილი მინდა: მოაშორეთ თქვენი ბებერი, შხამიანი ობობასავით ხელი, დიდო ქალბატონო! ადრე აქ დოღან ბეის სიჩუმე მეფობდა – დათრგუნვილის, თავდახრილის, ბავშვივით დატუქსულის. უფრო ადრე სელაჰათინ ბეის ბებრული ხმა ისმოდა. როცა მის ფილტვებში ჰაერი ძლივსღა აღწევდა და სუნთქვა უჭირდა, ილანძღებოდა: ეს ქვეყანა, ეს წყეული

ქვეყანაო.

– რეჯეფ!

ხილი უნდოდათ. ჭუჭყიანი თეფშები გავიტანე, წინასწარ დაჭრილი და გამზადებული საზამთრო გამოვიტანე. ხმაამოუღებლად ჭამდნენ. სამზარეულოში ჩავედი. ჭურჭლის გასარეცხად წყალი დავდგი. ზემოთ ავედი. ისევ ჩუმად ისხდნენ და ჭამდნენ. ალბათ, მიხვდნენ, სიტყვა არა საქმეს არ არგია! ანდა, ყავახანებში თავშეყრილი უსაქმურებივით სხედან, გარჯა ესიკვდილებათ, სუნთქვის დახარჯვას გაურბიან და რაც გინდა უთხარი, ხმას არ გაგცემენ. მაგრამ ხომ არის ისეთი დროც, როცა სიტყვა კაცს შვებას ჰგვრის, ახარებს? გამარჯობაო! გეტყვის ვინმე და შენს ამბავს გკითხავს. მოუყვები, მერე ის თავისას გიამბობს. შენ უსმენ და ასე ერთმანეთის თვალებში ერთმანეთის ცხოვრებას კითხულობთ. ნილგუნი დედასავით საზამთროს კურკებს ჭამს. დიდმა ქალბატონმა კისერი წაიგრძელა:

– მომხსენი!

– ცოტა ხანს კიდევ მჯდარიყავით, დიდედა, – უთხრა ფარუქ ბეიმ.

– რეჯეფ, შენ იყავი, მე წავიყვან, – მითხრა ნილგუნმა. მაგრამ, როგორც კი ხელსახოცი მოვხსენი, დიდი ქალბატონი წამოდგა და მე დამეყრდნო.

კიბის საფეხურებს შევუდექით. მეცხრეზე შევჩერდით. სული მოითქვა.

– ფარუქი ისევ სვამდა, არა?

– რას ბრძანებთ, დიდო ქალბატონო? როგორ იფიქრეთ?!

– ნუ იცავ, – თქვა და ხელჯოხი ისე აიქნია, თითქოს ბავშვის გალახვას აპირებსო. მაგრამ, ამჯერად ჩემთვის არ მოუღერებია. კიბეზე ასვლა გავაგრძელეთ.

– ცხრამეტი! მადლობა ალაჰს! – თქვა და თავის ოთახში შევიდა. დავაწვინე. ვკითხე, ხილი არ გნებავთ-მეთქი? არ უნდოდა.

კარი გაიხურეო.

გავიხურე. ქვემოთ ჩავედი. ფარუქ ბეის აქამდე დამალული

ბოთლი მაგიდაზე დაედგა. საუბრობდნენ.

– თავში უცნაური ფიქრები მიტრიალებს, – თქვა ფარუქ ბეიმ.

– აკი ყოველ საღამოს ყვები, – უთხრა ნილგუნმა.

– დიახ, მაგრამ ჯერ ყველა არ მითქვამს.

– მიდი, ითამაშე სიტყვებით!

ფარუქ ბეიმ წყრომით შეხედა დას.

– თავი კაკალს მიმიგავს, შიგ მატლები დაფუთფუთებენ.

– რაო? – გაიკვირვა ნილგუნმა.

– ჰო, – თქვა ფარუქ ბეიმ, – თითქოს ტვინში მატლები, ჭიები დამიდიან.

ჭუჭყიანი თეფშები ავალაგე. სამზარეულოში ჩავიტანე, ვრეცხავ. თუ უმ ხორცს შეჭამთ, ან ფეხშიშველები ივლით, ნაწლავებში ჭიები გაგიჩნდებიანო, – გვეუბნებოდა სელაჰათინ ბეი. სოფლიდან ახალი ჩამოსულები ვიყავით. დედა მოგვიკვდა, დოღან ბეის შევეცოდეთ და ჩამოგვიყვანა. რეჯეფ, შენ დედაჩემს სახლის საქმეებში მიეხმარები. ისმაილიც შენთან ერთად იქნება. აქ იცხოვრებთ, ქვედა სართულზე, მერე რამეს მოგიხერხებთ, იმ ორის ცოდვა თქვენ რატომ უნდა ზღათ? მე ჩუმად ვიყავი. მამაჩემსაც თვალი და ყური არ მოაშორო. თურმე, ძალიან ბევრს სვამს. კარგი, რეჯეფ? მე კვლავ ვდუმდი. ვერც კი ვუთხარი, კარგი, დოღან ბეი-მეთქი. მერე ჯარში წავიდა, ჩვენ აქ დაგვტოვა. დიდი ქალბატონი სულ ბუზღუნებდა, მე სამზარეულოს საქმეებს ვსწავლობდი. სელაჰათინ ბეი დროდადრო შემოივლიდა, მეკითხებოდა: რეჯეფ, როგორ ცხოვრობენ სოფლად, რას აკეთებენ? ჯამე იყო? დადიოდი? როგორ გგონია, რა იწვევს მიწისძვრას? სეზონების მონაცვლეობა რისგან ხდება? ჩემი ნუ გეშინია, შვილო, მე მამაშენი ვარ. იცი, რამდენი წლისა ხარ? საკუთარი ასაკიც კი არ იცი? კარგი, შენ ცამეტი წლისა ხარ, შენი ძმა ისმაილი – თორმეტისა. არ გამტყუნებ, შეგეშინდება, აბა რა იქნება. ერთხელაც ვერ ჩამოგაკითხეთ. იძულებული ვიყავი, იმ რეგვენებთან გამეგზავნეთ. რა უნდა მექნა? მეც მოვალეობები მაკისრია. უზარმაზარ თხზულებას ვწერ. შიგ ყველანაირი ცოდნა მოიყრის თავს. ენციკლოპედია გაგიგია? საიდან უნდა გაგეგო?! კარგი, კარგი, ნუ გეშინია. მიამბე, დედათქვენი როგორ

მოკვდა. რა კარგი ქალი იყო! მასში ჩვენი ხალხის ყველა ღირსება იყო თავმოყრილი. სიკვდილის წინ ყველაფერი გითხრა? არა? კარგი, შენ ჭურჭელი დარეცხე. თუ ფატმა რამეს დაგიშავებთ, მაშინვე ზემოთ, ჩემს სამუშაო ოთახში ამოდი და მითხარი. კარგი? ნუ გეშინია. არ მეშინოდა. ორმოცი წელია, ვრეცხავ ჭურჭელს და ვარ. ახლაც დავრეცხე, დავაბინავე, წინსაფარი მოვიხსენი და დავჯექი. ცოტას დავისვენებ-მეთქი. მაგრამ ყავა გამახსენდა და მათთან გავედი. ისევ ლაპარაკობდნენ.

– ვერ გამიგია, არქივში ამდენი წერილის, საბუთის წაკითხვის შემდეგ საღამოს შინ მოსული კიდევ თავში იყურები? – ეუბნებოდა ნილგუნი.

– აბა, რაში ვიყურო? – იკითხა ფარუქ ბეიმ.

– ფაქტებში. ფაქტებში ჩაიხედე, მოვლენებს, მიზეზებს ჩაუღრმავდი.

– ისინი უკვე გადატანილია ქაღალდზე.

– გადატანილია, მაგრამ სამყაროში ხომ არის კიდევ რაღაც.

– არის.

– ჰოდა, შენც მასზე წერე.

– მაგრამ როცა რამეს ვკითხულობ, ყველაფერი რეალურ სამყაროში კი არა, ჩემს თავში ხდება და იძულებული ვარ, სწორედ იმაზე ვწერო, რაც თავში მიტრიალებს.

– სისულელეა! – თქვა ნილგუნმა.

ვერაფერზე თანხმდებიან. ახლა ჩუმად სხედან და დარდიანები ბაღს გასჩერებიან. თუმცა ვერაფერს ხედავენ – ვერც ლეღვის ხეებს, ვერც ბალახებს, ვერც ბალახებში ჩამალულ ჭრიჭინებს. თითქოს მხოლოდ საკუთარ ფიქრებს უყურებენ. რას ხედავთ იქ, თქვენს ფიქრებში? ბოლოს და ბოლოს, ტკივილი, დარდი, ცნობისმოყვარეობა, მოლოდინი – ყველაფერი რჩება ჩვენს გონებაში. ის კი წისქვილის ქვებივით არის, დროდადრო მათ შორის რამე თუ არ მოაქციე, დოლაბები ერთმანეთს დაფქვავს, გაცვეთს, თქვენი გონება საკუთარ თავს ამოიჭამს. მაშინ იტყვიან, ჭკუიდან გადავიდაო (სად გავიგონე ეს ყველაფერი?). ექიმი სელაჰათინი ერთი უწყინარი კაცი იყო. როცა პოლიტიკას

აუჯანყდა და სტამბოლიდან გააძევეს, წიგნებში ჩაეფლო და ჭკუიდან გადადგაო. მატყუარები! ჭორის ბუდეები! არაფერი გიჟიც არ იყო. ჩემი თვალით ვხედავდი. ვახშმის შემდეგ დასალევად დაჯდებოდა და ზომას კარგავდა. სხვა რა ცოდვა ჰქონდა? მთელი დღე უჯდა თავის მაგიდას და წერდა. ზოგჯერ ჩემთანაც შემოდიოდა, მელაპარაკებოდა. ერთ დღეს მითხრა: ეს ქვეყანა აკრძალული ნაყოფივით არის, მოწყვეტა და შეჭმა ვერ გაგიბედავთ. გეშინიათ. ტყუილებისა გჯერათ და იმიტომ გეშინიათ. მოწყვიტე ხიდან ცოდნის ვაშლი! ნუ გეშინია, შვილო, რეჯეფ! ნახე, მე მოვწყვიტე და გავთავისუფლდი. მიდი, შვილო, შეგიძლია, მთელი სამყარო ხელში მოიქციო! მიპასუხე, მითხარი რამე! შიშისგან ენა ჩამივარდა. ჩემს თავს ვიცნობ. სატანისა მეშინია. არ ვიცი, ამ შიშს როგორ ვძლიო. ან რატომ უნდა ვძლიო?

გავალ, ცოტას გავივლი. ყავახანაში ხომ არ შემევლო?

– რა მატლები, რის ჭია-ღუა? – ჰკითხა ნილგუნმა. გაბრაზებული ჩანდა.

– ჩვეულებრივი – უმიზეზო მოვლენათა მთელი დასტა. როცა დიდხანს ვკითხულობ და ვფიქრობ, მაშინ ამიფუთფუთდებიან ხოლმე ტვინში.

– თურმე უმიზეზო ყოფილა, – დასცინა ნილგუნმა.

– მათ შორის კავშირი სარწმუნოდ ვერ დამიდგენია, – თქვა ფარუქ ბეიმ, – მინდა, მოვლენები ჩემს ჩაურევლად, თავად დაუკავშირდნენ ერთმანეთს, მაგრამ არ გამომდის. თუ რამე მიზეზობრიობა გამოჩნდა, მაშინვე ვხვდები – ეს ჩემი გონების ნაყოფია. სწორედ მაშინ მოვლენები საშიშ მატლებს ემსგავსებიან და ჩემი ტვინის ნაოჭებს შორის ისე დაძრწიან და ფუთფუთობენ, როგორც სიცარიელეში.

– რას ფიქრობ, ეგრე რატომ ხდება? – ჰკითხა ნილგუნმა.

– იცი, რას გეტყვი? – უთხრა ფარუქ ბეიმ, – მგონია, დღეს მივხვდი: თუ გვინდა, ცხოვრებაცა და ისტორიაც ისე აღვიქვათ, როგორც სინამდვილეშია, ჩვენი ტვინის სტრუქტურა უნდა შეიცვალოს.

– ეგ როგორ? – ჰკითხა ნილგუნმა.

– არ ვიცი, მაგრამ ცხადია, ჩვენი ტვინები ერთმანეთს ჰგავს.

ისინი გამუდმებით ეძებენ და ნთქავენ ამბებს. თავი უნდა დავაღწიოთ ამბებით გატაცებას, მასზე დამოკიდებულებისაგან გავთავისუფლდეთ. მაშინ სამყაროს ისეთს დავინახავთ, როგორიც არის. გაიგე?

– ვერა!

– ამის გაგებინების რაღაც გზა უნდა არსებობდეს, მაგრამ ვერ ვპოულობ. ესაა საქმე, – თქვა ფარუქ ბეიმ.

– ეძებე, იპოვი! – უთხრა ნილგუნმა.

ფარუქ ბეი ცოტა ხანს გაჩუმდა. მერე ჭიქაში ჩარჩენილი არაყი გადაკრა და თქვა: – დავბერდიო.

გაჩუმდნენ. მაგრამ იმიტომ კი არა, რომ რაღაცაზე ვერ შეთანხმდნენ, არა, პირიქით – მიხვდნენ, რომ შეთანხმდნენ, სწორედ ის იყო სრულიად გაუგებარი. ხშირად, როცა ორი კაცი ჩუმად ზის, მათი სიჩუმე ბევრად უფრო მრავლისმთქმელია, ვიდრე საუბარი. რა იქნება, ერთი ისეთი მეგობარი მომცა, რომელთანაც ჩუმად ვიჯდებოდი.

– ფარუქ ბეი, ხომ არაფერი გნებავთ? მე ყავახანაში მივდივარ.

– ბატონო? გმადლობ, რეჯეფ.

ეზოში ჩავედი. ბალახის სიგრილე ვიგრძენი და როგორც კი ჭიშკარი გავიხურე, მივხვდი: ყავახანაში წამსვლელი არ ვიყავი. პარასკევ საღამოს იქ ყოველთვის ხალხმრავლობაა. არ მინდა, მეორედ გადავიტანო ის ტკივილი. მეყოფა! მაგრამ მაინც ყავახანის გზას დავადექი. მივუახლოვდი კიდეც, მაგრამ მის გაჩახჩახებულ ფანჯრებში არ შემიხედავს, შორიახლოს გავჩერდი. აქამდე ისე მოვედი, არავის დავუნახივარ. ისმაილსაც კი, რომელიც იქ ლატარიის ბილეთებს ყიდდა. ნავმისადგომისაკენ წავედი. იქ არავინ იყო. დავჯექი. ვუყურებდი, როგორ ირეკლებოდა წყლის ზედაპირზე ხეებზე დაკიდებული ფერადი ნათურების სინათლე. ვფიქრობდი. ფიქრიც მომბეზრდა. ავდექი, აღმართი ავიარე და აფთიაქთან მივედი. შევიხედე. ქემალ ბეი იქ არის, დახლზე ჩამომჯდარა და უყურებს: ქუჩის გადაღმა, ბუფეტში, სენდვიჩს შეექცევიან, თან ერთმანეთს ყვირილით ელაპარაკებიან. ვერ დამინახა, მეც აღარ შევაწუხე. შინ ისე დავბრუნდი, არავის დავუნახივარ, არავის გამოვლაპარაკებივარ. ეზოში შევედი, ისინი დავინახე – პატარა,

მბჟუტავი ლამპის შუქზე ისხდნენ. ერთი მაგიდასთან, მეორე – ცოტა მოშორებოდა მაგიდას და ნელა ირხეოდა სკამის უკანა ფეხებზე. სკამი კი ძლივს უძლებდა მის სიმძიმეს. და-ძმას დალაპარაკებისა ეშინოდა. ვაი თუ, გაფანტულიყო მათ თავზე შეყრილი უსიხარულო ცხოვრების ღრუბელი, ვაი თუ, ფილტვებით უფრო მეტი უბედურება ჩაესუნთქათ, ან კიდევ უფრო განერისხებინათ ღია ჟალუზებიდან მწყრალად მომზირალი დედაბერი. მომეჩვენა, რომ მეც ვხედავდი ამ მზერას, თუმცა, დარწმუნებული ვიყავი, დიდი ქალბატონი ვერ მხედავდა. მისმა ვერაგმა ჩრდილმა ერთი გაიელვა ფანჯარაში, ბაღს დაეცა და მალევე გაქრა, თითქოს ცოდვას გაერიდაო.

აივნის კიბეები უხმოდ ავიარე.

– რასაც შენ „ამბავს“ ეძახი, სინამდვილეში სამყაროს შესაცნობად საჭირო სინამდვილეა.

– მე ყველა ამბავი ვიცი და მისი საპირისპირო ამბავიც ვიცი, – თქვა ფარუქ ბეიმ, ცოტა სევდიანმა.

– გამოდის, რამე გამორჩეული ამბავი არ გქონია.

– დიახ, გამორჩეული და მნიშვნელოვანი არა მაქვს, მაგრამ ეს საკმარისი მიზეზი არ არის, რომ სხვა ამბებით ვიყო აღფრთოვანებული.

– რატომ? – იკითხა ნილგუნმა.

– საჭიროა, თავიდან მოვიშოროთ ყველა ამბავი, უნდა გავთავისუფლდეთ მათგან, – თქვა ფარუქ ბეიმ. ეტყობოდა, რომ ღელავდა.

– ღამე მშვიდობისა, ვწვები.

– კარგი, რეჯეფ, დაწექი, მაგიდას ხვალ ავალაგებ, – მითხრა ნილგუნმა.

– მერე კატები მოვლენ. გამთენიისას მოდიან. უზრდელები არიან, სულ არ მეპუებიან.

სამზარეულოში ჩავედი. კარადიდან გარგარი გამოვიღე. გუშინ ცოტა ალუბალიც მოგვრჩა. ისიც გარგარს გვერდით მოვუწყე და ზემოთ ავიტანე:

– დიდო ქალბატონო, ხილი მოგართვით.

ხმა არ გამცა. მაგიდაზე დავუდგი, კარი გამოვიხურე და ქვემოთ ჩავედი. ხელ-პირი დავიბანე, გავსუფთავდი, ჩემს ოთახში შევედი. ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ სუნი მდიოდა. პიჟამა ჩავიცვი, სინათლე ჩავაქრე, მერე ნელა გავაღე ფანჯარა და დავწექი. თავი ბალიშზე მიდევს, დილას ველოდები.

გათენდება თუ არა, შინიდან გავალ, ცოტას გავივლი, მერე ბაზარში წავალ. იქნებ, ჰასანი ვნახო, მერე სხვასაც შევხვდე ვინმეს, გამოველაპარაკო. შეიძლება, კიდევაც მომისმინონ. ლამაზად ლაპარაკი რომ შემძლებოდა, უეჭველად მომისმენდნენ. ვეტყოდი: ფარუქ ბეი, ბევრს სვამთ. ასე თუ გაგრძელდა, ალაჰმა დაგიფაროთ! კუჭიდან სისხლდენით მოკვდებით. ისევე, როგორც მამათქვენი და პაპათქვენი. გამახსენდა: რასიმი მომკვდარა. ხვალ, შუადღისას, მის დასაფლავებაზე წავალ. შუადღის ხვატში კუბოს გავყვებით და იმ აღმართზე ავალთ. ისმაილს ვნახავ. გამარჯობა, აბი, ჩვენსა რატომ არ მოდიხარო, მეტყვის. სულ ერთი და იგივე სიტყვები! დედამ და იმ კაცმა, სოფელში ჩვენი მამა რომ იყო, ექიმთან წაგვიყვანეს. ჯოხის დარტყმით გამოწვეული პროგრესირებადი ჯუჯობაა, – თქვა ექიმმა და დედას ურჩია, პატარა მზეზე ამყოფეთ, მის ფეხს მზემ დახედოს, იქნებ გაუსწორდესო. უფროსი? – ჰკითხა დედამ. სმენად ვიქეცი. მას არაფერი ეშველება, ასე პატარა იქნებაო. თუმცა, ეს აბები მიეცით, იქნებ მოუხდესო. აბები ვსვი, მაგრამ არაფერი მარგო. ცოტა დიდ ქალბატონსა და მის ხელჯოხზეც ვიფიქრე. ნუ ფიქრობ, რეჯეფ! მერე ის ლამაზი ქალი გამახსენდა. ყოველ დილას, ათის ნახევარზე ჯერ ბაყალთან მოდიოდა, მერე – ყასაბთან. რამდენიმე დღეა, არ გამოჩენილა. მაღალი, წელწვრილი, შავგვრემანი! სასიამოვნო სურნელი დაჰყვებოდა. როგორ მინდოდა მასთან გამოლაპარაკება! ქალბატონო, საყიდლებზე თავად რატომ დადიხართ? მსახური არა გყავთ? თქვენი ქმარი მდიდარი არ არის? ძალიან ლამაზია. როცა უყურებს, მანქანა ხორცს როგორ ატარებს, კაცი თვალს ვერ მოსწყვეტს. ამაზე ნუღარ ფიქრობ, რეჯეფ, დაიძინე! დედაჩემიც შავგვრემანი იყო. საბრალო დედა! აი, ასე ვართ, დედა! მე ისევ ამ სახლში ვარ. უყურე, უყურე, ჯერ ისევ ამ სახლში! ბევრს ფიქრობ. გეყოფა, დაიძინე. დილაობით ვერ ვფიქრობ.

ნელა დავამთქნარე და ერთბაშად თავზარი დამეცა! ახლაღა მივხვდი, როგორი სამარისებური სიჩუმე იდგა! ჩქამი არსაიდან ისმოდა, ზამთრის ღამესავით. იმ ცივ ღამეში დედაჩემის

ნაამბობი ზღაპარი მაგონდება. ერთ დროს ერთი ფადიშაჰი ყოფილა. ვაჟიშვილი არ ჰყოლია. ერთხელაც ალაჰს შეევედრა თურმე: რა იქნება, ერთი ბიჭი მაჩუქეო. ერთი კითხვა მაწვალებდა: ჩვენნაირი ვაჟიშვილებიც კი არა ჰყავდა ფადიშაჰს? მეცოდებოდა საწყალი ფადიშაჰი, დედაჩემიც მეცოდებოდა და ისმაილიც. უფრო მეტად მიყვარდა საკუთარი თავი, ჩვენი ოთახი, ჩვენი ნივთები. დიდი ასოებით დაწერილი ისეთი წიგნი თUუ მექნებოდა, დედაჩემის ზღაპრებისნაირი ზღაპრები რომ წერებულიყო, ნეტავ წავიკითხავდი? წავიკითხავდი, წავიკითხავდი და ზღაპრებზე ფიქრით დავიძინებდი. სიზმარში ფადიშაჰსა და მის შვილებს ვნახავდი, ბედნიერები იქნებოდნენ. სიზმარში ყველანი ბედნიერები არიან. ზოგჯერ სიზმარში შეიძლება რამემ შეგაშინოს, მაგრამ ეს არაფერია. სამაგიეროდ, დილით შიშის გახსენება გიყვარს. ბაყალთან ნანახ ლამაზ, შავგვრემან ქალზე ფიქრიც გიყვარს. ახლაც სცადე, რეჯეფ, და ლამაზ შავგრემან ქალზე ფიქრით დაიძინე და სიზმარიც ლამაზი ნახე!

20.

ვახშმის შემდეგ მამაჩემი წავიდა. თავისი ბილეთებით კაზინოები უნდა ჩამოიაროს. მეც შინიდან ისე გავედი, დედისათვის არაფერი მითქვამს. ყავახანაში მისულს ყველანი იქ დამხვდნენ. ორი ახალი ბიჭიც ერიათ. მუსტაფა ელაპარაკებოდა. არავის შევუმჩნევივარ. დავჯექი. ვუსმენდი. დიახ, – თქვა მუსტაფამ, – ორ სუპერსახელმწიფოს სურს, მსოფლიო ერთმანეთში გადაინაწილოს. ებრაელი მარქსი ტყუის, როცა ამტკიცებს, მსოფლიოს მამოძრავებელი კლასთა ბრძოლააო. კლასთა ბრძოლა კი არა, ნაციონალიზმია. ყველაზე ნაციონალისტური ქვეყანა რუსეთია. იმპერიალისტიც არის. მერე თქვა, მსოფლიოს ცენტრი ახლო აღმოსავლეთი ყოფილაო. ახლოაღმოსავლეთის გასაღები კი თურქეთში დებულა. ისიც თქვა, სუპერძალებს ჩვენი დაყოფა, დანაწილება სურთ, რათა კომუნიზმის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტი მოშალონო. ამისათვის მათი აგენტები პროვოკაციებს გვიწყობენ, დისკუსიებს მართავენ, ჯერ თურქი ხარ თუ მუსლიმიო? აგენტები ყველგან ჰყავთ, სამწუხაროდ, ალბათ, ჩვენ შორისაც კი.

ერთხანს ყველა გაჩუმდა. მუსტაფამ გააგრძელა: როგორი ერთიანები და ძლიერები ვიყავით მაშინ, როცა ამბობდნენ, სადაც ველურმა თურქებმა გაიარეს, იქ ბალახი აღარ იზრდებაო, როცა შეგვეძლო ორპირი, გამყიდველი იმპერიალისტი ევროპისათვის სისხლი გვენთხევინებინა. თითქოს გავიგონე ზამთრის ცივ ღამეებში ჩვენი ცხენების თქარათქური შიშის ზარს როგორ სცემდა ქრისტიანებს.

მერე იმ ახალბედა ბრიყვებიდან ერთმა იკითხა:

– აბი, ჩვენთანაც თუ აღმოჩნდება ნავთობი, არაბებივით გავმდიდრდებით და ავღორძინდებით, არა?

გავბრაზდი. ამათთვის ყველაფერი ფულია, ყველაფერი მადანია.

მუსტაფა მომთმენია. თავიდან დაიწყო ახსნა. აღარ ვუსმენ. ახალბედა არა ვარ. ეს ყველაფერი უკვე ვიცი. გაზეთი ავიღე და კითხვა დავიწყე. სამუშაოს მაძიებლებისთვის განცხადებებსაც გადავხედე. მუსტაფამ ახლებს უთხრა, გვიან ღამით მოდითო და გაისტუმრა. ისინი დიდი მოწიწებით გამოემშვიდობნენ – დაგვინახეთ, როგორ ვისწავლეთ დისციპლინის მორჩილებაო – და წავიდნენ.

– ამ საღამოს წარწერებს ვაკეთებთ? – ვკითხე მუსტაფას.

– დიახ, წუხელაც გავაკეთეთ. შენ სად იყავი?

– შინ. ვმეცადინეობდი.

– მეცადინეობდი თუ ქალებს თირავდი? – მითხრა სერდარმა. თან ცუდად გაიკრიჭა. მის სიტყვებს არაფრად ჩავაგდებდი, მაგრამ შემეშინდა – მუსტაფას მართალი არ ეგონოს-მეთქი.

– ამ დილას პლაჟის წინ ჩავავლე, გოგოს უთვალთვალებდა, – თქვა სერდარმა, – ის გოგო მაღალი წრიდან არის. ამას შეჰყვარებია, სავარცხელიც მოუპარავს.

– მოუპარავს?

– გეყოფა, სერდარ, ქურდს ნუ მეძახი, თორემ ვიჩხუბებთ.

– კარგი. თუ არ მოგიპარავს, საიდან გაქვს, თვითონ მოგცა?

– დიახაც, თვითონ მომცა!

– რატომ მოგცემს გოგო ისე, უმიზეზოდ თავის სავარცხელს?

– შენი ჭკუა ამას რას მიხვდება, ძმაო?

– მოიპარა. ამ სულელს შეუყვარდა და მოჰპარა, – თქვა სერდარმა.

გავცეცხლდი, ჯიბიდან ორივე სავარცხელი ამოვიღე:

– ნახე! დღესაც მომცა მეორე სავარცხელი. კიდევ არა გჯერა?

– მაჩვენე.

– ნახე, – ვუთხარი და წითელი სავარცხელი გავუწოდე, – თუ არ დამიბრუნებ, ამ დილას, ალბათ, მიხვდი, რასაც გიზამ.

– ეს სავარცხელი სულ სხვანაირია, მწვანე სავარცხელს არა ჰგავს. ის გოგო ასეთს არ იხმარდა.

– ჩემი თვალით ვნახე, ხმარობდა. ერთი ასეთი ჩანთაშიც უდევს.

– გამოდის, მას არ მოუცია.

– რატომ? ორ ერთნაირ სავარცხელს ვერ იყიდიდა?

– საწყალი. სიყვარულს სულ წაურთმევია ჭკუა, არ იცის, რას ამბობს.

ავყვირდი:

– არა გჯერა? მართლა ვიცნობ იმ გოგოს.

– ვინ გოგოა? – იკითხა მუსტაფამ.

დავიბენი. თურმე მუსტაფა გვისმენდა.

– ამას ერთი მაღალი წრის გოგო შეუყვარდა, – უთხრა სერდარმა.

– მართალია? – მკითა მუსტაფამ.

– ძალიან მძიმე მდგომარეობაა, აბი, – უთხრა სერდარმა.

– ის გოგო ვინ არის? – კვლავ იკითხა მუსტაფამ.

– იმ გოგოს სულ სავარცხლებს ჰპარავს, – უთხრა სერდარმა.

– არა-მეთქი!

– რა არა? – მკითხა მუსტაფამ.

– ის სავარცხელი თვითონ მომცა.

– რატომ მოგცა?

– მეც არ ვიცი. ალბათ, მაჩუქა.

– ის გოგო ვინ არის?

– მწვანე სავარცხელი რომ მაჩუქა, მეც მომინდა მისთვის რამის ჩუქება და ეს წითელი ვუყიდე, მაგრამ, როგორც სერდარმა თქვა, ეს ცოტათი უარესი ყოფილა, მწვანისნაირი არ არის.

– მაშ, ორივე იმან მოგცა? – მკითხა სერდარმა.

– ვინ არის ის გოგო? შენ გეკითხები! – აყვირდა მუსტაფა.

– ბავშვობაში ვიცნობდი, – ვთქვი დარცხვენილმა, – ჩემზე ერთი წლით უფროსია.

– იმ სახლში ცხოვრობს, ბიძამისი რომ ემსახურება.

– მართლა? ახლავე მიპასუხე!

– დიახ, ბიძაჩემი იმათი მსახურია.

– არისტოკრატი გოგო კი დგას და სავარცხლებს გჩუქნის?

– არ შეიძლება? ვიცნობ-მეთქი, გეუბნებით.

– ბიჭო, ღმერთი არ გაგიწყრეს, არ იქურდო! – ერთბაშად აყვირდა მუსტაფა. ყველამ გაიგონა. ოფლმა დამასხა, თავი ჩავღუნე. ნეტავ, ახლა აქ არ მამყოფა! ვმჯდარიყავი შინ ჩემთვის. თავს არავინ მომაბეზრებდა. გამოვიდოდი ეზოში და ვუყურებდი უხმაუროდ მიმავალი გემების ნათურების შორეულ ციმციმს და გავიხარებდი.

– მიპასუხე, ქურდი ხარ?!

– ქურდი არა, ისა... – ერთბაშად თავში რაღაც აზრი მომივიდა. ჯერ ცოტა ვიცინე. მერე ვუთხარი:

– კარგი, სიმართლეს გეტყვით: ყველაფერი ხუმრობა იყო. დილას სერდარს ვეხუმრე. ვიფიქრე, ვნახოთ, რას იტყვის-მეთქი, მაგრამ ვერაფერი გაიგო. ეს წითელი სავარცხელი კი ბაყალთან ვიყიდე, თუ არ გჯერათ, ბაყალს ჰკითხეთ. მწვანე

სავარცხელი კი მართლა იმ გოგოსია. გზაზე დავარდნოდა, ვიპოვე და ახლა ველოდებოდი, რომ მიმეცა.

– შენ რა? მისი მსახური ხარ? რას ელოდები?!

– არა, ამხანაგი ვარ. პატარაობისას...

– რეგვენი! არისტოკრატი გოგო შეუყვარდა! – იყვირა სერდარმა.

– არა, არ მიყვარს.

– მაშ, მის კართან რას ატუზულხარ?

– თუ სხვის რამეს ავიღებ და პატრონს არ დავუბრუნებ, ნამდვილი ქურდი არ ვიქნები?

– ამ ტიპს თავისნაირი სულელები ხომ არ ვგონივართ? – თქვა მუსტაფამ.

– აი, ხომ ნახე, როგორი შეყვარებულია, – უთხრა სერდარმა.

– არა, არა ვარ! – ჩემსას ჯიუტად ვიმეორებდი.

– ხმა ჩაიწყვიტე, სულელო! – მიყვირა მუსტაფამ, – გრცხვენოდეს მაინც! მეგონა, კაცი დადგებოდა. მოდიოდა და უფრო დიდი საქმე მომეცითო, გვეუბნებოდა. მეც ვენდე. სინამდვილეში კი არისტოკრატი გოგოების მონა ყოფილა.

– არავისი მონა არა ვარ!

– რამდენი დღეა, მთვარეულივით დადიხარ! – მიყვირა მუსტაფამ, – წუხელ ჩვენ კედლებზე ვწერდით, შენ კი მის კართან იდექი?

– არა ვმდგარვარ.

– თანაც ქურდობითაც ჩირქს გვცხებ. გეყო! საკმარისია, აქედან დაიკარგე! – მიყვირა მუსტაფამ.

ცოტა ხანს გავჩუმდით. ვიფიქრე, ნეტა შინ ვიყო, რა არხეინად ვიმეცადინებდი მათემატიკას-მეთქი!

– ურცხვი! ისევ აქ ზის? აღარ მინდა ამის დანახვა! – ყვიროდა მუსტაფა.

შევხედე.

– შეეშვი, აბი, ნუ აზვიადებ!

– მომაშორე ეს კაცი! არ მინდა წინ არისტოკრატის მიჯნური!

– აპატიე, მუსტაფა, დაჯექი. მე ამას კაცად ვაქცევ.

– არა, მივდივარ.

მართლა მიდიოდა.

– არა, აბი, არსადაც არ წახვალ, დაჯდები!

მუსტაფა წამოდგა და თავისი ქამრით თამაშობდა. ვიფიქრე, ახლა ავდგები და ამას გვარიანად მოვდებ. მოვკლავ კიდეც, მაგრამ მერე მარტო დარჩენა თუ არ გინდა, უნდა ადგე და თქვა, რომ ცუდად გამიგეთ, საქმე სხვაგვარად არის და ასეთი რაღაცეები...

– არა, მუსტაფა, მე ის ვერ შემიყვარდება-მეთქი, – ვუთხარი.

– ამ საღამოს თქვენ მოდით, – უთხრა მუსტაფამ სხვებს და მე მომიბრუნდა: შენ აქ აღარასოდეს გამოჩნდები. ჩვენც არ გვიცნობ.

ცოტა დავფიქრდი. მერე აკანკალებული ხმით ვუთხარი:

– გაჩერდი და მომისმინე. ახლა გაიგებ.

– რას?

– მე იმ გოგოს ვერაფრით შევიყვარებ, კომუნისტი ყოფილა.

– რაო? – იკითხა ერთხელ კიდევ.

– გეფიცები, ჩემი თვალით ვნახე.

– რა ნახე? – იყვირა და ერთი ნაბიჯი გადმოდგა.

– გაზეთი ვნახე, „ჯუმჰურიეთს“ კითხულობს. ყოველდღე ბაყალთან „ჯუმჰურიეთს“ ყიდულობს და კითხულობს.

– ბიჭო, გონებაჩლუნგო, ნუთუ კომუნისტი შეგიყვარდა? – მიღრიალა და ჩემზე გამოიწია. ერთი წამით მეგონა, გამარტყამდა, მაგრამ თავი შეიკავა. რომ გაერტყა, მოვკლავდი.

– არა, კომუნისტი როგორ შემიყვარდებოდა. როცა ისე გავხდი, არ ვიცოდი, თუ კომუნისტი იყო.

– როცა როგორ გახდი?

– როცა მეგონა, შემიყვარდა-მეთქი. დაჯექი, მუსტაფა, ყველაფერს მოგიყვები.

– კარგი, ვჯდები, მაგრამ იცოდე, თუ მატყუებ, ცუდი დღე დაგადგება.

– ჯერ დაჯექი.

ცოტა ხანს გავჩუმდი და ერთი სიგარეტი მომეცი-მეთქი, – ვთხოვე.

– სიგარეტის მოწევაც დაიწყე? – მკითხა სერდარმა.

– გაჩუმდით და ერთი ღერი სიგარეტი მიეცით! – ბრძანა მუსტაფამ და როგორც იქნა, დაჯდა. იაშარმა სიგარეტი მომცა და ასანთიც თავად ამინთო. ამიტომ ვერ შეამჩნია, როგორ მიკანკალებდა ხელები. მერე, როცა დავინახე, სამივე დიდი ინტერესით მისმენდა, დავიწყე:

– სასაფლაოზე ვნახე, ლოცულობდა. თავი დახურული ჰქონდა და თავის დიდედასთან ერთად ალაჰისათვის გაეშალა ხელები. კაცი ვერ იფიქრებდა, რომ მაღალი წრის ქალი იყო.

– რას ამბობს? – გაბრაზდა სერდარი.

– ჩუმად! – უთხრა მუსტაფამ და მომიბრუნდა:

– სასაფლაოზე რა გინდოდა?

– იქ ყვავილებს ტოვებენ ხოლმე. მამაჩემი საღამოობით როცა გადის, თუ ღილკილოში მიხაკს გაირჭობს, თურმე, მეტი ბილეთი ეყიდება. ხანდახან მგზავნის, წადი, ყვავილი მომიტანეო. იმ დილასაც ყვავილისათვის რომ მივედი, მამამისის საფლავზე იყო. თავზე ეხურა და ლოცულობდა.

– იტყუება! – იყვირა სერდარმა, – ის გოგო ამ დილას პლაჟზე ვნახე, შიშველ-ტიტველი იყო.

– არა, საბანაო კოსტიუმი ეცვა, მაგრამ როცა სასაფლაოზე ვნახე, ჯერ არ ვიციოდი, ვინ იყო.

– მოკლედ, ეს გოგო ახლა კომუნისტია თუ მამასხარავებ?

– არ გამასხარავებ, ეგრეა, – კომუნისტია-მეთქი, გეუბნებით!

როცა დავინახე, როგორ ლოცულობდა, დავიბენი, რადგან ბავშვობაში ასეთი არ იყო, მაგ გოგოს ბავშვობაში ვიცნობდი. ცუდი ვინმე არ ყოფილა, მაგრამ არც კარგი იყო. ახლა მაინტერესებდა, როგორი დადგა. და ისა... ინტერესის გამო ავედევნე, ცოტათი გასართობადაც.

– უსაქმურო მაწანწალავ! – მიყვირა მუსტაფამ.

– თანაც შეყვარებულო! – დაამატა იაშარმა.

– სუ! – გააჩუმა მუსტაფამ და მომიბრუნდა:

– როგორ გაიგე, რომ კომუნისტი იყო?

– როცა უკან დავდევდი, არა, უკვე აღარ დავდევდი. იმ დღეს შემთხვევით ბაყალთან კოკა-კოლას ვსვამდი, შემოვიდა და „ჯუმჰურიეთი“ იყიდა.

– მარტო ამით დაასკვენი, რომ კომუნისტია?

– მარტო ამით არა. ყოველ დილას მოდიოდა და ერთ „ჯუმჰურიეთს“ ყიდულობდა. სხვა არც ერთ გაზეთს. ეჭვიც არ შემპარვია, რომ კომუნისტი იყო. თანაც აქაურ მაღალ საზოგადოებასთან ურთიერთობა გაწყვიტა.

– ყოველ დილას „ჯუმჰურიეთს“ ყიდულობდა და დაგვიმალე? ჯერაც გიყვარს და უკან დასდევ?

– არა. ამ დილას იყიდა „ჯუმჰურიეთი“.

– ნუ იტყუები, თორემ, ისეთს გლეწავ... ახლა არა თქვი, ყოველ დილას „ჯუმჰურიეთს“ ყიდულობდაო?

– ყოველ დილას ბაყალთან შედიოდა და რაღაცას ყიდულობდა. რას, არ ვიცოდი. ამ დილას დავინახე, „ჯუმჰურიეთი“ იყიდა.

– გვაჭმევს? – იკითხა სერდარმა.

– არ ვიცი. ცოტაც და, დედას ვუტირებ. იცოდა, გოგო კომუნისტი იყო და მაინც კუდში დასდევდა. ეს სავარცხლები რაღა არის? მართალი თქვი!

– გეუბნები: ერთი მაშინ დაუვარდა, უკან რომ მივყვებოდი. ძირიდან ავიღე. ანუ – არ მომიპარავს. მეორე დედაჩემის სავარცხელია.

– დედაშენის სავარცხელს თან რას დაატარებ?

ერთი ნაფაზი კიდე დავარტყი და გავჩუმდი. ვიცოდი, რაც უნდა მეთქვა, არ დამიჯერებდნენ.

– გეკითხები!

– კარგი. მაინც არ გჯერათ, მაგრამ, გეფიცებით, სიმართლეს ვამბობ. მართალი ხარ, ეს წითელი სავარცხელი დედაჩემის არ არის. წეღან იმიტომ გითხარი, დედაჩემის არის-მეთქი, რომ შემრცხვა. ეს სავარცხელი მან დღეს ბაყალთან იყიდა.

– გაზეთთან ერთად?

– სწორედ გაზეთთან ერთად. თუ გინდათ, ბაყალს ჰკითხეთ.

– მერე ეგ სავარცხელი შენ მოგცა?

– არა, – ვუთხარი და ცოტა ხანს გავჩუმდი, – მე ვიყიდე ჩემთვის.

– რატომ? – მიყვირა მუსტაფამ.

– ვერ ხვდები, რატომ?

– ახლა ერთს ვლეწავ სიფათში! – იყვირა სერდარმა.

მუსტაფა არ ყოფილიყო, ვაჩვენებდი, ვინ ვის ლეწავდა, მაგრამ მუსტაფა ყვიროდა:

– შეგიყვარდა, არა, სულელო? იცოდი, კომუნისტი იყო და მაინც შეგიყვარდა! ჯაშუში ხარ? ახლა რამის თქმას აზრი არა ჰქონდა, მაინც არ დამიჯერებდნენ. ამიტომ გავჩუმდი. მაგრამ მუსტაფა ისე ყვიროდა, ვიფიქრე, ერთხელაც ვეტყვი, არა ვარ შეყვარებული, არ მიყვარს ის კომუნისტი-მეთქი. მანამდე სიგარეტი დავაგდე და როგორც მშვიდ ადამიანებს სჩვევიათ, ფეხით გავსრისე. მერე სერდარს წითელი სავარცხელი გამოვართვი და გავღუნე, გადავგრიხე, მოვკეცე და ვუთხარი:

– ოცდახუთ ლირად ასეთი ლამაზი სავარცხელი გენახა და არ იყიდდი? არა მგონია.

– ღმერთმა დაგწყევლოს, ბრიყვო მატყუარავ! – იყვირა მუსტაფამ.

მტკიცედ გადავწყვიტე გაჩუმება. თქვენთან ლაპარაკის

სურვილი არა მაქვს, ბატონებო! ახლავე შინ დავბრუნდები, მათემატიკას ჩავუჯდები, მერე კი დროს გამოვნახავ და უსქუდარს წავალ, ვთხოვ: რამე დიდი საქმე მომეცით, თორემ ეს ჯენეთჰისარელები არაფერს აკეთებენ, მარტო ერთმანეთს ჯაშუშობას აბრალებენ. მე კი ნამდვილი საქმე მინდა-მეთქი.

ცოტა ხანში მართლა წავალ შინ. მანამდე კი ამ გაზეთს ჩავიკითხავ. ვკითხულობ. იმათ ყურადღებას არ ვაქცევ.

– ბატონებო, ამას რა ვუყოთ? – იკითხა მუსტაფამ.

– იმ ბაყალს? ისევ ყიდის „ჯუმჰურიეთს“? – ჰკითხა სერდარმა.

– არა, ბაყალს კი არა, ამ ბრიყვს, კომუნისტის შეყვარებულს.

– აპატიე, აბი, სერიოზულად ნუ მიიღებ, რა ხანია, ნანობს.

– გამოდის, შევეშვათ და კომუნისტების ლუკმა გახდეს? მაშინვე გაიქცევა და იმ გოგოს ყველაფერს ჩაუკაკლავს.

– იქნებ გვეცემა, – ჩასჩურჩულა სერდარმა.

– კომუნისტ გოგოს არაფერს ვუზამთ? – დაინტერესდა იაშარი.

– რაც უსქუდარელ გოგოს ვუქენით, ამასაც ის ვუქნათ. ბაყალსაც ჭკუა უნდა ვასწავლოთ, – თქვა სერდარმა. მერე კარგა ხანს იჩურჩულეს, ისიც გაიხსენეს, თუზლაში კომუნისტებმა ჩვენები რა დღეში ჩაყარეს; ჩემზე, როგორც დებილზე, კარგა ხანს ილაპარაკეს; ისიც თქვეს, უსქუდარის ბორნიდან როგორ ჩააგდეს ერთი გოგო, რომელიც „ჯუმჰურიეთს“ კითხულობდა. კიდევ ილაპარაკეს, მაგრამ აღარ ვუსმენდი, გაზეთს ვკითხულობდი. მართვის უფლების მქონე გამოცდილი მძღოლი არა ვარ, არც ინგლისურის მცოდნე ტელექს-ოპერატორი, ალუმინისა თუ ხის ჟალუზებისა არაფერი გამეგება, არც მეაფთიაქის თანაშემწედ ვივარგებ, არც ჯარგამოვლილი ელექტრიკოსი ვარ, ტელეფონებს ვერ მივხედავ. არც შარვლის შეკერვა შემიძლია, მაგრამ სტამბოლს უეჭველად წავალ და ერთი დღეც იქნება, დიდ საქმეს მოვიმოქმედებ. არ ვიცოდი, რა იქნებოდა ის „დიდი საქმე“. ამიტომ ისევ გაზეთის პირველ გვერდზე დახედვა მომინდა – თითქოს იმისათვის, რომ „დიდ მოვლენებში“ ჩემი სახელი მენახა და ჩემი გასაკეთებელი საქმე მეპოვა. მაგრამ გაზეთი დახეული იყო. პირველ გვერდს ვეძებდი. არ ჩანდა. თითქოს გაზეთის გვერდი კი არა, საკუთარი მომავალი დამკარგოდეს.

ხელებს ვმალავდი. არ მინდოდა, დაენახათ, როგორ მიკანკალებდა.

მუსტაფა ყვიროდა:

– შენ გეკითხები, სულელო, ის გოგო ბაყალთან რა დროს მიდის?

– პლაჟის მერე.

– ბრიყვო, მე რა ვიცი, პლაჟზე როდის მიდის?

– ცხრაზე, ათის ნახევარზე.

– ჰოდა, საკუთარ ჩასვრილს თავად გაწმენდ.

– მორჩა! გოგო გალახოს! – თქვა იაშარმა.

– არა, არ გალახავს! – თქვა მუსტაფამ, – ის გოგო გიცნობს, არა?

– მიცნობს რომელია! ერთმანეთს ვესალმებით.

– სულელი! კიდევაც ეამაყება! – ისევ გაბრაზდა მუსტაფა.

– ამიტომაც გეუბნები, აპატიე-მეთქი, – უთხრა სერდარმა.

– არა, არც ისეთი დებილია, რამე ვაპატიო! – თქვა მუსტაფამ და მომიბრუნდა:

– ყური მიგდე! ხვალ ათის ნახევარზე იქ ვიქნები. მაჩვენებ, რომელია ის ბაყალი. მინდა, ჩემი თვალით ვნახო, გოგო „ჯუმჰურიეთს“ მართლა თუ იყიდის.

– ყოველ დილით ყიდულობს.

– სუ! თუ იყიდის, განიშნებ. მიხვალ და გაზეთს ხელიდან გამოჰგლეჯ. ეტყვი, აქ კომუნისტებს არ ვაჭაჭანებთ-თქო. მერე გაზეთს დახევ და გადაყრი. გასაგებია?

არ ვუპასუხე.

– გასაგებია? შენს ყურებში შევიდა?

– შევიდა.

– ყოჩაღ! კომუნისტებს შენისთანა დებილი ტურის გახვრეტილ ტყავს დავუტოვებ. ამას იქით შენზე თვალი მეჭირება. ამაღამ ჩვენთან ერთად წამოხვალ. შინ დაბრუნება არ იყოს!

მინდოდა, მუსტაფა იქვე მომეკლა, მაგრამ თავს შევუძახე: არა ქნა, ჰასან, თორემ უბედურებას გადაეყრები-მეთქი! ხმამაღლა არაფერი მითქვამს. მერე ერთი სიგარეტი კიდე ვითხოვე. მომცეს.

21.

ჯუნეითი ფანჯარას ეცა, გამოაღო და სიბნელეს გასძახა: „ყველა მასწავლებელი გიჟია, უკლებლივ ყველა!“ გულნურმა გადაიხარხარა: „ბავშვებო, ნახეთ, როგორ კაიფშია, დაფრინავს“. ჯუნიეთი კი ისევ გაჰყვიროდა: „ცვედანები! წელსაც განზრახ ჩამჭრეს! ჩემი ცხოვრებით თამაშის უფლება ვინ მოგცა, ბიჭო?!“

ჯეილანი და ფუნდა მოცვივდნენ:

– სუ, ჯუნიეთ, რას აკეთებ? ვერა ხედავ, ღამის სამი საათია, მეზობლებს სძინავთ.

– მეზობლებიც ღმერთმა დასწყევლოს! მაგათაც მასწავლებლებთან აქვთ პირი შეკრული! თავი დამანებე, აბლა!

– გეყოფა, – უთხრა ჯეილანმა და ჰაშიშიანი სიგარეტის წართმევა დაუპირა. ჯუნიეთმა არ დაანება:

– ყველა ეწევა და რაღა ჩემთვის არ შეიძლება? მარტო მე ვარ დამნაშავე?

ფუნდამ, ყაყანი და ყურისწამღები მუსიკა რომ გადაეფარა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უყვირა:

– მაშინ გაჩუმდი, ნუ ღრიალებ!

ჯუნეითი ერთბაშად გაჩუმდა. სიბრაზემაც ხელად გაუარა, ზიზღიც მაშინვე დაავიწყდა, ნელ-ნელა აჰყვა პოპ-როკის რიტმს. მერე მოციმციმე ფერად ნათურებს შორის ჩადგნენ – თურანს დაუყენებია, აქაურობა დისკოთეკისათვის რომ დაემსგავსებინა – და ცეკვა დაიწყეს. თვალს ვადევნებდი ჯეილანს. ძალიან ლამაზი იყო, ოდნავ იღიმებოდა. სევდიანი ჩანდა. ალაჰ! ეს გოგო მიყვარს და არ ვიცი, რა ვქნა! ალაჰ! მიშველე, თორემ საცაა ნამდვილ თურქ ბიჭად ვიქცევი, უბადრუკ, ძიძიბებიან ტიპად, რომელიც, ვინმე შეუყვარდება თუ არა, მაშინვე მის ცოლად შერთვაზე ოცნებობს. ჩვენი

სკოლის ქალაჩუნებს დავემსგავსები. გოგოები ზედაც არ უყურებენ. ესენი კი აბუჩად იგდებენ. თან მთელი ღამეები სხედან და ცრემლიან სააშიკო ლექსებს ჯღაბნიან, რათა დილას იმ ნაცოდვილარით თავი მოიწონონ – აქაოდა, ჩვენა ვართ, რაცა ვართ – ნამდვილი მამაკაცებიო. კარგი რა, მეთინ, გეყოფა, ვისზე ფიქრობ?! ყველანი მეჯავრებიან, მათნაირი არასოდეს გავხდები. მე ცივსისხლიანი, მსოფლიოში ცნობილი მდიდარი მექალთანე ვიქნები. დიახ, დიახ, გაზეთებში დაიბეჭდება გრაფ დე რუშფოლტენთან გადაღებული ჩემი სურათები. გაისად კი ამერიკაში მოღვაწე თურქი ფიზიკოსის პირადი ცხოვრების ამსახველი ამბებით აჭრელდება პრესა. არაერთი ჟურნალი გამომიჭერს იტალიის ალპებში მავან ლედისთან ხელიხელჩაკიდებულს. „ჰურიეთის“ პირველ გვერდზე დაბეჭდილ უშველებელ ფოტოსაც ნახავ, ჯეილან – მექსიკელი ნავთობმაგნატის ლამაზ ასულთან ერთად საკუთარი იახტით ხმელთაშუა ზღვაზე ვმოგზაურობ. იგი ჩემი მესამე ცოლია. ნეტავ, მაშინ თუ გაიფიქრებ, მეთინი მიყვარსო? აი, მაშინ... ალაჰ! ეს რამდენი დავლიე! კვლავ ვუყურებ ჯეილანის ლამაზ, ჰაშიშის ერთი-ორი ნაფაზით გამოთაყვანებულ სახეს. ერთბაშად ჩვენს შეშლილ, გახელებულ ბრბოში ვიღაც აბღავლდა, მერე ვიღაც აყმუვლდა და არ ვიცი, რატომ, მეც ბღავილი და ყმუილი მომინდა. ჯერ უაზრო შეძახილი ამომივიდა ყელიდან, მერე უმწეო ცხოველივით დავიწყე ბღავილი. გულნურმა გამაჩუმა: შენ გაჩუმდი! გაჩუმდი, მეთინ! ამათში რა უფლებით ერევი. შენ ხომ არ ეწევი. გამეცინა. ვიფიქრე, მეხუმრება-მეთქი. მერე კი სერიოზულად ვუთხარი: მეგობარო, ერთი ბოთლი ვისკი მაქვს დალეული. ერთ ბოთლ ვისკისთან სად მოვა თქვენი სულელური სიგარეტი, ერთი ბეწო ჰაშიში რომ გაგირევიათ? თანაც ხელიდან ხელში კი არ ჩამომიტარებია, მარტომ გამოვცალე. გულნური არ მისმენდა. თავისას ლაპარაკობდა: მშიშარა, წინდახედულო ტიპო, რატომ არ ეწევი? თურანისა მაინც შეგრცხვეს. გინდა, ჯარში წასვლის წინა ღამე ჩაუშხამო? კარგი-მეთქი და სიგარეტი გამოვართვი. შემომხედე, ჯეილან, მეც შენსავით ვუშვებ ბოლს! მიყვარხარ. ერთხელ კიდევ მოვქაჩე და სიგარეტი გულნურს დავუბრუნე. ყოჩაღ! – მითხრა გულნურმა და გადაიხარხარა – მიხვდა, თვალს რომ არ გაშორებდი – იცოდე, მეთინ, შენიც „დაფრინავს“. თუ გინდა დაეწიო, ბევრი უნდა მოწიო. არაფერი ვუთხარი. იმაზე ვფიქრობდი, გულნურმა რატომ მითხრა „შენიო“. – მეთინ, შებმას თუ უპირებ, იცოდე, სასწრაფოდ

სტაცე ხელი, თორემ ფიქრეთი აგახევს. მერე ფიქრეთი გაახსენდა. იკითხა, სად არისო და ისევ ახარხარდა. მე კი ამასობაში ჭიქა გამოვცალე. კიდევ უნდა დავისხა-მეთქი, ვუთხარი და ხელიდან დავუსხლტი. ის ისევ იცინოდა. სანამ სიბნელეში ბოთლს ვეძებდი, საიდანღაც ზეინები გამოტყვრა: მოდი, ვიცეკვოთო, მითხრა და მომეხვია. რა იქნება, ვიცეკვოთ, მეთინ, ნახე, რა მშვენიერი მუსიკაა. კარგი, ვიცეკვოთ. ვცეკვავთ. დაგვინახეთ და გაიგეთ: დილიდან საღამომდე მხოლოდ ჯეილანზე როდი ვფიქრობ. ჩასუქებულ ზეინებთანაც ვცეკვავ. მაგრამ როცა ზეინებმა ნებიერი, მაძღარი კატასავით მოწკურა თვალები და რომანტიკულობის თამაში დაიწყო, მომბეზრდა. სანამ იმაზე ვფიქრობდი, როგორ დამეღწია თავი, ვიღაცამ ტრაკში გვარიანი წიხლი ამომკრა. ღმერთმა დასწყევლოს! ამ დროს შუქიც ჩააქრეს. აკოცეთ ერთმანეთს, აკოცეთ! – ატყდა ყიჟინა. სიბნელეში ხელი ვკარი, მოვიშორე ეს დიდი, ბალიშივით ცხელი არსება და გავიქეცი, ვისკისა და ჭიქების ძებნა გავაგრძელე. ამ დროს სახეში ნამდვილი ბალიში მომხვდა. ასეა? კარგი... სიბნელეში მაგარი მუშტი ჩავცხე ვიღაცას და თურგაის კვნესა გავიგონე. სამზარეულოს კარებში ვედათს შევეჩეხე. გამოთაყვანებული მიყურებს. მერე: აბი, რა შესანიშნავია, არა? – მეუბნება. რა არის-მეთქი შესანიშნავი? გაიკვირვა: არ იცი, აბი? ჩვენ ახლახანს დავინიშნეთო, მითხრა და, როგორც ეკადრება დარბაისელ ქმარს, რომელმაც იცის თავისი მოვალეობები, ნაზად დაადო მხარზე ხელი სემას. თან მკითხა: მაგარია, არა, აბი? მეც დავეთანხმე, ჰო, მაგარია. მაგრამ არ მომეშვა: ჰო, ეს მართლაც საოცარი მოვლენაა. ჩვენ დავინიშნეთ! ახლა მომილოცე და ერთმანეთს ვაკოცოთ. ამ დროს კი სემა ლამის ატირდეს. დავიბენი, გაცლა დავაპირე, მაგრამ ვედათმა არ გამიშვა და ერთმანეთი გადავკოცნეთ. შემზარა. ამ ინგლისელ ქალს ცისფერები ვეგონებით! მაგონდება სკოლის საერთო საცხოვრებელი, სადაც ყველას ერთი საფიქრალი აქვს: გეის დღეში ჩააგდოს სხვა. ღმერთმა დაგწყევლოთ! ყველანი მანიაკები ხართ, ავადმყოფები, გონებაჩლუნგები! ჯერ უწვერულებს „კაცობაზე“ ამოწმებენ. ალაჰის წყალობით ქოსა არა ვარ, წვერ-ულვაში ამომდის. მართლა ამომდის? რასაკვირველია, თითქმის უკვე მაქვს. თუ მოვინდომებ, ულვაშის დაყენებაც შემიძლია. მოკლედ, ღინღლი უკვე მაქვს, თუმცა დათვმა სულეიმანმა მეც არ დამაყენა კარგი დღე, მაგრამ ვალში არ დავრჩი. მძინარეს ზედ დავაჯექი და ყველას დასანახად სამაგიერო გადავუხადე. ასე

რომ არ მოქცეულიყავი, ეს ქალუნახავი მხეცები შენც იმას დაგმართებდნენ, რაც საწყალ ჯემს დამართეს. მაგრამ არხეინად იყავი, მეთინ! გაისად უკვე ამერიკაში იქნები. ეს ერთი წელიც გაუძელი ამ გონებაჩლუნგთა ქვეყანას! თქვენ კი – ფარუქ და ნილგუნ – იცოდეთ, თუ უფულობის გამო მომავალ წელს ამერიკას თავს ვერ შევაფარებ, ჩემგან კარგი არაფერი გელოდებათ. ამასობაში სამზარეულოსაც მივაგენი. იქ ჰულია და თურანი დამხვდნენ. ჰულია ტიროდა. თურანს კი გადაპარსული თავი ონკანისათვის შეეშვირა. ჩემს დანახვაზე წელში გასწორდა და მუშტი მითავაზა. მერე, როცა ვკითხე, ბოთლი და ჭიქები სად არის-მეთქი, იქ არისო, მიპასუხა, მაგრამ არ უთქვამს, სად „იქ“. კითხვა რომ გავუმეორე, აი, იქო. კვლავ არ მითხრა, სად. მაშინ ძებნა დავიწყე: ვაღებდი და ვხურავდი კარადებს. ამასობაში თურანმა ჰულიას ხელი მოჰხვია. ვნებიანად დააცხრნენ ერთმანეთის ტუჩებს – ჰკოცნიდნენ, ჰკბენდნენ, თითქოს ერთიმეორეს კბილებს აძრობდნენ. თან უცნაურ ხმებს გამოსცემდნენ. მე კი ვფიქრობდი: ჯეილან, ჩვენც ხომ შეგვეძლო ასე ყოფნა! მერე ჰულიამ პირი გაითავისუფლა და სულმოუთქმელად თქვა: გაივლის, საყვარელო, გაივლის, დამთავრდება. ამაზე თურანი გადაირია: შენ ჯარისა რა გაგეგება?! ჯარი მამაკაცების საქმეა. უფრო გაბრაზდა, ხელიდან დაუსხლტა ჰულიას და წამოროშა: ვისაც ჯარი არ გამოუვლია, ის რა კაცია! ერთხელ კიდევ დამარტყა ზურგში და გამომწვევად მკითხა: შენ მამაკაცი ხარ? ისე ხარ შენს თავში დარწმუნებული, რომ იცინი კიდეც? მაშ, მოდი, გავიზომოთ, ვნახოთ, რა ვაჟკაცი ხარ! და საკუთარი შარვლის ღილებს წასწვდა. ჰულია აყვირდა: რას აკეთებ, თურან? არა ქნა! კარგი, – თქვა თურანმა, – ორ დღეში მივდივარ, მაგრამ ხვალ საღამოს ისევ შევიკრიბებით. მერე, მამაშენი არაფერს იტყვის? – ჰკითხა ჰულიამ. თურანმა იყვირა: ჩავაჯვი პირში იმ ხეპრეს! თუ მამა ხარ, მამა იყავი! ჯარში წასვლას რატომ მაიძულებ? ლიცეუმი არ დავამთავრო და ჯარში წავიდე. ასე გინდა და იმიტომ? უვარგისი თავის პატრონი ხარო! შე უტვინო, რით არის ჩემი თავი უვარგისი? ბოლოს და ბოლოს, გაუგე, რა, შვილს. მაშ, რა მამა ხარ?! მე განა ადამიანი არა ვარ? შენს მანქანასაც ჯართად ვაქცევ, „მერსედესსაც“ წავიყვან და, გეფიცები, ბოძს დავაჯახებ! არა, თურან, ეს არ გააკეთოო, ამოიკვნესა ჰულიამ. ამ დროს თურანმა ერთხელ კიდევ მხეთქა და მოულოდნელად აჰყვა მუსიკის რიტმს. ყველანი დავავიწყდით და ნელ-ნელა გაუჩინარდა ჰაშიშიანი სიგარეტის

ბოლსა და იმ ფერებში, ბინდბუნდში რომ ინთებოდა და ქრებოდა. ჰულია უკან მიჰყვა. მეც, ბოლოს და ბოლოს, სასმელი დავისხი. მერე თურგაის შევეჩეხე. წამოდი, საბანაოდ მივდივართ, დედიშობილებმა უნდა ვიბანაოთო, ვინ და ვინ მიდიხართ-მეთქი, – ვკითხე აღელვებულმა. სულელო, რასაკვირველია, გოგოები არ მიგვყავს, არც ჯეილანი. გამაკვირვა ბოლო სიტყვებმა. ჯეილან, რა ხელად მიხვდნენ, რომ მიყვარხარ, რომ შენ გარდა აღარაფერზე ვფიქრობ. სადა ხარ, ჯეილან, ამ სიბნელეში, ბოლსა და მუსიკაში? ფანჯრები მაინც გამოეღოთ! გეძებ. სადა ხარ, ჯეილან? ღმერთმა დასწყევლოს! გეძებე, გეძებე, მაგრამ არ შევწუხებულვარ. მერე, როცა დაგინახე, ფიქრეთს ეცეკვებოდი, ჩემს თავს შევუძახე: დამშვიდდი, მეთინ, რა მოხდა-მეთქი და ვითომ აქ არაფერია, გულგრილი გამომეტყველებით წავედი, სადღაც დავჯექი და ვისკის ვსვამ. უცებ მუსიკა შეწყდა. მერე ვიღაცამ თურქული ხალხური მელოდია ჩართო. ყველანი წამოვცვივდით და ჰაიდა! წავედით! ცეკვა დავიწყეთ! ამ ცეკვას სოფლის ქორწილებში სწავლობენ. ხელიხელგაყრილები წრეში ჩავდექით. ჯეილან, ერთ მხარეს მე გიდგავარ, მეორე მხარეს – ფიქრეთი და თურქულ ცეკვას ვცეკვავთ, ღმერთო, ზუსტად ისე, როგორც შორეული ნათესავების ქორწილში გვინახავს. როცა წრე გაწყდა, გრძელი „მატარებელი“ გავხდით, სასტუმრო ოთახი მოვიარეთ, მერე „ორთქლმავალი“ ეზოში გავიდა, ჩვენც გავყევით. მერე სხვა კარით უკან დავბრუნდით, მხარზე ჯეილანის ლამაზ ხელს ვგრძნობ, ვფიქრობ, ნეტა, მეზობლები რას ამბობენ-მეთქი? „მატარებელი“ სამზარეულოში შევიდა. იქ მოვწყდით, ფიქრეთი არ მოწყდა და ჩვენ ორნი – მე და ჯეილანი – დავრჩით. დავინახეთ, სემას მაცივრის კარი გამოეღო, შიგ იხედებოდა და ტიროდა. ვედათი კი, როგორც ჭკვიან ქმარს ეკადრება, ისე ელაპარაკება: წავიდეთ, საყვარელო, შინ წაგიყვან, უკვე დროა. სემა კი მაცივარში იხედება და ისე ტირის, თითქოს იქ რაღაც სატირალი ყოფილიყო. გავიგონეთ, როგორ ეუბნებოდა ვედათი დარბაისელი ქმარივით: საყვარელო, წავიდეთ, უკვე გვიანია, რას იტყვის დედაშენი? სემა პასუხობდა: დედაჩემი მეზიზღება, მაგრამ შენ მასთან პირი შეკარიო. მომეცი, ერთი, ეგ დანაო, – უთხრა ვედათმა და სემამაც დანა ძირს დააგდო. ამ დროს ჯეილანს მხარზე ხელი დავადე, თითქოს ეს ჩვეულებრივი საქციელი ყოფილიყო, თითქოს ამით გიცავდი, ჯეილან, შენ კი მომეხუტე. აჰა, გვიყურეთ, ჩვენ ორნი ერთად ვართ. ოთახში

შევედით. ყველანი ყვირიან, ხტუნავენ და მე ძალიან ბედნიერი ვარ. ერთბაშად ჯეილანი მომწყდა და სადღაც გაიქცა, არ ვიცი – სად. გაყოლა დავაპირე, მაგრამ მალე დაბრუნდა. ისევ ერთად ვართ, ვცეკვავთ. ისევ გაქრა, მაგრამ ამჯერად ყველაფერი გასაგებია და მე ისევ ბედნიერი ვარ. ფეხზე ძლივს ვდგავარ. ერთბაშად წარმოვიდგინე, რომ ვეღარასოდეს გნახავ, თავს ვერ შეგაყვარებ. ძალიან შემეშინდა, სასოწარკვეთილი გეძებ, ჯეილან. სადა ხარ? მინდიხარ, ჯეილან, ძალიან მიყვარხარ. ჯეილან, ჯეილან, სადა ხარ ამ საზიზღარ ბოლსა და ნისლში, დახეულ ბალიშებში, მუშტებსა და ღრიანცელში, მუსიკაში სადა ხარ, საყვარელო? გეძებ და თავი ისეთი უმწეო და საცოდავი მგონია, როგორიც მაშინ, ბავშვობაში, როცა წარმოვიდგენდი, საღამოობით შინ დაბრუნებულ ბავშვებს როგორ ეგებებიან დედები, როგორ ჰკოცნიან, მე კი არავინ მეგებებოდა – დედა არ მყავდა. უქმე დღეებს საშინელ მარტოობაში ვატარებდი. სხვა ბავშვები შინ მიდიოდნენ, მე კი დეიდაჩემის სახლში არავინ მელოდებოდა, არავის ვუყვარდი. ახლაც ყველას ფული აქვს, მე კი – არა. ამიტომ მმართებს დიდი აღმოჩენების გაკეთება. ჩემი შემოქმედებითი ნიჭისა და გონების წყალობით ამერიკაში გავმდიდრდები. მაგრამ, ჯეილან, რა აუცილებელია მთელი ეს სიძნელეები და ამერიკა? სადაც გინდა, იქ ვიცხოვროთ. თუ გინდა, აქ დავრჩეთ. თურქეთი არც ისეთი ნაგავი ქვეყანაა. ახალი ადგილებია, კარგი მაღაზიები იხსნება. ერთ დღესაც ეს გაუგებრობა და წყეული ანარქიაც დასრულდება და ყველაფერს, რაც ევროპასა და ამერიკაში იყიდება, სტამბოლის მაღაზიებშიც ვიშოვით. დავქორწინდეთ. თავი კარგად მიმუშავებს, თანაც ჯიბეში თოთხმეტი ათასი ლირა მიდევს. არავის აქვს ამდენი ფული. თუ გინდა, სადმე ვიმუშავებ და კარიერას გავიკეთებ. თუ გინდა, იმასაც ვირწმუნებთ, რომ ფული სულაც არ არის მთავარი. არა, ჯეილან? სადა ხარ, ჯეილან? ერთად ვისწავლოთ უნივერსიტეტში, სადა ხარ? იქნებ, ფიქრეთს ჩაუჯექი მანქანაში და წახვედით? არა, ეს შეუძლებელია! მე ხომ ძალიან მიყვარხარ? ღმერთო ჩემო! დაგინახე, იქ, კუთხეში ზიხარ, განმარტოებით. ჩემო მარტოსულო, ჩემო პატარავ, ჩემო უმწეოვ, ჩემო ლამაზო, ჩემო ანგელოზო, რა მოხდა? რა დარდი გაწუხებს? იქნებ, დედ-მამა ძალადობს შენზე? გვერდით მოგიჯექი, მინდა, გკითხო, ასე უიმედო და შეწუხებული რატომ ხარ-მეთქი, მაგრამ ვერ გეუბნები და ვჩუმდები. მერე ავლაპარაკდი, სასიამოვნო რამის თქმა დავაპირე, მაგრამ,

როგორც ყოველთვის, პირიდან მხოლოდ საზიზღარი, უსულო სიტყვები ამომდიოდა. ძალიან დაიღალე? სერიოზულად მიიღე ჩემი შეკითხვა და ჰო, ცოტათი თავი მტკივაო, მიპასუხე. მე კი კვლავ ვერ ვპოულობ საჭირო სიტყვებს და ხმაგაკმენდილი ვზივარ. ამ სევდამ, ამ ყურისწამღებმა მუსიკამ მომთენთა, გამომათაყვანა. უცებ ჯეილანმა გადაიხარხარა. მხიარული, სიცოცხლით სავსე იყო ის ხარხარი. მერე გამოჩერჩეტებულ სახეზე დამაკვირდა და მეთინ, რა საყვარელი ხარ, აბა, მითხარი ოცდაშვიდჯერ ჩვიდმეტი რამდენი იქნებაო, მკითხა. არ ვიცი, რატომ ვუბრაზდები საკუთარ თავს. მხარზე ხელს ვადებ, მერე კი მისი ლამაზი თავი ჩემს მკერდზე ეშვება. დაუჯერებელი ბედნიერებაა! მისი თმისა და კანის სურნელი მაბრუებს. ერთბაშად მეუბნება: მეთინ, აქ საშინელი უჰაერობაა. ცოტა ხნით გავიდეთ. წამოვდექით და იმ გულისამრევ აურზაურს ერთად გავერიდეთ. ერთმანეთს ვეხუტებით და ამ ბინძურ სამყაროში ერთმანეთის იმედად დარჩენილი ორი უმწეო მარტოსული შემზარავ მუსიკასა და აღტკინებულ ბრბოს გავურბივართ. ყველაფერი უკან მოვიტოვეთ და უკაცრიელ ქუჩებში დავეხეტებით, ხეებს შორის მივდივართ. შორს კაზინოების ფერად-ფერადი სინათლეები მოჩანს. მიხუტებულები ვსაუბრობთ და მხოლოდ შეყვარებულები კი არა, მეგობრებიც ვართ. მე გეუბნები, რა კარგია სუფთა ჰაერი-მეთქი. შენ კი მპასუხობ, რომ დედ-მამისა სულაც არ გეშინია, რომ მამაშენი ძალიან კარგი კაცია, თუმცა – ცოტათი ტრადიციულიო. სამწუხაროდ, ვერ გავიცანი ისინი. ჩემი მშობლები კი დაიხოცნენ-მეთქი. ჯეილანი კი მეუბნება, ქვეყნიერების ნახვა მინდა, ამიტომ ჟურნალისტობას ვაპირებო. რასაც აქ ხედავ, არ გაგიკვირდეს. ყველანი მხოლოდ ვერთობით, ცუდს არაფერს ვაკეთებთ, მაგრამ ეს სულაც არ მომწონს. მინდა, ისეთი ქალი დავდგე, რა ერქვა? იტალიელი ჟურნალისტი გახსოვს? სულ ცნობილი ადამიანებისაგან იღებს ინტერვიუს, ხან კისინჯერს ელაპარაკება, ხან – ენვერ სედათს. ვიცი, ამისთვის დიდი განათლება მჭირდება, შენ თითქმის ასეთი ხარ, არა, მეთინ? მე კი დილიდან საღამომდე წიგნების კითხვა არ შემიძლია. ცხოვრებაც მინდა. წლევანდელი სასწავლო წელი კარგად დავამთავრე, მომდევნო კლასში გადავედი და ახლა დასვენება მჭირდება. მტერს, სულ წიგნის კითხვა! სკოლაში ერთი ბიჭი გვყავდა. კითხულობდა, კითხულობდა და გაგიჟდა. ფსიქიატრიულში დააწვინეს. რას იტყვი, მეთინ? არაფერს ვამბობ. მხოლოდ შენს სილამაზეზე

ვფიქრობ. შენ კი ისევ მიყვები მამაშენზე, შენს სკოლაზე, მეგობრებზე, სამომავლო გეგმებზე, თურქეთსა და ევროპაზე. როცა ქუჩის ფანრების სინათლე – ხეებს შორის გამოღწეული – სახეზე გეცემა, ძალიან ლამაზი ხარ. მაშინაც ლამაზი ხარ, როცა დაფიქრებული ეწევი და ისეთი სევდიანი ჩანხარ, თითქოს ცხოვრება პრობლემებით გქონდეს სავსე, როცა შუბლიდან თმებს გადაიყრი, ისეთი თვალისმომჭრელი ხარ, შენს შემხედვარეს მაშინვე შენგან შვილი მოუნდება. უცებ ვუთხარი: წამო, პლაჟზე გავიდეთ! ნახავ, ამ დროს რა კარგია, რა სიმშვიდეა იქ. ჰო, წავიდეთო, თქვა. პლაჟზე მივედით, ჯეილანმა ფეხსაცმელები გაიხადა, ხელში დაიჭირა. მიდის ქვიშაზე და მისი ფეხები უცნაურ სინათლეს ტოვებს. არ ვიცი, საიდან მოდის ეს სინათლე. მივუყვებით ნაპირს. ჯეილანმა ცოტა კიდევ ილაპარაკა თავის სკოლაზე, იმაზე, თუ რის გაკეთებას აპირებს მომავალში. მერე ნელ-ნელა თავისი ლამაზი ფეხებით ბნელ, იდუმალ წყალში შეტოპა. მაშინ ვიგრძენი, როგორი შორეული და მიუწვდომელი იყო ჯეილანი, რომელიც აქვე, ჩემ გვერდით იდგა. სანამ ლაპარაკობს და თან ფეხებს წყალში ატყაპუნებს, ხან უხეში და მიმზიდველი, ხან უსულგულო და სასტიკი, ხან უხამსი და დამღუპველი მეჩვენება. მხიარული თევზებივით წყალში მოტყაპუნე მისი ფეხების გარდა ვეღარაფერს ვხედავ, როცა თქვა, ახლა ევროპელებივით ცხოვრება მინდაო, უკვე აღარ ვუსმენდი, მხოლოდ ნოტიო, წებოვან სიცხეს, წყალმცენარეების, ზღვისა და მისი კანის სუნს ვგრძნობდი, თან იმაზე ვფიქრობდი, აქ სრულიად მარტონი ვართ-მეთქი. ვუყურებდი მის ჩამოსხმულ, მთრთოლარე კანჭებს, ფეხებს, სპილოსძვლისფრად რომ ბზინავდა წყალში. ერთბაშად ფეხზე გაუხდელად შევტოპე და მოვეხვიე. ჯეილან, ძალიან მიყვარხარ! მან ჯერ ღიმილით შემომხედა: რას აკეთებო, მკითხა. ძალიან მიყვარხარ-მეთქი, გავუმეორე და ლოყაზე კოცნა დავუპირე. მეთინ, ძალიან მთვრალი ხარო, მითხრა. შევატყვე, შეეშინდა. ძალისძალად გამოვიყვანე ნაპირზე. მოვეხვიე. ქვიშაზე დავცვივდით და სანამ იგი ჩემ ქვეშ თრთოდა და თავის დაღწევას ცდილობდა, ჩემმა ხელებმა მისი მკერდი იპოვა და მუჭში მოიქცია. არა, მეთინ, არა, მეთინ, არა! რას აკეთებ? გაგიჟდი? მთვრალი ხარ! მე კი ვიმეორებდი, ძალიან მიყვარხარ-მეთქი. არა, გეყოფა, მეთინ! მე კი – მისი სხეულის სურნელით გაბრუებული, ლოყებს, ყურებს, კისერს ვუკოცნიდი. ის კვლავ ხელს მკრავდა. ერთხელ კიდევ ვუთხარი, ძალიან მიყვარხარ-მეთქი და როცა

ისევ მკრა ხელი, ერთბაშად ტვინი ამერია. რა უფლებით მკრავ ხელს, თითქოს ვიღაც ნაძირალა ვიყო-მეთქი და უფრო მაგრად ჩავიკარი გულში. კაბა ავუწიე, მისი გრძელი, გარუჯული, ლამაზი კანჭები ხელებში მოვიქციე, მისი მხურვალე სხეული კი – ასე შორეული და მიუწვდომელი – აქ არის, ჩემს ფეხებს შორის. ჯერ კიდევ ვერ ვიჯერებ, თითქოს სიზმარია. შარვლის შესაკრავს ვიხსნი. ის კი მერამდენედ იმეორებს: არა, არ შეიძლება! რატომ, ჯეილან, რატომ? მე ხომ ასე მიყვარხარ? ერთბაშად მიბიძგა და ორივენი ქვიშაში ვგორაობთ. ვძიძგილაობთ, როგორც ძაღლი და კატა. რა უაზრობაა ყველაფერი! ის კი ისევ იმეორებს: არა, არ შეიძლება, მთვრალი ხარო. კარგი, კარგი, ნაძირალა ვინმე ხომ არ გგონივარ?! დიდი ამბავი! ერთს გაგჟიმავდი და მორჩა! მაგრამ მოძალადე არა ვარ! შეიძლება, მხოლოდ გაკოცო? გაიგე, როგორ მიყვარხარ. თავი რომ ვერ შევიკავე, ამ საშინელი სიცხის ბრალია. ეს არის და ეს. გიშვებ, წადი! – ვეუბნები და ველოდები, როდის გამოძვრება, როდის დააღწევს თავს ჩემს სიმძიმეს. გრილ ქვიშაში თავჩარგული ჩემი აღგზნებული ორგანო კი ამასობაში ისე დაიჩუტება, რომ სიჩქარის აღებასაც ვერ მოასწრებს. მორჩა, მორჩა, გიშვებ! შარვალს ვიკრავ და ქვიშაზე გულაღმა ვწვები. ვარსკვლავებიან ცას შევჩერებივარ. თავი დამანებე! შემეშვი! მიდი, გაიქეცი და ყველაფერი უამბე შენს მეგობრებს, უთხარი: ბავშვებო, რა ყოფილა ეს მეთინი! საოცარი ვინმეა! არანორმალური, ვიღაც ხეპრე, თავს დამესხა. გაზეთებში მოძალადეების სურათები ხომ გინახავთ? მათგან არაფრით განსხვავდება. ღმერთო, მიშველე! საცაა ავტირდები, ჯეილან. ავიბარგები და სტამბოლს დავბრუნდები, დასრულდა ჯენეთჰისარის თავგადასავალი. თურმე, თურქეთში ლამაზ გოგოსთან დასაწოლად ან მილიონერი უნდა იყო, ან მაშინვე ცოლად უნდა შეირთო. მორჩა, ყველაფერი ნათელია. კოლეჯის სტუდენტი მომავალ წელს ამერიკაში იქნება. მანამდე კი – ამ ზაფხულის ბოლომდე – მათემატიკისა და ინგლისურის გაკვეთილები უნდა ატაროს. მობრძანდით, გონებაჩლუნგებო, და სანამ მე საათში ორას ორმოცდაათ ლირად დეიდაჩემის პატარა, ცხელ და ჩახუთულ ბინაში კაპიკს კაპიკზე დავადებ, ჯეილანი ფიქრეთთან იქნება. არა, არა, ეს უსამართლობაა! გოგოების გული ფულით კი არა, ჭკუით, გონიერებითა და სილამაზით უნდა მოინადირო. კარგი რა, მეთინ! შენთვის სულერთი არ არის? უყურე ამ ვარსკვლავებს, რა აზრი დევს მათ ბრწყინვასა და ციმციმში? მათ უყურებენ და ლექსებს

კითხულობენ. ნეტავ, რატომ კითხულობენ? ვითომ ამ დროს რამეს გრძნობენ? სისულელეა. მხოლოდ ტვინი აქვთ არეული და ამას გრძნობას არქმევენ. არა, მე ვიცი, რატომ კითხულობენ ლექსებს. მთავარი იდეა ქალის შებმა და ფულის შოვნაა. დიახ, ბრიყვებო, ყველა საქმე ტვინის ამუშავებიდან მოდის. ამერიკაში ჩავალ თუ არა, მაშინვე ფიზიკაში დიდ მეცნიერულ აღმოჩენას გავაკეთებ, ძალიან უბრალოს, მაგრამ ისეთს, ჩემამდე რომ ვერავინ მიხვდა. მაშინვე გამოვაქვეყნებ მას ჟურნალში „ფიზიკის ანალები“, რომელშიც აინშტაინი აქვეყნებდა თავის ადრინდელ მეცნიერულ ნაშრომებს. სახელსა და ფულს ვიშოვი თუ არა, მაშინვე ჩამოვლენ ჩვენები და შემეხვეწებიან: შენი აღმოჩენილი რაკეტების საიდუმლო ფორმულები შენს თანამემამულეებს გაუზიარეო. რაკეტებს დავამზადებთ და ბერძნებს დავუშენთო. მე აქ წელიწადში ერთხელ ჩამოვალ და ერთ კვირას დავრჩები – მეტი არა მცალია – ბოდრუმში გავჩერდები საკუთარ ვილაში, რომელიც მილიარდერ ერთეგუნის ვილაზე დიდი და ძვირადღირებული იქნება. ღმერთო, ამ დროისათვის ფიქრეთი და ჯეილანი უკვე დაქორწინებულები იქნებიან. ეგ რამ გაფიქრებინა?! მათ შორის ხომ არაფერია! ერთბაშად შემეშინდა. ჯეილან, ჯეილან, სადა ხარ? იქნებ, მიმატოვა და გაიქცა? ახლა კი გულამომჯდარი ყვება, როგორ დავუპირე გაუპატიურება. არა, ამის უფლება არ მიმიცია, თავს ვერ მომჭრის. არც ასეთი უხამსია. ვაი თუ, მართლა წავიდა და უკვე ყველაფერი უამბო? გამოდის, თავი მომეჭრა და ეგ არის! იქნებ არც წასულა და ჩემგან ბოდიშის მოხდას ელოდება? ელოდოს! ბოდიშის მოხდასა და ხვეწნა-მუდარას არ ვაპირებ. ნეტავ, ახლა სად არის? თავი ვერ ამიწევია. მეძინება. მარტოდმარტო ვარ ამ პლაჟზე. საერთოდაც არავინ გამაჩნია. თქვენი ბრალია, დედა, მამა! ასე ადრე რამ წაგიყვანათ? განა შეიძლება პატარა შვილების დაობლება? მემკვიდრეობა მაინც დაგეტოვებინათ! მაშინ ხომ მეც ამათნაირი ვიქნებოდი. მაგრამ თქვენ ფული კი არა, ეს ზანტი მსუქანი აბი და იდეური აბლა დამიტოვეთ. კიდევ – ის გამოჩერჩეტებული დიდედა და მისი ჯუჯა, სულელური, დამპალი, დაობებული სახლი, რომლის დანგრევასაც არ მანებებენ. მაგრამ არა, მაინც დავანგრევ. ღმერთმა დასწყევლოს! ვიცი, რატომ ვერ მოახერხეთ ფულის შოვნა. მხდალები იყავით და იმიტომ. ცხოვრებას შეუშინდით, რამე უნამუსობის ჩასადენად გამბედაობა არ გეყოთ, ფული კი სხვანაირად არ იშოვება. რისკი, ნიჭი და თავგანწირვა

სჭირდება. მე ეს ყველაფერი მაქვს, მე ვიშოვი ფულს, მაგრამ თქვენც მეცოდებით და საკუთარი თავიც. ობოლი ვარ! თქვენზე, ჩემს მარტოობაზე ვფიქრობ და მეშინია არ ავტირდე. ერთბაშად ჯეილანის ხმა მომესმა:

– ტირი, მეთინ?

– თურმე არ წასულა!

– მე? არა. სატირალი რა მაქვს? – ვუპასუხე ძალიან გაკვირვებულმა.

– ადექი, დროა დავბრუნდეთ.

კარგი, კარგი, ახლავე ავდგები-მეთქი, ვუთხარი, მაგრამ არც გავნძრეულვარ. სულელივით ვწევარ და ვარსკვლავებს შევჩერებივარ. ჯეილანი ისევ მეხვეწება:

– მეთინ, მოდი, ადექი – თან ხელს მიწვდის. მაყენებს. წამოვდექი, მაგრამ ფეხზე ძლივს ვდგავარ, ვბარბაცებ და ჯეილანს შევჩერებივარ. ეს ის გოგოა, წეღან კინაღამ რომ გავაუპატიურე? ეწევა, ვითომც აქ არაფერი. რა უცნაურია! მინდოდა, რამე მეთქვა, ვკითხე:

– როგორ ხარ?

– კარგად. ბლუზზე ღილები დამაწყდა, – მიპასუხა მშვიდად. მე კი ვფიქრობ: ღმერთო, რა საყვარელია-მეთქი. არ ვიცი, რა გავაკეთო. ცოტა ხანს კიდევ ვიყავი ჩუმად. მერე ვკითხე:

– მიბრაზდები?

– არა, არა, რას ამბობ?

– მთვრალი ვიყავი. მაპატიე.

– სულაც არ გიბრაზდები. არაფერია, ხდება ხოლმე. ორივენი მთვრალები ვართ.

გამიკვირდა. ვკითხე:

– შენ რას ფიქრობ, ჯეილან?

– არაფერსაც არ ვფიქრობ. წამო, დავბრუნდეთო.

უცებ ფეხებზე დამხედა და როცა დაინახა, როგორი სველი ფეხსაცმელები მეცვა, სიცილი აუტყდა. ისევ მომინდა,

მოვხვეოდი. მე ხომ ჩემით ვერაფერს ვხვდები. ისევ ჯეილანმა მითხრა:

– თუ გინდა, თქვენსა წავიდეთ, გამოიცვალე.

უფრო მეტად გამიკვირდა. უსიტყვოდ გამოვედით პლაჟიდან. წყნარ ქუჩებს გავუყევით. გრილი, ბნელი ბაღებიდან უსურვაზისა და თივის სურნელება მოდიოდა. როცა ჩვენს ჭიშკარს მივადექით, ერთხელ კიდევ შემრცხვა ჩვენი დაფხავებული სახლის გამო. დიდედას ჯერ ისევ უნთია სინათლე. აივანზე, მაგიდას ჩემი ძმა მისჯდომია. სიბნელეში ზის. მერე მისი ჩრდილი გაინძრა და მივხვდი, არ ეძინა. ზის გვიან ღამით. არა, უკვე დილაადრიან. იცნობდეთ ერთმანეთს – ჯეილანი, ჩემი აბი ფარუქი. „კმაყოფილები დარჩნენ“. მე კი ჩემი ძმის პირიდან ამოსული ალკოჰოლის საზიზღარი სუნი ვიგრძენი. არ მინდოდა, ისინი დიდხანს დამეტოვებინა მარტო. ზემოთ ავირბინე, ფათაფუთით გამოვიცვალე წინდები და ფეხსაცმელები. როცა დავბრუნდი, ფარუქი უკვე ნაილის[59] რომელიღაც ლექსს კითხულობდა. ისე მედიდურად წარმოთქვამდა, ისე მამლაყინწასავით იხევდა ყელს, კაცი იფიქრებდა, საკუთარ ლექსს კითხულობსო. მერე კიდევ წაიკითხა და თქვა: არ ვიცი, ვისია, ევლიას „მოგზაურობის წიგნში“ შეუტანია. ჯეილანი პირდაღებული შესჩერებოდა ღვინის ოსმალურ კასრს და მზად იყო, კიდევ მოესმინა. მაგრამ აღარ დავანებე. აღარაფერი წაიკითხო-მეთქი, ვთხოვე აბის. მერე ვუთხარი, მანქანის გასაღები მომეცი, უნდა წავიდეთ-მეთქი. უეჭველად მოგართმევთ, ჩემო ბატონო, მაგრამ ერთი პირობით: პატარა ქალბატონმა ერთ კითხვაზე უნდა მიპასუხოს: მე თუ არ მესმის, თქვენ მიბრძანეთ, ჯეილან ხანუმ, ჯეილანი გქვიათ, არა? ძალიან ლამაზი სახელია! ჯეილან ხანუმ, გთხოვთ, მითხარით, რა არის სამყარო? რაზე მეტყველებს ყველაფერი, რასაც ვხედავთ? ხეები, ცა, ვარსკვლავები და მაგიდაზე დახვავებული ეს ცარიელი ბოთლები. რას მიბრძანებთ? ჯეილანმა თბილად, თანაგრძნობით შეხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს. მერე შეშფოთდა. მისი გამოხედვა თითქოს ამბობდა: შენ ხომ ჩემზე უკეთ იციო. მე კი, იმის შიშით, ჩემს მთვრალ ძმას ისევ არ დაეწყო ლექსების კითხვა, ვთქვი: დიდედას ისევ უნთია სინათლე-მეთქი. ყველამ ერთად ავიხედეთ. მერე ვთქვი: წავედით, ჯეილან! პლასტმასის „ანადოლში“ ჩავსხედით, მოტორი ჩავრთე და წავედით. მივდიოდით და ვცდილობდი

წარმომედგინა, რას ფიქრობდა ჯეილანი ამ ეზოზე, სადაც სასაფლაოს სუნი დგას, დამპალ სახლზე, გალეშილ მსუქანზე – ჩემს ძმაზე, ჩემზე... ალბათ, კარგს არაფერს. ფიქრობს: კაცი, რომელიც ასეთ სახლში ცხოვრობს, ასეთი მანქანისა და ოჯახის პატრონია, ღამღამობით პლაჟზე გოგოებს თავს დაესხმება, მაშ რას იზამსო? თავზარი დამეცა. ჯეილან, მინდა, ყველაფერი გიამბო, მაგრამ დრო აღარ არის. საცაა თურანთან ვიქნებით. არა, უნდა მომისმინო. ვიფიქრე და მანქანა მოვაბრუნე, გორაკისაკენ ავიღე გეზი. სად მივდივართო? – იკითხა ჯეილანმა. მოდი, ცოტა სუფთა ჰაერი ჩავყლაპოთ-მეთქი, – ვუპასუხე. ჯეილანმა არაფერი თქვა და წავედით. მივდიოდით და ვფიქრობდი, ახლა ყველაფერს ვუამბობ-მეთქი, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ, საიდან დამეწყო. ამიტომ გაზს ვაწვებოდი. საშინელი სისწრაფით დავეშვით გორაკიდან. მერე ახალ გორაკზე ასასვლელად შევუდექით ციცაბო აღმართს. სათქმელს თავი მაინც ვერ მოვუყარე მაშინაც კი, როცა იმ გორაკიდანაც ვეშვებოდით. სამაგიეროდ, ისე ვაჭერდი გაზს, „ანადოლს“ ძიგძიგი გაუდიოდა. ჯეილანი ისევ ჩუმად იყო. მაშინ უფრო ვუმატე გაზს და მკვეთრად მოვუხვიე. მანქანის უკანა ნაწილი აყირავდა. ჯეილანს ისევ არაფერი უთქვამს. სტამბოლი-ანკარის ტრასაზე გავედით. გამვლელ-გამომვლელ მანქანებზე მივანიშნე და ყასიდად ვუთხარი: ჯეილან, რომელიმე ხომ არ მიგვეჭეჭყა-მეთქი? როგორც იქნა, ჯეილანმა ხმა ამოიღო: მეთინ, დავბრუნდეთ, ძალიან მთვრალი ხარო. მე კი ვფიქრობდი: კარგი, რა? ჩემი თავიდან მოშორება გინდა? მომისმინე მაინც. რაღაც უნდა გითხრა. ვიცი, გამიგებ. მე ღარიბი, მაგრამ ძალიან კარგი ბიჭი ვარ. კარგად ვიცი, რასაც ფიქრობთ თქვენ ყველანი, რა წესებით ცხოვრობთ. მეც ზუსტად თქვენნაირი ვარ და მინდა ამაზე გელაპარაკო, მაგრამ როცა რამის სათქმელად ვემზადები, ყველაფერი უხამს თვალთმაქცობად მეჩვენება და მაშინ სხვა ვერაფერი მომიფიქრებია და გაზს ვაჭერ. დაიჯერე – სულაც არა ვარ ნაძირალა. ნაძირლები მხდალები არიან, მე კი არაფრის მეშინია. მიყურე, ამ დანჯღრეული მანქანით 130 კმ სიჩქარით მივდივართ. გეშინია? შეიძლება მართლაც დავიღუპოთ. უფრო მაგრად ვაწვები გაზს. ახლა გზა ქვემოთ დაეშვება და ჩვენ ავფრინდებით, დავიღუპებით. მე რომ მოვკვდები, ჩემი თანაკლასელები პანსიონის საწოლ ოთახში ხსოვნის ტურნირს მომიწყობენ პოკერში. თქვე ვირიშვილებო, მდიდარ ნაბიჭვრებს რომ მოუგებთ, იმ ფულით მარმარილოს საფლავი მაინც

გამიკეთეთ. უფრო დავაწექი გაზს. ჯეილანი ჩუმად იყო. მე კი ვიგრძენი: ჩემი სიკვდილი სადღაც იქვე იყო ჩასაფრებული. ამ დროს, ჰოი, ალაჰ! ვიღაც ფეხით მოსიარულეები დავინახე. ხელში რაღაც ქილები ეჭირათ. შუა ქუჩაში მოყიალობდნენ. მეგონა, პლაჟზე მიდიოდნენ. სწრაფად დავამუხრუჭე. მანქანა გვერდზე შებრუნდა, ნავივით გასრიალდა და პირდაპირ მათზე წავიდა. ისინი გაიფანტნენ, მანქანამ ცოტა კიდევ ისრიალა, მინდორზე გავარდა, რაღაცას დაეჯახა და გაჩერდა. ძრავა ჩაქრა. ჯეილან, შეგეშინდა? ყველაფერი კარგად არის? ჰო, არა მიჭირს რა, მაგრამ ისინი კინაღამ გავიტანეთ. გამახსენდა იმ ვიღაცეებს ხელში საღებავის ქილები ეჭირათ. მივხვდი, ანარქისტები იყვნენ, კედლებზე ლოზუნგებს რომ წერენ, ისინი. იმ სამ მაწანწალასთან ურთიერთობის სურვილი არა მქონდა. დაიწყებდნენ: ძმაო, ფრთხილად იარე; ასეთი უყურადღებო რატომ ხარ, ძმაო? დავაპირე, ახლავე დამექოქა მანქანა და იქაურობას გავცლოდი. მაგრამ არ იქოქებოდა. ერთხელ კიდევ ვცადე. მადლობა ღმერთს! დაიქოქა. დავიწყე წინ და უკან მანევრირება, რათა მანქანა ადგილიდან დამეძრა. ამ დროს ის სამი მაწანწალა მანქანას მოუახლოვდა. გინება დაგვიწყეს. ჯეილანს ვუთხარი, კარი ჩაკეტე-მეთქი. მანქანის დაძვრას ვცდილობ. ამასობაში ისინი გვაგინებენ. ერთმა იდიოტმა მანქანას მუშტი დაჰკრა და აღრიალდა. სხვებმაც მიჰბაძეს. დაგაგვიანდათ, ბრიყვებო! უკვე გზაზე გამოვედი. მადლობა ღმერთს, საფრთხე აღარ გველოდება. ცოტა გავიარეთ და დავინახეთ, როგორ წერდნენ კედლებზე: „ახალი უბანი კომუნისტების საფლავი იქნება!“ „ვუშველოთ დატყვევებულ თურქებს“. ყოჩაღ! კომუნისტები არ ყოფილან. იქაურობას რომ გავშორდით, ჯეილანს ვკითხე, შეგეშინდა-მეთქი. არაო, მიპასუხა. მინდოდა, ცოტა ამაზეც მელაპარაკა, მაგრამ ის მხოლოდ ერთი სიტყვით – ჰო, არა – მპასუხობდა. ბოლოს და ბოლოს, მანქანა თურანის სახლთან გავაჩერე. ჯეილანი სასწრაფოდ გადმოხტა და სახლში შევარდა. მე მანქანა დავათვალიერე. არაფერი მოსვლია. სჯობდა, ჩემს სქელ აბის არაყზე დახარჯული ფული გაცვეთილი საბურავების გამოცვლაზე დაეხარჯა. მაშინ გზიდან აღარ გადავიდოდით. ამჯერად, მადლობა ღმერთს, იოლად გადავრჩით. სახლში შევედი. ვხედავ, ყველანი სავარძლებზე, დივანზე, იატაკზე მიყრილან. დაბოლილები, ნახევრად გათიშულები წვანან, თითქოს რაღაცას ელოდებიან – სიკვდილს ან დაკრძალვას, ანდა სულაც – რაღაც მნიშვნელოვანის დასრულებას. მაინც

რისას? არ იციან, ამიტომ ეშინიათ. მათ ეს სახლები, კატერები, მანქანები, ქარხნები და საგნები – ყველაფერი აშინებთ, აფრთხობთ. ყველა იმედი გადაეწურათ. ამაოდ ელოდებიან რაღაცას. აი, მეჰმედი ფრთხილად, ნელა იღებს პირიდან ბლის კურკებს და მთელი სერიოზულობით აყრის თავზე თურგაის. თითქოს ეს ყველაზე მთავარი საქმეა, რისი გაკეთებაც ამ ქვეყანაზე შეიძლება, თურგაი კი – სველ იატაკზე გაშოტილი – თავში მოხვედრილ კურკებს აგინებს. იატაკზე წყლის გუბეები დგას. ფანჯარაში შემოყოფილი შლანგიდან ისევ წვეთავს წყალი. სასმელისა და ნარწყევის გუბეებიც დგას. ზეინებს სძინავს, ფაფას მოდების ჟურნალში ჩაურგავს თავი და თვალგაშტერებული უყურებს. ჰულია თურანს თავზე კოცნის. მას კი პირი დაუღია და ხვრინავს, სხვებს პირში სიგარეტი გაუჩრიათ და ჯეილანს უსმენენ. იგი გატაცებით ჰყვება ჩვენს თავგადასავალს. აღარ ვიცი, რა გავაკეთო, ან როგორ, რისთვის და რატომ გავაკეთო. თავში ყველაფერი მერევა. როგორც იქნა, მივხვდი, ვერაფერსაც ვერ გავაწყობდი. წავედი, სავარძელში ჩავეშვი. ფაფამ თავი ასწია, ჟურნალს მზერა მოსწყვიტა და თქვა: ბავშვებო, მზე ამოდის! მოდი, რამე გავაკეთოთ, სადმე წავიდეთ – სახაშეში, ან სათევზაოდ. წავიდეთ, რა! წავიდეთ!

22.

– მანქანის ნომერი დაიმახსოვრეთ? – იკითხა მუსტაფამ.

– თეთრი „ანადოლი“ იყო. თუ შემხვდა, ვიცნობ.

– დაინახე, შიგ ვინ იჯდა?

– ერთი გოგო და ერთი ტიპი.

– იცანით?

არავინ უპასუხა. მეც აღარაფერი ვთქვი, თორემ მეთინი ვიცანი. მაგრამ მეორე შენ იყავი თუ არა, ნილგუნ, ვერ გავარჩიე. სისხამზე კინაღამ გაგვიტანეთ. მერე, როცა გავიგონე, რა უღმერთოდ გაგინებდნენ ჩვენები, მომხდარზე ფიქრიც აღარ მინდოდა. მე ხომ არაფერი მეკითხება. კედლებზე დიდი ასოებით წერა მევალება. ეს არის და ეს. სერდარი, მუსტაფა და სხვა ბიჭები სადმე კუთხეში მისხდებიან, სიგარეტს ეწევიან და ხელს არ ანძრევენ. მე კი ვწერ, კედლებზე ვწერ: „აქაურობას

კომუნისტებს საფლავად ვუქცევთ!“ დიახ, მათი საფლავი აქ იქნება.

– მორჩა, ბატონებო! – თქვა მუსტაფამ ცოტა ხნის მერე, – ხვალღამ გავაგრძელებთ, – მერე წუთით გაჩუმდა და ყოჩაღ, კარგად იმუშავეო, მითხრა. არაფერი ვუპასუხე. სხვები ამთქნარებდნენ.

– მაგრამ ხვალ დილით აქ იქნები და ვნახავთ, რას უზამ იმ გოგოს.

ხმა არ ამომიღია. ყველანი წავიდ-წამოვიდნენ. მეც შინისაკენ მიმავალ გზას დავადექი. მივდიოდი და გზადაგზა ჩემს დაწერილ ლოზუნგებს ვკითხულობდი. შენზე ვფიქრობდი, ნილგუნ. მეთინის გვერდით შენ იჯექი? ამ ალიონზე საიდან ბრუნდებოდით? ალბათ, დიდედა ავად გაგიხდათ და წამალს ეძებდით. ან სულაც მზის ამოსვლის სანახავად გამოხვედით? თქვენსას კაცი რას გაიგებს? ხვალ დილით გკითხავ. მერე მუსტაფა გამახსენდა და შემეშინდა.

ამასობაში კიდეც ინათა, მაგრამ როცა ჩვენს სახლს მივუახლოვდი, დავინახე, სინათლე ისევ ენთო. ძალიან კარგი, მამა! ფანჯრები, კარები ჩაუკეტავს და სძინავს, მაგრამ საწოლში კი არა – ისევ დივანზე მიწოლილა. საწყალი კოჭლი მარტოა! ჯერ შემეცოდა, მერე გავბრაზდი. ფანჯარაზე მივუკაკუნე.

ადგა, ფანჯარა გამოაღო და აყვირდა. მეგონა, ისევ გამლახავდა, მაგრამ არა, მაშინვე ცხოვრების სიძნელეებსა და დიპლომის აუცილებლობაზე ალაპარაკდა. როცა ამაზე ლაპარაკობს, არ დამარტყამს. მოთმინებით ვუსმინე, იქნებ დამშვიდდეს და მორჩეს-მეთქი. მაგრამ ეტყობოდა, ეს მალე არ დამთავრდებოდა. მთელი ღამის ნამუშევარს, თანაც ათასი რამის გადამტანს, ჩხუბის მოსმენა აღარ შემეძლო. სამზარეულოში შევედი, კარადიდან ერთი მუჭა ბალი გამოვიღე და ჭამა დავიწყე. ერთბაშად მუშტი მომიქნია. თავის არიდება მოვასწარი. მუშტი ხელში მომხვდა. ბალი და კურკები დამაყრევინა. ვიდრე ავკრეფდი, ისევ ლაპარაკობდა, მაგრამ მალე მიხვდა, არ ვუსმენდი და ვედრებაზე გადავიდა: შვილო, რატომ არ სწავლობო, ასეო, ისეო. შემეცოდა. გული მეტკინა, მაგრამ რა მექნა? მერე მხარზე დამარტყა. გავცეცხლდი:

– თუ კიდევ დაგირტყამს, ბოლოს და ბოლოს, ამ სახლიდან

წავალ!

– წადი, დამეკარგე! ფანჯარასაც აღარ გაგიღებ.

– წავალ. ისედაც უკვე თავად ვინახავ საკუთარ თავს.

– ტყუილია! ამ დროს ქუჩაში რა გინდოდა?

ოთახიდან დედა გამოვიდა.

– გაქცევას აპირებს ვაჟბატონი! შინ აღარ დავბრუნდებიო.

ხმა აუკანკალდა. ეს ტირილის წინა კანკალი იყო. ბებერი, შიმშილითა და მარტოობით გაწამებული უპატრონო ძაღლის ყმუილი, რომლითაც ეხმიანება, ეძახის ვიღაცას, მაგრამ ვერ ხედავს, არ იცის – ვის. შევწუხდი. დედამ თვალით მანიშნა, ოთახში შედიო. შევედი. ლატარიის ბილეთების კოჭლმა გამყიდველმა ერთხანს კიდევ იყვირა. მერე მან და დედაჩემმა ცოტა ხანს ილაპარაკეს, სინათლე ჩააქრეს და გაჩუმდნენ.

მეც წავედი და საწოლზე გაუხდელად მივეგდე. მზე უკვე ჩემს ფანჯარას ადგა. ვიწექი და მივჩერებოდი ჭერს, ჭერში – ბზარს, საიდანაც წვიმის დროს წყალი მოწვეთავს. წყალს შავი ლაქა დაუტოვებია. დიდი ხნის წინათ იმ ლაქას არწივს ვამსგავსებდი. ბებერ არწივს ფრთები გაუშლია, მძინარეს უნდა დამაფრინდეს და მომიტაცოს. მაშინ ბიჭი აღარ ვიქნები, გოგოდ ვიქცევი... ფიქრში წავედი.

ხვალ, ათის ნახევარზე, პლაჟზე წავალ, მასთან მივალ და ვეტყვი: გამარჯობა, ნილგუნ, მიცანი? ნახე, კიდევ არ მპასუხობ, იბღვირები, დრო კი ძალიან ცოტა გაქვს. შენც ცუდად გამიგე და იმათაც. ახლა ყველაფერი უნდა გაგაგებინო. იმათ უნდათ, გიყვირო, გაზეთი ხელიდან გამოგგლიჯო და დაგიხიო. ნილგუნ, გააგებინე, რომ ამის გაკეთება საჭირო არ არის. მაშინ ნილგუნი მივა მუსტაფასთან, რომელიც შორიდან გვითვალთვალებს, დაელაპარაკება, გააგებინებს, როგორი ვინმეა, მუსტაფას შერცხვება და მაშინ ნილგუნი მიხვდება, რომ მიყვარს. ის კი არა და, შეიძლება თავადაც შევუყვარდე. ცხოვრებაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ისევ ჭერს შევჩერებივარ. შავი ლაქა არწივსაც ჰგავს და ძერასაც. წყალიც წვეთავს, მაგრამ ადრე ასე არ იყო, რადგან მამაჩემს ეს ოთახი ჯერ არ აეშენებინა. მაგრამ არ მეთაკილებოდა ჩვენი პატარა სახლი, არც ბილეთების გამყიდველი მამა, არც ჯუჯა ბიძა –

მოსამსახურე. არა, ვერ ვიტყვი, სულ არაფერი მეთაკილებოდა-მეთქი, თუნდაც ის, საკუთარი ჭა რომ არ გვქონდა და მე და დედა წყალს საერთო წყაროდან ვეზიდებოდით. სულ მეშინოდა, არ დაგენახეთ. მაშინ შენ და მეთინი უკვე სანადიროდ დადიოდით და ჩვენ მეგობრები ვიყავით. რა კარგი დრო იყო! როცა ოქტომბრის დასაწყისში იმ ახლადაშენებული ერთნაირი სახლების მცხოვრებლები სტამბოლს გაიკრიფებოდნენ, თქვენ აქ რჩებოდით. გახსოვს? ერთხელ შენ და მეთინი ჩვენსა მოხვედით, ფარუქის ძველი თოფი მოიტანეთ – ჰაერის თოფი იყო – ყვავებზე სანადიროდ წავიდეთო. ცხელოდა. აღმართზე ამოსულები ოფლად იღვრებოდით. დედაჩემმა „ფაშაბაჰჩეს“ უტეხი ჭიქით წყალი მოგაწოდათ. ნილგუნ, შენ სიამოვნებით დალიე ის წყალი, მეთინმა უარი თქვა, გული არ მიუვიდა, ალბათ, ჭიქაც ჭუჭყიანი ეგონა და წყალიც. მერე დედამ გვითხრა: ბავშვებო, თუ გინდათ, წადით, ყურძენი დაკრიფეთო. მეთინმა იკითხა, ვენახი ვისიაო და როცა გაიგო, ჩვენი არ იყო, არ ინდომა. დედამ უთხრა: რა უჭირს, მეზობლისაა, არაფერს იტყვიანო, მაგრამ ორივემ უარი თქვით. გითხარი, ნილგუნ, მე დაგიკრეფ-მეთქი. არა, არ შეიძლება, ჩვენი არ არისო, მითხარი. მაგრამ რაც არ უნდა იყოს, შენ ჩვენი ჭიქით წყალი მაინც დალიე, მეთინმა კი ისიც არ იკადრა.

მზემ აიწია, ხეებზე ჩიტები ჟივჟივებენ, ნეტავ, მუსტაფა რას აკეთებს? ისიც ელოდება? თუ წევს და სძინავს?

არც თუ დიდი ხნის შემდეგ, მხოლოდ თხუთმეტი წლის თავზე, ერთ დღეს, როცა ჩემს საკუთარ ფაბრიკაში ვიმუშავებ, მდივანი ქალი შემოვა და... არა, მდივანი კი არა – მუსლიმი თანაშემწე ქალი მომახსენებს: ნაციონალისტები არიან – მუსტაფა და სერდარი – თქვენი ნახვა უნდათო. ვეტყვი, არა მცალია, ჯერ ამ საქმეს მოვითავებ და მერე მივიღებ-მეთქი. ცოტას ვალოდინებ, მერე ღილაკს ხელს დავაჭერ და შემოვიდნენ-მეთქი, დავიძახებ. მუსტაფა და სერდარი შემოვლენ და დარცხვენილები მორიდებით დამიწყებენ ლაპარაკს. რასაკვირველია, მესმის, დახმარება გჭირდებათ. ამიტომ ათი მილიონის მოსაწვევებს ავიღებ. მაგრამ იმიტომ კი არა, რომ კომუნისტებისა მეშინია. თქვენ მეცოდებით, თორემ კომუნისტები რას დამაკლებენ?! ვაჭრობაშიც არასოდეს მითაღლითია. ფითრესა[60] და ზექათსაც[61] ვარიგებ, ჩემს მუშებს ფაბრიკაში მცირე წილი დავუდე. ყველას ვუყვარვარ, ღირსეული კაცი ვარ და იმიტომ.

პროფკავშირებსა და კომუნისტებს არ აჰყვებიან. იციან, ეს ფაბრიკა ყველას გვაჭმევს პურს. მეც მათგან არაფრით გამოვირჩევი. ამ საღამოს იფთარს[62] ვაწყობთ. თქვენც მობრძანდით! როცა ვეტყვი, ჩემს ბრძანებას შვიდი ათასი მუშა ემორჩილება-მეთქი. მუსტაფა და სერდარი როგორ დაიბნევიან? ბოლოს და ბოლოს, გაიგებენ, ვინა ვარ ახლა. გაიგებენ კია?

ხმაზე ვიცანი: ჰალილის ნაგვის მანქანა აღმართზე ამოდიოდა. ჩიტები მიჩუმდნენ. ერთხანს ჭერში ვიყურებოდი. არწივს ვაკვირდებოდი. საწოლში გადავბრუნდი, პირქვე დავწექი, იატაკს დავჩერებივარ. იატაკზე ჭიანჭველა გარბის. ჭიანჭველა! ჭიანჭველა! საწყალი ჭიანჭველა! თითით ოდნავ შევეხე. გაისუსა. ეჰ, საბრალოვ! შენზე ძლიერებიც არსებობენ, შენ კი არა იცი რა. დარბიხარ წინ და უკან. თუ თითი დაგიხვედრე, მიბრუნდები და ისევ გარბიხარ. ცოტა კიდევ ვეთამაშე, ბოლოს შემეცოდა, შემეზიზღა კიდეც. გუნება გამიფუჭდა. კარგ რამეზე ფიქრი მომინდა.

იმ ლამაზ დღეზე – გამარჯვების დღეზე – ვოცნებობდი:

ხან ერთ ტელეფონთან ვარ, ხან – მეორესთან, ბრძანებებს ვიძლევი. ყურმილს მაწვდიან. ალო, თუნჯერია? მანდ რა ხდება? ტელეფონში ისმის ხმა: ყველაფერი დასრულდა, ჩემო მთავარსარდალო! აქაურობა უკვე გაწმენდილია! მადლობას ვუხდი და ყარსში ვრეკავ: ალო, ყარსი! მანდ რა ხდება? თითქმის ყველაფერი დავასრულეთო, – მომახსენეს. ყოჩაღ! კარგად გიმუშავიათ-მეთქი, – ვეტყვი. ტელეფონს ვთიშავ და გავდივარ. უკან ამალა მომყვება. დიდ დარბაზში შევდივარ. ხალხი ფეხზე დგება და ტაშით მეგებება. ყველა ჩემს სიტყვას ელოდება, მიკროფონთან მივდივარ და ვაცხადებ: ნაციონალური კამპანია „ელვა“ დასრულებულია. ახლა მატყობინებენ, ქალაქებში თუნჯელსა და ყარსში წითელი წინააღმდეგობის უკანასკნელი ბუდეები გავანადგურეთო. „სამოთხესავით ქვეყანა“ უკვე ოცნება აღარ არის! ამ დროს ჩემმა ადიუტანტმა რაღაც მიჩურჩულა. მართლა? ახლავე მოვდივარ-მეთქი, ვეუბნები და გავდივარ. მარმარილოს გრძელ დერეფანში ჩქარი ნაბიჯით მივდივარ. ჩემ წინ რიგრიგობით იღება კარები, რომელთა წინ შეიარაღებული მცველები დგანან. მეორმოცე ოთახის ერთ კუთხეში შენ გხედავ, ნილგუნ! სკამზე ხარ მიბმული. ადიუტანტი მეუბნება: ჩემო მეთაურო, ახლახანს დავიჭირეთ, ეს წითელი ქალი მთელი კომუნისტების უფროსი

ყოფილაო. აუშვით, არ გვეკადრება თუნდაც ერთი ქალისათვის ხელების შეკვრა-მეთქი, ვბრძანებ. აგხსნიან. თუ შეიძლება, მარტო დაგვტოვეთ-მეთქი. ადიუტანტი და მისი კაცები მხედრულ სალამს მაძლევენ და გადიან. კარი გაიხურეს. გიყურებ და ვფიქრობ: ორმოცი წლისა ისევ ლამაზი ყოფილხარ-მეთქი. მერე, როცა სიგარეტი შემოგთავაზე, გეკითხები: ნილგუნ ხანუმ, მიცანით-მეთქი? დიახ გიცანითო, მპასუხობ დარცხვენილი. წამით სიჩუმე ჩამოვარდება. მერე გეტყვი: ჩვენ გავიმარჯვეთ და თურქეთი კომუნისტებს არ დაგითმეთ-მეთქი. გკითხავ: თუ ნანობთ თქვენს საქციელს-მეთქი? დიახ, ვნანობო, – მპასუხობ და აკანკალებულ ხელს სიგარეტის კოლოფისაკენ იწვდი. მე კი – თუ შეიძლება, ფრთხილად იყავით-მეთქი, – გეუბნები. – მე და ჩემი მეგობრები ქალებს არაფერს დავუშავებთ, მაგრამ მაინც გთხოვთ, თუ შეიძლება, გაფრთხილდით. ათასწლეულებიდან შემორჩენილი თურქული ადათ-წესების ერთგულები ვართ. ამიტომ განაჩენს მე კი არა, ისტორიისა და ჩემი ერის სასამართლო გამოგიტანთ. შენ კი მეტყვი: ჰასან, ვნანობ, ძალიან ვნანობო. მეც: სამწუხაროდ, გვიან მოსული სინანული ვეღარაფერს გიშველით. მეც არ შემიძლია, საკუთარ გრძნობებს ავყვე და გაპატიოთ. მე ხომ ერის წინაშე ვაგებ პასუხს-მეთქი, გეუბნები. ამ დროს ვხედავ, ტანთ იხდი, თან მიახლოვდები. ზუსტად ისე, როგორც იმ სექს-ფილმში, „ფენდიქში“ რომ ვნახე (ისე წავედი, არავის დავუნახივარ). იმ უნამუსო ქალებს დამსგავსებიხარ. ღმერთო, თანაც მიყვარხარო, – მეუბნები და ჩემს შეცდენას ცდილობ. მაგრამ არაფერი გამოგივა. ყინულივით ცივი ვარ, მეზიზღები. სანამ მეხვეწები, ჩემს მცველებს ვეძახი და ვუბრძანებ: „მომაშორეთ ეს ეკატერინე![63]“ არ მინდა, ბალთაჯი მეჰმეთ ფაშას შეცდომა გავიმეორო. ჩემს ხალხს იმ უღირსი ბალთაჯის საქციელი ძალიან ძვირი დაუჯდა, მაგრამ ის დრო წავიდა-მეთქი. მერე კი, როცა მცველები წაგიყვანენ, რომელიმე ოთახში ჩავიკეტები და შეიძლება ვიტირო კიდეც. იმიტომაც არ დავინდობ კომუნისტებს, შენისთანა გოგო ამ დღეში რომ ჩააგდეს. მერე ცრემლი შემაშრება. თავს შევუძახებ: იკმარე, რაც ამდენი წელი ტყუილ-უბრალოდ იტანჯე-მეთქი და გამარჯვების ზეიმს შევუერთდები. შენ აღარც კი გამახსენდები.

მომბეზრდა ეს აბდაუბდა ოცნება. ისევ იატაკს დავჩერებივარ. ჭიანჭველა წასულა. კარგად მოდღევებულა. უცებ რაღაც გამახსენდა! საწოლიდან წამოვფრინდი. მაგვიანდება.

სამზარეულოში შევვარდი, ფათაფუთით შევჭამე რაღაც. არავის დავუნახივარ. ფანჯრიდან გადავხტი და წავედი. ტოტებზე ისევ სხედან ჩიტები, თაჰსინები გზის გასწვრივ ისევ ამწკრივებენ ბლის კალათებს. კარგა ხნის მერე პლაჟზე მივედი, ვნახე – დარაჯი და ბილეთის გამყიდველი უკვე მოსულიყვნენ. ნილგუნი ჯერ არ ჩანდა. ნავმისადგომისაკენ წავედი. იახტებს შევხედე. ძალიან მეძინებოდა. ჩამოვჯექი.

ახლავე დავურეკავ. ალო! ნილგუნ ხანუმ, დღეს პლაჟზე არ წახვიდეთ, არც – ბაყალთან. საერთოდ, შინიდან ნუ გამოხვალთ, ხიფათს გადაეყრებით. ვინა ვარ? – ძველი მეგობარი. ტკაც და ტელეფონს მითიშავს. მიხვდა, ვინ ვიყავი? ხვდება, რომ მიყვარს?

არა, ვიცი, ქალებს პატივი უნდა სცე, ხელიდან გაზეთი არ უნდა გამოჰგლიჯო და არ უნდა დაუხიო. ქალი სუსტი არსებაა, უხეშად არ უნდა მოექცე. აი, დედაჩემი ხომ კარგი ადამიანია? მძულს ყველა, ვინც ქალებს აგდებულად ექცევა – დაინახავენ თუ არა, მაშინვე მათთან დაწოლა მოუნდებათ. ესენი გულის ამრევი ძიძიბებიანი მოზარდები, გაუმაძღარი მდიდრები და ბინძური ვიგინდარები არიან. მე კი ვიცი, კაცი კეთილშობილი და თავაზიანი უნდა იყოს. როგორ ბრძანდებით? კარებში ჯერ ქალი უნდა გაატარო. ქალთან ერთად როცა ხარ და სადმე შედიხარ, ნაბიჯი უნებლიეთ შეგინელდება, გაფიქრებასაც ვერ მოასწრებ და – შენი ხელი თავისით უღებს მას კარს: მიბრძანდით, ქალბატონო! ჯერ თქვენ!.. ვიცი თქვენისთანა ქალებთან და გოგოებთან ლაპარაკი; ოჰ! სიგარეტს ეწევით, თანაც ქუჩაში?! რასაკვირველია, შეგიძლიათ მოსწიოთ, თქვენც გაქვთ ამის უფლება. ჩამორჩენილი არ გეგონოთ. ჩხაკ, და – ჩემი სანთებელათი, რომელსაც ლოკომოტივის ფორმა აქვს, სიგარეტს ვუკიდებ. ნებისმიერ ქალთან თავისუფლად ვლაპარაკობ, თითქოს კაცს, ანდა ჩემს თანაკლასელს ველაპარაკებოდე. არც კი ვწითლდები. თუ ცოტას მოვინდომებ, შემიძლია ვინმე გოგოს ისე ველაპარაკო, არც გავწითლდე და არც გავფითრდე. ჰოდა, გოგოები ხვდებიან, როგორი ტიპი ვარ, რცხვენიათ, აქამდე ცუდი როგორ ვეგონე. ეს გაზეთის წართმევა და დახევა რაღა მოიგონეს? იქნებ, მუსტაფამ იხუმრა?

მომბეზრდა ზღვა და ნავმისადგომი. პლაჟზე ვბრუნდები. მუსტაფამ ნამდვილად იხუმრა. განა არ იცის, რომ გოგოებს

ცუდად არ უნდა მოექცე? ნახეთ, თუ არ მითხრას, შენი გამოცდა მინდოდა, უნდა გამეგო, თუ ისწავლე დისციპლინის უსიტყვო მორჩილება, თორემ, რა საჭიროა, ცუდად მოექცე საყვარელ გოგოსო?

პლაჟზე რომ მივედი, ნილგუნი უკვე მოსულიყო და დაწოლილიყო. ისე მეძინებოდა, იმის თავიც არ მქონდა, გამხარებოდა. შევჩერებოდი, როგორც ქანდაკებას. მერე დავჯექი. გელოდები, ნილგუნ.

ნეტავ, მუსტაფა არ მოვიდოდეს. რა იქნება, სულაც მიავიწყდეს, ანდა დაეძინოს. პლაჟზე ბრბო ირევა: სტამბოლიდან ჩამოსული მანქანები, კალათებით დატვირთული მამები, დედები, ბავშვები – საზიზღარო, რეგვენო ოჯახებო! ყველანი საკადრის სასჯელს მიიღებთ. მეზიზღებით!

ერთი ვიფიქრე: იქნებ, სულაც არაფერი გავაკეთო? მე ამის გამკეთებელი კაცი არა ვარ. მაშინ იტყვიან, კომუნისტი გოგოსათვის ხელიდან გაზეთი ვერ გამოუგლეჯიაო. ადრე ნაციონალისტი იყო, ახლა კომუნისტი გამხდარაო. დაიმახსოვრეთ: ჯენეთჰისარელი ჰასან ყარათაში ახლოს არ გაიკაროთო! ნუ გამიკარებთ, ამისი არ მეშინია. ნახავთ, მარტოც გავაკეთებ ძალიან დიდ საქმეებს.

– ეი, გაიღვიძე!

შემეშინდა. წამოვხტი. მუსტაფა თავს წამომდგომოდა.

– გოგო მოვიდაო? – მკითხა.

– ჰო, იქ არის. ლურჯი საბანაო კოსტიუმი აცვია.

– და წიგნს კითხულობს? – მკითხა და ცუდად დაგაკვირდა, ნილგუნ, – იცი, რაც უნდა გააკეთო. საბაყლო რომელია?

ვუჩვენე. მერე სიგარეტი ვთხოვე. მომცა და წავიდა. შორიახლო გაჩერდა. ელოდება.

სიგარეტს მოვუკიდე. დავჩერებივარ მის წვერს და ვფიქრობ: ნილგუნ, ვინმე სულელი არ გეგონო. იდეისათვის მებრძოლი ვარ. წუხელ თავი საფრთხეში ჩავიგდეთ და კედლებზე წარწერები ვაკეთეთ. ნახე, ხელებზე საღებავი ჯერაც არ გადამსვლია.

– ამას უყურეთ! სიგარეტს ეწევა. მაგისთვის ჯერ ძალიან

ახალგაზრდა ხარ.

ძია რეჯეფი თავისი ბადურებით!

– პირველად ვეწევი.

– გადააგდე, შვილო, ეგ სიგარეტი და შინ წადი, აქ რა გესაქმება?

შემეშვას-მეთქი და სიგარეტი გადავაგდე. ფულიც არ მითხოვია.

– ამხანაგს ველოდები, ერთად უნდა ვიმეცადინოთ.

– მამაშენი გასვენებაში მოდის? – მკითხა, ცოტა ხანს შეჩერდა და რყევა-რყევით გააგრძელა გზა.

საბრალო ჯუჯა! ცალუღელა ცხენი, რომელიც აღმართში მიათრევს ფორანს: ტიკ-ტაკ; ტიკ-ტაკ.

ცოტა ხნის შემდეგ დავინახე, ნილგუნი ზღვაში შევიდა. მალე გამოვიდა და მოდის. მუსტაფასთან მივედი და მითხრა:

– მე ბაყალთან შევალ. ვნახოთ, თუ „ჯუმჰურიეთი“ იყიდა, გამოვალ და ჩავახველებ. მერე შენ იცი, რასაც გააკეთებ. იცი, არა?

არ ვუპასუხე.

– ფრთხილად, თვალს არ მოგაშორებ! – მითხრა და წავიდა.

მეზობელ ქუჩაზე შევუხვიე, დაველოდე. დუქანში ჯერ მუსტაფა შევიდა, ცოტა ხნის შემდეგ შენც შეხვედი, ნილგუნ. ავფორიაქდი. კედების უფრო მაგრად შეკვრა დავაპირე, მაგრამ ხელები მიკანკალებდა. გელოდებოდი. თან ვფიქრობდი: ცხოვრებაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ამის გაფიქრებამ შემზარა: ვინ იცის, ერთ დღეს გავიღვიძო და ვნახო, ზღვა სისხლივით წითელია. ანდა მიწისძვრა მომხდარა და ჯენეთჰისარი შუაზე გახლეჩილა, პლაჟზე ცეცხლის ალს ამოუხეთქავს.

საბაყლოდან ჯერ მუსტაფა გამოვიდა, გვერდზე გაიხედა და ჩაახველა, ცოტა ხანში ნილგუნიც გამოჩნდა. გაზეთი უჭირავს. ავედევნე. ჩქარა კი მიდის! ძლივს ვეწევი. ფეხებზე ვაკვირდები. ბეღურასავით ხტუნვა-ხტუნვით მიდის. ცდები, თუ გგონია, შენი ფეხების სილამაზით მომხიბლავ.

ხალხმრავალ ადგილს გავცდით. უკან მოვიხედე. ქუჩაზე მუსტაფას გარდა არავინ ჩანს. წამოვეწიე. ნილგუნი ჩემი ფეხის ხმაზე შემობრუნდა.

– გამარჯობა, ნილგუნ!

– გაგიმარჯოს! – მიპასუხა და წავიდა.

– ერთი წუთით! შეიძლება, ცოტა ვილაპარაკოთ?

თითქოს არც გაეგონოს, მიდის. გამოვეკიდე.

– გაჩერდი, რატომ არ მელაპარაკები?

არ მპასუხობს.

– იქნებ, რამე დაგიშავე და ახლა გეშინია?

ისევ არ მპასუხობს. მიდის.

– ცივილიზებული ადამიანებივით ვერ ვისაუბრებთ?

ისევ არ მპასუხობს.

– ნილგუნ, იქნებ ვერ მიცანი?

ფეხს აუჩქარა. ვიფიქრე, ასე როდემდე ვდიო, ან გაქცეულს ჩემი სათქმელი როგორ დავწიო-მეთქი. გავიქეცი, წამოვეწიე და გვერდით გავყევი. ახლა ორი მეგობარივით მივდივართ. მე ვლაპარაკობ:

– რატომ გამირბიხარ, რა დაგიშავე?

კრინტს არ ძრავს.

– ერთი მითხარი, ჩემი რა სიავე ნახე?

არაფერს ამბობს.

– ვიცი, რატომ არ ლაპარაკობ, გინდა, გითხრა?

კიდევ რომ არაფერი თქვა, გავბრაზდი:

– ჩემზე ცუდს ფიქრობ, არა? ძალიან ცუდი ვინმე გგონივარ. ცდები, ჩემო გოგონა, ცდები და ახლავე გაიგებ, რატომ!

მაგრამ შემრცხვა და არაფერი მოვიმოქმედე. ერთბაშად ყვირილი მომინდა. ალბათ, იმიტომ, რომ შემეშინდა, რამე

სისულელე არ ჩამედინა. სწორედ ამ დროს, ღმერთმა დასწყევლოს! ჩემკენ მომავალი ორი გამოპრანჭული კაცი დავინახე – ამ სიცხეში პიჯაკებში გამოწყობილი და ჰალსტუხებით დამშვენებული სნობები ჩემს საქმეში არ გაერონ-მეთქი, დაველოდე, სანამ არ გამშორდნენ. ამასობაში რას ვხედავ? ნილგუნი თითქმის გარბის. მის სახლამდე ერთი მოსახვევია დარჩენილი. მეც გამოვეკიდე. მე კიდევ მუსტაფა მომდევს. კუთხეში რომ შევუხვიე, დავიბენი: გაქცეულა და წასულა. ჯუჯას წამოსწევია, ხელიხელჩაკიდებულები მიდიან. ჯუჯა ბადურას მიაქანავებს. ახლა დავეწევი და ორივეს შავ დღეს დავაყრი-მეთქი, ვთქვი, მაგრამ ფეხი ვერ მოვიცვალე. ამასობაში მუსტაფაც დამეწია.

– ლაჩარო, მე შენ გიჩვენებ! – დამემუქრა.

– სინამდვილეში მე ვუჩვენებ იმათ, ხვალვე ვუჩვენებ.

– ხვალ გააკეთებ? – მკითხა მუსტაფამ.

მაგრამ მე დღეს, ახლავე მინდოდა ცუდი რამის გაკეთება. მაგალითად: თუ ახლა მუსტაფას ვლეწავ, აქვე დარჩება. ერთ წიხლს სიფათშიც ჩავაზელ, რომ ჩემი თვალთვალი ვეღარ გაბედოს. ყველამ გაიგოს: მშიშარა არა ვარ და სულაც არ მომწონს, როცა ვინმეს ასეთი ვგონივარ. სულ სხვა ვინმე ვარ. ნახეთ ჩემი მუშტები! ახლა სხვა ვარ, მე მე აღარ ვარ! ისე გავცხარდი, თითქოს საკუთარი თავიდან გამოვხტი და ახლა ჩემს სიბრაზეს იმ სხვისი თვალით ვუყურებ და შიშის ზარი მეცემა. მუსტაფაც კი ენაჩავარდნილია – რაღაცას ხვდება. უსიტყვოდ მივდივართ. მალე ინანებ! გაიგე?

ბაყალი მარტო იყო. „ჯუმჰურიეთი“ რომ მოვითხოვეთ, ეგონა, ერთი ცალი გვინდოდა და მოგვაწოდა, მაგრამ, როცა გაიგო, ყველა გაზეთი უნდა მოეცა, მიხვდა, რაც ხდებოდა. თანაც, მუსტაფასი არ იყოს, ჩემი შეეშინდა და გაზეთები დახლზე დაგვილაგა. ახლომახლო ნაგვის ყუთი არ ჩანდა. ამიტომ გაზეთები დავხიე და იქვე მოვფანტე, მერე ვიტრინაში გამოფენილი ნახევრად შიშველი ქალების სურათები ჩამოვხიე, ყოველკვირეული ბინძური, ცოდვილი, საზიზღარი ჟურნალებიც გავანადგურე. მოკლედ, მთელი ამ ჭუჭყის მოშორება, აქაურობის გაწმენდა წილად მე მერგო. მუსტაფაც კი დაიბნა.

– კარგი, მორჩა, გეყოფა! – მითხრა და დუქნიდან გამომიყვანა.

– ამ საღამოს ყავახანაში მოხვალ, ხვალ დილას ისევ აქ გაჩნდები.

არაფერი მითქვამს. მერე, როცა უკვე მიდიოდა, ერთი ღერი სიგარეტი ვთხოვე. მომცა.

23.

საუზმის შემდეგ რეჯეფმა ჩემი ლანგარი სამზარეულოში ჩაიტანა და ბაზარში წავიდა. იქიდან მარტო არ დაბრუნებულა. ბუმბულივით მსუბუქ ნაბიჯზე ვიცანი, ნილგუნი იყო. კიბეზე ამოვიდა, ოთახის კარი შემომიღო, დამხედა. თმა სველი ჰქონდა. ზღვაში ებანავა. წავიდა და მის სიკვდილამდე ჩემთან აღარავის შემოუხედავს. ლოგინში ვიწექი და სამყაროს ხმას ვუსმენდი. ჩემამდე ჯერ ნილგუნისა და ფარუქის საუბარი აღწევდა, მერე – შაბათობით პლაჟზე ატეხილი ღრიანცელი. პლაჟის ხმაური თანდათან გაუსაძლისი გახდა. ძილი არ მეკარებოდა. სელაჰათინ, ესეც შენი ჯოჯოხეთი! სამოთხეს რომ ეძახდი, ის ჯოჯოხეთი დედამიწაზე ჩამოსულა, მოუსმინე: ყველა თანაბარია. ვინც ამდენს გადაიხდის, შეუძლია პლაჟზე შევიდეს, გაიხადოს და ვინმე შიშველს გვერდით მიუწვეს. პლაჟის ხმის გაგონება არ მინდოდა. ფანჯრები და ჟალუზები მივხურე. ვისადილებ და დავიძინებ-მეთქი, – ვფიქრობდი. სადილს დიდხანს ველოდე. რეჯეფმა დაიგვიანა, ვიღაც მეთევზის დასაფლავებაზე წასულიყო. სადილზეც არ ჩავსულვარ. რეჯეფმა ლანგარი წაიღო და წავიდა. შუადღის ძილს ველოდები.

დედაჩემი იტყოდა, შუადღის ძილი ყველაზე სასარგებლოა, სადილს კარგ სიზმრებს დააყოლებ და გალამაზდებიო. მართლაც, მოვეშვებოდი, ცოტა ოფლს მოვიდენდი, თითქოს ვმსუბუქდებოდი და პატარა ბეღურასავით ფრრ! – მივფრინავდი. მერე ფანჯრებს ვაღებდით, სუფთა ჰაერი რომ შემოსულიყო. ნიშანთაშიში[64] ჩვენი ბაღის ხეების ტოტები ოთახში შემოდიოდა, მათ ჩემს ოცნებებს ვატანდი. ზოგჯერ გაღვიძებულს მეჩვენებოდა, სიზმარი ისევ გრძელდებოდა. როცა მოვკვდები, ჩემი ფიქრები ოთახში ხეტიალს მოჰყვებიან. ავეჯს შორის, მიხურული ჟალუზების წინ – მაგიდასა და საწოლს შორის, კედლებსა და ჭერზე აცოცდებიან,

ჩამოცოცდებიან და ამ დროს თუ ვინმე ფრთხილად შემოაღებს კარს, ჩემი ფიქრების ლანდებს დაინახავს... კარი მოხურე! ჩემი ფიქრები არ წაიბილწოს! ჩემი მოგონებები არ შეიბღალოს! ჩემმა სპეტაკმა აზრებმა მეორედ მოსვლამდე ამ მდუმარე სახლის ჭერქვეშ ანგელოზებივით იფარფატონ! იქნებ, მაშინ მაინც შეგრცხვეთ თქვენი საქციელის გამო! მაგრამ ვიცი, რასაც გააკეთებენ, მე რომ მოვკვდები. ერთმა, თანაც ყველაზე პატარამ – სატანის ნაშიერმა – აკი მითხრა, აქაურობა ძალიან დაძველდა, დავანგრიოთ და ახალი, მრავალსართულიანი სახლი ავაშენოთო. ვიცი, ყელამდე ცოდვაში ხართ ჩაფლული და ეს არ განაღვლებთ. ის უფრო გაწუხებთ, სხვამ რომ შეძლო და უცოდველი დარჩა.

ჩემსავით უნდა გადალახო ის აბდაუბდა, რასაც ცოდვას ეძახი, – მეუბნებოდა სელაჰათინი, – შენც დალიე არაყი. დავიჯერო, სულ არ გაინტერესებს, რა გემო აქვს? არაფერს დაგიშავებს, პირიქით – გონებას გაგიხსნის. მარტო ერთხელ თქვი – ალაჰი არ არის-თქო. ცოდვას ჩემს თავზე ვიღებ. მიდი, თქვი (მომიტევე, უფალო!). კარგი, მაშინ ამას მოუსმინე. ჩემი ენციკლოპედიის ძალზე მნიშვნელოვანი სტატიაა, ახლახანს დავწერე. ცოდნას განმარტავს. მომისმინე, ვკითხულობ: ჩვენი ცოდნის წყარო ცდაა. ცოდნას, რომელიც ცდით არ არის დამტკიცებული, ფასი არა აქვს. მთელი მეცნიერული ცოდნა ამ პოსტულატს ეფუძნება. მასთან არის დაკავშირებული ღმერთის არსებობის საკითხიც. რადგან იგი ცდით ვერ მტკიცდება, აზრს კარგავს. ონტოლოგიური მტკიცება სქოლასტიკური ლაყბობაა. ღმერთი მეტაფიზიკოსების სათამაშო იდეაა. გამოდის, ჩვენს სამყაროში – ვაშლების, მსხლებისა და ატომების სამყაროში – ღმერთის ადგილი აღარ რჩება. – ჰა, ჰა, ჰა! გესმის, ფატმა? აღარ არსებობს შენი ღმერთი! ამის საჩქაროდ გამოქვეყნებას ვაპირებ. ენციკლოპედიის დასრულებას ვერ დაველოდები. გამომცემელ ესტეფანს მივწერე. ცალკე ბროშურად დავაბეჭდვინებ, გამოვაცემინებ, იუველირ აბრამსაც დავიბარებ. შენს ბავშვურ ჭირვეულობას ვერ ავიტან. შენი ზარდახშიდან ერთ ფასეულ ნივთს თუ შეელევი, გეფიცები, მთელ ქვეყანას წაადგება. ეს ბრიყვები თუ არ გამაყიდვინებენ, სირქეჯიში წავიღებ და თავად გავყიდი. ნახავ, როგორ დაიტაცებენ. შენც იცი, ფატმა, რამდენი წელი შევალიე ფრანგული წიგნებიდან გადმოტანილი იდეების ხალხისათვის გასაგებ ენაზე წერას. წაიკითხავენ თუ არა,

ნაკლებად მაღელვებს. მე ის უფრო მაინტერესებს, წაკითხვის შემდეგ რა გზას დაადგებიან.

მაგრამ, მადლობა ღმერთს, ამ საზიზღარი ტყუილების წამკითხველი მხოლოდ თავად იყო და, შეიძლება, მისი ჯუჯა. ერთხელ მეც ზიზღით წავიკითხე, თუ როგორ ჩამოვა დედამიწაზე ის ჯოჯოხეთი, რომელსაც სატანისაგან შეცდენილი საბრალო ცოდვილი „მომავლის ლამაზ სამოთხეს“ უწოდებდა და ნატრობდა, ეს დღე მალე დამდგარიყო.

ეს ამბავი მას შემდეგ მოხდა, რაც სელაჰათინმა სიკვდილი აღმოაჩინა – შვიდი თვის მერე. თვით სელაჰათინის სიკვდილიდან სამი თვე იყო გასული. ჩემი დოღანი ქემაჰში იყო წასული. შინ მე და ჯუჯა ვიყავით. ღამით თოვდა. ვფიქრობდი, სასაფლაოს თოვლი დაფარავდა-მეთქი. ერთბაშად სიცივემ ამიტანა. კარგად გათბობა მომინდა. არადა, მარტო ვიჯექი და ვითოშებოდი იმ ოთახში, სადაც მთვრალ სელაჰათინს გავერიდებოდი ხოლმე. ფეხები გამეყინა, ნათურის მკრთალი სინათლეც სევდას მგვრიდა, თოვლი ფანჯრის მინებს ეცემოდა. არა ვტიროდი. მხოლოდ გათბობა მინდოდა. ზემოთ ავედი. ვიფიქრე, შევალ სელაჰათინის ოთახში, სადაც მის სიცოცხლეში ფეხი არ შემიდგამს, სადაც არასოდეს წყდებოდა წინ და უკან მოსიარულე კაცის ნაბიჯების ხმა. კარი ფრთხილად შევაღე. დავინახე, მაგიდებზე, სავარძლებზე, სკამებზე, წიგნებსა და წიგნებში, იატაკზე, ფანჯრის რაფაზე – ყველგან მოფენილა, ურცხვად გაფანტულა ქაღალდები... ქაღალდები... დაწერილი, დახაზული ქაღალდები, ქაღალდის გროვები. ღუმელს ხუფი ავხადე და ეს ქაღალდები შიგ ჩავტენე. მერე ასანთი გავკარი, ცოტა ქაღალდი კიდევ მივუმატე და ცეცხლს მივეცი ნაწერები, გაზეთები...

შენს ცოდვებს ღუმელი კარგად ნთქავდა, სელაჰათინ! ისპობოდა ისინი და ნელ-ნელა სული მითბებოდა. „ჩემი თხზულება, რომელსაც მთელი ცხოვრება შევალიე. ჩემი საყვარელი ცოდვა!“

ვნახოთ ერთი, რა დაწერა იბლისმა? შიგადაშიგ ვკითხულობდი და ისე ვწვავდი. ზოგან, სათაურებში, მოკლე შენიშვნაც გაუკეთებია. რაღაცეების წაკითხვა მოვასწარი: „რესპუბლიკა მმართველობის ის ფორმაა, რომელიც ჩვენ გვჭირდება“. სხვადასხვა სახის რესპუბლიკა არსებობს... დე პასეს წიგნში

ამაზე წერია... 1342 წელი. გაზეთებში წერია, ამ კვირაში შეიქმნაო[65]... ძალიან კარგი, მაგრამ, ნეტავ, ესენიც თავად არ დაიმსგავსონ... შეადარე ყურანს დარვინის თეორია ყველა სულელისათვის გასაგები მარტივი მაგალითებით და იოლად დაამტკიცებ მეცნიერების უპირატესობას. მაშინ მიწისძვრა გეოლოგიური მოვლენა – დედამიწის ქერქის რყევა – იქნება. მამაკაცის სრულყოფილების შემოქმედი ქალია. ქალის ორი ტიპი არსებობს: პირველი – ბუნებრივი, ჭეშმარიტი ქალი, რომელიც ბუნების მიერ მისთვის ბოძებული სიამოვნების მინიჭების უფლებით მშვიდად სარგებლობს. ის უშუალო და გულარხეინია. უმეტესობა დაბალი ფენებიდანაა. მაგალითად, რუსოს მოახლე იყო ქალი, რომელმაც მას ექვსი შვილი გაუჩინა. მეორე ტიპის ქალი – ნერვული, ისტერიკული მბრძანებელია, იგი არისტოკრატიული წარმომავლობისაა, იძულებულია, ბრმად მიჰყვეს ცრურწმენებს, მარია ანტუანეტას ჰგავს, ცივია და უგრძნობელი. ბევრი სწავლული თუ ფილოსოფოსი სითბოს სწორედ დაბალი წრის ქალში ეძებდა: რუსო – მოახლეში, გოეთე – მეპურის ქალიშვილში. კომუნისტ მარქსს შინამოსამსახურემ გაუჩინა შვილი, რომელიც ენგელსმა დაიბრალა. რატომ არის სათაკილო? ეს ხომ რეალობაა? მსგავსი მაგალითები ბევრია. ამის გამო დიდი ადამიანები დაუმსახურებელი დარდითა და ტკივილით ცხოვრობდნენ. ცივი ცოლების გადამკიდენი ისე წავიდნენ, თავიანთი ნაშრომების დასრულება ვერ მოასწრეს. დარჩათ ნახევრად დაწერილი რომანი თუ ფილოსოფიური თხზულება. ის ბავშვები, რომელთაც კანონიც და საზოგადოებაც ნაბიჭვრებად მიიჩნევს, ცალკე სატკივარია... შევჩერებოდი ყარყატის ფრთებს და ვფიქრობდი – ნეტავ, თუ შეიძლება შეიქმნას ისეთი საფრენი აპარატი, რომელიც ყარყატის ფორმებს გაიმეორებდა. თვითმფრინავი უკვე საომარი იარაღია... ერთმა კაცმა – გვარად ლინდბერგმა, 22 წლისამ – ატლანტიკის ოკეანეს გადაუფრინა. ყველა ფადიშაჰი სულელია, მაგრამ „ერთიანობის“ ხელში თოჯინად ქცეული რეშათი უპირველესი სულელია. ჩვენი ბაღის ბინადარ ხვლიკებს დარვინი არ წაუკითხავთ, მაგრამ მისი თეორიის შესაბამისად დაიყრევინეს კუდები. ეს სასწაული კი არა, ადამიანის აზრის გამარჯვებაა. თუ როგორმე დავამტკიცებდი, რომ ქრისტიანობა ხელს უწყობს ინდუსტრიალიზაციის დაჩქარებას, მაშინვე მუსლიმთა ქრისტიანობაზე გადასვლის აუცილებლობაზე დავწერდი.

ვკითხულობდი, ვკითხულობდი, წაკითხულს ზიზღით ვყრიდი ღუმელში და თანდათან ვთბებოდი. აღარც კი მახსოვდა, რამდენი წავიკითხე, რამდენი დავწვი. ერთბაშად კარი გაიღო. ზღურბლზე ჯუჯა იდგა. მაშინ ჩვიდმეტიოდე წლისა იქნებოდა. რას სჩადიხართ, დიდო ქალბატონო?! არ გეცოდებათ? ხმა ჩაიწყვიტე! რატომ სცოდავთ? ჩუმად იყავი-მეთქი! განა ეს დიდი ცოდვა არ არის? არა ჩუმდება. რა იქნა ჩემი ხელჯოხი? როგორც იქნა, გაჩუმდა. არის კიდევ სხვა ქაღალდები? რამე გადამალე? არ მპასუხობს. დამალე, არა?! ჯუჯავ, შენ მისი შვილი არა ხარ, ბუში ხარ. გაიგე, უფლება არაფერზე არა გაქვს. მომეცი ის ქაღალდები, სულ უნდა დავწვა. ჩქარა მომიტანე! შეხედეთ, ისევ იმეორებს, არ გეცოდებაო? სად არის ჩემი ხელჯოხი?! საცემრად გავიწიე. გაიქცა, ბრახაბრუხით ჩაირბინა კიბეები. ქვემოდან დამიძახა: დიდო ქალბატონო, გეფიცებით, არაფერი მაქვს! კარგი! აღარაფერი მითქვამს, მაგრამ შუაღამისას ოთახში შევეჭერი, გავაღვიძე და გარეთ გავაგდე. მის ოთახში რაღაც უცნაური სუნი იდგა. სულ გადავაქოთე. მისი პატარა საწოლიც გავჩხრიკე. პაწაწინა – ბავშვის ჩალახეშის ხელა ლეიბშიც ვეძებე. სხვა ქაღალდები მართლაც არ ყოფილა.

მაგრამ მაინც სულ მეშინია, სადმე რამე არ ჰქონდეს გადამალული, თუნდაც ქაღალდის ნაგლეჯი, რომელსაც დოღანი – მამამისის ალიკვალი – მიაგნებდა, წაიღებდა და სადმე დააბეჭდვინებდა. ამიტომ არ ეძებდა? წავიდოდა-წამოვიდოდა და მომადგებოდა: დედა, მამაჩემის ხელნაწერები სად არისო? რას მეუბნები, შვილო, არ მესმის-მეთქი, – ვპასუხობდი. რა იქნა? ის ყველაფერი, რასაც მამა წლები წერდა, სად წავიდა? გთხოვ, მომეცი, დედა. არაფერი მეყურება, შვილო. მამაჩემის ენციკლოპედიაზე ვლაპარაკობ. თითქმის ნახევარი ჰქონდა დაწერილი. არ მეყურება, გენაცვალე. შეიძლება რამე ფასეულია. მამაჩემმა მას მთელი ცხოვრება შეალია. ძალიან მაინტერესებს, მომეცი, დედა. არ მეყურება, შვილო. მამაჩემს სურვილი შევუსრულოთ – სადმე დავბეჭდოთ. ოცდაშვიდი მაისი – სამხედრო გადატრიალების წლისთავი ახლოვდება. ამბობენ, სამხედროები ერთ გადატრიალებას კიდევ აპირებენ. ამის შემდეგ ქვეყანა ქემალიზმისაკენ მობრუნდებაო. მაშინ, ეგებ შევძლოთ ჩვენი ენიციკლოპედიის ზოგიერთი, განსაკუთრებით საინტერესო, ნაწილის დაბეჭდვა. სადღაც უნდა იყოს მამას ხელნაწერი, გამოიტანე, დედა, მომეცი,

გეხვეწები. რა ცუდად მესმის, შვილო. სად არის ის ქაღალდები? ღმერთმანი, არ ვიცი. ვეძებ და ვერ ვპოულობ. მამაშენის წიგნებიც არსად ჩანს, მხოლოდ ის უცნაური ხელსაწყოებია, სამრეცხაოში რომ ყრია. რა ჩაიდინე, დედა?! ქაღალდები, წიგნები სად წაიღე? ნუთუ გადაყარე? კრინტს არ ვძრავ. დახიე, დაწვი, გადაყარე, არა?! დოღანი ტირის. ცოტა ხნის მერე არაყს უბრუნდება. მეც დავწერ, მეც მამაჩემივით დავწერ! ვერა ხედავ, ქვეყანაში ყველაფერი უარესობისაკენ მიდის. ამის შესაჩერებლად, ამ სისულელისაგან თავის დასაღწევად რაღაც უნდა მოვიმოქმედოთ. ყველა ადამიანი ბოროტი და სულელი ვერ იქნება. უეჭველად იქნებიან კარგებიც, ჭკვიანებიც, კეთილებიც. იქნებიან, დედა!

სოფლის მეურნეობის მინისტრს სკოლიდან ვიცნობ. ორივეს ერთი გოგო მოგვწონდა, მაგრამ ძალიან კარგი ამხანაგები ვიყავით. ერთი კლასით უკან იყო. მძლეოსნობის სექციაში ერთად დავდიოდით. ბირთვის კვრაში ვარჯიშობდა. ძალიან მსუქანი იყო, ოქროს გული ჰქონდა. ახლა მის სახელზე ვრცელ მოხსენებით ბარათს ვწერ. ერთიც გენერალია, მთავარი შტაბის უფროსის მოადგილე. ზილეში მე მაზრის უფროსის მოადგილე ვიყავი, ის კაპიტანი იყო. ძალიან კარგი კაცია, ქვეყანაზე გული შესტკივა. ერთ მოხსენებით ბარათს მასაც ვუგზავნი. დედა, შენ არ იცი, რა უსამართლობები ხდება. მერე, შვილო, ეგ ყველაფერი შენი თავსაცემი რატომ არის? იმიტომ, რომ თუ განზე გავდგებით, ჩვენც მოგვეთხოვება პასუხი. ამის თავიდან ასაცილებლად ვუზივარ მაგიდას და ვწერ ყველაფერს. შვილო, მამაშენზე საწყალი და ლაჩარი ყოფილხარ. არა ვარ, დედა, ლაჩარი! ლაჩარი რომ ვყოფილიყავი, მეც მათში გავერეოდი. დრომ მოაწია, მაზრის უფროსი უნდა გავხდე, მაგრამ არ მინდა. ყველაფერი მომბეზრდა. იცი, რა დღეში ჰყავთ საწყალი გლეხები? საიდან უნდა ვიცოდე, შვილო, მე ცნობისმოყვარე ხომ არა ვარ? მამაჩემმა მასწავლა, ცნობისმოყვარეობა არა საქმეს არ არგიაო. ისინი მთაში ცხოვრობენ. იქ, სადაც ჩიტი ვერ გადაფრინდება, ქარავანი ვერ გაივლის. მათთვის არც ექიმია, არც მასწავლებელი... ვწუხვარ, ვერ გასწავლე, რაც მამაჩემმა მე მასწავლა. რასაც მოიწევენ... წელიწადში ერთხელ მათგან ჩალის ფასად ყიდულობენ, რა ცუდია, შვილო, რომ ჩემი ხასიათი ვერ გამოგაყოლე. მერე მათ – საშინელი უვიცობისათვის განწირულებს – ტოვებენ და ივიწყებენ, დედა... კიდევ დიდხანს ილაპარაკებდა, მაგრამ აღარ

ვუსმენდი, ჩემს ოთახში განმარტოებული ვფიქრობდი: რა მოხდებოდა, ესენიც სხვებივით ყოფილიყვნენ, მშვიდად ევლოთ სახლსა და სამსახურს შორის! მათ ნამდვილად ვიღაც აცდუნებდა. ის ვიღაც ახლა უყურებს ჩემს ტანჯვას და ქირქილებს. შემეზიზღა. საათს დავხედე. სამი გამხდარა. ვერ ვიძინებ. პლაჟის ხმაური მესმის. მერე ჯუჯაზე ფიქრი ამეკვიატა.

მაშინ, ალბათ, ჩემს დოღანს წერილი მისწერა და თავი შეაცოდა-მეთქი, – ვიფიქრე. შეიძლება დოღანს სულაც მამამ უამბო ყველაფერი. არა მგონია. სელაჰათინს მაშინ თავისი ნაწერების მეტი არაფერი ახსოვდა. იმ ზაფხულს, უნივერსიტეტის დამთავრებიდან ერთი წლის შემდეგ, ხშირად მეკითხებოდა: დედა, რეჯეფი და ისმაილი რატომ წავიდნენო. ერთ დღეს ადგა და თვითონაც წავიდა. უკან დაბრუნებულმა თან მოიყოლა აბლანძული აჩაჩულ-დაჩაჩული ჯუჯა და ერთიც – კოჭლი. ბავშვობიდან ახალი გამოსულები იყვნენ. შვილო, თავიანთი სოფლიდან რატომ წამოიყვანე, ჩვენს სახლში რა ესაქმებათ-მეთქი. დედა, იცი, რატომაც წამოვიყვანეო, – მიპასუხა და ორივენი იმ ოთახში დააბინავა, სადაც ახლა ჯუჯა ცხოვრობს. მალე კოჭლი დაიკარგა, მაგრამ შორს არ წასულა. ყოველ წელს, სასაფლაოზე როცა მივდივარ, ჩემი შვილიშვილები მის სახლს მაჩვენებენ ხოლმე. ეს სახლი იმ ფულით არის აშენებული, დოღანმა ჩემს ბრილიანტებში რომ აიღო. იმ ფულს კოჭლი დაეპატრონა. მაინტერესებს, ჯუჯა რატომ არ წავიდა? ამბობენ, ადამიანებისა ეშინია, ხალხში გამოჩენას ერიდებაო. მართალია, სახლის საქმეებისაგან მიხსნა, მაგრამ ძალიან მეზიზღება. დოღანის წასვლის შემდეგ ხშირად ვხედავდი ჯუჯასა და სელაჰათინს ერთად. მათი საუბარიც მომისმენია: მიამბე, შვილო, სოფელში როგორ ცხოვრობდით, – ეუბნებოდა სელაჰათინი, – ბევრი გაჭირვება გადაიტანე? ლოცვას გაიძულებდნენ? მითხარი, ღმერთი გწამს? მიამბე, როგორ მოკვდა დედაშენი? რა კარგი ქალი იყო – ჩემი ხალხის სილამაზის განსახიერება. მაგრამ რა მექნა? ეს ენციკლოპედია ხომ უნდა დამესრულებინა? ჯუჯა დუმდა. მე კი მეტის ატანა აღარ შემეძლო, ჩემს ოთახში გავრბოდი და გაგონილის დავიწყებას ვცდილობდი. მაგრამ ვერ ვახერხებდი. სულ ყურებში მქონდა: რა კარგი ქალი იყო – ჩემი ხალხის სილამაზის განსახიერება! რა კარგი ქალი იყო! რა კარგი ქალი იყო!

არა, სელაჰათინ, მხოლოდ ცოდვილი ქალი იყო! უბრალო

მოახლე. ისა და მისი ქმარი მოსისხლეობის გამო სოფლიდან გამოქცეულიყვნენ და გებზეში დასახლებულიყვნენ. მერე ქმარი ჯარში რომ წაიყვანეს, ეს ვიღაც მეთევზეს დაუტოვა. მაგრამ მეთევზეს ნავი გადაუბრუნდა და დაიხრჩო. დარჩა ქალი უპატრონოდ. რამდენჯერ მინახავს ნავმისადგომის ნანგრევებში – საცოდავი, ცინგლიანი. ვინ იცის, რითი გაჰქონდა თავი? იმ დროს სელაჰათინმა გააგდო ჩვენი გერდელი მზარეული, რომელიც იმუქრებოდა, ყველას, ვისაც ღმერთი არა გწამთ, დედას გიტირებთო. სამაგიეროდ ის ცინგლიანი ქალი მოიყვანა, რა ვქნათ, ფატმა, ქმარი დაეკარგა, უპატრონოაო. რაც გინდა, ქენი-მეთქი. სახლის საქმეებში მალე გაიწაფა. სიცოცხლეში პირველად ტოლმაც კი გაახვია. რა მარჯვე ქალია, არა, ფატმა, – მითხრა სელაჰათინმა და მივხვდი, რაც მოხდებოდა. საშინელი ზიზღი დამეუფლა. რა უცნაურია! ეტყობა, დედამ იმიტომ გამაჩინა, რომ სხვათა დანაშაულსა და ცოდვას ვხედავდე და მეზიზღებოდეს.

დიახ, მეზიზღებოდა სელაჰათინის პირიდან – არყის ჭიდან – ამოსული სიმყრალე. როცა ეგონა, მეძინა, ფეხაკრეფით ჩადიოდა კიბეზე და იმ ოთახში შედიოდა, სადაც ახლა ჯუჯა ცხოვრობს. იქ ელოდებოდა ქალი, რომელიც ჯუჯას დედა უნდა გამხდარიყო. ღმერთო, რა უღირსი საქციელი იყო! როგორ მეზიზღებოდა! დრო გამოხდა და ახლა საქათმე რომ გვაქვს, იმის ახლოს ერთი ქოხიც ააშენა, რათა, როგორც ხშირად წერდა თავის ენციკლოპედიაში, „ლაღი და თავისუფალი გართობა“ შესძლებოდა. ღამღამობით ვხედავდი, როგორ გამოდიოდა გალეშილი თავისი ოთახიდან და იმ ქალთან მიდიოდა. ვხედავდი ამას და მეზიზღებოდა. მერე გაუნძრევლად ვიჯექი ჩემს ოთახში, ხელში საქსოვი და ჩხირები მქონდა ჩაბღუჯული და ვფიქრობდი: „იქ რას აკეთებენ?“

ალბათ, იმ ნაძირალა ქალს ისეთ რამეებს აკეთებინებს, რასაც მე ვერ გამაკეთებინებდა. ცოდვაში ბოლომდე რომ ჩაითრიოს, ჯერ სასმელს დააძალებს, მერე ათქმევინებს, ალაჰი არ არისო. ისიც, ოღონდ სატანას ასიამოვნოს, იმეორებს: ცოდვის არ მეშინია, ალაჰი არ არისო. ალაჰი გიშველის, ფატმა, ნუ ფიქრობ. ზოგჯერ წამოვდგებოდი, უკანა ოთახში გავდიოდი, საქსოვით ხელში ვიდექი, ქოხის მბჟუტავ სინათლეს ვუყურებდი და ვბუტბუტებდი: იქ არიან, ახლა, ალბათ, თავის ნაბიჭვრებს ჰკოცნის, არწმუნებს, ღმერთი არ არისო. ისინიც იცინიან, ვინ იცის... ნუ ფიქრობ, ფატმა, ნუ ფიქრობ! მალე თავისი

საქციელით დარცხვენილი ჩემს ოთახში დაბრუნდება.

დოღანის ჟილეტს ვქსოვდი. საქსოვით ხელში ვიდექი და ველოდებოდი. დიდხანს ლოდინიც არ მჭირდებოდა. ერთი საათის მერე მესმოდა, როგორ გამოდიოდა ქოხიდან და როგორ მობანცალებდა კიბეებზე. ჩემი ოთახის კარს ერთი თითის დადებაზე ღრიჭოდ ვტოვებდი. იქიდან შიშითა და სიძულვილით ვადევნებდი თვალს, სანამ თავის ოთახში არ შეიკეტებოდა.

ერთხელაც, ჩვეულებრივ, ამობარბაცდა, წამით შეჩერდა. ღრიჭოში მხედავდა, თვალი თვალში გამიყარა. შემეშინდა. მინდოდა, კარი ჩამეკეტა და ჩემს ოთახში შევყუჟულიყავი, მაგრამ დამაგვიანდა. სელაჰათინი უკვე ყვიროდა:

– მშიშარა არსებავ! რას გამოგიყვია ცხვირი და მიყურებ? ყოველ საღამოს ისე მითვალთვალებ, თითქოს არ იცოდე, სად დავდივარ და რას ვაკეთებ. მინდოდა გავქცეულიყავი, მაგრამ კარის სახელურს ხელს ვერ ვუშვებდი. მეგონა, თუ გავუშვებდი, მისი ცოდვების მოზიარე გავხდებოდი. ის კი ყვიროდა: მე არაფრისა მრცხვენია, ფატმა, ფეხებზე მკიდია ის ამაზრზენი, საზიზღარი შიში და ცრურწმენები, რომლებიც შენს ტვინს აბლაბუდასავით შემოჰხვევია. გესმის, ფატმა? მე აღმოსავლეთის მთელი სისულელეების, დანაშაულის, ცოდვის მიღმა ვდგავარ. ტყუილად მითვალთვალებ. რაშიც შენ მამტყუნებ, რისი ზიზღიც სიამოვნებას განიჭებს, ის მე მეამაყება! მერე რამდენიმე საფეხური კიდევ ამოიარა და აღრიალდა: დიახ, იმ ქალითაც ვამაყობ და მისი გაჩენილი შვილებითაც! მუყაითია ის ქალი, მართალი, პატიოსანი, გულღია და ლამაზი! შენსავით მხოლოდ სასჯელის შიშით როდი ცხოვრობს. მისთვის არც დანა-ჩანგლის ხმარება უსწავლებიათ და არც კეთილშობილი, დახვეწილი ქალის როლის თამაში. მომისმინე, ფატმა, კარგად მომისმინე! მისი ხმის შეურაცხმყოფელი ტონი თანდათან მოლბა, უფრო დამაჯერებელი გახდა. ერთმანეთისაგან კარი გვყოფდა. ჩაბღუჯული მქონდა სახელური და ვუსმენდი. ამაში სამარცხვინო არაფერია, არც დანაშაული და არც ზიზღით დასაგმობი რამ. ჩვენ თავისუფალი ადამიანები ვართ, მაგრამ თავისუფლებას ირგვლივ მყოფნი გვიზღუდავენ. აქ კი ჩვენ გარდა არავინ არის. რობინზონივით ვცხოვრობთ. ის წყეული რაღაც, რასაც „საზოგადოება“ ჰქვია, სტამბოლში დავტოვეთ. იქ

მხოლოდ იმ დღეს დავბრუნდებით, როცა ჩემს ენციკლოპედიას დავასრულებ და მთელს აღმოსავლეთს თავდაყირა დავაყენებ. იმის ნაცვლად, რომ ჩვენი თავისუფლებით დავტკბეთ, დანაშაულის, ცოდვის, სირცხვილის განცდისგან დავიხსნათ თავი, ყველაფერს ანადგურებ სულელური, ავადმყოფური რწმენების, მორალის შხამით, რომელზეც უკვე დამოკიდებული გახდი. თუ გინდა უბედური იყო, ბოლოს და ბოლოს, შენი ნებაა, მაგრამ როცა შენი მიზეზით სხვები უბედურდებიან, სწორია? შენი სულელური მორალური პრინციპების გამო რომ იტანჯებიან, მოგწონს? იცი, რას გეტყვი? ახლა იმ ქოხიდან მოვდივარ. რა დასამალია? მშვენივრად იცი, მოსამსახურე ქალისა და ჩემი შვილების – რეჯეფისა და ისმაილისაგან – მოვდივარ. გებზეში ერთი ღუმელი ვუყიდე, მაგრამ არ უშველათ. იყინებიან. გული არ მაძლევს, შენი სულელური მორალის გამო ისინი იქ სიცივით იხოცებოდნენ. გაიგე, ფატმა?

გავიგე და შემეშინდა. მესმოდა, როგორ დაუშინა კარს მუშტები, როგორ ლაპარაკობდა ტირილნარევი ხმით. მესმოდა და კრინტს არ ვძრავდი. ცოტა ხნის შემდეგ გავიგონე: კვნესა-ოხვრით შევიდა თავის ოთახში და სულ მალე ღრმა, მშვიდი ხვრინვა ამოუშვა. მე კი დილამდე ფანჯარასთან ვიდექი, თოვას ვუყურებდი და ვფიქრობდი. დილით მითხრა, რაზეც ვფიქრობდი და რასაც ვხვდებოდი.

ვსაუზმობდით. ის ქალი გვემსახურებოდა. მერე მოგვატოვა და სამზარეულოში ჩავიდა, თითქოს მომსახურება მობეზრდაო. ახლა ჯუჯაც ისე იქცევა. როცა ქალი გავიდა, სელაჰათინმა ჩაიჩურჩულა: შენ ნაბიჭვრებს ეძახი, მაგრამ ისინიც ადამიანები არიან, ჩვეულებრივი ბავშვები. საოცრად ნაზად ლაპარაკობდა, თითქოს საიდუმლო უნდა გაენდო. საბრალო ბავშვები იმ ქოხში იყინებიან. ძალიან პატარები არიან. ერთი ორი წლისაა, მეორე – სამის. გადავწყვიტე, ამ სახლში გადმოვიყვანო, მაგრამ პატარა ოთახში ვეღარ დაეტევიან. ამ გვერდითა ოთახში დავაბინავებ. არ დაგავიწყდეს, ბოლოს და ბოლოს, ჩემი შვილები არიან. ახლა შენი სულელური პრინციპების გამო წინააღმდეგობა არ გამიწიო! ხმას არ ვიღებდი. ვფიქრობდი. სადილად რომ ჩამოვიდა, დილანდელი ნათქვამი გაიმეორა და დაუმატა: გული მტკივა, როცა ვუყურებ, როგორ წვანან ძირს ფლასებში გახვეულები. ხვალ გებზეს მივდივარ საყიდლებზე. მაშ, ხვალ გებზეს მიდის? მანამდე კი ვახშამზე ალბათ იმასაც

მოითხოვს, დღეიდან ერთ სუფრასთან დავსხდეთო. აკი სულ იმის მტკიცებაშია, ყველანი თანასწორები ვართო. მაგრამ ვახშამზე არაფერი უთქვამს. არაყი დალია, გაიმეორა, ხვალ გებზეს მივდივარო, გავიდა და იმათთან წავიდა. მაშინვე ზემოთ ავიჭერი, უკანა ოთახში შევვარდი, ფანჯრიდან ვუყურებდი, ფეხარეული როგორ მიდიოდა მთვარის შუქით აპრიალებულ თოვლზე. იარე, სატანავ, იარე ცოდვის ქოხის მბჟუტავი სინათლისკენ! ხვალ გიჩვენებ სეირს! გავჩერებოდი მთYვარით განათებულ დათოვლილ ბაღს, სანამ არ გავითოშე. როცა დაბრუნდა, ჯერ ჩემს ოთახში შემოიჭრა და პირში მომახალა: შენთან გაყრისთვის ორი წელია საჭირო, თანაც სასამართლომ უნდა გაგვყაროს. მეორე ცოლის შერთვაც მხოლოდ ორი წლის შემდეგ შემიძლია. თანახმაც რომ იყო, ორ წელზე ადრე არ შეიძლება. ჩვენ შორის აღარაფერი დარჩა იმ სასაცილო გარიგებიდან, რომელსაც ქორწინება ჰქვია, ფატმა. მეტიც, როცა ჩვენ იმ გარიგებას ვდებდით, მაშინდელი წესის მიხედვით, შემეძლო ორი სიტყვით გაგყოდი და მაშინვე მეორე ცოლი შემერთო, მაგრამ ეს თავის დროზე ვერ გამოვიყენე. გესმის? კიდევ ბევრი ილაპარაკა. მე კი ვუსმენდი. მერე თქვა, ხვალ გებზეს მივდივარო და ბარბაცით გავიდა. გავჩერებოდი დათოვლილ ბაღს და ვფიქრობდი, მთელი ღამე ვფიქრობდი.

გეყოფა, ფატმა, ფიქრს ნუ ეკვლევინები! რაღა დროს ამის გახსენებაა?! ოფლმა დამასხა. ნუთუ ჯუჯა უყვება? ნამდვილად ეუბნება: ბავშვებო, დიდედათქვენმა თავისი ხელჯოხით ჩვენ, პაწაწინა ბავშვები... თავზარი დამეცა. ფიქრი აღარ მინდა, აღარც – ძილი. ანდა, პლაჟის გუგუნში რა დამაძინებს?

საბანში ჩავძვერი. პლაჟის ხმაური მაინც მესმის, ვფიქრობ: ღმერთო, ახლა ვხვდები, რა დიდებული ყოფილა ის მარტოობის ღამეები, ზამთრის ცივი და მშვენიერი ღამეები, როცა ჩქამიც არსაიდან ისმოდა და მდუმარება ჩემი იყო, მხოლოდ ჩემი. ყველაფერი უმოძრაოდ იწვა, გაქვავებული. ახლა კი ვწევარ ბალიშის ბნელ სილბოს მინდობილი და ვფიქრობ სამყაროს მდუმარებაზე, დედამიწისა და დროის სიღრმიდან რომ მოდის, და დროდადრო ჩემი ბალიშიც შემახსენებს თავს...

მეორე დღეს სელაჰათინი გებზეს წავიდა. რა შორს მეჩვენებოდა მაშინ განკითხვის დღე!

როგორც წინასწარ მოვიფიქრე, ისე:

ავიღე ხელჯოხი, კიბეებზე ჩავედი და დათოვლილ ბაღში გავედი. რა შორს მეგონა ჯოჯოხეთის მდუღარე ქვაბები, წამებით მოგვრილი ტკივილი! ჩქარი ნაბიჯით მივდიოდი, გამლღვალ თოვლზე ნაკვალევს ვტოვებდი და მივდიოდი ცოდვის ბუნაგისაკენ, რომელსაც სატანა ქოხს ეძახის... რა შორს ყოფილან ღამურები, ჩხრიალა გველები, გვამები!

როგორც იქნა, მივაღწიე ქოხს. კარზე დავაკაკუნე. იმ უბადრუკმა მოსამსახურემ მაშინვე გააღო. თაგვის მძორები! ბაიყუშები! ჯინები! ქალს ხელი ვკარი და ქოხში შევედი. აჰა! ესენი არიან შენი ნაბიჭვრები?! ხელის დაჭერა დამიპირა. ნესტის ჭიები! მძორები! ამას ნუ იზამთ, ქალბატონო! ბავშვებმა რა დააშავეს?! შავკანიანი მონები! ზანგები! ჟანგიანი ჯართი! ბავშვებს რა ცოდვა აქვთ? მე დამსაჯეთ, ქალბატონო! ალაჰ, მიშველე! გაიქეცით, ბავშვებო, გაიქეცით! ვერ გაიქცნენ და დავარტყი. მერე, როგორ თუ ხელის შემობრუნება გამიბედე-მეთქი, დედასაც დავარტყი. საპასუხო დარტყმას დავასწარი – უფრო მაგრად და ბევრჯერ დავცხე. ბოლოს, სელაჰათინ, შენი „ძლიერი და მშრომელი ქალი“ დაინგრა და არა – მე.

თვალი მოვავლე ცოდვის საზიზღარ ბუნაგს: ხის კოვზები, რკინის დანები, დედაჩემის სერვიზიდან შემორჩენილი დაბზარული თეფშები. თუმცა, ნახე, ფატმა, ის მთელი თეფშები, აქა ყოფილა, შენ კი დაკარგული გეგონა! მაგიდად გამოყენებული სკივრი, ძონძები, ქსოვილის ნახევები; ძირს, მიწაზე გაშლილი ლოგინი; ფანჯრებისა და კარის ქვეშ შეჩურთული გაზეთის ნაგლეჯები. ღმერთო, რა საზიზღარია ყველაფერი! ჭუჭყიანი ფლასი, ქაღალდები, ასანთის ნამწვავები, ჟანგიანი, გატეხილი მაშა, შეშის ნაფოტებით სავსე თუნუქის ყუთები, გადაყირავებული ძველი სკამები, ურდულები. არყისა და ღვინის ცარიელი ბოთლები, იატაკზე მოფენილი მინის ნამსხვრევები, სისხლი და მტირალი ბავშვები. სელაჰათინი იმ საღამოსვე დაბრუნდა. ცოტა კი წაიტირა, მაგრამ ათი დღის შემდეგ იმ შორეულ სოფელში წაიყვანა: კარგი, ფატმა, იყოს ისე, როგორც შენ გინდა, მაგრამ იცოდე, შენი საქციელი არაადამიანურია. პატარისათვის ფეხი მოგიტეხია, უფროსს რა სჭირს, ვერ გავიგე. მთლად დალურჯებულია. ეტყობა, შოკი გადაიტანა. ამას ყველაფერს ენციკლოპედიისათვის ვაკეთებ: ერთ შორეულ სოფელში

ღარიბი მოხუცი ვიპოვე. თანახმაა, იშვილოს ბავშვები. კარგად გადავუხადე. ამიტომ იძულებული ვარ, ახლო ხანში ისევ დავიბარო ებრაელი. რას ვიზამთ! ჩვენი ცოდვების გამოსასყიდად... კარგი, კარგი, არ დამიწყო მტკიცება, რომ შენ უცოდველი ხარ და ეს ცოდვა მხოლოდ ჩემია, მაგრამ ამას იქით აღარ მისაყვედურო, ამდენს რატომ სვამო. დაცარიელებულ სამზარეულოშიც შენ იმუშავებ. ახლა ზემოთ ავდივარ, უნდა ვწერო. შენ კი თვალით აღარ დამენახო, მომწყდი, სანამ ჯინი თავში არ ამვარდნია! ჩაიკეტე შენს ოთახში, ჩაწექი ცივ ლოგინში და მთელი ღამე ჭერს მიჩერებულმა ჭოტივით იფხიზლე!

ვწევარ. ვერა და ვერ ვიძინებ. ღამეს ველოდები.

24.

უცნაურ და საინტერესო რამეებს ვხედავდი. ერთბაშად გამომეღვიძა. მივხვდი, სიზმარი იყო და გული დამწყდა. სიზმარში ვიღაც მოსასხამიანი მოხუცი თავზე დამტრიალებდა და დამძახოდა: „ფარუქ!“ „ფარუქ!“ იქნებ, სულაც ისტორიის საიდუმლო უნდა გაენდო, მაგრამ უჭირდა, რაღაცის თქმა უნდოდა და წვალობდა. მწამდა, ყველაფერს თავისი საზღაური უნდა ჰქონდეს, მით უმეტეს – ცოდნის მიღებას, მაგრამ, რატომღაც, მეთაკილებოდა. ცოტას კიდევ გავიჭირვებ და ყველაფერი მეცოდინება-მეთქი, ვფიქრობდი და ოფლში გახვითქულს გამომეღვიძა. ჩემს სმენას სწვდება პლაჟის გუგუნი, ჭიშკართან ჩავლილი მანქანების ხმა, კატერების, გემების სიგნალი. შუადღის ძილმაც ვერ მიშველა. წუხელ მთელი ღამე ვსვი და ახლა ძილისათვის თავი ვეღარ წამირთმევია. საათს დავხედე – ოთხს თხუთმეტი წუთი აკლდა. ჯერ დალევა ადრე იყო, მაგრამ მაინც ავდექი.

ოთახიდან გამოვედი. სახლი დუმს, ჩამიჩუმი არ ისმის. კიბეზე ჩავედი. სამზარეულოში შევედი. სანამ ხელის ჩვეული მოძრაობით მაცივრის კარს გამოვაღებდი, რაღაცის მოლოდინი გამიჩნდა: „რაღაც უნდა მოხდეს: ახალი, უცაბედი სიხარული, სასიამოვნო თავგადასავალი. ნეტავ მართლა იქნებოდეს ჩემს ცხოვრებაში რამე, რაც არქივს, ამბებს, ისტორიას დამავიწყებდა“.

მაცივარი გამოვაღე. იქაურობა ოქრომჭედლის დუქანივით ბრწყინავდა. ფინჯნებო, პამიდვრებო, კვერცხებო, ბლებო, თვალი წამტაცეთ, მომეხმარეთ, გამართეთ.

მაგრამ ისინი თითქოს მპასუხობდნენ: ჩვენი ყურება რას გიშველის?! შენ მხოლოდ ის გაგართობს, რაც ცხოვრებაზე ხელჩაქნეულებს შველის, იმათ, ვისაც სიცოცხლე მოჰყირჭებია (ანდა ჰგონია, რომ მოჰყირჭებია!).

არყის ბოთლი ნახევარზეღაა. ბაყალთან ხომ არ წავიდე? მაცივარი მივხურე, დავფიქრდი: „რა იქნება, მეც პაპაჩემივით, მამაჩემივით ყველაფერი მივატოვო, აქ გამოვიკეტო, ყოველდღე გებზეს ვიარო, მაგიდას მივუჯდე და ვწერო მილიონსიტყვიანი შრომა, რომელსაც თავი და ბოლო არ ექნება, ისტორია ერქმევა. ამას იმიტომ როდი გავაკეთებ, რომ მთელი სამყარო გამოვასწორო, არა, მხოლოდ ის მინდა, ადამიანებს გავაგებინო, რა არის სამყარო.

ცივი ქარი ამოვარდა. ღრუბელი შეიყარა. სამხრეთის ძლიერი ქარი გვიახლოვდება. შევჩერებოდი დახურულ ჟალუზებს და ვფიქრობდი, როგორ სძინავს რეჯეფს თავის ოთახში, როგორ ზის ნილგუნი საქათმესთან და კითხულობს. ფეხთ გაუხდია, შიშველი ფეხები მიწაზე უწყვია.

ბაღში ცოტა ვიხეტიალე, ჭასთან მივედი, ტუმბოთი ვითამაშე, ახალგაზრდობა და ბავშვობა გავიხსენე. მერე ისევ ამეკვიატა ჩემს ცოლზე ფიქრი. ვთქვი, რამეს შევჭამ-მეთქი, შინ შევბრუნდი, მაგრამ სამზარეულოში არ შევსულვარ, კიბე ავიარე, ჩემს ოთახში ფანჯარასთან დავდექი, უაზროდ ვიყურებოდი და ვბუტბუტებდი: ნეტავ, თუ ღირს ჩემი ფიქრების მიყოლა? ჩემს სიცოცხლეს აზრი აქვს? შემიძლია, ვიფიქრო რამე ღირებულზე, რასაც კაცი ცხოვრების მიზნად გაიხდიდა? მომბეზრდა ფიქრი, საწოლზე დავეგდე, ევლია ჩელების წიგნი ალალბედზე გადავშალე და კითხვა დავიწყე.

ევლია დასავლეთ ანატოლიაში მოგზაურობის ამბავს ყვებოდა. აღწერდა აქჰისარსა და მარმარას – პატარა დაბებს, პატარა სოფელს და კიდევ ერთ დაბას, რომელიც ცნობილი ყოფილა ბუნებრივი ცხელი წყლით. ვინც ამ წყალში იბანავებდა, სხეული ისეთი ბზინვარე უხდებოდა, თითქოს ზეთი წაუსვამთო. თუ ორმოცი დღის განმავლობაში დალევდნენ, კეთრისაგან იკურნებოდნენ. მერე წავიკითხე, რომ ევლიამ

ამოასუფთავებინა, შეაკეთებინა აუზი და დიდი სიამოვნებით ინებივრა ცხელ წყალში. ერთხელ კიდევ გადავიკითხე აუზის ეპიზოდი და ევლიას ადგილზე ყოფნა მომინდა, მისი უცოდველი, უწყინარი სიამოვნება შემშურდა. ევლია ცხენზე შეჯდა, გედიზი გაიარა და წავიდა. აუზის ერთ სვეტზე მისი ამოწმენდის თარიღი დარჩა, ეს ყველაფერი მშვიდი, აუღელვებელი, თვითდაჯერებული კაცის თვალით არის დანახული. წიგნი დავხურე, დავფიქრდი: როგორ მოახერხა და შეუწყო ერთმანეთს რასაც აკეთებდა და რაზეც წერდა, ან როგორ უყურებდა საკუთარ თავს სხვისი თვალით. მე ვერ შევძლებდი. მეგობარს წერილი რომ მივწერო და რამე ვუამბო, ასეთი ხალასი, ასეთი ლაღი ვერ ვიქნები. ის კი არა და – ჩემს თავს მოვლენათა შუაგულში ჩავტენიდი, ჩემი აბურდული და ცოდვილი გონება ფაქტების სიშიშვლის დამალვას შეეცდებოდა, გაკეთებულსა და გასაკეთებელს ერთმანეთში აურევდა, საგნებს შორის ევლიას მიერ დადგენილ ჭეშმარიტ კავშირს ვერ ჩასწვდებოდა და ამის გამო დავიტანჯებოდი.

ერთხელ კიდევ გადავიკითხე ქალაქების თურგუთლუს, ნიფისა და ულაჯაქის შესახებ. იქ სრულიად სხვა სამყაროა: „ჩვენი კარავი ერთი მდინარის ნაპირზე დავდგით. „აბი ჰაიათი“[66] ერქვა. მწყემსებისაგან მსუქანი ბატკანი ვიყიდეთ, დავკალით, სახელდახელოდ მწვადი შევწვით და გიახელით“. ეს ტკბობაცა და სიამოვნებაც გარე სამყაროსავით ხალასი იყო. სამყარო რეალურია, მასში იცხოვრებ, მისი აღწერა შეიძლება ზოგჯერ მშვიდად, ზოგჯერ აღფრთოვანებით, ზოგჯერ სევდანარევი სიხარულით. სამყაროს ვერ შემოსწყრები, ვერ შეცვლი, შეიძლება მხოლოდ იდავო, იკამათო ყველაფრის ხელში ჩაგდების სურვილის, ადამიანთა ანგარების გამო.

მერე ეჭვიც კი გამიჩნდა: ევლიას მკითხველის მოსახიბლად უხუმრია-მეთქი. იქნებ ისიც ჩემნაირი იყო, ოღონდ კარგად წერდა, ტყუილის გამოცხობა შეეძლო. ხეებსა და კედლებს ისიც ჩემსავით ხედავდა, ოღონდ წერის ნიჭით განსხვავდებოდა, სწორედ ამით მაჯადოებდა. ესეც ბოლომდე ვერ ვირწმუნე, ერთხანს კიდევ ვიკითხე და დავასკვენი: ნიჭი არაფერ შუაშია, აქ მთავარი ევლიას გონი იყო – იგი სრულიად განსხვავებულად აღიქვამდა გარე სამყაროს – ხეებს, სახლებს, ადამიანებს. ერთბაშად დავინტერესდი: ნეტავ, როგორ არის აგებული ევლიას გონი?

ხანდახან, მაგრად რომ დავთვრები, ჩემი ცოლი მაგონდება და სევდა მერევა. მაშინ სასოწარკვეთილი სულს ერთი სიზმრის გახსენებით ვიბრუნებ. ახლაც იმედგადაწურული ვფიქრობ: ნუთუ, ევლიასნაირი ვერ ვიქნები? ნუთუ ჩემს ფიქრს, ჩემი გონების წყობას მისას ვერ მივამსგავსებ? მასავით უშუალოდ, უბრალოდ ვერ აღვწერ სამყაროს თავიდან ბოლომდე?

წიგნი დავხურე, გვერდზე გადავდე. თავს შევუძახე: ამის გაკეთებას შენც შეძლებ! რაც უნდა მოხდეს, ეცადე, მთელი ცხოვრება ამ საქმეს შეალიო!

სამყაროსა და ისტორიის აღწერას დავიწყებ იმ ადგილიდან, სადაც იგი პირველად წარმომიდგა თვალწინ. მეც ევლიასავით ჩამოვაწიკწიკებ ფაქტებს: მანისაში ვის სახასო მამულს რამდენი აქჩე შემოჰქონდა, ვინ რამდენი ზეამეთის[67] პატრონი იყო, რამდენი თიმარისა, ვის რამდენი მოლაშქრე გამოჰყავდა. ეს ცნობები არქივში მელოდება. მეც მშვიდად გადავიტან ქაღალდზე ყველაფერს ისტორიული ნაგებობების, დღესასწაულების, ადათ-წესების შესახებ. მათზე საუბრისას არ ჩავრთავ ჩემს მოსაზრებებს. ხანდახან ისე, სხვათა შორის, მივანიშნებ რამე დეტალზე, როგორც ევლია იქცევა, მოულოდნელად რომ გეტყვის, ესა თუ ის მეჩეთი კრამიტით არის გადახურული თუ ტყვიით.

ამრიგად, ჩემი ისტორიაც, ევლიას „მოგზაურობის წიგნივით“, ფაქტების უსასრულო ჩამონათვალი იქნება და მეტი არაფერი. ეს მეცოდინება და ხანდახან შევჩერდები ხოლმე, ისევე, როგორც ევლია, მაგრამ გამახსენდება, რომ ქვეყნად სხვა რაღაცეებიც ხდება და ქაღალდზე ვწერ:

ამბავი

ასე ვაგებინებ მკითხველს, რომ აქ მოხმობილი ფაქტები განწმენდილია სახალისო, თავშესაქცევი ფანტაზიისაგან, ადამიანური ვნებებისა და გრძნობებისათვის ხარკის გაღების გამო რომ ჩნდება ხოლმე ტექსტში.

თუ ოდესმე ვინმე წაიკითხავს ჩემს ფურცლებს, რომელთა დაწერა უფრო მძიმე იქნება, ვიდრე ევლიას ექვსი ათასი გვერდისა, იქ დაინახავს ისტორიის ბუნდოვან, შეულამაზებელ, შიშველ ლოდს. ქაღალდზე, ისე როგორც ევლიასთან, ყველაფერი ნამდვილივით იქნება: ხესავით, ჩიტივით, ქვის ნატეხივით და მკითხველს აგრძნობინებს: ამ ფაქტს

ჭეშმარიტი, გულწრფელი რამ მოჰყვებაო. აი, მაშინ კი მოვიშორებ ჩემი ტვინის ხვეულებში მოფუთფუთე მატლებს – ისტორიის მატლებს. მათგან თავდახსნილი პლაჟზე გავიქცევი და ზღვისგან ისეთსავე სიამოვნებას მივიღებ, როგორიც ევლიამ აუზში ბანაობით მიიღო. ვიწექი და ვფიქრობდი. ამ დროს ფიქრი გამიწყვიტა მანქანის თავხედურმა საყვირმა – ამ საზიზღარმა, გამყინავმა „თანამედროვე“ ხმამ წამში ნერვები დამაგლიჯა.

საწოლიდან წამოვხტი. კიბეებზე ჩავირბინე და ბაღში გავედი. ქარი გაძლიერებულიყო, ღრუბლები შეეყარა. წვიმდა. სიგარეტს მოვუკიდე. ბაღი გადავიარე და ქუჩაში გავედი. ჰეი, კედლებო, ფანჯრებო, მანქანებო, აივნებო, აივნებს მიღმა ცხოვრებავ, ნეილონის ბურთებო, ქოშებო, საცურაო რგოლებო, ფლოსტებო, ქილებო, კრემებო, ყუთებო, პერანგებო, პირსახოცებო, ჩანთებო, კანჭებო, ქვედაბოლოებო, ქალებო, კაცებო, ბავშვებო, ხოჭოებო, მეჩვენეთ, დამანახვეთ თქვენი მკვდარი, უმოძრაო სახეები, დამანახვეთ თქვენი გარუჯული ზურგები, თქვენი გათქვირული მკერდები, თქვენი წვნიკი მკლავები, უმზეო გამოხედვა, მაჩვენეთ მთელი ფერები, ზედაპირები, რადგან იმ ზედაპირებზე ცხვირის ხახუნით თავის დავიწყება მინდა, გაფრენა მინდა, ფრენა მინდა! ნეონის ლამპების, სარეკლამო პლასტმასის სტენდების, პოლიტიკური სლოგანების, ბაყალის, ტელევიზიების, კედლებზე მილურსმული შიშველი ქალების, მაღაზიების, გაზეთში დაბეჭდილი ფოტოებისა და გულის ამრევი აფიშების ყურება-ყურებით მინდა თავის დავიწყება. მიდით, მეჩვენეთ!

კმარა! თურმე ნავმისადგომამდე მივსულვარ. ამაო პათოსი – თავს ვიტყუებ. ვიცი, გულის სიღრმეში ყველაფერი მიყვარს – უსულო თუ ჩვეულებრივი, უღიმღამო რამ. მართალია, მინდა თავი დავირწმუნო, ეს ყველაფერი მძულს-მეთქი, მაგრამ ვიცი – თავადაც მისი ნაწილი ვარ. ზოგჯერ მინდა, დავიჯერო, რომ ორასი წლის წინათ, ან ორასი წლის შემდეგ ცხოვრებას ვამჯობინებდი. მაგრამ ეს ტყუილია. ვიცი, ეს საზიზღარი სიმთვრალეც კი მიყვარს. ჭკუას ვკარგავ გაზიან წყალზე, სარეცხ მანქანასა და მარგარინზე. ჩვენმა საუკუნემ ისეთი სათვალე გამიკეთა, ყველაფერს გამრუდებულს რომ აჩვენებს, მაგრამ ალაჰმა დასწყევლოს, მიყვარს, რასაც ვხედავ!

ერთი კატერი ნელა უახლოვდება ნავმისადგომს, უნდა, გაექცეს

სამხრეთის ქარს. ნელა ირხევა პატარა ტალღებზე. ეტყობა, არ იცის ქვეცნობიერის არსებობის შესახებ, არ იცის, რომ სწორედ ქვეცნობიერი არხევს და გადააადგილებს მას. ბედნიერი საბრალო კატერი! ყავახანისაკენ წავედი. ხალხმრავლობაა. ქარი აფრიალებს გარეთ დადგმული მაგიდების სუფრებს, მაგრამ დედებს, მამებსა და მათ შვილებს შეუძლიათ, მშვიდად დალიონ ჩაი და გაზიანი წყალი – სუფრები პლასტმასის სამაგრებით არის დაბმული. კატერზე გაჭირვებით უშვებენ იალქნებს. რა ქნას იალქანმა? – ქართან ყოფნა არ ეთმობა. თეთრი ქსოვილი ეშვებოდა, როგორც დაჭრილი მტრედი, უმწეოდ ფართხალებდა.

როგორც იქნა, იალქანი დაუშვეს. რა იქნება, თუ ხელს ავიღებ თამაშზე? „რა არის ისტორია?“ წავალ, ჩემს რვეულს თვალს გადავავლებ, არქივს გავიხსენებ, წყნარად გულს გადავაყოლებ. ხომ არ დავჯდე და ჩაი დავლიო? თავისუფალი მაგიდა არ არის. წავედი. ფანჯრიდან ყავახანაში შევიხედე. ბანქოს მოთამაშეები არიან, ცარიელი მაგიდებიც არის. რეჯეფი აქ დადის! მოთამაშეები ჩასჩერებიან თავიანთ ქაღალდს, მერე, თითქოს თამაშით დაიღალნენო, მაგიდაზე ყრიან და ისვენებენ. ერთმა წამოკრიფა მაგიდაზე დაყრილი ბანქო და ჩამორიგება დაიწყო. დაბნეული არიგებდა, თან აქეთ-იქით იყურებოდა. ერთბაშად გონება გამინათდა: დიახ, დიახ! ბანქოს დასტას ყველაფრის ამოხსნა შეუძლია.

შინ ვბრუნდები და ვფიქრობ:

არქივის სიჩუმეში მთვლემარე ფაქტებს მკვლელობებისა და ქურდობების, ომებისა და გლეხების, ფაშებისა და თაღლითობების შესახებ ცალ-ცალკე დავწერდი ბანქოს ქაღალდის ზომის ფურცელზე, მერე ასობით, არა, მილიონობით მოვლენის ამსახველ შემზარავ დასტას ჩვეულებრივი ბანქოსავით ავურევდი. რასაკვირველია, ეს არც ისე იოლი გასაკეთებელი იქნებოდა. საგანგებო მანქანები დამჭირდებოდა, ისეთი, ლატარიის გათამაშებისას ნოტარიუსის თანდასწრებით რომ იყენებენ. მერე ყველაფერ ამას ჩემს მკითხველებს გადავცემდი და ვეტყოდი: აი, ეს ფაქტები ერთმანეთს არ უკავშირდება. განსხვავებულია მათი თავი და ბოლო, ზურგი და სახე, მიზეზი და შედეგი – საერთო არაფერი აქვთ. ინებე, ახალგაზრდა მკითხველო. ეს გახლავს ისტორია და ცხოვრება. ყველაფერი მხოლოდ არსებობს, და რაც

არსებობს, მათშია. მაგრამ არ არის არც ერთი ამბავი, ამ ფაქტებს რომ აერთიანებდეს, აკავშირებდეს. თუ გინდათ, თავად შეთხზეთ ამბავი, თავად მოარგეთ იგი მოვლენებს. ახალგაზრდა მკითხველი გულდაწყვეტილი იკითხავს: ამბავი არ არის? სულ არ არის? მაშინ ვეტყვი: მართალი ხართ, თქვენი მესმის. ახალგაზრდებს ისტორია გჭირდებათ, რათა მშვიდად, უდრტვინველად იცხოვროთ და იფიქროთ: ამბების მეშვეობით სამყაროს ერთ კუნჭულს ხელს ჩაავლებთ, მოსწევთ და ისიც მორჩილად მოგყვებათ. ეს რომ არ გჯეროდეთ, თქვენს ასაკში გაგიჟება შეიძლება. – ვიტყვი და მილიონი ქაღალდიდან ერთ-ერთს ვიღებ და საჩქაროდ წავაწერ: „ამბავი“ და თითქოს ჯოკერი ჩამედოს ბანქოს დასტაში, ამ წარწერიანი ქაღალდის ქვეშ ვათავსებ იმ ქაღალდებს, რომლებზედაც დაიწერება თავად

ამბავი

ახალგაზრდა მკითხველი კვლავ მკითხავს: ეს ყველაფერი რა შედეგს მოიტანს? რა უნდა მოვიმოქმედოთ? რა ვიწამოთ? რა არის მართალი და რა – ტყუილი? ცხოვრებაში რისთვის უნდა გავისარჯოთ? რა არის ცხოვრება? საიდან დავიწყოთ? რა არის ყველაფრის არსი? აქედან რა დასკვნა კეთდება? რა გავაკეთო? რა გავაკეთო? რა გავაკეთო? ალაჰმა დასწყევლოს! დარდი შემომაწვა. უკან ვბრუნდები...

პლაჟს ჩავუარე. ამ დროს მზე ღრუბლებს მოეფარა. ქვიშაზე დაყრილი ადამიანების ხროვამ ერთბაშად არსებობის აზრი დაკარგა. წარმოვიდგინე, ისინი ქვიშაზე კი არ წვანან და ირუჯებიან, მყინვარზე ყრიან და თავიანთი სხეულით ათბობენ მას, როგორც საბუდარში ჩამსხდარი ქათმები – კვერცხებს. ვიცი, საიდან მოდის ეს გულმოდგინება: იმისათვის, რომ მიზეზთა ჯაჭვი გავწყვიტო და თავი დავიხსნა ზნეობის, მამოძრავებელი ძალადობისაგან. თუ ადამიანები ქვიშაზე კი არა, ყინულზე წვანან, იწვნენ. მე უდანაშაულო, თავისუფალი ვარ. რასაც მინდა გავაკეთებ.

თანაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს. წავედი.

მზემ გამოიხედა. ბაყლის დუქანში შევედი. სამი ბოთლი ლუდი მოვითხოვე. სანამ გამყიდველი ბიჭი ბოთლებს ქაღალდის პარკში მიწყობდა, ერთმა დაბალმა, დიდპირა, შეუხედავმა მოხუცმა რატომღაც ედვარდ ჯ. რობინსონი გამახსენა.

საოცარია! მართლაც როგორ ჰგავდა! დაუჯერებელია! მასავით წვეტიანი ცხვირი, წვრილი კბილები და ლოყაზე მეჭეჭი. მაგრამ ამას მელოტი თავი და დიდი ულვაშები აქვს. ესეც თქვენი სუსტად განვითარებული ქვეყნის უიმედო სოციოლოგია! ჩვენს ხელთ არსებული ქმნილება ორიგინალის ცუდი ასლია, მისგან მელოტი თავით, ულვაშებით, დემოკრატიითა და მრეწველობით განსხვავდება. მე და ყალბმა რობინსონმა ერთმანეთს თვალი თვალში გავუყარეთ. ერთბაშად გული გადამიშალა: ბატონო, ნეტა იცოდეთ, როგორ მიჭირს ცხოვრება, სხვა კაცის უღიმღამო ასლი რომ ვარ. ჩემი ცოლ-შვილი სულ ნამდვილი რობინსონის ყურებაშია. დროდადრო აღმოაჩენენ, რომ ჩემი რომელიმე ნაკვთი რობინსონისას არა ჰგავს და საყვედურებით მიკლებენ. ალაჰის გულისათვის, მიბრძანეთ, არ შეიძლება, კაცი მხოლოდ თავის თავს ჰგავდეს? ერთი ის რობინსონი ცნობილი მსახიობი არ იყოს, ვნახავდი, რა ნაკლს მიპოვიდნენ?

მაშინ სხვა მაგალითს მოძებნიდნენ, აღმოაჩენდნენ და იმის გამო გაგამტყუნებდნენ, იმას რატომ ჰგავხარო, – ვთქვი გუნებაში.

მართალი ბრძანდებით, ბატონო, თქვენც სოციოლოგი თუ რაღაც ბრძანდებით? იქნებ – პროფესორი? არა, დოცენტი. მოხუცმა რობინსონმა წაიღო თავისი ბრინჯა და დუქნიდან გავიდა. ნელა მიდიოდა. მეც ავიღე ლუდი. შინ ვბრუნდები. საკმაოდ გაძლიერებული ქარი აივნებზე გამოფენილ საბანაო კოსტიუმებს აფრიალებს, ამაოდ აკაკუნებს ფანჯარაზე.

შინ მივედი. ლუდის ბოთლები მაცივარში შევაწყე. როცა მაცივრის კარს ვხურავდი, ეშმაკმა მაცდუნა და თავი ვეღარ შევიკავე, მშიერ კუჭზე ერთი ჭიქა არაყი დავლიე. ვითომ წამალი დამელიოს. ნილგუნთან წავედი. მელოდებოდა, სასეირნოდ უნდა წავსულიყავით. თმებსა და წიგნების ფურცლებს ქარი უწეწავდა. უბანში სანახავი აღარაფერია, მანქანით გავიაროთ-მეთქი. ზემოთ ავედი გასაღების ჩამოსატანად. ჩემი რვეულიც ხელს გამოვაყოლე. სამზარეულოდან თითო ბოთლი წყალი, არაყი და ლუდი წამოვიღე. ბოთლის გასახსნელიც არ დამვიწყებია. ნილგუნმა დაინახა, რაც მიმქონდა და ისე შემომხედა, თითქოს მეუბნებოდა, ჩაგეზიარებიო. მერე გაიქცა და რადიო მოარბენინა. მანქანა კვნესითა და ხველებით ამუშავდა.

პლაჟიდან წამოსულ ხალხში ნელა გავიარეთ. უბნიდან რომ გავდიოდით, სადღაც შორს მეხი ჩამოვარდა. ხმამ კარგა ხნის მერე მოაღწია.

– სად წავიდეთ? – ვკითხე მერე.

– იმ შენს ქარვასლაში, სადაც შავი ჭირით შეპყრობილებს უცხოვრიათ, – მიპასუხა ნილგუნმა, – შავი ჭირის საბრძანებელში.

– არსებობდა თუ არა ასეთი ქვეყანა, დარწმუნებული არცა ვარ, – ვუთხარი დაეჭვებულმა.

– ძალიან კარგი, – მითხრა ნილგუნმა, – წახვალ, ნახავ და ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტ.

– ერთხელ და სამუდამოდ... – ჩავილაპარაკე. ამ დროს ნილგუნმა დაამატა:

– იქნებ, სწორედ მაგ გადაწყვეტისა გეშინია?

– შავი ჭირის ღამეები და სამოთხის დღეები, – ჩავიბუტბუტე.

– რომანს კითხულობ? – მკითხა ნილგუნმა.

– იცი, რა გითხრა? შავ ჭირზე ფიქრმა თანდათან შემიპყრო. გუშინღამ გამახსენდა, სადღაც წამიკითხავს: როცა კორტესმა მცირე ლაშქრით აცტეკები დაამარცხა და მეხიკო-სიტი აიღო, შავი ჭირი გაჩნდა. აცტეკებმა იფიქრეს, ღმერთი კორტესის მხარეს არისო.

– ძალიან კარგი, – მითხრა ნილგუნმა, – შენც ჩვენს შავ ჭირს იპოვი. სხვა რამეს დაუკავშირებ, კვალდაკვალ მიჰყვები.

– ერთიც ვნახოთ და, არაფერიც არ ყოფილა?!

– მაშინ აღარ მიჰყვები.

– თუ არ მივყვები, რას გავაკეთებ?

– რასაც ყოველთვის აკეთებ – ისტორიას შეისწავლი.

– მეშინია, ვაი თუ ვეღარ შევძლო.

– რატომ არ გინდა დაიჯერო? კარგი ისტორიკოსი ხარ!

– იმიტომ, რომ ვიცი, თურქეთში კაცი კარგი ვინმე ვერ გახდება.

– მართალი არა ხარ.

– მართალი ვარ. გაიგე, ბოლოს და ბოლოს! ასეთი ქვეყანა გვაქვს. არაყი მომაწოდე!

– ა-ა-რა! რა დროს არაყია! ნახე, რა ლამაზია აქაურობა. ძროხები. ჯენეთ დეიდას ძროხები. გახსოვს ჯენეთ დეიდას ძროხები?

– ძროხები! – ავყვირდი ერთბაშად, – ძროხებივით ტიპები. პრიმიტიული არსებები! ალაჰმა დასწყევლოს! – მერე გადავიხარხარე. მაგრამ ნაძალადევი იყო ეს ხარხარი, არაბუნებრივი.

– საბაბს ეძებ, ხელი რომ ჩაიქნიო, არა? – მითხრა ნილგუნმა.

– დიახ, ვეძებ, მომეცი არაყი!

– რად გინდა ასე უმიზეზოდ ყველაფერზე ხელის ჩაქნევა? ნუთუ თავი არ გეცოდება?

– რატომ უნდა მეცოდებოდეს? რითი ვჯობივარ უამრავ ადამიანს, ვისაც ცხოვრებაზე ხელი ჩაუქნევია?

– მაგრამ, ჩემო ბატონო, თქვენ ხომ ასეთი ნასწავლი ხართ? – მითხრა ნილგუნმა დაცინვის კილოთი.

– არადა, გინდა, სერიოზულად მითხრა ეგ ყველაფერი, მაგრამ ვერ გაგიბედავს.

– მართალი ხარ, – მითხრა ნილგუნმა ამჯერად სერიოზულად, – დიახ, სრულიად უმიზეზოდ რატომ უნდა გაიტეხო გული?

– არცთუ უმიზეზოდ. როგორც კი საკუთარ თავზე ხელს ჩავიქნევ, მაშინვე რეალური ადამიანი გავხდები.

– შენ ახლაც რეალური ხარ, – მიპასუხა ნილგუნმა. ეტყობოდა, თავადაც არ იყო დარწმუნებული.

– ჭეშმარიტად რეალური ვიქნები. გესმის? ახლა ასეთი არა ვარ. საკუთარი თავის მბრძანებელი არა ვარ. ადამიანი, რომელიც ყოველ წუთს თავს დაკითხვას უწყობს, თურქეთში რეალური ვერ იქნება, უეჭველად ჭკუიდან გადადგება. თუ გინდა, რომ თურქეთში არ გაგიჟდე, ყველაფერზე ხელი უნდა ჩაიქნიო.

– ბოლოს და ბოლოს, მაძლევ არაყს?

– ინებე!

– როგორც იქნა! შენი მიმღებიც ჩართე!

– მოგწონს უფროსი ძმის როლის თამაში?

– არაფერსაც არ ვთამაშობ. ესა ვარ, რაცა ვარ – მე თურქი ვარ.

– სად მივდივართ?

– ზემოთ, – ვუპასუხე. რატომღაც ვღელავდი, – ისეთ ადგილზე, საიდანაც ყველაფერს კარგად დავინახავთ, ყველაფერს ერთად.

– რა „ყველაფერს?“

– ყველაფერს ერთბაშად და ერთად დავინახავ, იქნებ...

– რა იქნებ? – მკითხა ნილგუნმა, მაგრამ გავჩუმდი.

გავჩუმდი, გავჩუმდით. ისმაილის სახლის წინ გორაკზე ავედით. დარიჯას გზაზე შევუხვიე. სასაფლაოს ჩავუარე, ცემენტის ფაბრიკის უკან, ძველ საურმე გზაზე გადავედი და რყევა-რყევით ავედით წვიმით ჩამორეცხილ აღმართზე. ამ დროს წამოწინწკლა. „ანადოლი“ გადასახედისაკენ მოვაბრუნე. მანქანაში ვისხედით, როგორც ის ახალგაზრდები, ერთმანეთის საკოცნელად ჯენეთჰისარიდან აქ მანქანებით რომ ჩამოსულან. რა ქნან? ცხოვრების თურქული წესის დავიწყება უნდათ.

ვუყურებდით უსწორმასწორო ნაპირს – თუზლადან ჯენეთჰისარამდე გადაჭიმულს. ფაბრიკები, საკურორტო სოფლები, გაქრობის პირას მისული ზეთისხილის ჭალა, ბლის ხეები, სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, მდელო, სადაც ფათიჰი გარდაიცვალა, ბარჟა ზღვაში, ხეები, სახლები, ჩრდილები – ყველაფერი ჩაკარგულიყო წვიმაში, რომელიც თუზლას კონცხიდან ჩვენკენ მძიმე-მძიმედ მოიწევდა.

ვხედავდით თავსხმა წვიმის თეთრ კვალს ზღვის ზედაპირზე. იგი ოდნავ თრთოდა. ბოთლის ძირში დარჩენილი არაყი ჭიქაში ჩავცალე და დავლიე.

ნილგუნმა მითხრა, კუჭს გაინადგურებო.

– რას ფიქრობ, ცოლმა რატომ მიმატოვა?

წამით სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ნილგუნმა ფრთხილად, გაუბედავად თქვა:

– ასე მეგონა, თქვენ ერთმანეთი მიატოვეთ.

– არა, მხოლოდ მან მიმატოვა, იმიტომ, რომ ვერ იქნა და ვერ მივუახლოვდი მისთვის სასურველ ადგილს. როგორც ეტყობა, მიხვდა – ერთი ჩვეულებრივი, რიგითი ვინმე ვიყავი.

– არა, გენაცვალე!

– ეგრეა, ეგრე!

– წვიმას უყურე!

– არ მესმის.

– რა არ გესმის? წვიმა?

– არა, – მიპასუხა ნილგუნმა ძალიან სერიოზულად.

– იცი, ვინ არის ედვარდ რობინსონი?

– ვინ იყო?

– მსახიობი, რომლის ორეული თურქეთში ვნახე. გაიგე რამე?

– არა.

– თუ დალევ, გაიგებ. რატომ არა სვამ? გგონია, ალკოჰოლი მარცხის სიმბოლოა?

– არა, არა მგონია.

– გგონია. ვიცი. გეგონოს. მეც ხომ დავნებდი.

– მაგრამ ჯერ არც ერთ ომში რომ არ ჩაბმულხარ?! – მითხრა ნილგუნმა.

– ორი სულით ცხოვრებას ვეღარ ვუძლებ და იმიტომ ვნებდები. ზოგჯერ მგონია, რომ ორი კაცი ვარ. შენ დაგმართნია როდისმე?

– არა, არასოდეს.

– მე – ხშირად. მაგრამ უკვე გადავწყვიტე, მორჩა! ერთი კაცი ვიქნები. მთლიანი, ჯანსაღი ადამიანი. მომწონს ტელევიზორში გატენილი მაცივრების, ნოხების რეკლამების ყურება. ისიც, გამოცდაზე ჩემი სტუდენტები ხელს რომ აიწევენ და მეკითხებიან: მასწავლებელო, შეიძლება მეორე კითხვას ვუპასუხოო? გაზეთების ილუსტრირებული გვერდებიც, ერთმანეთს გადახვეული მთვრალი ტიპები, ავტობუსში

გამოფენილი ძეხვისა და სასწავლებლების რეკლამები, ყველაფერი მომწონს. გაიგე?

– ცოტა, – მიპასუხა შეწუხებულმა ნილგუნმა.

– თუ მოგბეზრდა, გავჩუმდები.

– რას ამბობ?! მაინტერესებს.

– ძალიან წვიმს, არა?

– დიახ.

– დავთვერი.

– ასე ცოტათი არ თვრებიან.

ერთი ლუდის ბოთლი ავიღე, გავხსენი და მოვიყუდე.

– რას ფიქრობ ახლა, როცა ყველაფერს ზემოდან უყურებ?

– ყველაფერი არ ჩანს, – მხიარულად მიპასუხა ნილგუნმა.

– დანახვა რომ შეგძლებოდა? „ქება სისულელისა“ წერს: ვინმე მთვარეზე თუ ავიდოდა და იქიდან ერთი წუთით დაინახავდა სამყაროს ყველა მოძრაობას, ყველაფერს – რას იფიქრებდა?

– ყველაფერი როგორი არეულ-აბურდულიაო.

– ჰო, – ვთქვი და ერთბაშად გამახსენდა. ეს „ქაოსი წარმოიდგინე და ყველაფერი აწეწილი მოგეჩვენება“.

– ვისია?

– აჰმედ ნედიმისა[68]. ერთი ღაზელის[69] თაჰმისია[70]. შემთხვევით წავაწყდი და დამამახსოვრდა.

– ერთხელ კიდევ წაიკითხე, რა.

– კარგად არ მახსოვს. მეხსიერება არ მივარგა. თანაც ევლიას ვკითხულობ; როგორ გგონია, მისნაირები რატომ არა ვართ?

– როგორები?

– იმ კაცს მხოლოდ ერთი კაცის სული აქვს. უნარი შესწევს ის იყოს, ვინც არის. მე არ შემიძლია. შენ შეგიძლია?

– არ ვიცი, – მიპასუხა ნილგუნმა.

– როგორი ფრთხილი ხარ. წიგნებს გარეთ ერთი ნაბიჯი ვერ გადაგიდგამს, შიშით გული გაგისკდება. ყოჩაღ! დაიჯერე! გჯეროდეს! მათაც სჯეროდათ, დაიჯერეს... მაგრამ ერთხელაც იქნება, ველარ დაიჯერებენ... შეხედე, ფაბრიკაც უკვე წვიმაში ჩაიძირა! რა უცნაური რამ არის სამყარო...

– რატომ?

– არ ვიცი. თავი მოგაბეზრე.

– არაააა!

– ნეტავ, რეჯეფი წამოგვეყვანა.

– არ წამოვიდოდა.

– ჰო, რცხვენია.

– რეჯეფი ძალიან მიყვარს, – თქვა ნილგუნმა.

– დიკენსის რომანის გაიძვერა ჯუჯა...

– აბი, ძალიან სასტიკი ხარ.

– გუშინ უსქუდარის ისტორიის შესახებ რაღაცის კითხვა უნდოდა.

– რა გკითხა?

– ვერა მკითხა. როგორც კი უსქუდარი ახსენა, მაშინვე ევლია ჩელები გამახსენდა. „უსქუდარი“ დეფორმირებული „ესქი დარიაო“, ამბობს. სინამდვილეში კი „საპყრობილეს ღია კარია“.

– რეჯეფმა მაგაზე რა გიპასუხა?

– ალბათ, „ძველი კარი“ გაიგო. სხვა – ვერაფერი, შერცხვა და გაჩუმდა. სამაგიეროდ, ნახე, დღეს რა მომცა!

– სასტიკი ხარ!

– ჩვენი პაპის დაწერილია. სია იმისა, რაც თურქეთში უზომოდ ბევრია და იმისა, რაც არ გაგვაჩნია. რატომ? – გაუგებარია.

გადავწვდი და ჩემი რვეული ავიღე. ის ქაღალდი რვეულში მედო.

– საიდან გაჩნდა ეგ ქაღალდი?

– აკი გითხარი, რეჯეფმა მომცა, – ვუპასუხე და კითხვა დავიწყე: – მეცნიერება, შლაპა, მხატვრობა, ვაჭრობა, წყალქვეშა ნავი...

– რაო?

– ეს ის არის, რაც არა გვაქვსო.

– რეჯეფის ძმისშვილი, ჰასანი, გახსოვს?

– არა.

– ის ჰასანი მითვალთვალებს.

– სია წავიკითხო?

– გეუბნები, ჰასანი სულ უკან დამდევს-მეთქი.

– შენი დევნა რაში სჭირდება? წყალქვეშა ნავი, მხატვრობის ხელოვნება, წყლის ორთქლი, ჭადრაკი, ზოოპარკი...

– მეც არაფერი მესმის...

– შენ შინიდან არ გადიხარ და როგორ დაგდევს?..

– ფაბრიკა, პროფესორი, დისციპლინა.

– სასაცილოა, არა?

– სასაცილო კი არა, ტრაგიკულია.

– ყოველთვის, როცა პლაჟიდან ვბრუნდები, ჰასანი უკან მომყვება.

– იქნებ, შენთან დამეგობრება უნდა?

– ჰო, ეგრე თქვა.

– ნახე? ახლა მომისმინე, კაცმა დიდი ხნის წინათ იფიქრა იმაზე, რაც გვაკლია.

– მოსაბეზრებელია.

– რა არის მოსაბეზრებელი? მომისმინე: ზოოპარკი, ფაბრიკა, პროფესორი... მე თუ მკითხავ, პროფესორები უკვე საკმარისად გვყავს. მერე დისციპლინა, მათემატიკა, წიგნი, პრინციპი, ქვაფენილი და სხვა მელნით „სიკვდილის შიში და არარაობის შეგნება“ მიუწერია. შემდეგ – კონსერვი, თავისუფლება...

– აბი, გეყოფა!

– უნდა დაემატოს სამოქალაქო საზოგადოება.

– იქნებ, უყვარხარ?

– შეიძლება.

– აი, ეს კი საჭიროზე მეტი რაც გვაქვს, იმის სიაა: ადამიანი, გლეხი, მოხელე, მუსლიმი, სამხედროები, ქალი, ბავშვი...

– სულაც არ მეცინება...

– ყავახანა, პროტექცია, სიზანტე, თავგასულობა, ქრთამი, შიში, ბარგის მზიდავი... ეს კაცი დემოკრატიც კი არ ყოფილა... მინარეთი, მინარეთის აივანი, კატა, ძაღლი, სტუმარი, ნაცნობ-მეგობრები, ბაღლინჯო, ფიცი, ბოთე, მათხოვარი...

– გეყოფა!

– ნიორი, ხახვი, მოსამსახურე, ხელოსანი... ეს ყველაფერი ზედმეტიც კი ჰქონიათ...

– გეყოფა!

– პატარა დუქანი, იმამი...

– იგონებ რაღაცას!..

– არა, აიღე, წაიკითხე!

– ძველი ნაწერია...

– დღეს რეჯეფმა მაჩვენა. წაიკითხეო, მითხრა. პაპაჩვენს მიუცია.

– რატომ მიუცია?

– არ ვიცი...

– ამ წვიმას უყურე, ერთი! ეს თვითმფრინავის ხმა არ არის?

– დიახ, თვითმფრინავის ხმაა.

– ამ ამინდში!

– რა საოცარი რამ არის თვითმფრინავი!

– მართალია!

– ნეტავ შიგ ვისხდეთ...

– აბი, მომეწყინა. დავბრუნდეთ.

– ჩამოვარდებოდა.

– დავბრუნდეთ!

– ჩამოვარდებოდა, დავიხოცებოდით. საიქიო არსებობს თურმე.

– აბი, მომბეზრდა-მეთქი, – გეუბნები.

– არსებობს და იქ ყველაფრისთვის მომკითხავენ. შენს მოვალეობას რატომ არ ასრულებდიო? რა იყო შენი მოვალეობაო?

– მარტივი. ადამიანებისათვის იმედის მიცემა.

– სწორია!

– დიახ, ჩემმა დამაც შემახსენა. მაგრამ ჩემს თავზე აღარ ვფიქრობ, ხელი ჩავიქნიე.

– არა, თავს აჩვენებ, ვითომ ხელი ჩაიქნიე.

– აბი, თუ გინდა, მანქანას მე წავიყვან.

– იცი?

– შარშან რაღაცეები ხომ მაჩვენე.

– შარშან ვიყავი?

– რეჯეფი გველოდება...

– აბი, საკმარისია!..

– ჩემი ცოლიც სულ მაგას ჩამჩიჩინებდა: ფარუქ, საკმარისია!

– ისეთი მთვრალი ხარ, თვალებს არ ვუჯერებ.

– მართალი ხარ. საერთოდ არაფერია დასაჯერებელი. წამოდი, სასაფლაოზე წავიდეთ.

– აბი, დავბრუნდეთ, გზა ტალახად არის ქცეული.

– წარმოიდგინე, რომ ამ ტალახში წლობით ჩავრჩით.

– მანქანიდან გადავდივარ.

– რაო?

– გადავალ და ფეხით წავალ.

– ნუ სულელობ!

– მაშინ, დავბრუნდეთ.

– მითხარი, ჩემზე რას ფიქრობ?

– ძალიან მიყვარხარ, აბი!

– კიდევ?

– არ მინდა, ამდენს სვამდე.

– კიდევ?

– ასეთი რატომ ხარ?

– რას ნიშნავს „ასეთი“?

– შინ დაბრუნება მინდა.

– მოსაწყენი ვარ? მოიცა, ახლავე გაგართობ. რა იქნა ჩემი რვეული? ყური დამიგდე. ყასაბმა ჰალილმა ოცდაერთი აქჩეს საქონლის ხორცი აწონა. ას ოცი დირჰემი აკლდა, თარიღი – 1023 წლის 13 ზილჰიჯე[71].

– რას ნიშნავს?

– სრულიად ნათელია.

– მსახურმა ისამ თავის პატრონს აჰმეთს 30 ათასი აქჩე, უნაგირი, ცხენი, ორი ხმალი და ფარი მოჰპარა და ვინმე რამაზანს შეეხიზნა.

– საინტერესოა!

– საინტერესოა? რით არის საინტერესო?

– გადავდივარ და შინ ვბრუნდები.

– გინდა, ჩემთან იცხოვრო?

– რა?

– მანქანაში ცხოვრებას კი არ გთავაზობ. ახლა ძალიან სერიოზული ვარ. ყური დამიგდე. დეიდებთან ცხოვრებას

ჩემთან ცხოვრება გერჩიოს. სტამბოლში ჩემს სახლში უზარმაზარი ოთახი ცარიელია. ძალიან მარტო ვარ.

სიჩუმე ჩამოწვა.

– ამაზე არასოდეს მიფიქრია.

– მერე?

– ვფიქრობ, დეიდებს ხომ არ ეწყინებათ?

– კარგი, ვბრუნდებით! – ვთქვი უცებ, მოტორი ავამუშავე, ჯაგრისები ჩავრთე.

25.

თურანიანთა ვისხედით. წუხელ გადაწყვიტეს, კარგად გავერთოთო და კიდეც გაერთნენ, მოეწონათ და დღესაც იმავეს გააკეთებენ.

– შოკოლადი ვის უნდა? – იკითხა თურგაიმ.

– მე, – უპასუხა ზეინებმა.

– შოკოლადიღა გვაკლია, ლამის გავსკდე, – ჩაიბუზღუნა გულნურმა, – ყველას ცხვირ-პირი ჩამოგტირით. ვიცი, რატომაც – ღამენათევები ხართ და იმიტომ. აქ კაცი როგორ უნდა გაერთოს! – წამოდგა და გაგვშორდა, – ფერად სინათლესა და ნელ მუსიკაში ჩაიკარგა. მუსიკა ცდილობდა, სევდიანი ყოფილიყო. ზეინებს პირი შოკოლადით ჰქონდა გამოტენილი.

– გაგიჟდა, – თქვა და გადაიხარხარა.

– არ გაგიჟებულა, მეც მომეწყინა, – თქვა ფათმამ.

– წვიმის ბრალია.

– წვიმასა და სიბნელეში მანქანით გასეირნებას რა სჯობს?

– წავიდეთ, ბავშვებო!

– სხვა მუსიკა მაინც დაედოთ, – თქვა ფუნდამ, – აკი ელვის პრესლის ძველი ფირფიტა მაქვსო?

– „Best of Elvis“? – იკითხა ჯეილანმა.

– ჰო, მიდი, მოიტანე, მოვისმინოთ.

– ამ წვიმაში?

მანქანით ვარ, ჯეილან, წაგიყვან-მეთქი, ვუთხარი.

– შემეშვი.

– მიდი, ჯეილან, მოიტანე ის ფირფიტა!

– ადექი, წამოდი, გოგო!

– კარგი, გოგო, – თქვა ჯეილანმა სიცილით.

მერე მე და ჯეილანმა დავტოვეთ ის უბედურები, სევდიანი და უხამსი მუსიკის ხმაზე რომ თვლემდნენ, შინიდან გამოვედით, გავიქეცით და ჩემი ძმის ძველ „ანადოლში“ ჩავსხედით. წავედით. მივდიოდით და ვხედავდით, როგორ ჩამოდიოდა წვიმის წვეთები ფოთლებზე; ჩემი ძმის მანქანის ძველი, მბჟუტავი ფარებით განათებულ სველ გზას, საქარე მინის საწმენდ ჯაგრისებს, კვნესა-კვნესითა და ბუზღუნით რომ მუშაობდნენ. მანქანა ჯეილანის სახლის წინ გავაჩერე. ჯეილანი მანქანიდან გადმოვიდა და გაიქცა. თვალი გავაყოლე, როგორ პრიალებდა მისი ნარინჯისფერი ქვედაბოლო ფარების სინათლეზე. მერე, როცა ფანჯრებში ერთმანეთის მიყოლებით ინთებოდა სინათლე, წარმოვიდგინე, რომ ჯეილანი ოთახიდან ოთახში დარბოდა და ფირფიტას ეძებდა. მერე ვიფიქრე: რა უცნაური რამ არის სიყვარული! თითქოს აწმყოში არც კი ვცხოვრობ. ერთი მხრივ, მომავალზე ფიქრი არ მშორდება, მეორე მხრივ, იმდენჯერ ვიხსენებ მის ყოველ სიტყვას, ყოველ საქციელს, იმდენს ვფიქრობ მომხდარზე, რომ წარსულშიც ვცხოვრობ. ისიც კი არ ვიცი, ნაძირლები რას არქმევენ სიყვარულს. თუმცა რა მნიშვნელობა აქვს! გათავდეს ღამეები, ატკრეცილი ლოყებისა და არეული ფიქრის დასაურვებლად ბალიშის გრილი კუნჭულის ძებნაში რომ ვათენებ.

ჯეილანი მალე დაბრუნდა. ფირფიტა მოიტანა.

– მე და დედაჩემმა ვიჩხუბეთ. ამ დროს სად მიდიხარო?

ცოტა ხანს ჩუმად ვიარეთ. თურანის სახლს გავცდით. ჯეილანმა დაეჭვებით მკითხა:

– საით?

– იქ მომბეზრდა, – ვთქვი დარცხვენილმა, – იმათთან დაბრუნება არ მინდა. ცოტა გავიაროთ, სუფთა ჰაერი ჩავყლაპოთ.

– კარგი, მაგრამ მალე დავბრუნდეთ, გველოდებიან.

გავჩუმდი. მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით წავედით. ნელა მივდიოდით. თავიანთი პატარა სახლების მკრთალი სინათლით განათებული პატარა აივნებიდან უბრალო ადამიანები უყურებდნენ, როგორ კლებულობდა წვიმა. მათ დანახავაზე ვიფიქრე: რა ბრიყვი ვარ! ჩვენც ხომ შეგვიძლია, ასე ვიყოთ, დავქორწინდეთ, შვილები გვყავდეს...

მერე, როცა დაბრუნების დრო მოვიდა, ერთი სისულელე კიდევ ჩავიდინე: თურანის სახლისკენ კი არ წავედით, პირიქით: მანქანა უბნიდან გავიყვანე და დიდი სიჩქარით შევუდექი აღმართს.

– რას აკეთებო? – მკითხა ჯეილანმა.

თავიდან არაფერი ვუპასუხე. მანქანა გამოცდილი ავტომრბოლელივით მიმყავდა: გზას თვალს არ ვაშორებდი, მერე ვუთხარი: ბენზინის ჩასხმა გვჭირდება-მეთქი. ძალიან ბანალური ტყუილი გამომივიდა.

– არა, დავბრუნდეთ! გველოდებიან.

– ჯეილან, ცოტა ხანს შენთან ყოფნა და ლაპარაკი მინდა.

– რაო? – მკითხა მკაცრად.

– წუხანდელზე რას ფიქრობ?

– არაფერსაც არ ვფიქრობ. ეგეთი რაღაცეები ხდება ხოლმე. ორივენი მთვრალები ვიყავით.

– სულ ეს არის? მეტი არაფერი გაქვს სათქმელი? – ვუთხარი აღშფოთებულმა.

– მეთინ, დავბრუნდეთ, სირცხვილია!

– მე კი არასოდეს დამავიწყდება წუხანდელი ღამე, – ვუთხარი. საკუთარი თავიც მეზიზღებოდა და საკუთარი ყალბი სიტყვებიც.

– ჰო, ბევრი დალიე. ამდენს ნუღარასოდეს დალევ.

– არა, არა! დალევა არაფერ შუაშია!

– მაშ? – მკითხა გულგრილად.

დავიჭირე მისი პატარა, ცხელი ხელი. თურმე სულ ტყუილად მეშინოდა – ხელი არ წაურთმევია.

– წამო, დავბრუნდეთ, – მითხრა.

– მიყვარხარ, – ვუთხარი დარცხვენილმა.

– დავბრუნდეთ.

ლამის ავტირდი. უფრო მაგრად მოვუჭირე ხელზე და, რატომღაც, დედაჩემი გამახსენდა. აქამდე არასოდეს გამხსენებია. შემეშინდა, ცრემლი არ წამომივიდეს-მეთქი, მოხვევა დავუპირე. ამ დროს – ფრთხილადო! – იყვირა ჯეილანმა. მაშინვე საჭე მარჯვნივ მივაბრუნე. გრძელმა საბარგო მანქანამ საყვირის შემზარავი წივილ-კივილით მატარებელივით ჩაგვიქროლა. განერვიულებულმა მხოლოდ მუხრუჭს დავაჭირე. „ანადოლმა“ ითუხთუხა, იძიგძიგა და გაჩერდა. მოტორი ჩაქრა.

– შეგეშინდა? – ვკითხე.

– ახლავე დავბრუნდეთ, ძალიან დავიგვიანეთ.

გასაღები გადავატრიალე. მოტორი არ ჩაირთო. მანქანიდან გადმოვედი, გაგორება ვცადე, არა და არ ჩაირთო. ოფლში გახვითქულმა დიდი გაჭირვებით გადავაგორე გზის სწორ მონაკვეთზე. ჩავჯექი. აკუმულატორი არ დაჯდეს-მეთქი, ფარები გამოვრთე. ძველი „ანადოლი“ დაღმართზე სწრაფად და უხმოდ დავაგორე.

საბურავები სველ ასფალტზე სასიამოვნო შრიალით მისრიალებდა, თითქოს გემი მიცურავსო ღამის წყვდიადში. რამდენჯერმე ვცადე მოტორის ამუშავება, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ამ დროს სადღაც შორს გაიელვა. ცა ყვითლად განათდა. დავინახეთ, ვიღაცეები კედელზე წერდნენ. ისე გავივაკეთ, მუხრუჭს აღარ შევხებივარ. იმავე სიჩქარით რკინიგზის ხიდამდე მივაღწიეთ. მერე კი – ანკარის გზაზე ბენზინგასამართამდე ნელ-ნელა მივსრიალდით. კრინტი არ დაგვიძრავს. მანქანიდან გადმოვედი და შენობაში შევედი. მაგიდაზე ჩამოძინებული გამყიდველი გავაღვიძე და ვკითხე:

– არის ვინმე, „ანადოლისა“ რომ გაეგებოდეს?

– ვითომ „ანადოლი“ რა არის რო? რა გაგება უნდა? მოიცადე!

კედელზე გაკრულ რეკლამას შევხედე. ქალს მანქანის ზეთის ბიდონი ეჭირა. ძალიან ჰგავდა ჯეილანს. გაგიჟებული დავბრუნდი მანქანაში:

– მიყვარხარ, ჯეილან!

– ძალიან ვიგვიანებთ, – ნერვულად მოქაჩა სიგარეტი.

– მიყვარხარ-მეთქი, გეუბნები.

ალბათ, როგორ უაზროდ შევჩერებოდით ერთმანეთს! მანქანიდან გადმოვედი და თითქოს რაღაც მოვიფიქრე – ჩქარი ნაბიჯით გავეცალე იქაურობას. ერთ ბნელ კუთხეში მივდექი და იქიდან ვუყურებდი. ჯეილანს ნეონის ნათურის მოციმციმე სინათლე ეცემოდა. ეს სინათლე ნერვებს მიშლიდა. ჯეილანი გამალებით ეწეოდა. თითქმის ნახევარ საათს ფეხმოუცვლელად ვიდექი. ვაკვირდებოდი ჯეილანს და თავი უკანასკნელ ნაძირალად მიმაჩნდა. მერე იქვე, ბუფეტში შევედი და ყველაზე რეკლამირებული შოკოლადი ვიყიდე. მანქანაში დავბრუნდი, გვერდით მივუჯექი.

– სად დაიკარგე? შემეშინდა. ძალიან ვიგვიანებთ.

– საჩუქარი გიყიდე. აი, ნახე.

– ოჰ, თხილიანი ყოფილა! არ მიყვარს.

ერთხელ კიდევ ვუთხარი, მიყვარხარ-მეთქი, მაგრამ სიტყვები არა მხოლოდ ფუჭი და ულაზათო იყო, არამედ – სასოწარკვეთილებით დამძიმებულიც. გამეორება ვცადე, მერე კი დავემხე გულზე დაკრეფილ მის ხელებს და გაშმაგებით დავუკოცნე. თან იმ ფუჭ და უშნო სიტყვებს ვლუღლუღებდი. მისი მრთოლვარე ხელები მეჭირა, ვკოცნიდი და ვერ გამეგო, რატომ ჰქონდა ხელებზე მლაშე გემო? ცრემლის იყო თუ ოფლისა? მერე თავი ავწიე და სახე სუფთა ჰაერს შევუშვირე.

დაგვინახავენო, წამდაუწუმ იმეორებდა ჯეილანი.

ისევ გადმოვედი მანქანიდან და წავედი. ერთი გერმანელი ოჯახი მანქანაში ბენზინს ასხამდა. სისხლი სახეზე მომაწვა. წამოვჭარხლდი. ნეონის ნათურა, ალბათ, გაფუჭებული იყო:

ხან ქრებოდა, ხან ინთებოდა. ადამიანი შეიძლება მდიდრად დაიბადოს, ან – ღარიბად. ეს ბედისწერის ამბავია და ვერაფერს გააწყობ, ცხოვრების ბოლომდე დამღას გასვამს.

მანქანაში დაბრუნება აღარ მინდოდა, მაგრამ ფეხებმა თავისით მიმიყვანეს. იგივე დაუსრულებელი სისულელე:

– მიყვარხარ!

– წავიდეთ, დავბრუნდეთ! გთხოვ, მეთინ!

– თუ შეიძლება, ცოტა კიდევ მოვიცადოთ, ჯეილან!

– რომ გიყვარდე, ამ კორტოხზე ძალით არ გამაჩერებდი.

– მართლა მიყვარხარ.

მერე დავიწყე იმ სიტყვების ძებნა, რომლებიც ისეთად წარმომაჩენდა, როგორიც სინამდვილეში ვარ. მაგრამ რაც მეტს ვფიქრობდი, უფრო უკეთ ვხვდებოდი: ერთმანეთისგან საბურველი გვფარავდა და ვერანაირი სიტყვა ვერ აგვხდიდა მას. პირიქით – უფრო გვაშორებდა, მიუწვდომელს გვხდიდა.

უიმედოდ მიმოვიხედე. დავინახე, მანქანის უკანა სავარძელზე რაღაც ეგდო. ავიღე. რვეული იყო. ჩემს მთვრალ აბის დარჩენია. ნეონის ნათურების შუქზე გადავხედე. მერე – სიბრაზით არ გასკდეს-მეთქი, – ჯეილანს მივეცი. ტუჩების კვნეტით გადაავლო თვალი და მოისროლა – ისევ უკანა სავარძელზე დააგდო. როგორც იქნა, მექანიკოსი მოვიდა. მანქანა სინათლეზე გადავაგორე და იმ სინათლის ქვეშ დავინახე – სასტიკი და ცივი სახე ჰქონდა ჯეილანს.

მექანიკოს ბიჭთან ერთად მოტორი დავათვალიერე. მერე ის ბიჭი საჭირო ნაწილის საყიდლად რომ წავიდა, შემოვბრუნდი და შევხედე – ჯეილანის სახეზე იგივე სასტიკი და გულცივი გამომეტყველება დავიჭირე. მინდოდა, ისიც დამესაჯა და საკუთარი თავიც. საშინელი ტკივილის განცდა მინდოდა. მაგრამ, დასწყევლოს ალაჰმა! მიყვარს ეს გოგო! გაფუჭებულ „ანადოლს“ ცოტათი მოვცილდი. წამოწინწკლა. ვიდექი და სიყვარულზე ვფიქრობდი. თავში აბდაუბდა ფიქრები მიტრიალებდა. წყევლა-კრულვას ვუთვლიდი პოეტებსა და მომღერლებს: ასე როგორ განადიდეს და აამაღლეს უბედურებისა და ნგრევის მომტანი ეს უკუღმართი გრძნობა. მერე მივხვდი: ამ გრძნობაში არის რაღაც, რასაც ადამიანი

ეჩვევა. ზიზღი დამეუფლა.

ჯეილანის მწყრალ, გამქირდავ მზერას გავერიდე და მექანიკოს ბიჭთან ერთად მანქანის ქვეშ შევძვერი. იქ, ჭუჭყიან, ზეთით გაპოხილ სიბნელეში გაწოლილი ვგრძნობდი, რომ ჯეილანს სულ რაღაც ორმოცდაათი სანტიმეტრი მაშორებდა, მაგრამ წარმოუდგენლად შორს იყო. ერთბაშად მანქანა შეირხა, მივხვდი, ჯეილანი გადმოვიდა. მანქანის ქვემოდან მხოლოდ მის ლამაზ ფეხებს ვხედავდი. წითელმა, მაღალქუსლიანმა ფეხსაცმელმა იქვე, ჩემს თავთან, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ჯერ მარჯვნივ, მერე – მარცხნივ, ბოლოს კი წინ წავიდა ნერვიული და განრისხებული. ჯეილანის ნარინჯისფერი ქვედაბოლო ჩემი მხედველობის არეში მოხვდა. მივხვდი, იგი ბენზინგასამართი კანტორისაკენ მიდიოდა. საჩქაროდ გამოვძვერი. მექანიკოსს ვუყვირე, ჩქარა გააკეთე-მეთქი და ჯეილანს დავედევნე.

როცა შენობაში შევედი, ჯეილანი ტელეფონს უყურებდა, ბენზინის ნამძინარევი გამყიდველი – ჯეილანს.

– ჯეილან, გაჩერდი, მე დავრეკავ-მეთქი, – ვიყვირე.

– ახლა გაგახსენდა? ძალიან დავიგვიანეთ, ვინ იცის, როგორ წუხან, რას აღარ ფიქრობენ. ორი საათია... კიდევ ბევრს ილაპარაკებდა, მაგრამ, ალაჰმა უშველოს! ბენზინგასამართს მანქანა მოადგა, გამმართავი გარეთ გავიდა და მეტისმეტ შერცხვენას გადავურჩი. ტელეფონების ცნობარი გადავშალე და ხელად ვიპოვე თურანის ტელეფონი. ყურმილი ავიღე. ჯეილანი აგრძელებდა: როგორი მოუფიქრებელი ყოფილხარ, სულ არ მცნობიხარო. მე კი ვპასუხობდი: მიყვარხარ და შენი ცოლად შერთვა მინდა-მეთქი. რეკლამასთან იდგა და მრისხანედ იყურებოდა ჩემკენ, ოღონდ მე კი არ მიყურებდა, თვალს არ აშორებდა ყურმილს. რაღაც მზარავდა, არ ვიცი რა – ჯეილანის სახეზე აღბეჭდილი ზიზღი, თუ რეკლამაზე დახატულ ქალთან მისი საოცარი მსგავსება. მაგრამ ყველა უბედურებისათვის მზად ვიყავი! როგორც იქნა, ყურმილი აიღეს. ფიქრეთის ხმა ვიცანი.

– შენა ხარ? ჩვენზე არ ინერვიულოთ. – თან ვფიქრობ: თურანთან იმდენი ხალხია და რაღა მაინცადამაინც ამან მიპასუხა-მეთქი.

– ვინ „თქვენზე“? – მკითხა ფიქრეთმა.

– მე ვარ, მეთინი.

– შენ კი გიცანი, მაგრამ კიდევ ვინ არის?

– ჯეილანი, – ვუპასუხე დაბნეულმა. ერთი წამით ისიც კი ვიფიქრე, ამათ პირი შეუკრავთ და დამცინიან-მეთქი. მაგრამ ჯეილანის შემხედვარე დავრწმუნდი, რომ ვცდებოდი. მას სახეზე ცივი, არაფრისმთქმელი გამომეტყველება შეჰყინვოდა და წამდაუწუმ კითხულობდა: ყურმილი ვინ აიღოო.

– მეგონა, ჯეილანი შინ წაიყვანე, – მითხრა ფიქრეთმა.

– არა, აქ ერთად ვართ, ბენზინგასამართ სადგურში. ნუ შეწუხდებით, მშვიდობით!

– ვინ არის? ვის ელაპარაკები? – არ მაცლიდა ჯეილანი, – მომეცი ყურმილი.

ყურმილს არ ვაძლევდი. მინდოდა ფიქრეთის ამაზრზენ კითხვებზე პასუხი მომესწრო.

– მანდ რას აკეთებთ?

– პატარა რემონტი დაგვჭირდა, – ვუთხარი და მაშინვე დავამატე: – უკვე მოვდივართ. ნახვამდის.

მაგრამ ჯეილანი აყვირდა:

– გაჩერდი! მოიცა! არ გათიშოს! – უნდოდა თავისი ხმა მიეწვდინა: – ვის ელაპარაკები?

ის იყო ყურმილი უნდა დამეკიდა, რომ ფიქრეთმა მკივანა, ცივი ხმით მითხრა:

– ჯეილანს ჩემთან ლაპარაკი ენდომება.

ტელეფონი ვეღარ გავთიშე – გამბედაობა არ მეყო.

ყურმილი ჯეილანს გადავეცი. თავად კი შეურაცხყოფილი, უბედური იმ წყვდიადსა და წვიმაში გარეთ გამოვედი.

ცოტა გავიარე. მაგრამ მალე ცდუნებას ვეღარ გავუძელი და განათებულ ოთახში შევიხედე. იქ, თაროებს, რეკლამებსა და „მობილ-ოილის“ ქილებს შორის, ჯეილანი იდგა და ტელეფონით ლაპარაკობდა. თან ნერვიული მოძრაობით თმებს იწიწკნიდა და ლამაზ ფეხს წამდაუწუმ ინაცვლებდა.

გამწარებულმა ჩავილაპარაკე: ჩემს სიცოცხლეში ასეთი ლამაზი გოგო აქამდე არსად შემხვედრია-მეთქი. ადგილიდან არ ვიძროდი – ვიდექი წვიმაში უმწეოდ და მორჩილად ველოდებიდი, რა განაჩენს გამოიტანდა. ჯეილანმა ყურმილი დაკიდა და გახარებული გამოვარდა:

– საცაა ფიქრეთი მოვა!

– არა, შენ მე მიყვარხარ, მე!

მანქანასთან მივირბინე. მექანიკოსს ვუყვირე: – თუ ახლავე აამუშავებ, რაც ჯიბეში ფული მიდევს, სულ მოგცემ!

– ამუშავებით კი ავამუშავებ, მაგრამ მოტორი ისევ ჩაგიქრება. გზაში დაგტოვებს.

– არა, შენ აამუშავე და არ დამტოვებს.

მექანიკოსმა ერთხანს კიდევ იწვალა. მერე მითხრა, ჩართეო. მაგრამ არ ჩაირთო. ცოტა ხანს კიდევ უჩხიკინა, ისევ მითხრა, ჩართეო. ისევ არ ჩაირთო. ასე რამდენჯერმე გამეორდა. გაგიჟებას აღარაფერი მაკლდა.

– ჯეილან, ჯეილან, ნუ წახვალ, ნუ მიმატოვებ! უშენოდ რა მეშველება?!

– ნერვები დაიოკე, – გამიწყრა ჯეილანი.

ცოტაც და, ფიქრეთის „ალფა-რომეოც“ მოსრიალდა. თავი შევიკავე, მანქანიდან გადმოვედი.

– ჩქარა წავიდეთ აქედან, ფიქრეთ! – უთხრა ჯეილანმა.

– რა სჭირს ამ „ანადოლს?“ – იკითხა ფიქრეთმა.

– ახლავე ამუშავდება. ჯენეთჰისარში მაგაზე ადრე ვიქნები, ჯეილან. ფიქრეთ, გინდა, გავეჯიბროთ?

– კარგი, გავეჯიბროთ! – მითხრა ფიქრეთმა გამომწვევად.

ჯეილანი ფიქრეთის „ალფა-რომეოში“ ჩაჯდა. მთელი ძალით დავაწექი „მარშს“ და, მადლობა ალაჰს! მანქანა ამუშავდა. ხელოსანს ათასი ლირა მივეცი, მერე ათასი კიდევ დავუმატე. მანქანები გვერდიგვერდ დავაყენეთ და შეჯიბრებისათვის მოვემზადეთ.

– ფიქრეთ, ფრთხილად. მეთინი განერვიულებულია, – უთხრა ჯეილანმა.

– თურანის სახლამდე! – თქვა ფიქრეთმა და თვლა დაიწყო – ერთი, ორი... როგორც კი თქვა სამიო, ჩვენი მანქანები ბღუილით მოსწყდნენ ადგილს და ისრებივით გავცივდნენ. ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს! გაზს ბოლომდე დავაჭირე, მაგრამ ფიქრეთმა გამასწრო. ასე უკეთესიც კია – უკან მივყვები, სიგნალს ვაძლევ და შორი განათების ფარების წყალობით ამ დანჯღრეული „ანადოლითაც“ კი კვალში ვუდგავარ. არა, ჯეილან, ამ ტიპთან შენი მარტო დამტოვებელი არა ვარ. ხიდზე რომ გადავდიოდით, უფრო მივუახლოვდი, მაგრამ მოსახვევში, გორაკის თავზე, სიჩქარის მოკლების ნაცვლად, უფრო მეტად დავაჭირე გაზს. ვიცი, ბანალურად მოგეჩვენებათ, მაგრამ კაცმა ასეთ გოგოს რომ თავი შეაყვაროს, ღირს სიკვდილს თვალი გაუსწოროს. მაგრამ აი, უსამართლობა! შენ იმ ლაჩარი ტიპის მანქანაში ზიხარ! იმან კი მოსახვევში მუხრუჭს დააჭირა. მუხრუჭის ნათურები აინთო. როგორც კი მარცხნიდან გასწრება დავაპირე, მიმუხთლა და გზას არ მაძლევს. ალაჰ! რა საცოდავი ვარ! ერთბაშად გავოცდი: ჯერ გადაცემა შეამცირა, მერე გაზს უმატა და მაშინვე მისი „ალფა-რომეო“ რაკეტად იქცა, წარმოუდგენელი სიჩქარით აიჭრა აღმართზე და წუთში თვალს მოეფარა. ოი, ალაჰ! რაც ძალი და ღონე მქონდა, ვაწვებოდი გაზს, მაგრამ ჩემი მანქანა სრულიად უგრძნობელი იყო: საზიდრის სიჩქარით, ოღროჩოღრო გზაზე რყევით, ოხვრა-ვაებით მიბობღავდა აღმართზე. ბოლოს, ბორბლები სულ აღარ დაემორჩილა ძრავას. ვიფიქრე, ეს მაინც არ გადაიწვას-მეთქი, და გამოვრთე. დავრჩი შუა აღმართზე სამარისებურ სიჩუმეში მარტოდმარტო. ირგვლივ მხოლოდ წყეული ჭრიჭინები!

რამდენჯერმე ამაოდ ვცადე ძრავის ამუშავება. მივხვდი: მათ რომ დავწეოდი, მანქანა აღმართის ბოლომდე მიწოლით უნდა ამეთრია და მერე გორაკის მეორე მხრიდან ჯენეთჰისარამდე დამეგორებინა. ლანძღვა-გინებით დავიწყე მანქანის აღმართზე აგორება. ამასობაში წვიმამ გადაიღო. ოფლში გავიხვითქე. წელის ტკივილს ძლივს ვუძლებდი. ისევ წამოწვიმა. ტკივილი აუტანელი გახდა. ხელის მუხრუჭი მოვწიე, მანქანას ზიზღით ამოვკარი წიხლი. დავინახე, აღმართზე მანქანა ამოდიოდა. ხელი ავუქნიე, მაგრამ არ შეჩერებულა, საყვირი ჩართო და მხიარულმა ჩამიქროლა. სადღაც შორს ისევ დაიქუხა. ტკივილისაგან ვტიროდი. მანქანას ვაწვებოდი და თან

ტკივილის დასავიწყებლად ზიზღით ვფიქრობდი მათზე. მერე კი, როცა აღმოვაჩინე, ამდენი წვალებით რა პატარა მანძილი გამევლო, თავზარი დამეცა, ადგილიდან მოვწყდი და გავიქეცი, გზის გასწვრივ მივრბოდი. წვიმამ იმატა. მოკლეზე მოვჭრიმეთქი, ვიფიქრე და ბლის ბაღში გადავუხვიე, მერე ვენახშიც შევიჭერი, მაგრამ უკუნ ღამეში, თანაც საფლობ ტალახში როგორ ვირბენდი?! წელისა და ელენთის ტკივილით ორად ვიყავი მოკეცილი. ამ დროს ძაღლების გაავებული ყეფა და ყმუილი შემომესმა. ხმა თანდათანობით ახლოვდებოდა. მანქანაში შევძვერი. დაღლილი, ტალახში ამოსვრილი დავემხე მანქანის საჭეს: მიყვარხარ...

ცოტა ხნის შემდეგ სამი კაცი გავარჩიე: ლაპარაკ-ლაპარაკით თავქვეზე ეშვებოდნენ. მანქანიდან იმედმოცემული გადმოვხტი, მაგრამ როგორც კი ის კაცები გამისწორდნენ, მივხვდი, ვინც იყვნენ და შემეშინდა. ერთს – ზორბას – საღებავის ქილა ეჭირა; მეორე ულვაშა იყო, მესამეს პიჯაკი ეცვა.

– ამ შუაღამისას აქ რას აკეთებ? – მკითხა ულვაშამ.

– მანქანა გამიფუჭდა. თუ შეიძლება, მომეხმარეთ, თქვენც მოაწექით.

– ცხენები გგონივართ, თუ მამაშენის მოჯამაგირეები? აი, თავქვე. მიდი და დააგორე!

– მოიცა, მოიცა, – თქვა პიჯაკიანმა, – ახლა გიცანით, ბატონო ჩემო!.. გახსოვთ, ამ დილას კინაღამ გაგვიტანე?

– როგორ? ჰო, დიახ! თქვენ იყავით? მაპატიე, ძმაო.

პიჯაკიანმა წრიპინა ხმით გაიმეორა – თავისი ჭკუით, დამცინა – „მაპატიე, საყვარელო, დილას კინაღამ გაგიტანე“. რომ გაგეტანე, რა მოხდებოდა?!

– ბიჭებო, წავიდეთ, დავსველდებით! – თქვა ულვაშამ.

– მე ამასთან ვრჩები, – თქვა პიჯაკიანმა, წავიდა და მანქანაში ჩაჯდა: – მოდით, ბიჭებო, ჩასხედით!

ულვაშამ და ზორბამ ცოტა ხანს ფეხი აითრიეს, მერე უკანა სავარძელზე დასხდნენ, მე საჭესთან დავჯექი, პიჯაკიანი გვერდით მომიჯდა. წვიმამ იმატა.

– ხომ არ გაწუხებ, საყვარელო? – მკითხა პიჯაკიანმა.

პასუხად გავუღიმე.

– ყოჩაღ! ეს ბიჭი შემიყვარდა. ხუმრობა ესმის, გულადი ბიჭია. ერთი გვითხარი, რა გქვია?

ვუთხარი.

– მოხარული ვარ, ბატონო მეთინ. მე სერდარი ვარ, ეს – მუსტაფა. ამ გონებაჩლუნგ დათვს „ტურას“ ვეძახით, ისე ჰასანი ჰქვია.

– ტურა იქნება, რომ მოგხვდება! – ჩაიბურდღუნა ჰასანმა.

– რა მოხდა? ერთმანეთი არ გავიცნოთ?

ხელი გამომიწოდა, მეც გავუწოდე, დამიჭირა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მომიჭირა, თვალებიდან ნაპერწკლები მაყრევინა. სხვა რა გზა იყო, მეც მოვუჭირე. იკადრა და ხელი გამიშვა.

– ყოჩაღ, ღონიერი ყოფილხარ, მაგრამ მე ვერ მაჯობებ.

– სად სწავლობ? – მკითხა მუსტაფამ.

– ამერიკულ ლიცეუმში.

– პრივილეგირებულ ლიცეუმში, არა? – მითხრა სერდარმა.

– ჩვენი ტურა ერთ შენი წრის ქალზე აფრენს.

– ისევ არ დაიწყო! – უყვირა ჰასანმა.

– მოიცა ერთი, იქნებ გზა გასწავლოს. ესეც ერთი მათგანია, არა? რა გაცინებს?

– არ ვიცინი.

– იცინი და ვიცი, რაზეც. აქაოდა მდიდარი ქალი შეჰყვარებიაო, ამ ბრიყვს დასცინი. ასე არ არის, ბიჭო?

– შენც ხომ იცინოდი?

სერდარი აღრიალდა:

– მე რას მედრები! მე გავიცინებ, მე მისი ამხანაგი ვარ, არ ვამცირებ. შენ ამცირებ, ზემოდან უყურებ. რა მოხდა ვირო, ვირიშვილო, შენს სიცოცხლეში არავინ გყვარებია?

შემაგინა კიდეც. არ ვუპასუხე. ამაზე გაბრაზდა, გადაირია და მანქანის სალონი სულ აურ-დაურია. დაზღვევის ქაღალდებს წასწვდა და კითხვა დაიწყო. ხარხარი ატეხა, თითქოს მათში რამე ყოფილიყო სასაცილო. სულ ყვირილ-ყვირილით ჩაიკითხა, გაიგო, მანქანა ჩემი არ იყო და მასხარად ამიგდო. მერე ერთბაშად მკითხა:

– იმ მანქანებით იმ გოგოებთან ერთად შუაღამისას რას აკეთებდით?

არ ვუპასუხე, მხოლოდ ჩავიქირქილე, როგორც ვიღაც უზრდელმა, ნაძირალა ტიპმა.

– უნამუსოებო! კარგად კი იქცევით, აი! წუხელ შენთან რომ გოგო იყო, შენი შეყვარებულია?

– არა, – ვუთხარი შეწუხებულმა, – არ არის.

– არ მოგვატყუო, – გამაფრთხილა სერდარმა.

წამით დავფიქრდი, მერე ვუთხარი:

– ჩემი დაა. დიდედა ავად გაგვიხდა. წამალს ვეძებდით.

– პლაჟის პირდაპირ ერთი აფთიაქია, იქ გეყიდათ.

– დაკეტილი იყო.

– ტყუი, ის აფთიაქი არასოდეს იკეტება. პატრონი კომუნისტია, იცოდით?

– არ ვიცოდით.

– მდიდარ გოგოებთან სიარულის გარდა, კიდევ რა იცი?

– ჩვენ ვინა ვართ, იცი? – მკითხა მუსტაფამ.

– ვიცი. ნაციონალისტები ხართ.

– ყოჩაღ! – მითხრა მუსტაფამ, – ჩვენი საზურუნავი რა არის, ისიც იცი?

– ნაციონალიზმი და კიდევ რაღაცეები.

– „რაღაცეები“ რა თქმაა, ბიჭო?!

– ალბათ, ეს ბიჭი თურქი არც არის, – თქვა სერდარმა, – შენ თურქი ხარ, ბიჭო? დედაშენი, მამაშენი თურქები არიან?

– თურქი ვარ.

– მაშინ აქ რა ხდება? – იკითხა სერდარმა და ფირმიტა მაჩვენა. ჯეილანს დარჩენოდა, თან დამარცვლით წაიკითხა: „Best of Elvis“.

– ფირფიტა უნდა იყოს.

– თავს ნუ იგდებ! – მიყვირა სერდარმა, – ამ ფირფიტას თურქის მანქანაში რა უნდა?

– მე არ მაინტერესებს, ჩემი დისაა, მანქანაში დარჩენია.

– ანუ, დისკოთეკასა და ეგეთ რაღაცეებზე არ დადიხარ?

– ძალიან იშვიათად.

– კომუნიზმის წინააღმდეგი ხარ?

– წინააღმდეგი ვარ.

– მაინც, რა არ მოგწონს?

– იცი, აი...

– არა, მე არაფერიც არ ვიცი, შენ ახლა იტყვი და ჩვენც ვისწავლით.

– ეს ამხანაგი ძალიან მორცხვი ჩანს, კრინტს არა ძრავს, – თქვა სერდარმა.

– მშიშარა ხარ? – მკითხა მუსტაფამ.

– არა მგონია.

– არა ჰგონებია! ბრიყვო, თუ მშიშარა არა ხარ, რატომ არ ებრძვი კომუნისტებს?

– შემთხვევა არ მომცემია. სანამ თქვენ გაგიცნობდით, ნაციონალისტები არც კი მენახა.

– ახლა ხომ გვნახე. მოგწონვართ?

– მომეწონეთ.

– ჩვენიანი ხარ! ხვალღამ რომ გავალთ, შენც წაგიყვანოთ?

– რასაკვირველია, მოდით, წამიყვანეთ.

– ხმა ჩაიწყვიტე, ლაჩარო, თაღლითო! როგორც კი ჩვენგან თავს დაიხსნი, პოლიციაში გაიქცევი, არა?

– გეყოფა, სერდარ, კარგი ბიჭი ჩანს, – უთხრა მუსტაფამ, – ახლა ჩვენგან მიპატიჟებასაც მიიღებს.

– სპორტისა და საგამოფენო სასახლეში საღამოს ვაწყობთ, მოხვალ?

– მოვალ. ფული რამდენია საჭირო?

– ფული ვინმემ გიხსენა?

– კარგი, სერდარ, თუ ყიდვა უნდა, იყიდოს, გადაიხადოს ბიჭმა. არ გვაწყენს.

სერდარმა თავაზიანად იკითხა:

– რამდენს ინებებთ, ბეიფენდი[72]?

– ხუთასი ლირისა იყოს.

საფულიდან საჩქაროდ ვიღებდი ფულს.

– ეგ საფულე გველის ტყავისაა? – იკითხა მუსტაფამ.

– არა!

ხუთასი ლირა სერდარს გავუწოდე. სერდარმა ფული არ აიღო.

– ერთი, მაგ გველის ტყავზე შემახედე.

– აკი გითხარი, გველი არ არის-მეთქი.

– მომეცი, ადამიანო, ეგ საფულე, ერთი შევხედო.

მივეცი. საფულე პაპანაქება სიცხეში მუშაობით ნაშოვნი ფულით იყო გატენილი.

– ყოჩაღ! – თქვა სერდარმა, – გველის ტყავი არ არის, მაგრამ ძალიან მოგვწონს.

– მოიტა, ვნახო. რაღაც გამეგება, – თქვა მუსტაფამ, საფულე აიღო და გადაქექა.

– ეს მისამართების წიგნაკი გჭირდება? ვა! რამდენი ნაცნობი გყოლია! თანაც ყველა ტელეფონიანი. ამდენი ნაცნობის პატრონს პირადობის მოწმობა რაში გინდა? ამას მე წავიღებ.

თორმეტი ათასი ლირა! ამდენ ფულს მამა გაძლევს?

– არა, თვითონ ვიშოვე. ინგლისურსა და მათემატიკაში ვამეცადინებ.

– ნახე, ტურავ, სწორედ საშენოა! ამასაც ამეცადინებ? რასაკვირველია, უფასოდ?

ვამეცადინებ-მეთქი, ვუპასუხე და მაშინღა მივხვდი, ვინ იყო ის ჰასანი, ტურას რომ ეძახდნენ.

– ყოჩაღ! – მითხრა მუსტაფამ, – უკვე მივხვდი, რომ კარგი ბიჭი ყოფილხარ. ამ თორმეტი ათასი ლირით ოცდაოთხი მოსაწვევის ყიდვა შეგიძლია. მეგობრებს დაურიგებ.

– ათასი ლირა მაინც დამიტოვეთ.

– უკვე თავს გვატკივებ! – აყვირდა სერდარი.

– არა, არ გვსაყვედურობს. ის თორმეტი ათასი ლირა თავისი ნებით მოგვცა. არა რო? – ჩაერია მუსტაფა.

– შენ გეუბნებიან, ბანჯგვლიანო!

– სერდარ, გეყოფა! ბიჭს ნუ აწვალებ!

– ეს რა რვეულია? სერდარმა უკანა სავარძელზე ფარუქის რვეული იპოვა. გადაშალა, წაიკითხა: – „გებზეს მახლობლად მდებარე ერთი სოფელი, რომელიც თორმეტი ათას აქჩე შემოსავალს იძლეოდა, ადრე სიფაჰი ალის კუთვნილება ყოფილა, მაგრამ ჩამოურთმევიათ, რადგან სალაშქროდ არ წასულა და ჰაბიბისათვის უბოძებიათ“... ეს რა არის? არ იკითხება! „ველი უჩივის მაჰმუთს, ჯორი იყიდა და საფასური არ გადაუხდიაო“.

– ეს რა არის? – იკითხა მუსტაფამ.

– ჩემი აბი ისტორიკოსია.

– საწყალი, – თქვა სერდარმა.

– ადექით, მივდივართ, წვიმამ გადაიღო, – თქვა მუსტაფამ.

– პირადობის მოწმობა მაინც დამიბრუნეთ-მეთქი, – ვთხოვე.

– „მაინც“ რა თქმაა, ბიჭო?! განა რამე დაგიშავეთ?

– მიპასუხე! – მიყვირა სერდარმა და დაშავების სურვილით მანქანის სალონში შემოიხედა. „Best of Elvis“ დაინახა, – ესეც მიმაქვსო, – თქვა, ფარუქის რვეულიც აიღო და – სხვა დროს ფრთხილად ივლი, ქვეყანა მამაშენის მსახური არ გეგონება! ნაძირალავ!

კარი მოაჯახუნა. წავიდნენ. კარგა მანძილზე გამშორდნენ, მანქანიდან გადმოვედი. „ანადოლის“ აღმართზე აგორება დავიწყე.

26.

– კარგი გაკვეთილი კი ჩავუტარეთ იმ საცოდავ ტიპს, – თქვა სერდარმა.

– ტყუილად გიხარია. პოლიციაში რომ წავიდეს? – უთხრა მუსტაფამ.

– არ წავა. ვერ დაინახე, რა მშიშარა იყო?

– ეს რვეული და ფირფიტა რატომ წამოიღე? – მკითხა მუსტაფამ.

ნილგუნ, მხოლოდ მაშინ დავინახე, რომ მანქანაში ფირფიტა დაგრჩენოდა და სერდარს ფარუქის რვეულთან ერთად წამოეღო. როცა ქვემო უბანში ჩავედით, ქუჩის ფარნის ქვეშ დადგა და ფირფიტა დაათვალიერა.

– იმან გამაგიჟა, მამამისის მოსამსახურეები რომ ვგონივართ. იმიტომ წამოვიღე.

– ძალიან დააშავე, – უთხრა მუსტაფამ, – სულ ტყუილად აწყენინე.

– თუ გინდათ, ფირფიტა მომეცით და მანქანაში დავაბრუნებ-მეთქი, – შევთავაზე.

– ეს ტიპი დებილია! – თქვა სერდარმა.

– აბა! იცოდე, აღარასოდეს დაუძახო ჰასანს სხვების თანდასწრებით დებილი, გონებაჩლუნგი, ტურა და მისთანები, – გაუწყრა მუსტაფა. სერდარი გაჩუმდა. თავქვე ისე ჩავათავეთ, კრინტი არ დაგვიძრავს. ვფიქრობდი, იმ თორმეტი ათასი

ლირით რამდენი რამის ყიდვა შეიძლება-მეთქი, თუნდაც ისეთი ჯაყვისა, ფენდიქში რომ ვნახე. სადაფის ტარი ჰქონდა. ან რეზინისძირიანი ზამთრის ფეხსაცმლისა. ცოტას თუ დავუმატებთ, პისტოლეტის ყიდვაც შეიძლება. ამასობაში ყავახანასთან მოვედით. გაჩერდნენ.

– კარგი! ახლა დავიშალოთ, – გვითხრა მუსტაფამ.

– მეტს აღარ დავწერთ? – ვიკითხე.

– არა, – კიდევ იწვიმებს, დავსველდებით. საღებავი და ფუნჯები ამაღამ შენთან იყოს.

ორივენი ქვემო უბანში წავლენ, შინ დაბრუნდებიან, მე კი აღმართზე უნდა ავიდე. 12000:3 უდრის 4000 ლირა, კიდევ ნილგუნის ფირფიტა და ერთი რვეულიც.

– რა მოხდა? – მკითხა მუსტაფამ, – რას გაჩუმებულხარ? წადი, ვიშლებით. მერე, ვითომ რაღაც გაახსენდა: – ჰო! აჰა, ჰასან, სიგარეტი და ასანთი, მოსწიე.

არ უნდა გამომერთმია, მაგრამ ისე შემომხედა, უარი ვეღარ ვთქვი.

– მადლობა არ უნდა მითხრა?

– მადლობელი ვარ.

მიბრუნდნენ და წავიდნენ. თვალი გავაყოლე. იმ 4000 ლირითაც ბევრი რამის ყიდვა შეიძლება. ფურნის წინ განათებული ტროტუარი გაიარეს და სიბნელეს შეერივნენ. ერთბაშად ვიყვირე:

– მუსტაფა!

ფეხის ხმა მიწყდა. მივხვდი, შეჩერდნენ.

ცოტა შევიცადე. მერე კი გულამომჯდარმა მივირბინე:

– მუსტაფა, შეიძლება ის ფირფიტა და რვეული წავიღო?

– რა თავში იხლი? – მკითხა სერდარმა, – მართლა უკან უნდა დაუბრუნო?

– სხვა არაფერი მინდა, ისინი მომეცით და მეყოფა.

– მიეცი ამას, რასაც გთხოვს, – უბრძანა მუსტაფამ სერდარს.

სერდარმა რვეულიც მომცა და ფირფიტაც. თან მოაყოლა, – ჭკუაზე ვერა ხარ, არა?

– გაჩუმდი! – უბრძანა მუსტაფამ, – ყური მიგდე, ჰასან, – გადავწყვიტეთ, ეს 12000 ლირა აქაურ ხარჯებზე გამოვიყენოთ. გაგვიგე, ჩვენც ძალიან ცოტა შეგვხვდება. თუ გინდა, შენი წილი ხუთასი ლირა ახლავე აიღე.

– არა, ყველაფერი კავშირის იყოს, მტერთან ბრძოლაში დაიხარჯოს. ჩემთვის არაფერი მინდა.

– ფირფიტა კარგად მიგაქვს?! – აღრიალდა სერდარი.

დავიბენი. ჩემი კუთვნილი ხუთასი ლირა ავიღე და ჯიბეში ჩავიდე.

– მორჩა! ახლა იმ თორმეტ ათასში წილი აღარ გაქვს. ღმერთმა ნუ ქნას, ვინმესთან წამოგცდეს, – მითხრა სერდარმა.

– არ წამოსცდება, – დაამშვიდა მუსტაფამ, – არც ისეთი სულელია. ჯინივით არის, მაგრამ არ იმჩნევს. ვერა ნახე, როგორ მობრუნდა თავისი წილის მისაღებად?

– გაიძვერა ტიპია.

– წავედით! – თქვა მუსტაფამ. მიბრუნდნენ და წავიდნენ. თვალი გავაყოლე. მესმოდა მათი საუბარი. იქნებ, სულაც მე დამცინოდნენ? ცოტა ხანს კიდევ ვუყურე, მერე აღმართს შევუდექი. ცალ ხელში საღებავის ყუთი და ფუნჯები მეჭირა, მეორეში – ფირფიტა და რვეული. ხვალ პლაჟზე წავალ. მუსტაფა მოვა და მნახავს. თუ არ მოვა, საღამოს ვეტყვი: დილას გოგოს სანახავად პლაჟზე ვიყავი, მაგრამ შენ არ გამოჩნდი-მეთქი. მიხვდება, ბოლოს და ბოლოს, ვისწავლე, რა არის დისციპლინა. ალაჰმა დასწყევლოს ყველანი!

ცოტა კიდევ ვიარე. სანამ ავივაკებდი, მეთინის ყვირილი შემომესმა. იქ, უკუნ ღამეში, მარტო იყო და იგინებოდა. სველ ასფალტზე ფრთხილად გავიარე, მივუახლოვდი. მინდოდა, თვალი შემევლო, მაგრამ არაფერი ჩანდა. მხოლოდ გინება გავიგონე. მეთინი ვიღაცას მკვდარსა და ცოცხალს უტრიალებდა, თითქოს ის ვიღაც მის წინ ხელფეხშეკრული მდგარიყო, მერე პლასტმასაზე დარტყმის ხმა გავიგონე. მივხვდი – მეთინი თავის მანქანას წიხლებს უშენდა, როგორც გამძვინვარებული მხედარი აპირებს უზნეო, გაოჩნებული

პირუტყვის დაურვებას ცემით. მაგრამ რკინისა და პლასტმასის მანქანა ისე არ პასუხობდა, როგორც პატრონს უნდოდა. ეს უფრო აცოფებდა მეთინს და ისიც საშინლად იგინებოდა. უცნაურმა აზრმა გამიელვა: მეც ხომ შემიძლია, მივიდე და მეთინი გავლახო? რაც ხელში მიჭირავს, გადავყრი და მოულოდნელად დავესხმები თავს: – რატომ ვერ მიცანი? რატომ დაგავიწყდი?! ასეა. ესენი დიდი ვინმეები არიან. შენ კარგად იცნობ, შორიდან თვალს ადევნებ, მისი ყველა ნაბიჯი გაინტერესებს, მისი ცხოვრების ყველა წვრილმანი იცი, ის კი არც გიცნობს, თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, არაფერი იცის შენზე, არც უნდა იცოდეს. ერთი დღეც იქნება, გამიცნობენ. უეჭველად გამიცნობენ! მივატოვე ის საწყალი. ურტყას ტლინკები თავის მანქანას და იყოს! არ დამინახოს-მეთქი, ბაღზე გადავიარე – საფლობ ტალახს არ მოვერიდე. ზემოთ წავედი. მივხვდი, ვიღაც გოგოს ლანძღავდა, თანაც იმ სიტყვებით, ქუჩის ქალების მიმართ რომ იხმარება. მე კი მეგონა, დაკარგულ ფულსა და გაფუჭებულ მანქანას გაუგიჟებია-მეთქი. ის კი წამდაუწუმ იმეორებდა იმ სიტყვას, მეშინია იმ სიტყვისა. ის ქალებიც საშიშები არიან. არ მომწონს არც ერთი. ვივიწყებ ხოლმე. გზა გავაგრძელე.

ნილგუნ, იქნებ შენ გამკობს იმ სიტყვით?! არა, ალბათ, სხვას. საზიზღარი სიტყვაა! ზოგჯერ ქალები შიშს მგვრიან. გაუგებარი არსებები არიან. ზოგჯერ ისეთი ბნელი ფიქრები აქვთ, ვერ ჩასწვდები. ზოგი ისეთი საშიშია, თუ აგიყოლია, დაგღუპავს – სიკვდილის ტოლფას უბედურებას დაგმართებს. თავად კი, ვითომც აქ არაფერი, წაუკრავს თავზე ლურჯი ლენტი, დგას, გიღიმის. კახპა! შორს ცა ყვითლად განათდა. ელვისა შემეშინდა. ღრუბლები, სიბნელე, ქარიშხალი, გაუგებარი ფიქრები... ყველანი ვიღაც უცნობის – იდუმალი ბატონის – მონები ვართ. ზოგჯერ აჯანყებას დავაპირებთ, მაგრამ გვეშინია. მერე კი ის ბატონი ჭექა-ქუხილს, ელვასა და მეხს, უცნობ უბედურებას თავზე გვაყრის. მაშინ ჩვენი სახლის მშვიდ სინათლეში ცხოვრებით კმაყოფილი ვარ. მშვიდად ვიცხოვრებ, არაფერი მინდა, რაც მაქვს, ისიც მეყოფა-მეთქი, ვამბობ. ლატარიის ბილეთების გამყიდველი ჩემი საწყალი მამასავით მეც ცოდვისა მეშინია.

დავინახე, ჩვენს სახლში სინათლე ისევ ენთო. ჟინჟღლავდა. ახლოს მივედი და ფანჯრიდან შევიხედე. მარტო მამაჩემი კი არა, დედაჩემიც ფხიზლობდა. ნეტავ რა უთხრა ჩემზე ამ

კოჭლმა, რომ ძილი გაუფრთხო? მივხვდი: ბაყალი ეტყოდა. ის საზიზღარი ღიპიანი მაშინვე მოირბენდა: ისმაილ, შენი შვილი დუქანში შემომივარდა, გაზეთები და ჟურნალები დახია და გადაყარა, თანაც დამემუქრა. არ ვიცი, ვის გადაეყარა, რამ გააბოროტა. საწყალმა ლატარიის გამყიდველმა, რომელმაც ფულის გარდა არაფერი იცოდა, ალბათ ჰკითხა: ზარალი რამდენიაო? და ასე, ტყუილუბრალოდ, იმ საზიზღარი გაზეთების ღირებულება გადაიხადა. არა, ტყუილუბრალოდ რომელია! საღამოს ცხვირიდან ძმრად უნდა მადინოს. მაგრამ ჯერ ხომ უნდა მიპოვოს? თუ ბიჭია, სცადოს! ვიდექი და ფეხს არ ვიცვლიდი. ვერ გადამეწყვიტა, შინ შევსულიყავი, თუ იქაურობას გავცლოდი. ფანჯრიდან ვუყურებდი ჩემს დედ-მამას. მერე, როცა წვიმამ წამოუშინა, ნილგუნის ფირფიტა და ფარუქის რვეული ჩემი ოთახის ფანჯრის რაფაზე დავაწყვე, თავად კედლის ძირში შევეფარე, წვიმას ვუყურებდი და ვფიქრობდი. კოკისპირულად წვიმდა. ამან მეთინი გამახსენა. როცა მამაჩემის ხელით გაკეთებულმა მილებმა სახლის სახურავიდან ჩამონადენი წყალი ვერ დაიტია, ფანჯრიდან ფრთხილად შევიხედე. დავინახე, როგორ დაარბენინებდა დედაჩემი პლასტმასის ვარცლსა და სარეცხის ტაშტს, როგორ უდგამდა მათ ჭერის ნაპრალებიდან ჩამოსულ წყალს. მერე ჩემი ოთახი გაახსენდა. არწივის ფრთებიდან ლოგინს ეწვეთება წყალი. დედამ სინათლე აანთო. ჩემი ლეიბი აკეცა.

წვიმამ გადაიღო. ნილგუნ, ახლაღა მივხვდი: არც დედ-მამა, არც სხვა ვინმე არ გამხსენებია. მხოლოდ შენზე ვფიქრობდი: ლოგინში წევხარ და მშვიდად გძინავს. იქნებ, წვიმის ხმამ გაგაღვიძა? ახლა ფანჯარასთან დგახარ და შიშით კანკალებ. დილით, როგორც კი გამოიდარებს, პლაჟზე მოხვალ. მე იქ დაგელოდები. ბოლოს და ბოლოს, დამინახავ. გამომელაპარაკები. მეც გიამბობ, გიამბობ გრძელ, ძალიან გრძელ ამბავს – ცხოვრებას. მიყვარხარ.

სხვა რამეებზეც ვიფიქრე: თუ კაცი მოინდომებს, შეუძლია შეიცვალოს. წარმოვიდგინე შორეული ქვეყნები, უსასრულო რკინიგზები, აფრიკის ჯუნგლები, საჰარა, ყინულით დაფარული ტბები, გეოგრაფიის სახელმძღვანელოს პელიკანები, ლომები, ტელევიზორში ნანახი ბიზონები, აფთრები, რომლებიც ბიზონებს გლეჯენ, სპილოები, ინდოეთი და კინოში ნანახი ამერიკელი ინდიელები, ჩინელები, ვარსკვლავები, კოსმოსური ომები, ყველანაირი ომები,

ისტორია. ჩვენი ისტორია, ჩვენი დაფდაფების ხმის ძალა და მისი გაგონებით გულგახეთქილი ურჯულოები. დიახ, ადამიანს შეუძლია შეიცვალოს, სულ სხვა ვინმედ იქცეს. მონები არა ვართ. ყველანაირ შიშს, კანონებსა და საზღვრებს მოვშლით. მიზნისაკენ მივდივარ, დროშები ფრიალებს: ხმლები, დანები, დამბაჩები, ძალაუფლება! მე სულ სხვა ვარ. მე ჩემი წარსული არა ვარ, მოგონებებიც აღარა მაქვს. მხოლოდ მომავალი მაქვს. მოგონებები მონებისაა. გონებას უჩლუნგებს. გაუშვი, ეძინოთ. მე ვიფიქრებ.

ვცადე, ყველაფერი დამევიწყებინა, მაგრამ ვიცოდი, საამისოდ ძალა არ მეყოფოდა. ამიტომ რვეული ფანჯარაზე არ დავტოვე. ფირფიტაც წამოვიღე და წამოვედი. ახლა სიბნელეში მივუყვებოდი გზას, რომლის ბოლოს გორაკიდან ნიაღვარი მოედინება, წვიმის სუნი დგას. ვთქვი, უკანასკნელად ერთხელ კიდევ შევავლებ თვალს ქვემო უბანს, მის ლამპიონებს, მოვლილ ბაღს, სწორ, უსულო ბეტონს, უდარდელ, ცოდვილ ქუჩებს. სანამ ლამპიონების ქვეშ არავინაა, იმ ერთ ფანჯარაშიც შევიხედავ, რომელშიც მანამდე აღარ შევიხედავ, სანამ გამარჯვების დღე არ დამიდგება. ნილგუნ, იქნებ არ გძინავს, ფანჯრიდან უყურებ წვიმას და როცა ელვა ყველაფერს გაანათებს, მხედავ, როგორ ვდგავარ თავსხმა წვიმაში, ფეხს არ ვიცვლი და სულმთლად გალუმპული თვალს არ ვაშორებ შენს ფანჯარას. მაგრამ გადავიფიქრე. ეტყობა, შემეშინდა. თავქვეზე რომ ჩამოვდიოდი, გამახსენდა: იქ ახლა ღამის დარაჯები დადიან: შვილო, ამ დროს აქ რა გინდაო? – მეტყვიან – მიდი, გაიარე. აქაურობა საშენო ადგილი არ არისო.

მივბრუნდი და წავედი. ჩემს სახლს ისე ჩავუარე, თითქოს უცხო უბანში ვყოფილიყავი. ჩემებს ისევ უნთიათ სინათლე. რა საცოდავად გამოიყურება იგი – მბჟუტავი, ღარიბული. ვერ დამინახეს. გორაკიდან ჩამოვდიოდი, მეთინი გინება-გინებით თავის მანქანას აწვებოდა; მე კი უკვე წასული მეგონა. გავჩერდი. შორიდან ვუყურებდი, როგორც უცხო ქვეყნიდან მოსულ რაღაც არსებას. მომეჩვენა, თუ მართლა ტიროდა – მოგუდულ, ყრუ ხმაზე სლუკუნებდა. ეს ხმა ადამიანში თანაგრძნობას იწვევდა. ჩვენი ბავშვობა გამახსენდა. როგორ ვმეგობრობდით! ის კი აღარ გამხსენებია, რომ ამ ჯურის ადამიანებთან ყოველთვის სხვები არიან დამნაშავეები. შემეცოდა და მივედი.

– ვინა ხარ?

– მე ვარ, ჰასანი. წეღან ვერ მიცანი, მეთინ.

– მერე გიცანი. ფულს მიბრუნებთ?

– მე მარტო ვარ. ფულის დაბრუნება გინდა?

– თორმეტი ათასი ლირა მომპარეთ, აღარ გახსოვს?

არაფერი ვუთხარი. ცოტა ხანს ორივენი ჩუმად ვიყავით.

– სადა ხარ? გამოდი, ერთი, სახეზე შემოგხედო! – აყვირდა მეთინი.

ფირფიტა და რვეული მშრალ ადგილზე დავდე და მივუახლოვდი.

– ფულს არ დამიბრუნებ? გამოჩნდი!

დავინახე, როგორ გახვითქულიყო ოფლში და როგორი უბედური ჩანდა. ერთმანეთს შევხედეთ.

– ვერ დაგიბრუნებ. შენი ფული მე არა მაქვს.

– მაშინ რატომღა მოხვედი?

– წეღან ტიროდი...

– მოგეჩვენა. დაღლილი ვარ და... რატომ მოხვედი?

– ბავშვობაში რა კარგი ამხანაგები ვიყავით... – ვთქვი მე, მაგრამ არაფერი მიპასუხა. მაშინვე დავამატე: – მეთინ, თუ გინდა, მოგეხმარები.

– რატომ? – მკითხა და მაშინვე დაამატა: – კარგი, მიაწექი.

მივაწექი. როგორც იქნა, ოდნავ დავძარი. ცოტაც და აღმართი ავიარეთ. ძალიან გავიხარე, მგონი, მეთინზე მეტად. საოცარი იყო ეს გრძნობა, ნილგუნ, მაგრამ მერე, როცა დავინახე, რა ცოტა მანძილი გაგვევლო, გული დამწყდა.

– რა ხდება? – მკითხა მეთინმა და ხელის მუხრუჭი ამოსწია.

– მოიცადე, ცოტას დავისვენებ.

– მიდი, თორემ დაგვაგვიანდება.

ისევ მივაწექი მანქანას, მაგრამ ბევრი ვერ გავიარეთ. დიდი ლოდივით იყო, თითქოს ბორბლები არც კი ჰქონოდა. ცოტათი სული მოვითქვი. ვიფიქრე, ცოტას კიდევ დავისვენებ-მეთქი, – მაგრამ ამ დროს ხელის მუხრუჭი დასწია! მანქანას მივაწექი, უკან რომ არ დაგორებულიყო, მაგრამ მალე შევეშვი.

– რა მოხდა? რატომ არ აწვები? – მკითხა მეთინმა.

– თავად რატომ არ აწვები?

– ღონე აღარ შემრჩა.

– ამ შუაღამისას სად გაგვიანდება?

არ მიპასუხა. მხოლოდ საათს დაჰხედა და შეიგინა. ამჯერად ჩემთან ერთად ისიც აწვებოდა მანქანას. ჩვენ ზევით აგვყავდა, ის კი, თითქოს, ქვევით გვიბიძგებდა. დიდი გაჭირვებით გავიარეთ რამდენიმე ნაბიჯი, მაგრამ ქანცი გამიწყდა. ისევ დაიწყო წვიმა. წავედი და მანქანაში ჩავჯექი, მეთინიც მოვიდა და გვერდით მომიჯდა.

– აბა, მიდი! – მითხრა.

– სადაც მიდიხარ, ხვალ წახვალ. ახლა ცოტა ვილაპარაკოთ.

– რაზე უნდა ვილაპარაკოთ?

გავჩუმდი. მერე ვთქვი:

– რა უცნაური ღამეა. ელვის გეშინია?

– არაფრისაც არ მეშინია. მოდი, ცოტა კიდევ მივაწვეთ.

– მეც არ მეშინია, მაგრამ კაცი თუ ღრმად ჩაუფიქრდება, შეიძლება, შეეშინდეს კიდეც, იცი?

არაფერი მითხრა.

– ეწევი? – ვკითხე და სიგარეტის კოლოფი გავუწოდე.

– არ ვეწევი. წამოდი, მივაწვეთ!

მანქანიდან გადმოვედით. რაც ძალი და ღონე გვქონდა, ვაწვებოდით, მერე კი, როცა გასაწურები გავხდით, ისევ მანქანაში დავბრუნდით. ხელახლა ვკითხე, სად გეჩქარება-მეთქი. პასუხის ნაცვლად მკითხა, ისინი „ტურას“ რატომ გეძახიანო.

– შეეშვი. გიჟი ტიპები არიან.

– რა ვიცი, მათთან კი დადიხარ და! ერთად არ გამძარცვეთ?

მაშინ ვიფიქრე: ამას ყველაფერი ხომ არ ვუამბო-მეთქი. მაგრამ არ ვიცი, რა არის ის „ყველაფერი“? არ ვიცოდი, საიდან დამეწყო. რადგან, როგორც კი დასაწყისს ვიპოვიდი, მერე უნდა მეპოვა პირველი ცოდვის ჩამდენი და დამესაჯა. მაგრამ ხელების სისხლში გასვრა არ მინდოდა და ამიტომ არც იმ პირველი ცოდვის გახსენებას ვაპირებდი. ვიცი, საჭიროა, თავდაპირველად სწორედ ამით დავიწყო, მაგრამ, ნილგუნ, ხვალ დილას ყველაფერს გიამბობ, მაგრამ ხვალ დილას რატომ დაველოდოთ? ახლა მე და მეთინი ამ „ანადოლს“ მივაწვებით და გორაკის თავამდე ავაგორებთ, იქიდან დავეშვებით და თქვენს სახლამდე მოვაღწევთ. მეთინი გაგაღვიძებს, მე კი გიამბობ, რა საშიშროება გელოდება. შენ ამ დროს თეთრი ღამის პერანგი გაცვია, დგახარ და მისმენ: კომუნისტი ჰგონიხარ, ჩემო ლამაზო, მოდი, გავიქცეთ, წავიდეთ, მართალია, ისინი ყველგან არიან, თანაც როგორი ძლიერები, მაგრამ მჯერა, ქვეყანაზე იქნება ადგილი, სადაც ერთად ცხოვრებას შევძლებთ.

– მოდი, მივაწვეთ!

წვიმაში გადმოვედით, მივაწექით. მეთინმა დაანება თავი, მე ისევ ვაწვებოდი, მაგრამ, აკი გითხარით, მანქანა კი არა, კლდე იყო. ძალა გამომელია, მივატოვე, მაგრამ მეთინი საყვედურით მიყურებდა. უარესად რომ არ დავსველებულიყავი, წავედი და მანქანაში ჩავჯექი.

– იმათ გიჟებს ეძახი და გვერდიდან არა შორდები? ის ფული მარტო იმ ორმა როდი წამართვა, სამივემ წამართვით.

– ისინი ფეხებზე მკიდია, მე არავის არ ვეტენები.

ისევ საყვედურით მიყურებდა. მაშინ ვუთხარი:

– მეთინ, იმ თორმეტი ათასი ლირიდან ყურუშიც[73] კი არ ამიღია, გეფიცები.

გამოხედვაზე ეტყობოდა, არ დამიჯერა. მინდოდა, დამეხრჩო. მანქანის გასაღები ადგილზეა. ტარება მაინც ვიცოდე! რამდენი შორეული ქვეყანაა, რამდენი ქალაქი და ზღვა!

– გადმოდი, მიაწექი.

არც კი დავფიქრებულვარ, ისე გადმოვედი კოკისპირულ წვიმაში, მივაწექი. მეთინი არ განძრეულა. დოინჯშემოყრილი იდგა და ბატონკაცურად მიყურებდა. დავიღალე, გავჩერდი, მაგრამ ხელის მუხრუჭი არ მოსწია. წვიმის ხმა რომ დამეფარა, ვიყვირე:

– დავიღალე!

– არა, ჯერ კიდევ შეგიძლია!

– თავს ვანებებ! ახლავე უკან დაცურდება!

– ის ფული ვის მოვკითხო?

– თუ არ მივაწექი, პოლიციაში წახვალ?

არ მიპასუხა. ცოტა კიდევ ვეჯაჯგურე. წელი ისე ამტკივდა, მეგონა, ჩამწყდებოდა. როგორც იქნა, ხელის მუხრუჭი მოსწია. მანქანაში ჩავჯექი. გასაწური ვიყავი. სიგარეტს მოვუკიდე. ერთბაშად ცა და დედამიწა თვალისმომჭრელმა სხივმა გაანათა. ის საშინელი მეხი სადღაც ახლოს, ცხვირწინ ჩამოვარდა. კრინტი ვერ დავძარი.

– შეგეშინდა? – მკითხა მეთინმა.

ხმას არ ვიღებდი. ისევ მკითხა. ისევ ვერ ვუპასუხე. ბოლოს, როგორც იქნა, ამოვღერღე:

– სადღაც აქ ჩამოვარდა! ზუსტად აქ ჩამოვარდა!

– არა, – მითხრა მეთინმა, – ძალიან შორს ჩამოვარდა. შეიძლება ზღვაში ჩავარდა. ნუ გეშინია.

– აღარ მივაწვები, არ მინდა!

– რატომ? გეშინია? სულელო! ასე ახლოს აღარასოდეს ჩამოვარდება. სკოლაში არ გასწავლეს?

არაფერი ვუთხარი.

– მშიშარა! – აყვირდა მეთინი, – უვიცი, საცოდავი მშიშარა!

– შინ ვბრუნდები.

– კარგი, წადი, მაგრამ ჩემს თორმეტი ათას ლირას რა ბედი ეწევა?

– აკი გითხარი, მე არ ამიღია! გეფიცები!

– მაგას ხვალ სხვა ადგილას მოყვები, – პოლიციაში.

კეფა არ დამისველდეს-მეთქი. ავიწურე, თავი მხრებში ჩავმალე და მანქანიდან გადმოვედი. მივაწექი. მეთინიც გადმოვიდა, მაგრამ ჩემს გასამხნევებლად ყასიდადაც კი არ მისწოლია. მხოლოდ წამდაუწუმ იმეორებდა: „მიდი!“ „მიდიო!“ თავისი ჭკუით, ძალას მმატებდა. თან ვიღაცას აგინებდა, კახპას უწოდებდა. ვინ იცის, ვის გულისხმობდა, მაგრამ ერთი კაცი არ უნდა ყოფილიყო. ემუქრებოდა: გაჩვენებთ სეირსო! თავი ვანებე, რადგან, როგორც სერდარი იტყოდა, მამამისის მოსამსახურე არა ვარ, მაგრამ ამჯერად მკითხა:

– ფული გინდა? მითხარი, რამდენიც გინდა და მოგცემ, ოღონდ მიაწექი.

– უკვე ბოლომდე ავსულვართ, – გამიხარდა, მივაწექი. წელის ტკივილი აუტანელი გახდა. გავჩერდი. ვიფიქრე, სულს მოვითქვამ, გულს საგულეში ჩავიბრუნებ-მეთქი. მეთინი კვლავ ღრიალებდა, ილანძღებოდა, ათას ლირას მპირდებოდა, მოვიკრიფე უკანასკნელი ძალ-ღონე – მივაწექი, 2000 ლირას მოგცემო, მითხრა. არ ვუთხარი, ჩვენებმა კაპიკი აღარ შეგარჩინეს და რის იმედად მპირდები-მეთქი. როცა ავივაკეთ, ის კიდევ უფრო მოუთმენელი გახდა, იგინებოდა და ზედაც არ მიყურებდა. ცოტაც და, მანქანას წიხლებს დაუშენდა. მაგრამ უარესი რამ ჩაიდინა და თავზარი დამცა – სახე წვიმას შეუშვირა და ცას დაუწყო გინება. მომეჩვენა, ალაჰს აგინებდა. გამაოგნა ამის გაფიქრებამ. გორაკის თავზე დამხობილ ჩაბნელებულ ცას დროდადრო ლურჯად ანათებდა ელვა. ჭექა-ქუხილი იქაურობას აყრუებდა. წარმოუდგენლად ლურჯი წვიმა თმებიდან და შუბლიდან პირში ჩამდიოდა, მაინც ვაწვებოდი... ვაწვებოდი... თან მიწას ჩავჩერებოდი, შემეშინდა, ელვის შუქზე ალაჰს არ დავენახე, უსინათლო მონასავით როგორ ვაწვებოდი მანქანას. ბრალს ვერავინ დამდებს, ვერავინ დამსჯის – მე ყველა საფიქრალი დავივიწყე, მორჩილი ვარ, არ ვიცი, რა არის ცოდვა. მანქანამ სვლას უმატა. მაინც ვაწვებოდი, სირბილით მივდევდი და ვაწვებოდი. მეთინი მანქანაში ჩახტა, საჭეს მიუჯდა. მაგრამ ლანძღვა-გინებაზე ხელი მაინც არ აუღია. ილანძღებოდა როგორც დედაბერი, რომელსაც აღარც კი ახსოვს, რატომ დაიწყო წყევლა, როგორც მეეტლე, რომელიც საკუთარ ცხენებს აგინებს. მაგრამ ეტყობოდა, ალაჰსაც

აგინებდა, ჭექა-ქუხილი, მეხის ვარდნა განა მისი ნებით არ არის? შენ ვინა ხარ, მანქანის ღია ფანჯრიდან ქვეყანას გინებით რომ იკლებ? არ მინდა ღვთის გმობის მონაწილე ვიყო. გავჩერდი, აღარ ვაწვებოდი.

მაგრამ მანქანამ ცოტა გზა თავისით გაიარა. ვუყურებდი, როგორ ნელ-ნელა მშორდებოდა, როგორც ჩაბნელებული გემი – ნელა, უხმაუროდ. ვიფიქრე, ალაჰი ერთმანეთს გვაშორებს, რათა მისთვის განკუთვნილი სასჯელი ამარიდოს-მეთქი, მაგრამ მანქანამ ცოტა გაიარა და გაჩერდა. იელვა, ცა განათდა და დავინახე, მეთინი მანქანიდან გადმოსულიყო.

– სადა ხარ?! – იყვირა, – მოდი, მოაწექი!

არ გავნძრეულვარ.

– ქურდო! – გასძახა სიბნელეს, – უნამუსო ქურდო, მიდი, გაიქეცი!

ცოტა ხანს იქვე ვიდექი, სიცივით აძაგძაგებული, მერე გავიქეცი, მასთან მივირბინე და ვუყვირე:

– შენ ალაჰისა არ გეშინია?!

– შენ თუ გეშინია, რატომ ქურდობ! – მიღრიალა.

– მე მეშინია, შენ კი ცაში იხედები და ალაჰს აგინებ. ერთი დღეც იქნება, დაგსჯის!

– ბრიყვო, შენ არ იყავი, წეღან ელვამ გული რომ გაგიხეთქა?! როგორც კი გაიელვებს, ხეების ჩრდილისა, სასაფლაოსი, წვიმისა, ქარისა გეშინია, არა? ზრდასრული კაცი გქვია! რომელ კლასში ხარ? უვიცო, დამიჯერე, ალაჰი არ არსებობს! მორჩა! მოდი, მოაწექი, გეუბნები, ორი ათას ლირას მოგცემ-მეთქი.

– მერე სად წახვალ? შინ?

– შენც წაგიყვან. სადაც გინდა, იქ წაგიყვან, ოღონდ ამ აღმართიდან დაიძრას ეს მანქანა!

მივაწექი, ნილგუნ, ის კი ჩახტა მანქანაში და ისევ გინება დაიწყო, მაგრამ ამჯერად სიბრაზით კი არა – თავისი ცხენების გინებას შეჩვეული მეეტლესავით. მალე მანქანამ სიჩქარეს უმატა, იმედი გამიჩნდა: საცაა მანქანა თავქვეზე დაეშვება და დაიქოქება! სხვა ფიქრმაც გამიელვა: მეთინსაც ყველაფერი

მობეზრდა, გულს ურევს. ახლა მანქანაში ჩავჯდები, ის გათბობას ჩართავს, გავთბებით. მერე მეთინი შენც წამოგიყვანს და ყველანი ერთად წავალთ სადმე – შორს, ძალიან შორს. მერე ის იყო თავდაღმართი დაიწყო და მანქანა გორაკიდან უხმოდ დაეშვა. სველ ასფალტზე ბორბლები უცნაური შრიალით მისრიალებდა. გავიქეცი და დავეწიე. მინდოდა, ჩავმხტარიყავი, მაგრამ კარი ჩაკეტილი დამხვდა.

– მეთინ, გამიღე! კარი გამიღე, აქედან წამიყვანე! გააჩერე! – ვყვიროდი, მაგრამ მას ჩემი არ ესმოდა, ისევ გაავებით იგინებოდა. აქოშინებულმა გავირბინე, რამდენიც მოვახერხე, თან ფანჯარაზე ვუკაკუნებდი, მაგრამ ამ ბორბლებიანმა პლასტმასამ გამასწრო, წავიდა. ერთხანს ყვირილით ვდიე, მაგრამ მანქანა არც თავისით გაჩერდა, არც მეთინმა გააჩერა. გორაკის ძირამდე ვდიე, სანამ უკანასკნელად არ გაანათა თავისი ფარებით ბაღები, ეზოები, ვენახები და თვალს არ მიეფარა.

დავფიქრდი.

სიცივემ ამიტანა, კბილს კბილზე ვაცემინებდი. უცებ შენი ფირფიტა გამახსენდა, ნილგუნ. იგი იქ დამრჩა, გორაკის მეორე მხარეს. მივბრუნდი და აღმართი ავირბინე. მეგონა, გავთბებოდი, მაგრამ ტანზე შემოტმასნილი სველი პერანგი რას გამათბობდა? წვიმისაგან გაჩენილ ნაკადულებში, პატარა გუბეებში ვტოპავდი. ფირფიტა სადაც მეგულებოდა, იქ ვერ ვიპოვე. აქეთ-იქით დავრბოდი, ვეძებდი. როცა იელვებდა და იქაურობა განათდებოდა, შიშით კი არა, სიცივით ვკანკალებდი. წელის ტკივილი გამიახლდა. გორაკზე ავრბოდი, ჩამოვრბოდი, ყოველ ნაბიჯზე ვჩერდებოდი, ვეძებდი. ამასობაში კიდეც ინათა. რამდენჯერმე კიდევ ავირბინე. დაღლილობითა და სიცივით გულის წასვლამდე ვიყავი, როცა თვალი მოვკარი ფირფიტასა და რვეულს. გამახსენდა: ეს სულელური ფირფიტა და რვეული წეღანაც დავინახე, მაგრამ სხვა რაღაც მეგონა.

„Best of Elvis“ – ამერიკელი პედერასტის სიფათის ფეხით გათელვა მინდოდა, მაგრამ გადავიფიქრე – წყალსაც წაუღია ყველაფერი! შენ მოგცემ.

დღის პირველი მანქანა – ჰალილის ნაგვის მზიდავი – აღმართზე მობობღავდა. ამომავალი მზის წითელი სხივები მის ძარაზე ირეკლებოდა. გზიდან გადავუხვიე, ვენახებში

გადავედი, სასაფლაოს გზას დავადექი. ბავშვობაში აქ მე და დედა ხშირად დავდიოდით. ლეღვისა და ნუშის ხეებს შორის ერთი კარგი ადგილი ვიცი.

ფიჩხი მოვაგროვე, ცეცხლი დავანთე. მშრალი ტოტების პოვნა გამიჭირდა, მაგრამ ცოტა მოვაგროვე, ფარუქის ისტორიის რვეულიდან რამდენიმე ფურცელიც ამოვხიე. ცეცხლი გაჩაღდა. ლურჯი, თხელი ბოლი ავიდა. ვერავინ დაინახავს. პერანგი და შარვალი გავიხადე. კედების ამარა ვარ. ცეცხლთან ძალიან ახლოს მივედი. ლამის შიგ ჩავდექი. სითბო მეამა. ალის ფონზე სიამაყით ვათვალიერებდი ჩემს შიშველ სხეულს. არაფრისა მეშინია. ვუყურებდი, როგორ იდგა ჩემი ასო. თითქოს ჩემი სხეული მე კი არა, ვიღაც უცხო კაცს ეკუთვნოდა: გარუჯული, ფოლადივით მაგარი, მშვილდივით მკვრივი. მამაკაცი ვარ! ხელიდან ყველაფერი გამომდის, ჩემი გეშინოდეთ! დაე, ამ ცეცხლზე შეიტრუსოს ჩემი ბალანი! ვერაფერს დამაკლებს. ცოტა ხანს კიდევ ვიყავი დარჭობილი, მერე გამოვედი – ცეცხლი გაძლიერდეს-მეთქი. ფიჩხს ვეძებდი, გრილმა ნიავმა დაქროლა. უკანალი გამიცივდა. გამახსენდა: ქალი არა ვარ-მეთქი, ვამბობ, პედერასტი არა ვარ. მათ ეშინიათ. დავფიქრდი. ცეცხლი გაჩაღდა. ისევ შევედი შიგ. დავჩერებოდი ჩემს ასოს და ვფიქრობდი ყველაფერზე, რისი გაკეთებაც შემიძლია: სიკვდილზე, შიშზე, ცეცხლზე, უცხო ქვეყნებზე, იარაღზე, მათხოვრებზე, მონებზე, დროშებზე, სატანაზე, აჯანყებაზე.

მერე ფირფიტის ცომადქცეული ყდა ცეცხლზე გავაშრე, ტანსაცმელიც გავიშრე, ჩავიცვი, ერთ მშრალ ადგილზე მივწექი და მაშინვე დამეძინა. მზე კარგა მაღლა იდგა, როცა გამეღვიძა. სიზმარიც ვნახე, მაგრამ აზრი ვერ გამოვიტანე. მგონი, რაღაც ძალიან ცხელი ვნახე. წამოვხტი. იქნებ, კიდევაც დამაგვიანდა.

წავიღე შენი ფირფიტა, ნილგუნ და ჩქარი ნაბიჯით დავეშვი დაღმართზე. ჩვენს სახლს ჩავუარე. ქუჩაში საკვირაო ბრბოს საზიზღარი მანქანების ტევა არ არის. პლაჟზე მიქრიან. ჩვენსა არავინ არის, ვერავინ დამინახა – ვერც დედამ, ვერც მამამ. ფარდები გადაუწევიათ. თაჰსინები ბლის კრეფას ეშურებიან – ნაწვიმარზე მატლი არ გაუჩნდესო. ქვემო უბანში ჩემი ხუთასი ლირა დავახურდავე – აქ კვირაობით ყველა მაღაზია ღიაა. გახუხული პური და ჩაი შევუკვეთე. სანამ დავლევდი, ჯიბიდან სავარცხლები ამოვიღე: ერთი მწვანე, მეორე წითელი. ალაჰი ხედავს.

ყველაფერს ვუამბობ. ყველაფერი ნათელი გახდება – დანაშაულიც და ცოდვაც. არაფერს დაგიმალავ და მიხვდები, ვინა ვარ, ნილგუნ, იტყვი: აი, თურმე, როგორი ყოფილხარო! მშიშარა მონა როდი ვარ. მიყურეთ, რაც მინდა, იმას ვაკეთებ. ჯიბეში ხუთასი ლირის ხურდა მიდევს! ჩემი თავის ბატონ-პატრონი მე ვარ. თქვენ კი წადით პლაჟზე, წაიღეთ გასაბერი ბურთები, ჩანთები, სასაცილო ფლოსტები ჩაიცვით. გვერდით გყვანან ქმრები, შვილები. საცოდავები ხართ! არაფერი გაგეგებათ. იყურებით, მაგრამ ვერ ხედავთ, ფიქრობთ, მაგრამ ვერაფერს ხვდებით. არ იცით, ვინა ვარ, ვინ ვიქნები. ბრმები ხართ და ბრმებზე უარესები – პლაჟისაკენ სიამოვნების მისაღებად დაძრული გულისამრევი ბრბო ხართ. ამათი გზაზე დაყენება იქნება ჩემი ხვედრი. მიყურეთ, ფაბრიკის მეპატრონე ვარ! ბატონ-პატრონი ვარ! შოლტი მაქვს! მავთულის ღობის მიღმა, პლაჟზე შეყრილ ბრბოს ვათვალიერებ. ქალბატონო ნილგუნ, თქვენ იქ არ ჩანხართ. რაღაც მოვიფიქრე. მუსტაფა მაინც ჯერ არ მოსულა. წავედი.

თქვენსა მოვდივარ. ჯუჯა მოგახსენებთ: ქალბატონო ნილგუნ, ვიღაც ბატონია. თქვენი ნახვა სურსო. მართლა? – იკითხავთ – თუ კეთილშობილი ბატონია, სასტუმრო ოთახში შეიყვანე, რეჯეფ. ახლავე მოვალ.

მივდიოდი და აქეთ ვიყურებოდი: იქნებ, ნილგუნი შინიდან გამოსულია და გზაში შევხვდე-მეთქი. მაგრამ ვერსად შეგხვდით, ქალბატონო! თქვენს ჭიშკართან მოვედი, შევჩერდი, ეზოში გადავიხედე. წუხელ, წვიმაში, სულელი მონასავით რომ ვაწვებოდი, ის მანქანა არსად ჩანდა. ნეტავ, სად არის „ანადოლი“? ამ ფიქრით შევედი ჭიშკარში. მთავარი კარისაკენ კი არ წავედი – მე ხომ ზრდილი ბატონი ვარ და არ მიყვარს ვინმეს შეწუხება – სამზარეულოს კარს მივაშურე. სიზმარივით მახსოვს ეს ლეღვის ხე და მისი ჩრდილი, კედლის ქვები, სამზარეულოს კარზე დავაკაკუნე. შევიცადე. ვკითხავ, ბატონო რეჯეფ, თქვენ ამ სახლის მსახური ბრძანდებით? ეს ფირფიტა და მწვანე სავარცხელი იმ ლამაზი ქალბატონისა უნდა იყოს, ამ სახლში რომ ცხოვრობს. წინათ ვიცნობდი, მაგრამ ახლა ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. ამ ნივთების დასაბრუნებლად მოვედი. ეს არის და ეს. ცოტა ხანს კიდევ ვიდექი, ვფიქრობდი, ძია რეჯეფი ბაზარში იქნება-მეთქი. შინ ნამდვილად არ იყო, მაგრამ სხვაც რომ არავინ ჩანდა?! ალბათ, შინ არავინ არის, როგორც სიზმარში. შემზარა.

სახელური ნელა დავწიე. სამზარეულოს კარი გაიღო. უხმოდ, კატასავით შევედი. დამწვარი ზეთის სუნი იდგა. ბავშვობიდან მომდევს ეს სუნი. აქ არავინ ჩანს, კედებს რეზინის ლანჩა აქვს. ისე მივძვრები კიბეებზე, ჩქამს არ გამოვცემ. მოჩვენება ვარ, სიზმრებში რომ დაძრწის, ის მოჩვენება. ვერ გამოვიძინე და ყველაფერი სიზმრად იმიტომ მეჩვენება. ვისუნთქავდი სახლის სუნს და ვფიქრობდი: აი, თურმე, როგორი სუნი დგას მათ სახლში, ნამდვილი სახლის სუნი! მოვედი-მეთქი, ვამბობ!

მეორე სართულზე ავედი. ნელა გავაღე ერთი კარი, შევიხედე და მაშინვე ვიცანი მისი საზიზღარი სხეული. მეთინი იყო. გაშოტილა ზეწარზე და სძინავს. გამახსენდა: ჩემი ორი ათასი ლირა ემართა. თანაც, ალაჰი არ არისო, ამბობდა. ახლა მივახრჩობ და შემრჩება, ვინ რას გაიგებს. გავჩერდი, ვიფიქრე, თითის ანაბეჭდები დარჩება-მეთქი. ფრთხილად მივხურე კარი. მეორე ოთახის კარი ღია იყო. შევედი.

მაგიდაზე დახვავებული ბოთლებითა და ლოგინზე მიგდებული უზარმაზარი შარვლით მივხვდი – ფარუქის ოთახში ვიყავი. იქიდან წავედი და დაუფიქრებლად შევაღე შემდეგი ოთახის კარი. თავზარი დამეცა: კედელზე საკუთარი მამის პორტრეტი დავინახე. მაგრამ საოცარი იყო: მამაჩემს წვერი ჰქონდა! ჩარჩოდან მრისხანედ იყურებოდა. გულგატეხილი ჩანდა. მიყურებდა და თითქოს მეუბნებოდა: რა სამწუხაროა, ასეთი სულელი რომ ხარო. მერე, როცა მოხუცი ქალის ხრინწიანი ხმა გავიგონე, მივხვდი, ვინ ეკიდა კედელზე და ვისი იყო ოთახი.

– ვინ არის?

ერთი წამი ვუყურე დაჭმუჭნილ ზეწრებში ჩაკარგულ დაღმეჭილ სახეს და კარი გავიხურე.

– რეჯეფ, შენა ხარ?

ფეხაკრეფით მივედი ბოლო ოთახთან. სანამ აკანკალებული ვიდექი კართან, ის ხმა მესმოდა:

– რეჯეფ, შენა ხარ? რეჯეფ, გეკითხები – აქ ვინ იყო?

მაშინვე ოთახში შევვარდი და დავიბენი: ქალბატონო ნილგუნ, თქვენს ოთახში არ იყავით! საწოლის გადასაფარებელი ავწიე და ხარბად შევისუნთქე მისი სურნელი. მაგრამ მაშინვე ხელი

ვუშვი – კვალის დატოვებისა შემეშინდა. დედაბერი გაუჩერებლად კიოდა:

– ვინ არის მანდ, რეჯეფ? შენ გეკითხები!

ბალიშის ქვეშიდან ნილგუნის ღამის პერანგი გამოვიღე, ვუსუნე. ლევანდისა და ნილგუნის სხეულის სუნი უდიოდა. პერანგი დავკეცე და ისევ ბალიშქვეშ ამოვდე. ვიფიქრე, ფირფიტაცა და სავარცხელიც შენს ლოგინზე დამეტოვებინა, სავარცხელს ნახავ და გაიგებ, როგორ მიყვარხარ, რატომ დაგდევ მთელი ეს ხანი. მაგრამ არ დავდე. რატომღაც ვიფიქრე, თუ ახლა დავტოვებ, ყველაფერი დასრულდება-მეთქი. დასრულდება და დასრულდეს!

მაგრამ ამ დროს დედაბერი ისევ აყვირდა:

– რეჯეფ, რეჯეფ!

ბებრული, მძიმე მოძრაობის ხმაზე მივხვდი – დიდედა ლოგინიდან დგებოდა. კიბეებზე რომ ჩამოვრბოდი, გავიგონე, თავისი ოთახის კარი გააღო და იატაკზე ხელჯოხების ცემას მოჰყვა – თითქოს იატაკის გახვრეტას აპირებსო. თან გაჰკიოდა:

– რეჯეფ! რეჯეფ! სადა ხარ?

წელში მოვიხარე და სამზარეულოში ჩავედი. ეზოში უნდა გავსულიყავი. ვიფიქრე, ისე როგორ წავიდე, არაფერი დავაშავო-მეთქი. ღუმელი ენთო. ზედ ქვაბი იდგა ძალიან დაბალ ცეცხლზე. მივედი და გაზს ავუწიე. ცეცხლი აბრიალდა. მერე მეორე კამფორაც ავანთე. გარეთ გამოვედი, მაინც რაღაც მაკლია-მეთქი, – გავიფიქრე.

ჩქარი ნაბიჯით წავედი პლაჟისაკენ. გადავწყვიტე, ყურადღება არავისთვის მიმექცია. მავთულის ბადის მიღმა დაგინახეთ, ნილგუნ ხანუმ, ბრბოში გარეული, ახლავე დაგიბრუნებთ თქვენს სავარცხელსა და ფირფიტას. დაე, ყველაფერი დამთავრდეს! არავისი მეშინია. ნილგუნი ტანს იმშრალებდა. მაშ, ახალი ნაბანავები ხართ? მუსტაფა არ არის, არ მოსულა. ცოტა შევიცადე და ბაყალთან წავედი. იქ სხვა მუშტრებიც იყვნენ.

– ერთი „ჯუმჰურიეთი“, თუ შეიძლება!

– არ არის, – მიპასუხა ბაყალმა და სულ წამოჭარხლდა, – აღარ

ვყიდით.

არაფერი მითქვამს, ცოტა შევიცადე და თქვენც შემოხვედით, ნილგუნ ხანუმ, პლაჟიდან შემოიარეთ და, როგორც ყოველთვის, მოითხოვეთ:

– ერთი „ჯუმჰურიეთი“, თუ შეიძლება.

– არ არის, – გიპასუხა ბაყალმა, – აღარ ვყიდით.

– რატომ? – ჰკითხე, – გუშინ ხომ ყიდიდით?

ბაყალმა ჩემზე მოგანიშნა. ერთმანეთს შევხედეთ. რამე გაიგე? მერე წარმოვიდგინე: ახლა მე, როგორც კეთილშობილ ბატონს ეკადრება, ყველაფერს მოთმინებით, აუჩქარებლად გიამბობ. ქუჩაში გამოვედი. ფირფიტა და სავარცხელი გამზადებული მაქვს. ველოდები. ცოტა ხანში შენც გამოხვედი, ნილგუნ, ახლა ყველაფერს გიამბობ. ყველაფერს გაიგებ.

– ნილგუნ, შეიძლება, ცოტა ვილაპარაკოთ? – ვკითხე.

ნილგუნი დაიბნა, გაჩერდა და ერთი წამით შემომხედა. უჰ! რა ლამაზია! მეგონა, დამელაპარაკებოდა. ავღელდი. მაგრამ მან ზურგი მაქცია და თითქოს სატანა დაენახოს, გაიქცა და წავიდა. გამოვეკიდე, დავეწიე. აღარავის მოვერიდე: – ნილგუნ, გთხოვ, თუ შეიძლება, ერთხელ მაინც მომისმინე!

უცებ შეჩერდა, ახლოდან უფრო ლამაზი იყო. რა საოცარი ფერის თვალები ჰქონია!

– კარგი, მითხარი, რის თქმა გინდა!

ყველაფერი დამავიწყდა. თავში არაფერი მომდიოდა. თითქოს ერთმანეთი ეს-ეს არის, გავიცანით და სათქმელი არაფერი გვაქვს. ბოლოს, უკანასკნელი იმედით:

– ეს შენია? – ვკითხე და ფირფიტა გავუწოდე. არც კი დახედა.

არა, ჩემი არ არისო, – მითხრა.

– ნილგუნ, ეს ფირფიტა შენია, კარგად დააკვირდი. ჭუჭყიანია, დასველდა და ძნელი გასარჩევია. წეღან გავაშრე.

დაიხარა და ყურადღებით დაათვალიერა. მერე თქვა: – ჩემი არ არის, ვიღაცაში გეშლებიო და წასვლა დააპირა. მაგრამ ხელი დავუჭირე.

– გამიშვიო! – იყვირა.

– ყველანი რატომ მატყუებთ?!

– გამიშვი!

– რატომ გამირბიხართ ყველანი? სალამიც არ გემეტება ჩემთვის. მითხარი, რას ვაშავებ? ცუდი რატომ ვარ? მე რომ არ ვყოფილიყავი, იცი, ისინი რას გიზამდნენ?

– ვინ „ისინი“?

– რას იტყუები?! ვითომ არ იცი. „ჯუმჰურიეთს“ რატომ კითხულობ?

გულახდილად არ მიპასუხა, უმწეოდ იყურებოდა აქეთ-იქით – მშველელს ეძებდა. მე კი ხელი გავუყარე და თავაზიანად ვუთხარი:

– იცი, რომ მიყვარხარ?

უცებ ხელიდან გამისხლტა და გაიქცა. მაგრამ როგორ გამექცეოდა?! ორი ნახტომით წამოვეწიე. მაგრად ჩავავლე მაჯაში ხელი. აბა, გაჩერდი! რა ადვილი ყოფილა! დგას და კანკალებს. მინდოდა მეკოცნა, მაგრამ მე ხომ კარგად აღზრდილი არისტოკრატი ვარ, შემთხვევით ვერ ვისარგებლებ. თავის დაჭერა შემიძლია. ხედავ? არავინ გამორბის შენ საშველად, რადგან ყველამ იცის, მტყუანი ხარ. მიდი, მოყევი, პატარა ქალბატონო, რატომ გამექეცი? თქვი, ყველამ გაიგონოს, მთელმა ხალხმა იცოდეს, რას მერჩით? ჩემს ზურგს უკან რა ხრიკებს ხლართავთ? იცოდეს და არავინ არასოდეს იფიქროს ჩემზე აუგი, მუსტაფა აქ არის? ველოდებოდი, რას იტყოდა, როგორ დასრულდებოდა წარმოუდგენელი სიზმრის შიში, ცილისწამება. ამ დროს იყვირა:

– გადარეულო ფაშისტო, თავი დამანებე!

მაშ ასე: სხვების მსგავსად, ესეც ცილს მწამებდა. ჯერ დავიბენი. მერე იქვე, მაშინვე მისი დასჯა გადავწყვიტე. სასჯელი ცემა იყო.

27.

როგორც კი გავიგე, რომ გამლახავი ჰასანი იყო და ძირს დაგდებული გალახული – ნილგუნი, ბადურები დავყარე და გავიქეცი.გაიქეცი, რეჯეფ, გაიქეცი!

მივირბინე:

– ნილგუნ, ჩემო გოგონა, როგორა ხარ?

ისე იყო მოკუნტული, თითქოს ლოგინში იწვა. თავზე ხელები შემოეჭდო, ასფალტზე პირქვე დამხობილი ცახცახებდა. მხოლოდ ფიზიკური ტკივილისგან როდი იკრუნჩხებოდა, სულიც სტკიოდა და აკვნესებდა. განსაკუთრებით – იმის გახსენება, რომ დაყვირება ვერ მოახერხა.

– ნილგუნ, ნილგუნ, – ჩავძახოდი. მხრებში წავავლე ხელი.

ცოტა ხანს კიდევ ტიროდა და კანკალებდა. მერე უკვე კვნესით კი არა, ზიზღით დაუშინა ასფალტს მუშტები. ხელები დავუჭირე. მაშინღა დაინახა და გაიაზრა, რაც მის ირგვლივ ხდებოდა: ხალხი სამალავებიდან გამოსულიყო და გარს შემოგვხვეოდა. უკეთ რომ დაენახათ, რა ხდებოდა, ერთმანეთის მხრებს შორის გამოეყოთ თავები. ყველა თავისას ამბობდა, ყვიროდა.

ნილგუნს შერცხვა. ჩემკენ წამოიწია. ოი, ალაჰ! მისი დასისხლიანებული სახე დავინახე, ვიღაც ქალმა შეჰკივლა.

– დამეყრდენი, გენაცვალე, დამეყრდენი.

ძლივს წამოდგა, დამეყრდნო. ჩემი ცხვირსახოცი მივეცი.

– რეჯეფ, წავიდეთ აქედან, შინ წავიდეთ.

– კარგად ხარ?

– ტაქსი მოვიდა, ჩასხედით! – თქვა ვიღაცამ.

გაგვატარეს. ჩავსხედით. ჩემი ბადურები მომაწოდეს. ერთმა ბიჭმა ფირფიტა მომცა: აბლასიაო.

– საავადმყოფო თუ სტამბოლი? – იკითხა მძღოლმა.

– შინ მინდა, – მითხრა ნილგუნმა.

– მაშინ, ჯერ აფთიაქში შევიაროთ.

არ მიპასუხა. მთელი გზა ჩუმად იყო. კანკალებდა, თვალებზე

მიდებულ ცხვირსახოცს წამდაუწუმ იშორებდა და უაზროდ დასჩერებოდა.

თმებში ხელი ჩავავლე და თავი უკან გადავუწიე.

– ასე გეჭიროს.

აფთიაქში ქემალ ბეის ლამაზი ცოლი მარტო იყო. რადიოს უსმენდა. ქემალ ბეი ახლაც არ ჩანდა.

– ქემალ ბეი არ არის? – ვკითხე.

ნილგუნის დანახვაზე ქალმა შეჰკივლა და ოთახებში სირბილს მოჰყვა. თან რაღაცეებს გვეკითხებოდა, მაგრამ ნილგუნი იჯდა და ხმას არ იღებდა. როგორც იქნა, ქემალ ბეის ცოლიც გაჩუმდა და წამლიანი ბამბით ნილგუნს სახეზე ჭრილობების მოწმენდა დაუწყო. შევბრუნდი. ვერ ვუყურებდი.

– ქემალ ბეი არ არის?

– აქ ფარმაცევტი მე ვარ. ქემალ ბეი რაში გინდა? ზემოთ არის. ოჰ, ჩემო ლამაზო, ასეთი რა დაგარტყეს?

ამ დროს კარი გაიღო და ქემალ ბეი შემოვიდა. ნილგუნის დანახვაზე წამით შეჩერდა. მერე კი, თითქოს დიდი ხანია, ამას ელოდებაო, რისხვით იკითხა:

– რა მოხდა?

– დამარტყეს, მცემეს, – თქვა ნილგუნმა.

– ალაჰ! – იყვირა ფარმაცევტმა ქალბატონმა, – რანი გავხდით!

– ვინ გახდა? – ჰკითხა ქმარმა.

– ამის გამკეთებელი, ვინც უნდა იყოს... – დაიწყო ქემალ ბეის ცოლმა.

– ფაშისტი, – ჩაიბურტყუნა ნილგუნმა.

– გაჩუმდი, ჩუმად იყავი, – უთხრა ქალმა, – ჩუმად, ჩუმად.

მაგრამ ქემალ ბეიმ ნილგუნის ნათქვამი უკვე გაიგონა და შეხტა. „ფაშისტმა“ თითქოს რაღაც საშინელი გაახსენა. მერე რადიოს მისწვდა და გამოთიშა. თან ცოლს გაუწყრა:

– ასე რატომ აყვირებ ამ რადიოს!

რადიო გაჩუმდა, აფთიაქი თითქოს ერთბაშად დაცარიელდა და ტკივილის, სირცხვილის, დანაშაულის განცდა გამძაფრდა. ამაზე ფიქრი არ მინდოდა.

– ნუ გამორთავთ, თუ შეიძლება, ჩართეთ, – სთხოვა ნილგუნმა. ქემალ ბეიმ რადიო ჩართო. მე ისევ ვეღარაფერზე ვფიქრობდი. ქალმა თავისი საქმე დაასრულა და გვითხრა:

– ახლა პირდაპირ საავადმყოფოში! ალაჰმა დაიფაროს, ფარული სისხლდენა არ იყოს. ეტყობა, თავშიც მაგრად ურტყა. ტვინში რამე არ...

– აბი შინ არის, რეჯეფ? – მკითხა ნილგუნმა.

– არა. მანქანა გასარემონტებლად წაიყვანა.

– ახლავე ტაქსიში ჩასხედით და ისე წადით. რეჯეფ ბეი, ფული გაქვთ?

– მე მივცემ, – თქვა ქემალ ბეიმ.

– არა, ახლა შინ წასვლა მინდა, – თქვა ნილგუნმა და წამოიწია. რაღაც ეტკინა. დაიკვნესა.

– მოიცადე, – უთხრა ქალმა, – ტკივილგამაყუჩებელს გაგიკეთებ.

ნილგუნმა უარი არ თქვა. მეორე ოთახში გავიყვანე. მე და ქემალ ბეი ჩუმად ვიდექით. ის ვიტრინის მინიდან გარეთ იყურებოდა და ხედავდა იმას, რასაც მთელი ღამე დილამდე უყურებს ხოლმე: ქუჩის გადაღმა კაფეს ვიტრინა, კოკა-კოლას რეკლამა და დონერიანი[74] სენდვიჩები.

სიჩუმის დარღვევა მომინდა:

– ორშაბათ საღამოს ვიყავი. ასპირინი ვიყიდე. გეძინა. იმ დილით სათევზაოდ ყოფილხარ.

– ის ყველგან არის, ვერსად გაექცევი. სადაც გინდა, წადი, თავს არ დაგანებებს.

– ვინ?

– პოლიტიკა.

– არ ვიცი.

ცოტა ხანს კიდევ ვიყურებოდით. ქუჩა გაავსო პლაჟზე მიმავალმა საკვირაო ბრბომ. მერე ქალები შემოვიდნენ. მოვბრუნდი და ნილგუნის სახე დავინახე. ცალი თვალი სანახევროდ დაჰხუჭვოდა, ორივე ლოყა საშინლად გალურჯებოდა. ქემალ ბეის ცოლმა კიდევ გვითხრა, საავადმყოფოში წასვლა აუცილებელიაო, ნილგუნს არ უნდოდა. ქალმა ქმარს უთხრა, ტაქსი გამოიძახეო.

ნილგუნმა იუარა. ფეხით წავალთ, გულს გადავაყოლებთ, სახლიც აქვეაო. ნილგუნმა ჩანთა აიღო, მე ჩემი ბადურები და პარკები წამოვკრიფე, ნილგუნს ხელკავი გამოვდე და წავედით. გამოსვლისას ქემალ ბეიმ ჰკითხა:

– კომუნისტი ხარო?

ნილგუნმა დაიარავებული თავი დაუქნია. ქემალ ბეის თავის შეკავება, გაჩუმება ერჩია, მაგრამ არ გამოუვიდა. როგორ გაიგესო? – ჰკითხა.

– ბაყალთან გაზეთს ვყიდულობდი და იმით მიხვდნენ.

– აჰა, – თქვა ქემალ ბეიმ შვებით, მაგრამ უფრო მეტად დარცხვენილმა. მერე კიდევ უფრო დაირცხვინა, როცა თავისმა ლამაზმა ცოლმა უთხრა:

– აჰა, არ გეუბნები, ქემალ?

– გაჩუმდი! – უყვირა ქემალ ბეიმ ცოლს. ეტყობოდა, თავის შეკავებაც მობეზრდა.

მე და ნილგუნი გარეთ, მზეზე გამოვედით.

– კარგად დამეყრდენი, გენაცვალე, შენი ჩანთაც მომეცი.

ისე გავიარეთ მთავარი პროსპექტი, არავის დავუნახივართ. მოპირდაპირე ქუჩაზე გავედით. ბაღებს შორის გავიარეთ, ჩავუარეთ აივნებს, სადაც ფერად-ფერადი საბანაო კოსტიუმები და პირსახოცები გამოეფინათ.

ზოგ აივანზე ჯერ ისევ საუზმობდნენ. ჩვენთვის არავის ეცალა, არ შემოუხედავთ. მერე ვიღაც ყმაწვილმა ველოსიპედით ჩაგვიქროლა. შემოგვხედა, მაგრამ ნილგუნს კი არა, მე – ჯუჯას – მიყურებდა. ერთ პატარა გოგოს ფეხებზე საცურაო ლასტები წამოეცვა და მოდიოდა. იხვივით ჩაგვიარა წინ და ნილგუნი გააცინა.

– როცა ვიცინი, ეს ადგილი მტკივაო, – თქვა და უფრო მეტად გაიცინა, – რეჯეფ, შენ რატომ არ იცინი? ასეთი სერიოზული რატომ ხარ? ძალიან სერიოზული ხარ და ჰალსტუხსაც იმიტომ იკეთებ? გაიცინე!..

თავს ძალა დავატანე და გავიცინე.

– აა, თურმე, კბილებიც გქონია! – მითხრა, შემრცხვა და უფრო გამეცინა. გავჩუმდით. ერთბაშად ტირილი დაიწყო. იქნებ, არ უნდა, თავისი ცრემლები ვინმეს დაანახოს-მეთქი და შევბრუნდი. არ ვუყურებდი, მაგრამ როცა კანკალი დააწყებინა, ვიფიქრე, დავამშვიდებ-მეთქი:

– ნუ ტირი, გენაცვალე, ნუ, ნუ ტირი.

შევჩერდით. თმებზე ხელი გადავუსვი.

– ვერ გამიგია, რატომ? – სულ ტყუილუბრალოდ, როგორ სულელურად, თანაც უმიზეზოდ... სულელი ვარ, ბიჭს...

ქუჩას გავხედე. მოპირდაპირე აივნიდან ვიღაც ბავშვი დამფრთხალი მოგვჩერებოდა. ალბათ, ეგონა, ნილგუნი ჩემ გამო ტიროდა. ნილგუნმა ტირილი შეწყვიტა, შავი სათვალე მოითხოვა. ჩანთაში ჰქონოდა. ამოვიღე, მივეცი. გაიკეთა.

– გიხდება, – ვუთხარი.

– ლამაზი ვარო? – მკითხა და სანამ ვუპასუხებდი, დაამატა: – დედაჩემი ლამაზი იყო?

– შენც ლამაზი ხარ და დედაშენიც ლამაზი იყო.

– როგორი იყო დედაჩემი?

– ძალიან კარგი ქალი იყო.

– როგორი კარგი?

დავფიქრდი: არავისგან არაფერს მოითხოვდა. არავისთვის ტვირთი არ ყოფილა. თითქოს ისიც კი არ იცოდა, რატომ ცხოვრობდა. ჩრდილივით იყო, კატასავითო, – ამბობდა დიდი ქალბატონი. სულ ქმარს დასდევდა, მაგრამ მზესავით იცინოდა კიდეც. თავმდაბალი იყო, მოკრძალებული. ადამიანი მასთან თავისუფლად გრძნობდა თავს.

– შენსავით კარგი იყო.

– მე კარგი ვარ?

– რასაკვირველია.

– ბავშვობაში როგორი ვიყავი?

გამახსენდა: ეზოში ლამაზად თამაშობდით პატარა და-ძმა – შენა და მეთინი. ფარუქ ბეი დიდი იყო, თქვენს თამაშებში არ ერეოდა. ხეების ქვეშ დარბოდით, ცნობისმოყვარეები იყავით. მერე ისიც თავისი სახლიდან მოდიოდა, თქვენთან თამაშობდა. არ თაკილობდით, არ აგდებდით. სამზარეულოს ფანჯრიდან ყურს გიგდებდით: დამალობანა ვითამაშოთ. კარგი. გაითვალე. ენა, მენა, დოსი, დოსი საქლამბოსი... უცებ ჰასანი გკითხავდა: ნილგუნ, ფრანგული იცი?

– ბავშვობაშიც ასეთი იყავი.

– ანუ, როგორი ვიყავი?

– მერე, როცა საჭმელი მზად იყო, დიდ ქალბატონს ავძახებდი: დიდო ქალბატონო, საჭმელი მზად არის-მეთქი. ისიც ფანჯარას გამოაღებდა და ყვიროდა: ნილგუნ, მეთინ! საჭმელად ამოდით! სადა ხართ? რეჯეფ, ისევ არ არიან, სად წავიდნენ? აქ არიან, დიდო ქალბატონო, ლეღვის ხესთან-მეთქი. მერე ლეღვის ფოთლებს შორის დაგინახავდათ და აყვირდებოდა: აჰა! ისევ ჰასანთან არიან! რეჯეფ, რამდენჯერ უნდა გითხრა? ეს ბავშვი აქ ნუ მოგყავს. რატომ მოდის? წავიდეს და მამამისის სახლში ითამაშოს! როცა დიდი ქალბატონი ამას იტყოდა, გაიღებოდა სხვა ოთახის ჟალუზი და ფანჯარაში დოღან ბეის თავი გამოჩნდებოდა ხოლმე. ეს იმ ოთახის ფანჯარა იყო, სადაც მამამისი წლები იჯდა და მუშაობდა.

– რა მოხდა, დედა? ითამაშონ. მათი ერთად თამაში ვის რას უშავებს? დიდი ქალბატონი ყვიროდა: დაჯექი მაგ ოთახში მამაშენივით და წერე სისულელეები. ამ დროს კი ეს ბავშვები მოსამსახურის შვილთან აღამ-ათენებენ! ალაჰ! მერე რა მოხდა? და-ძმასავით თამაშობენ და სულ ეს არის.

– რეჯეფ, პირიდან სიტყვები გაზით უნდა ამოგგლიჯოს კაცმა.

– ბატონო?

– ჩემს ბავშვობაზე გეკითხებოდი.

– შენ და მეთინი კარგად თამაშობდით. და-ძმას რომ შეეფერება.

– ძმა? – ამბობს დიდი ქალბატონი. ალაჰ! მაპატიე! საიდან გაჩნდა ეს სიტყვა? ქვეყანამ იცის, რომ ამ ბავშვებს, ფარუქის გარდა, ძმა არა ჰყავთ. ისევე, როგორც ჩემს დოღანს არ ჰყოლია ძმა. თურმე დოღანს ძმები ჰყოლია. ვინ იგონებს ამ ჭორებს?! ოთხმოცი წლისას ამ ტყუილებთან ბრძოლაც მჭირდება? შვილო, ვიღაც ჯუჯისა და კოჭლის მოდგმისა ხარ? ვისმენდი და ჩუმად ვიყავი. მერე ორივენი თავიანთ ფანჯრებს რომ მოხურავდნენ და თავ-თავიანთ ოთახებში შეიკეტებოდნენ, მე ეზოში გამოვდიოდი და გეუბნებოდით: წამო, ნილგუნ, წამო, მეთინ, დიდედა გეძახით. ჭამის დროა. როცა ბავშვები ზემოთ ადიოდნენ, ის ერთ კუთხეში მიიკუნჭებოდა და იდგა.

– ჰასანთანაც ხომ ვთამაშობდით? – მკითხა ნილგუნმა.

– დიახ, დიახ.

– გახსოვს?

– სანამ ზემოთ თქვენ, დიდედა, დოღან ბეი და ბოლო წუთს საიდანღაც გაჩენილი ფარუქი ჭამდით, მე ჰასანი ჩუმად შემომყავდა. ჩუმად, ჰასან, მოგშივდა, შვილო? წამოდი. დამფრთხალი მომდევდა. ჩემს პატარა სკამზე ვსვამდი, წინ იმ სინს ვუდგამდი, რომელზეც დღემდე ვჭამ. ზემოდან ჩამომქონდა გუფთიანი თეფშები, სალათა, ლობიო და ფარუქ ბეის მორჩენილი ატმები. ჭამისას ვეკითხებოდი: ჰასან, მამაშენი რას აკეთებს? არაფერს, ლატარიას. ფეხი როგორ აქვს, სტკივა? არ ვიცი. შენ როგორ ხარ? სკოლაში როდის წახვალ? არ ვიცი. ალბათ, მომავალ წელს, არა, შვილო? ჩუმდებოდა და შიშით შემომყურებდა, თითქოს პირველად მხედავდა. მერეც, დოღან ბეი რომ მოკვდა და ჰასანი სკოლაში წავიდა, როცა ვეკითხებოდი, წელს რომელ კლასში ხარ-მეთქი, შიშით მიყურებდა და არ მპასუხობდა. წელს მესამე კლასში ხარ, არა? მერე, როცა ისწავლი და დიდი კაცი გამოხვალ, რას გააკეთებ?

უცებ ნილგუნი შებარბაცდა.

– რა მოხდა? ხომ არ დავსხდეთ? – ვკითხე.

– გვერდიც მტკივა. აქაც მირტყა.

– მოდი, ტაქსიში ჩავსხდეთ.

არ მიპასუხა. გზა გავაგრძელეთ. კვლავ მთავარ პროსპექტზე გადავედით. გავიარეთ ზღვის სანაპიროზე დაყენებულ მანქანებსა და სტამბოლიდან დასვენების დღეებში ჩამოსულ ბრბოს შორის. ჭიშკარში რომ შევდიოდით, ფარუქ ბეის მანქანა დავინახეთ.

– აბი მოსულა, – თქვა ნილგუნმა.

– დიახ და ახლავე სტამბოლს წახვალთ, საავადმყოფოში.

არაფერი მიპასუხა. სამზარეულოს კარით შევედით და თავზარი დამეცა: გაზი ღია დამრჩენოდა. ორივე ქურა ენთო. შემეშინდა. ყველაფერი გამოვთიშე. მერე ნილგუნი ზემოთ ავიყვანე. ფარუქ ბეი იქ არ იყო. ნილგუნი დივანზე დავაწვინე. ის იყო, თავქვეშ ბალიში უნდა ამომედო, რომ ზემოდან მისი ძახილი მომესმა.

– აქა ვარ, დიდო ქალბატონო, მოვდივარ! – შევძახე, ნილგუნს თავქვეშ ბალიში ამოვუდე, ვკითხე:

– კარგად ხარ? ახლა ფარუქ ბეის გამოგიგზავნი.

ზემოთ ავედი. დიდი ქალბატონი თავისი ოთახიდან გამოსულიყო და კიბის თავზე იდგა.

– სად იყავი? – მკითხა.

– სად ვიქნებოდი? ბაზარში.

– ახლა საით გაგიწევია?

– ერთი წუთით მაცალეთ, შედით თქვენს ოთახში და მეც ახლავე მოვალ.

ფარუქ ბეის კარზე მივაკაკუნე. ხმა არავინ გამცა. პასუხს არ დაველოდე, კარი გავაღე და შევედი. ფარუქ ბეი იწვა და წიგნს კითხულობდა.

– რეჯეფ, მანქანა ხელად შეაკეთეს. მეთინი სულ ტყუილად დარჩა წუხელ გზაში.

– ნილგუნ ხანუმი ქვემოთ არის, გელოდებათ-მეთქი, – ვუთხარი.

– მე მელოდება? რატომ?

– რეჯეფ! – გაისმა დიდი ქალბატონის ხმა, – მანდ რას აკეთებ?

– ქვემოთ ნილგუნია. თუ შეიძლება, ჩადით, ფარუქ ბეი.

ფარუქ ბეი ცოტათი დაიბნა. ერთ წუთს შემომჩერებოდა, მერე წიგნი გადადო და საწოლიდან წამოდგა.

– მოვდივარ, დიდო ქალბატონო! – დავუძახე და ავედი, – აქ რატომ დგახართ? მოდით, ხელი გამიყარეთ და თქვენს საწოლში ჩაგაწვენთ. აქ გაიყინებით.

– ვერაგო, შენ ისევ იტყუები. ფარუქი სად წავიდა?

დიდი ქალბატონის ოთახის კარი ღია იყო. შევედი.

– მანდ რას აკეთებ? არაფერი აურიო!

– ვანიავებ, დიდო ქალბატონო, ხელს არაფერს ვკიდებ, ხომ ხედავთ?

დიდი ქალბატონი ოთახში შემოვიდა.

ჟალუზები გავხსენი.

– მიდით, ლოგინში ჩაწექით.

ჩაწვა. საბანი პატარა ბავშვივით შუბლამდე აიტანა. ერთი წამით სიძულვილი და ზიზღი დაივიწყა და ბავშვური ცნობისმოყვარეობით მკითხა:

– რა იყო ბაზარში? რა ნახე?

– არაფერიც არ იყო. კაცი ლამაზ რაღაცეებს ვეღარ ხედავს.

– უკუღმართო ჯუჯავ, ეგ ვიცოდი. მაგას არ გეკითხები.

სახეზე ზიზღი გამოეხატა და გაჩუმდა.

– ახალი ხილი ვიყიდე. მოგართვათ?

გაჩუმდა. ქვემოთ ჩავედი. ფარუქსა და ნილგუნს ლაპარაკი კარგა ხნის დაწყებული ჰქონდათ.

28.

ნილგუნი მეაფთიაქე ქალბატონსა და მის ქმარზე მიამბობდა.

ისიც მითხრა, რეჯეფს დავეყრდენი და შინამდე ისე მოვაღწიეო. მინდოდა მეკითხა, ახლა როგორ ხარ-მეთქი? – მაგრამ დამასწრო:

– არაფერია, ფარუქ, თითქოს აგიცრესო, – ეტყობა, ჩემი სახის გამომეტყველებაზე მიხვდა, რის კითხვასაც ვაპირებდი.

– აცრას მოგართმევენ! დასწყევლოს ალაჰმა! აცრამდე მაინც ხომ გეშინია? მკლავზე ნემსის მოახლოებისას შიშის ზარი არა გცემს?

– კი, მაგრამ ეს გრძნობა ბოლო წუთს ჩნდება, სულ ბოლო წუთს.

– მერე?

– მერე ვინანე, ჩემს თავზე გავბრაზდი. როგორ ვერ მოვახერხე იმ სულელის მოთოკვა! ტყუილუბრალოდ...

– სულელია?

– არ ვიცი. ბავშვობაში კარგი ბიჭი იყო. მაგრამ მერე? წელს ვიფიქრე, სულელია-მეთქი, სულელი და გულუბრყვილო. როცა მირტყამდა, გული მომდიოდა – ამ ბრიყვულ სიტუაციაში როგორ ჩავიგდე თავი!

– მერე? – ვკითხე გაუბედავად.

– მერე მივხვდი, ვეღარაფერს გავაწყობდი, ალბათ, ვყვიროდი, მაგრამ არავინ მომეშველა. ფარუქ, ასე ძალიან რატომ გაინტერესებს ყველაფერი?

– რაო, სახეზე მეტყობა, რომ მაინტერესებს?

– იმათ ჰგავხარ, ვისაც ტკივილის განცდა სიამოვნებს. თუ ახლობელი მოუკვდათ, თავადაც სულ სიკვდილს ნატრობენ. სულ სასოწარკვეთილები არიან. რაში გაინტერესებს გულსაკლავი, წვრილმანი ამბების მოსმენა?

– რას იზამ, ასეთი ვარ, – ვთქვი უცნაური სიამოვნებით.

– ასეთი არა ხარ. გინდა დაიჯერო, რომ იმედი გადაგეწურა.

– არა, გენაცვალე.

– დიახ, დიახ, ტყუილად თამაშობ ხელჩაქნეული კაცის როლს.

– რა არის ის, რასაც იმედს ეძახი?

ნილგუნი დაფიქრდა, მერე თქვა:

– ყველაფრის მიმართ ინტერესს კარგავ. საამისო მიზეზი კი არ გაგაჩნია. დიახ, ასეა.

ცოტა კიდევ იფიქრა და დაუმატა:

– ადამიანს იმედი აცოცხლებს. კაცი მოკვდება, იმედმა თუ არ დააყენა ფეხზე, თუ არ გააძლებინა. ზოგჯერ კაცი, განსაკუთრებით ბავშვობაში, ფიქრობს: რომ მოვკვდე, რა მოხდებაო?.. მაშინ ამბოხის სურვილი ავსებს სულს. თუ ამ გრძნობაზე მაღლა დადგები, გაიგებ, რა ყოფილა იგი – მხოლოდ და მხოლოდ ცნობისმოყვარეობა – რა იქნება ჩემ მერე? აუტანელია ეს ცნობისმოყვარეობა.

– არა, ნილგუნ, ეგ ცნობისმოყვარეობა კი არა, წმინდა წყლის შურია. შენ შემდეგაც გაერთობიან, ბედნიერები იქნებიან, დაგივიწყებენ და კარგად იცხოვრებენ. შენ კი მათ სიამოვნებაში წილი არ გედება. ამიტომაც ყველასი გშურს.

– არა, გაინტერესებს, რა იქნება მერე. ეს ინტერესი, ცნობისმოყვარეობაა, ადამიანს სიკვდილისაგან რომ იფარავს. შენ კი თავს ისე აჩვენებ, აბი, ვითომ არ გაინტერესებს.

გავბრაზდი:

– არაფერი მაინტერესებს, სულ არაფერი!

– რატომ? – უცნაურად გულდაჯერებულმა იკითხა.

– ვიცი და იმიტომ: სულ ერთი და იგივე რამეები, ერთი და იგივე ზღაპრები!

– სულაც არ არის ეგრე.

– ეგრეა, ეგრე. შენც რწმენის დაკარგვისა გეშინია და ამიტომ არ გინდა რამის გაგება.

– ამას რწმენას ვერ დაარქმევ, მაგრამ თუნდაც რწმენა იყოს, უცოდინარობის გამო ხომ არა მაქვს იგი? იმიტომ მწამს, რომ ვიცი!

– მე კი არაფერი ვიცი.

ცოტა ხანს ჩუმად ვისხედით. მერე ნილგუნმა მითხრა:

– მაშინ რაღაა ის ათობით სიტყვა, ყოველდღე არქივში რომ კითხულობ? მოგწონს უვიცის პოზა.

– ეს რატომ უნდა გავაკეთო? რა მიზნით?

მაშინ ნილგუნმა ისეთი რამ გააკეთა, რამაც, ცოტა არ იყოს, შვება მომგვარა: უმწეოდ გაშალა ხელები. ამ ჟესტით თითქოს მიპასუხა: აბა, მე რა ვიცი, სიღრმისეულ მიზეზებს ვერა ვწვდები და ვნებდებიო.

უცნაური გრძნობა დამეუფლა: დამოუკიდებელი ვარ, მაგრამ თავი მეზიზღება: ასე მგონია, ჩემში ორსახოვან, ყალბ არსებას ვმალავ. ადამიანს საკუთარი თავის შეცნობა მხოლოდ გარკვეულ ზღვრამდე შეუძლია. იმის იქით კი გზა აღარ არის. სწორედ აქ იწყება ფუჭსიტყვაობა.

ოთახში რეჯეფი შემოვიდა. ერთბაშად წამოვდექი და არ ვიცი, საიდან მოტანილი თავდაჯერებულობით ვთქვი:

– ნილგუნ, ადექი, საავადმყოფოში მიმყავხარ.

– ოოჰ! არ მინდა, – თქვა ბავშვივით.

– ნუ სულელობ! მეაფთიაქე ტიპი მართალია, სისხლჩაქცევა არ მოხდეს.

– მეაფთიაქე ქალია, ის ტიპი – მხოლოდ მისი ქმარი. არავითარი სისხლჩაქცევა არ იქნება!

– წავიდეთ, ნილგუნ, ნუღარ გადადებ!

– არა, ახლა არა!

საუბარი დავიწყეთ, მაგრამ იმისათვის კი არა, რომ რაღაც შედეგამდე მივსულიყავით, არა, სიტყვების ერთმანეთთან წაჩხუბება გვინდოდა, რათა მათ ერთმანეთის ცემა-ტყეპით გამოემზეურებინათ თავიანთი უმწეობა. მე ერთს ვამბობდი, ნილგუნი – მეორეს. მეჩვენებოდა, რომ მე იმ „მეორის“ თქმაც შემეძლო, ნილგუნს კი – მხოლოდ ერთისა. მაგრამ სიტყვები ვერაფერს შეცვლიდა – ეს მათი ამაო ხარჯვაა და ჩვენი დროის ფუჭი ფლანგვაც. ნილგუნს ძილი მოერია, დივანზე მიწვა. თვალები ელულებოდა, მაგრამ მაინც მთხოვა:

– აბი, ისტორიაზე მელაპარაკე.

– როგორ?

– შენი რვეული წამიკითხე.

– უკეთ დაგეძინება?

მშვიდად გაიღიმა, როგორც პატარა გოგომ, საწოლში რომ წევს და იხვეწება, ზღაპარი მიამბეთო. გამიხარდა. ბოლოს და ბოლოს, „ამბებს“ რაღაცაში გამოვიყენებ-მეთქი. ჩემს ოთახში ავირბინე. ჩანთაში ჩანაწერები არ იდო. ყველგან ვეძებე, სულმოუთქმელად გადავაქოთე უჯრები, კარადა, ჩემოდანშიც კი ჩავიხედე. სხვა ოთახებშიც ვეძებე, დიდედის ოთახშიც შევედი. მაგრამ ის წყეული რვეული ვერ ვიპოვე. დავფიქრდი და გამახსენდა: გუშინღამ მე და ნილგუნი წვიმას რომ ვუყურებდით, მთვრალი ვიყავი და, შეიძლება, რვეული მანქანის უკანა სავარძელზე დამრჩა. მაგრამ, იქაც რომ არ იყო?! ხელახლა დავაპირე ყველა ოთახის დათვალიერება. ზემოთ რომ ავდიოდი, თვალი ვკიდე ნილგუნს – ეძინა. სახე თეთრ, გაყინულ ნიღაბს უგავდა – ალაგ-ალაგ ლურჯი და წითელი საღებავებით მოთხუპნილს. პირი ღია დარჩენოდა და ქანდაკების პირის ჭრილს ჰგავდა. ადამიანში მოლოდინის შიშს აღვიძებდა. დავინახე, რეჯეფი გვიახლოვდებოდა. დანაშაული ვიგრძენი, იქაურობას გავერიდე, ბაღში ჩავედი, იმ შეზლონგში, ნილგუნი მთელი კვირა რომ იჯდა და წიგნს კითხულობდა, ვაი-ვაგლახით ჩავტენე ჩემი უზარმაზარი ტანი.

ვიჯექი და ვფიქრობდი უნივერსიტეტის დერეფნებზე, საქალაქო ტრანსპორტის მოძრაობაზე, მოკლესახელოებიან პერანგებზე, ზაფხულის ნოტიო სიცხეზე, ცუდ ამინდში საჭმელ სადილზე, სიტყვებზე. სახლში მაგრად დაკეტილი ონკანებიდან წყალი წვეთავს, ოთახებში მტვრისა და წიგნების სუნი დგას. მეტალის მაცივარში მარგარინი სულ გათეთრდა და გაქვავდა. ისედაც პლასტმასის გემო ჰქონდა. ცარიელი ოთახი, როგორც ეტყობა, ისევ ცარიელი დარჩება... დალევა და დაძინება მომინდა, მერე ვიფიქრე: რაღა ჩვენ შორის უკეთესს დაემართა ეს საშინელი ამბავი-მეთქი.

უხმოდ შევედი შინ და იარებიან მძინარე სხეულს დავხედე. რეჯეფი მომიახლოვდა და მითხრა:

– ფარუქ ბეი, საავადმყოფოში წაიყვანეთ.

ნუ გავაღვიძებთ-მეთქი, ვუთხარი.

– ნუ გავაღვიძებთ? – გაიკვირვა რეჯეფმა, მხრები აიჩეჩა და სამზარეულოში წაყანყალდა. მე კი მზეზე გამოვედი და ისევ საქათმესთან დავჯექი. კარგა ხანი გავატარე სულელ ქათმებთან ერთად. მერე მეთინიც მოვიდა. ახალი გაღვიძებული იყო. მითხრა: ნილგუნმა ყველაფერი მიამბოო, მეც გამომკითხა, რაც ვიცოდი, მაგრამ მალევე შემაწყვეტინა და თავად მოჰყვა, როგორ წაართვეს 12000 ლირა, როგორ გაფუჭდა მანქანა იმ ძლიერი ჭექა-ქუხილის დროს. ასე გვიან იმ ადგილზე მარტოს რა გინდოდა-მეთქი, – ვკითხე. ერთი წამით გაჩუმდა, მერე რაღაც უცნაურად ჩაიქნია ხელი. მაშინ ვუთხარი:

– ერთი რვეული მქონდა, მანქანაში ხომ არ დამრჩენია? არ გინახავს? ვერ ვპოულობ, დაიკარგა-მეთქი.

– არ მინახავსო.

მკითხა: მანქანა სარემონტოდ როგორ წაიყვანე, როგორ დაქოქეო? მე და რეჯეფი ოდნავ მივაწექით და მაშინვე ამუშავდა-მეთქი. არ დამიჯერა. გაიქცა, რეჯეფს ჰკითხა. მანაც იგივე უთხრა. ისე გაცეცხლდა, თითქოს უსამართლობის მსხვერპლი თავად გამხდარიყოს და არა – ნილგუნი. მოჰყვა თავისი ბედის წყევლას. მერე ის გამახსენდა, რის დავიწყებაც მინდოდა: – პოლიციაში არავინ წასულაო? – იკითხა. როცა ვუთხარი, არა-მეთქი, ისეთი სახე გაუხდა, მივხვდი, ჩვენი უმოქმედობა არ მოეწონა. მაგრამ მალე დავავიწყდით. ეტყობოდა სხვა, უფრო დიდი ტკივილი გაახსენდა. შინ შევედი. ნილგუნს ეღვიძა. ისევ წამოვიწყე უაზრო საუბარი საავადმყოფოზე. სისხლის ჩაქცევით ვაშინებდი. სიტყვა „სიკვდილი“ არ მიხსენებია, მაგრამ მივანიშნებდი, მინდოდა შიში ეგრძნო და ეთქვა: კარგი, წავიდეთო. არა თქვა.

– ახლა არ მინდა, იქნებ, სადილის შემდეგო.

დიდედა სადილზე არ ჩამოვიდა. ამიტომ თავისუფლად დავლიე. ვითომ ვერ ვამჩნევდი, როგორ უნდოდა რეჯეფს ყველასათვის თავს მოეხვია დანაშაულის გრძნობა, მაგრამ როცა მეთინმა ერთხელ კიდევ ახსენა მძარცველები, რეჯეფის რეაქციაზე მივხვდი, ჩვენზე მეტად ჰქენჯნიდა სინდისი. ისეთი უბედური ჩანდა, თითქოს რაღაც დაეშავებინოს. ყველანი დავიბენით. უცხო ადგილას მოხვედრილებს ვგავდით. ვიცოდით, აქ არ უნდა ვყოფილიყავით, მაგრამ ვერ გაგვეგო,

საით წავსულიყავით. არც მთლად ასე იყო საქმე: ვიცოდით, ყველანი გარეთ ვიყავით, მაგრამ არ ვიცოდით, რა იყო ის, რის შიგნითაც უნდა ვყოფილიყავით. ის, რომელიც არავინ იცის, ახლა სად არის, იქნებ ჰასანი იყო, მასში არსებული ის, რომელსაც ჩვენ ვამტყუნებდით და თითქოს გვეცოდებოდა კიდეც. სადილის ბოლოს უსიამოვნო აზრიც გამიჩნდა: ნილგუნს მისთვის „სულელი ფაშისტი“ რომ არ ეწოდებინა, არაფერიც არ მოხდებოდა.

ერთხელ გაზეთში წავიკითხე, რომ სადღაც ბოსფორზე, მგონი, თარაბიეში, გვიან ღამით მგზავრებით სავსე მუნიციპალური ავტობუსი ზღვაში გადავარდა. ახლა თითქოს მეც იმ ავტობუსში ვიჯექი. ზღვის ფსკერზე დავცვივდით, მაგრამ ავტობუსში სინათლე ჯერ ისევ ენთო. ყველანი თავზარდაცემულნი შესჩერებოდნენ ფანჯრებს, მაგრამ ავტობუსში ჩამომდგარი სიკვდილის სიბნელე გვიზიდავდა, როგორც სასიამოვნო, მშვიდი ქალი. ველოდებოდით.

სადილის შემდეგ ერთხელ კიდევ ვუხსენე ნილგუნს საავადმყოფოში წასვლა, ისევ უარზე იყო. ჩემს ოთახში ავედი, საწოლზე წამოვწექი და ევლია ჩელები გადავშალე. კითხვაში ჩამეძინა.

ზუსტად სამი საათის შემდეგ გამეღვიძა. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. საწოლიდან ვერ ვდგებოდი. თითქოს უხილავი სპილო დამწოლოდა და საწოლზე დავესრისე. მეგონა, თუ თვალებს დავხუჭავ, მშვიდი ძილი დამიბრუნდება-მეთქი, მაგრამ არ ავყევი ცდუნებას – თავი დავაღწიე ლამაზი სიზმრების სამყაროს, დიდი ძალისხმევის ფასად წამოვდექი. რამდენიმე წამს გაუნძრევლად ვიდექი შუა ოთახში. მერე ჩავიბურტყუნე: ნეტავ რა არის ის, რასაც დრო ჰქვია? რას ველოდები, როგორც საშველს? ხუთი საათი სრულდებოდა. ქვემოთ ჩავედი.

ნილგუნს ეღვიძა. დივანზე იწვა და წიგნს ათვალიერებდა.

– რამდენჯერ მინატრია, ავად გავმხდარიყავი, მშვიდად ვწოლილიყავი და მეკითხა წიგნებიო, – მითხრა.

– ავად არა ხარ. შენი მდგომარეობა უფრო სერიოზულია. ადექი, საავადმყოფოში მიმყავხარ.

არ ადგა. მეორედ კითხულობდა „მამებსა და შვილებს“.

ყურადღება არ მომაქციოთ, წვრილმანი რაღაცეებით ნუ მაწუხებთ, მინდა ვიკითხო, როგორც წიგნის ჭიამო, – მითხრა. ამრიგად, ხელთ ვიგდე უაზრო ლაპარაკის შესაძლებლობა. მინდოდა, სიკვდილით შემეშინებინა. რამდენჯერმე კიდეც ვახსენე სიტყვა „სიკვდილი“, მაგრამ მან გაიღიმა და მითხრა: ისეთი ნაცემიც არ უნდა ვიყო, არა მგონია, სიკვდილი მემუქრებოდესო.

ისევ მიუბრუნდა წიგნს. მიკვირდა, ამ დალილავებული და დასიებული თვალებით როგორ კითხულობდა!

ზემოთ ავედი. ამაოდ მოვიარე ოთახები. ჩემს რვეულს ვეძებდი. ერთი ფიქრი ამეკვიატა: ნეტა, თუ მეწერა იმ რვეულში შავ ჭირთან დაკავშირებული ინფორმაცია? ეზოშიც ჩავედი, ძებნა გავაგრძელე, მაგრამ უკვე აღარ მახსოვდა, რას ვეძებდი. ქუჩაში გამოვედი. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს, არცთუ უმიზნოდ, სადღაც მივდიოდი. ეტყობა, ჯერ კიდევ მქონდა რაღაცის პოვნის იმედი.

ქუჩებსა და პლაჟზე გუშინდელი გამოცოცხლება არ ჩანდა. მზე არ აცხუნებდა, ქვიშა სველი იყო, მარმარილოს ზღვა – ჭუჭყიანი და უფერული. დაკეცილი და გახუნებული ქოლგები ისე უილაჯოდ გამოიყურება, თითქოს უცნობი ცივილიზაცია მზადაა, ღმერთმა იცის, საიდან მოვარდნილი ქარიშხლით, დაუნდობელი ქარით დაინგრეს და განადგურდესო.

მანქანებს შორის გავიარე. ისინი იდგნენ და უკან აბრუნებდნენ მთელი დღის განმავლობაში შთანთქმულ სიცხეს. ნავმისადგომთან ყავახანაში მივედი. იქ ჩემი ძველი ნაცნობი შემხვდა – ჩვენი უბნელი. დავაჟკაცებულა, ცოლი შეურთავს, შვილიც ჰყოლიათ. ცოლი გამაცნო, უთხრა, ჯენეთჰისარის უძველესი მკვიდრიაო. ორშაბათ საღამოს რეჯეფს შეხვედრიან. სელმაც მოიკითხა, მაგრამ არ მითქვამს, რომ გაყრილები ვართ. მერე ჩვენი ახალგაზრდობა გაიხსენა: როგორ შევდიოდი ნავით ზღვაში და დილამდე ვსვამდით. თურმე ყველაფერი დამვიწყებია! მითხრა, ჩვენებიდან ვინ სად არის, ვინ რას აკეთებს. ამბობენ, ორჰანი და შევქეთი ერთ კვირაში ჩამოვლენო. შევქეთს ცოლი მოუყვანია, ორჰანი რომანს წერსო – მათ დედას შეჰხვედრია. დაინტერესდა, შვილი თუ მყავდა. უნივერსიტეტზეც მკითხა, გაიხსენა, ვინც უკვე მომკვდარიყო. მერე ჩურჩულით მითხრა: დილას აქ ვიღაც გოგოს თავს დაესხნენ და გალახეს. ვინ იცის, რას ერჩოდნენ. ეს დღისით,

მზისით, ყველას თვალწინ მოხდა, მაგრამ არავინ ჩარეულა. როგორც იქნა, ჩვენს ხალხს უსწავლია, რომ არ უნდა ჩაერიოს, უნდა შეეშინდეთ და დასახმარებლად არ გაიქცნენ. მერე მითხრა, სტამბოლში შევხვდეთო. ჯიბიდან სავიზიტო ბარათი ამოიღო და მომცა. მითხრა: სახელოსნო მაქვს, მართალია, ფაბრიკა არ არის, მაგრამ პლასტმასის თასებს, ვედროებს, კალათებს ვამზადებთო.

შინ რომ ვბრუნდებოდი, ბაყალთან შევიარე და ერთი ბოთლი არაყი ვიყიდე. ისევ გავახსენე ნილგუნს საავადმყოფო, მაგრამ ისევ არ წამოვალო, მიპასუხა. რეჯეფს ესმოდა ჩვენი საუბარი და წყრომით გადმომხედა, არაყზე დასაყოლებელი საუზმის მომზადება ვეღარ ვთხოვე, სამზარეულოში ჩავედი და თავად გავიმზადე. მერე დავჯექი და გავირინდე, რათა სიტყვებსა და აჩრდილებს თავისუფლად ენავარდათ ჩემს თავში. ეფიქრათ: გამარჯვება და დამარცხება ოდენ სიტყვებია, რასაც ირწმუნებ, ადრე თუ გვიან, ის წამოგეწევა. „უკვე ვგრძნობ აღსასრულის მოახლოებას“, – ხშირად შეხვდებით რომანებში ამ ფრაზას. ალბათ, ორჰანის რომანშიც არის იგი.

რეჯეფმა სუფრის გაშლა დაიწყო. ადგილიდან არ დავძრულვარ. წყრომით მიყურებდა. მე ყურადღებას არ ვაქცევდი. როცა შებინდდა, დიდედა ქვემოთ ჩამოიყვანეს. ბოთლი დავმალე. მეთინმა კი გაბედულად დადგა მაგიდაზე თავისი ბოთლი და სმა დაიწყო. დიდედამ არ შეიმჩნია. იჯდა და ბუტბუტებდა – ლოცულობდა თუ გვიწყრებოდა? მერე რეჯეფმა ზემოთ აიყვანა. ჩუმად ვისხედით.

– წამოდით, სტამბოლს დავბრუნდეთ, ახლავე, დაუყოვნებლად, – თქვა მეთინმა.

– აკი შუა ზაფხულამდე აპირებდი დარჩენას? – გაუკვირდა ნილგუნს.

– გადავიფიქრე, – თქვა და ცოტა ხანს გაჩუმდა, – მომბეზრდა, სასწრაფოდ დავბრუნდეთ.

– არ გიყვარს? – ჰკითხა ნილგუნმა.

– ვინა?

– ძველი მეგობრები.

– ნილგუნ, საჩქაროდ საავადმყოფოში ხარ წასაყვანი. როგორ არ

გესმის?! – ხმას აუწია მეთინმა, – არ გეხუმრები!

– ხვალ ხომ ისედაც მივდივართ.

– აქ ვეღარ გავძლებ. ფარუქ, თუ გინდა დარჩი, ოღონდ მანქანის გასაღები მომეცი. ნილგუნს მე წავიყვან.

– მართვის უფლება რომ არა გაქვს? – უთხრა ნილგუნმა.

– აბლა! როგორ არ გესმის?! უნდა წავიდეთ! რამე რომ მოხდეს? ხომ ხედავ, ფარუქი არაფრის გამკეთებელია. მანქანას მე წავიყვან.

– შენც მასავით მთვრალი ხარ, – უთხრა ნილგუნმა.

– წამოსვლა არ გინდა? რატომ არ გინდა?! – უყვირა მეთინმა.

– ამაღამ აქ დავრჩებით, – მშვიდად თქვა ნილგუნმა.

გაჩუმდნენ. დიდხანს ისხდნენ ხმაამოუღებლად, რეჯეფმა დიდედა დააწვინა, ჩამოვიდა და მაგიდის ალაგება დაიწყო. დავინახე, მეთინი შეწუხებული ჩანდა, ღრმად ჩაფიქრებული. თითქოს მტვრის კორიანტელში მოხვედრილა და სუნთქვას იკავებსო. მერე ერთბაშად ამოისუნთქა, მოეშვა.

ამაღამ აქ დამრჩენი არა ვარო, თქვა და ზემოთ ავიდა. მალე დაბრუნდა თმადავარცხნილი, ტანსაცმელგამოცვლილი. ისე წავიდა, არაფერი უთქვამს. ჩვენ მისი ლოსიონის სუნს ვყნოსავდით, ის კი უკვე ჭიშკართან იყო.

– რა დაემართა? – იკითხა ნილგუნმა.

პასუხად ფიზულის[75] ერთი ბეითი წავუკითხე, რასაკვირველია, ოდნავ შეცვლილი:

„მეტრფეა იგი ქორფა ვარდისა

ამიტომ დაჰკრავს ფერი ალისა“.

ნილგუნმა გაიცინა. გავჩუმდით. სათქმელი არაფერი გვქონდა. ბაღშიც სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა, უფრო პირქუში და შემზარავი, ვიდრე ნაწვიმარზე იცის ხოლმე. საზიზღარი ინტერესით ვათვალიერებდი ნილგუნის სახეს. თითქოს თეთრი ნიღაბი უკეთია, ზედ ლურჯი მელნით ბეჭედდასმულიო. რეჯეფი სამზარეულოში მიდი-მოდიოდა. ვიჯექი და ვფიქრობდი ისტორიაზე, დაკარგულ რვეულზე და

კიდევ ათას რამეზე. გაუსაძლისი იყო. წამოვდექი. ძალიან კარგი, აბი, გაიარე, ცოტა გულს გადააყოლებ, – მითხრა ნილგუნმა.

გულის გადაყოლებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ წავედი.

– ფრთხილად იყავი! – მომაძახა ნილგუნმა, – ბევრი გაქვს დალეული. როცა ჭიშკრიდან გამოვდიოდი, ჩემი ცოლი გამახსენდა. მერე ფიზულიზე ვიფიქრე, ტკივილის განცდის მისეულ სურვილზე. ნეტავი, დივანის[76] პოეტები მყისიერად წერდნენ თავიანთ დიდებულ ლექსებს, თუ რამდენიმე საათს ანდომებდნენ მათ ჩაწერასა და გასწორებას. ყველაფერ ამაზე თავის შესაქცევად ვფიქრობდი. მივხვდი, შინ ადრე ვერ დავბრუნდებოდი. ქუჩა უკაცრიელი იყო, ბარები და კაფეები – ნახევრად ცარიელი. ხეებზე შეფენილი ფერადი ნათურების უმეტესობა არ ენთო. ალბათ, გუშინდელი ქარიშხლის ბრალია. ქვაფენილის კიდეებზე ჭუჭყიანი გუბეები იდგა, ზედ ველოსიპედით გადაივლიდნენ ხოლმე და მერე ასფალტზე რაღაც უაზრო მრუდეებს ხაზავდნენ. ფეხარეული სასტუმრომდე მივედი. ნეტავი იმ დროს, როცა მეც შემეძლო ველოსიპედით სიარული! გონების თვალი გადავავლე ჩემი ახალგაზრდობის წლებს. მერე ისევ ჩემს ცოლზე, ისტორიაზე, ევლია ჩელებიზე, ნილგუნზე ვფიქრობდი. აუცილებლად უნდა წავიყვანო საავადმყოფოში! სასტუმროში ნერვების მომშლელი, ყურისწამღები მუსიკის ხმას სარეკლამო აბრის გასანათებელი მოწყობილობის ტკაცუნი ერთვოდა. დიდი დრო გავლიე ორჭოფობაში – დანაშაულიც მინდოდა და სიალალმართლეც. მაოცებენ საკუთარი პასუხისმგებლობით გამართული ადამიანები. მეჯავრება ჩემი ცნობიერება – სულ ჩასაფრებულია, იქნებ დანაშაულზე წავასწროო. მორალისტობაც მაღიზიანებს, როგორც ფეხბურთის მატჩის დროს კარის უკან მდგარი ფოტოგრაფები. ბოლოს გადავწყვიტე: საავადმყოფოში დილით წავსულიყავით.

სასტუმროში მბრუნავი კარით შევედი. როგორც ძაღლი, ყნოსვით რომ აგნებს სამზარეულოს, მეც სმენით მივაგენი იმ ადგილს, საიდანაც მუსიკა ისმოდა. ნოხებზე უხმაუროდ გავიარე, გვერდი ავუქციე ოფიციანტებს და რომელიღაც კარი შევაღე – მაგიდას მთვრალი ტურისტები უსხდნენ – კაცები და ქალები. წინ ბოთლები ედგათ, ფესები ეხურათ. რაღაცას ყვიროდნენ. მივხვდი, ეს იყო უცხოელი ტურისტებისთვის

გამართული თურქეთთან გამოსათხოვარი აღმოსავლური საღამო. ფართო, ამაღლებულ ადგილზე მდარე ხარისხის ორკესტრი მეტალის ჟღარუნს გამოსცემდა. ოფიციანტისაგან გავიგე, რომ მუცლის ცეკვა ჯერ არ დაწყებულიყო. ტურისტების ზურგს უკან მაგიდასთან დავჯექი და გაუბედავად მოვითხოვე არაყი.

პირველი ჭიქა დავლიე და მსუბუქი მუსიკაც გაისმა. ეჟვნების წკრიალი გავიგონე და მოცეკვავის გარუჯული სხეულიც დავინახე. იგი ნახევრად სიბნელეში მოხეტიალე სინათლის კონუსურ სვეტში იგრიხებოდა. თვალი მომჭრა მისი კოსტიუმის ბრჭყვიალმა. როცა მოცეკვავე ტემპს უმატებდა, გეგონებოდათ, მისი მკერდიდან და უკანალიდან სინათლე იღვრებაო. ავღელდი.

ფეხზე წამოვდექი, ოფიციანტმა მეორე ჭიქა არაყი მომიტანა. ისევ დავჯექი და ფიქრი დავიწყე: მხოლოდ მოცეკვავე კი არ აკეთებს თავის საქმეს, ყველანი რომელიღაც სპექტაკლის მონაწილენი ვართ. მოცეკვავეს უნდოდა განესახიერებინა აღმოსავლელი ქალი. ტურისტები, რომლებიც აღმოსავლეთში ბოლო ღამეს ატარებდნენ, მას სწორედ ისეთად აღიქვამენ, როგორიც თავად უნდათ. როცა სინათლის სხივი მაგიდებს შორის დაეხეტებოდა, მე გერმანელი ქალების სახეებს ვაკვირდებოდი – არაფერი უკვირდათ, მაგრამ ეტყობოდათ, უნდოდათ, გაჰკვირვებოდათ. იღიმოდნენ. რასაც ელოდნენ, სწორედ ის ხდებოდა და მოცეკვავის შემხედვარენი ამაყად ფიქრობდნენ – ჩვენ „ასეთები“ არა ვართო. ღმერთმა დასწყევლოთ! თავს მამაკაცების ტოლად და სწორად მიიჩნევენ და სრულიად მშვიდად გვთვლიან „ასეთებად“, გვამცირებენ, მაგრამ თვითონ იმ დიასახლისებს ჰგვანან, რომლებსაც ჰგონიათ, თუ მოსამსახურეებზე მბრძანებლობენ, თავიანთი ქმრების სწორნი არიან.

შეურაცხყოფილი ვიყავი, წარმოუდგენლად დამცირებული. იმ ცეკვის ჩაშლა მინდოდა, მაგრამ ვიცოდი, არაფერს მოვიმოქმედებდი. ვიჯექი და ვტკბებოდი დამარცხებითა და ტვინის არეულ-დარეულობით.

მუსიკა გაუხეშდა, გაძლიერდა. სცენის უხილავი კუთხიდან უარესი, უფრო ხმამაღალი მუსიკა გაბატონდა, მოცეკვავე მაგიდებისაკენ ზურგით დადგა და მარაოს ნერვიული ქნევით თავისი გამომწვევი სხეულის რხევას მოჰყვა. მერე სწრაფად

მოგვიტრიალდა და ამაყად დაიწყო მკერდის თამაში. მივუხვდი – უნდოდა ეჩვენებინა, როგორ მაღლა დგას ყველანაირ აკრძალვაზე, როგორ ეზიზღება იგი. ამ დროს სახეზე სინათლის სხივი დაადგა, და მკაფიოდ გამოაჩინა მისი თვითდაჯერებულობა და გამარჯვების სიამაყე. გავიხარე. დიახ, ჩვენი გადრეკა იოლი არ გეგონოთ, ჯერ ისევ შეგვიძლია ფეხზე დგომა! შეხედეთ! მოცეკვავე მათ გამომწვევად ექცევა. არაფრად აგდებს სულგანაბული ტურისტი ქალების მზერას, თითქმის მეცნიერულ ინტერესებს. ფესიანი ტურისტი მამაკაცები გაირინდნენ. აღარ უყურებენ მოცეკვავეს, როგორც მამაკაცის საკუთრებას, მის ნივთს. პატივსაცემი ქალის წინაშე მოკრძალებას გრძნობენ, აღარ ახსოვთ, ვინ არიან თავად.

საოცარი ნეტარება დამეუფლა. მოცეკვავის უშნო, მაგრამ სხარტმა სხეულმა ამაღელვა. თითქოს ყველა ერთ სიზმარს ვხედავდით და ერთად გავიღვიძეთ. წარმოვიდგინე, რა ხარბად დავაცხრებოდი მის გარუჯულ კანს იქ, ჭიპის გარშემო, სადაც ოფლის წვეთები უბრწყინავს. ჩავიბურტყუნე, ახლავე შინ დავბრუნდები, ნილგუნს საავადმყოფოში წავიყვან, მერე კი ჩავუჯდები ისტორიას, სერიოზულად ვიმუშავებ-მეთქი. გამომივა. წარსულსა და რეალურ მოვლენებს, ცოცხალ ამბებს ვირწმუნებ, გამომივა. შემიძლია ყველაფერი ახლავე გავაკეთო.

ამასობაში მოცეკვავემ, რომელსაც მისდამი ქედმაღლური დამოკიდებულებისთვის სამაგიეროს გადახდა უნდოდა, წინასარ თვალში ამოღებული ხალხის გამოყვანა დაიწყო: ჩაავლებდა ხელს და სცენაზე აჰყავდა, მასთან ერთად მუცლის ცეკვას აიძულებდა. ოი, ალაჰ! გერმანელი კაცები ხელებს შლიდნენ და მძიმე, მოუხერხებელი მოძრაობით ტოკავდნენ. ეტყობოდათ, თავიანთი მეგობრებისა რცხვენოდათ, მაგრამ გართობა ხომ მათი უფლება იყო! ალაჰმა დასწყევლოს!

ცოტა ხნის მერე მოცეკვავემ ის ჩაიდინა, რასაც ველოდი და რისიც მეშინოდა. ერთხელ კიდევ ვიფიქრე, მთელი იმედები გამიცუდდა-მეთქი. ოსტატურად შეარჩია ტურისტთა შორის ერთი ჩასუქებული გერმანელი მოხალისე, სულელური გამომეტყველება რომ ჰქონდა, და გახდა დაუწყო. გერმანელი მეგობრებს უღიმოდა, პერანგს იხდიდა, თან ვითომ მუცლის ცეკვას ასრულებდა. მეტის გაძლება აღარ შემიძლია, ცოტაც და, დავეცემი! მინდა, წაიშალოს მთელი ჩემი ცნობიერება. წარსულის კვალიც კი არ დარჩეს, მომავლის რწმენა და

იმედებიც გაქრეს. ჩემი გონების სამართავი ხელსაწყოებიც მოვიშორო და თავისუფლად ვიარო. ჩემი ცნობიერების მიღმა არსებულ სამყაროში. მაგრამ უკვე ვიცი: ვერასოდეს დავივიწყებ საკუთარ თავს, ყოველთვის ისე ვიცხოვრებ, როგორც ორი ადამიანი.

წყეულიმც იყოს! ეჭვებსა და ფანტაზიებში ვერგარკვეული კიდევ დიდხანს ვიჯდები ამ ბინძურ ადგილას, საზიზღარი მუსიკით გარემოცული.

29.

შუაღამე კარგა ხნის გადასულია, მაგრამ მათი პაკაპუკი არ წყდება. ნეტავ, რა ხდება იქ, ქვემოთ, რას აკეთებენ? რატომ არ იძინებენ? დაიძინონ და ეს მდუმარე ღამე მე დამიტოვონ. საწოლიდან წამოვდექი, ფანჯარასთან მივედი და გადავიხედე. ბაღს რეჯეფის ოთახიდან გამოსული სინათლე ეცემა. რას აკეთებ, ჯუჯავ? შემეშინდა. ვერაგია ჯუჯა, შემომხედავს თუ არა, მაშინვე ვხვდები – ყველა ჩემს საქციელს აკვირდება, ჩემი ხელის მოძრაობას სწავლობს. იმ დიდ თავში რაღაცეებს იგროვებს, ინახავს. ეტყობა, უნდათ ღამეებიც მომიწამლონ, ჩემი ფიქრების წაბილწვასაც აპირებენ. შიშით ვიხსენებ: ანკარა, გულუბრყვილო ოცნებაში რომ არ ჩავფლულიყავი და ყოველდღიური ჭუჭყისაგან არ განვწმენდილიყავი, მისი ტკივილები რომ მეგრძნო, სელაჰათინი ერთ ღამეს ჩემს ოთახში შემოვიდა. შიშმა ამიტანა, ავკანკალდი. სიკვდილი აღმოვაჩინეო, მითხრა. აი, ახლაც, ამის გახსენებაზე ერთხელ კიდევ შემეშინდა. ბნელ ფანჯარას მოვშორდი. ჩემი ჩრდილი, ბაღს რომ ეცემოდა, დაიკარგა. საწოლს დავუბრუნდი, საბანში გავეხვიე და ფიქრი გავაგრძელე.

მის სიკვდილამდე ოთხი თვით ადრე მოხდა, გარეთ ბორიო მძვინვარებდა, ფანჯრის ღრიჭოებში სტვენით იჭრებოდა. ჩემს ოთახში განმარტოებულს სელაჰათინის ფეხის ხმა მესმოდა: თავის ოთახში ბოლთას სცემდა. ქარიშხალი არ წყდებოდა. ანჯამებიდან სანახევროდ მოგლეჯილი ჟალუზები კედელს ეხეთქებოდა. საშინელება იყო, რა დამაძინებდა?! მერე მოახლოებული ფეხის ხმა გავიგონე და როცა ჩემი ოთახის კარი შემოგლიჯა, შიშით გული გადამიტრიალდა: რამდენი წელია,

ჩემს ოთახში არ შემოსულა! წამით ზღურბლზე შეჩერდა:

– ვერ ვიძინებ, ფატმა.

ვითომ ნასვამი არ ყოფილიყოს, ვითომ არ მენახოს ვახშამზე რამდენი დალია! არაფერი ვუთხარი. შემობარბაცდა, თვალები ულაპლაპებდა.

„საშინელი რამ აღმოვაჩინე, ფატმა, და იმიტომ ვერ ვიძინებ. ამაღამ უეჭველად მომისმენ. არ დაგანებებ, საქსოვი აიღო და სხვა ოთახში გახვიდე. საშინელი რამ აღმოვაჩინე და ვინმეს ხომ უნდა გავანდო?“

დავაპირე მეთქვა, ჯუჯა ქვემოთ არის და ჭკუას კარგავს შენს მოსმენაზე-მეთქი. აღარ ვუთხარი, რადგან ამ დროს სახე შეეშალა და ჩაიბუტბუტა: ფატმა, სიკვდილი აღმოვაჩინე! აღმოსავლეთში პირველმა მე აღმოვაჩინე სიკვდილი! ახლახანს, ამ ღამით აღმოვაჩინე, ფატმა! მერე წამით შეჩერდა, თითქოს თავისივე აღმოჩენისა შეეშინდაო და გააგრძელა. მისი ლაპარაკი სულაც არ ჰგავდა მთვრალი კაცის ბოდვას. „მომისმინე, ფატმა, შენც იცი, ჩემს ენციკლოპედიაში „რ“ დავამთავრე და „ს“ დავიწყე. მართალია, ისე არ გამოვიდა, როგორც ვფიქრობდი, ცოტა შემაგვიანდა, მაგრამ ხომ იცი, სიკვდილზე უნდა დამეწერა სტატია?“ რასაკვირველია, ვიცოდი, რადგან საუზმე იქნებოდა, სადილი თუ ვახშამი, სხვაზე აღარაფერზე ლაპარაკობდა. „ვერაფრით ვერ დავწერე. ეს დღეებია, ჩემს ოთახში წინ და უკან დავდივარ და ვფიქრობ, რატომ ვერ ვწერ-მეთქი. ვაპირებდი, სხვა სტატიებივით, ესეც იმათგან გადმომეღო. დარწმუნებული ვიყავი, დასამატებელიც არაფერი მექნებოდა, მაგრამ დაწყება ძალიან გამიჭირდა. ვერ ვხვდებოდი, რატომ. ალბათ სიკვდილზე ფიქრი მომეძალა და იმიტომ, ან იმიტომ, რომ უკვე სამოცდაათს მივუახლოვდი და ჩემი ენციკლოპედია ვერა და ვერ დავასრულე? შენც ასე გგონია?“ კრინტს არა ვძრავ. „არა, ფატმა, ჯერ ისევ ახალგაზრდა ვარ. ჩემი გასაკეთებელი ჯერ არ დამიმთავრებია. განსაკუთრებით, ამ აღმოჩენის შემდეგ წარმოუდგენლად მხნედ ვგრძნობ თავს. ამ აღმოჩენის სინათლეზე იმდენი რამ არის გასაკეთებელი, კიდევ ასი წელი არ მეყოფა“. უცებ აყვირდა: „ყველაფერმა, სულ ყველაფერმა, ყველა მოვლენამ, ყველა ქმედებამ, მთელმა ცხოვრებამ სრულიად ახალი აზრი შეიძინა! სინამდვილეს სხვაგვარად ვხედავ! ჩემს ოთახში ერთი კვირა წინ და უკან ვიარე და სიტყვაც კი ვერ დავწერე. და აი,

ახლა, ორიოდე საათის წინ, თვალწინ გამომიბრწყინდა ეს აღმოჩენა, აღმოსავლეთში პირველმა მე გავუსწორე თვალი არარსებობის შიშს, ფატმა, ვიცი, ახლა არ გესმის, მაგრამ უეჭველად გამიგებ. მომისმინე! ვუსმენდი. სხვა რა გზა მქონდა, თორემ არაფრის გაგებას არ ვაპირებდი. ის კი, თითქოს თავის ოთახში ყოფილიყოს, წინ და უკან დადიოდა. „ერთი კვირაა, ჩემს ოთახში ბოლთასა ვცემდი და სიკვდილზე ვფიქრობდი. მინდოდა გამეგო, ისინი თავიანთ ენციკლოპედიებში, სხვა წიგნებშიც ამდენ ადგილს რატომ უთმობენ სიკვდილს? დასავლეთში ათასობით წიგნია სიკვდილზე დაწერილი. ხელოვნების შედევრებს ხომ ნუღარ იტყვი! ვფიქრობდი, ასეთ მარტივ რაღაცას რატომ აზვიადებენ-მეთქი? ჩემს ენციკლოპედიაში მინდოდა, მოკლედ ამეხსნა: სიკვდილი ორგანიზმის განადგურებაა! მცირე სამედიცინო შესავლის შემდეგ სათითაოდ გავაქარწყლებდი ყველაფერს, რაც წმინდა წერილში სიკვდილზეა ნათქვამი და ნაფიქრალი, ერთხელ კიდევ სიამოვნებით დავანახვებდი ქვეყანას, რომ წმინდა წიგნები სულ ერთიმეორისაგან არის გადაწერილი. მერე სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელებულ დაკრძალვის სასაცილო ტრადიციებს მიმოვიხილავდი და სახელდახელო დასკვნას გავაკეთებდი. გგონია, საქმის ასე მოჭრა მხოლოდ იმიტომ მინდოდა, რომ ჩემი ენციკლოპედია ერთი წამით ადრე დამესრულებინა? არა, ფატმა, მიზეზი სხვა იყო: სიკვდილის არსი არ მესმოდა. როგორც ყველა აღმოსავლელი, მეც არაფრად ვაგდებდი სიკვდილს. მხოლოდ ორი საათის წინ შევიცანი ის, რასაც ამდენი წელი ვერც კი ვამჩნევდი. გაზეთში მიცვალებულთა სურათებს ვათვალიერებდი, ისე, ზერელედ, როგორც ორმოცი წლის წინათ, სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლის დროს – გვამებს. საშინელებაა! მომისმინე! გერმანელები ხარკოვს უტევენ, მაგრამ ეს არაფერია. მთავარი სხვა რამ არის: მიცვალებულთა სურათების ყურებისას ტვინში ელვამ გამკრა, გონება გამინათა, თავზე უროსავით დამეცა: „არარსებობა“. დიახ, არის რაღაც, რასაც ეს სახელი ჰქვია. ომის საბრალო მსხვერპლნიც იმ „არარსებობაში“, იმ უძირო ჭაში ჩაიკარგნენ. თავზარდამცემი შეგრძნება იყო, ფატმა! ისიც ვიფიქრე, თუ არც ალაჰია, არც სამოთხე და არც ჯოჯოხეთი, მაშინ სიკვდილის შემდეგ მხოლოდ ის რაღაც ყოფილა, რასაც „არარსებობას“ ვარქმევთ – სრული „არარსებობა“. არა მგონია, შენ იოლად გაიგო ის, რაც ორი საათის წინ მეც არ ვიცოდი. ახლა სულ მასზე ვფიქრობ, უფრო და უფრო ჩავუღრმავდი და

მივხვდი, რა არის „არარსებობა“ და სიკვდილის შიში. აღმოსავლეთში ამას ვერავინ ხვდება. ამიტომაც ასწლეულები და ათასწლეულებია, მოვათრევთ ჩვენს წუთისოფელს. მაგრამ ახლა ყველაფერს ნელ-ნელა და თანმიმდევრობით გიამბობ, აჩქარება არ ეგების. ამ აღმოჩენის სიმძიმეს ამაღამ მარტო ვერ ვიტვირთებ“. უნებლიე მოძრაობებს აკეთებდა – ხელებს ათამაშებდა, მკლავებს შლიდა. ახალგაზრდობაშიც ასე ემართებოდა ხოლმე. „ერთ წამში მივხვდი, რატომ ვცხოვრობთ ჩვენ ასე და ისინი – ისე? რატომ არის აღმოსავლეთი აღმოსავლეთი და დასავლეთი – დასავლეთი. გეფიცები, მივხვდი, ფატმა! რა იქნება, ახლა მაინც მომისმინო. უეჭველად შენც გაიგებ“. ისე მარწმუნებდა, ვითომ არ იცოდა, ორმოცი წელია, არ ვუსმენ. მელაპარაკებოდა, როგორც თანაცხოვრების პირველ წლებში – დამაჯერებლად და დაყვავებით, მოხუცი, გამოჩერჩეტებული მასწავლებელივით, რომელიც თავის მოსწავლეებს ელაპარაკება, ეგებ რამე გავაგებინოო. შემდეგ ცოდვილი და ნერვული კაცის ხმით მოჰყვა: „ახლა ყური მიგდე, ფატმა, გაბრაზება არ იყოს, კარგი? რამდენჯერ მითქვამს, ალაჰი არ არის, რადგან მისი არსებობა ცდით არ მტკიცდება-მეთქი. რა გამოდის? – ყველა რელიგია ღმერთის არსებობაზე დამყარებული ფუჭი პოეტური ლაყბობაა. თუ ღმერთი არ არსებობს, არც სამოთხე და ჯოჯოხეთი იარსებებს. მაშინ, არც იმქვეყნიური ცხოვრება იქნება. ფატმა, მოჰყვები ჩემი აზრის მსვლელობას? თუ სიკვდილის შემდეგ ახალი სიცოცხლე არ იწყება, მაშინ გარდაცვლილის ცხოვრება მთლიანად იკარგება, ისპობა. აბა, ამას მიცვალებულის თვალით შევხედოთ. კაცი ცოცხლობს, მაგრამ მერე, სიკვდილის შემდეგ, სად არის? მის სხეულზე არ გეკითხები, გონებას, გრძნობას, ცნობიერებას ვგულისხმობ. სად არის? არსად. იმაშია, რაც თავად არ არსებობს, რასაც „არარსებობას“ ვეძახი, ფატმა. „არარსებობაშია“ ჩაფლული, უკვე არც არავის ხედავს, არც არავის ენახვება. ხვდები, რა საშიშია ის რაღაც „არარსებობა“? რაც მეტს ვფიქრობ, უფრო მეტად მიპყრობს შიში. ღმერთო! რა უცნაური, რა საშინელი აზრია! როგორც კი დავაპირებ წარმოვიდგინო, თვალწინ დავიყენო ის რაღაც, თმები ყალყზე მიდგება. შენც იფიქრე, ფატმა, იფიქრე ისეთ რამეზე, რასაც არც ფერი აქვს, არც სუნი, რასაც ვერ შეეხები, რაც ჩქამსაც კი ვერ გამოსცემს. წარმოიდგინე ის რამე, რასაც არანაირი თვისება არ გააჩნია, სიცარიელეში ადგილს რომ არ იკავებს. ვერ წარმოიდგენ, არა? არა ჩანს, ვერ ვგრძნობთ. მხოლოდ უკუნი

სიბნელე, მხოლოდ წყვდიადი, რომელსაც არც დასაწყისი აქვს, არც დასასრული. აქედან არის ის, რასაც სიკვდილს ეძახიან. სიკვდილის მიღმა კი არარსებობაა. გეშინია, განა? როცა ჩვენი გვამები მიწის საზიზღარ და ყინულივით ცივ მდუმარებაში იხრწნება, როცა ომის მსხვერპლთა დაცხრილული, დაგლეჯილი სხეულები, დაჩეჩქვილი თავები, მიწაზე დანთხეული ტვინი, ბუდიდან ამოცვენილი თვალები და სისხლით მოთხუპნილი, ახეული ყბები ბეტონის ნანგრევებს შორის ყრია და ყარს, მაშინ მათი ცნობიერება, ჩვენი ცნობიერება „არარსებობის“ უსასრულო წყვდიადში იძირება, უფსკრულში თავდაყირა ვარდება და ზურგზე ისე ეცემა, რომ უსინათლოსი არ იყოს, ვერ გაუგია, რა ხდება მის თავს. არა, ასე არა, თითქოს სულ არაფერია. დასწყევლოს ღმერთმა! როცა ვფიქრობ, შიში მიპყრობს, სიკვდილი მინდება. მაგრამ მის გახსენებაზე აჯანყების სურვილიც მიჩნდება. ღმერთო, როგორი შემზარავია, შეუჩერებლად იძირები უსასრულობის წყვდიადში, რომელსაც არც თავი აქვს, არც ბოლო. წყვდიადში ხარ და იცი, აქაურობას ვეღარსად გაექცევი, ვეღარასოდეს! ისე დაიკარგები, ისე წახვალ, ვერაფერს იგრძნობ. ყველანი „არარსებობაში“ ჩავიძირებით, ფატმა! არ გეშინია? საკუთარი სულის ამბოხს ვერა გრძნობ? არადა, უნდა გრძნობდე! შენში შიში გააღვიძე, ფატმა! ამაღამ არ მოგეშვები, სანამ შენს სულს სიკვდილის წინააღმდეგ არ ავაჯანყებ. მისმინე: არ არსებობს სამოთხე, არც ჯოჯოხეთი არსებობს, არავინ არის, ვინც თვალს გადევნებს, ვინც დაგსჯის, ანდა მოგიტევებს. ამ „არარსებობაში“, სადაც სიკვდილის შემდეგ მოხვდები, არავინ არის. იქიდან ვეღარ გამოხვალ, წყვდიადის ზღვის ფსკერზე ჩაიხრჩობი. შენი გვამი ცივ მიწაში დალპება, თავის ქალა ყვავილების ქოთანივით მიწით გაგევსება, შენი ხორცი წვივის ნამტვრევებივით გაიფანტება, ჩონჩხი კი ნახშირის მტვრად იქცევა. ის საზიზღარი ჭაობი თმის ბოლო ღერამდე გაგხრწნის და მოგსპობს, გაგანადგურებს, შიგ ისე ჩაეფლობი, უკან დაბრუნების იმედიც კი აღარ შეგრჩება. „არარსებობის“ დაუნდობელ ტალახში მარტოდმარტო დარჩენილი მოისპობი, წახვალ. გესმის, ფატმა?“

შემეშინდა. თავი წამოვწიე, შიშით მიმოვიხედე. ძველი სამყარო, ახალი სამყარო. ჩემს ოთახსა და ნივთებს სძინავთ. ოფლში ვცურავ. ვინმეს ნახვა მომინდა, ვინმესთვის ხმის გაცემა, ხელით შეხება. ქვემოდან რაღაც ფაჩუნი შემომესმა,

ყური მივუგდე. სამი საათი გამხდარა. ავდექი, ფანჯარასთან მივედი. რეჯეფს ისევ უნთია სინათლე. ვერაგი ჯუჯა! მოახლის ნაბიჭვარი! ზამთრის ის ცივი ღამე გამახსენდა და შემეშინდა: გადაბრუნებული სკამები, ჩალეწილი ფანჯრები, დამსხვრეული თეფშები, ბინძური ძონძები, სისხლი... თავზარი დამეცა, სად არის ჩემი ხელჯოხი? ავიღე, იატაკზე დავარტყი. ერთხელ, მეორედ, ვიყვირე:

– რეჯეფ! რეჯეფ! არ გესმის! სადა ხარ?

ქვემოთ ვიყურები, ჩრდილები მოძრაობენ, კედლებზე თრთიან. ვიცი, იქა ხართ. ერთხელ კიდევ ვიყვირე და ბოლოს დავინახე, როგორ გამოეყო ერთი ჩრდილი.

– მოვდივარ, დიდო ქალბატონო, მოვდივარ! – თქვა ჩრდილმა და დაპატარავდა. ჯუჯაც გამოჩნდა.

– რა მოხდა? რა გნებავთ?

არ ამოდის.

– აქამდე რატომ არ დაწოლილხარ? ძალიან გვიანია. ქვემოთ რას აკეთებთ?

– არაფერს, ვსხედვართ, ისე.

– ამ დროს? ნუ მატყუებ! მშვენივრად ვიცი, იმათ რას უყვები.

– არაფერსაც არ ვუყვები. რა გემართებათ? ისევ ვერ იძინებთ? ნუ ფიქრობთ. თუ არ გეძინებათ, გაზეთი აიღეთ, კარადა გადააქოთეთ – ნახეთ, თავის ადგილზეა თუ არა თქვენი ტანსაცმელი. ან ხილი მიირთვით და ნურაფერზე იფიქრებთ.

– ჩემს საქმეში ნუ ერევი, იმათ დაუძახე, ამოვიდნენ.

– მარტო ნილგუნ ხანუმია. ფარუქ ბეი და მეთინი არ არიან.

– არ არიან? – ძალიან გავიკვირვე, – ქვემოთ ჩამიყვანე, გავიგო, ერთი რა უამბე.

– რა უნდა ვუამბო? ვერ გამიგია, რა გინდათ, რომ ვუამბო, დიდო ქალბატონო?

როგორც იქნა ამოაღწია, მეგონა ჩემთან მოდიოდა, მაგრამ – არა, გვერდი ამიარა და ჩემს ოთახში შევიდა.

– ჩემი ოთახი არ აურიო, მანდ რა გესაქმება?

ჯუჯა ზღურბლზე შეჩერდა. წამოვეწიე. შემობრუნდა, მომიახლოვდა, ხელი გამიყარა. ძალიან გამიკვირდა. საწოლთან მიმიყვანა, დამაწვინა, თბილი საბანი დამახურა. რა კარგია! პატარა, უცოდველი გოგო ვარ, დამავიწყდა ვინ ვიყავი. ჩემს საწოლში ვიწექი. როცა გადიოდა, მომიბრუნდა:

– ერთი ატამი გაგიკბეჩიათ და მიგიგდიათ. საუკეთესო ატმები ვიყიდე, თქვენ კი არ მოგწონთ. გინდათ, გარგარი მოგიტანოთ?

გავიდა. მარტო დავრჩი. თავზე იგივე ჭერი მახურავს, იატაკიც იგივეა. სურაში იგივე წყალი დგას, მაგიდაზე იგივე ჭიქა, ჯაგრისი, ოდეკოლონი. თეფში და საათიც იგივეა. ვწევარ ჩემს საწოლში და ვფიქრობ, „რა საოცარი რამ არის დრო!“ გამაჟრჟოლა. შემეშინდა – მივხვდი, სელაჰათინის აღმოჩენაზე ფიქრი მეძალებოდა, სატანა თავისას აგრძელებდა:

„ფატმა, შეგიძლია, გაიგო ამ აღმოჩენის სიდიადე? წეღან მივაგენი იმ უხილავ ზღვარს, მათგან რომ გვყოფს! აღმოსავლეთსა და დასავლეთს ტანსაცმელი, მანქანები, სახლები, ავეჯი, წინასწარმეტყველები, მთავრობები და ფაბრიკები როდი ჰყოფს. ესენი ოდენ შედეგია. ჩვენ ერთმანეთისაგან პატარა, მარტივი ჭეშმარიტება გამოგვარჩევს. მათ გაიგეს იმ უძირო ჭის არსებობა, სიკვდილიც შეიცნეს და „არარსებობაც“. ჩვენ კი ამ საშინელ ჭეშმარიტებაზე არაფერი ვიცით. როცა ვფიქრობ, ეს წარმოუდგენლად დიდი განსხვავება რა პატარა, უბრალო აღმოჩენით აიხსნა, ლამის გავგიჟდე. ჩემი გონება ვერ სწვდება მიზეზს, თუ რატომ ვერ გამოჩნდა ამ უზარმაზარ აღმოსავლეთში ერთი კაციც კი, ამაზე დაფიქრებულიყო. თუ თვალს გადაავლებ დაკარგულ დროს, განვლილ ცხოვრებას, შენც კი მიხვდები, ფატმა, რა დიდი რამ არის სიბრიყვე და უქნარობა. მაგრამ მომავალს მაინც იმედის თვალით ვუყურებ, რადგან ის პირველი ნაბიჯი, რომლის გადადგმასაც ასწლეულები დასჭირდა, მე გადავდგი. ამ ღამით მე, სელაჰათინ დარვინოღლუმ, აღმოსავლეთში პირველმა აღმოვაჩინე სიკვდილი. მიხვდი, რას ვამბობ? უაზროდ შემომჩერებიხარ, მაგრამ ასეც უნდა იყოს. სინათლის არსის წვდომა მხოლოდ მას ძალუძს, ვინც არარსებობა შეიცნო. სიკვდილზე ვფიქრობ, ესე იგი, ვარსებობ! მაგრამ, სამწუხაროდ, აღმოსავლელი მცონარებიც არსებობენ და მათ შორის – შენც, შენი საქსოვითა და ჩხირებით, თუმცა სიკვდილზე არაფერი

იცით. ამიტომ უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა: სიკვდილზე ვფიქრობ, ესე იგი, ევროპელი ვარ! აღმოსავლეთიდან გამოსული პირველი ევროპელი მე ვარ, პირველი აღმოსავლელი, რომელიც დასავლელი გახდა. გაიგე, ფატმა?“

მოულოდნელად იყვირა:

„ღმერთო, შენც იმათნაირი ხარ! ბრმა ხარ!“ და სატირლად გამზადებული კვნესით წაბარბაცდა ფანჯრისაკენ. ერთი ნაბიჯი გადადგა, ვიფიქრე, ახლა ფანჯარას გამოაღებს, გადახტება და ამ ქარიშხალში თავისი აღმოჩენით ფრთებშესხმული გაფრინდება-მეთქი. აღფრთოვანებული ორჯერ-სამჯერ დაიქნევს მკლავებს და მერე გამოფხიზლდება, რეალობას გაიაზრებს და მიწაზე დაენარცხება, დაიმსხვრევა, მოკვდება-მეთქი. მაგრამ გაჩერდა და მიხურული, ჩაბნელებული ფანჯრების მიღმა სიძულვილითა და სასოწარკვეთით შეეხმიანა მთელ ქვეყანასა და განსაკუთრებით, იმას, რასაც აღმოსავლეთს ეძახდა: „საცოდავი ბრმები! სძინავთ! ჩაწოლილან ლოგინში, საბანში გახვეულან, ბრიყვის სიმშვიდით ჩაფლულან ძილში და ფშვინავენ! მთელ აღმოსავლეთს სძინავს! მონები! მე მათ სიკვდილს ვასწავლი და მონობიდან ვიხსნი. მაგრამ მანამდე შენ უნდა გიხსნა, ფატმა! მომისმინე, ეცადე გაიგო და თქვა, რომ სიკვდილისა გეშინია!“ ისე მეხვეწებოდა, როგორც მაშინ, როცა უნდოდა, ეთქმევინებინა, ალაჰი არ არსებობსო. კიდეც დამემუქრა, ათასი საბუთი მოიმარჯვა ჩემ დასარწმუნებლად. არ დავუჯერე. მობეზრდა, დაიღალა და ქანცგაწყვეტილი ჩემს წინ სკამზე ჩამოჯდა. უაზროდ დასჩერებოდა მაგიდას. ჟალუზის მოგლეჯილი ფრთა ისევ ეხეთქებოდა კედელს. უცებ საათი დაინახა – საწოლის თავთან მედგა. თითქოს გველი ან მორიელი დაინახა და შეეშინდაო, აყვირდა:

„უნდა დავეწიოთ, უნდა დავეწიოთ! უფრო სწრაფად, რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავეწიოთ!“

საათი აიღო, ჩემს ლოგინზე დაახეთქა და ყვირილი გააგრძელა: „ჩვენ შორის ათასწლეულებია, მაგრამ შევძლებთ და დავეწევით, რადგან ჩვენგან დაფარული არაფერი აქვთ. მათგან უკვე ყველაფერი ვისწავლეთ, ყველაზე ღრმა ჭეშმარიტებაც კი. ამ ჭეშმარიტებას საჩქაროდ ბროშურად გამოვცემ და ვასწავლი ამ საცოდავებს, რომელთაც ისიც კი ვერ გაუგიათ, რომ მხოლოდ ერთი ცხოვრება აქვთ. სულელები! მათზე ფიქრით ლამის თავი

ამეხადოს! არაფერი აღელვებთ. არაფერი იციან თავიანთ ცხოვრებაზე და არც უნდათ, იცოდნენ. ჰგონიათ, ქვეყნიერება თავისთავად არსებობს, თვითონ კი, ამით კმაყოფილნი, მშვიდად ცხოვრობენ. დედას ვუტირებ! სიკვდილის შიშით ყველას დავაჩოქებ! საკუთარ თავს შევაცნობინებ! მის შიშსა და სიძულვილს ვასწავლი. იცნობ აღმოსავლელ კაცს, თავისი თავისა რომ ეშინოდეს? როდესმე გინახავს მუსლიმი, რომელსაც სამართლიანად სძულს თავი? ისინი საკუთარი თავისაგან არაფერს მოელიან, ჯოგს ვერ გამოჰყოფიან და ისე მიჰყვებიან დინებას, არც იციან, რა არის იგი. თუ ვინმემ განსხვავებული რამ მოინდომა, გიჟიაო, იტყვიან. მათ მარტოობის კი არა, სიკვდილის შიში უნდა ვასწავლო, ფატმა. მაშინ მარტოობის ატანასაც შეძლებენ. ეგებ, ბრბოს ბრიყვულ სიმშვიდეს მაშინ მაინც არჩიონ მარტოობის სიმწარე, დაინახონ, რაოდენ საჭიროა, სამყაროს ცენტრში მოექცნენ. მაშინ აღარ იამაყებენ. პირიქით, შერცხვებათ, მთელი ცხოვრება ერთი და იგივენი როგორ ვართო, ოდნავადაც არ შევცვლილვართო. ამის გამო პასუხს თავიანთ თავს მოჰკითხავენ, ღმერთის კი არა, მხოლოდ თავის იმედად იქნებიან. ეს ყველაფერი იქნება, ფატმა, ათასწლოვანი ნეტარი, ტკბილი და სულელური ძილისაგან გამოვაფხიზლებ მათ და გულში სიკვდილის შიშს ჩავუბუდებ, ისეთ შიშს, რომელიც დააახრჩობს, ჭკუიდან გადაიყვანს. ამას უეჭველად გავაკეთებ. თუ დამჭირდა, თავში კეტის რტყმით გავაკეთებინებ. გეფიცები, გავაკეთებინებ!“

მერე ცოტა ხანს ჩუმად იყო. საკუთარმა რისხვამ დაღალა. სული მოითქვა, თითქოს რცხვენოდა და ეშინოდა კიდეც იმის, რაც შეიძლებოდა, თავს დასტყდომოდა. მალე ისევ ალაპარაკდა: „ყური მიგდე, ფატმა, თუ შიშს ვერ გრძნობ, შეგიძლია, ლოგიკით ჩასწვდე და შეიცნო. აღმოსავლელებს ჩვენი ცხოვრების ნირი სიკვდილის შიშს არ გვიჩენს. ამიტომ ლოგიკით უნდა ვისწავლოთ იგი და ძალიან კარგადაც ვისწავლით, ჩვენც მათნაირები გავხდებით. ამისათვის საკმარისია მომისმინო და შენი ლოგიკა აამოქმედო. მომისმინე!“

უკვე აღარ ვუსმენდი. ველოდებოდი, როდის დამტოვებდა ამ უკაცრიელ ღამეში. მინდოდა დილის ტკბილ ძილს დავბრუნებოდი.

ჩემს სმენას ისევ მოსწვდა რაღაც ფაჩუნი. ქვემოდან მოისმოდა.

წამოვიწიე, ბალიშის სიმხურვალეს თავი დავაღწიე და ყური მივუგდე. სახლში ჯუჯა დადიოდა და ასე მეგონა, ჩემს სხეულზე დააბიჯებდა. რას აკეთებ, ჯუჯავ, რას უყვები მაგათ? ჭიშკარი დაჯახუნდა. შემეშინდა. ფეხის ხმაზე ვიცანი. მეთინია! შენ სადღა იყავი ამ დრომდე? სამზარეულოს კარის ჭრიალი გავიგონე. ალბათ მეთინი შევიდა. მაგრამ ზემოთ არ ამოსულა. ახლა ყველანი ერთად არიან და ჯუჯა მათ უყვება. კანკალმა ამიტანა. სად არის ჩემი ჯოხი? ახლა კი დანაშაულზე წაგასწრებთ! მაგრამ საწოლიდან არ ავმდგარვარ. მალე ფეხის ხმა კიბეებზე გაისმა. შვებით ამოვისუნთქე, მაგრამ მერე ნაბიჯების ხმა მეცნო. მივხვდი! გამახსენდა! სატანას დაულევია და თავისი ოთახისაკენ მიდის. ჩემს კარს რომ ჩაუარა, გზა აღარ გააგრძელა, შეჩერდა და მომიკაკუნა. წამოყვირება დავაპირე, კოშმარული სიზმრიდან გამოღვიძებულივით. არ დამიყვირია.

ჩემს ოთახში მეთინი შემოვიდა.

– დიდედა, როგორ ბრძანდებით, – მკითხა, – საოცარია! კარგად ბრძანდებით?

არ ვპასუხობ, ზედაც არ ვუყურებ.

– ნამდვილად კარგად ბრძანდებით, დიდედა, თქვენ არაფერი დაგემართებათ.

მივხვდი: მთვრალია, როგორც პაპამისი. თვალები დავხუჭე.

„დიდედა, ნუ იძინებთ! რაღაც უნდა გითხრათ“. ნუ მეტყვი. „ახლა არ დაიძინოთ!“ ვგრძნობ, როგორ უახლოვდება ჩემს საწოლს. „ეს დაფხავებული სახლი დავანგრიოთ და მის ადგილზე ახალი, დიდი სახლი ავაშენოთ, რამდენიმებინიანი. მშენებელი ნახევარს ჩვენ გვაძლევს. ყველასათვის ასე აჯობებს. თქვენ არაფერი იცით“. მართალია, რაღაც არ ვიცი. დიდედა, ფული ყველას გვჭირდება. თუ ასე წავიდა, მალე ამ სახლის სამზარეულოს ხარჯებსაც კი ვეღარ გავწვდებით“. ჩვენი სამზარეულო! ჩემს ბავშვობაში იქ მიხაკ-დარიჩინის სუნი იდგა. „თუ არაფერი ვიღონეთ, შენ და რეჯეფი აქ მშივრები დარჩებით. ის ორნიც წინააღმდეგი არ იქნებიან. დიდედა, ფარუქი უკვე ყოველდღე მთვრალია. ნილგუნი კი კომუნისტია. იცოდით?“ დარიჩინის სუნს ვყნოსავდი და ბევრი არაფერი გამეგებოდა. ისიც არ ვიცოდი, თუ გინდა, ვინმეს უყვარდე, თურმე ყველაფერი უნდა იცოდე. „ხმა გამეცით, დიდედა,

თქვენივე სიკეთისათვის. არ გესმით?“ არ მესმის. აქ არ ვყოფილვარ. ძილში ვიყავი და ვიხსენებ: მურაბას ვხარშავდით, ლიმონათს ვსვამდით, შარბათს ვსვამდით. „მიპასუხეთ, დიდედა, რა იქნება, მიპასუხეთ!“ მერე შუქრუ ფაშას გოგოებთან მივდივარ: გამარჯობა, თურქან, შუქრან, ნიგან, გამარჯობა! „ნუთუ არ გინდათ? ამ ნახევრად დანგრეულ სახლში შიმშილსა და სიცივეში ცხოვრება გირჩევნიათ ლამაზ და თბილ ბინაში ცხოვრებას?“ საწოლს მოადგა და რყევა დაუწყო, ალბათ, ჩემი შეშინება უნდოდა. „გაიღვიძეთ, დიდედა, თვალი გაახილეთ! მიპასუხეთ!“ თვალს არ ვახელ და ვირყევი. მერე ცხენებშებმულ ეტლში ვზივარ და მათთან მივდივარ. ცხენების ფეხის ხმა, „იმათ ჰგონიათ, სახლის დანგრევა არ გინდათ. არა და – მათაც სჭირდებათ ფული. იცით, ფარუქს რატომ გაექცა ცოლი? – ფულის გამო. ადამიანები ფულის გარდა აღარაფერზე ფიქრობენ“. ისევ მარყევს, ირყევა ეტლი... თქარათქური. ცხენების კუდები... „დიდედა, მიპასუხეთ!“ ბუზებს იგერიებს. „თუ არ მიპასუხებთ, არ დაგაძინებთ!“ გამახსენდა! გამახსენდა! „ფული მეც მჭირდება, თანაც – ყველაზე მეტად მჭირდება, იმათზე მეტად მე მჭირდება, გესმით? მე...“ საწოლზე ჩამომიჯდა. ღმერთო ჩემო! „მათსავით ცოტას არ ვჯერდები... მეზიზღება ეს ბრიყვების ქვეყანა, ამერიკაში უნდა წავიდე, ფული მჭირდება! გესმით?“ პირიდან ალკოჰოლის სუნი ამოსდიოდა. „ახლა დამთანხმდით, დიდედა. თქვენც ხომ გინდათ აპარტამენტები? მათაც დაველაპარაკოთ“. არაფერი ვთქვი. „კი“-ს რატომ არ ამბობ? იმიტომ ხომ არა, რომ აქაურობა თქვენს მოგონებებთან არის დაკავშირებული?“ ჩემი მოგონებები მე ვარ. „მთელ ავეჯს იმ აპარტამენტებში გადავიტანთ. თქვენს კარადას, სკივრებს, საკერავ მანქანას, თეფშებს – ყველაფერს გადავიტანთ. დიდედა, თქვენც კმაყოყოფილი დარჩებით, გესმით?“ მესმის. რა დიდებული ყოფილა მარტოდმარტო გატარებული ზამთრის ღამეები, როცა ღამის მდუმარება ჩემი იყო, როცა ირგვლივ ყველაფერი გასალკლდეებულიყო. „კედელზე პაპას სურათსაც დავკიდებთ, თქვენი ოთახი აქაურობის ზუსტი ასლი იქნება. „გთხოვთ, მიპასუხეთ რამე“. არ ვუპასუხე. ღმერთო ჩემო! ერთი ლოთი და უქნარა, მეორე – კომუნისტი, ეს კი სულ გამოშტერებულა. მაგრამ მე... მე არ ვუსმენ. მთელ ცხოვრებას ამ ბრიყვების სატუსაღოში ვერ გავატარებ, ვერა! მხარზე მისი ცივი ხელი ვიგრძენი და შემეშინდა. ცრემლნარევი ხმით მევედრებოდა, თან არყის სუნს მასუნთქებდა. მე კი

ვიხსენებდი: „სამოთხე არ არსებობს, არც ჯოჯოხეთია. შენი გვამი მიწის ყინულივით ცივ სიბნელეში მარტო იქნება“. ისევ იხვეწებოდა. თვალები მიწით ამოგევსება, ნაწლავებს მატლები გამოგჭამენ. „დიდედა, გემუდარები!“ შენს ტვინში ჭიანჭველები იფუთფუთებენ, ფილტვებში კი ლოკოკინები ისეირნებენ. გული მიწით გაგევსება და შიგ ჭიაღუა გამრავლდება“. ერთბაშად გაჩუმდა, მერე მითხრა: „ეს სამართალია? დედაჩემი და მამაჩემი დაიხოცნენ და თქვენ ცოცხალი ხართ“. დავფიქრდი. ვიღაცამ მოგატყუა. ჯუჯა იქნებოდა. ის ხომ ყველაფერს გიყვებათ. ველოდებოდი, რა მოხდებოდა. ტიროდა. აღარაფერს ამბობდა. მომეჩვენა, რომ მისი ხელი ჩემს ყელს უახლოვდებოდა. ნეტავ, როგორი იქნება ჩემი საფლავი? ჩემს საწოლზე გაიშოტა, ისევ ტიროდა. შემეზიზღა. საწოლიდან წამოდგომა გამიჭირდა. როგორც იქნა, წამოვდექი. ფეხები ფლოსტებში წავდგი, ჯოხი ავიღე, კიბის თავზე გავედი და ვიყვირე:

– რეჯეფ, ახლავე ყველანი აქ ამოდით!

30.

დიდი ქალბატონის ძახილი რომ გავიგონეთ, მე და ნილგუნი ქვემოთ ვისხედით. წამოვხტი და კიბეები ავირბინე. დიდი ქალბატონი თავისი ოთახის კარში იდგა. ყვიროდა:

– ჩქარა, რეჯეფ, გამოიქეცი! ახლავე მითხარი, რა ხდება ამ სახლში?

– არაფერიც არ ხდება, – ვუთხარი გულამოვარდნილმა.

– ეს არის არაფერი? – მითხრა და ჯოხით ოთახში რაღაცაზე ისეთი ზიზღით მიმითითა, თითქოს თაგვის ლეში ყოფილიყოს. მეთინი დიდი ქალბატონის საწოლზე პირქვე დამხობილიყო, თავი მოქარგულ ბალიშებში ჩაერგო და კანკალებდა.

– მოკვლა დამიპირა, – მითხრა დიდმა ქალბატონმა, – რეჯეფ, რა ხდება ამ სახლში? არ დამიმალო!

– არაფერი! მეთინ ბეი, ეს არ გეკადრებათ, მოდით, აგაყენოთ!

– ეს არის „არაფერი?“ ახლავე ქვემოთ ჩამიყვანე! უნდა გავიგო,

ვინ გააგიჟა.

– კარგი, მეთინ ბეის ცოტა დაულევია. ეს არის და ეს. ახალგაზრდაა, სმას შეუჩვეველი. განა მამამისი, თუნდაც პაპა ასე არ იყვნენ?

– მორჩი, ხმა გაიკმინდე! ეგ არ მიკითხავს!

– წამოდით, მეთინ ბეი, თქვენს საწოლში ჩაგაწვენთ, – ვუთხარი.

წამოდგა. ოთახიდან რომ გადიოდა, კედელზე დაკიდებულ პაპის სურათზე უცნაური მზერა შეაჩერა. მერე კი, თავის ოთახში შესულმა, ტირილით მკითხა:

– რეჯეფ, ასე ადრე რატომ დაიხოცა ჩემი დედ-მამა? მითხარი, რატომ?

მინდოდა, დროზე გაეხადა და დაწოლილიყო. გახდაში ვეხმარებოდი, თან პასუხის გაცემა დავაპირე:

– ალაჰმა...

გაბრაზებულმა ხელი მკრა:

– რომელი ალაჰი, სულელო ჯუჯავ? თავად გავიხდი, ნუ წუხდები!

მაგრამ გახდის ნაცვლად ჩემოდნიდან რაღაც ამოიღო. საპირფარეშოში მივდივარო, თქვა და წავიდა. რაღაც უცნაურად თქვა.

დიდი ქალბატონი მეძახდა. წავედი.

– ქვემოთ ჩამიყვანე, რეჯეფ, ჩემი თვალით უნდა ვნახო, იქ რა ხდება.

– სანახავი არაფერია, დიდო ქალბატონო. ნილგუნ ხანუმი კითხულობს, ფარუქ ბეი წავიდა.

– ამ დროს სად წავიდა? რა უამბე? იცოდე, არ მომატყუეო.

– არ გატყუებთ, წამოდით, დაგაწვენთ.

მის ოთახში შევედი.

– ამ სახლში რაღაც ხდება... ჩემს ოთახში ნუ შედიხარ, ნუ ურევ

მანდაურობას, – მითხრა და თან შემომყვა.

– მობრძანდით, დიდო ქალბატონო, საწოლში ჩაწექით, თორემ დაიღლებით.

ამ დროს მეთინის ძახილი გავიგონე. მაშინვე მასთან გავჩნდი. ბარბაცით მომიახლოვდა:

– რეჯეფ, შეხედე, რა მოხდა!

მაჯიდან სისხლი მოსდიოდა. მეთინი სიყვარულით დასჩერებოდა იმ სისხლს. ჭრილობა ღრმა არ იყო, მხოლოდ – ნაკაწრი. მერე თითქოს შიში გაახსენდაო, მეც გამიხსენა, ჩვეულებრივი რაღაცეებიც, სინანულიც გაუჩნდა.

– ამ დროს აფთიაქი ღია იქნება? – მკითხა.

– ღიაა, მაგრამ ჯერ ბამბას მოგიტანთ, მეთინ ბეი.

მაშინვე ქვემოთ ჩავედი, კარადიდან ბამბა გამოვიღე.

– რა ხდება? – მკითხა ნილგუნმა წიგნიდან თავაუღებლად.

– არაფერი, ხელი გავიკაწრე.

ბამბა მივეცი. ჭრილობაზე დაიდო, ნილგუნიც მიუახლოვდა, დახედა.

– ხელი კი არა, მაჯა ყოფილა, მაგრამ არაფერია. როგორ მოახერხე?

– არაფერია, არა? – იწყინა მეთინმა.

– რეჯეფ, ამ კარადაში რა არის? – მკითხა ნილგუნმა.

– არაფერი ყოფილა, მაგრამ მე მაინც აფთიაქში მივდივარ.

– უაზრო რაღაცეებია, პატარა ქალბატონო.

– მამაჩემის, პაპაჩემის ძველი ნივთები არ შემორჩენილა? რას წერდნენ?

წამით დავფიქრდი, მერე – ალაჰი არ არისო, – ვუპასუხე.

ნილგუნმა გაიცინა. შვენოდა სიცილი.

– საიდან იცი, შენ გეუბნებოდნენ?

არ ვუპასუხე. ამ დროს დიდმა ქალბატონმა დამიძახა და მასთან ავედი. ხელახლა ჩავაწვინე ლოგინში, ერთხელ კიდევ ვუთხარი, ქვემოთ არაფერი ხდება-მეთქი. გრაფინში წყალი გამოცვალეო, მიბრძანა.

წყალი გამოვცვალე და ქვემოთ ჩავედი. ნილგუნი ისევ წიგნს კითხულობდა. გავიგონე, როგორ მოადგა ფარუქ ბეი სამზარეულოს კარს, გაღებას ცდილობდა. გავუღე. დაკეტილი არ ყოფილიყო.

ყველგან რატომ აგინთიათ სინათლე, რა ხდებაო? მკითხა. არყის სუნი მეცა.

– არაფერი, თქვენ გელოდებოდით, ფარუქ ბეი.

– ჰო, ჩემ გამო, ჩემ გამო... ნეტავ, ტაქსით წასულიყავით, მე კი მუცლის ცეკვას ვნახავდი.

– თუ ნილგუნ ხანუმზე ბრძანებთ, მას არაფერი უჭირს.

– არაფერი? არ ვიცი, არ ვიცი, – დაბნეული ჩანდა, – მაშ, კარგად არის?

– დიახ, კარგად არის. შინ არ შემოხვალთ?

შემოვიდა. მერე მიბრუნდა და სიბნელეს გახედა. ჭიშკართან მბჟუტავ ნათურას დააკვირდა. მერე მაცივარი გამოაღო, ბოთლი აიღო და – თითქოს მისი სიმძიმით წონასწორობადაკარგული – უკან-უკან წავიდა, ორი ნაბიჯი გადადგა და ჩემს სკამზე მოწყვეტით დაეშვა. ასთმიანივით ქოშინებდა.

ფარუქ ბეი, თავს იღუპავთ. ამდენს ვინ სვამს-მეთქი, ვუთხარი. კარგა ხნის მერე მიპასუხა:

– ვიცი.

სხვა აღარაფერი უთქვამს. იჯდა და ბოთლი გულში ჰქონდა ჩახუტებული, როგორც გოგონას – საყვარელი თოჯინა.

– გინდათ, შეჭამანდი მოგიმზადოთ? ბულიონი მაქვს.

მინდაო, მითხრა. ცოტა ხანს კიდევ იჯდა, მერე წამოდგა და წაბარბაცდა.

შეჭამანდი მივუტანე. ამასობაში მეთინიც დაბრუნდა. მაჯაზე

თხელი ლეიკოპლასტირი დაედოთ.

– აბლა, მეაფთიაქემ გიკითხა. ძალიან გაუკვირდა, საავადმყოფოში რომ არ წახვედი.

– ჰოო, ჯერაც არ არის გვიან, მოვასწრებთ, – თქვა ფარუქ ბეიმ.

– რას ამბობ?! არაფერი მომივა, – თქვა ნილგუნმა.

– მე კი სულელ, ფესიან ტურისტებთან ერთად მუცლის ცეკვას ვუყურე, – ჩაიბუზღუნა ფარუქ ბეიმ.

– როგორი იყო? – მხიარულად იკითხა ნილგუნმა.

– ნეტავ, ჩემი რვეული რა იქნა? – იკითხა ფარუქმა, – სხვა თუ არაფერი, რამეს წაგიკითხავდი ისტორიის რვეულიდან.

– ზანტებო, დამპლებო, თქვენი გულისათვის... – ამბობდა მეთინი.

– მეთინ, სტამბოლს დაბრუნება გინდა? – ჰკითხა ფარუქმა.

– სტამბოლშიც იგივე სამყაროა!

– თანაც ორივენი მთვრალები ხართ. მანქანას ვინ წაიყვანს? – თქვა ნილგუნმა.

– მე წავიყვან! – იყვირა მეთინმა.

– არა, ამაღამ აქ ვიქნებით, ერთად, – თქვა ნილგუნმა.

– ეს ყველაფერი ლაპარაკია მხოლოდ, – თქვა ფარუქ ბეიმ და გაჩუმდა. ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა: – თანაც, ყოვლად უსაფუძვლო ლაპარაკი.

– არა, არაერთხელ მითქვამს და კიდევ ვიტყვი: უსაფუძვლო და უმიზეზო არასოდეს არაფერია.

– ყოჩაღ, მართლაც მოუბეზრებლად ლაპარაკობ!

– გაჩუმდით, მორჩით, ბოლოს და ბოლოს, – ჩაერია მეთინი.

– ნეტავი, რომელიმე დასავლურ ოჯახში რომ დავბადებულიყავით, როგორები ვიქნებოდით? მაგალითად, ფრანგული ოჯახის შვილები თუ ვიქნებოდით, მეთინს ვეყვარებოდით? – იკითხა ფარუქმა.

– არა, მეთინს ამერიკა უყვარს.

– მართლა, მეთინ?

– სუუ, გაჩუმდით, მეძინება! – იყვირა მეთინმა.

– მეთინ ბეი, მანდ ნუ დაიძინებთ, გაცივდებით.

– შენი საქმე არ არის!

– თქვენც მოგართვათ შეჭამანდი?

– ეჰ, რეჯეფ, რეჯეფ, – ამოიოხრა ფარუქ ბეიმ.

– მომიტანე, – მომიგდო მეთინმა პასუხი.

სამზარეულოში ჩავედი და სანამ შეჭამანდს ამოვიტანდი, ფარუქ ბეი უკვე მეორე დივანზე წამოწოლილიყო. ჭერში იყურებოდა, თან ნილგუნს ელაპარაკებოდა, იცინოდნენ. მეთინი რაღაც ფირფიტას ათვალიერებდა.

– რა მშვენიერია, – თქვა ნილგუნმა, – ვითომ პანსიონში ვართ.

– ზემოთ არ ახვალთ? არ დაწვებით? – ვკითხე. ამ დროს დიდი ქალბატონი აყვირდა. ავედი. ქვემოთ ჩამოსვლა უნდოდა. ძლივს დავაშოშმინე. ატამი მივეცი, დავაწვინე. ოთახის კარი გამოვიხურე და ჩამოვედი. ფარუქ ბეის უკვე დაეძინა და ბევრის მნახველი მოხუცივით ღრმად და უცნაურად ხვრინავდა.

– რომელი საათია? – მკითხა ნილგუნმა.

– ოთხის ნახევარი. თქვენც აქ აპირებთ დაძინებას?

– ჰო.

ავედი, ჩამოვიარე მათი ოთახები, წამოვკრიფე საწოლის გადასაფარებლები და ჩამოვიტანე. ნილგუნმა მადლობა მითხრა. ფარუქ ბეისაც დავაფარე. მეთინმა არ ინდომა. ფიქრებში წასული, ფირფიტის ყდას ისე დასჩერებოდა, თითქოს ტელევიზორი ყოფილიყოს. მივუახლოვდი და დავინახე, ის ფირფიტა იყო, დილას ნილგუნს რომ ჰქონდა. მეთინმა მიბრძანა, სინათლე ჩააქრეო. რაკიღა ნილგუნმა არაფერი მითხრა, მივედი და ჭერზე დაკიდებული შიშველი ნათურა ჩავაქრე, მაგრამ ქუჩის ფარნის სინათლე ჟალუზებში აღწევდა, ოთახს ანათებდა და აქეთ-იქით მიწოლილი და-ძმის დანახვა შემეძლო. გარედან შემოსული სინათლე მათ თითქოს

იმისათვის ეცემოდა, რომ ასატანი გაეხადა ფარუქ ბეის ხელჩაქნეულობა და შეეხსენებინა ჩემთვის: სანამ თუნდაც პატარა ჭუჭრუტანიდან შემოსული სინათლე არსებობს, სანამ მთელ დუნიაზე წყვდიადი არ ჩამოწოლილა, საშიში არაფერია. საიდანღაც, ახლოდან, ჭრიჭინას ხმა მოდიოდა – ნაწყვეტ-ნაწყვეტი და შეუპოვარი. მინდოდა, შემშინებოდა, მაგრამ არ მეშინოდა. ვხედავდი, როგორ იშმუშნებოდა ძილში ხან ერთი, ხან – მეორე. ვფიქრობდი: რა დიდებულია, დედმამიშვილებს ერთ ოთახში სძინავთ, სიბნელისა და მშვიდი ფშვინვის საბანში თავშეფარებულთ. როცა ასეთი საბანი გახურავს, ზამთრის ცივ ღამეებშიც კი თავს მიტოვებულად არ იგრძნობ. მიტოვებული არც მაშინა ხარ, როცა მარტოდმარტო წევხარ, მაგრამ შენ ზემოთ, მეორე სართულზე, ანდა სულაც მეზობელ ოთახში, შენს გაფაჩუნებას მიყურადებული დედა ან მამა, ანდა ორივე ერთად გეგულება და მშვიდი ძილის ბუმბულში ეფლობი. ჰასანი გამახსენდა. რატომღაც, დარწმუნებული ვარ, სადღაც შიშით კანკალებს. ეს რატომ ჩაიდინე? რატომ? ვეკითხებოდი და თან თვალს არ ვაშორებდი მძინარე და-ძმას, მათ მსუბუქ მოძრაობას, მშვიდ ძილს. მათ ამბავს სულ ახლიდან და ახლიდან ვუყვებოდი ჩემს თავს. ვთქვი, ცოტა ხანს ამათთან ვიჯდები. არა, ცოტა ხანს კი არა, დილამდე აქ ვიქნები-მეთქი. არაფერია, თუ შემეშინდება, დაე, შიშმა თავის ცხელ მკერდში ჩამიკრას... ამ დროს ნილგუნის ხმა გავიგონე:

– რეჯეფ, ისევ მანდა ხარ?

– რა ბრძანეთ, პატარა ქალბატონო?

– რატომ არ დაწოლილხარ?

– ვწვები.

– წადი, დაწექი, რეჯეფ, მე არაფერი მიჭირს.

წავედი, რძე დავლიე, ცოტა მაწონი ვჭამე და დავწექი. მაგრამ ვერ დავიძინე. ლოგინში ვწრიალებდი და ვფიქრობდი, ზემოთ, ერთ ოთახში როგორ ეძინათ დასა და ორ ძმას. მერე სიკვდილი გამახსენდა. სელაჰათინ ბეიც გავიხსენე. მის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე იყო: „ეჰ, შვილო, რა საწყენია! შენი და ისმაილის აღზრდაში მონაწილეობა ვერ მივიღეო, როცა სოფელში წაგიყვანეს, იმ ვიღაც ხეპრემ, რომელზეც გითხრეს, თქვენი მამაო, სული შეგიგინათ. რასაკვირველია, მეც დამნაშავე ვარ. თვალი დავუხუჭე ფატმას საქციელს, მან კი

სოფელში გაგყარათ. სისუსტე გამოვიჩინე. რა მექნა? ფატმას წყენინებას მოვერიდე. ჩემი მუშაობისათვის საჭირო ხარჯის გამღები ხომ ფატმაა! თქვენც მის პურს ჭამთ და მის რისხვას იტანთ. გული იმაზეც მტკივა, რომ სოფლელმა ბრიყვებმა ცრურწმენებითა და შიშით ტვინები ჩაგიკირეს. საუბედუროდ, ახლა თქვენს აღზრდას, ადამიანებად ქცევას ვეღარ მოვასწრებ, ვეღარ გასწავლით ტვინის განძრევას, გადაწყვეტილების მიღებას. ძალიან გვიანია – ხე სანამ ნორჩია, მანამ უნდა მოდრიკო, ეგეც არ იყოს, ცალი ფეხი სამარეში მიდგას. ერთი-ორი კაცის განათლებისა და გადარჩენისთვის არა მცალია მაშინ, როცა ჩემი წიგნის მომლოდინე მილიონობით მუსლიმი – უბედური მონა – მიწისქვეშეთის სიბნელეში დაძრწის. დრო კი ცოტაა, ძალიან ცოტა. ღმერთს ებარებოდე, ჩემო საბრალო, უენო შვილო. ბოლო დარიგებასაც მოგცემ, ყური მიგდე, რეჯეფ: ლაღი და თავისუფალი იყავი. მხოლოდ საკუთარ თავს მიენდე. გესმის?“ თავი დავუქნიე და გავიფიქრე: „სიტყვები, ცარიელი სიტყვები!“ „რეჯეფ, ნუ გეშინია, მოწყვიტე სამოთხის ხეზე ვაშლი. მაშინ შეიძლება ტკივილით იგრიხებოდე, მაგრამ მაინც თავისუფალი იყო. როცა ყველა თავისუფალი იქნება, ჭეშმარიტ სამოთხეს ამქვეყნად ააშენებ.“ სიტყვები, სიტყვები-მეთქი, ვფიქრობდი – სიტყვების გროვა, რომლებიც როგორც კი ჰაერში მოხვდება, მაშინვე იკარგება...

სიტყვებზე ფიქრით დამეძინა.

მზე უკვე ამოსულიყო, როცა ფანჯარაზე მოკაკუნებამ გამაღვიძა. ისმაილი იყო. კარი გავუღე. დამნაშავეებივით შიშით შევჩერებოდით ერთმანეთს.

– აბი, ჰასანი აქ არ ყოფილა? – მკითხა ტირილნარევი ხმით.

– არა. შემოდი, ისმაილ.

სამზარეულოში შევიდა და შუა ოთახში გაჩერდა. თითქოს ეშინოდა, არაფერი გავტეხოო. ერთხანს ჩუმად ვიყავით. ბოლოს ვეღარ მოითმინა: „რეჯეფ, გაიგე? რატომ გააკეთა?“ რა უნდა მეპასუხა? ოთახში შევბრუნდი. ვიდრე პიჟამას გავიხდიდი და შარვალს ჩავიცვამდი, ისმაილის ლაპარაკი მესმოდა: „რაც მომთხოვა, ყველაფერი შევუსრულე. დალაქის შეგირდობა არ ინდომა. კარგი, ისწავლე-მეთქი, მაგრამ რომ არც სწავლობდა? იმათ გადაჰკიდებია. ვიღაცეებს უნახავთ და ამბავი მომიტანეს. თურმე ხელოსნებს ფულს სძალავენ, ფენდიკამდე მიდიანო.“

ერთხანს გაჩუმდა, მეგონა ატირდებოდა, მაგრამ როცა სამზარეულოში შევედი, არ ტიროდა. დარცხვენილმა მკითხა:

– რაო, რას ამბობენ? ის პატარა ქალბატონი როგორ არის?

– წუხელ კარგად ვარო, ამბობდა. ახლა სძინავს. საავადმყოფოში არ წაიყვანეს, საჭირო კი იყო.

ისმაილს გაუხარდა:

– ალბათ, არც იყო წასაყვანი. იქნებ ძალიან არ უცემია?

ერთხანს გავჩუმდი. მერე ვუთხარი:

– დავინახე, როგორ ურტყამდა, დავინახე, ისმაილ!

შერცხვა, თითქოს თვითონ გაელახოს. ჩემს პატარა სკამზე ჩამოჯდა. ტირილს აღარაფერი უკლდა.

ამ დროს ზემოდან კაკუნი მომესმა. ჩაისათვის წყალი დავდგი და დიდ ქალბატონთან ავედი.

– დილა მშვიდობისა! აქ ისაუზმებთ თუ ჩამობრძანდებით?

ჟალუზები გავხსენი.

– აქ. იმათ დაუძახე, უნდა ვნახო.

ჯერ ყველას სძინავს-მეთქი, – ვუპასუხე, მაგრამ ქვემოთ ჩასულმა ვნახე, ნილგუნს ეღვიძა. წითელი კაბა ჩაეცვა.

– როგორ ხარ?

– კარგად ვარ, რეჯეფ, არა მიჭირს რა.

მაგრამ მისი სახე სულ სხვას ამბობდა: ცალ თვალს ვერ ახელდა, იარებზე ფუფხი გადაჰკვროდა, უფრო დალურჯებოდა და გასივებოდა.

– ახლავე საავადმყოფოში უნდა წახვიდეთ-მეთქი.

– აბიმ გაიღვიძა?

ქვემოთ ჩავედი. ისმაილი როგორც დავტოვე, ისე იჯდა. ჩაი დავაყენე. მერე ისმაილმა მითხრა:

– გუშინ ჩვენსა ჟანდარმი იყო. არ დამალოთო, გაგვაფრთხილა. როგორ დავმალავ?! სახელმწიფოზე უმალ მე დავადებ

სასჯელს-მეთქი.

გაჩუმდა. შეიცადა, აბა რას ვეტყოდი. კრინტი ვერ დავძარი, ისევ დააპირა ტირილი, მაგრამ აღარ უტირია. მკითხა, რას ამბობენო. პურს ვჭრიდი გასახუხად. პასუხი რომ ვერ მიიღო, სიგარეტს მოუკიდა:

– ამხანაგები ჰყოლია, ყავახანაშიც დადენილან. ნამდვილად იმიტომ გააკეთა, რომ მათნაირი ყოფილიყო, მათ აჰყოლოდა.

ვიგრძენი, მიყურებდა, ჩემგან რამის თქმას ელოდებოდა. მე კი პურს ვჭრიდი.

– არაფერი გაეგება, – გააგრძელა ისმაილმა.

ამასობაში პური დავჭერი და ზემოთ ავედი. ფარუქ ბეისაც ეღვიძა. ნილგუნი მხიარულად უსმენდა.

– ასე აღმოვჩნდი ისტორიის ანგელოზის მკლავებში, – ჰყვებოდა ფარუქ ბეი, – ხანში შესული დეიდასავით მეხვეოდა და ახლა ისტორიის საიდუმლოს გაგანდობო, მეუბნებოდა.

ნილგუნმა ჩაიქირქილა. ფარუქმა განაგრძო:

– მაინც რა სიზმარი იყო?! შემეშინდა. გამეღვიძა, მაგრამ არც გაღვიძებას ჰგავდა. გაღვიძება გინდა, მაგრამ ძილის უფსკრულში იჩეხები. ნახე, ერთი, ეს დაჭმუჭნილი რაღაც ჯიბიდან ამომივარდა.

– ოჰ, ფესია! – უთხრა ნილგუნმა.

– მართალი ხარ, ფესია, მაგრამ ჩემს ჯიბეში რა უნდოდა? წუხელ მუცლის ცეკვას რომ უყურებდნენ, იმ ტურისტებს ეხურათ.

– საუზმე უკვე მოგართვათ?

– დიახ, მოგვიტანე, რეჯეფ.

ეჩქარებათ. უნდათ, სანამ მოვაჭრეების ბრბო გამოეფინება, სანამ პიკის საათი დადგება, სტამბოლს ჩასვლა მოასწრონ. სამზარეულოში ჩავედი, პურის ნაჭრები გასახუხად დავაწყვე, კვერცხები მოვხარშე. გამოსვლისას ისმაილმა მკითხა:

– იქნებ, იცი რამე, რეჯეფ, შენ სულ იქა ხარ, ამბებს იგებ...

– არა, ისმაილ, მეც ის ვიცი, რაც – შენ.

თითქოს დამიჯერა, იმედმოცემულმა თქვა:

– სად წავა? ერთ დღესაც გამოჩნდება, მოვა. ყოველდღიურად რა არ ხდება? რამდენი კაცი კვდება, მალე ივიწყებენ.

გაჩუმდა. თავის ნათქვამში ეჭვი შეეპარა:

– დაივიწყებენ კია, აბი?

ჩაი დავუსხი.

– შენ დაივიწყებდი, ისმაილ?

ზემოთ ავედი.

– გაიღვიძეს, დიდო ქალბატონო. თქვენც ქვემოთ გელოდებიან. ჩამობრძანდით და ბოლოს ერთხელ კიდევ ერთად ისაუზმეთ.

– დაუძახე, ამოვიდნენ. რაღაც მაქვს მოსაყოლი. არ მინდა, შენი ტყუილები დაიჯერონ.

არაფერი მითქვამს. ქვემოთ ჩავედი, სუფრის გაშლა დავიწყე. მეთინსაც გაჰღვიძებოდა. ფარუქი და ნილგუნი იცინოდნენ. მეთინი დუმდა. სამზარეულოში დაბრუნებულს, ისმაილმა შემომჩივლა:

– ორი დღეა, ჰასანი შინ არ მოსულა.

მერე დაკვირვებით შემომხედა და არ იცოდიო? – მკითხა.

– არ ვიცოდი. დიდი წვიმის დროს შინ არ იყო?

– არა. წყალი ჩამოგვივიდა, იქაურობა ნიაღვარმა წალეკა. მთელი ღამე ვისხედით და ველოდებოდით. არ მოვიდა.

– იქნებ, წვიმას შეაფარა სადმე თავი და იქ დარჩა?

უფრო დაკვირვებით შემომხედა.

– აქ არ ყოფილა?

– არა, ისმაილ, არ ყოფილა.

მერეღა გამახსენდა ანთებული ღუმელი. ჩაი, პური, კვერცხი. ავუტანე. რძის ატანაც მინდოდა. ვკითხე:

– ნილგუნ ხანუმ, რძე გნებავთ?

არ მინდაო, მიპასუხა, მაგრამ ნეტავ, არც მეკითხა, ისე ამედუღებინა რძე, მიმეტანა და წინ დამედგა. სამზარეულოში ჩავედი, ისმაილს ჩაი შევთავაზე, პურიც მოვუჭერი. მკითხა:

– რეჯეფ, უთხარი? იციან, აქ რომ ვარ?

არ ვუპასუხე. დარცხვენილმა უსიტყვოდ დაიწყო ჭამა, თითქოს პატიებას თხოულობსო. დიდ ქალბატონს ლანგარი ავუტანე.

– რატომ არ ამოდიან? არ უთხარი, გეძახითო?

– ვუთხარი, დიდო ქალბატონო, ვუთხარი. ახლა საუზმობენ. წასვლამდე უეჭველად ამოვლენ და ხელზე გაკოცებენ.

ერთბაშად ცოცხლად წამოსწია თავი ბალიშიდან:

– წუხელ რა უამბე? ახლა მითხარი, ოღონდ ტყუილი არ გამაგონო!

– რა გინდათ, რომ ვუამბო? ვერ გამიგია!

არ მიპასუხა. ზიზღი ჩაუდგა თვალებში. ლანგარი დავდგი და ძირს ჩამოვედი.

– ნეტავი, ჩემი რვეულიც მაპოვნინა, – თქვა ფარუქ ბეიმ.

– ბოლოს სად ნახე?

– მანქანაში. მერე მანქანა მეთინმა წაიყვანა, მაგრამ რვეული არ უნახავს.

– არ გინახავს? – ჰკითხა ნილგუნმა.

ორივემ მეთინს შეხედა, მაგრამ მან არ უპასუხა.

იჯდა ყურებჩამოყრილი, განადგურებული, როგორც ბავშვი, რომელიც გაჯოხეს და ახლა ტირილსაც არ ანებებენ. ხელში პურის ნაჭერს უაზროდ დასჩერებოდა, თითქოს არც ახსოვდა, რა იყო. გამოჩერჩეტებულ ბერიკაცს ჰგავდა, თავს ძალას რომ ატანს, ცდილობს ის ლამაზი დრო გაიხსენოს, როცა ამაზე კარაქსა და მურაბას უსვამდა და ისე ჭამდა. დროდადრო კიდეც იხსენებს, წუთით გამოცოცხლდება, პურს ჩაკბეჩს, მაგრამ მაშინვე ლუკმის გადაყლაპვა ავიწყდება და ზის გაუნძრევლად.

– მეთინ, შენ გელაპარაკებით! – უყვირა ნილგუნმა.

– არ მინახავს თქვენი რვეული!

ქვემოთ ჩავედი. ისმაილი ახალ სიგარეტს ეწეოდა. ტირილს არაფერი უკლდა. მისი დატოვებული პური ავიღე და საჭმელად დავჯექი. უბრად ვისხედით ძმები. გარეთ ვიყურებოდით. ბაღში ბეღურები მიწაზე რაღაცას კენკავდნენ, შიგნით კი ჩვენს უმწეო ხელებს მზე დასდგომოდა. მინდოდა, ხმა გამეცა. ამიტომ ვკითხე, ლატარიის გათამაშება როდის არის-მეთქი. გუშინ გათამაშდაო.

გრუხუნით ჩაიქროლა ნევზათის მოტოციკლმა. ისმაილი წამოდგა, წავალ ახლაო, თქვა. არ დავანებე, სად მიხვალ, დაჯექი, ესენი მალე წავლენ, ვილაპარაკოთ-მეთქი. დაჯდა. მე ზემოთ ავედი, ფარუქ ბეის საუზმე დაემთავრებინა და სიგარეტს ეწეოდა.

– რეჯეფ, დიდედას მიხედე. ჩვენ დროდადრო დაგირეკავთ. ზაფხულის ბოლომდე კიდევ ჩამოვალთ.

– გელოდებით.

ღმერთმა დაიფაროს და, თუ რამე მოხდა, მაშინვე დაგვირეკე, მაგრამ შენ ტელეფონს ჯერაც ვერ შეეჩვიე?

– ჯერ საავადმყოფოში მიხვალთ, არა? მაგრამ ახლავე ნუ წახვალთ. თითო ჭიქა ჩაის კიდევ მოგიტანთ.

– კარგი.

სამზარეულოში ჩავედი, ჩაი დავასხი და ავუტანე. ნილგუნსა და ფარუქს ჩვეული კამათი წამოეწყოთ.

– ბანქოს დასტის თეორიაზე მითქვამს შენთვის? – ჰკითხა ფარუქმა.

– გითქვამს, – უპასუხა ნილგუნმა, – ისიც გითქვამს, თავი კაკალს მიგავს, ვინც გატეხს და შიგ ჩაიხედავს, მის ხვეულებში ისტორიის მატლებს დაინახავსო. მე კი გეუბნები, რომ ყველაფერი სისულელეა, თუმცა, ეს ზღაპრები კარგი თავშესაქცევი მგონია.

– სწორია. თავშესაქცევი, სულელური ზღაპრებია, – კვერი დაუკრა ფარუქმა.

– არა, ტყუილად როდი გამხსენებია ესენი, – უთხრა ნილგუნმა.

– ომები, წვიმები, დანაშაულები, ფაშები, გაუპატიურება.

– ტყუილუბრალოდ არაფერი ყოფილა.

– თაღლითები, შავი ჭირის ეპიდემიები, ვაჭრები, ჩხუბები, მოკლედ – ცხოვრება...

– შენც იცი, რომ ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს?

– ვიცი? – ჩაეკითხა ფარუქი და გაჩუმდა, მერე ამოიოხრა: – ეჰ! თავშესაქცევი, სულელური ზღაპრები...

– გული მერევა, – თქვა ნილგუნმა.

– თუ მივდივართ, ბარემ წავიდეთ! – გაბრაზდა მეთინი.

– მეთინ, რატომ არ რჩები? ცოტას კიდევ იბანავებდი ზღვაში. სტამბოლში რა უნდა გააკეთო?

– რა უნდა გავაკეთო და – თქვენისთანა მცონარების წყალობით რაც ვერ ვიშოვე, იმ ფულს გამოვიმუშავებ. მჭირდება. საათში ორას ორმოცდაათ ლირად მთელი ზაფხული გაკვეთილები უნდა ვატარო. გაიგე?

– მაშინებ, მეთინ, – უთხრა ფარუქმა.

სამზარეულოში ჩავედი, ვფიქრობდი, ნილგუნს კუჭზე რა მოუხდება-მეთქი. ისმაილი წამოდგა, მივდივარო, თქვა.

– ჰასანი იხეტიალებს, იხეტიალებს და ბოლოს შინ დაბრუნდება, არა, რეჯეფ?

– უეჭველად დაბრუნდება, აბა სად წავა? დაჯექი, ისმაილ.

– იქ, ზემოთ, რას ამბობენ? ხომ არ ავსულიყავი და ბოდიში მომეხადა?

დავიბენი.

– არა, ისმაილ, არ ახვიდე.

ამ დროს ზემოდან ის ნაცნობი ხმა მოგვესმა – ქალბატონი იატაკზე ჯოხს ურტყამდა. სამზარეულოს ჭერი ლამის ჩამონგრეულიყო. გახსოვს? წამით შევჩერდით და ჭერს ავხედეთ. ისმაილი დაჯდა. დიდმა ქალბატონმა კიდევ

რამდენჯერმე დაარტყა იატაკს ჯოხი. მომეჩვენა, თითქოს ისმაილს ურტყამდა თავში. მერე მისუსტებული ბებრული ხმაც გავიგონეთ:

– რეჯეფ, რეჯეფ, მანდ რა ხდება?

ზემოთ ავედი.

– არაფერიც არ ხდება, დიდო ქალბატონო, – ვუთხარი და მის ოთახში შევედი. დავაწვინე. ახლავე ამოვლენ-მეთქი. მინდოდა, ბარემ ჩამელაგებინა მანქანაში მათი ჩემოდნები. ავიღე ნილგუნის ჩემოდანი და მძიმე-მძიმედ დავეშვი კიბეზე. თან ვფიქრობდი, ახლა ნილგუნი მეტყვის, რეჯეფ, შენ რატომ ჩამოიტანეო. ამასობაში კიდევაც დამავიწყდა, გული მერევაო, რომ თქვა. ახლა კი დავინახე, როგორ არწყევდა. მეთინი და ფარუქი დაბნეულები შესჩერებოდნენ. მე – ჩემოდნებით ხელში – გაოგნებული ვიდექი. ერთბაშად ნილგუნმა თავი მოაბრუნა. პირიდან რაღაც ამოუვიდა და იმან კვერცხები გამახსენა. ვიდრე ნილგუნი არწყევდა, სამზარეულოში ჩავირბინე. მინდოდა, მეპოვა რამე, რაც მოუხდებოდა, თან ვფიქრობდი, ჩემი ბრალია, დილას რძე რატომ არ დავალევინე-მეთქი. ისმაილი რაღაცას მეუბნებოდა, მაგრამ მე არაფერი მესმოდა. ისევ ზემოთ გავიქეცი, მაგრამ რძე არც ახლა წამიღია. როცა დავბრუნდი, ნილგუნი უკვე მკვდარი იყო. მათ არ უთქვამთ, თვითონ მივხვდი, როგორც კი შევხედე. თუმცა სიტყვა „სიკვდილი“ არ მიხსენებია. დამნაშავეებივით შევჩერებოდით მის გამწვანებულ, მშვიდ სახეს, ჩაშავებულ ბაგეებს. ფიქრის უნარი წაგვრთმეოდა. ათიოდე წუთის მერე „სიკვდილი“ ქემალ ბეის მეაფთიაქე ცოლმა ახსენა – იგი მეთინს მოეყვანა მანქანით. სიკვდილის მიზეზი ტვინში სისხლის ჩაქცევააო.

ჩვენ კიდევ დიდხანს ვუყურებდით ნილგუნს, ეგებ წამოდგეს და გაიაროსო.

31.

საღებავის ყუთი ავწიე. ველოდებოდი, სულელი ზღარბი პაწაწინა ცხვირს ეკლებიდან როდის გამოყოფდა. იქნებ, ცოტათი მაინც გავემხიარულებინე, მაგრამ არ გამოყო. ეტყობა,

გონს მოდის. მერე, ლოდინით დაღლილმა, ფრთხილად ჩავავლე ხელი ეკალში და ავწიე. გტკივა, განა? ერთბაშად ხელი ვუშვი. ზღარბმა ძირს მოადინა ტყაპანი. ზურგზე დაეცა. რა უმწეოა ეს სულელი! მეცოდები, მაგრამ მეზიზღები, მომბეზრდი.

უკვე რვის ნახევარია. მთელი დღეა აქ ვიმალები და წუხელ, შუაღამისას ნაპოვნი ზღარბით ვერთობი. ადრე ამ არემარეში უზომო ზღარბი იყო. ღამღამობით ბაღში შემოდიოდნენ. მე და დედა მაშინვე ვიგებდით – შრიალი ისმოდა. სიბნელეში თუ თვალწინ ასანთს აუნთებ, დაიბნევა და ერთ ადგილზე გაჩერდება. ბრიყვი! ზედ ვედროს თუ დააპირქვავებ, დილამდე დატყვევებული გეყოლება. ყველანი გადაიკარგნენ. ესღა დარჩენილა. უკანასკნელო, გზააბნეულო ზღარბო, გული გამიწყალე! სიგარეტს მოვუკიდე. მომინდა, ცეცხლისათვის მიმეცა ზღარბიცა და აქაურობაც, ყველაფერი: ბლის ბაღები, აქა-იქ შემორჩენილი ზეთისხილის ხეები. თქვენთან – ყველასთან კარგი გამომშვიდობება იქნებოდა, მაგრამ გადავიფიქრე. არა ღირს! ზღარბს ფეხი წავკარი და გადმოვაბრუნე. რაც გინდათ, ქენით. მე მივდივარ. პირში სიგარეტი მიდევს, ეგებ, შიმშილი მომიკლას.

ჩემს რამეებს თავი მოვუყარე: სიგარეტის კოლოფი, რომელშიც შვიდი ღერიღა დარჩენილიყო, ორი სავარცხელი, ასანთი და საღებავის ყუთი სულელ ზღარბთან დავტოვე. თან მხოლოდ ფარუქ ბეის რვეული წავიღე. სულაც არაფერში მჭირდებოდა, მაგრამ თუ ვინმე ამედევნა, ნაკლებად საეჭვო იქნება კაცი, რომელსაც ხელში რვეული უჭირავს.

წასვლამდე ერთხელ კიდევ შევავლებ თვალს აქაურობას – ლეღვისა და ნუშის ხეებში ჩაფლულ იმ ადგილს, სადაც ყოფნა ბავშვობიდან ასე მიყვარდა. როცა ყველა და ყველაფერი მომბეზრდებოდა, როცა შინ გული აღარ მიდგებოდა, აქ მოვდიოდი. ახლაც უკანასკნელად ვნახე და წავედი.

მივდივარ ვიწრო ბილიკზე და შორს ჩვენს სახლსა და ქვემო უბანს ვხედავ. როგორ მინდა იქ ყოფნა! მშვიდობით, მამა, დადგება ის დღეც, როცა გამარჯვებული დაგიბრუნდები. იქნებ ჩემ შესახებ გაზეთებშიც წაიკითხო და მიხვდე, როგორ ცდებოდი, როცა გეგონა, რომ მე ერთი უბრალო დალაქი დავდგებოდი. მშვიდობით, დედა! უპირველეს ყოვლისა, მაგ ლატარიის ძუნწი გამყიდველისაგან გიხსნი. შევხედე

ცოდვილთა მდიდრული სასახლეების კედლებსა და სახურავებს. ნილგუნ, აქედან თქვენი სახლი არ ჩანს. პოლიციას უკვე შეატყობინეთ, არა? მშვიდობით.

სასაფლაოზე არ შევჩერებულვარ. სწრაფად გავიარე. თან დაფიქრებული წარწერებს ვკითხულობდი. როცა წავიკითხე: „გულ, დოღან და სელაჰათინ დარვინოღლუები, მშვიდობა მათ სულს“, თავი მარტო, დამნაშავედ და უმწეოდ ვიგრძენი. ლამის ავტირდი. ფეხს ავუჩქარე.

მეშინოდა, ვინმე ჭკუის კოლოფს არ ვეცნე და რამეს არ მიმხვდარიყო. ამიტომ სტამბოლისაკენ მიმავალი შარაგზიდან გადავუხვიე. ამ გზით ორშაბათ დილას უზომო ხალხი მიეშურება სტამბოლს ერთმანეთის მოსატყუებლად. ბაღებსა და ყანებზე მივდიოდი. ბლისა და ალუბლის ხეებს შესეული ყვავები ჩემს მიახლოვებაზე ფრთხებოდნენ. მამა, შენ იცოდი, რომ თურმე ათა თურქიც თავის ძმასთან ერთად ყვავებს დასდევდა? გუშინ გავბედე და ჩვენი სახლის სანახავად მივედი. ფანჯრიდან შევიხედე. ყველა ნათურა ენთო და არავინ ამბობდა, ჩააქრე, ცოდვააო. მამაჩემს თავი ხელებში ჩაერგო და ვერ გაიგებდი, ტიროდა თუ თავისთვის ლაპარაკობდა. ეტყობა, ვიღაცას უკვე მოუტანია ამბავი. იქნებ, სულაც ჟანდარმები მოვიდნენ. საწყალი მამაჩემი რა დღეში ჩავარდებოდა! ისე შემეცოდა, ცოტაც და, თავს დამნაშავედ ვიგრძნობდი.

მოვერიდე ქვემო უბანში თავმოყრილ ცნობისმოყვარე უსაქმურებსა და ვირებს, დგანან და მომსვლელ-წამსვლელი არ გამოეპარებათ, ყველაფერს აკვირდებიან: ვინ ვინ არის, ვინ რას აკეთებს. იმ ადგილას, სადაც წუხელ მეთინს მანქანა გაუფუჭდა, გზიდან გადავუხვიე, ბაღებზე გავიარე და პირდაპირ ქვემოთ დავეშვი, რკინიგზაზე გავედი და სასოფლო-სამეურნეო სკოლის გზას გავუყევი. მისაღებ გამოცდაზე ის საგნები რომ არ მოეთხოვათ, რომელთაც სკოლაში არ ვსწავლობდით, ახლა ამ სკოლის მოსწავლე ვიქნებოდი. ეს მამაჩემს ძალიან უნდოდა. სკოლა ჩვენს სახლთან ახლოს იყო, თანაც მომავალ წელს დიპლომიანი მებაღე ვიქნებოდი. მამა ამბობდა, თუ დიპლომი ექნება, მებაღე კი არა, უკვე მოხელეა, რადგან ჰალსტუხი უკეთიაო. მე თუ მკითხავთ, მაინც მებაღეა, ოღონდ – ჰალსტუხიანი მებაღე. ამათ ზაფხულშიც ლექციები აქვთ. აი, ნახავთ, ცოტა ხანში ზარი დაირეკება. გაიქეცით, ჩქარა შეეფარეთ მასწავლებლის კალთას, იქნებ, ლაბორატორიაში

გაჩვენოთ, პამიდორს კურკები აქვსო. საბრალო მუწუკებიანი უბიწოები! მათ გახსენებაზე მიხარია, იმ გოგოს რომ გადავეყარე. მას ჩემს თავზე ეს ამბები რომ არ დაეტრიალებინა, ალბათ, ჰალსტუხიან მებაღეობას დავთანხმდებოდი, საკუთარი დუქნის მქონე დალაქობაზეც არ ვიტყოდი უარს. თუმცა, დალაქის შეგირდობიდან ოსტატ დალაქობამდე ათწლიან გზაზე მარტო მამაჩემის კი არა, დალაქის ყიამყრალობაც უნდა ამეტანა. ელოდეთ!

კაბელების ქარხნის გვერდით თავი მოეყარათ მუშებს. იდგნენ შლაგბაუმთან და რაღაცას ელოდებოდნენ. შლაგბაუმი იმისთვის გაუკეთებიათ, როცა მატარებელი მოდის, მანქანამ არ გაიაროსო. ელმავლის მსგავსად შეუღებავთ: წითელი და თეთრი ზოლებით. მაგრამ როცა შლაგბაუმი გაიხსნება, მუშები იქიდან არ შედიან, არამედ – გვერდითა პატარა კარიდან. ხელში ბარათები უჭირავთ. ყარაულის ჯიხურში იმ ბარათებს რაღაცაში შეყოფენ და გამოიღებენ. ყარაულები მუშებს ისე ჩხრეკენ და სინჯავენ, როგორც ციხის ზედამხედველები. ქარხანასაც მავთულხლართის ღობე აკრავს. დიახ, ის ადგილი, რომელსაც ქარხანა ჰქვია, თანამედროვე ციხეა და მანქანებს გუნება რომ არ გაუფუჭდეთ, საწყალი მონები თავიანთ სიცოცხლეს იქ ათავებენ – დილის რვა საათიდან საღამოს ხუთ საათამდე. მამაჩემს იქ ვინმე ჩემთვის ხელის წამშველებელი რომ ეპოვა, მაშინვე გადაწყვეტდა, აღარ უნდა სწავლაო, ამ მუშებში შემაგდებდა და გაიხარებდა: მისი შვილის ცხოვრება ამ ციხის მანქანასთან დგომაში გაივლიდა და გადარჩებოდა. ეს ქარხნად წოდებული ციხის საწყობია. იქ ჩვენებმა ცარიელ კასრებზე მუქარა დააწერეს: კომუნისტებს ამას და ამას ვუზამთო.

კარგა ხანს ვუყურებდი, როგორ ცლიდა ამწე ქარხნის ნავმისადგომზე გაჩერებულ გემს. უცნაური სანახაობა იყო, ძალიან დიდ ტვირთს ჰაერში რომ აიტაცებდა. ახლა ეს გემი რომ გადმოიცლება, საით წავა? დავდექი და გემს ცოტა ხანს კიდევ ვუყურე. მაგრამ ჩემკენ მომავალი მუშები დავინახე და ჩქარი ნაბიჯით გავერიდე იქაურობას, არ მინდა, ვიღაც უსაქმური ვეგონო იმათ, ვისაც პატრონი გამოსჩენიათ, სამუშაო უშოვიათ და ახლა თავი მოაქვთ – შენა გჯობივართო. გვერდით რომ ჩავუარე, დავაკვირდი. ჩემგან არაფრით განსხვავდებოდნენ. ცოტათი უფროსები იქნებოდნენ და სუფთად ეცვათ. სულ ეს იყო. ტალახიანი კედები რომ არ მცმოდა, ვერც კი იფიქრებდნენ, უმუშევარიაო.

აღარც კი მახსოვდა, აქ წყარო ყოფილა. ჯერ წყალი დავლიე, მშიერ კუჭზე არ მეამა, მაგრამ არაფერია. მერე კედები გავირეცხე: მომშორდეს ამ წყეული ადგილის წითელი ტალახი – წარსულის საზიზღარი ჭუჭყი-მეთქი, ვამბობდი. ამ დროს ვიღაც კაცი მომიახლოვდა და მითხრა:

– ჩვენებურო, მიმიშვი, ცოტა წყალს დავლევ.

მივუშვი. მუშა უნდა იყოს. ამ სიცხეში პიჯაკი აცვია. გაიხადა, ფრთხილად დაკეცა და მოშორებით დადო. მერე წყალი კი არ დალია, ცხვირის ხოცვას მოჰყვა. აღარ გაათავა. გამოდის, თუ იმარჯვებ, სამუშაოსაც იშოვი და სხვისთვის რიგის წართმევასაც არ მოერიდები. შენი ცხვირის ხოცვასაც „წყლის დალევა“ ერქმევა. ნეტავი, საშუალო სკოლის დიპლომი თუ აქვს? პიჯაკის ჯიბიდან საფულე მოუჩანს. ისევ ცხვირს იხოცავს. გავბრაზდი. სწრაფად ამოვაცალე საფულე და შარვლის უკანა ჯიბეში ჩავიდე. ისევ ცხვირს იხოცავდა და არ დაუნახავს. მერე, ეტყობა, ჩემი შერცხვა და მართლა დალია წყალი.

კარგი, მორჩი, ძმაო, მეც საქმე მაქვს-მეთქი, ვუთხარი.

წყალთან მიმიშვა, მერე გმადლობთო, მითხრა ქოშინით, პიჯაკი ჩაიცვა. ვერაფერი შენიშნა, ფაბრიკისაკენ წავიდა. მშვიდად გავაგრძელე კედების რეცხვა, თვალიც არ გამიყოლებია. სანამ კედებს ტალახს მოვაშორებდი, თვალს მიეფარა. მე კი ჩქარი ნაბიჯით საპირისპირო მხარეს – სადგურისაკენ წავედი. ცხელოდა. ჭრიჭინები ხმიანობდნენ. მაშინვე მატარებელიც მომყვა. შიგ მუშები ისხდნენ – ორშაბათ დილას სამსახურში მიიჩქაროდნენ. ისე მჭიდროდ იყვნენ ჩალაგებულები, როგორც თევზი – კასრში. ჩამიარეს და წავიდნენ. ამ მატარებელზე დამაგვიანდა. შემდეგს დაველოდები.

სადგურის ბაქანზე გავედი. რვეულით ხელში საქმიანი კაცივით ისე გავიარე, ჟანდარმებისათვის არც კი შემიხედავს.

– სამი ყველიანი ბუტერბროდი, ცხელი, – ვუთხარი მებუფეტეს.

ვიღაცამ ვიტრინისაკენ ხელი გაიწოდა და პურის ნაჭრებში მანამდე გარეთ გამოფენილი ყველის ნაჭრების ჩადება დაიწყო. ასეა, ყველს ვიტრინაში ცალკე აწყობენ, უნდათ, მყიდველს აფიქრებინონ, ბუტერბროდი ყველით არის გამოტენილიო. ყველას თავი მარჯვე და ჩემზე ფხიზელი გონებისა ჰგონია,

მაგრამ თუ არც მე ვარ სულელი? ანდა, ისეთი მარჯვე ვარ, რომ მთელ გეგმებს ჩაგიშლით? მოვიფიქრე: – ერთი სამართებელი და ერთიც წებო, – ვუთხარი მებუფეტეს და დახლზე ასი ლირა დავუდე.

ხურდა და ნაყიდები ავიღე და წავედი. ჟანდარმებისათვის არც ამჯერად შემიხედავს. სადგურში საპირფარეშოები შენობის ბოლოშია. შიგ საშინელი სიმყრალე იდგა. კარს შიგნიდან ურდული გავუყარე, უკანა ჯიბიდან საფულე ამოვიღე, ვნახე – ჩვენს მარჯვე მუშას ათასი ლირა ჰქონოდა – ორი ცალი ხუთას ლირიანი და წვრილ ფულთან ერთად 2125 ლირა შეადგინა. საფულის სხვა განყოფილებაში, როგორც ვვარაუდობდი, პირადობის მოწმობა და სოციალური დაზღვევის საბუთიც ედო. სახელი იბრაჰიმი, გვარი შენერი, მამის სახელი ფევზი, დედის სახელი ყამარი, ტრაპიზონი, სურნამე და ასე შემდეგ. ძალიან კარგი. რამდენჯერმე გადავიკითხე, დავიზეპირე. მერე ჯიბიდან მოსწავლის ბარათი ამოვიღე, კედელს მივადე და სამართებლით ფაქიზად ამოვჭერი ჩემი სურათი, ზედ შერჩენილი მუყაო ფრჩხილით გადავფხიკე, მერე იბრაჰიმ შენერის სოციალური დაზღვევის საბუთიდან მისი სურათი ამოვჭერი და ჩემი სურათის ადგილზე ჩავაკარი. ასე გავხდი იბრაჰიმ შენერი. მისი დაზღვევის საბუთი საფულეში ჩავიდე, საფულე – ჯიბეში.

საპირფარეშოდან გამოვედი, ბუფეტში დავბრუნდი. ჩემი ბუტერბროდები მზად იყო. დილიდან კუჭში არაფერი ჩამსვლოდა. ამიტომ სიამოვნებით შევექეცი. ერთი ქილა დოც დავაყოლე. მიმოვიხედე, კიდევ რა ვჭამო-მეთქი. ჯიბეში ფული ბლომად მაქვს, მაგრამ არც ნამცხვარი მომეწონა, არც შოკოლადი. მერე ერთი ბუტერბროდი კიდევ მოვითხოვე. კარგად დაბრაწე-მეთქი, ვთხოვე მებუფეტეს. მან არაფერი მიპასუხა. ზურგით დახლს მიყრდნობილი სადგურისაკენ ოდნავ შებრუნებული ვდგავარ. ძალიან მშვიდად ვარ, დარდი არაფრისა მაქვს. მხოლოდ ერთხელ გავიხედე წყაროსაკენ. რკინიგზიდან ხომ არავინ მოდის? არავინ ჩანდა. ჩვენს მარჯვე მუშას თავი ჭკვიანი ეგონა, მაგრამ ჯერაც არ გაუგია, რომ საფულე ასწაპნეს. იქნებ, გაიგო კიდეც, მაგრამ ვერ მიმხვდარა, ვინ მოჰპარა. მებუფეტემ ბუტერბროდი მომაწოდა, გაზეთიც მოვთხოვე – „ჰურეითი[77]“.

გაზეთი ვიყიდე, წავედი, იქვე სკამზე ჩამოვჯექი. ყურადღებას

არავის ვაქცევ. ბუტერბროდს ვჭამ და გაზეთს ვკითხულობ. თავდაპირველად გუშინ დახოცილთა სიას გადავხედე: ყარსი, იზმირი, ანთალია, ანკარა... სტამბოლი ბოლოსათვის შემოვინახე. ჩვენგან თორმეტი კაცია მოკლული, იმათგან – თექვსმეტი. მერე სტამბოლში დახოცილთა სიას გადავხედე. მათ შორის ნილგუნ დარვინოღლუ არ იყო. იზმირის ხსენებაც კი არ არის. ერთხელ კიდევ გადავიკითხე. გულისხეთქით ჩავიკითხე ის ადგილი, რომლისაც ყველაზე მეტად მეშინოდა. დაჭრილებშიც არ იყო. მერე ვიფიქრე, იქნებ, სხვა გაზეთში არის-მეთქი. წავედი და „მილიეთი“[78] ვიყიდე. დაჭრილთა შორის იქაც არ იყო. ახლა დაჭრილთა გვარებს წერენ, მაგრამ დამჭრელთა ვინაობას არ ამხელენ, კარგი უქნიათ. რა საჭიროა? კახპა ან ფეხბურთელი ხომ არა ვარ, ჩემი სახელის გაზეთში გამოჩენა რომ მიხაროდეს?

ფიქრებში წასულმა გაზეთი დავკეცე და სადგურის დარბაზში შევედი, სალაროს მივაშურე. ვიცი, სადაც უნდა წავიდე. ახლავე წავალ.

– ერთი უსქუდარამდე, – ვუთხარი მოლარეს.

– უსქუდარამდე მატარებელი არ მიდის. ბოლო სადგური ჰაიდარფაშაა, – მიპასუხა ჭკუისკოლოფა მოლარემ.

– ვიცი, ვიცი, უსქუდარამდე მომეცით.

მაინც არ მომცა, ღმერთმა დასწყევლოს!

– სრული თუ მოსწავლისა?

– მოსწავლე აღარა ვარ. იბრაჰიმ შენერი მქვია.

– რაში მჭირდება შენი სახელი? – მითხრა და შემომხედა. ისეთი სახე მქონდა, შეეშინდა. გაჩუმდა. ბილეთი გამომიწოდა.

გავბრაზდი. არავისი მეშინია. გარეთ გამოვედი, რკინიგზას გავხედე. არც მომსვლელი ჩანს, არც წამსვლელი. წეღან რომ ვიჯექი, იმ სკამზე სხვები დამსხდარან – მარჯვეები. მისვლა დავაპირე, ვეტყვი, წეღან აქ მე ვიჯექი-მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე. არა ღირს. მატარებლის მომლოდინე ბრბო მაშინვე შენზე წამოვა. სხვაგან დავჯდები, ადგილი იქნება. მივიხედ-მოვიხედე და შიშით გული გამისკდა – ჟანდარმები მიყურებდნენ.

– ძმაო, საათი გაქვს? – მკითხა ერთმა ჟანდარმმა. დავიბენი.

– მე? – კითხვა შევუბრუნე – საათი მაქვს.

– რომელია?

– საათი? ცხრის ხუთი წუთია.

აღარაფერი მითხრეს, ლაპარაკ-ლაპარაკით გამცილდნენ. მეც წავედი, მაგრამ სად უნდა წავიდე? ცარიელი სკამი დავინახე, მივედი, დავჯექი. მერე ზუსტად ისე, როგორც სამუშაოზე მიმავალი კაცები აკეთებენ, სიგარეტს მოვუკიდე, გაზეთი გავშალე. ფიქრიანი კაცის სახით კითხვა დავიწყე. ქვეყნის შიდა ამბები მოვათავე და საგარეოზე გადავედი. ცოლ-შვილის პატრონი, მოვალეობებით დახუნძლული კაცის სერიოზულობით წავიკითხე: თუ ბრეჟნევი და კარტერი თურქეთის გაყოფაზე შეთანხმდებიან, კიდევაც გაიტანენ თავისას. ახლა მივხვდი: სწორედ მათ გამოგზავნეს თურქეთში რომის პაპი. ფიქრებში გართულს გვერდით ვიღაც მომიჯდა. გაზეთი არ დამიწევია, ისე გავხედე გვერდიდან. ჩემსაზე ძველი შარვალი აცვია, მსხვილთითება, ნაჯაფარი ხელები მუხლებზე უწყვია. სახეზეც შევხედე და მივხვდი: შრომით სიქაგაცლილი მოხუცი მუშაა. შემეცოდა საბრალო! თუ რამდენიმე წელიწადში არ მოკვდი და პენსიონერი გახდი, მთელი შენი ცხოვრება ფუჭად ჩავლილი იქნება. თითქოს იქ არც არის, თავის საფიქრალს მისცემია. არ ეტყობა, რამით უკმაყოფილო იყოს. უაზროდ გაჰყურებს ბაქნის მოპირდაპირე მხარეს – მატარებლის მომლოდინეებს. კარგ ხასიათზე ჩანს. იქნებ მათთან არის შეთქმული? იქნებ ყველანი – სადგურში თავშეყრილები – მე დამცინიან? შევძრწუნდი, მაგრამ ამ დროს მუშამ დაამთქნარა და მივხვდი – ერთი ხეპრე ვიღაც იყო. მე რისა მეშინია? მათ ეშინოდეთ ჩემი! – შევუძახე თავს და დავმშვიდდი.

რატომღაც მისთვის გულის გადაშლა მომინდა. იქნებ, მამაჩემსაც იცნობს? დიახ, ლატარიის ბილეთების კოჭლი გამყიდვლის შვილი ვარ. ახლა მეც სტამბოლს მივდივარ – უსქუდარს. შემიძლია, ნილგუნზეც ვუამბო რამე, ჩვენს ბიჭებზე, ჩემზეც ვუთხრა. ნახე, ხელში გაზეთი მიჭირავს, ჯერ არაფერს წერენ, იცი? ხანდახან მგონია, ყველაფერი იმათი ბრალია, ვისაც ჩვენი დაცინვა უნდა, მაგრამ ერთხელაც იქნება, ისეთ რამეს მოვიმოქმედებ, რომ იმ თამაშს გავუცუდებ. ჯერ არ

ვიცი, რას გავაკეთებ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ყველას გავაკვირვებ. მაშინ ეს გაზეთიც დაწერს და ყველა გაიგებს, მატარებლის მომლოდინე ეს ბრიყვებიც. ამათ ხომ ქვეყნის ავ-კარგი არ გაეგებათ და ბედნიერები არიან, რადგან სამუშაო აქვთ, სადაც ყოველ დილით მიდიან, გაიგებენ და ცოტათი გაუკვირდებათ, ჩემი შეეშინდებათ. „არა გვცნობიაო, ყველაფერი ამაო ყოფილაო, ვერაფერს ვხვდებოდითო“, – იტყვიან. ის დღეც დადგება და, მარტო გაზეთები კი არა, ტელევიზიებიც ალაპარაკდებიან ჩემზე. გაიგებენ, გაიგებთ, ყველაფერს გაიგებთ ჩემ შესახებ.

ჩავფიქრდი. მატარებელი შემოდის. აუჩქარებლად დავკეცე გაზეთი, მშვიდად წამოვდექი. მერე ფარუქის ჩანაწერებით სავსე რვეულში ჩავიხედე, ცოტა კიდევაც წავიკითხე. სისულელეა! ისტორია მონებისათვის არის, ზღაპარია ზარმაცებისა და ბავშვებისათვის. რვეული არ დავხიე, ისე ჩავაგდე იქვე, სკამის გვერდით დადგმულ ნაგვის ურნაში. მერე კი, როგორც ყველა კაცმა, რომელიც სულაც არ ფიქრობს თავის საქციელზე, სიგარეტი ძირს დავაგდე, ფეხით გავსრისე. მატარებელი ჩამოდგა. კარები გაიღო. ვაგონებიდან ასობით თვალი მომჩერებია. დილით სამუშაოზე მიდიან, საღამოს სამუშაოდან ბრუნდებიან; დილით სამუშაოზე მიდიან, საღამოს სამუშაოდან ბრუნდებიან. საწყლებმა სხვა არაფერი იციან. გაიგებენ! გავაგებინებ, მაგრამ არა ახლა! ახლა მეც თქვენსავით ვჯდები გადაჭედილ მატარებელში და მივდივარ. ვაგონში ადამიანები ფუთფუთებენ, სიცხით ვიხუთებით, ნოტიო სიცხით.

ახლა კი გეშინოდეთ ჩემი! გეშინოდეთ!

32.

ლოგინში ვიწექი და ველოდებოდი. სანამ სტამბოლს წავლენ, ამოვლენ და ხელზე მაკოცებენ, დამელაპარაკებიან, მომისმენენ-მეთქი. ბალიშზე თავმიდებული ველოდებოდი, მაგრამ ერთბაშად საგონებელში ჩავვარდი. ქვემო სართულიდან ხმაური ერთბაშად მიწყდა, თითქოს დანით გადაჭრესო. ოთახიდან ოთახში გასვლის ხმა აღარ ისმის, არც – კარის დახურვისა და ფანჯრების გაღებისა. აღარც მათი

საუბარი ირეკლება კიბეებზე, ჭერზე. მეშინია.

საწოლიდან წამოვდექი, ჯოხი ავიღე და იატაკზე რამდენჯერმე დავარტყი. მაგრამ გაიძვერა ჯუჯა განა მიხვდება? ერთი-ორჯერ კიდევ დავარტყამდი, მაგრამ უარესია: იმათი შერცხვება იმის გამო, რომ ვერ გაიგონა და სულ აღარ ამოვა. ოთახიდან ნელ-ნელა გამოვედი, კიბის თავზე გავჩერდი და დავიძახე:

– რეჯეფ, რეჯეფ, ახლავე ამოდი!

ქვემოთ ჩამიჩუმი არ იყო.

– რეჯეფ, რეჯეფ, შენ გეუბნები!

როგორი საშინელი და თავზარდამცემია ეს სიჩუმე!

ფეხები გამეყინა. საჩქაროდ დავბრუნდი ჩემს ოთახში. ფანჯარასთან მივედი. ჟალუზებს ხელი ვკარი, გავაღე და გადავიხედე. ეზოში ვიღაც მანქანისაკენ გარბის. მეთინი ვიცანი. მანქანაში ჩაჯდა და სადღაც წავიდა. ღმერთო ჩემო, ჩემს აბდაუბდა ფიქრებთან მარტოდმარტო დამტოვა. ცუდი ფიქრები მომეძალა. შიშმა ამიტანა, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა – მეთინი მალე დაბრუნდა. დავინახე, მანქანიდან ვიღაც ქალი გადმოვიდა. სახლში ერთად შემოვიდნენ. ქალი გრძელი შარფითა და დიდი ჩანთით ვიცანი – მეაფთიაქე ქალბატონი იყო. როცა ამბობენ, ავად ხარო, იმ დიდი ჩანთით მოდის და თავის შხამიან ნემსს ხორცში მშვიდად მარჭობს, ენად იკრიფება: ფატმა ხანუმ, სიცხე გაქვთ, რატომ უნდა შეიწუხოთ თავი, დაღალოთ გული, როცა შეიძლება, პენიცილინის ნემსი გაგიკეთოთ და მოისვენოთ. ექიმის ცოლი მაინც არ ბრძანდებოდეთ. აქ ყველას თქვენი კარგად ყოფნა უნდა. ყველაფერზე მეტად ეს სიტყვები მაეჭვებს ხოლმე. ბოლოს, ცოტას ვიტირებ. გულგრილად მტოვებენ ჩემს სიცხესთან და მიდიან, იკარგებიან. „ფხიზლად იყავი, ფატმა, ფიქრები ვერ მოგიწამლეს და სხეულის მოწამვლას დაგიპირებენ“.

ვფხიზლობ, შიშით ველოდები, მაგრამ არაფერი ხდება. დადარაჯებული ვარ, იქნებ კიბეზე ვინმე ამოვიდეს და ფეხის ხმა გავიგონო. მაგრამ ქვემოთ გამეფებულ მდუმარებას არაფერი არღვევს. მერე სამზარეულოს კართან რაღაც ფაჩუნი გაისმა. კვლავ ფანჯარას ვეცი. ჩანთიანი აფთიაქარი ქალი ამჯერად მარტო ბრუნდება. ლამაზი ქალი ბაღში უცნაურად

მიდის – ცქვიტად, ახალგაზრდულად. ჭიშკრამდე რამდენიმე ნაბიჯიღა ჰქონდა დარჩენილი, როცა ერთბაშად შეჩერდა, ჩანთა ძირს დადო, იქიდან დიდი ცხვირსახოცი ამოიღო. ცხვირს იხოცავდა, თან ტიროდა. შემეცოდა ლამაზი ქალი. მითხარი, რა გატირებს? მიამბე, რა დაგიშავეს? ამასობაში ქალმა ერთხელ კიდევ მიიტანა თვალებთან ცხვირსახოცი, შეწყვიტა ტირილი, დასწვდა თავის ჩანთას, აიღო და წავიდა. სანამ ჭიშკარში გავიდოდა, შემობრუნდა და სახლს თვალი შეავლო. ვერ დამინახა.

ფანჯარას ვერ ვშორდები. მინდა, გავიგო, რა ხდება, ცნობისმოყვარეობა გაუსაძლისია. „წადით, ბარემ წადით! გადით ჩემი ფიქრებიდან! მარტო დამტოვეთ!“ ისევ არ ჩანან, ქვემოდანაც ჩქამი არ ისმის. საწოლს ვუბრუნდები. „ნუ წუხხარ, ფატმა, ცოტაც და, ისევ დაიწყება საზიზღარი ხმაური – ჭრიალი, შრიალი, მოურიდებელი მხიარულება. ლოგინში ვწევარ.“ მალე ხმაურით ამოივლიან კიბეს. ფარუქი, ნილგუნი, მეთინი ოთახში შემოლაგდებიან და ჩემს ხელზე საკოცნელად დაიხრებიან. მე კი წყრომითა და შურით გავიფიქრებ: რა სხვანაირი თმები აქვს ამათ თავებს-მეთქი. „მივდივართ, დიდედა, მაგრამ მალე ისევ ჩამოვალთ, თავს გაუფრთხილდით, ჩვენზე არ იდარდოთ“. მერე სიჩუმე ჩამოდგება და წამით თვალს მოვკრავ: ყურადღებით მიყურებენ – ყურადღებით, სიყვარულით, სიბრალულითა და უცნაური სიხარულით. მერეღა ვხვდები: ჩემს სიკვდილზე ფიქრობენ და უნდათ, თავიანთი ნაფიქრალი მომისადაგონ. მეშინია, არ მინდა, მათ ვებრალებოდე. ალბათ, ვეცდები თავი მხიარულად მოვაჩვენო. გავეხუმრები კიდეც: „იცით ამ ხელჯოხის გემო?“ „თქვენი მოკლე შარვლები რატომ არ ჩაგიცვამთ-მეთქი?“ იქნებ დავემუქრო: „წაგავლებთ ყურებში ხელს და კედელზე მიგალურსმავთ.“ ვიცი, ამ სიტყვებზე გაიღიმებენ. მხოლოდ იმ გაზეპირებულ, უსულო და სულელურ სიტყვებს მეტყვიან: „დიდედა, რეჯეფს ცოტა თბილად მოეკიდე“. ანდა: „მივდივართ, დიდედა, სტამბოლს. მოკითხვას ვისთან დაგვაბარებთ?“

ისევ ავღელდები. თითქოს ამ კითხვას სულაც არ ველოდებოდე. მერე გავიხსენებ სტამბოლს და იმას და იმათ, რაც და ვინც დავტოვე იქ სამოცდაათი წლის წინათ. სამწუხაროდ, თავს ვერ მოვიტყუებ: ხომ ვიცი, იქ ყველანი ცოდვაში არიან ჩაფლულები, როგორც სელაჰათინი წერდა

თავის ენციკლოპედიაში. თუმცა ზოგჯერ, ზამთრის ცივ ღამეებში, როცა ჯუჯას მიერ ცუდად დანთებული ბუხარი სულს ვერ მითბობს, მინდა მეც იქ ვიყო, გაჩახჩახებულ, თბილ და მხიარულ ოთახში. მაგრამ არა, არ მინდა ცოდვა! თუ იმ თბილ, ნათელ, მხიარულ ოთახზე ფიქრს ვერ ვიშორებ, შუაღამისას ლოგინიდან ვდგები, კარადიდან ვიღებ იმ ყუთს, რომელშიც ძაფის ცარიელი კოჭები, გაზეთებიდან ამონაჭრები, საკერავი მანქანის დამტვრეული ნემსები, ელექტროდენის საფასურის გადახდის ქვითრები ალაგია და ჩემი სამკაულების ზარდახშის გვერდით დგას. ვათვალიერებ ამონაჭრებს და ჩემთვის ვამბობ: რა სამწუხაროა! ყველანი დაიხოცეთ და ეს ამბავი ქვეყანას მოსდეს! მეც თქვენი გარდაცვალების განცხადებები გაზეთებიდან ამოვჭერი და შევინახე. ნახეთ, ნახეთ: „გარდაცვალება: ტკბილეულის ფაბრიკების გენერალური დირექტორის, ცხონებული ჰალით ჯემილ ბეის ასული სემიჰა ესენი“. აი, კიდევ: „გარდაცვალება: მმართველობის საბჭოს წევრი ქალბატონი მურუვეთი.“ თანაც, ყველაზე სულელი იყო. „გარდაცვალება: ძირძველი, მდიდარი ოჯახის პატრონის – ცხონებული ადნან ბეის ერთადერთი ასული ნიჰან აბლა“. გამახსენდი, გამახსენდი. თამბაქოს ვაჭარს გაჰყოლიხარ, სამი შვილი და – ღმერთმა გიმრავლოს! თერთმეტი შვილიშვილი გყოლია, მაგრამ ყოველთვის ბეჰლული გიყვარდა, ის კი იმ უზნეო ბიჰთერზე გიჟდებოდა. მოეშვი ამაზე ფიქრს, ფატმა! აი, კიდევ ერთი განცხადება. ეს ბოლოა. უკვე ათი წელი გასულა, „გარდაიცვალა ნიგან იშიქჩი – ვაკუფების მინისტრისა და პარიზში ჩვენი ელჩის – ცხონებული შუქრი ფაშას ასული, თურქანისა და შუქრანის და“. ეჰ, ნიგან აბლა, როცა ვკითხულობ შენი გარდაცვალების განცხადებას, ვდგავარ ცივ ოთახში და ვფიქრობ: „სტამბოლში ნაცნობი აღარ დამრჩენია, ყველანი ალაჰის წყალობას შეერთებიხართ“, ანუ, როგორც სელაჰათინი იტყოდა – ჯოჯოხეთში წასულხართ, იმ ჯოჯოხეთში, რომლის დედამიწაზე ჩამოსვლა ოცნებად ჰქონდა ქცეული, თავის ენციკლოპედიაშიც წერდა. ყველანი სტამბოლის ცოდვებში ჩაფლულნი დახოცილხართ და ბეტონის შენობებსა და კანალიზაციის მილებს შორის, პლასტმასის სუნში დამარხულხართ. რა საშინელებაა! როცა ამაზე ვფიქრობ, უცნაური სიმშვიდე მეუფლება – შიშით მოგვრილი სიმშვიდე – და ზამთრის ცივ ღამეში საბნის სითბოს მომანატრებს, ლოგინში მაბრუნებს. აი, ახლაც, ფიქრით დაღლილს დაძინება, დავიწყება მინდა. დიახ, სტამბოლში აღარავინ მყავს, ვისაც

მოკითხვას შევუთვლიდი.

კიდევაც რომ ამოვიდნენ და მკითხონ, აღარ დავიბნევი, პირში მივახლი ამ პასუხს, მაგრამ არ ამოდიან! ქვემოთ სამარისებური სიჩუმეა. საწოლიდან წამოვდექი, მაგიდაზე საათს დავხედე. უკვე დილის ათი საათია. სად დაიკარგნენ? ფანჯარასთან მივედი, თავი გადავყავი. მეთინის მანქანა იქვე დგას, სადაც წეღან დატოვა. შევამჩნიე. სამზარეულოს კარს უკან ჩაბუდებული ჭრიჭინები სადღაც წასულან, მათი ხმაც აღარ ისმის, არადა მთელი ზაფხული აქაურობას იკლებდნენ. სიჩუმის მეშინია! წეღან მოსული მეაფთიაქე ქალიც გამახსენდა, მაგრამ ვერაფერს დავუკავშირე ის ქალი. თავში ისევ ჯუჯას ნაამბობი ამომიტივტივდა. რასაც ჯუჯა მათ უყვება, დიდი ხანია, მის თავში დალექილა და ახლა ჩურჩულით ლაპარაკობს დანაშაულსა და ცოდვაზე. ოთახიდან გამოვედი, კიბის თავზე დავდექი და ვიყვირე:

– რეჯეფ, რეჯეფ, ახლავე ზემოთ ამოდი!

თან რამდენჯერმე დავარტყი ჯოხი იატაკს, მაგრამ ვგრძნობდი, არ მოვიდოდა. ვიცოდი, ამაოდ ვურტყამდი ჯოხს იატაკს, ამაოდ ვატანდი ძალას ჩემს ბებრულ ხმას. მაგრამ მაინც ერთხელ კიდევ ვიყვირე. უცებ თავზარი დამეცა: ეტყობა, ისე წავიდნენ, არც კი გამომემშვიდობნენ. ადგნენ და წავიდნენ, აღარასოდეს დაბრუნდებიან, დავრჩი მარტოდმარტო. შემეშინდა და დასამშვიდებლად ერთხელაც დავიძახე, მაგრამ ის უცნაური შიში უფრო მომეძალა. თითქოს ამქვეყნად აღარავინ დარჩენილა – აღარც კაცი, აღარც ფრინველი. ერთი უტიფარი ძაღლიც კი არსად არის, არც ჭრიჭინა, თავისი ჭრიჭინით სიცხე და დრო მაინც გამახსენოს. დრო გაჩერდა და მეღა დავრჩი და აი, ჩემი სასოწარკვეთილი ხმა ერთხელ კიდევ ეხმიანება იმათ, ვინც ქვემოთ მეგულება, ჩემი ჯოხი ერთხელ კიდევ ურტყამს იატაკზე. გამგონი არსად არის. მხოლოდ მიტოვებული სავარძლები, მტვრის სქელი ფენით დაფარული სკამები, მაგიდები, დაკეტილი კარები და სასოწარკვეთილი საგნები თავისით ჭრაჭუნობს.

ესეც შენი სიკვდილი, სელაჰათინ! ჰოი, ალაჰ! შემეშინდა. მეგონა, ჩემი ფიქრებიც ამ საგნებივით გაქვავდება, ყინულის ნატეხებივით უფერო და უსუნო დარჩება და უსასრულობამდე აქ ვიდგები – სრულიად უგრძნობელი. ერთბაშად მომინდა, ქვემოთ ჩავსულიყავი და დრო მეპოვა – დრო და მოძრაობა.

თავს ძალა დავატანე და კიბეზე ოთხი საფეხური ჩავიარე, მაგრამ თვალი შეშინდა. კიდევ თხუთმეტი საფეხურია, ვერ ჩახვალ, დაეცემი! უკან მოვბრუნდი და ნელ-ნელა ავიარე საფეხურები. როცა ავდიოდი, როცა ზურგი ვაქციე შემზარავ სიჩუმეს, გამხიარულება, ყველაფერის დავიწყება მომინდა: ახლა მოვლენ და გაკოცებენ, ფატმა, ნუ გეშინია!

ჩემი ოთახის კარს მივუახლოვდი, უკვე აღარ მეშინოდა, მაგრამ ნუგეშსაც ვეღარ ვპოულობდი. კედლიდან სელაჰათინის პორტრეტი წყრომით მიყურებდა. ჩემი შეშინება უნდოდა. მე კი ვეღარაფერს ვგრძნობდი, თითქოს უკვე დამკარგვოდეს ყნოსვაც, ტემპერატურაც, გემოს შეგრძნებაც, შეხებაც. შვიდი მოკლე ნაბიჯი კიდევ გადავდგი, საწოლამდე მივაღწიე, მის კიდეზე ჩამოვჯექი. მერე კი, როცა საწოლის თავს ზურგით მიყრდნობილი იატაკზე გაშლილ ნოხს დავჩერებოდი, მივხვდი, როგორი ფუჭი და ამაო იყო ჩემი ერთფეროვანი ფიქრები! მერე ლოგინში ჩავწექი, თავი ბალიშზე მივდე და ვფიქრობდი: დროა? მოდიან? ოთახში ხელზე საკოცნელად შემოდიან? „დიდედა, მშვიდობით.“ არც კიბეებზე, არც ქვემოთ ჩამიჩუმი არ არის. არ მინდა, დავინტერესდე, მეშინია, ცუდი არაფერი გავიგო. თავს ვიტყუებ, მზად არა ვარ, დრო მჭირდება და როგორც ზამთრის ცივ და მდუმარე ღამეებში გამიკეთებია, დრო ფორთოხალივით ლებნებად უნდა დავყო და გამოვიზოგო. საბანში გავეხვიე და ლოდინი გავაგრძელე. ვიცი, როცა ასე ელოდები რაღაცას, ერთი ფიქრი აგეკვიატება ხოლმე. რომელი? მინდა, ჩემმა გონებამ ჩემი შინაგანი სამყარო ხელთათმანივით გადმოაბრუნოს და ისე დამანახოს, მითხრას, ფატმა, აი, ვინა ხარ სინამდვილეშიო. შენი გარეგნობა სარკესავით ირეკლავს შენს სულს, შენი ფორმა გადმობრუნებული შენივე სულიაო. თუ გარედან ისა ვარ, რასაც ხედავენ, როცა დროდადრო სავახშმოდ მოდიან და ქვემოთ ჩავყავარ ხოლმე, ხელზე მკოცნიან, მაშინ როგორიღაა ჩემი სული? მე ვარ ეს გული, გამალებით რომ მიცემს, ჩემი ფიქრები რუზე დაცურებული ქაღალდის გემებივით მისრიალებენ. სხვა კიდევ რა არის? ზოგჯერ, ძილ-ღვიძილში, ცნობისმოყვარეობით ვაკვირდები, როგორ იქცევა ჩემი „შინაგანი“ „გარეგანად“ და „გარეგანი“ – „შინაგანად“. რომელი მათგანი ვარ სინამდვილეში? სიბნელეში ვერ ვპოულობ. ხელს უხმაუროდ, კატასავით გავიწვდენ და სინათლეს ვანთებ. ხელით ვეხები საწოლის ცივ რკინას, მინდა საკუთარი თავი ვიპოვო, მაგრამ საწოლის რკინას მივყავარ და ზამთრის ცივ

ღამეში მტოვებს. სადა ვარ? ზოგჯერ ესეც ვერ გაუგია ადამიანს, დიახ, როცა სამოცდაათი წელი ერთ სახლში ცხოვრობ და მაინც კითხულობ, სადა ხარ, გამოდის, არ იცნობ საკუთარ ცხოვრებას. მგონია, ცხოვრება ძალზე საინტერესო რამ არის, ხოლო ჩვენ ფუჭი, უცნაური და გაუგებარი რაღაც გვგონია და ველოდებით. ის კი თავისი გზით მიდის, ადგილს იცვლის. რატომ? არავინ იცის. ფიქრობ შენს ცხოვრებაზე, მომავალზე, შეცდომებზე, რომელთაც ახსნა არ ეძებნება და ერთბაშად ხედავ: მგზავრობა დასრულებულია! ჩადი, ფატმა, ჩადი! ჯერ ერთ ფეხს გადმოვდგამ, მერე – მეორეს და ეტლიდან ჩამოვალ, ერთ-ორ ნაბიჯს გავივლი, შემოვბრუნდები და ეტლს შევხედავ. ეს იყო? ამას მოვყავდით ასეთი რყევა-რყევით? როცა აღსასრული დადგება, ვიფიქრებ: ესა ყოფილა! მე კი ვერაფერი გავიგე! თავიდან დაწყება მომინდება, მაგრამ არ შეიძლება. მეტყვიან, უკვე გაღმა ვართ გასულები, ხელახლა ვერ ჩაჯდები, ხედავ, ეტლი გშორდება, მეეტლემ ცხენებს უკვე გადაუჭირა მათრახიო. „ერთხელ კიდევ“ აღარ არსებობს! ტირილი მინდა. მაშ, თავიდან დაწყება არ შეიძლება? როგორ თუ, არ შეიძლება?! ადამიანს უნდა შეეძლოს თავიდან დაიწყოს ცხოვრება, პატარა გოგოსაც თუ სურვილი აქვს, მთელი ცხოვრება უცოდველ ბავშვად დარჩენა უნდა შეეძლოს. ამ დროს მაგონდება, როგორ მიკითხავდნენ წიგნებს ნიგანი, თურქანი და შუქრანი. ისიც გამახსენდა, როგორ ვბრუნდებოდით მე და დედა შინ. უცნაური, ნათელი სევდა მომყვება.

იმ დილასაც დედამ შუქრი ფაშაანთა წამიყვანა. ეტლით მივდიოდით და, როგორც ყოველთვის, მთელი გზა მარიგებდა: იცოდე, ფატმა, როცა საღამოს შენს წამოსაყვანად მოვალ, ტირილი არ მორთო, თორემ ეს ჩვენი ბოლო მოსვლა იქნებაო. დედაჩემის ნათქვამი ხელად დამავიწყდა და როცა მომაკითხა და მივხვდი, შინ დაბრუნების დრო იყო, ავტირდი. დედამ მწყრალად შემომხედა, მაგრამ მაინც ვერ გავიხსენე ამ დილას ეტლში რა მითხრა. უფრო მეტიც: მხოლოდ ის როდი მატირებდა, რომ შინ წასვლის დრო დამდგარიყო. დედა მიწყრებოდა და ესეც გულს მტკენდა. გოგოების დედას შევეცოდე და შვილებს უთხრა, ამას კანფეტი მოუტანეთო. დედაჩემმა თქვა, ქალბატონო, ძალიან მრცხვენიაო. ნიგანმა ვერცხლის ჯამით კანფეტები მომიტანა. ყველა მე მომჩერებოდა და ელოდა, როდის გავჩუმდებოდი. მაგრამ არც კანფეტის აღებას ვაპირებდი და არც გაჩუმებას.

გულამომჯდარმა ვთქვი: ეს კი არა, ის მინდა-მეთქი.

რა ისაო? ეს კი არა, ის წიგნი მინდა-მეთქი. ვტიროდი და გასაგებად ვერა ვთქვი, რომელი წიგნი მინდოდა. შუქრანმა დედამისის ნებართვით რამდენიმე წიგნი მომიტანა. ქალბატონო, ეს წიგნები საამისო არ არის, კითხვაც არ უყვარსო, უთხრა დედაჩემმა. ამასობაში თვალი გავაპარე წიგნებისაკენ: მონტე კრისტო, ქსავიე დე მონტეპენ, პოლ დე კოკ, მაგრამ მე ის წიგნი მინდოდა, შუადღის აქეთ რომ მიკითხავდნენ გოგოები. „რობინზონის ამბავი“ ერქვა. შეიძლება, წავიღო-მეთქი? – ვიკითხე. კარგი, ჩემო გოგო, წაიღე, მაგრამ იცოდე, არ დაკარგო, შუქრი ფაშასიაო, – მითხრა მათმა დედამ. მაშინვე გავჩუმდი და წიგნით ხელში წყნარად ჩავჯექი ეტლში.

უკანა გზაზე შიშით თვალს ვერ ვუსწორებდი დედაჩემს, გაბრაზებული მეჯდა წინ. ტირილით დაწითლებული თვალებით მანამდე გავჩერებოდი შუქრი ფაშას სასახლის ფანჯრებს, სანამ თვალს არ მოეფარა. უცებ დედამ მიყვირა: ერთი თავგასული გოგო ხარ. მომავალ კვირას შუქრი ფაშაანთა აღარ წახვალო! დედაჩემს შევხედე და მივხვდი – უნდა, ამატიროს და ამას იმიტომ ამბობს. სხვა დროს მართლაც ბევრს ვიტირებდი, მაგრამ ახლა მშვიდად ვიყავი, საოცრად გახარებული.

დიდი ხნის მერე, უკვე ჩემს საწოლში რომ ვიწექი და ვფიქრობდი, ჩავწვდი – ამის მიზეზი ის წიგნი იყო, რომელიც ხელში მეჭირა. დავჩერებოდი ყდას და ვიხსენებდი, რა ნაწილები წამიკითხეს ნიგანმა, თურქანმა და შუქრანმა. რიგრიგობით მიკითხავდნენ, ბევრი ვერაფერი გავიგე, არეულ-დარეული მეჩვენა, მაგრამ რაღაც ამბავი მაინც გამოვიტანე. გემი დაღუპულა და ერთი მგზავრი – ინგლისელი – უკაცრიელ კუნძულზე მოხვედრილა. იქ მარტოდმარტოს წლები გაუტარებია. მერე ერთი მსახური უპოვია, მაგრამ მაინც საოცარი იყო, იმ კაცსა და მის მსახურს რამ გააძლებინათ ისე, მთელი წლები არავინ ენახათ.

ეტლი რყევა-რყევით მიდიოდა და სიმშვიდეს მგვრიდა. დედაჩემიც აღარ მიბღვერდა. თანაც ეტლიდან წინ კი არა, უკან ვიყურებოდი. კარგა ხანია, შუქრი ფაშას სასახლე თვალს მოეფარა, მაგრამ მაინც ვიყურებოდი – მომწონდა უკან მოტოვებული გზის ყურება. ეს გზა წარსული იყო, ლამაზად მოსაგონარი წარსული, მაგრამ უფრო მშვენიერი რამ ხელში

რომ მეჭირა, ის წიგნი იყო. ვინ იცის! იქნებ შინ დაბრუნებულმა შევძლო ხელახლა ვიცხოვრო იმ აბურდული წარსულით. ვიცი, ჩემი მზერა მოუთმენლად იხეტიალებს წიგნის გვერდებზე, მაგრამ მათ ყურებაში მხოლოდ შუქრი ფაშას სახლი გამახსენდება. მომავალ კვირას იქ ვეღარ წავალ. გავიხსენებ ყველაფერს, რასაც იქ ვაკეთებდით.

გაივლის ხანი და აქ, ჩემს საწოლში ვიფიქრებ: როცა დასრულდება ეტლით ერთჯერადი მოგზაურობა, რომელსაც ცხოვრებას ვუწოდებთ, თავიდან ვეღარ დაიწყებ. მაგრამ თუ ხელში წიგნი გიჭირავს და კითხულობ, რა გინდ გაუგებარი და აბდაუბდაც უნდა იყოს იგი, როცა დაამთავრებ, შეგიძლია, ხელახლა დაუბრუნდე ყველაფერს, რაც გაუგებარი დაგრჩა, შეგიძლია გადაშალო და თავიდან წაიკითხო. არა, ფატმა?!

ღამეს ველოდები. მალე მაინც მოვიდოდეს. თქვენ, საბნებში გახვეულებს რომ გძინავთ, მას ვერ წამიბილწავთ, ძალა არ გეყოფათ. მარტო დარჩენილი ვიფიქრებ წყალზე, გრაფინზე, გასაღებებზე, ცხვირსახოცზე, ატამზე, თეფშზე, მაგიდაზე, საათზე... ხელით შევეხები, ვუყნოსავ, გემოს გავუსინჯავ... ჩემ ირგვლივ, სივრცეში ყველაფერი მხოლოდ ჩემთვის არსებობს – თავისუფლად, ცხადად. ჩემთვის წიკწიკებს, ტკაცუნობს. ღამის სიჩუმეში ჩემთან ერთად განიწმინდება დანაშაულის, ცოდვის, ბიწიერებისაგან. მაშინ დროც დრო იქნება და ყველაფერი უფრო ახლოს მოვა ჩემთან და მეც საკუთარ თავთან.

[1] ზეითუნის ზეთში შემწვარი ბადრიჯნის კერძი

[2] ხილით, მწვანილით, ტკბილეულითა და წვრილმანით მოვაჭრე

[3] „უფროსი ძმა“ – ცოტათი უფროსი მამაკაცისადმი ზრდილობიანი მიმართვის შემოკლებული ფორმა

[4] ბატონი – ზრდილობიანი მიმართვის ფორმა

[5] ადგილი სტამბოლის აზიურ ნაწილში

[6] საკრებულო მეჩეთი

[7] სულთნის ოჯახის წევრი ქალბატონები – დედა, ცოლი, და –

თავადაც „სულთნის“ ტიტულს ატარებდნენ.

[8] ცნობილი თურქი მოგზაური (1611-1682)

[9] პატარა დაბა სტამბოლის ახლოს, სადაც ცხოვრობენ რომანის გმირები.

[10] ყოველკვირეული გაზეთი

[11] გაზეთის რუბრიკა

[12] ოსმალეთის შინაგან საქმეთა მინისტრი. „ერთიანობისა და პროგრესის პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი

[13] „ერთიანობისა და პროგრესის პარტია“ (1889 წ. პარიზი), 1908-1918 წლებში მმართველი ნაციონალისტური პარტია

[14] ოსმალეთის სულთანი (1876-1909) აბდულჰამიდ II

[15] „თავისუფლების და თანხმობის პარტიის“ წევრი

[16] ღია გალერეა შენობის გარეთა მხრიდან

[17] „უფროსი და“ – ცოტათი უფროსი ქალისადმი ზრდილობიანი მიმართვის შემოკლებული ფორმა

[18] იგივე იონა წინასწარმეტყველი, რომელმაც ვეშაპის კუჭში კარგა ხანი გაატარა.

[19] თურქეთში გვარები 1934 წელს საგანგებო კანონმდებლობით შემოიღეს.

[20] ყურანის სურაა, მიცვალებულთა სულის საოხად კითხულობენ.

[21] ანგელოზები, რომლებიც ცოდვილთ ჯოჯოხეთში ყრიან.

[22] იგულისხმება ალაჰი

[23] რელიგიის კანონებით (შარიათით) აკრძალული

[24] შარიათით ნებადართული

[25] მუსტაფა ქემალ ათა-თურქი (1881-1938) – თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებელი და მისი პრეზიდენტი 1923-1938 წლებში

[26] მოსამართლე, რომელიც მუსლიმური სამართლის

(შარიათის) კანონებით მუშაობს.

[27] განქორწინება. თუ კაცი ამ სიტყვას სამჯერ გაიმეორებს, ცოლთან გაყრილად ითვლება. ქორწინების აღდგენას რთული პროცედურები სჭირდება.

[28] ერთგვარი ნამცხვარი

[29] ფეოდალის ადგილ-მამული

[30] ყურანის ოცდაათი ნაწილიდან ერთ-ერთი

[31] ცხენოსანი მოლაშქრე ოსმალეთის იმპერიაში

[32] სამიკიტნო, დუქანი

[33] მუსლიმური კალენდრის მეშვიდე თვე

[34] შევარდენი

[35] დახურული ბაზარი – ძველი, აღმოსავლური ბაზარი სტამბოლში

[36] ბაბი-ალი – ოსმალთა სახელმწიფოს სამეფო კარი

[37] აბდულაჰ ჯევდეთი (1869-1932) – ოსმალო მწერალი და მეცნიერი

[38] დალაიე და ბურჟინიონი გამოგონილი პირები არიან.

[39] ზია გოქ ალფი – თურქი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე

[40] ხიდია სტამბოლში, ოქროს რქაზე.

[41] ბანკების პროსპექტი და სირქეჯი სტამბოლის უბნებია.

[42] უნაგირისა და ცხენის სხვა საკაზმის მკეთებელთა (სარაჯთა) უბანი.

[43] არისტოკრატიული უბანი სტამბოლში

[44] იგულისხმება ევროპული წელთაღრიცხვის შემოღება (1925 წ. თებერვალი)

[45] საგანგებო კანონით აიკრძალა თურქული ფესის ტარება.

[46] 1928 წელს თურქებმა უარი თქვეს არაბულ ანბანზე და

ლათინურის საფუძველზე შექმნილ ანბანზე გადავიდნენ.

[47] ძვ. ვერცხლის წვრილი ფული ოსმალეთის იმპერიაში

[48] ხორციანი კერძი ბადრიჯნით, ყაბაყითა და კარტოფილით

[49] ხახვში ჩაშუშული წვრილად დაჭრილი ხორცი

[50] ტკბილი ნამცხვარი

[51] ძვ. წონის ერთეული, დაახლ. 3 გრ.

[52] ცხენოსანი ჯარისკაცი ოსმალეთში

[53] სტამბოლის უბანი

[54] ტკბილეულია. სხვადასხვა მარცვლეულისა და ხმელი ხილისგან ამზადებენ

[55] შემწვარი ხორცის კერძია ერთგვარი

[56] „ჯუმჰურიეთი“ (რესპუბლიკა) – მემარცხენე ორიენტაციის გაზეთი

[57] ოსმალური ფეოდალური წყობა სამხედრო იყო. ფეოდალს მამული მხოლოდ სამხედრო სამსახურისთვის ეძლეოდა.

[58] სულთანი მეჰმეთ II (1432-1481). კონსტანტინოპოლი აიღო (1453 წელს) და ამის გამო ეწოდა ფათიჰი - დამპყრობი.

[59] ოსმალური კლასიკური ლიტერატურის ცნობილი წარმომადგენელი XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე.

[60] მოწყალება, რომელსაც მუსლიმები რამაზანის თვეში (მთვარის კალენდრის მეცხრე თვე) გაიღებენ ხოლმე.

[61] წყალობა, რომელსაც მუსლიმი ყოველწლიურად გასცემს (გამცემის ქონების მეორმოცედი ნაწილი).

[62] საღამოს ლხინი რამაზანის თვეში.

[63] იგულისხმება რუსეთის იმპერატორის, პეტრე I-ის ცოლი, რომელიც 1711 წელს პრუსიის ომში თან ახლდა პეტრეს. მან მოისყიდა თUურქი ბალთაჯი მეჰმედ-ფაშა და თურქთა ალყაში მოქცეული ოცდათვრამეტიათასიანი რუსული არმია იხსნა.

[64] სტამბოლის უბანი

[65] თურქეთის რესპუბლიკის შექმნის თარიღი ჰიჯრით (მუსლიმური წელთაღრიცხვით)

[66] „სიცოცხლის წყალი“, უკვდავების წყალი

[67] ფეოდალური ადგილ-მამული, იგივე თიმარი

[68] XVIII საუკუნის დასასრულისა და XIX საუკუნის დასაწყისის ოსმალო პოეტი

[69] ახლოაღმოსავლური ლირიკის სალექსო ფორმა

[70] ახლოაღმოსავლური სალექსო ფორმა

[71] მუსლიმური კალენდრის მეთორმეტე თვე.

[72] მიმართვის ზრდილობიანი ფორმა – ბატონო

[73] წვრილი ფულია, ლირის მეასედი

[74] მბრუნავ შამფურზე შემწვარი მწვადი

[75] XVI საუკუნის თუUრქულ-აზერბაიჯანული პოეზიის წარმომადგენელი.

[76] შუა საუკუნეების კლასიკური პოეზია.

[77] „თავისუფლება“ – თურქული ყოველდღიური ცენტრალური გაზეთი

[78] თურქული ყოველდღიური ცენტრალური გაზეთი